
გიორგი ლობჟანიძე



# მუჰამადის ცხოვრება

კავშირი – „კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი –კავკასიური სახლი“
თბილისი
2008

UDC (უაკ) 28-312
ლ-765

წინამდებარე ნაშრომი ისლამის ფუძემდებლის მუჰამადის (570-632) ქართულ ენაზე შედარებით სრული ორიგინალური ბიოგრაფიის შექმნის ჰირველი მცდელობაა, რომელიც მკითხველს ჰოჰულარულად მოუთხრობს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიის წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

პროექტის ავტორი ნაირა გელაშვილი

მხატვარი კოტე სულაბერიძე

ISBN 978-9941-400-17-9

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიის — ისლამის დამფუძნებლისა და წინასწარმეტყველის — მუჰამადის ქართულ ენაზე შესრულებული ბიოგრაფია, სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნდა.

რა თქმა უნდა, იყო რამდენიმე ნაშრომი, რომელიც, ძირითადად, რუსულიდან ითარგმნა (მაგალითად, ვ. სოლოვიოვის ესე „მუხამადი“ (თარგმნა მიხეილ მახარაძემ) და გიორგი მანელაშვილის მიერ ასევე რუსულიდან გადმოღებული ვ. ირვინგის „მუჰამედის ბიოგრაფია“, რომელიც ჟურნალის „აფრა“ პირველ-მეორე ნომრებში დაიბეჭდა, ასევე გვაქვს რამდენიმე ენციკლოპედიური სტატიაც ქართულად (ავტორი გოჩა ჯაფარიძე), „ყურანის“ ქართული თარგმანისათვის დართულ წინასიტყვაობაში ჩვენ მიერ შესრულებული საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფიული ექსკურსიც, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც საკმარისი არ ჩანდა იმ დიდ ინტერესთან შედარებით, რასაც ქართული წიგნიერი საზოგადოება ამ უნიკალური პიროვნებისა და მისი ბიოგრაფიის მისამართით ამჟღავნებდა.

ამიტომაც გადავწყვიტეთ შეგვექმნა შედარებით ვრცელი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელიც მკითხველს უბრალოდ მოუთხრობდა ისლამის დამაარსებლის ცხოვრებისეულ პერიპეტიებს და უფრო სრულ წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა ამ ადამიანსა და მის სამოღვაწეო გარემოზე.

წინამდებარე წიგნი, რომელიც მწერალ ნაირა გელაშვილის პროექტით და ევროპული ფონდის Horizon ფინანსური მხარდაჭერით დაიწერა, მუჰამად მოციქულის ერთგვარი ბელეტრიზებული ბიოგრაფიაა. ბელეტრიზაცია, ცხადია, არ გულისხმობს მეცნიერული კვლევის მეთოდებზე უარის თქმას, უბრალოდ თხრობის უფრო დემოკრატიული სტილი ავირჩიეთ, რათა მკითხველთა ფართო წრეს, ვისაც ეს საკითხები არააკადემიური თვალსაზრისით აინტერესებს, საშუალება ჰქონოდა, თვალი მიედევნებინა წიგნში აღწერილი მოვლენებისათვის.

გარდა ამისა, ნაშრომის ვერც ერთ პასაჟში, რა თქმა უნდა, ვერსად შეხვდებით ე. წ. „მწერლურ ფანტაზიასა“ და გამონაგონს. თვით დიალოგებიც კი შუა საუკუნეთა მუსლიმი ავტორების თხზულებებიდან არის აღებული და მაქსიმალური სიზუსტითაა თარგმნილი ქართულად.

იმ ავტორთაგან კი, ვისი ნაშრომებიც წიგნზე მუშაობისას გამოვიყენეთ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მუჰამადის პირველი მემატიანის — იბნ ჰიშამის ვრცელი ბიოგრაფიული შრომა „მოციქულის ცხოვრება“, რომელიც უნიკალურ ცნობებს გვაწვდის არა მხოლოდ მუჰამადის ბიოგრაფიის, არამედ ადრეული შუასაუკუნეების არაბული სამყაროს უმნიშვნელოვანესი მოვლენების თაობაზე.

ჩვენი წიგნისათვის იბნ ჰიშამის აღნიშნული თხზულება თითქმის მთლიანად გადმოვიღეთ ქართულ ენაზე და სამომავლოდ, როცა სათანადო სამეცნიერო აპარატით აღიჭურვება, ალბათ მისი გამოცემაც შეიძლება, თუმცა მანამდე უფრო გამართლებული მოგვეჩვენა მუჰამადის ბიოგრაფიის ქართული ვერსიის შექმნა, რადგან, თუ იბნ ჰიშამის ბიოგრაფია ალბათ უფრო სპეციალისტებს დააინტერესებს, ეს ორიგინალური ნაშრომი მკითხველთა ფართო წრისათვის იქნება განსაზღვრული, რასაც, სხვათა შორის, ნაირა გელაშვილის წინამდებარე პროექტიც ითვალისწინებდა.

იბნ ჰიშამის გარდა, ცხადია, გამოვიყენეთ სხვა მუსლიმი ავტორების ნაშრომები, რომელთაგან უნდა დავასახელოთ: იბნ საყდის „ატ-ტაბაკათ ალ-ქუბრა“, ატ-ტიბრისის „მატიანე“ და სხვ.

გარდა ამისა, შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა ისლამის წინასწარმეტყველის ბიოგრაფიის ევროპული (სამეცნიერო-კვლევითი) ტრადიციაც — XIX საუკუნის ევროპელი ისლამოლოგებიდან მოკიდებული თითქმის დღევანდლამდე.

ამ ნაშრომებიდან აღსანიშნავია: ა. შპრენგერის, დოზის, ი. კრიმსკის, ვ. ირვინგის, უ. უატის და სხვათა ორიგინალური თხზულებანი.

ვცადეთ, მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა მოციქულის ბიოგრაფიათა შედგენის თანამედროვე აღმოსავლური (არაბული, სპარსული და (რუსული და ევროპული თარგმანების მიხედვით — ნაწილობრივ) თურქული) ტრადიციაც. ამ მიზნით დავამუშავეთ და საგანგებოდ შევისწავლეთ: მ. მაჰალათის, ყ. ზარინქუბის, ა. გიულიენისა და სხვათა სპეციალური ნაშრომები.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ზღვა მასალა არსებობს და ამ მასალის სრულად თავმოყრა და სისტემატიზაცია წიგნის სპეციფიკიდან გამომდინარე არც გვიცდია.

ჩვენი მიზანი იყო, დაგვეწერა, რაც შეიძლება დაწვრილებითი ბიოგრაფია, სადაც არ გამოგვრჩებოდა წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღნუსხული ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ფაქტი მო-

ციქულის ბიოგრაფიიდან. ფაქტოლოგიური კუთხით კი, თვით პირველი ბიოგრაფიები შესანიშნავ ცნობებს გვაწვდიან.

თხზულების დაყოფაც ორ მოზრდილ კარად — „მუჰამადი მექაში“ და „მუჰამადი მედინაში“ ჯერ კიდევ იბნ ჰიშამიდან მომდინარეობს და ამ გზას გაჰყვა შემდგომში მუჰამადის თითქმის ყველა ბიოგრაფი და ამ ბიოგრაფიის ევროპელი თუ აღმოსავლელი მკვლევარი. უ. უატმა კი მუჰამადის ორტომიანი ბიოგრაფიიდან ერთი ტომი მექური, ხოლო მეორე ტომი მედინური მოღვაწეობის ხანას მიუძღვნა.

კიდევ ერთი ტექნიკური პრობლემა, რასაც ნაშრომზე მუშაობის დროს წავაწყდით და რაზეც წინდაწინვე გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება, არაბულ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანის პრინციპია. არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ტრადიცია, როცა დიაკრიტიკულ ნიშანთა დახმარებით ზუსტად აღინიშნება ესა თუ ის არაბული ფონემა და ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე. სამეცნიერო ნაშრომში, ცხადია, ამ ტრადიციას გავყვებოდით, მაგრამ იმ ტიპის თხზულებისათვის, რასაც წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს, ასეთი სიზუსტე ზედმეტი მოგვეჩვენა.

რა თქმა უნდა, სახელები, შევეცადეთ, მაქსიმალურად ზუსტი გახმოვანებით გადმოგველო, მაგრამ მოკლე და გრძელი ხმოვანი არ აღგვინიშნავს და სპეციფიკური არაბული თანხმოვნებიც (მაგალითად, იმავე „მუჰამმადის“ ფარინგალური ჰ), როგორც სამეცნიერო ტრადიციაშია მიღებული, წერტილით არ გამოგვიყვია. ქართული ენის ბუნების შესაბამისად, სახელებიდან ამოვიღეთ გემინატი (მაგალითად, იმავე „მუჰამმადში“), არ აღგვინიშნავს არც „ჰამზა“ და არც „'აინი“ სიტყვის დასაწყისში, სიტყვის შუაში კი ეს უკანასკნელი ქართული „ყ“- თი გადმოვეცით. ცხადია, ამით დაიკარგა არაბულის მრავალი ფონეტიკური ნიუანსი, მაგრამ ეს ჩვეულებრივ მკითხველს ბევრს ვერას შესძენდა.

საერთოდ, არაბულ ფონემათა ქართულში გადმოტანის საკითხი რთული პრობლემაა და ამაზე საუბარი ძალზე შორს წაგვიყვანს, მაგრამ აქვე მაინც საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის თანახმადაც ეს სახელები უნდა გადმოიცეს.

პრობლემის სირთულეზე თუნდაც იმავე „მუჰამადის“ ქართულად გადმოღების ვარიანტულობაც კარგად მიუთითებს. ტრადიციულად ქართულში გვქონდა ამ სახელის ორი ვარიანტი: როგორც ჩანს, ქა-

რთულისათვის უფრო ბუნებრივი „მაჰმადი“ (გავიხსენოთ რუსთველი: „მაჰმადის სჯულის მჭირავნი“) და შედარებით გვიანდელი და არაბულ წარმოთქმასთან ახლო მდგომი „მუჰამედი“. ცხადია, არაბული „მუჰამმადიდან“ აქაც ამოვარდნილია გემინაცია და კლასიკური არაბულის მოკლე „ა“ ჩანაცვლებულია დიალექტური „ე“-თი. ამ ტრადიციის მიუხედავად, ჩვენ ვარჩიეთ ეს სახელიც არაბული მოკლე ხმოვნების გადმოტანის სამუშაოდ აღებული პრინციპის შესაბამისად გაგვემართა, ამიტომაც უარვყავით ტრადიციულად ქართულში უფრო მიღებული „მუჰამედი“ და ვამჯობინეთ „მუჰამადი“. ყოველ შემთხვევაში, სხვა ვარიანტები, რომელიც ან რუსული და ინგლისური ენების სპეციფიკიდან (მაგ., მუხამედი, მუხამადი, კადიჯა, ჰადიჯა, ქადიჯა და ა. შ), ანდა ქართული დიალექტებიდან (როგორც ამას ამტკიცებს მ. მახარაძე თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში) გამომდინარეობს, ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია.

რაც შეეხება ნაშრომის იდეურ მხარეს, ცხადია, ჩვენი მიზანი სულაც არ ყოფილა რომელიმე მეთოდოლოგიის ბრმად მიყოლა, ანდა რაიმე შეხედულების უპირობო გაზიარება. ჩვენ შევეცადეთ ამოსავლად გვექცია ფაქტი და არა მისი ინტერპრეტაცია, თუმცა, ცხადია, ვერ ავცდით ვერც აღმოსავლურ და ვერც ევროპულ ლიტერატურაში არსებულ უამრავ მოსაზრებას, რომელთაგან ზოგს უბრალოდ არ ვიზიარებთ, ზოგი კი, პრინციპულად მიუღებელია, მაგრამ თუნდაც აზრის განვითარების ისტორიული დისკურსის წარმოჩენისათვის მათმა დამოწმებამ მაინც მოგვიწია (კონკრეტული მაგალითებით, უფრო გასაგები რომ იყოს რას ვგულისხმობ, ვთქვათ, მუჰამადის ავადმყოფობის, ანდა გამოცხადების ტექსტით შეგნებულად მანიპულაციის შესახებ ევროპულ მეცნიერებაში ფართოდ მიღებული მოსაზრებებია, რომელსაც არ შეიძლება დაეთანხმოს მიუკერძოებელი კაცი, ვინც ყურანს მწყობრად და, რაც მთავარია, წინასწარ აკვიატებული ფობიების გარეშე წაიკითხავს).

ფაქტები კი თავისთავად არ შეიძლება უინტერესო იყოს, რადგან ისინი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ღრმა ადამიანს, უძლიერესი და მრავალრიცხოვანი რელიგიის ფუძემდებელს ეხება.

# I ნაწილი

# მუჰამადი მექაში

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგიის, ისლამის ფუძემდებელი მუჰამადი დაიბადა 570 წელს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე ჰიჯაზის მხარეში.

დაბადების დღის და რიცხვის შესახებ მუჰამადის ბიოგრაფები და ჰადისების ავტორები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. თუმცა, მათი უმრავლესობის თანახმად, მუჰამადი პარასკევს, 17 რაბიყ ალ-ავვალს დაბადებულა, სხვანი კი ამბობენ, რომ წინასწარმეტყველი აღნიშნული თვის 10 რიცხვში დაიბადა.

სხვათა შორის, დაბადების წელზეც სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ, თუმცა ისლამის ავტორიტეტულ მკვლევართა მიხედვით, მოციქული „სპილოს წელიწადს“, ანუ იმ წელს დაბადებულა, როცა ეთიოპიის ქრისტიანმა განმგებელმა აბრიჰამ წარუმატებლად ილაშქრა მექაში. მექელებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მომხვდურთა საბრძოლო სპილოს და სწორედ ამიტომ წელიწადისთვისაც „სპილოს წელი“ უწოდებიათ. დადგენილია, რომ აბრიჰას ლაშქრობა 570 წელს მომხდარა, ამიტომაც უფრო სარწმუნოდ მოციქულის დაბადების ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ.

ისლამის ევროპელი მკვლევრები, მაგალითად: თეოდორ ნოლდეკე, რ. დოზი თუ ე. ა. კრიმსკი, ისლამს „უსასწაულებო რელიგიას“ უწოდებენ. ამით ისინი ხაზს უსვამენ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ ისლამში, ყოველ შემთხვევაში — დასაწყისისათვის, იუდაიზმისა და ქრისტიანობისაგან განსხვავებით, არა გვხვდება სხვადასხვა ტიპის სასწაულებრივი გადმოცემები მოციქულის ზებუნებრივი დაბადებისა თუ მისი გამორჩეულობის დამადასტურებელ ზეციურ ნიშანთა შესახებ. იმ რამდენიმე გადმოცემასაც, რომელიც მუსლიმურ წყაროებში ამასთან დაკავშირებით დასტურდება, ზემოთ ნახსენები მკვლევრები მოგვიანო ხანისა და ანალოგიურ ქრისტიანულ გადმოცემათა მიბაძვით შექმნილ ნიმუშებად მიიჩნევენ, თუმცაღა ჰადისებში შემონახულ რამდენიმე ასეთ ყველაზე გავრცელებულ ცნობას ჩვენ მაინც

დავიმოწმებთ, მაგალითად, მუჰამადის პირველ ბიოგრაფს — იბნ ჰიშამს — მოაქვს ჰასან იბნ საბითის ცნობილი არაბი პოეტის მონათხრობი:

„მაშინ მე 7-8 რვა წლის ბიჭი ვიყავი, მაგრამ ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, კარგად აღვიქვამდი. ერთ დღეს, მედინის ერთ-ერთი ციხესიმაგრის თავზე ვიღაც იუდეველი დავინახე, რომელმაც დაიძახა: ჰეი, იუდეველნოო! როცა მისი თანამერჯულენი ციხესიმაგრის კედელთან მოგროვდნენ და ჰკითხეს, რას გვეტყვიო, კაცმა მიუგო: იცოდეთ, ვარსკვლავი, აჰმადის მოსვლა რომ უნდა ეუწყებინა, წუხელ აენთოო."

„ას-სირათ ალ-ჰალაბიასა" და მუჰამადის სხვა მატიანეებში კი მუჰამადის დედის ამინა ბინთ ალ-ვაჰაბის მონათხრობს იმოწმებენ, რომელსაც უთქვამს: „როცა ბავშვი დაიბადა, უცებ თვალისმომჭრელი სინათლე გამოჩნდა და აღმოსავლეთ-დასავლეთი გადაანათა. მე კი იმ სინათლეზე აშ-შამის — სირიისა და ბასრის სასახლენი დავინახეო".

ასევე ამბობენ, რომ იმ ღამით სპარსეთის ძლევამოსილი მბრძანებლის ქვითკირით ნაგები სასახლე, რომლის ასაშენებლადაც წლობით გარჯილიყვნენ და უხარვეზოდაც ეშენებინათ, უცებ შუაზე გადაიხსნა და ქონგურიც ჩამოექცა.

კიდევ ერთი ჰადისი, რომელსაც სხვაზე მეტად დაჰკრავს ზღაპრული ელფერი, მაგრამ სხვაზე მეტსაც გვეუბნება ისლამის სიმბოლიკაზე, მოგვითხრობს: „იმ ღამით იბლისმა თავისი ქვეშევრდომი ჯინები შეკრიბა. ჰკითხეს: ჩვენო სიხარულო, რამ შეგაშფოთაო? მიუგო: ვაი თქვენდა! ღამე ჩამოწვა თუ არა, იმ დროიდან აქამდე, მიწისა და ზეცის ვითარება სხვაგვარად მიჩანს. უეჭველია, დედამიწაზე რაღაც ისეთი მოხდა, რისი მსგავსიც ისა იბნ მარიამის (იესო ქრისტეს) შობის შემდგომ აღარ მომხდარა. ახლავე წადით და გაიგეთ, რაც მოხდაო.

ჯინები დაიფანტნენ, მერე კი, როცა მობრუნდნენ, გაანაცხადეს, ახალი არაფერი შეგვიმჩნევიაო. იბლისს უთქვამს: როგორც ჩანს, ამ საქმეს თვითონ უნდა მივხედოო. ძებნა დაიწყო და ლამის მთელი დედამიწა გადაჩხრიკა, ვიდრე ბოლოს ალ-

ჰარამს — წმინდათაწმინდა მექას არ მიადგა, რომლისთვისაც ანგელოზებს წრე შემოერტყათ. ალ-ჰარამში შეღწევას შეეცადა, მაგრამ ანგელოზებმა არ დაანებეს, უყვირეს და გზა გადაუჭრეს. მაშინ ჰირას გამოქვაბულისაკენ გასწია, ბეღურად იქცა და იქ შეფრენას ლამობდა, რომ ანგელოზმა ჯიბრაილმა დაუძახა: აქედან გასწი, ღვთის წყალობას მოცილებულოო. იბლისმა უთხრა: ო, ჯიბრაილ, რაღაც მინდა გკითხოო. მიუგო: რა გინდაო? ჰკითხა: წუხელს აქეთ ახალი რა მოხდაო? მიუგო: მუჰამადი დაიბადაო. იბლისმა ჰკითხა: მისგან სარგებელს თუ ვნახავ რამესო? მიუგო: არაო. ჰკითხა: მისი თემისგანო? — დიახო. იბლისმა რომ ეს გაიგონა, წამოიძახა: მაშინ ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარო."

ამ ყაიდის გადმოცემები მრავლადაა, თუმცა ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით. ამ გადმოცემებიდან ისე გამოდის, რომ მუჰამადი ქალაქ მექაში დაიბადა, მაგრამ მისი დაბადების ადგილის შესახებაც მატიანეთა ავტორებს სხვადასხვა აზრი აქვთ. ზოგი მათგანი მოციქულის დაბადების ადგილად მუჰამად იბნ იუსუფ ას-საკიფის სახლზე მიუთითებს და ამბობს, ეს სწორედ ის სახლია, რომელიც ას-საფას ახლოს მდებარეობდა, შემდგომში ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის მეუღლემ, საიდა ზუბაიდამ შეისყიდა და მის ადგილას მეჩეთი ააგო. ზოგი მემატიანე კი ამბობს, რომ მუჰამადი ბანი ჰაშიმის ქოხში დაიბადა. არსებობს კიდევ სხვა მოსაზრებებიც, რომელსაც მუსლიმი მეცნიერები არასარწმუნოდ მიიჩნევენ.

## მექა ისლამამდელ ხანაში

ასეა თუ ისე, მუჰამადის მშობლიური ქალაქი მექა არაბეთის ნახევარკუნძულის ჰიჯაზის მხარეში, ორ მთას — სამხრეთ აღმოსავლეთით აბუ კაბისისა და დასავლეთით კაიუკაყანს — შორის მოქცეული პატარა დასახლება იყო. ქალაქის უძველესი ნაწილი იმ ფერდობზე იყო შეფენილი, რომელსაც ვადის (ხეობას) ანდა ბატნ მაქქას (მექის შუაგულს) ეძახდნენ, ხოლო მის

ცენტრს ბატჰა ეწოდებოდა. ქალაქის ამ ნაწილის სახლები არაბთა უძველეს სალოცავს ალ-ქაყბას ემეზობლებოდა და სახლებსა და ალ-ქაყბას შორის მოქცეულ დაშორებას „საბჭოს“, „სათათბიროსა“ თუ „საფიხვნოს“ (დარ ან-ნადვა) უწოდებდნენ. აქ იკრიბებოდნენ ოჯახთა მეთაურები, რომელთაგან არც ერთი ორმოც წელზე ნაკლებისა არ უნდა ყოფილიყო და საზოგადო, სახალხო საქმეთა შესახებ მსჯელობდნენ.

მთის კალთებზე შეფენილი სახლები — ძირითადად უბადრუკი ქოხმახები — გაჭირვებულ ოჯახებს ეკუთვნოდა.

აუტანელი პაპანაქება, წყლის სიმცირე და კოლოთა სიმრავლე ქალაქის ჰაერს გაუსაძლისს ხდიდა. წვიმისა და ატმოსფერული ნალექების სიმცირე განუწყვეტელ გვალვას იწვევდა, რომელსაც შედეგად მოუსავლიანობა ახლდა. ამასთან, ქალაქი ისე იყო განლაგებული, რომ თუ წვიმები დაიწყებოდა, ცხელი კლიმატური სარტყელის დასახლებისათვის ჩვეული დამშრალი კალაპოტები უეცრად დიდდებოდა და მექას წყალდიდობით ემუქრებოდა. ეს წყალდიდობები, ზაფხულის ხვატში, ძირითადად, გადამდებ სნეულებათა გაჩენით მთავრდებოდა.

სწორედ ამიტომ, მრავალი ოჯახი, ვისაც კი საამისო სახსარი გააჩნდა, ახალშობილს უდაბნოს მცხოვრებლებზე აძიძავებდა, რათა ბავშვი სუფთა ჰაერზე გაზრდილიყო და ქალაქში გავრცელებულ სნეულებებსა და ინფექციურ დაავადებებს გადარჩენოდა.

იმ დროისათვის მექაში ძირითადად კურაიშის არაბული ტომი სახლობდა და ამ ტომის რამდენიმე გვარი სხვებთან შედარებით სიმდიდრითა და ზეგავლენით გამოირჩეოდა.

ბანი ჰაშიმი, ბანი უმაია, ბანი ზაჰრა, ბანი მაჰზუმი, ბანი ასადი, ბანი ნავფალი, ბანი ჯუმაჰი, ბანი თაიმი და ბანი უდა ასეთ გვარებად მიიჩნეოდნენ.

ეს ოჯახები უმთავრესად ქალაქის ცენტრში, ალ-ბატჰას ხეობაში ცხოვრობდნენ და ამიტომაც მათ „აბტაჰიი“-ს, ანდა „კურაიშ ალ-ბატჰას“ უწოდებდნენ.

ქალაქის ეს ნაწილი კი, რომელიც ცენტრად ითვლებოდა და

სადაც ზამზამის უძველესი წყარო და ალ-ქაყბა მდებარეობდა, ძველი, დიდგვაროვანი ოჯახების საცხოვრისი იყო.

სხვა ოჯახები მთის კალთებსა და ბატჰას ხევის განაპირას შეფენილ უბნებში ცხოვრობდნენ და მათ „ალ-კურაიშ აზ-ზავაჰირს“ — მენაპირე კურაიშელებს — უწოდებდნენ. ისტორიკოსთა ცნობით, ეს „ალ-კურაიშ აზ-ზავაჰირი“ „კურაიშ ალ-ბატჰას“ სადარ ქონებასა და გავლენას ვერა ფლობდნენ, მაგრამ შეუდარებელი მებრძოლები და საარაკოდ მამაცი ადამიანები იყვნენ.

ოჯახებს თავიანთ საცხოვრებელ უბნებში სრული თავისუფლება ჰქონდათ. ქალაქის მცხოვრებლებიცა და უდაბნოში მობინადრეებიც მხოლოდ — და ისიც გარკვეულწილად — ოჯახის უფროსებს (შეიხებს, ასაკოვან ადამიანებს) ემორჩილებოდნენ. თუ ძალადობა, ანდა მკვლელობა მოხდებოდა, უდაბნოში გავრცელებული შურისგების კანონი სისხლის აღებას ითვალისწინებდა. ხოლო თუკი მკვლელი არ დანებდებოდა, პასუხისმგებლობა მის ოჯახსა და გვარს დაეკისრებოდა. ქალაქს არც პოლიცია ჰყავდა და არც მთავრობა, მაგრამ ფიცი და აღთქმა, რომლითაც ოჯახები ერთმანეთს შეეკვრებოდნენ, სამართლიანობის სრულ გარანტიას იძლეოდა, რადგან ადამიანები, რომლებიც საზოგადო წესებსა და საერთო ინტერესებს არ ემორჩილებოდნენ, იმავე კანონის ძალით, მარტოობისა და განაპირებისათვის იყვნენ განწირულნი.

საზოგადო საქმეები ალ-ქაყბას მახლობლად, დარ ან-ნადვაში განიხილებოდა. ამ თავისებურ საკრებულოში, რომელსაც რეალურად ხელთ ეპყრა მექის „სავაჭრო რესპუბლიკის“ მართვა-განმგებლობა, უფრო მეტი გავლენით შეძლებულ და დიდგვაროვან ოჯახთა წარმომადგენლები სარგებლობდნენ. ამასთან, მჭევრმეტყველების უნარი და საკუთარი აზრის მოხდენილად, მარჯვედ გამოხატვის ნიჭი არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობდა. თუმცა დარ ან-ნადვაში მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ გარკვეულ რჩევად აღიქმებოდა და ამ რჩევის გამომთქმელის ძალისა და ზეგავლენის გარდა საქმეში მისი განხორციელების არავითარი სხვა პირობა არ არსებობდა.

მექა აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს შორის მდებარე სავაჭრო გზათა შესაყარზე მდებარეობდა და ამიტომაც საუკუნეთა მანძილზე კარგად ცნობილ და აყვავებულ დასახლებას წარმოადგენდა. ეს ქალაქი ერთმანეთთან აკავშირებდა, ერთი მხრივ, ერაყსა და შამის ქვეყნებს, მეორე მხრივ კი — აზიასა და აფრიკას. თვითონ მექელთა სავაჭრო ქარავნები გამუდმებით შამსა (სირიასა) და იემენს შორის მიმოდიოდნენ და ამ ქარავნებზე ზრუნვა მექელთა ძირითად სამუშაოს წარმოადგენდა. მექიდან იემენსა თუ შამში ქარავანი ისე არ გავიდოდა, რომ იქ კურაიშელთა უმრავლესობას — ქალსა თუ კაცს — თავისი კაპიტალი არ ჰქონოდა დაბანდებული. ამის გამო ამ უშორეს გზაზე ქარავანთა მოძრაობა და ვაჭრობის ვითარება საზოგადო ყურადღების საგანი იყო და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულის უმცირესი დეტალებიც კი, ქალაქში საგანგებო მალემსრბოლთ ჩამოჰქონდათ.

ქარავნები უმთავრესად ძალიან დიდი იყო და აურაცხელ ქონებას ზიდავდა. ზოგი ქარავანი ორიათას ხუთას აქლემსაც კი ითვლიდა, ხოლო მექარავნეთა რიცხვი ხშირად სამას-სამას ორმოცდაათ კაცამდეც აღწევდა.

ამ ქარავნებს მექიდან ტყავი, სანელებლები, საპარფიუმერო ნაწარმი, საღებავი და ოქრო-ვერცხლი გაჰქონდა. ზოგი ეს საქონელი იემენური, ინდური ანდა აბისინიური ნაწარმი იყო. შამიდან, ეგვიპტიდან და პალესტინიდან კი ბამბა-აბრეშუმი, იარაღი, მარცვლეული და ზეთი ჩამოჰქონდათ, რასაც უდაბნოელ არაბთა ბაზარზე აურაცხელი მუშტარი ჰყავდა. ზოგი ამ ქარავნის სიმდიდრე ხანდახან ორმოცდაათი ათას დინარსაც აღწევდა და ხშირად სარგებელი, რაც აქედან მექელებს რჩებოდა, თავნის ნახევარს ანდა უფრო მეტსაც მოითვლიდა. ქარავნის ხარჯს აქლემის დაქირავება, მეგზურის ან გამყოლის გასამრჯელო და გზად მდებარე დასახლებების შეიხთა და მმართველთათვის გათვალისწინებული ძღვენი შეადგენდა. მაგრამ ვაჭრობაც კარგ შემოსავალს იძლეოდა და ზოგჯერ დინარზე დინარიც კი რჩებოდათ.

ამ ვაჭრობიდან ბანი უმაიას, ბანი მახზუმისა და სხვა ოჯახებმა გვარიანი ქონება დააგროვეს და მათ სიმდიდრეს მევახშეობა კიდევ უფრო მეტ სარგებელს ჰმატებდა. კურაიშელები მევახშეობას ვაჭრობის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევდნენ და დინარზე სარგებლად დინარს მოითხოვდნენ. ამდენად მცირე ქონებასაც კი მისი პატრონის უზრუნველყოფა და სარგებლის მოტანა შეეძლო. მექაში ვაჭრობა საყოველთაო საქმიანობად ითვლებოდა და ვინც ამ საქმეს არ მისდევდა, ხალხის თვალში ფასი არ ედო. ქალებიც კი ვაჭრობისადმი განუზომელ ინტერესს იჩენდნენ. მაგალითად, არაბული წყაროებიდან კარგადაა ცნობილი, რომ აბუ ჯაჰლის დედა სუნამოებითა და ნელსაცხებლებით ვაჭრობდა, ხოლო აბუ სუფიანის ცოლი ალ-ქალბის ტომელებთან აღებ-მიცემობით იყო დაკავებული. ცნობილია ისიც, რომ ხადიჯა ბინთ ხუვაილიდს, ვიდრე მუჰამადს ცოლად გაჰყვებოდა, წლების მანძილზე შამის ქვეყნებში საქარავნო ვაჭრობისათვის მიეყო ხელი.

გარდა ამისა, ალ-ქაყბას არსებობაც, რომელიც უძველესი დროიდან თითქმის ყველა არაბული ტომის სალოცავსა და თავშესაყარს წარმოადგენდა, მექის ეკონომიკურ წინსვლას, აქ ვაჭრობის განვითარებასა და საქარავნო გზების უსაფრთხოებას განაპირობებდა. ხოლო კურაიშელები, რომლებიც მექის ტაძრის მსახურებად ითვლებოდნენ, დანარჩენ არაბებზე მეტად სარგებლობდნენ ამ ვითარების სიკეთითა და ყველა შემოსავლით. ამის მიუხედავად, ალ-ქაყბა მხოლოდ კურაიშელთა საკუთრება არ ყოფილა. იგი ყველა არაბის სალოცავი იყო, ყველა ტომს ამ ტაძარში თავისი კერპი ედგა და კერპთა რაოდენობა აქ სამასსაც კი აღემატებოდა. არაბეთში მოსახლე ქრისტიანებსაც კი ამ ტაძრის კედლებზე იესოსა და მარიამის ფრესკები გამოესახათ და, როგორც ჩანს, თავის დროზე ტაძარში ისინიც ლოცულობდნენ.

წარმართულ არაბულ პანთეონში ალ-ლაჰი დიდ ღვთაებად ითვლებოდა, მაგრამ არც ერთადერთი ყოფილა და არც სწორუპოვარი. მის გვერდით სხვა ღვთაებებსაც თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ. მათ შორის სამი ქალღმერთი ალ-ლათი, ალ-

უზა და ალ-მანათი, რომელთაც არაბები „ღმერთის ასულებს“ უწოდებდნენ, განსაკუთრებული და საყოველთაო თაყვანცემით იყვნენ გარემოსილნი. მკვლევართა ვარაუდით, ალ-ლათი მზის ღვთაება უნდა ყოფილიყო და არაბული ტომები მას ღმერთების დედად მიიჩნევდნენ. მისი ქანდაკება ტაიფში იდგა და ალ-ლათი იქ თეთრი ქვის სახით თაყვანიცემებოდა.

ალ-მანათი ბედისწერის ქალღმერთი იყო და ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს განაგებდა. მისი ტაძარი მექისა და მედინის გზაზე, ზღვის მახლობლად მდებარე ერთ ადგილ კუდაიდასთან იდგა, სადაც ამ ქალღმერთის შავი ქვისაგან დამზადებულ ქანდაკებას ინახავდნენ.

ალ-უზა კი სირიუსის ქალღმერთად ითვლებოდა და მისი ტაძარი მექასა და მედინას შორის, ვადი ან-ნახლაში — „პალმათა ხევში (ან: ჭალაში)“ მდებარეობდა.

ეს ღვთაებები, ბუნებრივია, მხოლოდ კურაიშელებს არ ეკუთვნოდათ, მაგრამ კურაიშელები მათ მსახურებასა და თაყვანისცემაში საარაკო გულმოდგინებას იჩენდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ კურაიშელნიც და სხვა არაბებიც ამ ღვთაებათაგან განსაკუთრებულ პატივს ალ-უზას მიაგებდნენ.

არაბულ საისტორიო წყაროებში შემონახული გადმოცემის თანახმად, ბანი უმაიას გვარის ერთ კაცს, რომელსაც სახელად აბუ ჰუაიჰა საყიდ იბნ ასი ერქვა, სასიკვდილო სარეცელზე ტირილი დაუწყია. მის მოსანახულებლად მისულ აბუ ჯაჰლს უკითხავს, რა გატირებს, სიკვდილისა ხომ არ გეშინია, რომელსაც ვერც ერთი სულიერი ვერ გაექცევაო? მომაკვდავს მიუგია: სიკვდილისა კი არა, იმისა მეშინია, რომ ჩემ შემდეგ ხალხი ალ-უზას თაყვანს აღარა სცემსო. აბუ ჯაჰლს უთქვამს, ხალხი ალ-უზას თაყვანს შენი სიცოცხლისათვის კი არ სცემდა, რომ შენი სიკვდილის გამო ამ საქმეზე ხელი აიღოსო.

ალ-უზას გარდა არაბებს სხვა ღმერთებიც ჰყავდათ. მაგალითად, ცნობილია, რომ კურაიშელებს ალ-ქაყბას ტაძარში ედგათ ღვთის ქანდაკება, რომელსაც ჰაბალს (ჰუბალს) ეძახდნენ. ეს იყო მეწამული იაგუნდისაგან ჩამოსხმული კერპი, რომელსაც კაცის

გამოსახულება ჰქონდა, მარჯვენა ხელი კი უძველესი დროიდან ჩამოეტეხათ და კურაიშელებს ახალი მარჯვენა მისთვის ოქროსაგან გამოექანდაკებიათ.

ალ-ქაყბასა და სხვა ტაძრებში მდგარი ეს ღმერთები კურაიშელთა და დანარჩენ არაბულ ტომთა ყურადღებისა და თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა. მათთან დაკავშირებით გარშემოვლის, თაყვანცემისა და მსხვერპლშეწირვის თავისებური რიტუალები აღესრულებოდა. ამ რიტუალებში ქალებს, რომელთაც უწმინდურებად მიიჩნევდნენ, მონაწილეობის ნება არ გააჩნდათ. ალ-ქაყბას გარს შემოვლისა და მომლოცველობის რიტუალი, რომელიც გარკვეული სახეცვლილებით ისლამშიც გადავიდა, საერთოარაბული მოვალეობა იყო, მაგრამ აქაც განაკუთრებული ინიციატივა და გულმოდგინება ისევ კურაიშის ტომელთ ეკუთვნოდათ.

ზემოხსენებულ კერპებთანვე იმართებოდა მკითხაობისა და ბედისწერის წინასწარმეტყველების თავისებური რიტუალი — მაისარი და აზლამი, რომელიც ისართა მეშვეობით სრულდებოდა და არაბები მოგზაურობის ან სხვა მნიშვნელოვანი საქმეების წინ ასე ცდილობდნენ, მოსალოდნელი ზარალი თუ ხეირი გაერკვიათ.

იმ სამას სამოც კერპს შორის კი, რომელსაც ქააბას ტაძარში პატივს მიაგებდნენ, ერთ-ერთი ღვთაება ალ-ლაჰიც იყო. ალ-ლაჰი ბევრი ნიშნით ადამიანს ჰგავდა და ის ცათა და ქვეყნის შემოქმედად, წვიმის ზეგარდმომვლენად და ქვეყნიერების საქმეთა გამრიგედ მიაჩნდათ.

ამასთან, ალ-ლაჰის თაყვანისცემა სხვა ღმერთების სამსახურსაც არ გამორიცხავდა. არაბები ხშირად მსხვერპლსა და შესაწირს ამ აღიარებულ კერპებსა და სხვა ღვთაებებს შორის ანაწილებდნენ, ხოლო ღმერთებსა და ჯინებს შორის ნათესაურ კავშირებს ხედავდნენ და ხშირად შემწეობისათვის ამ უკანასკნელთ (ანუ ჯინებს) მიმართავდნენ, გულისმოსაგებად კი მათ სხვადასხვა შესაწირს უძღვნიდნენ.

ჯინები არაბთა წარმოდგენაში უხილავი, ძლევამოსილი არსე-

ბანი იყვნენ, რომლებიც უმთავრესად გამოქვაბულებში, წყლისპირებზე და უკაცრიელ ადგილებში ბინადრობდნენ და ზოგჯერ სულიერთა სახის მიღება ხელეწიფებოდათ. ისინი, ძირითადად, ღამით და მეტწილად უდაბურ ადგილებში მიმოდიოდნენ და ადამიანისთვის სიკეთისა თუ სიავის, ხეირისა თუ ზარალის მოტანა შეეძლოთ. ამიტომაც საჭირო იყო ამ არსებათა კეთილგანწყობის მოპოვება და საამისო საშუალებად მათი თაყვანისცემა, მათთვის სამხვეწროებისა და შესაწირის მიტანა ითვლებოდა.

ისტორიულ ანალებში ასევე დაცულია ცნობები, რომელიც ადასტურებს, რომ ხეთა თაყვანისცემა არაბთა შორის უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. ამ რწმენა-წარმოდგენებს ხალხის ცნობიერებაში ფეხი ისე ღრმად მოეკიდებია, რომ ისლამის დამკვიდრების შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში ხის მოჭრას ან ამოთხრას ღვთისთვის საწყენ, გასაკიცხ საქმედ და უბედურების მომტან საქმიანობად მიიჩნევდნენ.

ბევრ არაბულ ტომში ფართოდ იყო გავრცელებული ქვათა თაყვანისცემაც. როცა არაბები სამოგზაუროდ მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ ქვები, რომელთათვისაც თაყვანი უნდა ეცათ. ამასთან, თუკი გზად, თანწამოღებულზე უფრო ლამაზ ქვას წააწყდებოდნენ, ძველს გადააგდებდნენ და ახალი მიჰქონდათ. ტორ ანდრეს შენიშვნით, ქვის ეს თაყვანისცემა არაბთა შორის შესაძლოა ნარჩენი იყოს ძველ ებრაელთა ჩვეულებისა, რომელთაც თავიანთი კერპებისათვის შესაწირად ზოგჯერ ქვებიც მიჰქონდათ.

თვითონ არაბული წყაროები არაბულ ტომებში გავრცელებულ ქვების თაყვანისცემას მეტად საინტერესო ახსნას უძებნიან. ამ წყაროთა მიხედვით, ქვათა თაყვანისცემა არაბეთის ნახევარკუნძულზე ისმაყილის ძეებს გაუვრცელებიათ. როცა ეს ადამიანები მშობლიური ქალაქიდან საშოვარზე თუ სხვადასხვა საქმეზე მიდიოდნენ, თან ქააბას წმინდა ნაკრძალიდან მიჰქონდათ ქვები, რათა ყარიბობისას, ტაძრის მრუმე ქვის სანაცვლოდ, ამ თანნაღებულ სამახსოვროებზე ელოცათ და თავიანთი მამაპაპის სჯული არ დაეკარგათ. უკან დაბრუნებულნი ქვებს ისევ ქააბას ტაძრის ეზოში აბრუნებდნენ. დროთა განმავლობაში ეს

ტრადიცია დამახინჯდა და სრულიად განსხვავებული შინაარსით დაიტვირთა.

რაც შეეხება შესაწირს, სამხვეწროსა და ღვთაებათათვის ძღვენის მირთმევას, არაბთა შორის ესეც ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ, ებრაელთაგან განსხვავებით, მათთვის ამ ძღვენ-შესაწირს, ალ-ქაყბას მომლოცველობისა თუ მსხვერპლშეწირვის რიტუალებს მხოლოდ საამსოფლო მნიშვნელობა ჰქონდა და მთლიანად ქვეყნიურ კეთილდღეობასთან, ცხოვრების სახსრის მოპოვების წადილთან იყო დაკავშირებული. რადგან არაბთათვის ცხოვრება ამქვეყნად მთავრდებოდა და სიკვდილის მერე არაფერი აღარ არსებობდა. ანუ არაბები არ სცნობდნენ სულის უკვდავებასა და საიქიოს. ამის შესახებ კი, თუკი არაბთ რაიმე სმენოდათ, იუდეველთა და ქრისტიანთა სიტყვები იყო და ამ სიტყვებისაც მათში ალბათ არავის სჯეროდა. არაბები სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის არსებობას ცრურწმენად მიიჩნევდნენ და ამაზე ფიქრით დიდად თავს არ იწუხებდნენ. მართალია, კერპებს მსხვერპლსა და ძღვენსაც სწირავდნენ, მათი მომლოცველობის რიტუალსაც აღასრულებდნენ, მაგრამ რელიგიური ცხოვრებისადმი მაინცდამაინც დიდი ინტერესი და ხალისი არ გააჩნდათ. ამის მიუხედავად, რაკიღა სისხლს, ნათესაობასა და წინაპრების ადათს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, წინაპართა რელიგიასაც უდიდეს პატივს სცემდნენ და მამა-პაპათა სჯულის შეურაცხყოფას საკუთარ შეურაცხყოფად აღიქვამდნენ. ეს იყო კურაიშელთა მხრიდან ისლამის მიმართ გაჩენილი გააფთრებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი კი იყო ის, რომ ისლამის მიღების შემდეგ არაბს უარი უნდა ეთქვა ყოველგვარ სიამეზე, რის გამოც იმქვეყნიური ცხოვრებისადმი ურწმუნოების პირობებში პასუხი არ მოეთხოვებოდა. პრინციპულად, ჯაჰილიის ხანის არაბს საკუთარ სიამოვნებასა და სარგებელზე ხელს არაფერი ააღებინებდა. სიძვა, რა თქმა უნდა, არ წახალისდებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ მოსაზრების გამო, რომ მეუღლის (მამაკაცის) ქონებისა და საკუთრების ხელყოფად აღიქვამდნენ. მკვლელობისაგანაც თუ თავს იკავებდნენ, მარტო იმიტომ, რომ

სისხლის აღებისა და სამაგიეროს გადახდისა ეშინოდათ. ქურდობა და ძარცვა, განსაკუთრებით, თუ თან ომსა და ძალმომრეობას ახლდა, სირცხვილად და საძრახისად არ ითვლებოდა. ყომარი საყოველთაო გასართობი იყო და ზოგჯერ შეიძლებოდა მოგებულს წაგებული თავის მონად ექცია. ასევე ხდებოდა ვახშის შემთხვევაშიც, რომელიც, ჩვეულებრივ, ორმაგი სარგებლით გაიცემოდა და კურაიშელი ვაჭარი ამ დროს არაბთათვის ჩვეულ გულუხვობასაც სავსებით ივიწყებდა.

ქალაქად მცხოვრები მევახშენი მექელ ღატაკებსა და უდაბნოს მკვიდრ ბედუინებს პირდაპირ ძარცვავდნენ, რადგან ხელმოკლე მოვალე იძულებული ხდებოდა, მევალის მონად და შინაყმად ქცეულიყო, მისთვის უფასოდაც ემუშავა და თან თავისი ვალიც გადაეხადა. ასეთი რამ ქალაქად მცხოვრებ მოვალეებს ემართებოდათ, ბედუინი კი, ვისაც ზურგს უკან უდაბნო ედგა, ახერხებდა ერთხანს მევალე ებილბითებინა, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, მხოლოდ მცირედი გადაეხადა, რადგანაც ბედუინისათვის ფიცი და დაპირება არაფერს ნიშნავდა, თუმცა ამ მხრივ მას არც კურაიშელი ვაჭარი ჩამოუვარდებოდა. იგი ხშირად ხალხის ქონებას ჭამდა, მაგრამ გაკოტრებისას აცხადებდა, რომ გზად ბედუინები დახვედროდნენ და მთელი სარჩო-საბადებელი წაერთმიათ. კაცმა რომ თქვას, ბედუინს ეს საქმე მართლაც არ უჭირდა, განსაკუთრებით, თუ სიღატაკე მომეტებულად შეაწუხებდა და ლუკმაპურის შოვნის სხვა გზა აღარ დარჩებოდა.

ვაჭრები ბედუინებს, რომელთაც უდაბნოს გზა-ბილიკები შესანიშნავად იცოდნენ, ქარავანთა გამოყოლ-გამცილებლებად ქირაობდნენ, მაგრამ მათ თავიანთი სავაჭრო სარგებლიდან არაფერს უხდიდნენ, ხშირად გარიგებაში ატყუებდნენ და საჭიროების შემთხვევაში, ვალსაც მხოლოდ ძალზე მაღალი პროცენტით ასესხებდნენ. ამის გამო ბედუინი მუდამ უკმაყოფილო იყო ქალაქელი ვაჭრისა და მას სიხარბისა და გაუმაძღრობის მხრივ ზვიგენს, უფრო სწორად, მის ერთ-ერთ სახეობას ზღვის ძაღლს (არაბ. კირშ, ან: კურაიშ) ადარებდა, რომელიც დანარჩენ ზღვის ცხოველებს გლეჯს და ანადგურებს.

ისლამის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე მექა არაბული ტომთა საპილიგრიმო ადგილი იყო და წმინდა და უსაფრთხო ალაგად ითვლებოდა. აქ არავინ არავის აწუხებდა და მის ტერიტორიაზე არც ერთი სულიერის მოკვლა არ შეიძლებოდა. წელიწადში ოთხ თვეს ანუ წმინდათაწმინდა თვეებში არაბეთის ნახევარკუნძულის ყოველი მხირდან არაბები მექაში ჩადიოდნენ და რელიგიური მომლოცველობის რიტუალებს აღასრულებდნენ. ამ რიტუალთა ცენტრი რასაკვირველია ალ-ქაყბას ტაძარი იყო და ამიტომაც მექელ არაბებს იმაზე, თუ ვის ხელთ იქნებოდა ტაძრის მოვლა-პატრონობა, ცილობა და ურთიერთქიშპი ჰქონდათ ატეხილი. ეს მოვალეობა ძველად ერთხანს ამალიკელებს ეკისრებოდათ, მათ შემდგომ კი ალ-ქაყბა ჯერ ჯურჰუმის ტომელთა, მერე ხუზაყელთა, ბოლოს კი კურაიშელთა ხელში გადავიდა.

ალ-ქაყბას არსებობა განაპირობებდა იმას, რომ არაბთა მთელი გულისყური მექისაკენ ყოფილიყო მიმართული. ხოლო წელიწადში ერთხელ, როცა ნახევარკუნძულის სხვადასხვა კუთხიდან ამ ქალაქში საპილიგრიმოდ ჩამოვიდოდნენ, თან სავაჭრო საქონელთან და ნივთებთან ერთად, ახალ-ახალი აზრები და იდეებიც ჩამოჰქონდათ.

მექიდან გამოსული ქარავანი თავის გზაზე რამდენიმე ოაზისს შეხვდებოდა. სირიისაკენ მიმავალს იასრიბზე ანუ იმ ქალაქზე უნდა გაევლო, რომელსაც მუჰამადის შემდგომ მადინა ან მადინათ ან-ნაბიი — მოციქულის ქალაქი ეწოდა. ხოლო იემენისაკენ მიმავალი გზად ტაიფს გაივლიდა. ჩრდილოეთით — ჰიჯაზზე, სამხრეთით თიჰამაზე გამავალ გზათა მიღმა კი, ერთ მხარეს მეწამული ზღვა, ხოლო მეორე მხარეს ფიკრის ვრცელი უდაბნო გადაიშლებოდა. აღმოსავლეთით ნაჯდი და იამამა მდებარეობდა, მათ სამხრეთითა და ჩრდილოეთით კი, კიდევ ორი საზარელი უდაბნო — ნუფუდი და დუჰნა.

იასრიბსა და ტაიფზე გამავალი გზებიც ალაგ-ალაგ უდაბური და ქვიშის ბორცვებით დაფარული ადგილები იყო. უდაბნოს ნაპირებზე გამომშრალი და მოტიტვლებული მთა-გორაკები წამომართულიყვნენ და მხოლოდ აქა-იქ, ერთურთისაგან ძალზე

დაშორებულ მანძილებზე თუ ფეთქავდა სიცოცხლისა და სიმწვანის მცირედი ნიშანწყალი.

უდაბნოში, რომელსაც მხოლოდ დროდადრო თუ რწყავდა ცხელი რეგიონის მეტწილად დამშრალ მდინარეთა კალაპოტები, მინდორი დიდი იშვიათობა იყო, სადაც ბედუინთა აქლემები ბალახობდნენ და აქა-იქ ზოგჯერ სირაქლემა ან ქურციკიც გაკრთებოდა.

სირიის გზაზე მდებარე ოაზისებში ძველთაგანვე სახლობდნენ არაბული ტომები, რომელთა ამბებიც უკვე მუჰამადის სიცოცხლეშივე დავიწყებას იყო მიცემული. ამ ტომთაგან საფლავები, წარწერები და სხვა ნივთიერი კვალი შემორჩენილიყო. იმის მიხედვით კი, რაც ამ ყველაფრიდან დღევანდლამდეც შემოგვრჩა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი არაბული ტომები ანდა ნაბატეელები უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა მუჰამადის ხანაში ხალხს მათი ამბავი დაევიწყებია და მათ ნაკვალევს უდაბნოში მცხოვრებ ლეგენდარულ არაბებს უკავშირებდნენ, რომლებიც, საზოგადო წარმოდგენით, საარაკო ძალითა და აღნაგობით გამოირჩეოდნენ და თითქოსდა წყალდიდობით, ანდა ქარიშხლით უნდა ყოფილიყვნენ განადგურებულნი. ასევე ჰყვებოდნენ ტასმის, ჯადისის, ადისა და სამუდის ტომთა ამბებს, რასაც ზღაპრული ელფერი დაჰკრავდა და ერთგვარ დამრიგებლურ მოთხრობებად გამოიყენებდნენ.

მუჰამადის დროს ამ მივიწყებულ ხალხთა და თაობათა ადგილას, უდაბნოსა და მის შემოგარენში ბედუინები ბინადრობდნენ. კარვები და აქლემები, ამ კარავთა გარშემო რომ ბალახობდნენ, ბედუინთა ყოფის განუყოფელ ატრიბუტებს შეადგენდა.

ბედუინები უმთავრესად კერპთაყვანისმცემლობას მისდევდნენ, იშვიათად კი მათ შორის ქრისტიანი ტომებიც გამოერეოდა. იუდეველნი მეტწილად იასრიბსა და მის ახლომახლო სოფლებში სახლობდნენ, ხოლო კერპთაყვანისმცემელი არაბები, ძირითადად, უდაბნოს ბინადარნი იყვნენ. ბედუინთა საქმე აქლემთა მწყემსვა და ბრძოლა იყო. ეს ბრძოლები, ძირითადად, საძოვართა და წყაროთა ხელში ჩასაგდებად იმართებოდა და

ამ ომთა მიზეზით, ზოგჯერ რამდენიმე თაობის მანძილზე რომ გრძელდებოდა, მთელი ტომები ნადგურდებოდნენ, ანდა გვერდიგვერდ მცხოვრები ტომები ერთიანდებოდნენ თუ ერთმანეთისაგან იყოფოდნენ.

ომის დასასრულს ძლეული მოწინააღმდეგის კვალიც კი აღარ ჩანდა: ან მთლიანად მოისრებოდნენ, ან შურისძიების წყურვილით ანთებულნი უდაბნოში იფანტებოდნენ. მძლეველი ტომი კარვებს შლიდა ბრძოლით მოპოვებულ ოაზისში და თავის აქლემებს საძოვარზე მიუშვებდა. ალაფად მოხვეჭილ აქლემებს ტვიფარს გამოუცვლიდნენ და ხელში ჩაგდებულ ნადავლს მებრძოლები ერთმანეთში იყოფდნენ. არაბული ტაიჭი კი მაინც ჭიხვინებდა კარვის კალთებთან, რათა, თუ ხელახალი ბრძოლა დასჭირდებოდა, გამარჯვებული ტომი უგულისყურო არ დარჩენილიყო.

მშვიდობიანობის დროს არაბი ბედუინი არხეინად იჯდა თავის კარავში თუ წყლის ნაპირას, მეგობართა და მოყვასთა შორის, სვამდა ფინიკის ღვინოსა და აქლემის რძეს და ჭამდა სადილს, რომელიც აქლემის ქონისა და ფინიკისაგან, ან დაბეგვილი ხორცისა და ფქვილისაგან მზადდებოდა. ზოგი მათგანი ახლომახლო ქალაქებში ჩადიოდა, ერთობოდა, ყომარს აგორებდა, ღვინოს სვამდა და ყურს უგდებდა მგოსანთა ლექსებს, რომლებიც მემთვრალეობას, ძარცვა-რბევასა თუ სასიყვარულო ვნებებს უმღეროდნენ.

ასეთი ცხოვრების წესი არაბს ღმერთზე, ადამიანის ბედისწერასა თუ იმქვეყნიურ სამყოფელზე ფიქრის დროსა და საშუალებას აღარ უტოვებდა და ამგვარ საფიქრალს მისი გონებრივი ჰორიზონტი ვერც გადასწვდებოდა.

სამხრეთის საქარავნო გზათა ბოლოს, რომლებიც ტაიფზე გადიოდა, იემენის მიწა-წყალი მდებარეობდა — ე.წ. „ბედნიერი არაბეთი“, სუნამოთა და ნელსაცხებელთა ცენტრი. სწორედ ამ მიწა-წყალთან აკავშირებდნენ საბას ტომის დედოფლის ბალკისისა და ებრაელთა ხელმწიფის სოლომონის ამბავს. გარდა ამისა, სამხრეთში მცხოვრებ ამ არაბებს უკავშირდებოდა კიდევ მრა-

ვალი თქმულება და გადმოცემა. ეს ტომები სირიელ და ჰიჯაზელ არაბთა მსგავსად კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ და იმავე ადათ-წესებს იცავდნენ, რასაც კურაიშელი ან მექის მკვიდრი სხვა არაბული ტომები.

კურაიშელი ვაჭრები, შამსა და იემენს შორის თავისებური სავაჭრო სივრცე რომ აქტიურად აეთვისებინათ, ამ მოგზაურობისას აჰლ ალ-ქითაბის ანუ ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრების წეს-ჩვეულებებს ეცნობოდნენ და ალბათ მათ გადმოცემებსაც ისმენდნენ ღვთის, აღდგომის დღისა და მომავალი ანგარიშსწორების შესახებ, მაგრამ მათ გულს, გამორჩენისა და ქვეყნიური ტკბობის წადილით რომ აღვსილიყო, ეს ამბები ვერ აათრთოლებდა.

მოგზაურობის გარდა, არაბთა ურთიერთგაცნობის კიდევ ერთი საშუალება ჰაჯის რიტუალი და ამ დროს გამართული ბაზრობებიც იყო. ამ ბაზრობებზე, სადაც არაბებს თავიანთი საქონელი სააღებმიცემოდ გამოჰქონდათ, მუშტარი არც ლექსსა და ქადაგებას აკლდა. ხოლო პოეზიისა და ქადაგების მეშვეობით აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლაც ხდებოდა.

არაბთა ყოფა-ცხოვრების დეტალები განსაკუთრებით მკაფიოდ სწორედ ამ ე. წ. „ჯაჰილიის ხანის“ პოეტურმა ნიმუშებმა შემოგვინახა. სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, „ჯაჰილიის ხანის“ პოეტურ მემკვიდრეობაში თუმცა გვხვდება შემდგომი დროის მთხზველთა გემოვნებითა და წარმოსახვით ჩამატებული ნიუანსები, მაგრამ მთლიანობაში, უეჭველია, იგი მაინც იმ სინამდვილეს ასახავს, რაც ამ პერიოდის არაბთათვის იყო ნიშნეული.

„მუალაკების“ სახელით ცნობილი კასიდები ამ თვალსაზრისის თვალსაჩინო დადასტურებაა. ამ პოეზიაში, რომელიც ძირითადად ტრფობის, ღვინის, ნადირობისა და ბრძოლის ქებადიდებაა, რელიგიური გრძნობის ფაქტობრივი არარსებობა გვეცემა თვალში. თვით სიკვდილის აჩრდილიც კი, რომელიც ჯაჰილიის ხანის არაბს მუდამ თან დასდევს შემზარავ უდაბნოში, მის სულს რელიგიური მორჩილებისა და სიმშვიდისკენ კი არ

უბიძგებს, პირიქით, ამქვეყნიური ცხოვრების ცოდვისა და ღიზღიზისაკენ ეწევა. სწორედ ამიტომ გაუჭირდა იმდროინდელ არაბს მუჰამადის ქადაგების მიღება, დაჯერება და გათავისება.

ერთღმერთიანობის იდეა, პრაქტიკულად, უცხო იყო წარმართული არაბეთისათვის. თუ არ ჩავთვლით ე. წ. „ჰანიფებს", რომელთაც XIX საუკუნის ევროპელი ორიენტალისტები არაბული საზოგადოების იმ გამონაკლისად მიიჩნევენ, რაც წესს ადასტურებს. გარდა ამისა, ჰანიფიზმი ამ მეცნიერთა ნაშრომებში შეფასებულია, როგორც წინა მონოთეისტური რელიგიების, ძირითადად, იუდეველობისა და ქრისტიანობის, ზეგავლენით წარმოშობილი გარკვეული მსოფლმხედველობა, რომელიც ღვთის, სამყაროს შემოქმედის ერთადერთობის იდეაზე იყო დაფუძნებული. ყველას, ვინც კი ამ თვალსაზრისს იზიარებდა, ჰანიფებს ეძახდნენ, თუმცა ისინი არც რომელიმე განსაზღვრული სექტის წევრები ყოფილან და ერთმანეთთან არც განსაკუთრებული ურთიერთობები არ აკავშირებდათ, როგორც, სხვათა შორის, აბრაამის მიმდევარ საბეელებთან, რომელნიც ასევე ჰანიფების სახელს ატარებდნენ.

ისლამმცოდნეობის გარიჟრაჟზე ევროპულ მეცნიერებაში არსებობდა თვალსაზრისი, რომ არაბული ჰნფ ძირიდან მომდინარე სიტყვა „ჰანიფ" „განდგომილს", „სჯულგანდგომილს", „ბილწს", „უზნეოს" ნიშნავდა. თუმცა ართურ შპრენგერის მიერ გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ მეცნიერებაში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და შემდგომში უფრო ველჰაუზენის თვალსაზრისი გაიზიარეს, რომლის მიხედვითაც, „ჰანიფი" ასკეტს, მეუდაბნოეს ნიშნავს.

ასეა თუ ისე, ზემოხსენებულ ორივე სახეობის ჰანიფთა საერთო მახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ უარყოფდნენ იუდაიზმსაც და ქრისტიანობასაც და სწამდათ „სჯული აბრაამისა", ვინც თავისი შვილის ისმაილის ხაზით არაბთა მამამთავარი იყო და ვინც, არაბული გადმოცემის თანახმად, ალ-ქაყბას წმინდათაწმინდა ტაძარი ააგო.

ჰანიფთა მოძღვრება მარტივი, იოლად გასაგები და ამ პრაქ-

ტიკული ხალხისათვის შესაფერისი სწავლება იყო. თავისი არსით ჰანიფიზმს შეეძლო მთელი არაბეთის საერთოეროვნულ რელიგიად ქცეულიყო, მაგრამ საამისოდ მას ჩამოყალიბებული დოგმატიკა, იერარქია, მტკიცე ორგანიზაცია, გარკვეული რელიგიური რიტუალები და უპირველესად, ღვთიური გამოცხადება სჭირდებოდა, ანდა ის, რასაც ღვთიურ ემანაციად მიიჩნევდნენ.

ისლამის აღიარებულ მკვლევართა თვალსაზრისით, მუჰამადის დიდი მისიაც სწორედ ის იყო, რომ ჰანიფიზმი ყველა აღნიშნული ნიშან-თვისებით აღეჭურვა. თუმცაღა ეს უკვე თავისთავად ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან არაბები არათუ არ გრძნობდნენ რელიგიის საჭიროებას, ღვთისმსახურების ყველა რიტუალთან და მეტაფიზიკური აზროვნების ყველანაირ გამოვლინებასთან არსებით გაუცხოებასაც განიცდიდნენ. ამ ამოცანის განხორციელებას კი მტკიცე თავდაჯერება და ურყევი რწმენა სჭირდებოდა.

ეს თვისებები უხვად ჰქონდა მიმადლებული ისლამის ფუძემდებელს, რომლის ღვთიურმა გამოცხადებამაც ძირფესვიანად შეცვალა არა მხოლოდ არაბთა ტრადიციული ყოფა, არამედ მთელი მსოფლიოს რელიგიურ-პოლიტიკური ბედისწერა.

## მუჰამადის ბავშვობა და ყრმობა, ჰაშიმიანთა გვარი, მამა — აბდ ალ-ლაჰი, დედა — ამინა ბინთ ალ-ვაჰაბი, მეურვეები: პაპა — აბდ ალ-მუტალიბი, ბიძა — აბუ ტალიბი

გასაკვირია, რომ მუსლიმურმა ანალებმა ამ კაცის ბავშვობაზე უხვი ცნობები ვერ შემოგვინახა. თვით მისი დაბადების თარიღიც კი, როგორც აღინიშნა, პირობითია და ზემოთ ჰიჯრის კალენდრით დამოწმებული ციფრი რომ ევროპულ კალენდარზე გადმოვიტანოთ, 570 წლის 20 აპრილი გამოვა. მკვლევართა შენიშვნით, სავარაუდოდ, თვითონ მუჰამადმაც არ იცოდა, ზუსტად რომელ წელსა და რიცხვში დაიბადა.

პაპამისი აბდ ალ-მუტალიბი კურაიშელთა ტომის ერთ-ერთი დიდი გვარის ჰაშიმიანთა მეთაური და ხელმძღვანელი იყო.

არაბულ წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, კურაიშელები მექაში უხსოვარი დროიდან ბინადრობდნენ და ყოველთვის ანგარიშგასაწევ ტომად ითვლებოდნენ, VII საუკუნის დასაწყისიდან კი ქალაქის მართვა-გამგებლობის სადავეები სწორედ მათ აუღიათ და ამ დროიდან მოკიდებული ქააბას ტაძრის მსახურებაც აღნიშნული ტომის ხელში გადასულა.

არაბული წყაროების მიხედვით, კურაიშელთაგან მექის მართვა-გამგებლობის პატივი პირველად კუსა იბნ ქილაბს რგებია. ეს კაცი იყო მამის მხრიდან მუჰამადის მე-5 წინაპარი.

„კუსა“ არაბულად „მოშორებულს“, „შორს მოცილებულს“ ნიშნავს და ასე თურმე იმიტომ ეძახდნენ, რომ მამის სიკვდილის შემდეგ, მამინაცვალთან, კაზაყის ტომელ რაბიყა იბნ ჰაბაბთან ერთად, შამის ანუ ჩრდილოეთის ქვეყნებში გადასახლებულა. ეს ამ კაცის ლაკაბი ანუ ზედწოდება იყო, სახელად კი ზეიდი რქმევია.

კუსა დედას გაუზრდია. სიჭაბუკეში კი მექაში დაბრუნებულა და მექის იმჟამინდელი მმართველის ხუზაყის ტომელი ჯალილ იბნ ჰაბაშის ქალიშვილი შეურთავს, ხოლო სიმამრის გარდაცვალების შემდეგ ქალაქის მართვა-გამგებლობა და ქააბას მსახურება მის ხელში გადასულა.

პირველი, რაც ამის შემდგომ კუსა იბნ ქალაბს გაუკეთებია, „დარ ან-ნადვას“ დაარსება ყოფილა. მასვე შეუმუშავებია ქალაქის მართვა-გამგებლობისათვის უმნიშვნელოვანესი კანონთა კოდექსი მექაში სავაჭრო თუ საპილიგრიმოდ ჩასული ადამიანებისათვის, რომელიც თითქმის ისლამის გამოჩენამდე მოქმედებდა.

მუსლიმი ჟამთააღმწერლების სიტყვით, კუსა იბნ ქალაბი იყო პირველი კაცი, რომელმაც მექაში ურბანიზმის განვითარებას მიჰყო ხელი და ძველი პალმის ქოხმახები და ალიზის სახლები მიწასთან გაასწორა; მათ ნაცვლად კი ახალი შენობა-ნაგებობანი წამოჭიმა.

კუსას შემდეგ მისი თანამდებობა მისმა ვაჟმა მიიღო, რო-

მელსაც სახელად აბდ ად-დარი ერქვა. კუსას მის გარდა, კიდევ ჰყოლია ვაჟები და მათ შორის მემკვიდრეობის გადანაწილების თაობაზე შუღლი ატეხილა. თუმცა ძმებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ქააბას ტაძრის გასაღები და „დარ ანნადვას“ თავკაცობა აბდ ად-დარის შვილებს, ხოლო მექის პილიგრიმთა დარწყულება და გამასპინძლება აბდ ალ-მანაფის ძეებს დარჩენიათ. მათ თავიანთი შეთანხმება ქააბაში დადებული ფიცით განუმტკიცებიათ და ამის შემდეგ ერთმანეთთან აღარასოდეს უბრძოლიათ.

მოგვიანებით პილიგრიმთა წყლითა და საკვებით მომარაგების პატივი აბდ ალ-მანაფის ერთ-ერთი ვაჟის — ჰაშიმის ძეთა ხელში გადასულა. ამ სახლეულის დამაარსებლის სრული სახელია ამრ ჰაშიმი. ჰაშიმიანთა დინასტია ერთ-ერთი უმძლავრესი იყო, როგორც გონებრივი, ასევე ინტელექტუალური საკუთრების თვალსაზრისით. სწორედ ჰაშიმიანთა ინიციატივას წარმოადგენდა სავაჭრო სეზონური მოგზაურობების წამოწყება შამში, აბისინიასა და იემენში, რამაც მექაში მცხოვრებ ყველა გვარს დიდი ქონებრივი შეძლება და სახსარი მოუხვეჭა. ჰაშიმიდებმა დადეს რომაელებთან მექის საქარავნო გზაზე მოძრავი ქარავნების ხელშეუხებლობის შეთანხმება, ჰაშიმის ძმამ, აბდ აშ-შამსმა კი ასეთივე ხელშეკრულება აბისინიის ხელმწიფესთან გააფორმა და ეს ფაქტი მექის რეგულარულ სავაჭრო კავშირ-ურთიერთობათა დასაწყისად ითვლება.

თვითონ ჰაშიმმა სწორედ მოგზაურობისას, კერძოდ კი იასრიბში მგზავრობისას იქორწინა ბანი ნაჯარის ტომის ქალზე და შვილი, სახელად შიჰაბი შეეძინა. ცოტა ხანში პალესტინაში სავაჭრო საქმეებზე წასული ჰიშამი გარდაიცვალა, რის შემდეგაც მის მემკვიდრედ მისი ძმა — მუტალიბი გამოცხადდა. მალე მექის მართვის სადავეები მთლიანად ამ კაცის ხელში გადავიდა. ამის შემდეგ მუტალიბი იასრიბში წავიდა და იქიდან ობოლი ძმისშვილი ჩამოიყვანა, რომელიც ხალხს ალაფისას მოხვეჭილ თავის მონად გააცნო. ამიტომაც მექელებმა შიჰაბს აბდ ალ-მუტალიბი ანუ „მუტალიბის მონა“ დაარქვეს.

ბიძის სიკვდილის შემდგომ ჰაშიმიანთა მემკვიდრეობითი თანამდებობა აბდ ალ-მუტალიბის ხელში გადავიდა. სწორედ ამ პერიოდში თავს იჩენს უთანხმოება მასა და მის მეორე ბიძას — ნავფალს შორის მექის მიწათა გადანაწილების თაობაზე და ეს უთანხმოება აბდ ალ-მუტალიბის სასარგებლოდ სრულდება.

ამის შემდგომ აბდ ალ-მუტალიბმა მოაწესრიგა ქალაქი მექა, შეაკეთა და მოაპირკეთა ზამზამის წყარო, რომელიც შორეულ წარსულში ჯურჰამის ტომელებს დაენგრიათ და ქვა-ღორღით ამოევსოთ. აბდ ალ-მუტალიბმა კი იპოვა ეს გაერანებული ჭა და ფაქტობრივად ხელახლა ამოთხარა.

ზამზამის ჭის ამოთხრისას ორ ოქროს ქურციკსა და ჯურჰამის ტომელთა მიერ დამარხულ ხმლების რამდენიმე შეკვრასაც მიაგნო. მან ქურციკებიც ქააბას ტაძარში დადგა და ხმლებიც ტაძარსვე შესწირა. მალე კი ამ ოქროს ქურციკებისაგან ტაძრის კარიბჭე ჩამოასხმევინა და ეს პირველი კარი იყო, რაც ქააბას შეაბეს.

ნაპოვნმა განძმა კურაიშელთა შორის დიდი შუღლი გამოიწვია და აბდ ალ-მუტალიბმა, რომელსაც ათი ვაჟი ჰყავდა, ღმერთს აღუთქვა, რომ თუ კურაიშელებზე გამარჯვება დარჩებოდა, ერთ-ერთ თავის ვაჟს მსხვერპლად შესწირავდა. გამარჯვება მართლაც მას დარჩა. აბდ ალ-მუტალიბმა თავისი ვაჟები ალ-ქაყბას ტაძარში შეკრიბა და მათ სახელზე წილი ჰყარა. წილმა უფროს ვაჟს, აბდ ალ-ლაჰს უწია და მამამ განიზრახა, იგი ღვთაებისათვის მსხვერპლად მიეტანა.

მაშინ კურაიშელებმა სთხოვეს აბდ ალ-მუტალიბს, აბდ ალ-ლაჰის მაგიერ სისხლის გამოსასყიდი გაეღო და სისხლის საფასური 100 აქლემით განესაზღვრა. ასე გადარჩა მაშინ უფროსი ვაჟი, რომელმაც მალე კურაიშელთა ერთ-ერთი განშტოების ბანი ზაჰრას ტომის მეთაურის, ვაჰაბის ქალზე — ამინაზე იქორწინა, მაგრამ პირმშოს დაბადებას მაინც ვერ მოესწრო, რადგან მუჰამადის დაბადებამდე (ერთი ვერსიით კი, როცა ახალშობილი ორი თვისა გახდა) სირიის სავაჭრო მოგზაურობიდან მობრუნებული, მექის გზაზე, ქალაქ იასრიბთან, 25 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ახალშობილისათვის „მუჰამადი“ დედას დაურქმევია. აბდ ალ-მუტალიბს კი მაშინვე ხელში აუტატებია იგი და ალ-ქაყბას ტაძარში მიუყვანია. ნათესაობა წინააღმდეგი ყოფილა ბავშვისათვის ეს სახელი დაერქმიათ, მაგრამ აბდ ალ-მუტალიბს დაურწმუნებია ისინი, ჩვილის დედას ეს ზეციურმა მაცნემ ჩააგონაო.

ზოგი მუსლიმი ისტორიკოსის ცნობით, სახელი ბავშვისათვის თვით აბდ ალ-მუტალიბს დაურქმევია, ხალხისა და ნათესაობის პროტესტის საპასუხოდ კი უთქვამს: მსურდა, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ქებული ყოფილიყოო (არაბულად „მუჰამმად“ ქებულს, დიდებულს ნიშნავს)!

ჩვილს დედის ძუძუ სულ სამი დღე უწოვია, მერე კი ერთი აბისინიელი მხევალი, სახელად სუვაიბა, კვებავდა.

ოთხი თვის მუჰამადი, იმდროინდელი ჩვეულების მიხედვით, უდაბნოში გაუძიძავებიათ ბანი საყდის ტომელ ქალზე, რომელსაც, მუსლიმური წყაროების თანახმად, ჰალიმა რქმევია.

სწორედ ამ ქალთან აკავშირებს მუსლიმური გადმოცემა მონათხრობს, სადაც მუჰამადის ბავშვობისას მომხდარ კიდევ ერთ სასწაულზეა საუბარი. ისლამის ევროპელი მკვლევარები ამ ლეგენდასაც მოგვიანებით შეთხზულად მიიჩნევენ, მაგრამ რაკიღა ეს გადმოცემა გარკვეულწილად აგვიხსნის ყურანის XCIV სურის 1 აიაში მუჰამადის „გულის გადახსნასთან“ (ინშირაჰ) დაკავშირებულ პასაჟებს, ჩვენ მას აქ მაინც დავიმოწმებთ.

ძიძის ჰალიმა ბინთ საყდის პირით მონათხრობი ეს ამბავი დამოწმებულია ალ-ბუხარის „ას-საჰიჰშიც“.

ჰალიმა გვიამბობს: „მოხდა ისე, რომ შინიდან ქმართან და ჩემს ახალშობილთან ერთად გამოვედით და სხვა ქალებთან ერთად მექაში ძუძუთა ბალღების მოსაძიებლად გავემართეთ. ის წელიწადი გვალვიანი იყო და ჩვენ სავსებით უსახსროდ ვიყავით დარჩენილნი. მიგვყავდა ერთი ნაცარა ვირი და ერთიც დედალი აქლემი, რომელიც წვეთ რძესაც კი არ იწველებოდა. ძილითაც მთელი ღამე თვალს ვერ მოვხუჭავდით, რადგან მშიერი ბავშვი მთელი ღამე ღნაოდა, მე კი რძე სწორედ იმდენი მქონდა, რამდენიც ჩვენს აქლემს. მომავლის იმედს მაინც არ ვკარგავდით და

გზას ვაგრძელებდით. მექაში ჩამოვედით და ახალშობილთა ძებნას შევუდექით.

ის ბავშვი, რომელიც მომავალში წინასწარმეტყველი დადგა, ნათესავებმა ყველა მეძუძურ ქალს შესთავაზეს, მაგრამ მისი აყვანა არც ერთმა არ ისურვა. ქალები ამბობდნენ: ეს ბავშვი ობოლია და მის საფასურს ვინ გადაგვიხდისო. საქმე ისაა, რომ კარგ გასამრჯელოს ძუძუთა ბალღების მამები იხდიდნენ, ობოლი ჩვილების დედათაგან კი ასეთი ჯამაგირის იმედი არ უნდა გქონოდა.

ჩემთან ერთად წამოსულმა ყველა ქალმა მოძებნა ბავშვი, მე კი ვერაფერი გავაწყევ. ქმარს ვუთხარი: არ მსურს, შინ ხელცარიელი დავბრუნდე. წავალ იმ ობოლ ჩვილს მაინც წამოვიყვან-მეთქი.

ქმარმა მომიგო: შენი ნებაა. ხოლო ეგებ ალაჰმა წყალობა მოგვაგოს, თუკი ადგები და იმ ბალღს თან წამოიყვან.

და აჰა, მეც ავიყვანე ბავშვი, თუმცა ამას არ ვიზამდი, სხვა ახალშობილი რომ მომეძებნა. ჩვენს ქარავნთან მოვბრუნდი და ბავშვს ძუძუ მივეცი. ჩვილი დანაყრდა, მე კი ავდექი და ძუძუ ჩემს შვილსაც მოვაწოვე. ისიც გაძღა. ორივემ დაიძინა და ჩვენც ამდენი ხნის მერე ღამე უშფოთველად გავატარეთ. ჩემი ქმარი კი აქლემის დასახედად რომ წავიდა, აღმოჩნდა, რომ ჯიქანი იმასაც გავსებოდა. კაცმა აქლემი მოწველა და რძე ყველას გვეყო შიმშილის მოსაკლავად. დილით ქმარმა მითხრა: ეტყობა, კურთხეული ბავშვი შეგვხვდა, მადლობა ალაჰსო!

უკანა გზობისას ჩვენი აქლემი ისე სწრაფად მიდიოდა, რომ თანმხლები ქალები ვეღარ გვეწეოდნენ და ფიქრობდნენ, ალბათ, სხვა აქლემი ჰყავთ და არა ის, რომლითაც მექაში ჩამოვიდნენო.

ბანი საყდის მიწებზე უფრო ურწყულ და უწყალო მხარეს ვერსად მოიძიებთ. მაგრამ რაც მექადან ჩამოვბრუნდით, ჩვენი ჯოგი უამრავ რძეს იწველებოდა, მეზობლებს კი რძე ძალიან უჭირდათ. ამიტომაც თავიანთ მწყემსებს არიგებდნენ, საქონელი იქ აძოვეთ, სადაც ჰალიმას ჯოგი ბალახობსო. ისინიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ კი ასე საკმაო ქონება და დოვლათი დავაგროვეთ.

ორმა წელმა გაიარა და ბავშვი, მისი ძუძუმტის მსგავსად, ძუძუს მოვაცილე. ის უკვე კარგად მოიჩიტა და ამიტომაც დედას ჩავუყვანეთ, თუმცა იმდენი დოვლათი და ბარაქა მოგვცა, რომ მისი ხელიდან გაშვება არ გვინდოდა და დედამისს ვუთხარი: იქნებ, ცოტა ხანს კიდევ დამეტოვებინა ბავშვი, ვიდრე საბოლოოდ მომაგრდებოდეს. მექაში ცუდი ჰავაა და მეშინია, ამ ჰაერმა არაფერი ავნოს-მეთქი. დედამისმაც ბავშვი ისევ გამოგვატანა.

ერთი თვის შემდეგ მუჰამადი და მისი ძუძუმტე ნახირის ახლოს ისხდნენ, ნახირი კი ჩვენი კარვების გვერდით ბალახობდა. უცებ მისი ძუძუმტე მოვარდა და გვითხრა, თეთრებში გამოწყობილმა ორმა კაცმა ჩვენი კურაიშელი წამოაქცია და ტანი გადაუფატრაო.

მეც და ჩემი ქმარიც იმწამსვე გავიქეცით და დავინახეთ, რომ მუჰამადი ფეხზე დგას, ოღონდ ერთიანად გადაფითრებულა. ვკითხეთ, რა მოხდაო და გვიამბო, რომ ორმა კაცმა სხეული გაუფატრა და იქ რაღაცას დაეძებდნენ, მაგრამ რას, თვითონ ვერ გაიგო.

კარავში მივბრუნდით და ქმარი მეუბნება: მეშინია, ამ ბავშვს ზნემ ხომ არ წამოუარაო.

მალე მუჰამადი დედას დავუბრუნეთ. ვუთხარი: შენი შვილი უკვე მომაგრდა და ყველაფერი გავუკეთე, რაც შევძელი. ახლა კი ვშიშობ, რამე არ დაემართოს და ამიტომაც უკანვე გაბარებთო.

დედამ მიპასუხა: ეგ ნამდვილი მიზეზი არ უნდა იყოს. პირდაპირ მითხარი, რამ შეგაშფოთაო.

ასე მაიძულა ყველაფერი მეამბნა და მერე წამოიძახა: ესე იგი, შეგეშინდა, ბავშვი ავმა სულმა ხომ არ შეიპყროო?!

ჰო-მეთქი, თავი დავუქნიე. მაშინ მითხრა:

— ალაჰსა ვფიცავ, ასეთი არაფერი მოხდებოდა. ეშმაკს მუჰამადზე ძალა არა აქვს. ჩემს შვილს დიდებული ბედი უწერია. განა არ მითქვამს, როცა მასზე ორსულად ვიყავი, ჩემგან ისეთი ნათელი გამოდიოდა, რომ ამ სინათლეზე ბასრის სასახლეთა დანახვა შემეძლო, ხოლო, როგორც კი ვშობე, ჩვილმა თავისი პატარა ხელი მიწას დააბჯინა, ხოლო თავი ცისაკენ მიაქცია.

კარგი, ბავშვი დამიტოვე და შენს გზას ეწიეო."

თითქმის ყველა მუსლიმური გადმოცემა თანხმდება იმაზე,

რომ მუჰამადი ოთხ, ზოგი ცნობის თანახმად კი, ხუთ წლამდე ძიძასთან იზრდებოდა და დედასთან — ამინა ბინთ ალ-ვაჰაბთან სწორედ ამ ასაკში დაუბრუნებიათ, მაგრამ ექვსი წლისას დედაც გარდაცვლია.

გარდაცვალებამდე ქალი თურმე იასრიბში ნათესავების მოსანახულებლად წასულა და თან პატარა მუჰამადიც წაუყვანია. უკანა გზაზე, თავი შეუძლოდ იგრძნო და მექასა და იასრიბს შორის ერთ პატარა სოფელ აბვასთან გარდაიცვალა. მიცვალებული იქვე დაუკრძალავთ. მუჰამადი კი მედინაში ეთიოპიელ მხევალს დაუბრუნებია, რომელიც დაობლებულ ბიჭუნას მზრუნველობას და ყურადღებას ამის შემდეგაც არ აკლებდა. ოფიციალური მეურვეობა კი თავის თავზე პაპას აუღია. ცოტა ხანში აბდ ალ-მუტალიბიც გარდაცვლილა და ამიტომაც შვიდი წლის ობლის მეურვეობა ბიძას — აბუ ტალიბს დაკისრებია.

აბუ ტალიბს მექელები დიდ პატივს სცემდნენ და, როგორც კურაიშელთა ტომის მეთაურს, ჭკუის საკითხავ კაცად მიიჩნევდნენ, მაგრამ ნივთიერად ძალზე შეჭირვებული ყოფილა და მისი ძმები, განსაკუთრებით კი აბდ ალ-უზა, იგივე აბუ ლაჰაბი, მასზე გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ. ამის მიუხედავად ობოლი მუჰამადი მაინც აბუ ტალიბის სახლში იზრდებოდა და ბიძას, როგორც შეეძლო, მისთვის მზრუნველობა არასდროს მოუკლია.

## პირველი მოგზაურობა შამში და ქრისტიანი ბერის წინასწარმეტყველება

მუსლიმური მატიანეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოციქულის ბავშვობაში მომხდარ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც განსხვავებული დეტალებითა და ინტერპრეტაციით, მაგრამ თითქმის უცვლელი შინაარსით გვთავაზობს მუჰამადის ბიოგრაფთა და ჰადისების მცოდნეთა უმრავლესობა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი ისლამმცოდნეები ამ მოვლენასაც მოგვიანო ხანის მუსლიმ ავტორთა შეთხზულ ამბად

მიიჩნევენ, რომლის მიზანსაც ისლამის მოციქულის ღვთაებრივი მისიის დადასტურება და წინა აბრაამისტული რელიგიების მიმდევართა მხრიდან მისი აღიარება წარმოადგენს, მაინც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამბავი, რომელიც, ვთქვათ, იმავე იბნ ჰიშამთან ასეა მოთხრობილი:

წინასწარმეტყველი დაახლოებით 12 წლისა იქნებოდა, როცა ბიძამისმა, აბუ ტალიბმა გადაწყვიტა სირიაში სავაჭრო მიზნებით მოგზაურობისას ყმაწვილი თან ეახლებინა.

როგორც უკვე აღინიშნა, მექაში მცხოვრები არაბები ასეთ სავაჭრო მოგზაურობებს წელიწადში ორჯერ მართავდნენ. ზამთარში იემენში მიდიოდნენ, ხოლო ზაფხულში — შამში (ჩრდილოეთში) ანუ მაშინდელ სირიაში. შესაბამისად, ამ მოგზაურობებს „რიჰლა აშ-შითას“ და „რიჰლა ას-საიფს“ (ზამთრისა და ზაფხულის მოგზაურობებს) უწოდებდნენ.

ზაფხულის მოგზაურობის საბოლოო პუნქტს ბუსრა წარმოადგენდა, რომელიც მაშინდელი სირიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და ეკონომიკურ ცენტრად ითვლებოდა.

ამ ქალაქის სიახლოვეს მდებარეობდა ქრისტიანული მონასტერი, სადაც ერთი ბერი, სახელად ბაჰირა მსახურობდა. იქაურ ქრისტიანებს სჯეროდათ, რომ ბაჰირამ ზეპირად იცოდა მათი სჯულის ყველა წიგნი და გადმოცემა.

ზოგიერთი მუსლიმი ავტორის ცნობით, ბუსრასთან ექვს კილომეტრში მდებარე მონასტერი სხვა მონასტერთაგან გამორჩეული იყო. იგი იმ ქრისტიან მამათა სავანეს წარმოადგენდა, რომლებიც თავიანთი სჯულის ხალხისაგან დიდი ცოდნითა და საეკლესიო გადმოცემათა ღრმა მეცნიერებით განსხვავდებოდნენ, ხოლო ბერი ბაჰირა ყველას აღემატებოდა სიღრმითა და სრულყოფილებით.

მუსლიმი მემატიანეების ცნობით, აბუ ტალიბი იმაზე, მუჰამადი წაეყვანა თუ არა მოგზაურობაში, დიდხანს ჭოჭმანობდა. ასეთი მოგზაურობებს თან უამრავი ხიფათი და განსაცდელი ახლდა და თორმეტი წლის მოზარდისათვის ამხელა დატვირთვის ატანა იოლი საქმე არ უნდა ყოფილიყო.

აბუ ტალიბი, ჰიჯაზის უდაბნოში ზაფხულის გაუსაძლის პაპანაქებასა და მოგზაურობის სხვა სიძნელეთ რომ წარმოიდგენდა, უჯობდა, თორმეტი წლის მუჰამადი მექაში დაეტოვებინა, თუმცა ბიჭი იმდენად უყვარდა, რომ მისი გვერდიდან მოშორებაც ეძნელებოდა; ამიტომაც ქარავნის გასვლამდე თითქმის ასე ორჭოფობდა და ვერაფერი გადაეწყვიტა.

როცა კურაიშელთა ქარავანი, ის-ის იყო, უნდა დაძრულიყო და აბუ ტალიბი პატარა ძმისშვილს ემშვიდობებოდა, დანაღვლიანებულ მუჰამადს უთქვამს: „ძია, მე — ობოლსა და უმფარველოს — ვის მაბარებო?“ აბუ ტალიბს შეცოდებია ბიჭი და გადაუწყვეტია, თან წაეყვანა.

კურაიშელთა ქარავანი გზას დაადგა. ცოტა ხანში მექარავნეებმა გაოცებით აღმოაჩინეს, რომ ეს მოგზაურობა წინა მოგზაურობებს არა ჰგავდა და ყველაფერი ახლა უფრო მოხერხებულად გამოუვიდათ. თითქოს მზეც კი არ აჭერდა ისე მცხუნვარედ და უფრო მშვიდად და მოსვენებით მიდიოდნენ. გაოცებული მექარავნენი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ეს რა კურთხეული მოგზაურობა გამოგვივიდაო, თუმცა ალბათ მაშინ ცოტა ვინმე თუ მიხვდებოდა, რომ ეს კურთხევა თორმეტი წლის თანამგზავრის გამო ეწიათ.

რამდენიმე დღეში ისიც შენიშნეს, რომ დღისით ქარავანს თავზე ღრუბელი ეფარებოდა და მზეს უჩრდილავდა. ამასობაში თანდათან მონასტერსაც მიუახლოვდნენ.

თვითონ ბაჰირა მონასტრის წინ იდგა და ქარავანსა და მის თავზე მოძრავ საჩრდილობელ ღრუბელს თვალყურს ადევნებდა.

მუსლიმი ისტორიკოსები შენიშნავენ: გამორიცხული არ არის, თავისი შინაგანი სიწმინდისა და იმ ცოდნის გამო, რაც ქრისტიანთა სჯულის წიგნებში ამოეკითხა, ბაჰირამ უკვე იცოდა, ვინ მოდიოდა იმ ქარავანში და მუჰამადის მოსვლას უზომო ცნობისწადილით ელოდაო.

იბნ ჰიშამი და მუჰამადის სხვა ბიოგრაფები იმასაც აღნიშნავენ, რომ კურაიშელთა ქარავანი მონასტერს ყოველ წელს გვერდით ჩაუვლიდა, ხანდახან იქვე ბანაკდებოდნენ, მაგრამ იმ

მოგზაურობამდე ბაჰირა მათ არასოდეს გამოლაპარაკებია, მაშინ კი ქარავნის წინამძღოლთან მისულა და უთქვამს: თქვენს დასახვედრად სადილი მოვამზადე და მინდა დღეს უკლებლივ ყველა — დიდიცა და პატარაც — მეწვიოთო.

ერთ-ერთ მექარავნეს გაოცებულს უთქვამს: ბაჰირა, შენს თავს რაღაც ამბავი უნდა იყოს. ამდენი ხანია, ყოველ ზაფხულს ამ მონასტერთან მივდი-მოვდივართ და აქამდე ჩვენი გამასპინძლება არასდროს გიფიქრია. ახლა კი რა მოხდა, რომ ყველას გულუხვად გვეპატიჟებიო?!

მაგრამ ბაჰირას თავისი საიდუმლოს გამჟღავნება ასე უცებ არც უფიქრია. ვითომ სხვათა შორის უთქვამს: ყოველ წელს რომ გხედავთ ხოლმე, თქვენი მოწვევა ამიტომაც გადავწყვიტე. ხშირად საიმისო სახსარი არა მაქვს, მთელ ქარავანს გაგიმასპინძლდეთ, მაგრამ ახლა მინდა მეწვიოთო.

კურაიშელები მონასტრისაკენ წასულან, მაგრამ მუჰამადი ქარავნის ბანაკში დარჩენილა: ან იმის გამო, რომ უწლოვანი ყრმა იყო, ანდა იმიტომ, რომ თვითონ მოციქულმა მოინდომა მარტო დარჩენა და ბიძამისს სთხოვა, საპალნის მეთვალყურედ დაეტოვებინათ.

ბაჰირას კი თითოეული სტუმარი ყურადღებით შეუთვალიერებია და მერე უკითხავს: თან მეტი არავინ გახლავთო?

— ერთი უწლოვანი ბიჭის გარდა, რომელიც ქარავნის სამეთვალყურეოდ დავტოვეთ, სხვა არავინო, — უპასუხიათ კურაიშელებს.

— ახლავე წადით, ის ბიჭიც მოიყვანეთ და ასეთი რამ სხვა დროს აღარ გააკეთოთო! — საყვედური უთქვამს ქრისტიან ბერს. ერთ-ერთი კურაიშელიც ბანაკში მიბრუნებულა და მუჰამადი მონასტერში მიუყვანია.

ბაჰირამ ბიჭი თავიდანვე დაკვირვებით შეათვალიერა. ჯერ სახეში ჩააცქერდა, მერე მზერით მთელი ტანი მოუსინჯა, თითქოს სურდა აღწერილობა, რომელიც ძველ წიგნებში წაეკითხა, გულდასმით ამოეცნო.

კურაიშელები სადილს შეექცნენ, ბერი კი ისევ ყმაწვილს შე-

ჰყურებდა და თვალს არ აცილებდა. ბოლოს, პურობა რომ მორჩა და სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ, ბერი ბიჭთან მისულა და უთქვამს: — ყმაწვილო, გაფიცებ ალ-ლათსა და ალ-უზას, რაღაც მინდა გკითხო და მართალი მითხარიო!

რა თქმა უნდა, ბაჰირასათვის კურაიშელთა წარმართული ღვთაებანი არას ნიშნავდა, მაგრამ რაკიღა გაეგონა, მექარავნენი ამ ღვთაებებს როგორ იფიცებდნენ, იმიტომაც გადაწყვიტა, მეტი დამაჯერებლობისათვის, მუჰამადთან საუბარი ასე წამოეწყო.

ყმაწვილს კი უთქვამს: ალ-ლათსა და ალ-უზას ნუ დამაფიცებ, რადგან ჩემს თვალში მათზე კნინი არაფერია, ხოლო ისე, რაც გნებავს, მკითხეო!

ბაჰირა მიჰყოლია და ბიჭისათვის მის ცხოვრებასა და სიზმარ-ცხადზეც კი ყველაფერი დაწვრილებით გამოუკითხავს. ბიჭი ყველაფერზე მშვიდად უპასუხებდა, ხოლო ბერი მის სიტყვებს გუნებაში იმას უდარებდა, რაც გარდასული დროის წიგნებში წაეკითხა.

მერე მივიდა და მუჰამადს მხარზე ეამბორა.

კურაიშელები ბაჰირას საქციელს მომეტებულად გაუკვირვებია. აბუ ტალიბს კი თურმე მღელვარებამ დარია ხელი, რა უნდა ამ ბერს ბიჭისაგან, გულში რამე ავი ზრახვა არ ედოსო — და მღელვარება სახეზე დამჩნევია.

ბაჰირას, ეს რომ შეუნიშნავს, უკითხავს:

— ბიჭი შენი რა არისო?

აბუ ტალიბს მიუგია: ჩემი შვილიაო!

ბაჰირას უთქვამს:

— ეგ შენი შვილი არაა, რადგან მამამისი უკვე ცოცხალი არ უნდა იყოსო!

აბუ ტალიბს უთქვამს:

— ჩემი განსვენებული ძმის შვილიაო!

ბერს უკითხავს:

— მამამისს რა დაემართაო?

— მაშინ გარდაიცვალა, როცა ბიჭის დედა ამ ყმაწვილზე იყო ორსულადო!

— დედა სადღააო? — უკითხავს ბაჰირას.

— რამდენიმე წელია, ისიც გარდაიცვალაო! — უთქვამს აბუ ტალიბს.

— მართალი ხარ! — მიუგია ბერს, — ახლა კი კარგად მომისმინე და ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც დაგარიგებ: ბიჭი შინ დააბრუნე და გაუფრთხილდი არავინ შეიტყოს მასზე ის, რაც მე ვიცი. იგი დიდებული ადამიანი გახდება და ვალდებული ვიყავი, ამის შესახებ გამეფრთხილებინეო!

ბაჰირას სიტყვებს აბუ ტალიბზე ისე უმოქმედია, რომ ზოგი მუსლიმი მემატიანის ცნობით, თავის რამდენიმე მსახურთან ერთად, ბიჭი მაშინვე მექაში დაუბრუნებია. ზოგი მემატიანე კი წერს:

მაშინ აბუ ტალიბმა საპასუხოდ ბაჰირას მიუგო:

— თუ მართლაც ისეთი სვებედნიერი უნდა იყოს, როგორც შენა ბრძანებ, მაშინ ღმერთი დაიცავს კიდეცო!

მექაში დაბრუნების შემდეგ აბუ ტალიბს მზრუნველობა და ყურადღება გაუსაკეცებია და ცდილობდა, ბიჭისათვის არაფერი მოეკლო, თუმცა რადგანაც თვითონ მისი ოჯახი ღარიბულად ცხოვრობდა და თავი ძლივძლივობით გაჰქონდა, მომავალი წინასწარმეტყველი იძულებული იყო, ღრმა ბავშვობიდანვე ხელი რაღაც საქმისათვის მოეკიდა. მან მექელთა საქონლის მწყემსვა წამოიწყო. ხელობა, რომელიც არაბთა თვალში დამამცირებელ საქმედ ითვლებოდა და, ძირითადად, მხოლოდ ქალები და ობლები თუ მისდევდნენ.

მუჰამადის ჯამაგირი იმდენად მცირე იყო, რომ ბავშვს საკვებადაც კი არ ჰყოფნიდა და ხშირად იძულებული ხდებოდა, თავი მინდორში შეგროვებული კენკრითა თუ ხილით გაეტანა. ასეთი გაჭირვების მიუხედავად, პატარა მუჰამადი სხვისას ხელს არაფერს მოჰკიდებდა და თუკი რამეს მიაბარებდნენ, პატრონს უკან პატიოსნად დაუბრუნებდა. სწორედ ამიტომაც შეარქვეს „ალ-ამინი“ ანუ „სანდო“.

594 წელს, 24 წლის მუჰამადი ერთი მდიდარი ქვრივის ხადიჯა ბინთ ხუვაილიდის სავაჭრო ქარავანთა უფროსად დაინიშნა.

ხადიჯა, ხუვაილიდის ასული, მამის მხრიდან ალაჰის მოციქულს ბიძაშვილად მოხვდებოდა და ორივე მათგანის გენიალოგიური შტო კუსა იბნ ქილაბისაგან მოდიოდა. რაკიღა ხადიჯა მექის ერთ-ერთი შეძლებული და კეთილშობილი ოჯახის შვილი იყო, როგორც კი წამოიზარდა, ხელის მთხოვნელები არ მოჰკლებია და მუჰამად მოციქულთან ქორწინებამდე ორჯერ გათხოვილიყო. თავიდან ათიკ იბნ აიდ მაჰზუმიზე დაეინიშნათ, მაგრამ ამ ქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ათიკი გარდაცვლილა და ქალი მეორედ ასადის ტომის კაცს — აბუ ჰალა იბნ მუნზირს გაჰყოლია.

ამ მეორე ქმართან შესძენია გოგონა, რომელსაც ჰინდი რქმევია და ამიტომაც ზოგჯერ, არაბული ტრადიციისამებრ, ხადიჯას უმ ჰინდსაც (ჰინდის დედასაც) უწოდებენ.

მეორე ქმარიც რამდენიმე წელიწადში მომკვდარა და მისგან ხადიჯას დიდძალი ქონება დარჩენია.

ქალი ორმოც წლამდე, ანუ მოციქულთან ქორწინებამდე აღარასოდეს გათხოვილა და ვაჭრობითა და ქმართაგან დატოვებული ქონების მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული. ეს საქმე კი მისგან დიდ გამჭრიახობასა და ფიზიკურ შეძლებასაც მოითხოვდა, რადგან ამხელა სიმდიდრის გაძღოლა იოლი ნამდვილად არ იქნებოდა.

ზოგი მუსლიმი მემატიანე, ხადიჯას ქონებაზე საუბრისას, აცხადებს, რომ მას 80 ათასი აქლემი ჰყოლია, რაც გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ თუნდაც როგორც მეტაფორა, მაინც კარგად გამოხატავს ხადიჯას ქონებრივ და მატერიალურ შესაძლებლობას.

ხადიჯა სავაჭრო გარიგებათა გასაძღოლად მამაკაცებს ქირაობდა, რომლებიც გარკვეულ საფასურად „ზამთრისა და ზაფხულის მოგზაურობებში“ მის სანაცვლოდ მიდიოდნენ, საქ-

ონელს ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ. ზოგჯერ ქირავნობის პირობები ქარავანზე არსებული ქონების მეწილეობას ითვალისწინებდა. ამიტომაც ყველა დაქირავებული ცდილობდა, გარიგებები, რაც შეიძლება სარფიანად წარემართა, რათა შემოსული ქონებიდან უფრო მეტი წილი დარჩენოდა.

ხადიჯას ოჯახური წარმომავლობა, პიროვნული პატიოსნება და სანაქებო ზნეობრივი თვისებები განაპირობებდა იმას, რომ მექის არაერთმა დიდებულმა სთხოვა ხელი, წყაროები ასახელებენ რამდენიმე კეთილშობილ და მდიდარ მამაკაცს, მაგალითად, უკბა იბნ აბი მუყიტსა და სილა იბნ აბი შიჰაბს, რომელთაც სხვადასხვა დროს ხადიჯამ ცოლობზე უარი განუცხადა.

მუსლიმი ისტორიკოსები იმასაც შენიშნავენ, რომ მამაკაცთა მხრიდან ხადიჯასადმი გამოჩენილი ინტერესი და მისი ცოლობის წადილი შესაძლოა არაიმდენად ქალის სიმდიდრითა და კეთილდღეობით ყოფილიყო განპირობებული, რამდენადაც მისი გულკეთილობითა და სიალალით.

ხალხი ხედავდა, რომ ხადიჯას ყოველდღიურად მზარდი ქონების მიუხედავად, ქალი მხოლოდ ამ ქონების შეძენის წადილით არ ყოფილა ანთებული და გაჭირვებულ თანამოძმეებს არასოდეს ივიწყებდა. მუდმივად განიკითხავდა ქვრივ-ობლებს და გაჭირვებულთ ხელის გამართვაზე უარს არასოდეს ეუბნებოდა. ამის გამო მექაში მას „უმ ას-საყალიქს“ (უპოვართა დედას), ანდა „უმ ალ-აითამს“ (ობოლთა დედასაც) უწოდებდნენ.

აბუ ტალიბი ხედავდა, რომ მისი ობოლი ძმისშვილის დაქორწინების დრომაც მოაწია, მაგრამ რაკიღა თვითონ ხელმოკლე კაცი იყო და თავისი ქონებით ამ საქმეს ვერანაირად ვერ მოახერხებდა, გადაწყვიტა მუჰამადის ქორწინების ამბავი სხვა გზითა და საშუალებით მოეგვარებინა.

მან მუჰამადს ურჩია: ხომ ხედავ ხადიჯა ბინთ ხუვაილიდი ქონების განსაკარგავად და თავისი აქლემების გასაძღოლად მამაკაცებს ქირაობს. მოდი, გავურიგდეთ, იქნებ ქონების წინამძღოლად აგიყვანოს. აღებული ფულით კი ქორწილის თადარიგსაც დავიჭერთ. ხადიჯას მე დაველაპარაკები და დიდი იმედი

მაქვს, ხალხში შენი პატიოსანი სახელის გამო, ჩემს წინადადებას სიხარულით დათანხმდებაო.

მუჰამადი ბიძის ნებას დაჰყვა და აბუ ტალიბიც ხადიჯასთან მოსალაპარაკებლად გაემართა.

ხადიჯა, თითქოს ამ შეთავაზებას ელოდაო, აბუ ტალიბის წინადადებას სიხარულით შეხვდა და გადაწყვიტეს, ორი (ზოგი წყაროს მიხედვით კი ოთხი) კოზაკის სანაცვლოდ, მუჰამადი სხვა მექარავნეებთან ერთად შამის სავაჭრო მოგზაურობაში გაესტუმრებინათ.

აღსანიშნავია, რომ იბნ ჰიშამთან არაფერია ნათქვამი აბუ ტალიბის შუამავლობის შესახებ. ამ ცნობებს მოგვიანო ხანის ისტორიკოსები გვაწვდიან. იბნ ჰიშამი კი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მოციქულის მართლისმთქმელობის, სანდოობისა და კეთილი ბუნების ამბავს, რაზეც ყველა ლაპარაკობდა, ხადიჯას ყურამდეც მიეღწია. ამან განაპირობა, რომ ხადიჯა თვითონ მივიდა მუჰამადთან და სირიაში თავისი ქარავნის წინამძღოლობა შესთავაზა. სანაცვლოდ კი იმაზე გაცილებით დიდ გასამრჯელოს დაჰპირდა, რასაც ამ საქმისათვის სხვა ქარავნის გამძღოლებს სთავაზობდაო.

ასე იყო თუ ისე, მუჰამადმა ხადიჯას ქარავანი ჩაიბარა და სირიისაკენ გაემართა. ხადიჯამ მას თავისი მსახური ბიჭი — მაისირაც გააყოლა, რომელსაც უბრძანა მუჰამადს შეშველებოდა და მისი ყველა ბრძანება უყოყმანოდ შეესრულებინა.

მუჰამადს რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი და რაც არ უნდა ეკეთებინა, ყველგან ღვთის განუზომელი წყალობა და სიუხვე ხვდებოდა. ამჯერადაც ქარავანმა წარმატებულად იარა და სირიის საზღვრებს ჩვეულებრივ ვადაზე ადრე მიაღწია.

მუსლიმი ისტორიკოსების ცნობით, როცა მუჰამადის ქარავანმა ქალაქ ბუსრასთან იმ ცნობილ მონასტერს ჩაუარა, წინასწარმეტყველმა ქარავანი გააჩერა და მონასტრის სიახლოვეს დაბანაკდა.

მონასტრის წინამძღვარს, ნესტორი რომ რქმევია, ადრინდელი მოგზაურობებიდან სცნობია ხადიჯას მსახური ბიჭი

მაისირა. ბერს მონასტრიდან საქარავნო გზაზე ზემოდან რომ დაუხედავს, ქარავნის თავზე მოძრავი ღრუბელი შეუნიშნავს. სასწრაფოდ ქვემოთ დაშვებულა და იმ ხესთან მისულა, სადაც თურმე მუჰამადი ისვენებდა.

მაისირა, რომელიც თავისი ქალბატონის ბრძანების შესატყვისად, მუჰამადს გვერდიდან არა სცილდებოდა, იქვე იდგა. ნესტორს დაუძახია მისთვის და უკითხავს: ეს კაცი, ხის ძირას რომ ისვენებს, ვინ არისო?

ბიჭს მიუგია: მექაში მცხოვრები კურაიშელთა ტომის კაციაო.

ნესტორს მაისირასათვის უთქვამს: ვფიცავ ღმერთს, ამ ხის ძირას ცხენიდან არავინ ჩამოხდებოდა, წინასწარმეტყველის მეტიო! — მერე კი მაისირასა და ქარავნის სხვა წევრებისათვის ის ღვთაებრივი ნიშნები გაუმხელია, რაც მუჰამადში დაუნახავს.

შამში კი სავაჭრო საქმეები დიდებულად წარიმართა და მუჰამადმა იმაზე გაცილებით დიდი სარგებელი ნახა, რაც ამგვარი მოგზაურობებისას ჩვეულებრივ რჩებოდათ. უკანა გზაზე, მაისირას ყველაფერი რომ საგულდაგულოდ დაუანგარიშებია, გახარებულს მუჰამადისათვის უთქვამს: რამდენი წელია შამში სავაჭრო მოგზაურობებს ვეწევით, ასეთი სარგებელი კი, რაც წელს დაგვრჩა, არასდროს გვინახავსო.

ბიჭს თურმე ერთი სული ჰქონდა, მექაში როდის ჩამოვიდოდნენ, რომ ეს ყველაფერი თავისი ქალბატონისათვის ეხარებინა. მექის მიღმა მდებარე ხეობის ვადი აზ-ზაჰრანისათვის რომ მოუღწევიათ, ალაჰის მოციქულისათვის მიუმართავს და უთქვამს: კარგი იქნებოდა, ქარავნისათვის გაგესწროთ და ჩვენი წარმატებული მოგზაურობის ამბები ხადიჯასათვის პირადად გეხარებინათო.

მოშუადღევებულიყო და ხადიჯა თურმე ამ დროს თავის სავაჭრო ქულბაქში იჯდა, რომელიც მექის ქუჩებს ზემოდან გადაჰყურებდა.

უეცრად მისკენ მიმავალი მხედარი დაუნახავს, რომელსაც თავზე ღრუბელი ადგა და თან ისე მიჰყვებოდა, თითქოს ორ ანგელოსს უჭირავს და მზეს უჩრდილავსო.

მხედარი რომ მიუახლოვდა, ხადიჯამ მუჰამადი იცნო და გახარებულმა შინ შეიპატიჟა. მუჰამადმა ვაჭრობის ამბავი დაწვრილებით მოუთხრო, ქალი კი იმ ღრუბელზე ფიქრობდა, რომელიც მუჰამადს თან საჩრდილობელი ჩარდახივით დაჰყვებოდა.

ამასობაში კი მაისირაც მოსულა და ქალბატონისათვის ყველაფერი უამბია. ბიჭს არც ნესტორის ნათქვამი დავიწყებია და უთქვამს: ქრისტიან ბერს სჯერა, მუჰამადი თავისი ერის მოციქული იქნებაო!

ამ ყველაფერმა ხადიჯაზე ისე იმოქმედა, რომ გულში მუჰამადის სიყვარული ჩაუვარდა. კაცს გასამრჯელოდ ოთხი აქლემი უფეშქაშა და მაისირაც გაათავისუფლა იმ სამახარობლოსთვის, რაც ბოლო მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მოუტანა.

მერე ადგა თავის ბიძაშვილ ვარაკა იბნ ნავფალთან წავიდა და რჩევას დაეკითხა.

ვარაკა იბნ ნავფალი ქრისტიანობის მიმდევარი იყო და ამ რელიგიაში კარგად გარკვეულს უამრავი სჯულის წიგნი წაეკითხა და შეეთვისებინა. მას, ხადიჯას ნაუბარი რომ მოუსმენია, უთქვამს:

— თუ ყველაფერი მართლაც ისეა, როგორც შენ მეუბნები, მუჰამადი თავისი თემის ის მოციქული უნდა იყოს, ვიზეც ჩემს წიგნებში წამიკითხავს და რომლის გამოჩენის ჟამიც მოახლოებულიაო!

ბიძაშვილის სიტყვებმა ხადიჯას მუჰამადის წადილი გაუძლიერა და ყველანაირი საშუალებით ეცადა კაცთან დაახლოებას.

მოხდა ისე, რომ მდიდარი ქვრივი, რომელსაც არაერთი წარჩინებული მექელის ცოლობაზე ეთქვა უარი, საგონებელს მიეცა, მუჰამადისათვის გულის ხვაშიადი როგორ გაემხილა.

ამ საქმეში მუჰამადის გარეგნობა ალბათ არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობდა.

მუჰამადი, თანამედროვეთა გადმოცემის მიხედვით, საშუალო ტანის, მხარბეჭიანი და დაძარღვული კაცი ყოფილა. ჰქონია დიდი ხელ-ფეხი. სიჭაბუკეში იყო ძალიან ძლიერი და ჯანიანი. ჰქონია დიდი, კარგი მოყვანილობის თავი, რომელიც ლამაზად ედგა

კისერზე. კისერი კი ბურჯივით მაღლდებოდა ფართო გულმკერდიდან. ჰქონია მაღალი შუბლი, რომელიც თანდათანობით ფართოვდებოდა საფეთქლებისაკენ და წარბებამდე ძარღვებით იყო დაფარული. მღელვარებისას ან რაიმე ძალისხმევისას ძარღვები ებერებოდა და არაჩვეულებრივად მიმზიდველ იერს ანიჭებდა. მოგრძო სახეზე გამოკვეთილი ნაკვთები ჰქონდა: არწივისებრი ცხვირი, შავი თვალები, ხშირი წარბები და დიდი ხორციანი პირი, როგორც ამბობენ, მჭევრმეტყველების ერთ-ერთი ნიშანი. ძალიან თეთრი, ოდნავ მეჩხერი და უსწორმასწორო კბილები, შავი, სწორი თმა, რომელიც მხრებამდე სცემდა და გრძელი, ფაქიზად მოვლილი წვერი.

ყოველდღიური ურთიერთობისას მშვიდი და გაწონასწორებული, ხუმრობის უფლებას თავს იშვიათად აძლევდა, საერთოდ კი სერიოზული და სიდარბაისლით აღსავსე იყო. მომნუსხველი ღიმილი ჰქონია. სახეზე ვარდისფერი გადაჰკრავდა, ხოლო როცა ქადაგებდა ისეთი ალმური ედებოდა, რომ მისი მიმდევრები, ამას წინასწარმეტყველობის ღვთიურ ცეცხლს ეძახდნენ.

ერთი სიტყვით, კაცად კაცი არ დაიწუნებოდა და ამიტომაც ხადიჯას თავისთან უხმია კურაიშელთა ტომის ერთი ქალი, თავისი სიყრმის მეგობარი, ნაფისა და დაუვალებია, მისულიყო მუჰამადთან და როგორც უფრო მოუხერხდებოდა, მისი გულისნადები ჭაბუკისათვის ისე გაემჟღავნებინა.

ნაფისა მუჰამადთან მისულა და უკითხავს: მუჰამად, ცოლს რატომ არ შეირთავო?

მუჰამადს უთქვამს: ცოლის შესართავი სახსარი სადა მაქვსო?

ნაფისას მიუგია: ეგ ამბავი მე რომ მოგიგვარო, წარჩინებული ოჯახის შვილი, მდიდარი და ლამაზი ქალი რომ გაგირიგო, დაქორწინდებიო?

მუჰამადს უკითხავს: აბა ასეთ ქალს სად იშოვიო?

ქალს განუცხადებია:

— ეგ საქმე მე მომანდე! ხადიჯასთან მივალ და შენს ცოლობაზე დავითანხმებო!

მერე წასულა და ყველაფერი რაც მოხდა, ხადიჯასათვის უამბია.

ამბავმა ცოტა ხანში მუჰამადის ბიძის აბუ ტალიბისა და ხადიჯას მამისძმის ამრ იბნ ალ-ასადის ყურამდეც მიაღწია და ამის შემდეგ საქორწინო თადარიგი სწორედ გვარის მეთაურებმა დაიჭირეს.

ქორწილმა ჩინებულად ჩაიარა და ორივე მხარე ბედით დიდად კმაყოფილი ჩანდა. მუჰამადს ხადიჯასთან დაქორწინებამ საშუალება მისცა ქვეყნიურ საზრუნავზე, „არსობის პურზე“, ზედმეტი ფიქრისაგან გათავისუფლებულიყო და თავი მთელი არსებით მიეცა მეტაფიზიკური აზროვნებისათვის.

ოჯახური ცხოვრება მშვიდი კალაპოტით მიედინებოდა და ამ ქორწინებიდან ცოლ-ქმარს ექვსი შვილი შეეძინა. მანამდე ორჯერ განათხოვარ ხადიჯას მუჰამადისაგან ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი გაუჩნდა. ვაჟები — კასიმი და აბდ ალ-ლაჰი ჩვილობაშივე გარდაიცვალნენ, გოგონები კი — ზაინაბი, უმ ქულსუმი, რუკაია და ფატიმა დაიზარდნენ და ისლამის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლიც ითამაშეს.

ხადიჯასთან ქორწინებამ მოციქული მართლაც დიდად გააბედნიერა. მატერიალური სიმდიდრის გარდა, რაც ამ ქორწინებით მოიპოვა, მან ხადიჯას სახით ერთგული მეგობარი და თანამოაზრე იშოვა, რომელიც თავის დიდებულ მეუღლეს ყველანაირად მხარში ედგა და სასიკეთო საქმისა და ფიქრისაკენ აგულიანებდა. ეს იყო იმ ორი ადამიანის სულიერი ურთიერთობა, რომლებიც მუდმივად გაჭირვებულის, დაჩაგრულის დახმარებას ცდილობდნენ და მზად იყვნენ საზოგადოებაში გავრცელებულ მავნე ჩვეულებსა თუ უსამართლობას დაპირისპირებოდნენ.

## ქააბას ტაძრის განახლება

ამ დროისათვის მექის საზოგადოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიდან მუსლიმი მემატიანეები ყურადღებას ამახვილებენ ქააბას ტაძრის აღდგენაზე, რომელშიც, სავარაუ-

დოდ, მუჰამადსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია.

როგორც აღინიშნა, წარმართული არაბეთის მთავარ ტაძარს ალ-ქაყბას წმინდათაწმინდა ტერიტორია წარმოადგენდა. ტაძრის მთავარი სიწმინდე კი არის მეტეორული წარმოშობის შავი ქვა, რომელსაც ჯერ კიდევ ისლამამდელი დროიდან სცემდნენ თაყვანს არაბული ტომები.

დაახლოებით 604 წლის გაზაფხულზე, როცა მუჰამადი ოცდათხუთმეტი წლისა სრულდებოდა, მექის მთებიდან დაშვებული წყლის ნიაღვარი ალ-ქაყბას ტაძარში შევარდა და მისი ზოგი კედელი დაანგრია. გარდა ამისა ქააბა გადაუხურავი იყო, გარს დაბალი, კაცის სიმაღლის გალავანი ერტყა და ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ წყალდიდობამდე ცოტა ხნით ადრე, შიგნით ქურდებმა შეაღწიეს. მათ გაიტაცეს ტაძრისათვის შეწირული ძვირფასეულობა, რომელიც ქააბას შუაგულში ამოთხრილ ჭაში ინახებოდა. მძარცველები ცოტა ხანში დაიჭირეს და ნაძარცვი უკან დააბრუნებინეს, მაგრამ მექის მცხოვრებლებმა და უპირველესად კურაიშელებმა, რომელთაც ტაძრის მოვლა-პატრონობა ჰქონდათ მინდობილი, პირველად სწორედ მაშინ დაიწყეს ფიქრი ქააბას გადახურვაზე, თუმცა შემდეგ ეს საქმე სამომავლოდ გადადეს.

იმის გამო, რომ წყალდიდობამ ტაძრის ერთი ნაწილი დაანგრია, აუცილებელი გახდა მისი სასწრაფო შეკეთება და ამავდროულად ბარემ გადახურვაზეც უნდა გარჯილიყვნენ. მაგრამ ამისათვის ტაძრის გალავნის დანგრევა იყო საჭირო, რათა შენობა ხელახლა ამოეყვანათ.

მიზნის მიღწევას ხელს ორი გარემოება უშლიდა. ერთი ის, რომ ტაძრის გადასახურად აუცილებელი ხის მასალა არ გააჩნდათ და მეორეც — შიშობდნენ, გალავნის კედლების დანგრევას ღვთის რისხვა არ გამოეწვია.

პირველი საკითხი ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევის წყალობით მოგვარდა.

ეგვიპტიდან მომავალი სავაჭრო გემი ჯიდასთან ახლოს ქარიშხალში მოხვდა (მეორე ვერსიით კი, ნაპირის სიახლოვეს მეჩეჩს შეეჯახა) და დიდად დაზიანდა.

ხომალდის მეთაურმა, რომელსაც არაბული წყაროები იაკუმად მოიხსენიებენ, გემის შეკეთებაზე ხელი ჩაიქნია.

ეს ამბავი რომ კურაიშელებმა შეიტყვეს, მივიდნენ მასთან, ამ გემის ხე შეისყიდეს და მექაში ჩაიტანეს.

მექაში ერთი კოპტი დურგალი ცხოვრობდა, რომელსაც ქააბას სახურავისათვის საჭირო ხის მასალის ნაწილი წინდაწინვე დაემარაგებინა. ამ მასალას დაღუპული ხომალდის ხეც დაემატა და პირველი საკითხი ასე გადაიჭრა.

მეორე პრობლემა კი გაცილებით რთული მოსაგვარებელი ჩანდა. იმის მიუხედავად, რომ მთელი მექის მცხოვრებლები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ და ტაძრის გალავნის ოთხი კედლის დანგრევა და აშენება ერთმანეთში გადაინაწილეს, ღვთის მოსალოდნელი რისხვის შიშით საქმის წამოწყებას და ალ-ქაყბას კედელზე ხელის აღმართვას ვერავინ ბედავდა. საბოლოოდ ვალიდ იბნ მუღირას აუღია წერაქვი და უთქვამს:

— უფალო, ხომ უწყი, რომ შენი რჯულისათვის ზურგი არ გვიქცევია და სასიკეთო საქმის გარდა არაფერი გვამოძრავებსო! — წერაქვი გალავნისათვის დაურტყამს და გალავნის ერთი ნაწილი ჩამოუშლია.

ხალხი კი ამ ამბავს თურმე მაინც შორიდან შესცქეროდა და ადგილიდან დაძვრას ვერავინ ბედავდა. ერთმანეთში ამბობდნენ: მოდი, ამაღამაც დავიცადოთ და თუ ვალიდ იბნ მუღირას ღვთის სასჯელი არ დაატყდება, ნათელი იქნება, რომ ღმერთი ამ საქმით კმაყოფილია, ხოლო თუ დასჯის, მაშინ ტაძარს ხელს აღარ ვახლებთო!

მეორე დღეს დაინახეს, რომ ვალიდ იბნ მუღირა შინიდან უვნებელი გამოვიდა და გუშინ დაწყებული საქმე მშვიდად განაგრძო. მაშინ კი აიღეს ხელში იარაღი და კედელი, წინასწარი შეთანხმებისა და განაწილების შესაბამისად, ერთობლივი ძალებით დაანგრიეს.

კურაიშელებმა ალ-ქაყბას კედლები ტაძრის საფუძვლამდე მოარღვიეს. იქ კი ზურმუხტისფერ ქვას წააწყდნენ, რომელსაც ადამიანის მენჯის ძვლის ფორმა ჰქონდა.

როცა იმ ადგილის მორღვევაც დააპირეს, უცებ საშინელმა მიწისძვრამ მთელი მექა შეარყია. ამიტომაც იძულებული გახდნენ, ამ საქმეზე ხელი აეღოთ. ზურმუხტისფერი ქვა ქვაკუთხედად დაადგინეს და ზედ ტაძრის კედელი ამოიყვანეს.

ზოგი მუსლიმური წყაროს ცნობით, მუჰამადი ამ საერთო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და ტაძრის კედლების ამოსაყვანად, რომელსაც ახლომახლო მდებარე მთებიდან ჩამოტანილი მტრედისფერი ქვით აშენებდნენ, მუხლჩაუხრელად ირჯებოდა.

კედელი რომ კაცის სიმაღლეზე ამოიყვანეს და მრუმე ქვის ისევ ძველ ადგილას დაბრუნება გადაწყვიტეს, მექელებში უთანხმოებამ იჩინა თავი. თითოეული ტომის მეთაურს სურდა მრუმე ქვის ძველ ადგილას დაბრუნების პატივი სწორედ მის ტომს რგებოდა.

უთანხმოება ისე გამწვავდა, რომ კურაიშელთა ტომის თითეული გვარი ცალ-ცალკე შეიარაღდა და ერთმანეთთან საომრად მოემზადა.

აბდ ად-დარის ვაჟებმა ვარცლი სისხლით გაავსეს. ხელები სისხლში ამოივლეს და ერთმანეთს შეჰფიცეს, სანამ პირში სული გვიდგას, უცხოს მრუმე ქვის ძველ ადგილას გადატანის პატივი არ დავანებოთო.

მათ ფიცით შეეკვრნენ ბანი უდას ტომელები და ამან ქააბის ტაძრის განახლების საქმე კარგა ხნით შეაფერხა.

ასე გაიარა დაახლოებით ერთმა კვირამ. ამასობაში კი კურაიშის უხუცესები შეიკრიბნენ და დაიწყეს ფიქრი იმაზე, როგორ მოეგვარებინათ უთანხმოება ისე, რომ საქმე ომითა და სისხლისღვრით არ გათავებულიყო. ბოლოს შეთანხმდნენ, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მათ შორის ყველაზე ხნიერი — აბუ უმაია იბნ მუღირა გადაწყვეტდა. მან კი თქვა, რომ ვინც მექაში პირველი შევიდოდა ტაძრის იმ კარით, რომელიც საფას ბორცვის მხრისაკენ იღებოდა, საქმეზე საბოლოო მსჯავრი იმას გამოეტანა და რასაც ეს ადამიანი იტყოდა, ხმის ამოუღებლად შეესრულებინათ.

კურაიშელები ამ წინადადებას დათანხმდნენ და ტაძრის კარს დაჟინებით მიაცქერდნენ.

უცებ ტაძრის კარში მუჰამადი გამოჩნდა და ყველამ ერთხმად დაიძახა:

— მუჰამადი მოვიდა, მუჰამად სანდო! ყველა შევასრულებთ, რასაც ის გადაგვიწყვეტს!

როცა მუჰამადი მათთან მივიდა და საქმის ვითარება მოახსენეს, უბრძანა, ფარჩის ნაჭერი მოეტანათ.

ქსოვილი რომ მოიტანეს, ალაჰის მოციქულმა ფარჩა გაშალა, მრუმე ქვა შუაში დადო და ბრძანა:

— თითოეულმა თქვენგანმა ქსოვილის თითო კუთხეს მოჰკიდოს ხელი და ასწიოსო!

ტომის მეთაურები წინ წამოდგნენ და თითოეულმა ქსოვილის თითო კუთხეს ჩასჭიდა ხელი. ამგვარად, ქვის გადატანაში მონაწილეობა ყველამ მიიღო. ხოლო როცა მრუმე ქვა უწინდელ ალაგას მიიტანეს, მუჰამადმა ის ნაჭრის შუაგულიდან ჩამოიღო და თავის ადგილას დააბრძანა.

ამის შემდეგ კი ქააბას კედლები კიდევ თვრამეტი წყრთით აამაღლეს.

ასე დასრულდა ქააბას განახლება, ხოლო ტომობრივი შუღლი, რომელიც შესაძლოა, სისხლისღვრაში გადაზრდილიყო, მუჰამადის გამჭრიახობით ამგვარად აღმოიფხვრა.

## სამოციქულო მისიის დასაწყისი

როგორც აღინიშნა, ხადიჯას სიმდიდრემ მუჰამადი საარსებო სახსარზე ფიქრისაგან გაათავისუფლა და საშუალება მისცა მარადიულ, სულიერ ღირებულებებზე დაფიქრებულიყო. მალე შვილებიც შეეძინათ და ამის შემდეგ მისი ცხოვრება აუმღვრეველი კალაპოტით მიდიოდა. აღარც ობლობის სიმწარე ახსოვდა და არც ბავშვობის სიღატაკე. ხალხში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მის სიტყვას ყველა ანგარიშს უწევდა. ყურადღებიანი,

მოსიყვარულე და კეთილი იყო. თავისი ღრმა ბუნებიდან გამომდინარე კი ხშირად განმარტოება და ფიქრი უყვარდა.

მუსლიმური გადმოცემები .მწირ ცნობებს გვაწვდიან იმის შესახებ, თუ ვისთან ურთიერთობდა იმხანად მუჰამადი. ერთი ცნობის თანახმად, მას ძალზე ჰყვარებია ხადიჯას ქრისტიან ბიძაშვილ — ვარაკა იბნ ნავფალთან საუბარი. ასევე ხშირად ებაასებოდა თურმე ზაიდ იბნ ამრსა და იბნ ნუფაილსაც, რომელთაც ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ზურგი შეექციათ, მექის ახლოს მდებარე გამოქვაბულებში მარტოდმარტო დასახლებულიყვნენ და თავისი ტომის კერპებთან და კერპთაყვანისმცემლებთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ.

როგორც აღინიშნა, იმხანად არაბთა დიდი ნაწილი კერპთაყვანისმცემლობაზე უარს ამბობდა, ფაქტობრივად, საკუთარ თემსა და ტომს სწყდებოდა, უდაბნოში გადიოდა და ჰანიფიზმის მიმდევარი ხდებოდა, რაც ერთი ღმერთის — ალ-ლაჰის თაყვანისცემასა და იმქვეყნიური ცხოვრებისა თუ საუკუნო სასჯელ-სასყიდელის რწმენაში გამოიხატებოდა. ხსენებული ზაიდ იბნ ამრი, რომელიც მუჰამადს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა, სწორედ ასეთი ჰანიფი იყო. ერთი გადმოცემის თანახმად, მას გაუფრთხილებია მომავალი წინასწარმეტყველი, კურაიშელთა კერპებისა და სარწმუნოებრივი შეხედულებებისაგან თავი შორს დაეჭირა.

თუმცა ქრისტიანებთან და ჰანიფებთან საუბრის გარდა, თვითონ მუჰამადს თვითრეფლექსიის შინაგანი მოთხოვნილება განმარტოებისა და ფიქრისაკენ ეწეოდა. ზოგჯერ კი ჰანიფების მსგავსად მექის ახლოს მდებარე მთის — ჰირას გამოქვაბულში მიდიოდა და იქ კვირებით, წმინდათაწმინდა რამადანის (რამაზანის) თვეში კი მთელი თვეც რჩებოდა.

ხადიჯას ქონება მას უკვე აძლევდა ამის საშუალებას და თანაც მუჰამადი თანამემამულეთაგან ბევრი რამით განსხვავდებოდა. იგი მათი დიდი უმრავლესობის საპირისპიროდ, არ ყოფილა პრაქტიკული კაცი, ვისაც ცივი ანგარიშიანობა გამოარჩევს, სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობა მიმადლებია და

მხოლოდ დღევანდელი დღე და მატერიალური დოვლათისაკენ სწრაფვა ამოძრავებს.

პირიქით, მუჰამადი ამქვეყნიური საზრუნავისათვის გამოუსადეგარი ადამიანი იყო. მაშინაც კი, როცა საკუთარ თავში ღვთის მოციქული გააცნობიერა, იგი პრაქტიკული საქმეების მოგვარებას მუდმივად თავის მეგობრებს ანდობდა, რომელთაც რელიგიასთან არანაირი კავშირი არ გააჩნდათ.

ის იყო მეოცნებე — იშვიათი გამოვლინება არაბთა შორის. ტემპერამენტი, რომელიც აშკარად დედისაგან ჰქონდა ნამემკვიდრევი, მომეტებული სიფიცხით ხასიათდებოდა. ჩვეულებრივ, მუდამ მელანქოლიურ გუნებაზე იდგა, დაფიქრებული და შფოთიანი ჩანდა. ცოტას ლაპარაკობდა და უმიზეზოდ არაფერს იტყოდა. ვერ იტანდა უამურ სუნს, ხოლო როცა ავად ხდებოდა, ბავშვივით ტიროდა. ჰქონდა მდიდარი წარმოსახვის ნიჭი და მომეტებულად აფორიაქებდა ზებუნებრივი მოვლენები.

ცნობილია, რომ სწორედ ასეთი შინაგანი წყობის ადამიანები არიან მიდრეკილნი რელიგიური საფიქრალისადმი. თუმცა მატერიალისტურად განწყობილი ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები შეეცადნენ მუჰამადის ხასიათი მისი ფიზიკური დაავადებით აეხსნათ. ჯერ ფიქრობდნენ, რომ იგი ჩვეულებრივი შიზოფრენიით იტანჯებოდა, XIX საუკუნის ბოლოს კი გერმანელმა ორიენტალისტმა და ექიმმა შპრენგერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მუჰამადი დაავადებული იყო მუსკულური ისტერიით — იმ იშვიათი სნებით, რომელსაც განმეორებითი შეტევები ახასიათებს. სუსტი შეტევისას ავადმყოფობა მუსკულატურის სპაზმური გაფართოება-შევიწროებით ვლინდება. ენა და ბაგეები ცახცახებენ, თვალები ერთხანს არაბუნებრივად ტრიალებენ, კისერი ავტომატურად ბრუნავს და ავადმყოფს თავის საშინელი ტკივილი აწუხებს. ძლიერი შეტევისას კი მუსკულურ ისტერიას გაშეშება ახასიათებს. დაავადებული მინაზე ვარდება და ხევდება. გონებას კი არ ჰკარგავს და ძირითადად ამით განსხვადება მუსკულური ისტერია ჩვეულებრივი გულყრისაგან. იგივე შპრენგერი თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ეს სნეულება ნამდვილი პროთეოსია —

ბერძნული მითოლოგიის ზღვის ღმერთი, რომელსაც სხვადასხვა სახის მიღება შეუძლია. მუსკულური ისტერიაც ხან ფილტვების უმძიმეს ანთებას ჰგავს, ხანაც გულგვამის ისეთ ცხელებას, რასაც ცოტა ხანში ავადმყოფის უეჭველი სიკვდილი უნდა მოჰყვეს, და ხან კიდევ მახრჩობელა ასთმას. შემსწრეები ღელავენ, მაგრამ საკმარისია, დაავადებულთან ახლოს მივიდნენ და ყურადღებით დააკვირდნენ, რომ გაარკვევენ — მთელი ამ სნეულებათა ჯაჭვის სათავე უმნიშვნელო ისტერიაა, რომელსაც ავადმყოფის ისეთივე სწრაფი გამოჯანმრთელება და სიხალისე მოსდევს, როგორც ბავშვებში ენაცვლება ხოლმე ცრემლებს სიხარული.

ხოლო რაკიღა არაბეთის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად ციება გვევლინება, მუჰამადის შეტევებსაც სწორედ ციებ-ცხელებად მიიჩნევდნენ: იგი ფერს ჰკარგავდა, ამცივნებდა და აცახცახებდა, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, სახე — კრიზის დადგომის მაუწყებელი — ოფლის მსხვილი წვეთებით დაეფარებოდა.

ევროპელი ავტორები, შპრენგერიდან გამომდინარე, დაწვრილებით აღგვიწერენ მუსკულური ისტერიის სხვა სიმპტომებსაც. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ამ დაავადებისათვის ნიშნეულია ის, რომ ავადმყოფები — მეტ-ნაკლებად ყველა — სიცრუისა და თვითმოტყუებისაკენ არიან მიდრეკილნი. ამას გარდა ისტერიკული ადამიანები ძალზე მგრძნობიარენი არიან და შეუძლიათ მღვიძარეებმა იხილონ სიზმრები, მათ აქვთ ხილვები, ვარდებიან ექსტაზში და იტანჯებიან ჰალუცინაციებით.

ძნელი არაა, ავადმყოფობის სიმპტომთა ამ დაწვრილებით აღწერაში მუჰამადის ღვთიური მისიის დაკნინების წადილი დავინახოთ. იგივე ავტორები, მაგალითად, ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ დაავადება ხშირად ასაკთან ერთად მძაფრდება და თავს საკმაოდ გვიან, სოლიდურ ასაკში გამოაჩენს.

ყოველ შემთხვევაში მუჰამადი ორმოცი წლის იყო, როცა პირველი ჩვენება იხილა.

იმ 610 (ზოგი წყაროთი კი 612) წელს იგი განსაკუთრებით აფორიაქებული ჩანდა. სულ უფრო ხშირად მიდიოდა მშობლიურ

ქალაქ მექიდან ფეხით ერთი საათის სავალზე დაცილებულ ჰირას მთის გამოქვაბულში და ადამიანთაგან მოწყვეტილი თავს მისთვის ჩვეულ საფიქრალს აძლევდა. გარემომცველი ბუნებაც კარგ გუნებაზე ვერაფრით დააყენებდა. იმ ადგილებში ხომ სიმწვანეს წამლადაც კი ვერსად წააწყდებით, მხოლოდ მოტიტვლებული მთა-გორაკები და კლდეები მოჯარულან და ქარაფებიდან საზარელი უფსკრულები ამთქნარებენ.

აქ გარსშემომდგარ გორაკებზე ოდნავ ამაღლებული ჰირას მთის წვერზე გამოეცხადა მუჰამადს პირველად ზებუნებრივი არსება, რომელსაც მუსლიმური გადმოცემა ჯიბრაილ ანგელოზთან აიგივებს, ყურანი კი მას „სანდოს“, „დიდი ძალის მქონესა“ და — მოგვიანო, მედინური ხანის ფრაგმენტებში — „სიწმინდის სულს“ უწოდებს.

ეს ზებუნებრივი წარმოგზავნილი ძალდაძალ მივიდა მუჰამადზე და უბრძანა „იკრა'!“ — რომელსაც ჩვეულებრივ თარგმნიან, როგორც „წაიკითხე!“ თუმცა, არსებობს სიტყვის „იკრა'!“ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. მუსლიმებმა იგი თავისი ჩვეული მნიშვნელობით („წაიკითხე!“) აღიქვეს. ამან კი ყოვლად უსაფუძვლოდ წარმოშვა ერთი გადმოცემა, რომლის თანახმადაც სულმა მუჰამადს უჩვენა ფარჩის ნაჭერი, რომელზედაც წარწერები იყო ამოქარგული და რაც მუჰამადს უნდა წაეკითხა.

გერმანელი მეცნიერი შპრენგერი, ვინც რბილად რომ ვთქვათ, ისლამისადმი დიდი სიმპათიითა და კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა, ვარაუდობდა, რომ სიტყვით — „იკრა'!“ — მუჰამადს იუდეველთა და ქრისტიანთა საღვთო წერილების წაკითხვა უბრძანეს.

თუმცა შპრენგერის ეს ვარაუდი საფუძვლიანად უარყვეს მოგვიანო ხანის ევროპელმა ისლამმცოდნეებმავე, რაკიღა ყურანის დებულებით, ისლამის მოციქული თავის ქადაგებებს წინა ტრადიციის საღვთო წერილებიდან კი არა, უშუალოდ ღვთიური ზეშთაგონებიდან კითხულობდა.

ამდენად, გენიალური აღმოსავლეთმცოდნე თეოდორ ნოლდეკე ვარაუდობდა, რომ უფრო სწორი იქნებოდა „იკრა'!“ „იქადაგეს!“ მნიშვნელობით გაგვეგო.

ამავე ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია, უკეთ გავიაზროთ მუჰამადის პასუხიც: „ანა ლასთუ კარი'ან“ — „მე არა ვარ მკითხველი!“ („მე არა ვარ მქადაგებელი!“)

მაშინ ზებუნებრივი არსება ხელახლა ძალდაძალ მივიდა მუჰამადზე და გაუმეორა „იკრა'!“ მუჰამადი ისევ გაუჟინიანდა და სულმა იგივე რამ მესამედაც უბრძანა.

აღნიშნულ მუსლიმურ გადმოცემას ეფუძნება ისლამურ სამყაროში ჩამოყალიბებული თითქმის საყოველთაო შეხედულება, რომ ანგელოსმა სწორედ ამ დროს ჩაუკითხა მუჰამადს კანონიკური ყურანის 96-ე თავის პირველი-ხუთი მუხლი. შესაბამისად, ქრონოლოგიურად ესაა მუჰამადზე ზეგარდმოვლენილი ყურანის ყველაზე ადრეული, პირველი ფრაგმენტი.

თუმცა დოზი ეჭქვეშ აყენებდა ამ თვალსაზრისს და ყურანის ამ მონაკვეთს გვიანდელ, ანუ მედინური ხანის ფრაგმენტად აცხადებდა. იგივე ავტორს კი ნოლდეკესა და სხვათა განმარტება, რომ სიტყვა „იკრა'!“ „იქადაგედ“ უნდა გავიგოთ, ტექსტზე უხეშ ძალდატანებად ეჩვენება და მიაჩნია, რომ აქ „იკრა'!“ თავისი ჩვეული მნიშვნელობითაა ნაბრძანები, როგორც „წაიკითხე!“

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გავიაზროთ დეტალები, ერთი რამ ცხადია, რომ თვითონ მუჰამადი სწორედ ამ დროს დარწმუნდა საკუთარი მისიის მნიშვნელობაში და შესაბამისად იმედოვნებდა, რომ მიღმიერი მაცნე ხელახლა მალე მოიკითხავდა. მაგრამ ამის მსგავსიც არაფერი მომხდარა. ადვილი წარმოსადგენია, იმ დღეებში მოციქულმა რა შინაგან ღელვასაც გაუძლო. იგი მარტოდმარტო დაეხეტებოდა პირქუშ ხევებში, ხოლო ჰალუცინაციები, რითაც, როგორც ჩანს, ადრეც გამუდმებით იტანჯებოდა, ნაღველსა და მარტოობის განცდას უფრო უმძაფრებდა. ეჩვენებოდა, რომ რაღაც ხმები ჩაესმოდა. ყოველმხრივ ჩააკვირდებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. თვითონაც უკვე საკუთარ თავს „მაჯნუნად“ (ჯინებით, ბოროტი სულებით შეპყრობილად) მიიჩნევდა და მისი ღელვა ისეთი აუტანელი გახდა, რომ სიცოცხლე მოყირჭდა. ამ ყველაფრისათვის წერტილის დასმა გადაწყვიტა და ხან საბირის, ხანაც ჰირას მთაზე იქიდან

უფსკრულში გადაჩეხვის წადილით ადიოდა. მხოლოდ ახალ ხილვას შეეძლო მისთვის სულიერი სიმშვიდის დაბრუნება, და აი, ეს ხილვაც გამოუჩნდა, რამაც დაამშვიდა და დაარწმუნა, რომ იგი შეშლილი კი არა, დიდი მიზნის სამსახურად მოწოდებული ადამიანია და ამისათვის ბრწყინვალე საზღაურიც ელოდება.

სულის სიტყვების გაგონებაზე მუჰამადი მიწაზე დავარდა. მერე აჩქარებით შინ დაბრუნდა. გამოფიტული იყო და ავადმყოფური შეტევის მოახლოებას გრძნობდა. ამიტომაც ოჯახის წევრებს საჩქაროდ მიახალა: შემახვიეთ! შემახვიეთო! ასეც მოიქცნენ, ტანზე სამოსი შემოახვიეს, ჩაათბუნეს და სახე წყლით მოჰბანეს. ღვთის წარმოგზავნილმა იგი შეტევისაგან იხსნა და გამოცხადების კიდევ ერთი ფრაგმენტი უკარნახა, რომელიც კანონიკური ყურანის 74-ე სურაშია მოქცეული.

გადმოცემის თანახმად, ამის შემდეგ გამოცხადება ერთმანეთს მიჰყვა. იმხანად მუჰამადს უკვე თვითონვე თავისი მოწოდებისა გულწრფელად სჯეროდა. ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები შენიშნავენ, რომ მას თავისი ხილვებისა და გამოცხადებისა ისევე მტკიცედ და ურყევად სწამდა, როგორც პავლეს. ჩვეულებრივი თვითმარქვია ვერასოდეს შეძლებდა სჯულის დაფუძნებას, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიიღებდა და მსოფლიო რელიგიად იქცეოდა. გარდა ამისა შინაგანი სიმტკიცისა და გაუნელებელი რწმენის გარეშე მუჰამადი ათეული წლების განმავლობაში ვერ გადაიტანდა იმ დამცირებასა თუ სიძნელეს, რისი გადატანაც თავისი ქადაგების მანძილზე მოუწია.

## პირველი მუსლიმები; ხადიჯა — პირველი მუსლიმი ქალი, ალი იბნ აბი ტალიბი — პირველი მუსლიმი მამაკაცი; ისლამის არასაჯარო ქადაგებისა ხანა

მური და შპრენგერი სამართლიანად შენიშნავენ, რომ მუჰამადის გულწრფელობის ერთ-ერთ საუკეთესო დასტურად გვევლინება ის, რომ მისი ქადაგებისა პირველ რიგში მისივე ოჯახის

წევრებმა ირწმუნეს. პირველად ისლამი მისმა ცოლმა ხადიჯამ მიიღო. ქალი თავიდანვე მფარველი ანგელოზივით იდგა ქმრის გვერდით: ამშვიდებდა, როცა დასცინოდნენ, ამხნევებდა განცდისა და სასოწარკვეთისას, ამაგრებდა, როცა კაცი სულით ეცემოდა.

ხადიჯასთან ერთად ირწმუნეს მუჰამადის ქალიშვილებმა და ალი იბნ აბი ტალიბმა, მუჰამადის ათი წლის ბიძაშვილმა. ეს ყმაწვილი მუჰამადმა ერთ მოუსავლიან, შიმშილობის წელინადს თავისთან წაიყვანა, რათა ბიძისათვის ცხოვრების გაუსაძლისი პირობები ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

მუსლიმური გადმოცემა, რომელიც მუჰამადის პირველმა ბიოგრაფიებმა შემოგვინახა, ამ ამბავს ასე აღგვიწერს:

„ალიზე ზეგარდმოვლენილი უფლის უდიდესი წყალობა იყო ის, რომ ჯერ კიდევ ისლამამდე მუჰამად წინასწარმეტყველის კალთაში იზრდებოდა. ეს ამბავი კი ასე მომხდარა:

ერთ-ერთ წელს დიდი გვალვა დაიჭირა და მოსავალი აღარ მოვიდა. აბუ ტალიბს, მუჰამადის ბიძას, რომელიც წვრილშვილი კაცი იყო, ოჯახის რჩენა ძალიან უჭირდა.

მაშინ მუჰამადი მისულა მეორე ბიძა — აბასთან და უთქვამს:

— აბას, შენი ძმა, აბუ ტალიბი, წვრილშვილი კაცია. ხომ ხედავ, ხალხს რა განსაცდელიც ადგას! მოდი, წავიდეთ აბუ ტალიბთან და ყოფა ცოტა მაინც შევუმსუბუქოთ: მე მის ერთ ვაჟს წამოვიყვან ჩემთან გამოსაკვებად, შენ კი მეორე ვაჟი წაიყვანეო.

აბასი დათანხმებულა და ორივენი აბუ ტალიბთან მისულან. საქმის ვითარება რომ აუხსნიათ, აბუ ტალიბს უთქვამს: აკილი და ტალიბი მე დამიტოვეთ, ხოლო სხვები, რომლებიც გსურდეთ, წაიყვანეთო.

მაშინ წინასწარმეტყველს ალი წაუყვანია თავისთან, ხოლო აბასს — ჯაყფარი.

და ასე იზრდებოდა ალი მუჰამადთან, ვიდრე ღმერთი მის მეურვეს ისლამის მოციქულად აირჩევდა.

სამოციქულო მისიის დაწყებისთანავე ბიჭმა პირველმა ირწ-

მუნა მუჰამადის ქადაგებისა და თავის დიდ მეოხს, რითაც შეეძლო, ყველანაირად ეხმარებოდა.

ჯაფარი კი აბასთან დარჩა, სანამ გამუსლიმდებოდა და მისი სახლიდან წავიდოდა.

იმავე იბნ ჰიშამთან დაცული სხვა ცნობის თანახმად, „თავიდან, მოციქული ლოცვის აღსავლენად მექის გარეუბანში მიდიოდა და მას თან მიჰყვებოდა ალიც, მამის — აბუ ტალიბისა და სხვა ნათესავებისა თუ ხალხის უჩუმრად. ორივენი ლოცულობდნენ და შინ მხოლოდ საღამოთი ბრუნდებოდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ალაჰი ინებებდა.

ერთ დღესაც აბუ ტალიბი შემთხვევით გადააწყდა მათ და ჰკითხა მოციქულს ალაჰისას:

— ძმისშვილო, რა რწმენაა, რასაც ადგახარო?

მიუგო: — ძია, ეს ალაჰის რწმენაა, რწმენა მისი ანგელოზებისა, სჯული მამაჩვენის იბრაჰიმისა!

ალაჰის მოციქული ჰყვება:

— და მოვუწოდე მას ჭეშმარიტი გზისაკენ, რამეთუ ყველაზე უფრო მას ეკუთვნოდა მომყოლოდა და ჩემი შემწე ყოფილიყო ამ საქმეში; მაგრამ მითხრა აბუ ტალიბმა:

— ძმისშვილო, მე არ შემიძლია ზურგი ვაქციო ჩემი მამა-პაპის რელიგიას და იმას, რასაც აღიარებდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ ღმერთმანი, სანამ პირში სული მიდგას, არც შენ დაგავალებ იმის რწმენას, რაც არ მოგწონსო!

მერე ალის მიბრუნებია და უკითხავს:

— შვილო, შენც ამ რჯულს ადგახარო?

ალის მიუგია:

— მამა, ვირწმუნე ალაჰი და ალაჰის მოციქული, დავადასტურე, რითაც იგი წარმოიგზავნა. ვლოცულობ მასთან ერთად ალაჰზე და მივყვები მასო.

აბუ ტალიბს უთქვამს:

— ის სიკეთის გარდა არაფრისაკენ გიბიძგებს. ჰოდა, მიჰყევიო!

ამის შემდგომ ირწმუნა მონა ზაიდმაც. დანამდვილებით შეუ-

ძლებელია ითქვას, ამ დროისათვის იგი უკვე აზატყოფილი იყო და მუჰამადს შვილად აეყვანა თუ არა.

მოციქულის ყველაზე ახლო მეგობარი, მდიდარი ვაჭარი აბუ ბაქრიც ამ დროისათვის გამუსლიმდა. სწორედ ამ ჭკვიან, მშვიდ და თავმდაბალ ადამიანს ანდობდა მუჰამადი თავის ფიქრებს მაშინ, როცა იგი ჭეშმარიტ რწმენას ეძიებდა და, ეს კაცი თავისი პირდაპირობისა და მშვიდი ბუნებისა გამო, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. შესაძლოა სწორედ ამიტომაც მიეწერება მას პირველი ხუთი მნიშვნელოვანი მოქცევა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ტრადიცია აქ ცოტას უნდა აჭარბებდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, აბუ ბაქრი გულმოდგინედ ცდილობდა ახალი სარწმუნოების გავრცელებას და საამისოდ ფულსა და ნივთიერ დოვლათსაც კი არასოდეს იშურებდა.

მაგალითად, იმავე შპრენგერთან ვკითხულობთ, რომ აბუ ბაქრი გამოისყიდდა ტყვეებს, რომლებიც შემდგომ ისლამზე ექცეოდნენ და ამისათვის უმკაცრესი დევნის გადატანაც უწევდათ, მაგრამ სამაგიეროდ, ერთგულად ემსახურებოდნენ მოციქულსა და ახალ რელიგიას. აბუ ბაქრის მიერ ამ მიზნისათვის გაღებული ფული კი იმდენად დიდი იყო, რომ მედინაში გადასახლების დროისათვის უწინდელი ქონების ერთი მერვედიღა დარჩენოდა.

ასეა თუ ისე, გამოჩნდა კიდევ რამდენიმე პიროვნება, რომელმაც ირწმუნა მუჰამადის ქადაგება და ისლამი მიიღო. კერძოდ, ორი ჭაბუკი — ერთი თექვსმეტი, მეორე კი ჩვიდმეტი წლისა: ზუბაირი, ნათესავი წინასწარმეტყველისაც და მისი ცოლისაც, და საყდ იბნ აბი ვაკასი — ნათესავი მუჰამადისა. ამის შემდგომ გამუსლიმდნენ ვაჭრები აბდ არ-რაჰმან იბნ აუფი და ტალჰა. ირწმუნა ოსმან იბნ მაყზუნმა — პირქუშმა ენთუზიასტმა, რომელსაც ისლამზე მოქცევამდეც კი ღვინის გემო არასდროს გაესინჯა, თავის დასაჭურისება და ქვეყანაზე ყარიბობა ჰქონდა განზრახული.

მალევე ისლამზე მოექცა ოსმან იბნ აფანიც (შემდგომში — მესამე მართლმორწმუნე ხალიფა), რომელსაც ისლამური წყა-

როები ლამაზი გარეგნობისა და დახვეწილი მანერების ადამიანად ხატავენ.

მას ისლამის აღიარების სრულიად პრაქტიკული მიზეზი ჰქონდა, რაკიღა სურდა ამ გზით მუჰამადის მშვენიერი ასულის რუკაიას ცოლად შერთვაზე ყაბული მიეღო.

ამის შემდეგ ისლამზე ექცეოდნენ ღარიბები, მონები და ქალები.

კრიმსკი სამართლიანად შენიშნავს, რომ ღარიბებსა და მონებს მუჰამადის ქადაგებაში მიმზიდველად უნდა მოჩვენებოდათ ის გარემოება, რომ ისლამი, კერპთაყვანისმცემლობასთან წინააღმდეგობით, პრაქტიკულად, უპირისპირდებოდა მდიდარ მექურ არისტოკრატიას, რომლის სავაჭრო ინტერესებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული პილიგრიმობისას გამართულ ბაზრობებთან.

დოზი წერს: „ერთი ღმერთის რწმენამ და საიქიო სასყიდელზე ფიქრმა ბევრ ადამიანს გაუღვიძა ახალ-ახალ გამოცხადებათა მოთხოვნილება და მუჰამადმაც თავისი ქადაგებით შეძლო ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მის ავადმყოფურ შეტევებში კი ხალხი მისი ღვთაებრივი მისიის პირდაპირ დადასტურებას ხედავდა.“

ამასთან მკვლევრები საგანგებოდ მიუთითებენ ქალთა ისლამზე მოქცევაში ხადიჯას განსაკუთრებულ ზეგავლენას, რომელსაც ყველანი დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ.

## ომარის გამუსლიმება

გამოცხადების მეხუთე წელიწადს ისლამი მიიღო ომარმაც — 26 წლის ახალგაზრდამ, რომელიც ძლიერი აღნაგობით გამოირჩეოდა და იმსიმაღლე ყოფილა, რომ ბრძოლის ველზე ყველა კაცზე ერთი თავით მაღალი მოჩანდა. ამასთან, ომარი იყო ძალზე მოხერხებული და მეტსახელად „ორხელას“ ეძახდნენ, რადგანაც მარცხენა ხელსაც მარჯვენასავით მოიხმარდა.

მის ძლიერ სხეულში ჯასაღი სული იდგა. მუსლიმური გადმოცემები საგანგებოდ შენიშნავენ, რომ ომარს ჭკვიანური მზერა და ნებისყოფის სიმტკიცე გამოარჩევდა. იგი ურყევი, საქმეში თავდადებული ყოფილა. ხოლო ჩანაფიქრის შესრულებისას შეძლებია სასტიკიც ყოფილიყო. მის ამ ღირსებებს ემატებოდა პირდაპირობა და მიუხედავად იმისა, რომ ომარის პირდაპირობაში მახვილი ჭკუა-გონება იფარებოდა, თავკერძა ადამიანი არ ყოფილა და პირადი ინტერესები არასოდეს ამოძრავებდა.

ასეთი კაცის ისლამზე მოქცევას იმხელა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გასაკვირი არაა, თუ გადმოცემა ამ ამბავს სასწაულს მიაწერს. ამ გადმოცემის მიხედვით, მუჰამადი შეევედრებია ალაჰს, ისლამის მნიშვნელობა ამ სჯულზე ომარის ანდა წინასწარმეტყველის დაუძინებელი მოწინააღმდეგის — აბუ ჯაჰლის მოქცევით გაეზარდა. ღმერთმა ისმინა მოციქულის ლოცვა. ერთხელაც ტანზე მახვილშემორტყმულ ომარს გზად ზუჰაირის ტომის კაცი შეხვედრია და უკითხავს, საით გაგიწევიაო. ომარს მიუგია:

— მუჰამადს დავეძებ — ამ საბიელს, რომელმაც შეარყია ჩვენი ძველებური უშფოთველი ყოფა, ბრძენკაცები შეშლილებად გამოგვიცხადა, აბუჩად იგდებს ტრადიციულ სარწმუნოებას და მამა-პაპათა ღმერთებს გვიგინებს. მისი მოკვლა მწადიაო.

კაცს უკითხავს:

— მერედა, ჰაშიმიანთა, ანდა ზუჰრიანთა გვარების შურისგებისა არ გეშინიაო?

— იქნებ შენც საბიელთა სჯული მიგიღია და დაგიგდია ის, რითაც დაიბადეო? — დამცინავად შეუბრუნებია შეკითხვა ომარს.

— ეს საკვირველი სულაც არ არის იმასთან შედარებით, რასაც ახლა გეტყვი: ვიდრე ჩემი რწმენისათვის გაირჯებოდე, ეგებ ჯერ ის შეგეტყო, შენი უახლოესი ნათესავები რა სჯულს ადგანანო.

— ჩემი უახლოესი ნათესავები? ვის გულისხმობო?

— ვის და, შენს დას, ფატიმას და სიძეს საყიდს. ისინი მუსლიმები გახდნენ და მუჰამადის მოწაფენი არიან. სჯობს სანამ ჩემ გამო შეწუხდებოდე, იმათ მიხედოო.

გაცეცხლებული ომარი სიძის სახლისაკენ გაქცეულა. სწორედ ამ დროს კი საყიდთან და მის ცოლთან ერთ-ერთი მორწმუნე — ჰაბაბი მჯდარა და მათ სურა „ტაჰას“ (ყურანის XX სურას) უკითხავდა. ხოლო როგორც კი ომარის ნაბიჯთათვის მოუკრავს ყური, მაშინვე დამალულა.

ომარს შესვლისთანავე უკითხავს:

— რა შარიშური შემომესმაო.

დამხვდურთ უპასუხიათ:

— არაფერი, ერთმანეთს ათასგვარ ამბავს ვუყვებოდითო.

— ეჭვი მეპარება. უფრო ის მგონია, საბიელთა სჯული მიიღეთო.

— თუნდაც ასე იყოს! — წინააღმდეგობა გაუწევია სიძეს, — რა უნდა ქნა, თუ ჭეშმარიტება შენს სჯულში კი არა, სხვაგან იქნებაო!

ომარი ფეხზე წამოჭრილა და სიძეს მივარდნია, ხოლო ფატიმასათვის, რომელიც ქმრის დასახმარებლად გარეთ გავარდნასა და კივილის ატეხვას აპირებდა, ისეთი შემოუკრავს, რომ ქალს ცხვირიდან სისხლის ლიამპარი ნასკდომია.

მაშინ ცოლ-ქმარს უყვირია: დიახ, მუსლიმები ვართ. გვწამს ალაჰი და მისი მოციქული. ახლა, რაც გსურდეს, ის გვიყავიო.

სისხლის დანახვამ ომარი ოდნავ დააშოშმინა და ინანა, რომ ძალა იხმარა. უთქვამს:

— მომეცით ფურცელი, რომელსაც ახლა კითხულობდით. მინდა გავიგო, რას გვაუწყებს მუჰამადიო.

ფატიმას მიუგია: ვერ გავბედავთ, ის ფურცელი შენ რომ გადმოგცეთო.

ომარს უთქვამს:

— ნურაფრის გეშინია, ჩვენს ღმერთებს ვფიცავ, წავიკითხავ და უკანვე მოგცემთო.

— არა, ძმაო, შენ სუფთა არა ხარ. იმ ფურცელს კი მხოლოდ განწმენდილი უნდა შეეხოსო.

ომარი წავიდა, განიბანა და დამ ფურცელი მხოლოდ ამის შემდეგ გამოუჩინა.

რამდენიმე მუხლი რომ ჩაიკითხა, ომარმა თურმე აღტაცებით წამოიძახა: რა დიდებულია, რა ღვთაებრივიაო!

მაშინ სამალავიდან ჰაბაბიც გამოსულა, მათთვის ბოლოხანს მოციქულის ნაქადაგები გადაუცია და ომარისათვის პირობა ჩამოურთმევია, რომ ისლამს მიიღებდა.

— ასე ვიზამ, მაგრამ მუჰამადი სადა ვნახოო? — უკითხავს ომარს.

— ის და მისი მრავალი მიმდევარი ახლა არკამის სახლში, საფას მთასთან ახლოს არიანო. — გაუმხელია ჰაბაბს.

ომარიც მისულა იქ და კარზე დაუკაკუნებია. შიგნით მყოფთაგან ერთ-ერთს მომსვლელის დასაზვერად ჭუჭრუტანიდან გაუხედავს და კართან მდგარი ომარი რომ დაუნახავს, შეშინებული უკან გადმომხტარა და უყვირია:

— ო, მოციქულო, იქ ომარია და მახვილი უჭირავსო!

— შემოვიდეს! — უთქვამს წინასწარმეტყველის ბიძას ჰამზას, რომელსაც ისლამი ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე მიეღო, მომავალში კი ისლამის გასავრცელებლად გამოჩენილი სიმამაცის გამო „ასად ალ-ლაჰი“ — ღვთის ლომი — შეარქვეს, — თუ მშვიდობიანი ზრახვით მოვიდა, ჩვენც ეგა გვწადია, თუ არადა, თავისივე მახვილით წარვწყმედთო.

მუჰამადსაც დასტური მიუცია: შემოვიდესო.

კარი რომ გააღეს, მუჰამადი ჯიქურ მისჭრია ომარს, სამოსის კალთით დაუჭერია და უთქვამს:

— შენ არ გიწერია, უსამართლობას ბოლომდე დანებდე და თავს ღვთის ავი სასჯელი დაგატყდესო.

— ალაჰის მოციქულო, მეც სწორედ იმიტომ მოვედი, რომ მეთქვა: მწამს ალაჰი და მისი მოციქულიო!

დოზი, რომელიც ამ გადმოცემას იმოწმებს, იქვე შენიშნავს, რომ „ეს დრამატული ამბავი, როგორც ლეგენდა, ბუნებრივია, თავის პროპაგანდისტულ მიზანს შესანიშნავად ასრულებს, მაგრამ უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შეცდომა იქნებოდა, იგი ისტორიულ სინამდვილედ მიგვეღო. ეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა, რომელიც საიმისოდაა გამოგონებული,

რომ თან ომარის ისლამზე მოქცევა, რაც შეიძლება ამაღელვებლად დაგვიხატოს და თანაც მისი მოქცევის ფონზე ყურანის დიდებულება წარმოგვიჩინოს.

იმავე მიზანს ემსახურება მეორე გადმოცემა, რომელიც პირველზე ადრინდელი უნდა იყოს და სადაც ომარი თვითონვე მოგვითხრობს, როგორ მივიდა ერთხელ მოციქულთან, რათა მისთვის შუღლი აეტეხა. ამ დროს კი მოესმა, ალ-ქაყბას მახლობლად მუჰამადი 96-ე სურის დასაწყისს კითხულობდა.

მოსმენილი ძალიან მოეწონა და გაიფიქრა: მუჰამადი პოეტიაო.

ამ დროს მუჰამადი მივიდა მუხლამდე: „და არ არის ეს სიტყვა პოეტისა!"

ომარი გადმოგვცემს: „გავიფიქრე: პოეტი კი არა, მისანი ყოფილა, რაკიღა ჩემს ფიქრსაც კი კითხულობს-მეთქი.

მუჰამადმა კი განაგრძო: „და არ არის ეს სიტყვა მჩხიბავისა!"

ამ დროს რწმენამ ჩემს გულში ღრმად გაიდგა ფესვი."

იბნ ჰიშამთან დამოწმებული ამ ორი გადმოცემის კომენტირებისას ევროპელი ისლამმცოდნეები შენიშნავენ, რომ აღნიშნულ გადმოცემათა კეთილი ნების შემკრებთ მხედველობიდან გამორჩათ ერთი გარემოება: მუჰამადის გამოცხადებანი ყველასათვის ცნობილი იყო, ამიტომაც ომარს უშუამავლოდაც შეეძლო მოესმინა მოციქულის ქადაგება მისი მისიის დაწყებიდან მეხუთე წლის თავზე. ომარის გამოუსლიმება კი მოულოდნელად და შემთხვევით არ მომხდარა და შეიძლება საფუძვლიანად დავეჭვდეთ იმაშიც, იყო თუ არა იგი როდესმე ისეთი შეურიგებელი მოწინააღმდეგე ისლამისა, როგორადაც ეს გადმოცემები გვიხატავენ. მისმა სიძემ საყიდმა ხომ შემდგომში ქუფის კათედრიდან განაცხადა, რომ ომარი ჭეშმარიტ სჯულზე მასსა და მის ცოლზე უწინ, მანამდე მოექცა, ვიდრე თვითონ ამას ხმამაღლა, დაუფარავად გამოაცხადებდა.

ხოლო, როგორც ჩანს, სინამდვილეში საქმე ის იყო, რომ ომარის გვარი უარს ამბობდა მის დაცვაზე, თუკი იგი ისლამს მიიღებდა. ამდენად ომარი თავს მძიმე ხიფათში ჩაიგდებდა, თუ

ისლამზე გავლენიანი მფარველისა და ქომაგის გამოჩენამდე მოექცეოდა, ხოლო როცა ასეთი კაცი ანუ ას იბნ ვალი ას-საღმიი გამოჩნდა, ომარმა შეძლო თავისი ზრახვები ხმამაღლა განეცხადებინა.

ამ ლეგენდებიდანაც კარგად ჩანს, რომ ომარის ისლამზე მოქცევას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. ისლამის ევროპელი მკვლევრები სრულიად დარწმუნებული არიან, რომ უმისოდ და აბუ ბაქრის გარეშე, ისლამი ვერასოდეს გაიმარჯვებდა. ასეთია შპრენგერის აზრი, რომელიც ომარს ისლამის ისტორიულ ფუძემდებლად განიხილავს. მური კი უფრო ზომიერ შეფასებას გვთავაზობს.

დოზისათვის „ერთი რამ ცხადია: მუჰამადი ღვთივშთაგონებული ადამიანი იყო, მაგრამ მას აკლდა პრაქტიკული ჭკუა და ენერგია. ამ ღირსებათაგან პირველს — აბუ ბაქრი, ხოლო მეორეს ომარი ფლობდა. ისინი ავსებდნენ მოციქულს, რომელსაც მათ გარეშე არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მუჰამადი თითქოს მიჯაჭვული იყო ამ ორ ადამიანზე და ჩვევად ჰქონდა, ეთქვა: „მე, აბუ ბაქრი და ომარი წავედით აქა და აქ“; „მე, აბუ ბაქრი და ომარი მოვედით აქედან და აქედან“, „მე, აბუ ბაქრმა და ომარმა გავაკეთეთ ესა და ეს.“

თავის მხრივ, აბუ ბაქრი და ომარიც გრძნობდნენ, რაც აკლდათ და თავიანთი თვისებების უკმარისობას გონივრულად აცნობიერებდნენ. აბუ ბაქრს მუჰამადში ენთუზიაზმი და ორიგინალურობა იზიდავდა, ომარს კი ამ ყველაფერთან ერთად, მოციქულის დაუცველობაც აღანთებდა და ისიც, რომ წინასწარმეტყველს მისი თანადგომა და დახმარება სჭირდებოდა. ადამიანის ბუნებისათვის ხომ მისი ხასიათის საწინააღმდეგო თვისებებისაკენ ლტოლვა ჩვეულებრივი რამაა. ძლიერი კაცი სწორედ სუსტსა და დაუცველში ეძიებს და პოულობს ღვთაებრივს. ამიტომაც ეთაყვანებოდნენ განსაკუთრებული გზნებით თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი რაინდები ქალწული მარიამის ხატს, რომელსაც ხელში ეჭირა ჩვილი მაცხოვარი.

„ერთი სიტყვით, — განაგრძობს დოზი, — ტრიუმვირატი

სრულად იყო წარმოდგენილი: მუჰამადი ფიქრობდა, აბუ ბაქრი ლაპარაკობდა და ომარი მოქმედებდა. ყველა იმ შემთხვევაში, როცა კაცი, თუ თავის თავიდან გამომდინარე ილაპარაკებს, თავსა და საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს (ასეთი შემთხვევები კი ცხოვრებაში არცთუ ესე ცოტაა), სიტყვას აბუ ბაქრი ამბობდა და ამას შემრიგებლურად, შეურყეველი ნებით აკეთებდა.

ბრძანება, მუქარა ანდა უხეში ძალა იყო საჭირო? — ინიციატივას ხელში უკვე ომარი იღებდა."

ამრიგად, მუჰამადის პირველივე მიმდევართა შორის აღმოჩნდნენ ნიჭიერი და მოაზროვნე ადამიანები, თუმცა კი ისინი საზოგადოების მაღალ ფენებს არ მიეკუთვნებოდნენ. პირიქით, ახალმოქცეულ მუსლიმთა დიდ ნაწილს დაბალი ფენის შვილები შეადგენდნენ. ამასთან, წინასწარმეტყველის მიმდევართა რიცხვი თავიდან ძალზე უმნიშვნელო იყო და იმხანად, როცა ომარი ისლამზე მოექცა, ას კაცზე ცოტა მეტი თუ იქნებოდა.

## მექურში არისტოკრატია და მისი რეაქცია მუჰამადის ქადაგებაზე

მექელთა ძირითადი ნაწილი კი ახალ მოძღვრებას გულგრილად მოეკიდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ისლამი, ერთი შეხედვით, მათთვის ახალს არაფერს ქადაგებდა, ამდენად არც ის მიმზიდველობა გააჩნდა, რაც ორიგინალურობასა და სიახლეს ახასიათებს. მათი შეხედულებით, ეს, არსებითად, იგივე ჰანიფიზმი იყო. თვითონ მუჰამადიც ხომ თავის თავსა და მიმდევრებს „ჰანიფად" ანდა „მუსლიმად" მოიხსენიებდა და ამ სიტყვით აღნიშნავდა ადამიანს, რომელიც თავს უძღვნის ერთადერთ, განუყოფელ ყოვლისმპყრობელ უფალს და ემორჩილება მის ნებასა და ყველანაირ მითითებას, როგორი უჩვეულო, მკაცრი და დამთრგუნველიც არ უნდა მოეჩვენოს ეს მითითებანი.

შპრენგერის აზრით, ამავე სიტყვით („მუსლიმ") მოიხსენიებდნენ თავიანთ თავს უწინ ჰანიფებიც. მექელები კი, რო-

გორც ომარის მოქცევასთან დაკავშირებული ლეგენდებიდანაც დავინახეთ, მუჰამადის მიმდევრებს, ჩვეულებრივ, „საბიელებს“ უწოდებდნენ (და როგორც უკვე აღინიშნა, ჰანიფიზმის ერთერთი სახეობა ასევე საბიელთა სახელს ატარებდა).

მუჰამადის ქადაგების ერთადერთი სიახლე (ყოველ შემთხვევაში, როგორც ეს პირველ ხანებში ჩანდა) იყო ის, რომ იგი საკუთარ თავს ალაჰის მოციქულად აცხადებდა. მაგრამ სწორედ ეს გამოდგა ის საბედისწერო პუნქტი, რომელიც მექელთა იმ ნაწილისათვის, ვისაც საბიელთა საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია, მიუღებელი და სასაცილო აღმოჩნდა. საბოლოოდ, მუჰამადზე თითქმის ყველა ერთი აზრისა იყო: ზოგს ეცოდებოდა ეს „საბრალო“, „სნეული“ კაცი და ცდილობდა, საშველი მისთვის წამლობითა და აქიმობით მიეცა, ზოგი ჯადოქრად, ანდა მატყუარად თვლიდა, ხოლო ბევრი შლეგად მიიჩნევდა და აბუჩად იგდებდა. „შეხედეთ, მოდის აბდ ალ-ლაჰის ძე და ჩვენთვის ციდან ამბები ჩამოაქვს!“ — ქირქილებდნენ მის დანახვაზე.

რაც შეეხება მექის არისტოკრატიას, რომელიც დაახლოებით 25 კაცს ითვლიდა და რომელსაც მექის რესპუბლიკის მართვა-გამგებლობის სადავეები ეჭირა ხელში, იმ გამჭრიახობის წყალობით, რაც, როგორც ჩანს, ყველა დროისა და ქვეყნის ოლიგარქიას ერთნაირად ახასიათებს, მუჰამადის საქმიანობაში საფრთხე უცებ და მანამდე დაინახა, ვიდრე ამას თვითონ მუჰამადი მიხვდებოდა.

მექური არისტოკრატია კი იმთავითვე მიხვდა, რომ ახალი მოძღვრება სახელმწიფო და საზოგადოებრივი გადატრიალების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რადგან თუ ხალხი როდესმე არა საქაოსათვის, არამედ საიქიოსათვის ცხოვრებას გადაწყვეტდა, მაშინ მექური არისტოკრატიის ზეგავლენა თავისთავად შესუსტდებოდა და ადგილს დაუთმობდა იმის ზეგავლენას, ვისაც ქვეყანაზე ღვთის ნების აღმსრულებლად და წარმომადგენლად მიიღებდნენ. იმის მიხვედრას კი აღარაფერი უნდოდა, რომ ასეთი კაცი მხოლოდ ციურ კარიბჭეთა გასაღების ფლობით არ შემოიფარგლებოდა და ქვეყნიურ ტახტსა თუ სკიპტრასაც მოითხოვდა.

მექელ არისტოკრატთა შორის აქა-იქ კეთილშობილი, დიდბუნებოვანი ადამიანებიც ერია, რომლებიც საუცხოო გამჭრიახობით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ომაიანთა შეიხი აბუ სუფიანი, მექაში დიდად გავლენიანი კაცი და დამასკის მომავალ ხალიფათა მამამთავარი ძველ არაბ დიდგვაროვანთა ტიპური წარმომადგენელი იყო ჭკუა-გონების, ზომიერებისა და ღირსების თვალსაზრისით.

ახალ ისლამს იგი სიძულვილით არ ეკიდებოდა და ამ გრძნობას თავისი ცოლის — ჰინდის ვნებათა საქმედ მიიჩნევდა, მაგრამ მუჰამადის მოძღვრებას ზემოდან და აგდებით უყურებდა. მუჰამადთან ზრდილობის გარეგნულ წესებს იცავდა, როგორც ამას ზრდილი დიდგვაროვნები აკეთებენ მათზე დაბლა მდგომ ადამიანებთან მიმართებით, მაგრამ საიდუმლოდ ხრიკებს ხლართავდა მის წინააღმდეგ და არ სწყალობდა თავისი გვარის იმ ხალხს, ვინც ისლამის მიღებას გაბედავდა.

მეორე — ყველაზე მრავალრიცხოვანი ზეპური გვარის, მაჰზუმის მთავარი — ვალიდ იბნ მუღირა — ისლამის ყველაზე შეურიგებელი და ულმობელი მტერი აღმოჩნდა. თუმცა, ამავე დროს, იგი ღირსებით სავსე, რაინდული სულის ადამიანიც იყო. როცა ისლამზე მოქცეული ენთუზიასტი ოსმან იბნ მაყზუნი ყოველგვარი თანადგომის გარეშე დარჩა და დახმარების თხოვნით ვალიდ იბნ მუღირას მიმართა, ამ უკანასკნელმა უსასოოდ დარჩენილი კაცი საკუთარ ჭერქვეშ შეიფარა და საშუალება მისცა, თავისუფლად ეფიქრა და ეკეთებინა, რაც ეწადა. ხალხში კი გამოაცხადა, რომ თუკი ვინმე მისი მფარველობის ქვეშ მყოფი იბნ მაყზუნის წყენინებას მოინდომებდა, ამას საკუთარ შეურაცხყოფად და დამცირებად მიიღებდა.

მან მოინდომა ახალი მოძღვრება უხეში ძალით კი არა, დარწმუნების, არგუმენტაციისა და მსჯელობის მეშვეობით დაემარცხებინა. ამისათვის გარს საზრიანი, მცოდნე ხალხი შემოიკრიბა და გადაწყვიტა, მუჰამადი სიყალბესა და წინააღმდეგობრივობაში ემხილა.

მოციქულმა ეს კაცი სერიოზულ მოწინააღმდეგედ აღიქვა და

საპასუხოდ, განაცხადა, რომ მისი ადგილი ჯოჯოხეთის უმდაბლეს შრეში იყო გამზადებული (შდრ: სურა LXXIV, 26; ასევე CIV, 1). მაგრამ ამ გამოცხადებამ მექელთა დაცინვა და საყოველთაო მხიარულება გამოიწვია, რადგან ამ ფრაგმენტში ჯოჯოხეთის მცველ ანგელოსთა რიცხვი ცხრამეტი ანგელოსით იყო განსაზღვრული.

ჯან-ღონით სავსე მექელმა აბუ აშადმა, რომელსაც მხარს აბუ ჯაჰლი უმაგრებდა, წამოიძახა, რომ მზად იყო, ჩვიდმეტს მარტოდმარტო გასწორებოდა, დანარჩენი ორის მომრევი კი ალბათ სხვაც ვინმე მოინახებოდა (გადმოცემის თანახმად, მას უნდა მიემართებოდეს მოციქულის პასუხი LXXXIV სურის 31-34 აიებში — თუ, რა თქმა უნდა, ეს მედინური ფრაგმენტი არაა).

მექელი არისტოკრატიის, ურწმუნოთა და სხვათა არაკეთილგანწყობამ მუჰამადი ძალზე მძიმე დღეში ჩააგდო. მისი პირველი ნაბიჯები სავსებით მოკრძალებული იყო: თავდაპირველად ხმამაღლა თავს მოციქულად არ აცხადებდა და ცდილობდა, ჩუმად მიემხრო ხალხი. მაგრამ, როცა სამოციქულო მისიის მეოთხე თუ მეხუთე წელიწადს ციდან ებრძანა, ღიად, სახალხოდ გაევრცელებინა სიტყვა ალაჰისა, მექაში ნამდვილი ქარიშხალი დატრიალდა.

ჟინიანი ქადაგი ხომ კერპებს ანუ, დღევანდელი გაგებით, სახელმწიფო რელიგიას უტევდა და ამდენად, არისტოკრატია უკვე გულგრილი მაყურებლის როლში ვეღარ დარჩებოდა. სხვათა შორის, მისი ძალაუფლება და ზეგავლენა ძალზე მყარი ისედაც არ ყოფილა: მექის მსგავს თავისუფალ ქალაქ-სახელმწიფოში, სადაც თითოეული მოქალაქე თავისი გვარის თანადგომითა და მფარველობით იყო გარემოსილი, გვარის მეთაურის გარდა, ადამიანის პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა არავის შეეძლო.

ამიტომაც მექელმა არისტოკრატებმა მუჰამადის ბიძასა და ერთადერთ მფარველს აბუ ტალიბს მიმართეს და სთხოვეს თავისი ძმიშვილი დაეყოლიებინა — ან დადუმებულიყო ან თვითონვე მის მფარველობაზე უარი ეთქვა. აბუ ტალიბმა მათი ერთიცა და მეორე მოთხოვნაც ძალზე მოზომილად უარყო. ახალი სარწმუნოების მიმართ კეთილგანწყობილი სულაც არ ყოფილა. ცხოვრების ბოლომდე მამა-პაპათა სჯულის ერთგული დარჩა და

ისე გარდაიცვალა, რომ ისლამი არ მიიღო, მაგრამ აბუ ტალიბის მართალი და თავისუფლებისმოყვარე გული ერთი წამითაც ვერ დაუშვებდა, ვინმესათვის საკუთარ შეხედულებებზე უარისთქმა აეძულებინა.

თუმცა, როცა მექურმა არისტოკრატიამ ცოტა ხნის შემდეგ იმავე მოთხოვნით ხელახლა მიმართა და ამჯერად, მხოლოდ კი არ სთხოვეს, არამედ დაემურქნენ კიდეც, აბუ ტალიბი ამ გარემოებამ შეაშფოთა და მხურვალედ შეევედრა თავის ძმიშვილს ტომთა შორის სისხლისღვრისა და შუღლის გაღვივებას ხელს ნუ შეუწყობდა.

მუჰამადმა კი მიუგო: „ალაჰსა ვფიცავ, მარჯვენაში მზე რომ მომცენ, მარცხენაში — მთვარე და მითხრან, სამაგიეროდ უარი ვთქვა ამ დიდებულ საქმეზე, ვიდრე უფალი მას გამარჯვებით დააგვირგვინებდეს, ხოლო თუ მათ მოთხოვნას არ დავემორჩილები, დაღუპვით დამემუქრონ, მე მაინც ჩემს საქმეზე ხელს არ ავიღებდი.“

ამის თქმაზე მუჰამადს ცრემლი წამოსცვივდა და გარეთ გავიდა. აბუ ტალიბმა ძმისშვილი შიგნით შემოაბრუნა და უთხრა: რაც გინდა, ის აკეთე! მე მფარველობას არ მოგაკლებ, შენს თავსა ვფიცავო!

როგორც არ უნდა ყოფილიყო, აბუ ტალიბი მხოლოდ იმას მოახერხებდა, ძმისშვილი თავისი მფარველობით სიკვდილისაგან გადაერჩინა, დაცინვისა და შეურაცხყოფისაგან მისი დაცვა კი არაფრით შეეძლო.

დაცინვა და შეურაცხყოფა კი, მართლაც, სეტყვასავით წამოვიდა. როცა მუჰამადი ყურანის აიების კითხვას შეუდგებოდა, ამ დროს რომელიმე მექელი მის ახლოს დგებოდა და არაკების მოყოლას დაიწყებდა, სხვა ლექსს კითხულობდა, მესამე კი სიმღერას შემოსცხებდა. წინასწარმეტყველს თავზე აფრქვევდნენ სიბინძურესა და ნაგავს, და ერთი სიტყვით, ყველა მდაბალი და ბარბაროსული საშუალებით ცდილობდნენ მისთვის ადამიანური ღირსება აეყარათ.

მაგრამ მუჰამადს ამ ვითარებაზე არანაკლებ აწუხებდა ის

გარემოება, რომ მისმა ქადაგებამ, პრაქტიკულად, ნაყოფი ვერ გამოიღო. იმქვეყნიური თუ ამქვეყნიური სასჯელის მუქარით, ყველანაირად ცდილობდა სკეპტიკოსებისათვის შიში ჩაენერგა. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა იმ თავისთავად სწორი დებულებით, რომ მხოლოდ მომავლის შიში მოქმედებს მასაზე ყველა დანარჩენ საშუალებაზე ეფექტურად, მაგრამ მექელებზე ამ მუქარამ ოდნავადაც კი ვერ იმოქმედა.

მექელთათვის დაპირებული ღვთიური სასჯელი, რომელიც, მუჰამადის სიტყვებით, მათ წუთისოფელშივე უნდა მოსწეოდათ, როგორც აღმოჩნდა, თავს არავის დასტეხია. ეს გარემოება კი მოციქულს სასაცილო ვითარებში აყენებდა. გარდა ამისა, მექელთათვის საიქიო სასჯელის მუქარა სავსებით უიმედო საქმე იყო, რადგან მათ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობა არ სჯეროდათ. წინასწარმეტყველი ამაოდ ცდილობდა, ამ საკითხზე მათი შეხედულება შეეცვალა. ტყუილუბრალოდ მიმართავდა ათასგვარ — ამ ხალხის აზრით — უცნაურ და ზოგჯერ უხეშ დასაბუთებასაც კი იმ მიზნით, რომ თანამემამულენი სულის უკვდავებაში დაერწმუნებინა. და რაკიღა ამ თვალსაზრისით მათი დაყოლიება ვერ შეიძლო, ჯოჯოხეთის მთელი მისი აღწერილობანი, რა შემზარავადაც არ უნდა წარმოესახა ეს ჯოჯოხეთი, მექელებზე უფრო მეტად ვერაფრით იმოქმედებდა, ვიდრე ის ამბები, რასაც გარდასულ ერთა შესახებ ჰყვებოდა, რომელთაც ღვთის სასჯელი ურწმუნოებისა და მოციქულთა ურჩობის გამო მიეწიათ. მუჰამადის ევროპელ ბიოგრაფთა აზრით, ამ ამბებმა, ყურანის მნიშვნელოვან ნაწილს რომ შეადგენს, მოციქულს ზიანი უფრო მისცა, ვიდრე სარგებელი.

დოზი აღნიშნავს: „ამ ამბავთა უმეტესი ნაწილი ძველ აღთქმაშიცაა მოთხრობილი. მაგრამ მუჰამადმა ბიბლია არ იცოდა და მხოლოდ ებრაული გადმოცემები ჰქონდა გაგონილი სხვა პირთაგან, რომლებიც, როგორც ჩანს, ერეტიკული მიმართულების ისრაელიანები უნდა ყოფილიყვნენ. მექელებს კი მხედველობის არედან არაფრით არ გამოეპარებოდათ ის გზა, რითაც მუჰამადი ამ გადმოცემებს ითვისებდა; ამიტომაც ისინი საგანგებოდ მოუ-

წოდებდნენ ებრაელებს, „თვითმარქვია წინასწარმეტყველი“ ბიბლიური ისტორიის დამახინჯებასა და უცოდინრობაში ემხილათ.

ამრიგად, დიდი საქმე წინ ვერ მიდიოდა. ამ დროს კი ის ახალმოქცეულნი, განსაკუთრებით მონები და ქალები, რომელთაც ძლიერი მფარველები არ გააჩნდათ, დევნისა და უხეში ძალმომრეობის სამიზნედ იქცნენ. ზოგი მონა თუ მხევალი თავისი ურყევი რწმენის საფასურად სიცოცხლესაც კი იღებდა და ამგვარად გაჩნდნენ ისლამისათვის პირველი წამებულნიც. ბევრი მათგანი კი აბუ ბაქრმა გამოისყიდა და გაათავისუფლა. თვითონ მუჰამადს ამის გაკეთება არ შეეძლო, რადგან იმხანად ქონებრივი და ნივთიერი ვითარება საგრძნობლად გაუუარესდა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, და არა მხოლოდ მონათა შორის, რომელთაც უარი თქვეს სარწმუნოებაზე და ისლამს გაემიჯნენ.

## ე. წ. პირველი ჰიჯრა აბისინიის ქრისტიანულ სახელმწიფოში

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, დაახლოებით 615 წელს, თვითონ მუჰამადმა იმ მუსლიმებს, რომელთაც საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრებოდათ, ურჩია, მექიდან ქრისტიანულ აბისინიაში გადასახლებულიყვნენ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ვითარების დასაზვერად უცხო მხარეში ცოტანი გაემგზავრნენ და სულ აბისინიაში 11 მუსლიმი გადასახლდა.

აბისინიაში გადასახლების ამბავსა და წინაპირობებს მუსლიმი ისტორიკოსები ასე აღგვიწერენ:

მექელი წარმართების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მუჰამადს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ადამიანი უჭერდა მხარს და ახალ სჯულზე ექცეოდა. იმდენად, რომ იმავე აბუ ჯაჰლის ძმა — სალმა იბნ ჰიშამი, ვალიდ იბნ აბთას ძე — ვალიდ იბნ ვალიდი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაგან თითოეული მექელ არისტოკრატთა ამა თუ იმ ოჯახს ეკუთვნოდა, კერპთაყვანისმცემლობაზე ხელს იღებენ და ისლამზე გადადიან.

ცხადია, ამან კურაიშელთა გაღიზიანება და მრისხანება კიდევ უფრო გაამძაფრა. საბოლოოდ კი მუჰამადის მიმდევართა არნახული დევნა-შევიწროება დაიწყო.

მუსლიმები რამდენადაც შეეძლოთ, მედგრად იგერიებდნენ მოწინააღმდეგეთა ყველა შემოტევას და ბევრი მათგანი საშინელი წამებით კვდებოდა. ბოლოს ვითარება ისე გართულდა, რომ მუჰამადის მომხრეებმა გამოსავლის, ხსნის გზისა და საშუალების ძიება დაიწყეს.

ახალი მუსლიმები თავიანთ გასაჭირს მუჰამადს შესჩიოდნენ, მაგრამ თვითონ მოციქული რაკიღა სხვა გზას ვერ ხედავდა და წარმართთა მხრიდან თვითონაც, თუ სხვებზე მეტად არა, ნაკლებად არ იტანჯებოდა, თავის მიმდევრებს მოთმინებასა და გამძლეობას უქადაგებდა. მაგრამ როცა მათი ტანჯვის ყურებას ვეღარ გაუძლო და უმწეო მუსლიმთა დასახმარებლად სხვა ვეღარაფერი იღონა, უბრძანა მათ თავი დროებით აბისინიის (ეთიოპიის) სახელმწიფოში შეეფარებინათ.

მუსლიმი ისტორიკოსების მონათხრობით, მუჰამადს უთქვამს:

— იქ სამართლიანი და ღირსეული ხელმწიფე მეფობს და მისი მფარველობის ჩრდილში ჩაგვრასა და დამცირებას გადაურჩებით. წადით მის სამეფოში და ეგებ ღმერთმა ამით მუსლიმთა გამარჯვება და საქმის გამოსწორება ინებოსო![1]

მექიდან გამგზავრების სურვილი ბევრმა მუსლიმმა გამოთქვა. პირველი ჯგუფი კი, რომელთა შორისაც ოსმან იბნ აფვანი და მისი ცოლი, მოციქულის ასული რუკაია, ზუბაირ იბნ ავამი, აბდ ალ-ლაჰ იბნ მასყუდი, მუსყაბ იბნ უმაირი, ოსმან იბნ მაზყუნი და სხვებიც ერივნენ, სულ თერთმეტი კაცისაგან შედგებოდა.

მათ კვალდაკვალ აბისინიის გზას გაუდგა მეორე ჯგუფი, მათ შორის ჯაყფარ იბნ აბი ტალიბი და მისი მეუღლე და ბიძაშვილი ასმა.

მუსლიმი ისტორიკოსების ცნობით, მაშინ სულ აბისინიაში

---

[1] მუსლიმური ანალები აბისინიის მაშინდელ ქრისტიან ხელმწიფეს ნაჯაშიდ ან ნაკუსად მოიხსენიებენ. ზოგიერთ ავტორს ეს გაგებული აქვს, როგორც აღნიშნული პირის საკუთარი სახელი, ზოგი კი საგანგებოდ მიუთითებს, რომ „ნაჯაში" ეთიოპიის ქრისტიან გამგებელთა სამეფო ტიტული იყო, ხოლო თვით მუსლიმთა მფარველ მეფეს ასჰამა ერქვაო.

82 თუ 83 ადამიანი გადასახლდა, უწლოვანი ყრმებისა თუ იმ ახალშობილთა ჩაუთვლელად, რომლებიც შემდგომ აბისინიაში დაიბადნენ.

ისლამის ისტორიაში პირველი მუჰაჯირები ახალ ქვეყანაში დაფუძნდნენ და ეთიოპიის კეთილი და სამართლიანი ქრისტიანი მეფის წყალობით მშვიდად ცხოვრება გააგრძელეს. ახლა მათ აღარავინ ერჩოდა და სდევნიდა რწმენის გამო და შეეძლოთ, გულწრფელად ეზრუნათ უფლისა და მის მიერ ნაბოძები სჯულის გავრცელებისათვის. მართალია, სამშობლოს მონატრება ადვილი ასატანი არ იყო, მაგრამ მექაში გადატანილ თუ მოსალოდნელ დამცირებასა და ტანჯვასთან შედარებით, ნოსტალგია ღვთის წყალობად ეჩვენებოდათ.

მათი თანამემამულე არისტოკრატული წარმოშობის წარმართები კი მაინც არ ცხრებოდნენ. როცა მუსლიმების აბისინიაში გადასახლებისა და მათი იქ მშვიდობიანად დამკვიდრების ამბავი შეიტყვეს, გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, თანაქალაქელები უკან დაებრუნებინათ და მერე სამაგალითოდაც დაესაჯათ.

ამ მიზნით, სახალხო კრება მოიწვიეს და გადაწყვიტეს აერჩიათ ორი კაცი, რომელთაც აბისინიის ხელმწიფის წინაშე საჩუქრებით წარავლენდნენ და სთხოვდნენ, რომ თავისთან შეფარებული მუჰამადის მომხრეები უკან, მექაში უსწრაფესად დაებრუნებინა.

ეთიოპიის ხელმწიფესთან გასაგზავნად ამრ იბნ ასი და ამარა იბნ ვალიდი შეარჩიეს.[2]

ამრ იბნ ასი ცნობილი იყო თავის გამჭრიახობით, ცბიერებითა და მჭევრმეტყველების უდიდესი ნიჭით, ხოლო ამარა იბნ ვალიდი მექის ერთ-ერთი ყველაზე ახოვანი და სილამაზით სწორუპოვარი ჭაბუკი იყო, რომელიც შესანიშნავ სატრფიალო ლექსებს წერდა და ხიფათს მოწყურებულს ბრძოლა სანაქებოდ ემარჯვებოდა.

[2] იბნ ჰიშამი ამ უკანასკნელის ნაცვლად, აბდ ალ-ლაჰ იბნ აბი რაბიყას ასახელებს, თუმცა მოგვიანო ხანის თითქმის ყველა წყაროში სწორედ ამარა იბნ ვალიდი გვხვდება და ჩვენც სწორედ ამის გამო აღნიშნულ ვერსიას დავუჭირეთ მხარი.

ეთიოპიაში წასვლა რომ დააპირეს, ამრ იბნ ასს ცოლმა სთხოვა, თან წამიყვანეო, და იმდენი ეჩიჩინა, ვიდრე ქმარმა საწადელი არ შეუსრულა.

მგზავრები ჯიდაში ჩავიდნენ და სანამ იქაურ ნავსაყუდელში ეთიოპიისაკენ მიმავალ ხომალდზე ავიდოდნენ, ღვინით კარგად გამოიბრუჟნენ.

ხომალდზე ამარამ ამრ იბნ ასს უთხრა: შენს ცოლს უბრძანე, ერთი მაკოცოსო! ამრ იბნ ასი, რა თქმა უნდა, უარზე დადგა.

მაშინ მთვრალმა ჭაბუკმა გადაწყვიტა, იგი ხომალდიდან ზღვაში გადაეგდო, თვითონ კი მის ცოლთან კავშირი დაეჭირა.

ასეც მოიქცა. გემბანზე გასულ ამრ იბნ ასს, რომელიც ზღვის ტალღათა ცქერით გართულიყო, უკნიდან მიეპარა, ხელი ჰკრა და ზღვაში გადაუძახა.

მაგრამ ამრ იბნ ასმა იმარჯვა, ხომალდის თოკზე დაეკიდა და მეზღვაურთა და სხვა მგზავრთა დახმარებით გემბანზე უვნებელი ამობრუნდა. თუმცა მაშინ ამარა იბნ ვალიდისათვის არაფერი უთქვამს, რადგან ამარა უმტკიცებდა, ყველაფერი მხოლოდ ხუმრობით გავაკეთეო, ეს ამბავი ვითომ თვითონაც ხუმრობად მიიღო, სინამდვილეში კი შურის საძიებლად და ჯავრის ამოსაყრელად შესაფერის დროსა და შემთხვევას დაელოდა.

ამრ იბნ ასი და ამარა ასე ჩავიდნენ აბისინიაში და ზოგიერთი ცნობის მიხედვით, სანამ ხელმწიფის კარზე წარდგებოდნენ, მანამდე ამ ქვეყნის დიდებულები და სამეფო კართან დაახლოებული პირები მოისყიდეს, რათა საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის მმართველთან მათთვის მხარი დაეჭირათ. მერე კი ნაჯაშისაც ეახლნენ და საკმაოდ უხვი ძღვენი მიუტანეს. თავიანთი ჩამოსვლის მიზანი გაუმხილეს და მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, ჩვენმა რამდენიმე უმეცარმა და უგუნურმა ახალგაზრდამ ცოტა ხნის წინათ საკუთარ რელიგიაზე ხელი აიღო და ახალი სჯულის მიმდევრობა დაიჩემა. მათი სჯული არც ჩვენი სარწმუნოებაა და არც თქვენი რელიგია. ესენი ახლა თქვენს ქვეყანაში გამოიქცნენ და თავი აქაურობას შემოაფარეს. ამიტომაც მათმა უფროსებმა — ტომის, გვარის,

ოჯახების მეთაურებმა თქვენთან გამოგვაგზავნეს და გვთხოვეს, ეს ხალხი ისევ მათ სამშობლოში დაგვებრუნებინა.

ამ დროს დარბაზში დუმილი გამეფდა. კურაიშელთა წამოგზავნილები ღელავდნენ, ემანდ, ნაჯაშიმ მუსლიმები თავისთან არ დაიბაროს და მათაც არ მოუსმინოს, თორემ მერე მის დარწმუნებას ჩვენ ვერაფრით მოვახერხებთ და აბისინიის ხელმწიფე მხარს უსათუოდ ლტოლვილებს დაუჭერსო.

სწორედ ამ დროს დაიწყეს საუბარი მათ მიერ წინასწარ მოსყიდულმა დიდებულებმა და განაცხადეს:

— მეფეო, ეს ორი კაცი სიმართლეს უნდა მოგვახსენებდეს. უფროსებმა, მართლაც, ახალგაზრდებზე უკეთ იციან, რა უფრო არგებს გამოუცდელებს და ამიტომაც ამ ახალგაზრდების ნება უფროსების ხელში უნდა იყოს. დავაბრუნოთ ისინი თავიანთ ქვეყანაში და ჩავაბაროთ მათსავე მეთაურებსო!

მაგრამ ნაჯაშიმ, რომელიც აღელვებული და შეწუხებული ჩანდა, დაიძახა: — ვფიცავ უფალს, სანამ ლტოლვილებს არ შევხვედრივარ და მათი სათქმელიც არ მომისმენია, ამ ორ კაცს მათ არასოდეს ჩავაბარებ. ეს ლტოლვილები ჩემი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და თავი ჩვენს ქვეყანას შემოაფარეს. ამიტომაც ჯერ ჩემთან უნდა ვიხმო, ამბავი გამოვკითხო და გავარკვიო, ეს ორი მართალს ამბობს თუ არა. თუ დავინახავ, რომ სიმართლეს ამბობენ, ლტოლვილებს მხოლოდ მაშინ ჩავაბარებ, თუ არა, დავიცავ მათ და რამდენ ხანსაც მოისურვებენ, ამ მიწა-წყალზე ვაცხოვრებო!

ნაჯაშიმ მართლაც იხმო მუჰაჯირები. მათ რომ ხელმწიფესთან გამოძახების მიზეზი შეიტყვეს, ერთად შეიკრიბნენ და თათბირი დაიწყეს, რა უნდა ეთქვათ ეთიოპიელი ხელმწიფისათვის. გადაწყვიტეს მმართველის წინაშე ყველაფერი გულწრფელად განეცხადებიათ და მის ყველა შეკითხვაზე ჭეშმარიტი პასუხი გაეცათ, თუნდაც ეს გულწრფელობა ხელახალი ლტოლვილობის მიზეზად ჰქცეოდათ.

სასაუბროდ ჯაყფარ იბნ აბი ტალიბი ამოარჩიეს და ხელწიფის კარისაკენ გაემართნენ. მაგრამ იქ მისულები სხვათა

მსგავსად ნაჯაშის წინაშე პირქვე არ დამხობილან და ხელმწიფისათვის თაყვანი არ უციათ. დარბაზში შევიდნენ და უსიტყვოდ ჩამოსხდნენ.

ერთ-ერთმა ხუცმა მუჰაჯირებს უბრძანა: ხელმწიფეს მუხლი მოუყარეთ და თაყვანი ეცითო!

ჯაყფარ იბნ აბი ტალიბმა მიუგო: ჩვენ უფლის გარდა თაყვანს არავის ვცემთო!

ამრ ასმა, რომელიც მათი ხელმწიფის კარზე მიხმობით აღელვებული იყო და საბაბს ეძებდა, რომ მუსლიმები ნაჯაშის თვალში უწესრიგო ავანტურისტებად წარმოეჩინა, ამ ვითარებაში მარჯვე შემთხვევა იშოვა და დაიძახა:

— ხომ ხედავთ, ხელმწიფეს როგორ არად აგდებენ და თაყვანს არ სცემენო!

ხელმწიფის კარზე მთელი ქვეყნის დიდებულები და სამღვდელოება შეკრებილიყვნენ. ყველა დუმდა და ელოდა, ნაჯაში ლტოლვილებთან თავს როგორ დაიჭერდა და როგორ მოექცეოდა.

ამ დროს მეფემ საუბარი წამოიწყო და მოხმობილთ ჰკითხა:

— ეს რა რჯული მიგიღიათ, არც თქვენი მამა-პაპის რწმენას რომ არა ჰგავს და არც ჩვენს, ქრისტიანულ, რელიგიასო?

ჯაყფარ იბნ აბი ტალიბმა მიუგო:

— მეფეო, ჩვენ უწინ ვიყავით ხალხი, რომელიც უმეცრებაში ცხოვრობდა. თაყვანს ვცემდით ხისა და ქვისაგან გამოთლილ კერპებს, ვჭამდით ლეშს და ათასგვარ უმსგავსობას ჩავდიოდით. გვარისა და ოჯახის წევრების ღირსება არაფრად მიგვაჩნდა და მეზობლებს ავად ვეპყრობოდით. ჩვენგან უფრო ძლიერები სუსტებს ჩაგრავდნენ და ასე ვცხოვრობდით მანამ, სანამ ღმერთმა მოწყალება არ მოიღო ჩვენზე და მოციქული არ წარმოგვიგზავნა.

ეს მოციქული ჩვენიანი კაცია. ბავშვობიდანვე კარგად ვიცნობთ და მის სანდოობასა და გულწრფელობას არასოდეს დავუეჭვებივართ.

ამ დიდებულმა ადამიანმა უფლისაკენ მიგვიხმო, ღვთის ერთადერთობაში დაგვარწმუნა და გვიბრძანა, ხელი აგველო

ქვის კერპებისა და იმ ცრუ ღვთაებათა სამსახურზე, რასაც უწინ ჩვენი მამა-პაპა ეთაყვანებოდა.

ამ კაცმა სიმართლის თქმა, დაძმურ ურთიერთობათა ღირსების დაცვა და მეზობელთა პატივისცემა გვიანდერძა. სიავის ქმნა — ობოლთა ქონების მითვისება, პატიოსან ქალებზე აუგის თქმა და სხვა ამგვარი საქმენი აგვიკრძალა. გვიბრძანა ერთადერთი ღმერთი გველიარებია და მისთვის არავინ და არაფერი გაგვეტოლებია. სარიტუალო ლოცვის აღსრულება, აუცილებელი რელიგიური მოწყალების გაღება, სიკეთე, სიქველე, ახლობელთა დახმარება დაგვავალდებულა და სიძვაზე, უფლის მიერ განკიცხულ საქმეებზე, უსამართლობაზე, ჩაგვრასა და ძალმომრეობაზე ხელი აგვაღებინა.

ამგვარად, ჯაყფარმა ნაჯაშისა და იქ დამსწრეთ ისლამური სწავლების არსი მოკლედ წარმოუდგინა. მერე ცოტა ხანს შეყოვნდა და კვლავ განაგრძო:

ჩვენ ამ კაცს დავუჯერეთ, მისი სჯულის ჭეშმარიტება ვირწმუნეთ და შევუდექით იმას, რაც ღვთისაგან მოგვიტანა. თაყვანს ვცემთ ერთადერთ, სწორუპოვარ უფალს; რაც აგვიკრძალა, იმას არ ვაკეთებთ და რაც გვიბრძანა, იმას აღვასრულებთ!

კურაიშელებმა ეს რომ დაინახეს, ჩვენი წვალება დაიწყეს; ყველანაირად ცდილობდნენ, არჩეულ წმინდათაწმინდა რელიგიაზე ხელი აეღებინებიათ და კვლავ ძველ კერპთა თაყვანისცემისაკენ მიეებრუნებინეთ.

როცა მათ ნება-სურვილს არ დავემორჩილეთ და ისიც დავინახეთ, რომ ჩვენი რელიგიის მსახურებაში ხელს ყველანაირად გვიშლიდნენ, მშობლიური მიწა-წყლიდან ავიყარეთ და თავი თქვენს მხარეს შემოვაფარეთ. მთელი ქვეყნის მეფეთა და გამგებელთა შორის თქვენ გამოგარჩიეთ და თქვენი დიდბუნებოვნება მოვიიმედეთ, რომ თქვენი სამართლის ჩრდილქვეშ ვეღარავინ დაგვჩაგრავდა.

ამის შემდეგ ჯაყფარი დადუმდა.

მისმა ნათქვამმა კი ნაჯაშიზე ძალიან იმოქმედა და უთხრა:

— რაც მოგვიყევი, თითქმის არაფრით განსხვავდება იმისაგან, რასაც იესო ქრისტე გვასწავლისო!

მერე ჰკითხა ჯაყფარს:

ხომ არაფერს გაიხსენებ თქვენი მოციქულის ქადაგებიდანო?

ჯაყფარმა „მარიამის სურის“ კითხვა წამოიწყო და იმ ადგილამდე მივიდა, სადაც ბრძანებს:

„შენკენ მიიწი პალმის ტოტი, თავს დაგაყრის მწიფეთ და წყლიანთ!“

მუსლიმური გადმოცემა მოგვითხრობს, ამ ფრაგმენტის გაგონებამ ნაჯაშსა და იქ დამსწრე საზოგადოებაზე ისე იმოქმედა, რომ თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით წამოსცვივდათ და მღვდლებმაც კი იმდენი იტირეს, რომ წინ გადაშლილი სახარების ფურცლები დაალტვესო.

მერე წამოდგა ნაჯაში და ბრძანა:

— ღმერთსა ვფიცავ, ჭეშმარიტება ისაა, რასაც ბრძანებს თქვენი მოციქული და ესეც იმავე წყაროსთვალიდან მომდინარეობს, საიდანაც იესო ქრისტეს ქადაგება საზრდოობდა! მშვიდად იყავით, ღმერთმანი, ამ ორ კაცს თქვენ თავს არასოდეს ჩავაბარებო!

ამრ ასს წამოუძახია: მეფეო, მათი მოციქული ჩვენი მოწინააღმდეგეა! გადმოგვეცი ეს ხალხიო!

ნაჯაში ამ სიტყვებმა ისე გააცხარა, რომ ამრ ასს სახეში მუშტი მთელი ძალით ჩააზილა და ცხვირიდან სისხლი წამოანთხევინა. მერე უბრძანა: ღმერთმანი, თუ იმ კაცის სახელი აუგად კიდევ გიხსენებია, ცოცხალს არ გაგიშვებო!

მერე ჯაყფარს მიუბრუნდა და უთხრა: ჩვენთან დარჩით და ბუზს ვეღარავინ ვეღარ აგიფრენთო!

ამ სიტყვების გაგონებაზე ამრ ასი ფეხზე წამომდგარა და დარბაზიდან დაძმარებული სახით გამოსულა.

თუმცა რაკიღა მექაში გაწბილებულს დაბრუნება არ სურდა, იმაზე ფიქრი წამოიწყო, რა საბაბი მოეგონებინა, რომ ლტოლვილები ნაჯაშის წინაშე ხელახლა დაებარებინა და ქრისტიანი ხელმწიფე ამ ხალხის სამშობლოში წაყვანაზე დაეყოლიებინა.

მეორე დღეს ისევ მივიდა ნაჯაშის წინაშე და განუცხადა:

— მეფეო, ამ ადამიანებს ქრისტეზე უცნაური შეხედულება აქვთ. უხმე და გამოჰკითხე, რას ფიქრობენ იესოს შესახებ!

ნაჯაშის მაცნე მუსლიმებთან მივიდა და მათ ხელმწიფის დანაბარები გადასცა. ლტოლვილები კვლავ ერთად შეიკრიბნენ და მოითათბირეს, რა ვუპასუხოთ ნაჯაშის ამ შეკითხვაზეო. ბოლოს გადაწყვიტეს:

გუშინდელივით ახლაც მხოლოდ სიმართლე ვთქვათ და ქრისტეს შესახებ ის აზრი მივაწოდოთ, რასაც ამის თაობაზე ყურანი გვიბრძანებს, თუნდაც ეს ამ მიწა-წყლიდან აყრად და ახალი თავშესაფრის ძიებად დაგვიჯდესო!

მეფესთან რომ მივიდნენ, საუბარი ისევ ჯაყფარ იბნ აბი ტალიბმა ითავა და განაცხადა: ჩვენ იმას ვიტყვით, რაც მოციქულმა უფლისაგან მოგვიტანა. გვწამს, რომ იესო ღვთის მონა, მისი მოციქული, უფლის სული და ღმერთის სიტყვაა, რომელიც უზენაესმა უბინო მარიამის ნიაღში დაავანაო!

ამის გამგონე ნაჯაშიმ ხელი წამოაველო მოკლე ჯოხს, რომელიც მის ფერხთით იდო და ბრძანა:

— ღმერთმანი, ის, რაც იესოს შესახებ იუბნე, მის ჭეშმარიტებას ამ ჯოხის სიგრძეზე უფრო დიდად არა სცილდებაო!

მუსლიმური წყაროები გადმოგვცემენ: ხელმწიფის ამ სიტყვათა გაგონება მის გვერდით მდგარ ქრისტიან სასულიერო პირებს დიდად არ ეჭაშნიკათ და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს.

ნაჯაშიმ მათი მზერა რომ დაიჭირა, მიუბრუნდა და უთხრა:

— დიახ, თუნდაც ძალიან არ გეამოთ ეს სიტყვები!

მერე მუსლიმ ლტოლვილებს მიმართა და განუცხადა:

— გულმშვიდად იყავით და აბისინიაში, სადაც გსურდეთ, იქ დაემკვიდრეთ. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ვიდრე ჩვენს მფარველობაში იმყოფებით, ვნებას ვერავინ მოგაყენებთო.

მერე კი სამჯერ გაიმეორა:

— ოქროს მთებიც რომ შემომთავაზონ, არც ერთი თქვენგანის თავს არავის დავანებებ!

ამის შემდეგ თავის გარემოცვას მიუბრუნდა და უთხრა:

— იმ ორს კი, რაც მოგვიტანეს, ყველაფერი დაუბრუნეთ! მათი ძღვენი არა გვჭირდებაო!

კურაიშელთა წარგზავნილნი ხელმწიფის კარიდან ხელმოცარულები გამობრუნდნენ. და მექაში დაბრუნების სამზადისს შეუდგნენ, რაკიღა მიხვდნენ, რომ მათი ყოველგვარი მცდელობა ამის შემდგომ ამაო იქნებოდა.

აბისინიაში ყოფნის ბოლო დღეების განმავლობაში ამრ ასმა, ხომალდზე მომხდარი ინციდენტის გამო, ამარაზე შურისძიება გადაწყვიტა. ნაჯაშის კარზე რამდენჯერმე სტუმრობისას, ამრ ასმა შეამჩნია, რომ ამარას აბისინიელი ხელმწიფის ის მხევალი ჩაუვარდა გულში, რომელიც ყოველი დარბაზობისას მოდიოდა და ნაჯაშის გვერდით დგებოდა ხოლმე. ამრ ასის მზერას არც ის გამოჰპარვია, რომ ულამაზესი ამარა მხევალსაც ძალიან მოეწონა. შურის საძიებლად ამ ამბის გამოყენება გადაწყვიტა და ერთხელაც, შინ დაბრუნებულმა, ამარა წააქეზა:

— მგონი, ნაჯაშის მხევალს თვალში მოუხვედი და შენ მიმართ გულგრილი არ უნდა იყოსო!

ამარამ მიუგო: მეც ეგრე მგონიაო!

ამრ ასმა ჭაბუკი კიდევ უფრო შეაგულიანა და ისიც მთელი გატაცებით გადაეშვა ეთიოპიის მეფის მხევლის სასიყვარულო ინტრიგებში. ქალს ნელ-ნელა მართლაც დაუახლოვდა და თან საღამოობით ყველაფერს ამრ ასს უყვებოდა. ისიც, ვითომ საკვირველ ამბავს ისმენს და არ სჯერაო, დაეჭვებული სახით ეუბნებოდა: არა მჯერა, რომ ქალის გული ასე სწრაფად მოინადირეო.

ერთ დღეს კი უთხრა: თუ მართალს ამბობ და მეფის მხევალთან კოტრიალი შენივე ფანტაზიის ნაყოფი არაა, ქალს უთხარი, ნაჯაშის იმ სუნამოდან ცოტაოდენი მოგიტანოს, მხოლოდ მეფისთვის რომ ამზადებენ და მისი გამოყენების ნება ხელმწიფის მეტს არავის გააჩნია. ნათქვამს მხოლოდ ამის მერე დაგიჯერებო!

ამარამაც სთხოვა მხევალს სუნამო და ქალმა თხოვნა სასწრაფოდ შეუსრულა.

ამრ ასმა უთხრა თანამგზავრს: ახლა კი მჯერა შენი სი-

ტყვების სიმართლისო და რაკი სუნამო ხელში ჩაიგდო, უჩუმრად ნაჯაშთან მივიდა და მოახსენა:

— მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც აბისინიაში ვიმყოფებით, ხელმწიფის მაღალი ყურადღება, წყალობა და პატივი წუთით არ მოგვკლებია. დიდებულად გვიმასპინძლეთ და სამაგიეროს გადახდა, ბევრიც რომ ვეცადოთ, გაგვიჭირდებოდა.

ამიტომაც ჩვენი აქ ყოფნის ბოლო დღეებში მინდა ხელმწიფეს ერთი საკითხი მოვახსენო, რაც მის პირად ცხოვრებას უკავშირდება და თავს მოვალედ ვრაცხ, ეს ამბავი მის ყურამდე მივიტანო, რადგან ეს მის ღირსებას ეხება!

საქმე ის გახლავთ, რომ ჩემმა უმადურმა მეგობარმა თქვენი ნდობით ბოროტად ისარგებლა და როცა კურაიშელთა დანაბარების გადმოსაცემად თქვენს სასახლეში მოვიდა, თქვენს მხევალს არშიყი წამოუწყო და მასთან უზნეო კავშირი დაამყარა. ჩემი სიტყვების დასტური კი თქვენი სუნამოა, რომელიც მხევალმა ვაჟბატონს მოართვაო!

ნაჯაშიმ ამრ ასს სუნამო ჩამოართვა და როდესაც დაყნოსა, ისე განრისხდა, რომ თვალებიდან ცეცხლი წამოსცვივდა.

ჯერ ამარას მოკვლა მოინდინა, მაგრამ მერე იფიქრა, დიდებულ მეფეს სხვა ქვეყნიდან წარმოგზავნილ ელჩთა დახოცვა არ შეშვენისო და გადაწყვიტა, უმადური სტუმარი სხვაგვარად დაესაჯა. ექიმები იხმო და დაავალა:

— ამ ჭაბუკს ისეთი საქმე უყავით, რომ არ მოკვდეს, მაგრამ სიკვდილზე უარესი კი დაემართოსო!

ექიმბაშებმა რაღაც ნაყენი დაამზადეს და ამარას სასირცხვოში ნემსით შეუყვანეს.

ჭაბუკი ჭკუიდან შეიშალა, ადამიანების შიშმა დარია ხელი და უდაბნოში გაიჭრა. იქ შიშველ-ტიტველი გარეულ მხეცებთან ერთად დარბოდა და როგორც კი ადამიანს მოკრავდა თვალს, შეძრწუნებული გაურბოდა.

ამრ ასი კი მექაში დაბრუნდა და კურაიშელთა უხუცესებს ყველაფერი უამბო.

ცოტა ხანში ამარას ნათესავებმა მის მოსაძებნად წასვლა

გადაწყვიტეს. ამ მიზნით რამდენიმე კაცი აბისინიას გაემგზავრა და იქაურ უდაბნოებში დაიწყეს ხეტიალი. მალე მართლაც იპოვნეს ამარა, რომელსაც თმა-წვერი საშინლად გაბურძგვნოდა, ტანსაცმელი ერთიანად შემოფლეთოდა და ცხოველებთან ერთად დაწანწალებდა.

ნათესავებმა ხან აქედან მოუარეს, ხან იქიდან, მაგრამ დამფრთხალი კაცი მათ გულდაგულ გაურბოდა და სიტყვა ვერ შეასმინეს. ბოლოს ველური ნადირივით ქამანდი მოსდეს და ამგვარად გაკოჭეს, მაგრამ როგორც კი მათ ხელში ჩავარდა, ამარამ საშინელი ღრიალი ატეხა და მთელი არსებით აცახცახდა. ასე ნადირივით ღმუოდა და ცოტა ხანში სულიც განუტევა.

მოკლედ, აბისინიაში გადასახლებამ პირველი მუსლიმები დევნა-შევიწროვებისაგან იხსნა, მაგრამ მექაში დარჩენილმა მუჰამადმა თავი მარტოსულად იგრძნო და ისეთ სავალალო ყოფაში აღმოჩნდა, რომ მექურმა არისტოკრატიამ ამ ვითარების სათავისოდ გამოყენება შესანიშნავად მოახერხა.

მექელ წარჩინებულებს მაინცადამაინც არ ეწადათ მუჰამადს თვითონ მექის მფარველი ღვთაება ჰუბალი ეღიარებინა. ეს მათთვის სულერთი იყო, მაგრამ მექელთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუჰამადს ეცნო ასე თუ ისე ძლიერ და გავლენიან მეზობელ ტომთა ღვთაებები, კერძოდ, ქალღმერთები — ალ-ლათი, ალ-მანათი და ალ-უზა. მექელთათვის ეს, ასე ვთქვათ, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. მათ იმ მხარეში მობინადრე ტომებთან მშვიდობიანად უნდა ეარსებათ, ამის უპირველეს პირობად კი ამ ტომთა ღმერთების აღიარება უნდა ჩათვლილიყო.

თუ მექელები ამ პირობის დაცვას ვერ შეძლებდნენ, მათ ქარავნებს გზას ყოველმხრივ გადაუკეტავდნენ, ხოლო რამდენადაც მექა, როგორც წმინდათაწმინდა მიწა, არსებითად, ყველა არაბულ ტომს ეკუთვნოდა, მექელები შესაძლოა საკუთარი ქალაქიდან განდევნის საფრთხის წინაშეც კი აღმოჩენილიყვნენ. ამასვე ეუბნებიან ისინი მუჰამადს ყურანშიც: „თუ შენს სწავლებას შემოვუდგებით, განგვდევნიან ჩვენივე მიწა-წყლიდან“ (შდრ: სურა 28, 57).

სწორედ ამიტომ, მათ პირწმინდად პოლიტიკური მოსაზრებებითა და არამც და არამც კერპთა სიყვარულითა თუ ერთგულებით, შესთავაზეს მუჰამადს, ეცნო ზემოთ ნახსენები სამი კერპი, სამაგიეროდ კი ალაჰის მოციქულად აღიარებას დაჰპირდნენ.

მუჰამადი სისუსტემ სძლია და მექელთა წინადადებას დათანხმდა. ეს ამბავი დეტალურადაა მოთხრობილი იბნ საყდის „ატ-ტაბაკათსა“ და ატ-ტაბარის „მუჰამადის ბიოგრაფიაში“.

ამ ნაშრომებში შემონახული ცნობების თანახმად, შაითანის ჩაგონებით, მუჰამადს მექელთა ჯამაათის წინაშე ასეთი რამ განუცხადებია:

„ხომ ხედავთ ალ-ლათს, ალ-უზასა და ალ-მანათს — კიდევ?
ესენია კურთხეული ალ-ღარანიკი,
რომელთა დაცვაც შეიძლება მოიიმედო“.

არაბული სიტყვა, რომელსაც ციტატში უთარგმნელად ვტოვებთ, პოლისემიურია და ის შეიძლება ნიშნავდეს: ა) „გედებს“; ბ)„წეროებს“, ანდა გ) „მშვენიერ ჭაბუკებს.“

კრიმსკის აზრით, შპრენგერი ნამდვილად ცდება, როდესაც ამ პასაჟის კომენტირებისას, მუჰამადის სიტყვების ბერძნულ და გერმანიკულ მითოლოგიათა გედებთან სიახლოვეზე საუბროზს. კრიმსკი ფიქრობს და, ალბათ ასეც იყო, რომ „მუჰამადმა შეგნებულად აირჩია ასეთი უკიდურესად ორაზროვანი და გაუგებარი სიტყვა, რადგან აქ სიტყვა „ღვთაების“ გამოყენება არ შეეძლო. ეს ისაა, რასაც ჩვენ იეზუიტიზმს ვეძახით. „ღარანიკ“ ყველას შეეძლო თავისებურად გაეგო, ხოლო ღმერთებთან მიმართებით გამოყენებული, ის, თავისთავად, არაფერს ნიშნავდა.“

ყოველ შემთხვევაში, ამ ფანდმა გაჭრა: როცა მუჰამადმა ქადაგება დაასრულა და წარმოთქვა: „წარდექით წინაშე ალაჰისა და მას თაყვანი ეცითო“, მართლაც ყველა ასე მოიქცა და მიწას შუბლით შეეხნენ.

მუჰამადმა გაიმარჯვა. მთელმა მექამ იგი ალაჰის მოციქულად აღიარა. მაგრამ ამ გამარჯვებას მან თავისი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მცნება ანაცვალა, იგი თავისივე მოძღვრების უმთავრეს დებულებას გაემიჯნა. წინასწარმეტყველის

ძველმა მტრებმა და მოწინააღმდეგეებმა ქილიკი დაიწყეს, ხოლო გულწრფელი მიმდევრები დაიბნენ და რწმენა შეერყათ. მუჰამადმა თვითონვე ეს ამბავი უცებ შეამჩნია და სინდისმა შეაწუხა.

გადმოცემის თანახმად, ეს ამბავი მაშინვე მომხდარა: მუსლიმური ჰადისები გვიამბობენ, რომ იმწუთასვე გამოეცხადა მუჰამადს ანგელოზი ჯიბრაილი და გაკიცხა იგი, რის გამოც მეორე დღეს წინასწარმეტყველმა ავბედითი სიტყვები უკან წაიღო.

დოზის შენიშვნით, „უსამართლობა იქნებოდა, გადმოცემისათვის მოგვეთხოვა, ეს ყველაფერი სხვაგვარად მოეთხრო. მუსლიმი ღვთისმეტყველები მოციქულის მხრიდან ასეთი შეცდომის დაშვებასაც კი საკმაო დამცირებად მიიჩნევდნენ, ამიტომ ზოგი ავტორი ამ ამბავზე საერთოდ დუმილს ამჯობინებს, სხვანი კი ფიქრობენ, რომ მუჰამადის ხმის მიბაძვა შაითანს შეეძლო.“

ევროპელი ავტორები ამ შემთხვევას ლოგიკური არგუმენტების მოშველიებით ხსნიან. ისლამის მკვლევართა თითქმის ერთსულოვანი აზრით, „არსებობს მრავალგვარი საფუძველი საიმისოდ, რომ ვიფიქროთ: ვიდრე მუჰამადი თავის სიტყვებს უკან წაიღებდა, კარგა ხანს უნდა გაევლო, რადგანაც წინასწარმეტყველის ის მიმდევრები, სამშობლოდან აბისინიაში რომ გაქცეულიყვნენ, როცა მუჰამადისა და მისი თანამემამულეების შერიგების ამბავი შეიტყვეს, უკან მექაში ჩამობრუნდნენ. ეს ამბავი კი მათ ყურამდე ვერ მიაღწევდა, მუჰამადს რომ თავისი შეცდომა უცებვე ეღიარებინა და გამოესწორებინა.“

შერიგების ამ წარუმატებელმა მცდელობამ მექელი ურწმუნონი კიდევ უფრო გააცხარა და გააავა. ეს სიავე აბისინიიდან შინ დაბრუნებულმა მუსლიმებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს. უმრავლეს მათგანს ულმობლად ექცეოდნენ და ისე საშინლად სტანჯავდნენ, რომ მალე საჭირო გახდა, თავი ისევ აბისინიისათვის შეეფარებიათ. ამ დროს უკვე აბისინიაში სულ ას ერთი ადამიანი გაემგზავრა და რამდენიმე მათგანის გარდა იქ ისინი ჰიჯრის მეშვიდე წლამდე (დაახლ. 629 წ.) რჩებოდნენ. რაც შეეხება მუჰამადს, მექელებს სურდათ მოეკლათ იგი ანდა ქალაქიდან გაეძევებინათ, მაგრამ მათი ამ სურვილის განხორციელებას

ხელი წინასწარმეტყველის ნათესავთა სიმტკიცემ და წინააღმდეგობამ შეუშალა.

იმ ხანებში მუჰამადი საცხოვრებლად თავისი ერთი მიმდევრის არჰამის სახლში გადავიდა, რომელიც მექიდან მოშორებით, საფას გორაკზე მდებარეობდა. წინასწარმეტყველი ცდილობდა ქალაქში იშვიათად გამოჩენილიყო და წარმართებს თვალში ზედმეტად არ მოხვედროდა. მაგრამ თუკი საქმეზე გარეთ გამოსვლა მოუწევდა, თან დაცინვისა და შეურაცხყოფის ნიაღვარი მიჰყვებოდა. გამძვინვარებული ბრბო უკან მისდევდა და მისგან სასწაულების ჩვენებას მოითხოვდა.

ამ მოთხოვნას, არაერთხელ უპასუხებს ყურანიც, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ყველაზე დიდი სასწაული, რაც უფალმა მუჰამადს უწყალობა, ეს თვითონ გამოცხადება — ყურანის ღვთაებრივი სურებია.

მაგრამ მექელები სიტყვით არ კმაყოფლიდებოდნენ და მუჰამადისაგან მოითხოვდნენ, მოციქულობაზე პრეტენზია საქმეებით დაემტკიცებია.

მუსლიმურმა წყაროებმა შემოგვინახა რამდენიმე სასწაული, რომელიც ღმერთმა იმხანად მუჰამადის სამოციქულო მისიის დასტურად და ამ მისიის ღვთაებრივი წარმომავლობის ნიშნად მოახდინა.

ერთ-ერთ წყაროში აღნიშნულია, რომ ერთხელ, ქადაგებისას, მუჰამადმა თავისთან მიიხმო ხარი, რომელსაც რქიდან ჩამოხსნა გრაგნილი და ამ გრაგნილზე ყურანის ახლად ზეგარდმოვლენილი ფრაგმენტი ეწერა.

მეორედ, საჯაროდ საუბრისას, უცებ მის თავზე ციდან მტრედი ჩამოეშვა, მხარზე დააჯდა და თითქოს ყურში რაღაცა უჩურჩულა. მუჰამადმა შემდეგ განაცხადა, რომ ეს მტრედი ღვთისაგან წარმოგზავნილი ანგელოსი ჯაბრაილი იყო.

მესამედ, ხალხს უბრძანა ამოეთხარათ მიწა მის წინაშე და როცა ასეც მოიქცნენ, იქ ორი ქოთანი იპოვეს — ერთი რძით, ხოლო მეორე თაფლით ავსებული.

მუჰამადმა ხალხს განუცხადა, რომ ეს ქოთნები სიმბოლუ-

რად გამოხატავდნენ იმ სიუხვესა და კეთილდღეობას, რომელიც აღთქმული აქვს ზეციურ სამყოფელში ყველას, ვინც მის ქადაგებას ირწმუნებს და ისლამს აღიარებს.

თუმცა ბრბო სულაც არ აპირებდა მისი ამ სასწაულების დაჯერებას და მუჰამადის მიერ ნაჩვენებ საკვირველ საქმეებსაც სრულიად პროზაულ, მიწიერ ახსნას უძებნიდნენ. კერძოდ ამბობდნენ, რომ მტრედი იმის გამო დააჯდა მოციქულს მხარზე, რომ წინდაწინ თავზე ხორბალი ჰქონდა გადაყრილი, ხარსაც ასევე წინასწარ შეაბა ის გრაგნილი, და მიწაში რძისა და თაფლის ქოთნებიც წინდაწინ ჩამარხაო.

რაც შეეხება ყურანის სასწაულად გამოცხადებას, მხატვრული სიტყვისა და ლექსის მოტრფიალე არაბები, არც აქ აპირებდნენ დათმობაზე წასვლას და თავისი ჭკუით, მუჰამადს თავისივე იარაღს — უმწვავეს სატირულ ლექსებს უპირისპირებდნენ. ეს ლექსები კი, ერთი მხრივ, პოეზიისა და, მეორე მხრივ, სხვათა გაკილვის მოყვარულ არაბულ ტომებში ელვის უსწრაფესად ვრცელდებოდა.

ყველაზე უფრო ცინიკური პოეტური ნიმუშების ავტორობას ტრადიცია მიაწერს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ იმ ჭაბუკს, რომელმაც ბედის ირონიითა თუ ღვთის მოწყალებით, შემდგომდროინდელი ისლამის ისტორიასა და ამ რელიგიის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ეს გახლდათ მაშინ სრულიად ახალგაზრდა ამრი, რომლის დედაც მექელი მეძავი იყო. ეს ქალი თურმე დიდი მშვენიერებით გამოირჩეოდა და ამიტომაც ყველა არაბული ტომის საუკეთესო ვაჟკაცები ჰყვარობდნენ. ამრი რომ გაუჩნდა, ქალი კურაიშელთა ტომის ბევრ მამაკაცს ასახელებდა, რომელთაც თანაბარი უფლება ჰქონდათ, ბავშვის მამობაზე პრეტენზია განეცხადებინათ. ბოლოს, ხალხმა დაასკვნა, რომ ბავშვი ყველაზე მეტად ქალის ასაკით ყველაზე უფროს საყვარელს — ასს ჩამოჰგავდა და ამიტომაც შემდგომში ბიჭუნას სახელს იბნ ალ-ასი ანუ ასის-ძეც დაუმატეს.

თითქოს ბუნებას შეებრალა ეს უკანონოდ შობილი ბავშვი და ამის სანაცვლოდ მას თავზე მთელი მშვენება და ნიჭიერება

დააბერტყა. ყოველ შემთხვევაში სრულიად ახალგაზრდა ის უკვე მთელ არაბეთში სახელგანთქმული პოეტი იყო, რომლის ლექსებსაც და განსაკუთრებით მის სატირულ ნიმუშებს ხალხი ერთმანეთს ზეპირად გადასცემდა. ამრი შემდგომში ალბათ რას არ მისცემდა, რომ მისი მოღვაწეობის ეს ახალგაზრდული მონაკვეთი ისტორიის მეხსიერებიდან ამოეშალა, მაგრამ მაშინ ისეთივე დიდი ხალისით იღვწოდა მუჰამადის დასაკნინებლად, რა ენთუზიაზმითაც უკვე მოწიფულმა ისლამის ზეობის საქმისთვის იღვაწა. მაშინ კი ეს ლექსები საქმიან წინააღმდეგობაზე ნაკლებ როდი აფერხებდნენ მუჰამადის ნაქადაგები სჯულის გავრცელებასა, ხოლო წინასწარმეტყველი იჯდა არჰამის სახლში და ღვთის განჩინებას მორჩილად ელოდა.

ამასობაში ბედნიერმა შემთხვევითობამ მუჰამადს ახალი გავლენიანი მფარველი გაუჩინა. საქმე ისაა, რომ ერთმა წარჩინებულმა მექელმა, ცნობილმა სასაცილო ზედწოდებით „აბუ ჯაჰლი" („მამა უმეცრებისა"), წინასწარმეტყველს ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ მუჰამადის ბიძამ, ჰამზამ ეს მთელი გვარის შეგინებად აღიქვა.

ინციდენტისას თავისი ძლიერებითა და მოქნილობით სახელგანთქმული ჰამზა შინ არ იმყოფებოდა. სანადიროდ იყო წასული და იქიდან დაბრუნებულს როცა ეს ამბავი დაახვედრეს, მაშინვე მექის სალაყბოსაკენ გაიქცა, სადაც ხალხში ჩამდგარი აბუ ჯაჰლი ბრბოს ჯერ კიდევ აღტაცებული უყვებოდა, როგორ აეგდო საცინლად კურაიშელთა თვითმარქვია.

ჰამზა მივარდა მასთან და ისე გამეტებით გადაჰკრა მშვილდის ტარი, რომ თავი გაუჩეხა.

აბუ ჯაჰლს ნათესავები წამოეშველნენ, მაგრამ დაჭრილმა მათი დაშოშმინება სცადა და უთხრა: — თავი დაანებეთ, მეც ულმობლად მოვექეცი მის ნათესავსო.

თუმცა თვითონ ჰამზას შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

იგი ადრე მუჰამადის ქადაგების მიმართ დიდ ცნობისწადილსა და სიყვარულს არასდროს ამჟღავნებდა, მაგრამ ახლა გააფთრებულმა თავი წინასწარმეტყველის მიმდევრად გამოაცხადა და შემდეგ ისლამისათვის ზურგი აღარასოდეს უქცევია.

— დიახ, არც მე მწამს თქვენი კერპებისა. აბა, ვნახოთ, როგორ მაიძულებთ, ისინი ვირწმუნოო! — დაიძახა მან და ისლამი აღიარა.

მუჰამადის ევროპელ ბიოგრაფთა შენიშვნით: „ამრიგად, მრისხანებამ ქმნა ის, რასთანაც დარწმუნებამ უწინ ვერაფერი გააწყო. ჰამზა გამუსლიმდა და შემდგომში ახალი რჯულის ერთ-ერთ ყველაზე თავგადაკლულ და შეუპოვარ დამცველად მოგვევლინა.“

## ჰაშიმიანთა გვარის განკვეთა

მექელი წარმართები კი სულ უფრო ცხარდებოდნენ. ეს გაცხარება ბოლოს იქამდე მივიდა, რომ დაახლოებით 617 წელს მათ ჰაშიმიანთა გვარი თემიდან განკვეთეს.

ეს ინიციატივა მეორე მექური არისტოკრატული გვარის ერთ-ერთ ცნობილ წარმომადგენელს აბუ სუფიანს ეკუთვნოდა.

ევროპელი ისლამმცოდნეები სავსებით სამართლიანად ფიქრობენ, რომ მუჰამადის მიმართ აბუ სუფიანის უდიდესი სიძულვილის მიზეზი, წარმართულ რელიგიურ გრძნობებზე მეტად, პირწმინდად გვაროვნული შუღლისა უნდა ყოფილიყო, რადგან აბუ სუფიანს არაფრით არ სურდა, მუჰამადის ქადაგების მეშვეობით ჰაშიმიანთა გვარის წარმომადგენლებს მის გვარზე რაიმე უპირატესობა მიეპოვებიათ.

გარდა ამისა, კურაიშელებს აბუ ტალიბისა და სხვა ჰაშიმიანთა მხრიდან მუჰამადის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობა განსაკუთრებით აღიზიანებდათ, ამიტომაც კურაიშელთა ყველა დანარჩენი გვარი წერილობით შეთანხმდა, რომ არ დაეშვათ ჰაშიმიანებთან ქორწინება, გაეწყვიტათ მათთან ყოველგვარი ურთიერთობა და უარი ეთქვათ ყველანაირ დახმარებაზე.

გამონაკლისი მხოლოდ მუჰამადის გააფთრებული მოწინააღმდეგის, მოციქულის ბიძის, აბუ ლაჰაბის ოჯახისათვის დაუშვეს.

შეთანხმების ტექსტი, რომელზედაც ხელი კურაიშელთა ტომის 82 წარმომადგენელმა მოაწერა, ქააბას ტაძარში ჩამოჰკიდეს.

მუსლიმური ანალები გვისახულებენ პირებს, რომლებმაც დაწერეს აღნიშნული შეთანხმება. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ინეტერდიქტის მწერალი მანსურ იბნ იქრამა იყო, ხოლო ზოგი წყაროს მიხედვით, ეს ნადრ იბნ ალ-ჰარისმა გააკეთა. ამიტომაც დაწყევლა იგი წინასწარმეტყველმა და წყევლის ძალით ნადრ იბნ ალ-ჰარისს თითები შეახმა.

აბუ ტალიბმა რომ ეს ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ შეკრიბა ჰაშინიამთა გვარი და მათ წარმართთაგან მუჰამადის დაცვა და მფარველობა სთხოვა. აბუ ტალიბის აზრით, ეს მათი ნათესაური და სისხლისმიერი ვალდებულება იყო და ამაზე ყველა ჰაშიმიანი დაეთანხმა, გარდა აბუ ლაჰაბისა, რომელმაც უწინდებურად მექელი წარმართების მხარე დაიჭირა და მუჰამადის მფარველობაზე უარი განაცხადა.

ბუნებრივია, საერთოდ, ეს ამბავი მთელი ჰაშიმიანთა გვარისათვის უდიდესი განსაცდელი იყო. ამ დროიდან მათ ქარავნებს აღარ უშვებდნენ კურაიშელთა საერთო ქარავანში, ხოლო საკუთარი ქარავნის დამოუკიდებლად აღსაჭურვად და დასაცავად ჰაშიმიანებს არც ძალა და არც ნივთიერი საშუალება არ ეყოფოდათ. ეს ნიშნავდა, რომ მათ საარსებო სახსრის თავიანთი წილი ხელიდან გამოეცალათ.

აბუ ტალიბმა ვითარება სწორად შეაფასა და მიხვდა, რომ შუაგულ მექაში ცხოვრების გაგრძელება გაუჭირდებოდათ. ამიტომაც მექელ ჰაშიმიანებს უბრძანა ქალაქის ჩრდილოეთით, იმ ნაწილში გადასულიყვნენ, რომელიც მისი საკუთრება იყო და ხალხი „აბუ ტალიბის ციხე-კოშკს“ უწოდებდა. გვარის ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი თავისივე შვილებს — ტალიბს, ალისა და აკილს დაავალა, მუჰამადზე მუდმივად თვალი დაეჭირათ და არავისთვის დაეჩაგვრინებიათ. განსაცდელისას ყველანაირად მიშველებოდნენ, დაეცვათ და დაეფარათ.

ამ მიზნით, იგი ღამით, სახლის ბანზე, სადაც მუჰამადს ეძი-

ნა ხოლმე, წინასწარმეტყველის საწოლში მუჰამადის ნაცვლად თავის ბიჭებს მორიგეობით აწვენდა, ხოლო თვითონ მუჰამადი უფრო უსაფრთხო ადგილას გადაჰყავდა.

კურაიშელი წარმართები თვითონ ხომ აღარაფერს მიჰყიდდნენ ჰაშიმიანებს, ამას სხვებსაც უკრძალავდნენ და მეთვალყურეები ჰყავდათ მიჩენილი, რომ ჰაშიმიანებთან აღებ-მიცემობის წამოწყება არავის გაებედა. ის კი არა, ჰაჯისა და სხვა საერთო-სახალხო შეკრებების ჟამს, როცა მექაში მთელ იმ მხარეებში მცხოვრები არაბები ჩამოდიოდნენ და ქალაქგარეთ ბაზრობას მართავდნენ, უცხოებსაც კი ყოველმხრივ უშლიდნენ ჰაშიმიანთა გვარის წარმომადგენლებთან ვაჭრობას და მზად იყვნენ, მათი საქონელი თვითონ ორჯერ ძვირად ეყიდათ იმაზე, რასაც ბანი ჰაშიმის ხალხი გადაიხდიდა. ანდა უცხო მხრიდან მოსულ ვაჭრებს ქონების წართმევითა და დარბევით ემუქრებოდნენ.

მუსლიმი ისტორიკოსები წერენ, ამ ეკონომიკური იზოლაციის პირობებში გადასარჩენად და თავის გასატანად ხადიჯას მთელი ქონების დახარჯვა მოუწია; ასევე მთელი სარჩო-საბადებელი გაიღო აბუ ტალიბმაცო.

თუმცაღა კურაიშელთა შორისაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ინტერდიქტის არაადამიანურ პირობებს არ დაემორჩილნენ და ზოგმა მათგანმა, მაგალითად, მუტყამ იბნ ადამ მას ხელი არც კი მოაწერა. ხოლო ზოგიც ნათესაური სიყვარულის გამო ჰაშიმიანებს ღამით, ყველასაგან მალულად, საკვებს, ფქვილსა და სხვა სურსათ-სანოვაგეს უზიდავდა.

მაგრამ თითო-ოროლა გულკეთილი ადამიანი უკიდურესად მძიმე საერთო ვითარებას ვერაფერს შველოდა და ჰაშიმიანები ისეთ ყოფაში ჩაცვივდნენ, რომ ღამით სანახევროდ მშივრები იძინებდნენ, ანდა ზოგი მათგანი, ტანსაცმლის უქონლობის გამო, შინიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდა.

ასეთ ყოფაში ჰაშიმიანებმა ორ-სამ წელიწადს დაჰყვეს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, ამ გვარსა და დანარჩენ მექელთა შორის შეთანხმება მოხერხდებოდა.

მუსლიმური ანალები მოგვითხრობენ იმის შესახებ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ჰაშიმიანთა გვარის სამკვიდრებლიდან

ხშირად ისმოდა შიმშილის ზარი — პატარა ბავშვების ტირილი და დედაკაცების გმინვა და მოთქმა.

თუმცაღა იმავე ანალებში შემონახულია იმ ადამიანთა სახელებიც, რომლებიც ზოგჯერ სიცოცხლის რისკის ფასად მშიერ ჰაშიმიანებს სურსათ-სანოვაგეს უზიდავდნენ და ეხმარებოდნენ. მათ შორის იყო ჰაქიმ იბნ ხიზამი — ხადიჯას ბიძაშვილი, რომელიც ერთ დღეს აბუ ჯაჰლს დაუნახავს, თავის მსახურ ბიჭთან ერთად როგორ მიეშურებოდა აბუ ტალიბის ციხესიმაგრისკენ. მსახურ ბიჭს ზურგზე ხორბლის ტომარა ჰქონია წამოკიდებული. აბუ ჯაჰლი წინ გადადგომია ხიზამს და უთქვამს: ეგ ტვირთი ჰაშიმიანთათვის მიგაქვს, არა? ღმერთმანი, იცოდე, მექამდე გამოგყვები და მთელ ხალხში თავს მოგჭრიო!

ამ დროს აბუ ალ-ბუხთური — აბუ ჯაჰლის ძმა წამოსწრებია თ და თავისი ძმისათვის უთქვამს:

— ეს სანოვაგე ხადიჯასია და უწინ ქალმა თავის ბიძაშვილს მიაბარა. ახლა განა კაცს უშლი, პატრონს ანაბარი დაუბრუნოსო?

აბუ ჯაჰლი კი თურმე მაინც თავისას არ იშლიდა და ბოლოს საქმე შეხლა-შემოხლამდე მივიდა. აბუ ალ-ბუხთურის იქვე მიწაზე დაგდებული აქლემის ყბის ძვლისათვის წამოუვლია ხელი და ისე უხეთქია აბუ ჯაჰლისათვის, რომ მისთვის თავი გადაუჩეხავს.

აბუ ჯაჰლს ამბის გახმაურება არ უნდოდა და შეეცადა, საკუთარ ძმასთან დაპირისპირება საიდუმლოდ შეენახა, მაგრამ ჩხუბისათვის შორიდან მოციქულის ბიძას — ჰამზა იბნ აბი ტალიბს მოუკრავს თვალი და ყველაფერი მუჰამადისა და თავისი ოჯახის სხვა წევრთათვის უცნობებია.

შიიტური წყაროები ბანი ჰაშიმის დამხმარეთა შორის ასევე ასახელებენ მუჰამადის ქალიშვილის, ზაინაბის ქმარს — აბუ ლას იბნ რაბიყსაც, რომელიც, როცა კი შესაძლებლობას გამონახავდა, ცოლის ნათესავების დასახმარებლად არაფერს იშურებდა. იგი აქლემს სურსათ-სანოვაგით დატვირთავდა, ღამით აბუ ტალიბის ციხესიმაგრეში მიიყვანდა და უშვებდა. თვითონ კი ყვირილს დაიწყებდა ხოლმე, რომ ცოლის ნათესავებისთვის ხეობაში აქლემის შემოსვლა შეეტყობინებია.

შემდგომში მუჰამადი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ აბუ ლას-

მა სიძის ვალი იმ წლებში ჩვენ წინაშე პირნათლად აღასრულაო.

იზოლაციის ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ეძლეოდა მუჰამადს შედარებითი თავისუფლება საიმისოდ, რომ გარეთ გამოსულიყო, ხალხს დალაპარაკებოდა და ალაჰის სჯული ექადაგა. ეს ჰაჯისა და ე. წ. „მცირე ჰაჯის“ — უმრას დროს ხდებოდა, ზუ ლ-ჰიჯჯასა და რაჯაბის წმინდა თვეებში. ამ დროს, როგორც ვიცით, არაბთა ტრადიციით, ყველანაირი შუღლი და მტრობა დროებით წყდებოდა და მუჰამადიც, შეძლებისდაგვარად, სარგებლობდა ამ ვითარებით. აბუ ტალიბის ციხე-კოშკიდან მექაში, მინასა და არაფათის გორაკებზე მიდიოდა და ხალხს ისლამის მიღებას მოუწოდებდა.

თუმცა, მისი ქადაგების მერე, იმ დამოძღვრილი ადამიანების ჯგუფთან მიდიოდა ერთი ჩია ტანის, წითური მოხუცი და ეუბნებოდა:

— არ დაუჯეროთ ამ მატყუარას. ის ჩემი ძმიშვილია — ცრუპენტელა და ჯადოქარიო!

ეს კაცი აბუ ლაჰაბი იყო.

მისი საქციელი ისლამის გავრცელებას დიდად აბრკოლებდა, რადგანაც ხალხი ფიქრობდა, თუკი ბიძამისი ამას ამბობს, ცხადია, ის უკეთ იცნობს ძმისშვილსაც და საქმის ვითარებასაცო!

თუმცა, კრიმსკის თვალსაზრისით, რაკიღა ამის შემდეგ ისლამზე ახალ მოქცევებს ვეღარ ვხედავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუჰამადის ნათესავებმა მექელთა წინაშე პირობა დადეს, რომ წინასწარმეტყველის ახალ მიმდევართა გაჩენა, ისლამზე სხვა ადამიანთა მოქცევა არ დაეშვათ. ეს დაახლოებით 619 წელს უნდა მომხდარიყო.

ცხადია, ჰაშიმიანები ურთულეს ვითარებაში ცხოვრობდნენ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროსაც კი გამოჩნდნენ წესიერი ადამიანები, რომელთაც ამ გვარისა და კერძოდ, მუჰამადის განაპირება ძალიან აწუხებდათ. ამიტომაც, ჯერ ფარულად ეხმარებოდნენ მათ, ხოლო შემდგომ პირის შეკვრა და ერთიანი ძალებით, ინტერდიქტის გასაუქმებლად ზრუნვა გადაწყვიტეს.

მუსლიმი ისტორიკოსების თანახმად, ეს ამბავი ასე მომხდარა:

ერთ-ერთი პირველი, ვინც რეალურად ჰაშიმიანთა ბედზე და

მომავალზე ზრუნვა წამოიწყო, იყო ჰიშამ იბნ ამრი, რომელიც დედის მხრიდან ნათესავად მოხვდებოდა ჰიშამ იბნ აბდ ალ-მანაფს და კურაიშელთა შორის დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ეკონომიკური იზოლაციის დროსაც არაერთხელ დახმარებია ჰაშიმიანებს და ცხადად თუ მალულად მათ სურსათ-სანოვაგეს უზიდავდა.

ერთ დღესაც ამ კაცმა ზუჰაირ იბნ ბანი უმაიას მიაკითხა, რომელიც ასევე ნათესავად ერგებოდა ჰაშიმიანებს და ის კი არა, მათ უახლოეს მოყვრადაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რადგან დედამისი, ათიქა, აბდ ალ-მუტალიბის ქალიშვილი იყო.

ჰიშამ იბნ ამრმა უთხრა:

— ზუჰაირ, როდემდე უნდა ვუყურებდეთ შორიდან ჰაშიმიანთა სიბეჩავეს. შენ სრულ განცხომაში ცხოვრობ — საჭმელ-სასმელი არ გაკლია, საუკეთესო სამოსი გაცვია, ცოლებთან ნეტარებ, შენი უახლოესი ნათესავები კი, კარგად იცი, რა ყოფითაც ცხოვრობენ: მათ არავინ არაფერს მიჰყიდის და არც მათგან არაფერს ყიდულობენ, ქალს ცოლად არ აძლევენ და მათ ქალებს ცოლად არ ირთავენ!

ღმერთმანი, ეს ხალხი რომ აბუ ჯაჰლის ნათესავები ყოფილიყვნენ და მისთვის ამგვარ ხელშეკრულებაზე თავის ნათესავთა საწინააღმდეგოდ ხელმოწერა მოგეთხოვა, აბუ ჯაჰლი ამაზე არასოდეს დათანხმდებოდაო!

ზუჰაირზე ჰიშამ იბნ ამრის სიტყვამ ძალიან იმოქმედა და უთხრა:

— მე ერთი კაცი ვარ და მარტოს რისი გაკეთება შემიძლია. კიდევ ვინმე რომ ამეყოლიებინა, იმ შეთანხმებას უსათუოდ დავარღვევდიო!

ჰიშამ იბნ ამრმა უთხრა: — აგერ, მეც ხომ მზად ვარ, ამ საქმეში მხარი აგიბაო!

ზუჰაირმა მიუგო: — მოდი, სხვების მიმხრობაც ვცადოთო!

ჰიშამ იბნ ამრმა ამ მიზნით მუტყამ იბნ ადის, აბუ ჯაჰლის ძმას — აბუ ალ-ბუხთურისა და ზამყა იბნ ალ-ასვადსაც მიაკითხა. ამათგან თითოეული მექაში ანგარიშგასაწევ კაცად ითვლებოდა. მივიდა, მათაც დაელაპარაკა და განზრახულზე ისინიც

დაიყოლია. განზრახვის აღსასრულებლად კი შეთანხმდნენ ერთმანეთს მექის ზემოთ, ჯაჰუნის მთის კალთასთან შეხვედროდნენ და კონკრეტულ სამოქმედო გეგმაზე ეთათბირათ.

შეხვედრა საღამოს გაიმართა, მეორე დილით კი ზუჰაირ იბნ აბი უმაია ქააბაში მივიდა და დადგენილი წესის მიხედვით, გარსშემოვლის რიტუალი აღასრულა. ამის შემდეგ შემაღლებულზე შედგა და დაიძახა:

— მექელებო, განა სამართალია, რომ თავისუფლად და უზრუნველად ჭამდეთ პურს, ჰაშიმიანნი კი შიმშილით იხოცებოდნენ! ღმერთმანი, ვიდრე ამ სამარცხვინო ხელშეკრულებას ნაფლეთებად არ ვაქცევ, ვერ მოვისვენებო!

ტაძრის კუთხეში მდგარმა აბუ ჯაჰლმა დაუძახა:

— ღმერთსა ვფიცავ, ამაოდ იქადნები! ამ ხელშეკრულების დახევა ძეხორციელს არ ხელეწიფებაო!

მაშინ ზამყა იბნ ალ-ასვადმა უთხრა:

— ამაოდ ახლა შენ ირჯები, რადგან ჩვენ თავიდანვე ხელშეკრულების ხელმოწერის წინააღმდეგნი ვიყავით და დღესაც ასეაო!

ტაძრის მეორე კუთხიდან მას აბუ ალ-ბუხთურიც აჰყვა:

— ზამყა მართალს ამბობს, ჩვენ თავიდანვე არა გვსურდა ეს ამბავიო!

აქ მუტყიმ იბნ ადიმაც დაიძახა:

— ეს ხალხი მართალია და ვინც მათ საწინააღმდეგოდ ილაპარაკებს, სიცრუეს იტყვისო!

აბუ ჯაჰლმა მათი ნათქვამის გაგონებაზე შესძახა:

— ჩანს, სუყველამ წინდაწინვე შეკარით პირი და წუხელ მოითათბირეთ, რომ დღეს ეს ამბავი დაგეტრიალებიათო!

ზოგიერთი მუსლიმური გადმოცემის მიხედვით, ამ დროისათვის უკვე ინტერდიქტის ტექსტი ქააბას კედლიდან ჩამოეხსნათ და შესანახად აბუ ჯაჰლის დედისათვის ჰქონდათ მიბარებული.

ქააბაში რომ ეს ამბავი მოხდა, იმის წინა ღამით, მოციქულს ჯიბრაილი გამოეცხადა და შეატყობინა, რომ შეთანხმების ფურცელი, უფლის ნებითა და დავალებით, ჩრჩილმა შეჭამა და მის-

გან მხოლოდ ის კიდეღა დარჩა, სადაც წერია: სახელითა შენითა, უფალო ჩვენოო!

მუჰამადმა ეს ამბავი აბუ ტალიბს უთხრა. აბუ ტალიბმა კი წინასწარმეტყველი თან გაიყოლა და ქააბას ტაძრისაკენ გაემართა. მივიდა და ტაძრის ეზოში ჩამოჯდა. კურაიშელებმა ბიძაძმიშვილი რომ დაინახეს, იფიქრეს: ალბათ, აბუ ტალიბი ჩვენთან წინააღმდეგობამ დაღალა და ახლა შესარიგებლად და მუჰამადის ჩვენთვის ჩასაბარებლად მოვიდაო!

მიუახლოვდნენ, პატივით მოიკითხეს და უთხრეს:

— აბუ ტალიბ, ჩანს, შესარიგებლად და მუჰამადის გადმოსაცემად მოსულხარო!

აბუ ტალიბმა მიუგო:

— არა, მუჰამადმა რაღაც მაცნობა. იგი არასდროს ტყუილს არ იტყვის! ახლა კი მითხრა, რომ ღმერთმა ჩრჩილს დაავალა, ჩვენი განკვეთის ფურცელი შეეჭამა. ასეც მოხდა და ახლა ამ ფურცლიდან მხოლოდ ბოლოკიდეა დარჩენილი, რომელსაც ანერია: „სახელითა შენითა, უფალო ჩვენო!“ მიდით, ფურცელი მოატანინეთ და თუ მუჰამადის ნათქვამი მართალი გამოდგა, ღვთის შიში იქონიეთ! ხოლო თუ მუჰამადის სიტყვა არ გამართლდა, მაშინ მზად ვარ, გადმოგცეთ ის და რაც გსურდეთ, უქენითო!

იქ მყოფებმა უთხრეს:

— აბუ ტალიბ, სამართლიანად განსჯი და ხამს, შენი სიტყვა შევასრულოთო!

ხალხი გააგზავნეს, ჰაშიმიანთა განკვეთის ფურცელი მოატანინეს და მართლაც ისე აღმოჩნდა, როგორც მუჰამადმა უთხრათ.

ფურცლისაგან მხოლოდ კიდე იყო დარჩენილი, სადაც ეწერა: „სახელითა შენითა, უფალო ჩვენო!“

ამ ამბავმა იქ შემსწრე ხალხზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ კურაიშელთა უმრავლესობამ აზრი მაინც არ შეიცვალა და განაცხადეს: ესეც მუჰამადის მორიგი ჯადოქრობააო!

თუმცა მაშინ ბევრი ადამიანი გამუსლიმდა და კურაიშელთა ტომის მეთაურები იძულებულები გახდნენ, ჰაშიმიანთა წინააღმდეგ მიღებული ულმობელი გადაწყვეტილება გაეუქმებინათ.

ამრიგად, მუჰამადის საგვარეულო ცხოვრების ჩვეულებრივ მდინარებას მიუბრუნდა და წარმართთა გააფთრებული წინააღმდეგობა როგორღაც შესუსტდა, მაგრამ ეს ვითარება მაინც არ იყო დამამშვიდებელი, რადგან კურაიშელთა მეთაურები — აბუ ჯაჰლი, უთბა, შაიბა და სხვები უწინდებურად მოციქულის მტრობასა და შეურაცხყოფას განაგრძობდნენ.

ცოტა ხანში კი მუჰამადს თავს სხვა უბედურებებიც დაატყდა.

## აბუ ტალიბისა და ხადიჯას გარდაცვალება, ნიშნობა აიშაზე, სავდაზე ქორწინება

იმავე 619 წელს, მუჰამადს გარდაეცვალა ბიძა აბუ ტალიბი, ხოლო სულ მცირე ხანში (ზოგიერთი ცნობით, აბუ ტალიბის გარდაცვალებიდან მესამე დღეს, ზოგი ვერსიით, მესამე თვეს, ხოლო რამდენიმე წყაროთი ექვსი თვის შემდეგ) — საყვარელი მეუღლე ხადიჯა.

მუჰამადის უსაყვარლესი და უერთგულესი ბიძა, 86 (ზოგი წყაროს მიხედვით კი 90) წლის აბუ ტალიბი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ლოგინად ჩავარდა.

მექური არისტოკრატიის გონიერი წარმომადგენლები ფიქრობდნენ: მუჰამადს საქმეები ბოლო ხანს რიგიანად წაუვიდა და ბევრი მნიშვნელოვანი ადამიანი მის მხარეს გადავიდა. ახლა ჰამზაც კი იმის სჯულს აღიარებს და ერთადერთი აბუ ტალიბის რიდი თუ აკავებს, თორემ როგორც კი აბუ ტალიბი მოკვდება, ალბათ მაშინვე ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდება და ბრძოლას დაგვიწყებსო!

ამიტომაც გადაწყვიტეს სიკვდილის პირას მყოფი აბუ ტალიბი მოენახულებიათ და მისი შუამავლობის წყალობით, მუჰამადისათვის ხელშეუხებლობის პირობა ჩამოერთმიათ.

ამ მიზნით უთბა, შაიბა, აბუ ჯაჰლი, უმაია იბნ ხილფი, აბუ სუფიანი და კიდევ რამდენიმე დიდებული აბუ ტალიბთან მივიდა. სალამ-ქალამისა და მოკითხვის შემდეგ მათ სნეულ მასპინძელს განუცხადეს:

— აბუ ტალიბ, კარგად იცი, როგორ პატივს გცემს მთელი მექა და ჩვენი ტომი — კურაიში. ყველას ჭკუის საკითხავ კაცად ეგულები და შენს რჩევას უყოყმანოდ, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებენ.

ახლა სნება მოგეძალა და ისიც ხომ ცხადია, რომ ბოლოს ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ამიტომაც არსებობს საშიშროება, რომ შენი ძმისშვილის, მუჰამადისა და ჩვენი მტრობა შენს შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდეს და გაძლიერდეს. ჰოდა, სანამ პირში სული გიდგას და რაღაცის გაკეთება ჯერ კიდევ შეგიძლია, ეგებ გეხმო შენთან მუჰამადი და გებრძანებია მისთვის, რომ ჩვენთან და ჩვენს ადათ-წესებთან დაპირისპირებაზე ხელი აეღო. სამაგიეროდ, ჩვენც თავს დავანებებდით მასთან წინააღმდეგობას და თავისი სჯულის შესაბამისად, რასაც ინებებდა, იმას იქმოდაო!

აბუ ტალიბმა მართლაც გააგზავნა ვიღაც და მუჰამადი თავისთან მიიხმო. როცა წინასწარმეტყველი მივიდა, ბიძამ საქმის ვითარება აუხსნა, მუჰამადმა კი პასუხად მიუგო:

— ამათგან ერთი წინადადების გარდა, სხვას არას მოვითხოვ. თქვან ის წინადადება და არაბებზე ხომ აღმატებულნი შეიქნებიან და შეიქნებიან, არაარაბებზეც წინ დადგებიანო!

აბუ ჯაჰლს წამოუძახია: მამაშენის სული ნუ წაგიწყდება, ერთს კი არა, თუნდაც ათ წინადადებას ვიტყვით. გვიბრძანე, ჩვენგან რისი მოსმენა გსურსო.

მუჰამადს მიუგია: მაშ, თქვით: „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“ და მერმე კერპმსახურებაზეც ხელი აიღეთო!

მექელმა არისტოკრატებმა ჯერ თურმე ბრაზით ერთურთს გადახედეს, მერე კი გაავებით ხელი ხელს შემოჰკრეს და მუჰამადს უთხრეს:

— ნუთუ გსურს, ამდენი ღმერთის ადგილას ერთადერთი ღმერთი აღაზევო! ნამდვილად უცნაური რამე გწადიაო!

მერე ერთმანეთისათვის გადაულაპარაკებიათ:

— ეს ჩვენი სიტყვების გამგონი და ამყოლი მაინც არ არის, დროს ტყუილად ნულარ ვკარგავთ, ჩვენს გზას ვეწიოთო.

ცოტა ხანში კი მუჰამადს ხელახლა უხმეს ბიძის სასთუმალ-

თან, ოღონდ ამჯერად სიკვდილის პირას მყოფმა აბუ ტალიბმა თვითონ მოინდინა თავის აღზრდილთან გამოთხოვება.

მუსლიმურ ანალებში შემონახული ცნობების თანახმად, გარდაცვალებამდე მუჰამადმა კიდევ ერთხელ სთხოვა აბუ ტალიბს, ისლამი მიეღო, რაღა ღვთის წინაშე პირნათელი წარმდგარიყო, მაგრამ აბუ ტალიბმა ამჯერადაც, საბოლოოდ დაადასტურა თავისი ნება, რომ მამა-პაპათა რელიგიის ერთგული რჩებოდა და წინაპართა ადათ-წესის დათმობას არც სიკვდილის წინ აპირებდა.

ეს ცნობები შემონახულია სუნიტ ავტორებთან, შიიტი ავტორები კი იმაში, რომ აბუ ტალიბი შეიძლებოდა ურწმუნო წარმართად გარდაცვლილიყო, ალის დისკრიმინაციის მცდელობას ხედავენ და ამტკიცებენ, სასიკვდილო სარეცელზე მწოლმა აბუ ტალიბმა მუჰამადის სჯული აღიარა და ისლამი მიიღოო.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ასეა თუ ისე, მუჰამადს აბუ ტალიბისნაირი ქომაგი ბევრი არ ჰყოლია და ამ ბრწყინვალე ადამიანმა თავისი ჩუმი, მაგრამ აქტიური თანადგომით უფრო მეტი რამ გააკეთა ისლამის ზეობისთვის, ვიდრე ბევრმა მისმა თანამედროვემ და ნათესავმა.

აბუ ტალიბის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში კი წინასწარმეტყველს თავის უსაყვარლეს ცოლთან ხადიჯასთან გამოთხოვებაც მოუხდა.

ხადიჯას სიკვდილი მუჰამადმა უკიდურესად განიცადა. დაკრძალვის დღეს, ცოლის საფლავში ჯერ თვითონ ჩაწვა და ცხედარი მხოლოდ ამის მერე ჩაასვენებინა. სიმბოლურად, თითქოს სამარე გაუთბო და ამით გამოხატა უდიდესი პატივისცემა, რასაც ამ საოცარი ქალის მიმართ განიცდიდა.

ხოლო როცა თვალცრემლიან ფატიმას მისთვის შეუტირია: სად არის მამა, დედაჩემი, ახლა სადღააო, მუჰამადს ჯიბრაილის ჩაგონებით, უპასუხია: ცათა შინა, ღმერთმა იგი სამოთხეში დაავანაო.

მუჰამადს რომ ხადიჯა განსაკუთრებით უყვარდა, იქიდანაც ჩანს, რომ მას ქალის სიცოცხლეში მეორე ცოლის შერთვა არასოდეს უფიქრია, იმის მიუხედავად, რომ ხადიჯა მასზე მთელი

15 წლით უფროსი იყო და როცა იქორწინეს, უკვე მაშინვე ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. პირიქით, აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, სადაც ქალი ბუნებრივი პირობებისა თუ სხვა სოციალურ ფაქტორთა გამო ნაადრევად ბერდება, ეს ორნაქმარევი ქვრივი გვარიანად ხანშიშესულიც კი იყო, მაგრამ მოციქულს სავსებით აკმაყოფილებდა მეუღლის გარეგნობა და აზრადაც არ მოსვლია, მის გვერდით, სხვა, თუნდაც უფრო ახალგაზრდა, ცოლი მოეყვანა.

ხოლო ხადიჯას სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ, როცა მწუხარება ასე თუ ისე ჩაუცხრა, თავისი მეგობრისა და ერთგული მიმდევრის — აბუ ბაქრის 6-7 წლის გოგონაზე — აიშაზე დაინიშნა.

მაგრამ რადგან აიშა ჯერ კიდევ ძალზე უწლოვანი იყო, ნიშნობა მხოლოდ ფორმალურად ჩატარდა და პრაქტიკულად, მუჰამადი ბავშვის გაზრდას დაელოდა.

ისლამის ისტორიის მკვლევრები ფიქრობენ, რომ ამ ქორწინებისას მოციქულს ფიზიკურ ვნებებზე მეტად ეკონომიკური და პრაქტიკული ინტერესები ამოძრავებდა, რადგან ამით აბუ ბაქრის მეტ ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას მოიპოვებდა.

აიშასთან ქორწინება რეალურად რამდენიმე წლის მერე შედგა, მანამდე კი მუჰამადმა ცოლად შეირთო კიდევ ერთი ქალი — სავდა ბინთ სამყა, თავისი ერთ-ერთი მიმდევრის — სუქრან იბნ ამრის ქვრივი.

სავდასთან მოციქულს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა. იგი იყო მისი ქალიშვილის, ფატიმას ძიძა და თავის განსვენებულ მეუღლესთან ერთად ისლამიც ადრევე ეღიარებინა, ყოველ შემთხვევაში, პირველი ჰიჯრის დროს, სავდა და მისი მეუღლე უკვე მუჰაჯირთა შორის იყვნენ და მექელი წარმართების მხრიდან მუსლიმთა მიმართ განხორციელებულ დევნას აბისინიაში გაერიდნენ.

მუსლიმი ავტორების თანახმად, სწორედ აბისინიაში ეცნობა წინასწარ ის პატივი სავდას, რაც ცოტა ხანში ელოდა. ქალმა ნახა სიზმარი, ვითომ მოციქულმა მას მკერდზე თავი დაადო. როცა გამოიღვიძა, სიზმარი ქმარს — სუქრანს მოუყვა და კაცმა

ეს ხილვა მოახლოებული სიკვდილისა და ცოლის მოციქულზე გათხოვების მინიშნებად ახსნა.

მაგრამ სავდა მუჰამადს მხოლოდ აბისინიიდან დაბრუნების შემდეგ, რამდენიმე წელიწადში მისთხოვდა. ამ დროისათვის მისი ქმარი უკვე გარდაცვლილი იყო და ქალი მეუღლის ანდერძის თანახმად, თანატომელებთან ანუ ბანუ ამრის ტომთან უნდა დაბრუნებულიყო, რომლებიც ერთ-ერთ გავლენიან, თუმცა წარმართობაზე თავგადადებულ ხალხად ითვლებოდნენ. ასეთ ვითარებაში ქალს ან ისლამის დათმობა ანდა უკიდურესად შევიწროვებული და დაჩაგრული ყოფა მოუწევდა. ამგვარი მომავლისაგან იგი გულკეთილმა მუჰამადმა იხსნა და სავდა ცოლად მოიყვანა.

თუმცა, როგორც ისლამური მატიანეებიდან ჩანს, წინასწარმეტყველს სავდა დიდად არასდროს ჰყვარებია და ქორწინებიდან რამდენიმე წელიწადში მასთან გაყრაც კი მოიწადინა, მაგრამ თვალცრემლიანი ქალი შეევედრა, შეენარჩუნებინა მისთვის მოციქულის ცოლობის პატივი, სამაგიეროდ კი მზად იყო ქმართან სარეცლის გაყოფის საკუთარი რიგი აიშასათვის დაეთმო. მუჰამადი დათანხმდა ამ პირობას და სავდაც სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობდა იმ პატივით, რასაც ასე გულდაგულ ესწრაფოდა.

## ურთიერთობა აბუ ლაჰაბთან. ტაიფში მოკავშირეთა ძიება

ორი უახლოესი ადამიანის — აბუ ტალიბისა და ხადიჯას გარდაცვალებამ მუჰამადი შესამჩნევად მოტეხა და თითქოს ნაადრევადაც დააბერა. ახლა უკვე სავსებით უმფარველოდ და უქომაგოდ იყო დარჩენილი. ამიტომაც, ძირითადად, შინ იჯდა, რადგან იმჟამად უწინდელზე უფრო მეტად შეიძლებოდა თავის თანამემამულეთა დაცინვისა და შეურაცხყოფის სამიზნედ ქცეულიყო. ერთხელაც, თურმე როცა მექის ქუჩებში მიმავალს

წარმართებმა თავზე ნაგავი გადააყარეს, მწუხარებით გაოგნებულს ეს ამბავი ვერც კი შეუნიშნავს.

შინ რომ დაბრუნებულა, ერთ-ერთ ქალიშვილს მისი გასუფთავება დაუწყია და თან ტირილი ავარდნია. წინასწარმეტყველს ჩაულაპარაკია: ახლა რომ აბუ ტალიბი ცოცხალი იყოს, რა თქმა უნდა, ამას ვერავინ გამიბედავდაო!

იმხანად მუჰამადის მფარველი უკვე ბიძამისი აბუ ლაჰაბი გახდა, რადგან აბუ ტალიბის შემდეგ ეს კაცი გვარში ასაკით ყველაზე უფროსი იყო და გვარის დანარჩენ წევრთა დაცვა თუ ნათესაურ კავშირ-ურთიერთობათა შენარჩუნებაზე ზრუნვა ახლა სწორედ მას დაეკისრა.

მუჰამადის სწავლებისადმი აბუ ლაჰაბი უკიდურესად მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ თავისი გვარის წარმომადგენელთა პირადი თავისუფლების დაცვა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სხვა დანარჩენი.

„იარე, სადაც გსურდეს, აკეთე, რაც მოგეპრიანება, სწორედ ისე, როგორც ჩემი განსვენებული ძმის სიცოცხლეში, ალაჰს გეფიცები, ვიდრე ცოცხალი ვარ, შენ ხელს ვერავინ დაგაკარებს!“ — განუცხადა მან მუჰამადს.

კურაიშელთა უმრავლესობა ასეთ საქციელს სამართლიანად და პატივისცემის ღირსად მიიჩნევდა, მაგრამ მუჰამადის ორმა ყველაზე თავგადაკლულმა მოწინააღმდეგემ საქმის ავად შემოტრიალება მაინც მოახერხა. ისინი აბუ ლაჰაბთან მივიდნენ და უთხრეს: „თუ გიკითხავს მუჰამადისათვის, სად იმყოფება ახლა განსვენებული მამაშენი?!“

აბუ ლაჰაბი ამის საკითხავად მუჰამადთან მივიდა.

წინასწარმეტყველმა ბიძას ორაზროვანი პასუხი გასცა: „თავის ნათესავებთან ერთად!“

აბუ ლაჰაბი ამ პასუხმა სავსებით დააკმაყოფილა, ორივე მტერი მოძებნა და მუჰამადის ნათქვამი გაუმეორა. მათ კი ისევ იქედნურად წაუსისინეს: „რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მამაშენი ჯოჯოხეთის ცეცხლში იხრუკება!“

აბუ ლაჰაბი ისევ მუჰამადთან გაეჩქარა და ჰკითხა: „მაშ, ფიქრობ, რომ მამაჩემი ჯოჯოხეთშია?!“ ასეთ კონკრეტულ

შეკითხვაზე მუჰამადს კონკრეტულად უნდა ეპასუხა და ეს მის ღირსებაზე მეტყველებს, რადგან თავისი აზრის გულწრფელად გამოხატვის გამო უკანასკნელი მფარველიც დაკარგა და თავი აშკარა საფრთხეში ჩაიგდო.

სამაგიეროდ, იგი შეეცადა, შემწეები და ქომაგები სხვაგან მოეძებნა. ამისათვის თავის შვილობილ ზაიდთან ერთად[3] ახლომდებარე დაბა ტაიფში გაემგზავრა. იქ პირისპირ შეხვდა სამ ძმას, რომელთაც ქალაქში ანგარიშგასაწევ ადამიანებად მიიჩნევდნენ, და სცადა, ისინი თავის მხარეზე გადაეყვანა. მაგრამ ძმებმა მხოლოდ სასტიკი დაცინვით უპასუხეს. ერთმა მათგანმა უთხრა: თუ ალაჰს მოციქულის წარმოგზავნა ეწადა, ნუთუ შენზე უკეთესს ვერავის მიაგნოო?! მეორემ კი პირდაპირ განუცხადა: შენთან ლაპარაკი ხეირს არ დამაყრის! რადგან თუკი, როგორც ამტკიცებ, მართლაც ალაჰის მოციქული ბრძანდები, მაშინ ჩემთვის მეტისმეტად დიდებული ხარ იმისათვის, რომ რაღაცაში შემოგეკამათო. ხოლო თუ, პირიქით, თვითმარქვია ხარ, ვფიქრობ, შენთან ურთიერთობა ჩემს ღირსებას არ შეშვენისო.

მაგრამ საქმე მხოლოდ ამით არ გათავებულა: ძმებმა მუჰამადს ქალაქის ბოგანოები და მონები წაუსიეს და ქვების სეტყვაში მოხვედრილი წინასწარმეტყველი იძულებული შეიქნა, ტაიფიდან მშობლიურ მექაში უსწრაფესად დაბრუნებულიყო.

ტაიფიდან რომ გამორბოდა, მუჰამადი სულის მოსათქმელად და დასასვენებლად დაბის გარეთ მდებარე ბაღ-ვენახებიდან ერთ-ერთი ვენახის ღობესთან ჩამოჯდა. დამწუხრებულმა თვალნი ზეცად აღაპყრო და უფალს შეჰღაღადა:

„ღმერთო, შენ შემოგჩივი ჩემი ძალის სისუსტეს, ცბიერების სიმცირესა და უძლურებას ხალხის წინაშე. ო, მოწყალეთაგან უმოწყალესო, შენა ხარ დაჩაგრულთა უფალი და შენა ხარ უფალი ჩემი. ვის აბარებ ჩემს თავს? — გარეშეთ, რომლებიც მებრძვიან თუ მტრებს, რომელთაც მიანდე საქმე ჩემი. თუ შენი რისხვა არ დამატყდება, არაფერია! უფრო განავრცე შენი პატიება ჩემზე!

---

[3] ზოგი წყაროთი ზაიდთან და ალი იბნ აბი ტალიბთან, იბნ ჰიშამის მიხედვით კი სრულიად მარტო და ეს ბოლო ვერსია უფრ ლოგიკური ჩანს.

საშველად მოვაშურებ შენი სახის ნათელს, რომელმაც განანათლა წყვდიადნი და რომელმაც გამართა საქმე წუთისოფლისა და ზესთასოფლისა, რათა არ გარდმომივლინო რისხვა და არ დამატყდეს სასჯელი შენი. შენ ხელთაა მიტევება, რათა კმაყოფილიქმნა და არა არს ძალი, არცა ღონე თვინიერ შენისა!"

ვენახი, რომლის ღობესთანაც მუჰამადი ისვენებდა, ორ მდიდარ მექელს — უთბასა და შაიბას ეკუთვნოდა. ამ დროს ისინი იქვე იყვნენ და მუჰამადს შორიდან შესცქეროდნენ. ამ ყოფაში რომ დაინახეს, შეებრალათ იგი და თავიანთ ქრისტიან მსახურ ბიჭს, ადასს უბრძანეს: მოკრიფე ყურძენი, სინზე დაუწყვე და მიუტანეო!

ადასმა მოციქულს ყურძენი რომ მიართვა, მუჰამადმა მარცვლის მოსაწყვეტად ხელი გაიწოდა და — „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისაო", — ჩაილაპარაკა.

ბიჭს მისი ნათქვამი ეუცნაურა და უთხრა: „ამ მიწა-წყლის ხალხი ასე არასოდეს ლაპარაკობსო!"

მუჰამადმა ჰკითხა: შენ თვითონ რომელი ქალაქიდან ხარ და რა რჯულის კაცი ხარო?

ადასმა მიუგო: ნინევიელი ქრისტიანი ვარო.

მუჰამადმა წამოიძახა:

— მაშ, შენ იუნუს იბნ მათთას (იონა წინასწარმეტყველის) ქალაქიდან ყოფილხარო!

ბიჭმა ჰკითხა:

— იუნუს იბნ მათთა შენ საიდან იცი?

მუჰამადმა მიუგო:

— ის ჩემი ძმაა, ალაჰის მოციქულია და მეც ალაჰის მოციქული ვარო!

ადასმა ეს რომ გაიგონა, მივიდა, მუჰამადს ჯერ შუბლზე ეამბორა, მერე კი მის დასისხლიანებულ ფეხებთან დაემხო.

უთბამ და შაიბამ, ამ ამბავს შორიდან რომ შესცქეროდნენ, ერთმანეთს გადაულაპარკეს: „ხედავ, მუჰამდმა მსახური ბიჭი გზიდან გვიცდუნაო!" — ხოლო ადასი რომ უკან მობრუნდა, ჰკითხეს: „შუბლი და ფეხები რად დაუკოცნეო?" ბიჭმა მიუგო: ამაზე უკეთესს ვერას ვიქმოდი, რადგან მაგ კაცმა ისეთი რამეე-

ბი მითხრა, რაც მოციქულის მეტს არავის არ ეცოდინებოდაო!

უთბამ და შაიბამ გააფრთხილეს: „კარგი, მაგრამ ფრთხილად იყავი, მაგ კაცმა შენს რჯულზე უარი არ გათქმევინოს, რადგან შენი რწმენა მის რწმენაზე უკეთესიაო!“

ტაიფში მოგზაურობისას მომხდარა კიდევ ერთი სასწაული, რომელიც ყურანის სურაში აისახა.

მექისა და ტაიფის გზაზე, ვადი ან-ნახლას ხეობაში, საღამოს სარიტუალო ლოცვა რომ აღასრულა, მუჰამადმა ყურანის კითხვა წამოიწყო. ამ დროს მის სიტყვებს შემთხვევით ყური მოჰკრეს ჯინებმა, რომლებიც შეჩერდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: უსმინეთ, უსმინეთ რა საოცრებააო! მერე კი ისლამი აღიარეს.

## იასრიბი და მუჰამადის მოლაპარაკებანი ამ ქალაქის მცხოვრებლებთან. პირველი აკაბა, მუსყაბ იბნ უმაირი, მეორე აკაბა

ამასობაში ათ წელიწადზე მეტი ხანი გავიდა (610-620). მუჰამადს კი უწინდებურად ცოტა მიმდევარი ჰყავდა და, თუ აბისინიაში გადასახლებულებს არ ჩავთვლით, მექაში მცხოვრებ მუსლიმთა რიცხვი იმხანად ას ორმაცდაათ კაცს არ აჭარბებდა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ახალი რელიგია უკვალოდ უნდა გამქრალიყო, მაგრამ მოულოდნელად მუჰამადმა ორი მნიშვნელოვანი ტომის — ავსისა და ხაზრაჯის მიმხრობა მოახერხა. ამ ტომებმა V საუკუნის ბოლოს ქალაქ მედინის ძალაუფლება ამ ქალაქში მცხოვრებ ებრაულ ტომებს ბრძოლით ჩამოართვეს.

მედინელები და მექელები ერთმანეთს ათადან და ბაბადან მტრობდნენ, რადგან სხვადასხვა წარმომავლობის არაბულ ტომებს ეკუთვნოდნენ. ავსი და ხაზრაჯი სამხრეთის არაბები ანუ (აზდის შტოის) იემენელები იყვნენ, კურაიშელნი კი — ჩრდილოეთის არაბები. იემენელები (ხუზაყის ტომელნი) ასევე ფლობდნენ მექასაც, მაგრამ დაახლოებით 400 წლისათვის ისინი იქიდან კურაიშელებმა გააძევეს, რომელთაც უწინდებურად ეზიზღებოდათ იმენელები.

მექელები მედინელთა სიძულვილს მათ დაცინვასაც უსართებდნენ, რადგან მედინელები მეურნეები, მიწაზე მომუშავენი იყვნენ, ხოლო საერთოარაბული შეხედულებით, მიწათმოქმედება ნაკლებპატივსაცემ საქმიანობად ითვლებოდა.

ამას გარდა, მედინაში მრავალი იუდეველი ცხოვრობდა, ხოლო რაკიღა ავსისა და ხაზრაჯის ტომის ბევრ წარმომადგენელს ქალაქის იმ უწინდელ მაცხოვრებელთა სჯული მიეღო, რომლებიც ახლა კლიენტთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მექელები მედინის მთელ მოსახლეობას ებრაულად (იუდეურად) მიიჩნევდნენ, თუმცა სინამდვილეში მედინელთა დიდი ნაწილი იმავე რელიგიას მისდევდა, რასაც მექელები, მაგრამ ეს უკანასკნელნი მედინელებს მაინც ზემოდან უყურებდნენ.

მუჰამადი ამ მხრივ თანატომელთა და თანაქალაქელთა შეხედულებებს იზიარებდა. მაგრამ რაკიღა უკვე თანამემამულე ვაჭრებისა და ბედუინების ისლამზე მოქცევის იმედი გადაუწყდა და თვით მის სიცოცხლესაც უდიდესი საფრთხე დაემუქრა, იძულებული იყო, ყველა თავის უწინდელ ტომობრივ შეხედულებაზე უარი ეთქვა და, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო, უმცირეს დახმარებასაც კი ჩაბღაუჭებოდა.

მედინელებზე მუჰამადის ქადაგებას შთაბეჭდილება უკვე მოეხდინა იმ დროს, როცა ისინი ყოველწლიური ჰაჯის რიტუალზე მედინაში ჩამოსულიყვნენ და შემთხვევით მისი სიტყვებისთვისაც მოეკრათ ყური. მათ ხომ ჩვეულებრივ ჰქონდათ, სიკეთე დაენახათ ყველაფერ იმაში, რასაც მექელები ავად და უვარგისად მიიჩნევდნენ. თანაც მათ განკარგულებაში მყოფი ებრაელები არაერთხელ დამუქრებიან მედინელებს მესიის მოსვლით, რომელიც მათ ძალაუფლებას წაართმევდა და ებრაელთ გადასცემდა. ამიტომაც, როცა მედინის არაბებმა მუჰამადის შესახებ შეიტყვეს, ალაჰის მოციქულიაო, იგი ებრაელთათვის აღთქმულ მესიად მიიღეს და გადაწყვიტეს, ყველაზე ჭკვიანური იქნება, თუ იუდეველებს მუჰამადის მოციქულად აღიარებას დავასწრებთო. ისინი ფიქრობდნენ, ამით მოციქული ჩვენ დაგვიჭერს მხარს და ებრაელებს იმავე იარაღით დავუპირისპირდებით, რითაც თვითონ გვემუქრებოდნენო.

ამ ყველაფერთან ერთად, სიმშვიდე არც თვით არაბულ ტომთა შორის ყოფილა. ავსისა და ხაზრაჯის ტომთა შორის 583 წლიდან დაწყებული შუღლი იმ ხანებშიც დროდადრო იფეთქებდა და ორივე მხრის სასტიკი ხოცვა-ჟლეტვით თავდებოდა. 615 წელს ავსელებმა დახმარებისათვის ებრაელებს მიმართეს და მათი თანადგომით მედინის მახლობლად, ბუასში დაამარცხეს ხაზრაჯები, რამაც ამ ორი არაბული ტომის მტრობა და ურთიერთშუღლი გაამწვავა. თუმცაღა ბრძოლით გადაღლილ ყველა მხარეს მშვიდობაც სწყუროდა და რაკიღა ქალაქს ეს სიმშვიდე ვერავინ მოუტანა, ფიქრობდნენ, რომ წესრიგის დამყარებასა და მეტოქეთა დაშოშმინებას მხოლოდ ალაჰის მოციქული თუ შეიძლებდა.

ავსისა და ხაზრაჯის ტომების შორის ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა მოციქულის ჰიჯრამდე 2 წლით ადრე ანუ დაახლოებით 619-620 წლებში გაიმართა. ამ ბრძოლისას, რომელიც ისლამურ ანალებში ბუასის ბრძოლის სახელითაა ცნობილი, ორივე ტომმა უდიდესი ზარალი განიცადა: გადაიწვა ათეულობით სახლი და განადგურდა ფინიკის ბაღები, რაც იასრიბის მცხოვრებთა შემოსავლის ძირითად წყაროდ გვევლინებოდა.

იასრიბელმა ავსებმაც და ხაზრაჯებმაც დახმარების საძიებლად მექაში მცხოვრებ ტომებს მოაშურეს და თითოეული მათგანი ცდილობდა მექელების მიმხრობით მტრის წინააღმდეგ საკუთარი პოზიციები გაემყარებინა.

იბნ ისჰაკის ცნობით, მექაში ჩამოსვლა ხაზრაჯებს ავსელებმა დაასწრეს, თავიანთი ტომის დელეგაციას სათავეში ვინმე უნს იბნ რაფიყი ჩაუყენეს და კურაიშელებთან მოსალაპარაკებლად გაისტუმრეს.

ამ დროისათვის მუჰამადი აქტიურად ცდილობდა ისლამის ზეობისათვის ახალ-ახალი დახმარების მოიძიებას. ამიტომ მექაში ჩამომსვლელ ნებისმიერ უცხოელს სიამოვნებით ებაასებოდა და ალაჰის სჯულის აღიარებისაკენ მოუწოდებდა.

ახლაც, ავსელების ქალაქში შემოსვლის შესახებ შეიტყო თუ არა, მათთან მივიდა და უთხრა:

— ყური მიგდეთ, მე ისეთ რამეს შემოგთავაზებთ, რაც იმაზე, რისთვისაც ჩვენთან ჩამოსულხართ, გაცილებით უკეთესიაო!

ავსელებმა ჰკითხეს: რას გვთავაზობო?

მაშინ მუჰამადმა მათ ისლამის აღიარებისაკენ მოუწოდა და თავისი სჯულის ძირითადი პრინციპები გულდაგულ აუხსნა.

ჩამოსულთა შორის ერთი ჭაბუკი — იას იბნ მუყაზიც ერია. ამ ჭაბუკმა რომ მუჰამადის ნათქვამი მოისმინა, დაიძახა:

— ღმერთმანი, მართალს ამბობს ეს კაცი და რასაც ის გვთავაზობს, მართლაც, გაცილებით უკეთესია იმაზე, რისთვისაც აქ ჩამოვედითო!

მაგრამ უნს იბნ რაფიყმა ქვიშას წამოავლო ხელი, ჭაბუკს სახეში შეაყარა და ხმა გააკმენდია. თქვა: ჩვენ მექაში ამისათვის არ მოვსულვართო და, ამრიგად, შეხვედრა ჩაიშალა. თუმცა იასმა შინაგანად ირწმუნა მუჰამადისა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, მუსლიმი ისტორიკოსების ცნობით, მორიგ ტომობრივ ბრძოლაში მუსლიმად და ალაჰის სახელის ხსენებით აღესრულა.

სხვა გადმოცემის მიხედვით კი პირველები ვინც მექის არაბულ ტომებთან მოსალაპარაკებლად და დახმარების სათხოვნელად ჩამოვიდნენ, ხაზრაჯის ტომის ორი კაცი — ასყად იბნ ზირარა და ზაქვან იბნ აბდ ალ-კაისი — იყო. ეს ამბავი კი დაახლოებით 617-119 წლებში, ჰაშიმიანთა წინააღმდეგ გამოტანილი ინტერდიქტის ხანაში მომხდარა.

ამიტომაც დასავლურ ისლამოლოგიაში იმის მიხედვით, ესა თუ ის ევროპელი მკვლევარი, ამ ორი გადმოცემიდან რომელს უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს, აღნიშნულ საკითხზე აზრი ორადაა გაყოფილი.

მური ფიქრობს, რომ უცხოქალაქელ არაბებთან მუჰამადის ურთიერთობათა დასაწყისი ჯერ კიდევ ჰაშიმიანთა გვარისათვის გამოტანილი ინტერდიქტის ხანიდან (617-619) უნდა აითვალოს, შპრენგერის გამოთვლით კი იასრიბელებთან მუჰამადის პირველი მოლაპარაკებანი 620 წელს შედგა და თვითონ მედინაშიც ამავე მიზნით მისიონერი, ვინმე მუსყაბ იბნ უმაირიც გააგზავნეს.

ერთი რამ ცხადია, რომ მუსლიმური ანალების უმეტესობა პირველ მისიონერებად სწორედ ზემოაღნიშნულ ორ კაცს ასახელებს.

მაგალითად, ატ-ტიბრისი გადმოგვცემს:

ორი ხაზრაჯის ტომელი კაცი — ასყად იბნ ზირარა და ზაქვან იბნ აბდ ალ-კაისი მექაში ჩავიდა და, რადგანაც უთბა იბნ რაბიყასთან უწინდელი მეგობრობა აკავშირებდათ, მის სახლში დაბინავდნენ. მასპინძელს თავიანთი მისვლის მიზეზი აცნობეს და ავსის ტომელთა წინააღმდეგ მექელების მიმხრობაში დახმარება სთხოვეს.

უთბა იბნ რაბიყამ ამაზე უპასუხა:

— ჯერ ერთი, თქვენი ქალაქი ჩვენგან საკმაოდ შორია. გარდა ამისა, ახლა, თვითონ ჩვენთანაც ისეთი ამბები ხდება, რომ სხვათა დასახმარებლად ნამდვილად არ გვცალია. ჯერ ის პრობლემა უნდა მოვაგვაროთ, რაც ბოლო ხანს დაგვატყდა თავს და აღარ ვიცით, რა ვიღონოთო.

ასყადმა ჰკითხა:

— ასეთი რა განსაცდელი შეგხვდათ. თქვენ ხომ ქააბას ტაძრის წმინდათაწმინდა ნაკრძალში ცხოვრობთ და ღვთისაგან უსაფრთხოება და სიმშვიდე გაქვთ ნაბოძებიო?

უთბამ მიუგო:

— ერთმა ჩვენიანმა ბოლო ხანს იმის მტკიცება დაიწყო, ღმერთმა მოციქულად ამირჩია და ხალხის დასამოძღვრად წარმომგზავნაო! ეს კაცი ჩვენს ბრძენკაცთ უგუნურებად აცხადებს, ღმერთებს გვიგინებს, ახალგაზრდებს გზიდან აცდუნებს და ჩვენს ერთობას ბზარი შეუყენაო!

ასყადმა ჰკითხა:

— ის კაცი თქვენი რანაირი ნათესავიაო?

უთბამ მიუგო: აბდ ალ-მუტალიბის შვილიშვილი და მექის ერთ-ერთი წარჩინებული სახლეულის მემკვიდრეაო!

ამის გამგონე ასაყად იბნ ზირარას იასრიბელი იუდეველების ნათქვამი გაახსენდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, ახლოა ჟამი მოციქულის ზეგარდმოვლენისა, რომელიც მექაში დაიწყებს

მოღვაწეობას, მერმე იასრიბში გადმოსახლდება და სწორედ მისი შემწეობით დაგამარცხებთ და გაგაცამტვერებთო!

ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე უთბა იბნ რაბიყას მუჰამადის სახლი ჰკითხა.

უთბამ მუჰამადის ადგილ-სამყოფელი კი მიასწავლა, მაგრამ საჩქაროდ დასძინა:

— ფრთხილად იყავი, მუჰამადთან გამოლაპარაკებას არ გირჩევ. ნურც შენ ეტყვი რამეს და ნურც იმის ნათქვამს გაიგონებ, რადგან იგი ჯადოქარია და თავისი სიტყვის ძალით მოგნუსხავსო!

ასყადმა მიუგო: მე მექაში მცირე ჰაჯის — უმრას აღსასრულებლად და ქააბას ტაძრის მოსალოცად ჩამოვედი. იქ მისვლა მომიწევს და აბა, როგორ იქნება, მუჰამადის ქადაგება არ მოვისმინოო!

უთბამ ურჩია: ყურები ბამბით დაიცავიო!

ასყად იბნ ზირარა ასეც მოიქცა, ქააბასაკენ გაემართა და მომლოცველობის აღსრულებას შეუდგა. ქააბას ტაძრის გარშემო პირველი შემოვლისას, ისმაილის კუთხეში მჯდარი მოციქული დაინახა, რომელსაც გარს ჰაშიმიანთა გვარის რამდენიმე კაცი ეხვია.

მეორე შემოვლისას, ასყადმა, ისევ იმავე ადგილს რომ მიაღწია, გაიფიქრა:

ისე, ნეტავ ჩემზე უგუნური თუ ვინმე იქნება? განა შეიძლება, მექაში ასეთი მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდეს, მე კი უკან, იასრიბში ისე დავბრუნდე, ამის შესახებ არაფერი შევიტყო? უკეთესი არ იქნება, მივიდე ამ კაცთან, ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხო და მისი ამბავი თანაქალაქელებსაც ჩავუტანოო!

ბამბა საჩქაროდ გამოიღო ყურებიდან, გვერდზე მოისროლა და ალაჰის მოციქულთან მივიდა. იმ დროს მისალმებისას წარმართთა შორის გავრცელებული ტრადიციით, დამხვდურებს უთხრა: „ბედნიერი დილა გქონოდეთო!" მუჰამადმა კი თავი ასწია და მიუგო: ღმერთმა მაგ მისალმების სანაცვლოდ უკეთესი სიტყვები დაგვიწესა და სამოთხის მკვიდრნი ერთმანეთს ასე ესალმებიან: ას-სალამუ ალაიქუმ — მშვიდობა თქვენდაო!

ასყადმა ჰკითხა: — მუჰამად, მაინც რისკენ მიგვიხმობო?

მოციქულმა მიუგო:

— ერთადერთი, სწორუპოვარი ღვთისა და მისი მოციქულობის აღიარებისაკენო! — და ისლამის სწავლების შესახებ მოუთხრო.

ამის შემდეგ ასყადმა სჯულის აღიარების სიტყვები წარმოთქვა და მერე მოციქულს განუცხადა:

— ალაჰის მოციქულო, მე იასრიბელი კაცი გახლავარ, ხაზრაჯის ტომისა. ჩვენ ახლა ჩვენს მოძმე ავსის ტომთანა ვართ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული და ეგებ ეს ჩვენი უთანხმოება სწორედ შენ მოგვიგვაროო. მაშინ შენზე უფრო ძვირფასი და საფიცარი ადამიანი აღარავინ გვეყოლებაო!

მუსლიმი ისტორიკოსების ცნობით, ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ მექაში ჰაჯის რიტუალის აღსასრულებლად ჩამოსულ ასყად იბნ ზირარას თან ხუთი (თუ რვა) თანატომელი კაცი ჩამოჰყვა. ისინი მექისა და მედინის გზაზე მდებარე ერთ ადგილთან, სადაც გზა ერთბაშად გაივაკებს და ამაღლებას იწყებს, რითაც იქმნება კუთხე ანდა მოსახვევი (აკაბა), ისლამის მოციქულს შეხვდნენ და ისლამი აღიარეს. მუსლიმური წყაროები ამ ადამიანთა შორის ჯაბირ იბნ აბდ ალ-ლაჰს, აუფ იბნ ალ-ჰარისს და რაფიყ იბნ ალ-მალიქს გვისახელებენ.

ეს ხალხი იასრიბში რომ დაბრუნდა, თავიანთ ნათესავებსა და თანაქალაქელებს ისლამის მიღება მოუწოდეს და ზოგი მათგანი კიდეც გაამუსლიმეს.

შემდეგ წელს ასყად იბნ ზირარა ახლა სხვა ჯგუფთან ერთად ისევ ჩამობრუნდა მექაში ჰაჯის აღსასრულებლად და მოციქულს აკაბასთან შეხვედრასა და მოლაპარაკებაზე შეუთანხმდა. ამ მოლაპარაკებას, რომელიც მუჰამადსა და იასრიბელთა შორის გარკვეული შეთანხმებით ბაიყათუ ნ-ნისა — ქალთა (შესახებ) შეთანხმება) დასრულდა, ჩვეულებრივ, პირველ აკაბას უწოდებენ, რადგან შემდგომ ამ ადგილას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოლაპარაკება (ე. წ. „მეორე აკაბაც“) გაიმართა.

პირველი აკაბა კი, მუსლმურ წყაროებში მიღებული ტრადიციის თანახმად, სამოციქულო მისიის მე-12 წელს ანუ 622 წლის

გაზაფხულზე გამართულა, რომელშიც, ასყად იბნ ზირარასთან ერთად, კიდევ 11 ადამიანს და მათ შორის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ორ ავსის ტომელსაც მიუღია მონაწილეობა. ამ შეხვედრის მონაწილეებმა ისლამი აღიარეს და მოციქულთან თავისებური გარიგება დადეს, რომელიც „ქალთა გარიგების“ (არაბ. ბაიყათუ ნ-ნისა') სახელითაა ცნობილი.

აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, იასრიბელები ვალდებულებას იღებდნენ, კერპთაყვანისმცემლობა, ქურდობა, სიძვა და საკუთარი ახალშობილების მკვლელობა აღარასოდეს ჩაედინათ.

როცა მშობლიურ იასრიბში დაბრუნება გადაწყვიტეს, მოციქულს სთხოვეს, მედინიდან ისლამის საქადაგებლად და ახალი რელიგიის პრინციპებში უკეთ გასარკვევად, მათთვის ვინმე გამოცდილი და საქმის კარგად მცოდნე მუსლიმი გაეყოლებინა.

იმ მექელ ჭაბუკთა შორის, რომელთაც ისლამი ეღიარებინათ და რელიგიის მცნებებსა და ყურანის მითითებებს უკიდურესად ბეჯითად ასრულებდნენ, გამოირჩეოდა ერთი ახალგზრდა კაცი — მუსყაბ იბნ· უმაირი, რომელმაც ზეპირად იცოდა ყურანის თითქმის ყველა ფრაგმენტი, რაც კი იმ დროისათვის მოციქულზე იყო ზეგარდმოვლენილი. მას ისლამის აღიარებისათვის უამრავი ხიფათი და განსაცდელი ენახა, რადგან ვიდრე გამუსლიმდებოდა, დედ-მამასთან ცხოვრობდა და სრული ფუფუნებით გარემოცულიყო, მაგრამ როგორც კი ისლამი აღიარა, მშობლებმა ისე მოიძულეს, რომ შინიდან გააძევეს და მუსყად იბნ უმაირიც მუჰაჯირების პირველ ტალღას აბისინიაში გაჰყვა. უკან რამდენიმე წელიწადში დაბრუნდა და ინტერდიქტის დროს, მოციქულთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად, ისიც აბუ ტალიბის ციხე-კოშკში ცხოვრობდა.

ახლა მოციქულმა იასრიბში გასამგზავრებლად სწორედ ეს ჭაბუკი აირჩია. იასრიბში მისი ჩასვლიდან რამდენიმე დღეში კი ამ ქალაქის ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა ისლამი მიიღო და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პრაქტიკულად ოჯახი აღარ დარჩენილა, რომ მისი რომელიმე წევრი მუჰამადის მიმდევარი არ გამხდარიყო.

ასყად იბნ ზირარა სადაც კი მიდიოდა, ყველგან თან დაჰყავ-

და მუსყად იბნ უმაირი და ხალხს ისლამის ჭეშმარიტებას უქადაგებდა. ერთხელაც ის ავსის ტომელების ბედზეც დაფიქრდა და მუსყადს უთხრა:

— დედაჩემის ძმა — საყდ იბნ მუყაზი — ავსის ტომის ერთ-ერთი მეთაური, გამჭრიახი და ძალგულოვანი ვაჟკაცია. ის ამ ტომის ამრ იბნ აუფის სახლეულს მეთაუროობს და უდიდესი გავლენით სარგებლობს. მისი გამუსლიმება რომ მომახერხებინა, საქმე უკეთ და წარმატებით წაგვივიდოდა! მოდი, იმათ უბანში წავიდეთო!

მუსყად იბნ უმაირი დაჰყვა მის ნებას, ერთად წავიდნენ საყდ იბნ მუყაზის უბნისაკენ და იქ ჭასთან ჩამოსხდნენ, სადაც, ჩვეულებრივ, უბნის მცხოვრებნი იყრიდნენ ხოლმე თავს. მალე მათ უბნის ახალგაზრდობა შემოეხვია და მუსყადმა მათ ყურანის ფრაგმენტები წაუკითხა.

ეს ამბავი საყდ იბნ მუყაზის ყურამდეც მივიდა. მან თავისთან იხმო ტომის ერთ-ერთი მეთაური და გავლენიანი კაცი — უსაიდ იბნ ჰუდაირი და უთხრა:

— როგორც გავიგე, ჩვენს უბანში ასყად იბნ ზირარა მოსულა. თან თურმე ვიღაც კურაიშელი ჭაბუკი ახლავს და ჩვენი უბნის ახალგაზრდობას აცდუნებენ. წადი მათთან და აქედან გააძევეო!

უსაიდი მართლაც წასულა და როცა ასყადს მისთვის თვალი მოუკრავს, მუსყაბისათვის უთქვამს:

— ეს კაცი ავსის ტომის წარჩინებულია, და თუ მისი მიმხრობა მოვახერხეთ, ჩვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფსო!

უსაიდს კი, ახლოს რომ მისულა, დაუძახია:

— ასყად, შენთან ბიძაშენმა გამომგზავნა და შემოგითვალა: ჩვენი უბნიდან წაეთრიე და ახალგაზრდობას გზას ნუ უმრუდებ, თორემ რაც მოგივა, საკუთარ თავს დააბრალეო!

მუსყაბმა მიმართა მას და დაუყვავა:

— ერთი წუთით ჩამოჯექი, რაღაცას გეტყვი. თუ მოგეწონება, ნათქვამს მიიღებ, თუ არა და, ავდგებით და ჩვენს გზას ვეწევითო!

უსაიდი ჩამოჯდა. მუსყაბმა მას ყურანის ერთი ფრაგმენტი

წაუკითხა. მოსმენილმა კაცზე ისე იმოქმედა, რომ უნებურად იკითხა: ვისაც სურს, ამ რელიგიის მიმდევარი გახდეს, რა უნდა ქნასო?

მუსყაბმა მიუგო:

— უნდა განიბანოს, ახალი ტანსაცმელი ჩაიცვას, რწმენის აღიარების ფორმულა წარმოთქვას და სარიტუალო ლოცვა აღავლინოსო!

უსაიდს უეცრად ისე მოუნდა ისლამის აღიარება, რომ ჭაში ტანსაცმლიანი გადაეშვა, იქიდან ამოსულმა სამოსი გაიწურა და მუსყაბს ჰკითხა: ახლა რაღა ვქნაო?

მუსყაბმა მას რწმენის აღიარების ფორმულა ასწავლა და ამრიგად კაცმა ისლამი მიიღო. უკან გაბრუნება რომ დააპირა, ასყადს მიუბრუნდა და უთხრა: — ახლა ბიძაშენსაც გამოგიგზავნიო! — და საყდის სახლისაკენ გაეშურა.

საყდ იბნ მუყაზი შინ იჯდა და როცა მისკენ მომავალ უსაიდს მოჰკრა თვალი, მის ქცევაში თითქოს რაღაც ეუცნაურა. ოჯახის წევრებს უთხრა:

— ღმერთმანი, უსაიდი ის უწინდელი უსაიდი აღარ უნდა იყოს. ერთიანად გამოცვლილი მეჩვენებაო.

ხოლო როცა ყველაფერი შეიტყო, თვითონაც წამოდგა და მუსყაბისაკენ გაეშურა. მუსყაბმა მასაც წაუკითხა ყურანის ფრაგმენტები.

შემდგომში თვითონ მუსყაბი იხსენებდა:

— კითხვისას ვიგრძენი, როგორ შეიცვალა კაცი და სახეზე ისლამის ნათელი როგორ გადაეფინაო!

ამის შემდეგ საყდმა ისლამი მიიღო და მუსყაბს უთხრა:

— დღეის ამას იქით თავისუფლად შეგიძლია იქადაგოო.

მერე კი ამრ იბნ აუფის სახლეული შეკრიბა და ახალი სჯულის მიღება მოუწოდა. თითქმის მთელი გვარი გამუსლიმდა და ამრიგად მედინაში მცხოვრები ორივე ძირითადი ტომი, არსებითად, მუჰამადის სულიერ ხელისუფლებას დაექვემდებარა.

ცხადია, ისლამური გადმოცემა ფერადოვნად აღგვიწერს იმ ამბავს, რაც ახლა წაიკითხეთ. ბევრი დეტალი შეიძლება გულუბრყვილოდ ჩანდეს, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ავსისა და ხაზ-

რაჯის ტომის გამჭრიახ მეთაურებს არ გამოჰპარვიათ მნიშვნელობა, რაც მათი დაზავების საქმეში ახალი სჯულის მიღებას შეეძლო შეეძინა. როგორც ჩანს, ორივე ეს ტომი დიდი ხანია დაღლილიყო ურთიერთქიშპით და ახლა დასაზავებლად მარჯვე შემთხვევას ეძიებდა. ისლამი კი საამისოდ შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა.

ყოველ შემთხვევაში, მუსყად იბნ უმაირმა მოციქულის მიერ დაკისრებული მისია პირნათლად შეასრულა და იასრიბიდან ისევ უკან, მექაში გამობრუნდა. რაკი საერთოარაბული პილიგრიმობის სეზონი იდგა, მასთან ერთად იასრიბიდან მექაში ისლამზე ახლად მოქცეული ადამიანებიც გაემგზავრნენ — სამოცდათვრამეტი კაცი და ორი ქალი. მათ სურდათ მოციქული ახლოდან ენახათ, მაგრამ მექაში სხვა წარმართ პილიგრიმებთან ერთად შევიდნენ და იმ ამბავს, რომ ისლამი მიეღოთ, გულდაგულ მალავდნენ.

რამდენიმე მათგანი მოციქულთან მივიდა და შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს აკაბასთან მდებარე აბდ ალ-მუტალიბის სახლში, ღამით შეხვედროდნენ.

ამ ამბების ერთ-ერთი მონაწილე ქაყბ იბნ ალ-მალიქი მოგვითხრობს:

„ღამის მესამედი ჩვენ-ჩვენს კარვებში გავატარეთ, მერე კი როგორც შეთანხმებულები ვიყავით, წამოვდექით და სათითაოდ, ისე, რომ ჩვენი მოძრაობა არავის შეემჩნია, აბდ ალ-მუტალიბის სახლისაკენ გავეშურეთ. როცა ყველანი იქ შევიკრიბეთ, ისლამის მოციქულიც მობრძანდა.“

მუჰამადს თან ახლდა ბიძამისი აბასი, რომელსაც მაშინ, სხვათა შორის, თავისი ძმისშვილის ღვთაებრივი მისიისა არ სჯეროდა.

მან იასრიბელებს ასე მიმართა: „ხაზრაჯელნო, თქვენ მუჰამადს თქვენი შეთავაზება მოაწოდეთ. მოგეხსენებათ, იგი თავისი ტომის ერთ-ერთი დიდებული გვარის შვილია, და თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგ ჩვენგანს მისი არა გვჯერა, მაინც ერთსულოვან დახმარებას ვუწევთ, რადგან იგი კარგი გვარისაა, ჩვენ კი მისი მოგვარეები ვართ.

მუჰამადმა თქვენი წინადადების მსგავსი ყველა სხვა წინადადება უარყო, თქვენი კი მიიღო იმიტომ, რომ ძლიერი, გამბედავი ხალხი ხართ, ბრძოლაც ხელგეწიფებათ და ბედუინთა შიშიც არ გაწუხებთ. კარგად გაიაზრეთ თქვენი გადაწყვეტილება, ხოლო როცა საქმეზე საბოლოო მსჯავრს გამოიტანთ, მერე თქვენი ხელმძღვანელობისა და უმრავლესობის აზრს ნუღარ გადაუხვევთ, რამეთუ ყველაზე ჭეშმარიტი სიტყვა არის ყველაზე უკეთესი."

ამაზე ერთმა იასრიბელმა ასე უპასუხა: „მოვისმინეთ შენი ნაუბარი და ალაჰსა ვფიცავ, რაც განგიცხადეთ, იმის გარდა სხვა მიზანი რომ გვქონოდა, პირდაპირ გეტყოდით. მაგრამ ჩვენ გულწრფელად გადავწყვიტეთ მუჰამადს ვუერთგულოთ და მისთვის სიცოცხლეც კი არ დავიშუროთ!"

მაშინ მოციქულმა გააცნო მათ თავისი ქადაგების არსი, ყურანის ადგილები წაუკითხა და ისლამის აღიარება შესთავაზა. მედინელები ასეც მოიქცნენ და წინასწარმეტყველს სამარადჟამო ერთგულება აღუთქვეს. აღტყინებულებმა კი ისეთი ხმაური ატეხეს, რომ აბასი იძულებული შეიქნა, მათთვის სიფრთხილისაკენ მოეწოდებია.

შემდგომ მუჰამადმა 12 მოადგილე აირჩია (რაშიც, ევროპელი მკვლევრები, ქრისტეს აშკარა მიბაძვას ხედავენ) და კრება დაიშალა.[4]

მუჰამადის მიერ არჩეული ხაზრაჯის ტომელები იყვნენ: ასყად იბნ ზირარა, საყდ იბნ საბიყი, ბირაა, იბნ მაყრური, მუნზირ იბნ ამრი, აბდ ალ-ლაჰ იბნ რუვაჰა, რაფი იბნ მალიქი, აბდ ალლაჰ იბნ ამრ იბნ ჰარარი, უბადა იბნ სამითი და საყდ იბნ უბადა.

ხოლო ავსის ტომელნი იყვნენ: უსაიდ იბნ ჰუდაირი, საყდ იბნ ხაისამა და რუფაყა აბდ ალ-მუნზირი.

---

[4] ევროპელ მკვლევართა აღნიშნული ვარაუდი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ქრისტეს მიბაძვაზე მეტად მუჰამადს ამ შემთხვევაში პირწმინდად პრაქტიკული მოსაზრება ამოძრავებდა, რადგანაც იასრიბში, როგორცა ჩანს, თორმეტი ძირთადი სახლეული იყო და მოადგილეები ამ თორმეტი სახლეულიდან აირჩია. ჩვენს თვალსაზრისს ადასტურებს ის ფაქტი, რომ იბნ ჰიშამის ცნობით, როცა მოციქულის ჰიჯრიდან რამდენიმე თვის შემდეგ მედინაში იბნ ზირარა გარდაიცვალა, მოციქულმა დაიბარა მისი ოჯახის წევრები და ზირარას სანაცვლოდ თავისი „ნაკიბი" ანუ მოადგილე ამ ოჯახიდან ხელახლა აირჩია.

მუჰამადმა გააფრთხილა შეხვედრის მონაწილენი, რომ ამ საქმის თაობაზე არავისთან სიტყვა არ დასცდენოდათ, მაგრამ მექელებს ეს მოვლენა არ გამოჰპარვიათ. ამ ამბავს მუსლიმური გადმოცემა შაიტანის ხრიკებს მიაწერს და გვეუბნება, რომ ღამით სწორედ ღვთის მოწინააღმდეგე სულმა გადასძახა მძინარე მექელებს მუჰამადი იასრიბელებს ეთათბირებაო და ეს დაძახილი თვით შეხვედრის მონაწილეებმაც კარგად გაიგონეს.

ასე იყო თუ ისე, მეორე დღეს მექელთა დიდი უმრავლესობა იასრიბელთა ბანაკს მიადგა.

„როგორც შევიტყვეთ, წუხელ ერთ ჩვენს თანაქალაქელს შეხვედრიხართ და, სხვათა შორის, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებასაც დაპირებიხართ. ჩვენთვის ეს ძალზე უსიამოვნოა, რადგან მთელ არაბეთში არ არის ტომი, ვისთანაც თქვენზე უფრო მშვიდობიან ურთიერთობას ვისურვებდით.“

იასრიბელი წარმართები, წინა ღამის შეკრებას რომ არ დასწრებიან, სასწრაფოდ წამოიშალნენ და ყველაფერი, რაც კი სანუკვარი ებადათ, დაიფიცეს, რომ კურაიშელთა ბრალდებები უსაფუძვლო იყო და ამ ამბისა არაფერი იცოდნენ. იასრიბელი მუსლიმები კი, მექელთა უკან გაბრუნებისთანავე, მშობლიური ქალაქის გზას დაადგნენ. მათ მექელთა რაზმი დაედევნა და ორი ადამიანი შეიპყრეს. ერთმა მათგანმა გზა მახვილით გაიკაფა, ხოლო მეორე ტყვედ ჩავარდა, შეიპყრეს და მექაში ჩაიყვანეს. მაგრამ რაკიღა იქ მეგობარი გამოუჩნდა, ვისთანაც სტუმარ-მასპინძლობის ადათით იყო დაკავშირებული, ტყვეობიდან მალევე გაათავისუფლეს.

## მიყრაჯი

მუჰამადის მექაში ცხოვრების ბოლო წელს კი მოხდა მისი ცხოვრების ერთ-ერთი დიდი სასწაული, რასაც ყურანი და მუსლიმური გადმოცემა „მიყრაჯს“ — „ამაღლებას“ უწოდებს. როგორც ჩანს, ებრაელთაგან წაქეზებულმა მოწინააღმდეგეებმა მუჰამადს უთხრეს: „მოციქულთა ქვეყანა სირიაა. შენც, თუ

მართლაც მოციქული ხარ ალაჰისა, იქ წადი და უკან რომ მობრუნდები, შენსას მერეღა ვირწმუნებათო."

მუჰამადმა, სავარაუდოდ, მიიჩნია, რომ მათი ნათქვამი არცთუ უსაფუძვლო იყო და, თუ გადმოცემას ვერწმუნებით, სირიაში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ღამით, ძილში, ჰქონდა ხილვა, რომლის შემდეგაც წმინდა მიწაზე გამგზავრება აღარაფერში სჭირდებოდა. მან იერუსალიმი სასწაულებრივად მოინახულა და ამის შესახებ საუბარია ყურანის XVII სურის პირველ აიაში.

ყურანში გაკვრით ნახსენებ ამბავს ფერადოვნად და დაწვრილებით გვიამბობს გადმოცემა, რომლის თანახმადაც, მუჰამადი ჯიბრაილმა ალ-ქაყბას ტაძრიდან იერუსალიმის ტაძარში სასწაულებრივად ამოგზაურა ერთ ღამეს, ფრთოსან ცხოველზე — ალ-ბურაკზე ამხედრებული. იერუსალიმში ისლამის მოციქულს გარდასულ დროთა წინასწარმეტყველნი, მათ შორის მუსა და ისაც მიეგებნენ. მერე მუჰამადი ზეცად აიყვანეს, სადაც მეშვიდე ზეცის კიდესთან, სამოთხის ხის — სიდრათ ალ-მუნთაჰას („უკიდურესი მიჯნის სიდრას") მახლობლად, ალაჰის წინაშე წარადგინეს. უფალმა სწორედ მაშინ უბრძანა მოციქულს თავისი მიმდევრებისათვის დღეში ხუთი სავალდებულო სარიტუალო ლოცვა დაეკისრებინა. წარმოსახვამ ეს ამბავი შემდეგ ძალზე ფერადოვანი წვრილმანებით შეამკო.

ამიტომაც, მოგვიანო ხანის გადმოცემებში ამ სასწაულებრივი მოგზაურობის თითქმის დეტალურ აღწერილობას ვხვდებით. ეს გადმოცემები არსებითად ერთმანეთს ემთხვევა და მხოლოდ წვრილმანებით განსხვავდება.

წყაროებში მითითებულია, რომ იმ ღამით მუჰამადი აბუ ტალიბის ქალიშვილს უმ ჰანის სტუმრობდა. როცა ყველა დასაძინებლად დაწვა, ჯიბრაილი გამოეცხადა მუჰამადს და თან ასამხედრებელი არამიწერი ცხოველი მოუყვანა, რომელსაც მუსლიმური ტარდიცია „ალ-ბურაკად" იხსენიებს. გადმოცემებში ბურაკის აღწერილობასაც ვხვდებით: ეს იყო ვირზე დიდი და ჯორზე პატარა ტანის ცხოველი, რომელსაც ორი ფრთა ჰქონდა და ერთ ნაბიჯად ადგამდა მანძილს სადამდისაც კი თვალი სწვდებოდა. იბნ ჰიშამი

აღნიშნავს, რომ ბურაკი იყო ცხოველი, რომელზედაც ამხედრებული იყვნენ გარდასული ეპოქის წინასწარმეტყველებიც.

ერთ-ერთ ჰადისში ნათქვამია: ბურაკს ადამიანის თავი და ცხენის ფაფრის მსგავსი ფაფარი ჰქონდა, ხოლო ფეხები აქლემის ფეხებს მიუგავდა. ზოგი თანამედროვე მუსლიმი ავტორის აზრით, ცხოველის სახელში „ბურრაკ“ (ელვარე, მბრწყინავი), რომლის ძირდანაც, სხვათა შორის, ნაწარმოებია სიტყვა „ელექტრონი“, უნდა იყოს მინიშნება იმაზე, რომ ამ ცხოველის სვლის სისწრაფე ელვისა და სინათლის სიჩქარეს უტოლდებოდა.

მუჰამადი ბურაკზე ამხედრდა და ცხოველი იერუსალიმისაკენ გაფრინდა. გზად რამდენიმე ადგილას შეისვენეს, სადაც მოციქულმა ლოცვა აღავლინა. ერთგან — მედინაში, სადაც წლების მერე წინასწარმეტყველმა ჰიჯრა აღასრულა, მეორეგან — ქუფას მეჩეთში და მესამედ — სინას მთასა და ბეთლემში — იესო ქრისტეს შობის ადგილას. ბოლოს მუჰამადმა იერუსალიმის მეჩეთში, ე. წ. უშორეს მეჩეთშიც ილოცა და იქიდან ზეცად გაემართა.

ერთ-ერთ გადმოცემაში ნათქვამია, რომ იმ ღამით წინასწარმეტყველს მიწიერი სამყარო ლამაზი და კეკლუცი ქალის სახით დაენახვა, მაგრამ მუჰამადმა მას ყურადღება არ მიაქცია და გვერდით გულგრილად ჩაუარა. თავდაპირველად „დედამიწის ზეცაზე“ ჩამოხდა და იქ კაცობრიობის მამა — ადამი იხილა. ანგელოზები გუნდ-გუნდად წინ გამოეგებნენ და გულზე ხელდაკრეფილნი მოციქულს მიესალმნენ.

ერთ-ერთი თქმულება ამის შესახებ თვით მუჰამადის მონათხრობს ასე გადმოგვცემს:

იქ ერთი ანგელოზი ვნახე, რომელზე დიდი არსებაც მანამდე არასოდეს მინახავს. პირქუში იყო და სახემოღუშული. სხვებთან ერთად ისიც მომესალმა და მომილოცა, მაგრამ შუბლი არ გაუხსნია და ერთხელაც არ გაუღიმია. ჯიბრაილს მისი სახელი რომ ვკითხე, მომიგო: ეს მალიქია, ჯოჯოხეთის მცველი. არასოდეს გაუღიმია და თანდათან უფრო იპყრობს რისხვა ღვთის მტერთა და ცოდვილთა მიმართო.

მივესალმე მას და როცა სალმითვე მიპასუხა, ჯიბრაილის ვთხოვე, უბრძანე, ჯოჯოხეთი მიჩვენოს-მეთქი.

იქაურობას სარქველი რომ აჰხადა, შიგნიდან ისეთი ღრიანცელი ამოვარდა, რომ მთელი სივრცე გადაავსო. ისეთი გრძნობა მქონდა, სადაცაა თავის წიაღში ჩამითრევს და მიმიტაცებს-მეთქი. ამის შემდეგ ჯოჯოხეთის მცველს უკან დაბრუნება ვთხოვე.

იმავე გადმოცემის თანახმად, მოციქულმა იქ სიკვდილის ანგელოზიც იხილა, რომელსაც ხელში სინათლის დაფა ეპყრა. მისალმების შემდეგ მოციქულისათვის უთქვამს: ქვეყანა ხელში ისე მიჭირავს, კაცს რომ დირჰემი — ვერცხლის ფული ეპყრას და წაღმა-უკუღმა აბრუნებდეს. ქვეყნად ერთი სახლიც კი არა, მე რომ ყოველ დღე ხუთგზის გარს არ შემოვუარო, ხოლო როცა ახლობლები გარდაცვლილს ტირიან, ვეუბნები: ნუ ტირით, რამეთუ კვლავაც მოვალ თქვენთან, კიდევ არაერთხელ მოვალ, მანამ, სანამ დედამიწაზე არც ერთი თქვენგანი აღარ დარჩება-მეთქი.

სწორედ ამ დროს უთქვამს ალაჰის მოციქულს: ჭეშმარიტად, სიკვდილი ყველაზე დიდი უბედურება და განსაცდელიაო, რაზედაც ჯიბრაილის მიუგია: სიკვდილის შემდგომი განსაცდელი ათასწილად უფრო მძიმეაო.

წინასწარმეტყველი კი მონათხრობს განაგრძობს:

ამის შემდეგ ერთ ჯგუფს ჩავუარე, რომელთაც წინ ეწყოთ სუფთა და ჭუჭყიანი ხორცი, ისინი ჭუჭყიანს თქვლეფდნენ, სუფთა კი ისე რჩებოდა. ჯიბრაილის ვკითხე, ესენი ვინ არიანმეთქი. მიპასუხა: ესენი შენი რელიგიური თემის წევრები არიან, რომლებიც სიცოცხლეში ღვთისაგან აკრძალულ (არამ) ლუკმას ჭამდნენ, ღვთისაგან ნებადართულისათვის (ალალისათვის) კი ზურგი ექციათო.

მერე ვნახე ხალხი, რომელთაც აქლემის ლაშების მსგავსი ტუჩები ჰქონდათ, გვერდებზე თავიანთსავე ხორცს იწიწკნიდნენ და ჭამდნენ. ჯიბრაილმა მითხრა: ესენი ის ხალხია, ვინც სიცოცხლისას სხვა ადამიანებს აძაგებდნენ და ხალხის ზურგს უკან მათ აუგად იხსენიებდნენო.

მერე ვნახე ხალხი, რომლებიც თავს ქვაზე ურახუნებდნენ.

მათი ამბავი რომ ვიკითხე, ჯიბრაილმა ამიხსნა: ეს ხალხი ღამის სარიტუალო ლოცვას არ აღავლენდა და ისე იძინებდაო.

მათ შემდეგ კი კიდევ ერთ ჯგუფს ჩავუარეთ, რომლებიც პირში ცეცხლს იყრიდნენ და უკანა ტანიდან გამოსდიოდათ. ვკითხე: ბრწყინვალე ჯიბრაილ, ესენი ვინღა არიან-მეთქი და მომიგო: ეს ის ხალხია, რომლებიც სიცოცხლისას ობლების ქონებას უკანონოდ ითვისებდნენო.

ერთ ჯგუფში კი ადამიანებს იმხელა ფაშვები ეკიდათ, რომ ადგილიდან ვერ იძვროდნენ. მათი ამბავი რომ ვიკითხე, ბრწყინვალე ანგელოზმა ამიხსნა, ეს ხალხი მევახშეობას ეწეოდაო.

მერე ვიხილე ქალები, რომლებიც ძუძუებით თავქვე დაეკიდებინათ. ჯიბრაილმა მითხრა: ესენი მრუში ქალები არიან, ქმრებს რომ სხვა კაცებთან ღალატობდნენო.

ცოტა უფრო შორს რომ წავედით და მეორე ზეცაზე ავინაცვლეთ, იქ ორი ერთმანეთის მგვანი მამაკაცი დავინახე. ჯიბრაილს ვკითხე, ესენი ვინ არიან-მეთქი და მომიგო: დეიდაშვილები არიან — იაჰია (იოანე) და ისა (იესოო) მივესალმე მათ და სალამზე სალმით მიპასუხეს. იქვე იდგა უამრავი ანგელოზი, რომელიც უზენაეს უფალს ადიდებდა.

მესამე ზეცაზე რომ ავედით, იქ ისეთი მშვენიერი კაცი დავინახე, რომლის მსგავსი სილამაზეც ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ჯიბრაილმა მითხრა: ეს შენი ძმა იუსუფია (იოსებიაო). მასაც მივესალმე და იქაც უამრავი უფლისმადიდებელი ანგელოზი ვიხილე.

მეოთხე ზეცაზე ვნახე კაცი, რომელზედაც ჯიბრაილმა მითხრა, იდრისიაო. მივესალმე, მომესალმა და უფალს ჩემს ცხონებას შეევედრა. იქაც მრავალი ანგელოზი მომეგება, რომელთაც ჩემი და ჩემი თემის წინსვლა მომახარეს.

მეხუთე ზეცაზე ერთი ღრმად მოხუცებული კაცი იდგა და გარს თავისი რელიგიური თემის წევრები ეხვივნენ. ჯიბრაილმა ამიხსნა, ეს ჰარუნ იმრანის ძეაო. ისიც მომესალმა და იქაც მრავალი ანგელოზი ვიხილე.

მერე მეექვსე ზეცაზე ავედით და იქ ხორბლისფერი სახის, მაღალი კაცი დავინახე, რომელიც ამბობდა: ისრაელის ძეებს მიაჩნიათ, რომ მე ღვთის წინაშე ყველაზე უფრო სათნო ვარ,

მაგრამ აი, ეს არის ადამიანი, ვინც უფალს ჩემზე უფრო სათნო უჩანსო. ჯიბრაილს რომ ვკითხე, ეს კაცი ვინ არის-მეთქი, მომიგო, ეს შენი ძმაა, მუსა (მოსეო)! ისიც მომესალმა და იქაც უამრავი ღვთისმოშიში ანგელოზი ვიხილე.

მეშვიდე ზეცაზე კი ერთადერთი ანგელოზი ვნახეთ, რომელმაც მითხრა: მუჰამად, მოკრძალებული იყავ ღვთის წინაშე და შენს თემსაც უფლის კრძალვა უბრძანეო.

იქ ასევე ვიხილე კაცი. თმა-წვერში ჭაღარა შერეოდა და ტახტზე დამჯდარიყო. ჯიბრაილმა მითხრა, ეს მამაშენია იბრაჰიმი (აბრაამიო). მასაც მოწიწებით მივესალმე და სალამზე სალმით მიპასუხა.

ამის შემდგომ ვიხილე კაშკაშა, დამაბრმავებელი სინათლის ზღვა, მერმე ზღვა უნაპირო სიბნელისა და წყვდიადისა, მერმე ზღვა მოცახცახე თოვლისა და ყინულისა. შევძრწუნდი და მაშინ ჯიბრაილმა მითხრა: ეს უფლის ქმნილების ერთი ნაწილიაო!

ერთ-ერთ ჰადისში მოციქული ამბობს: როცა სინათლის ზღვასთან მოვედით, ჯიბრაილი თვითონ შედგა, მე კი მიბრძანა, გზა განაგრძეო!

მეორე ჰადისში კი მუჰამადს მიეწერება სიტყვები:

„სიდრათ ალ-მუნთაჰასთან“ (უკიდურესი მიჯნის ლოტუსთან) რომ მივედით, ჯიბრაილი შედგა, მარტო დამტოვა და მიბრძანა, გზა განაგრძეო! მე ვუთხარი: ასეთ ალაგას მარტო როგორ მტოვებ და მცილდები-მეთქი! მომიგო: მუჰამად, ეს ბოლო წერტილია, სადაც უფალმა მიჯნა დამიდო და ამის იქით წასვლა ამიკრძალა. უფრო მაღლა თუ წამოვედი, ფრთები დამეწვებაო!

გამომეთხოვა და გზა გავაგრძელე. უცებ სინათლის ზღვაში აღმოვჩნდი. ტალღები ხან სინათლეში და ხანაც წყვდიადში მაბრუნებდნენ იმ ადგილამდე, სადაც უზენაესი უფალი ჩემს გაჩერებას ინებებდა. მერე კი დამელაპარაკა იგი და მიბრძანა სიტყვები...“

გადმოცემა დუმს იმის შესახებ, რა სიტყვები უბრძანა მაშინ ღმერთმა წინასწარმეტყველს. მოგვიანო ხანის კომენტატორები კი თავისი ფანტაზიით ავსებდნენ ამ მონათხრობს და უფლის ნაბრძანების რამდენიმე ვერსიას გვთავაზობდნენ.

შიიტი კომენტატორების განცხადებით, მაშინ ღმერთი მუჰამადს მისი მემკვიდეობის საკითხებზე, კერძოდ, ალი იბნ აბი ტალიბის ხალიფობაზე ესაუბრა.

სხვა გადმოცემის მიხედვით, კი ღმერთმა მაშინ მოციქულს რამდენიმე მითითება მისცა, კერძოდ: სარიტუალო ლოცვის აუცილებლობა; ყურანის მეორე სურის — „ძროხის" — დასასრული ნაწილები და კერპთაყვანისმცემლობის გარდა ყველანაირი ცოდვის შენდობის პირობა უფლისაგან.

ყოველ შემთხვევაში, თვითონ მოციქული ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებდა და თავის მონათხრობს ასე ამთავრებდა:

უფალთან გასაუბრების შემდგომ უკან ისევ ის სინათლის ზღვა გამოვიარე, უკიდურესი მიჯნის ლოტუსთან ჯიბრაილს შევხვდი და მასთან ერთად ქვემოთ, დედამიწაზე გამოვეშურე.

იბნ ჰიშამს კი დამოწმებული აქვს უმმ ჰანის მონათხრობი, რომელიც გადმოგვცემს:

ალაჰის მოციქული იმ ღამით ჩემს სახლში იყო. ღამის სარიტუალო ლოცვა აღვავლინეთ და დასაძინებლად დაწვა. ჩვენც დავწექით. გამთენიისას მუჰამადმა გაგვაღვიძა და დილის სარიტუალო ლოცვა ერთად აღვასრულეთ. ამის შემდეგ მუჰამადი მომიბრუნდა და მითხრა:

— ო, უმ ჰანი, საღამოს თქვენთან ერთად ვილოცე, ღამით იერუსალიმში გავემგზავრე და ლოცვა იქ აღვავლინე, დღეს დილით კი, როგორც ხედავთ, კვლავაც თქვენთან ერთად ვლოცულობო!

ეს რომ მითხრა, წამოდგა და წასვლა დააპირა, მე სამოსის კალთაზე ისე მოვებღაუჭე, რომ ლამის მოსასხამი წამოვხადე და ვთხოვე: ალაჰის მოციქულო, ეგ სიტყვები ჩვენთვის გითქვამს, მაგრამ სხვას ნურავის გაუმხელ, რადგან არ დაგიჯერებენ და დაგცინებენ-მეთქი!

— სხვასაც ისევე ვეტყვი, როგორც თქვენ გიამბეთო! — მომიგო მშვიდად და სახლიდან გავიდა.

უკან ერთი ჩემი აბისინიელი მხევალი დავადევნე და დავავალე, ალაჰის მოციქულს გაჰყევი, ნახე, ხალხი მის ნაამბობს როგორ მიიღებს და ყველაფერი მომიყევი-მეთქი!

მხევალი წავიდა და როცა დაბუნდა, მითხრა:

— ალაჰის მოციქულმა თავისი ამბავი რომ ხალხს უამბო, ძალიან გაოცდნენ და ჰკითხეს, საიდან დავიჯეროთ, რომ მართალს გვიყვებიო. მაშინ მიუგო, ჩემი სიმართლის დასტური ესა და ეს ქარავანია, რომელიც შამის გზაზე ჩავლისას ვიხილე. ბურაკის ხმამ აქლემები დააფრთხო და დაუფანტა. მექარავნეებს ერთი აქლემის მოძებნაში დავეხმარე. უკან დაბრუნებისას კი დაჯნანში (მექიდან 25 კილომეტრზე) კიდევ ერთი ქარავანი ვიხილე. დილა იყო, ჯერ ყველას ეძინა, თავთით კი ასეთი და ასეთი სარქველით თავდახურული წყლის ჭურჭელი ეკიდათ. ახლა ის ქარავანი სადაცაა თანყიმის ხეობის მხრიდან მექაში შემოვა. ქარავანს წინ ერთი ნაცარა აქლემი მოუძღვება, რომელსაც ხურჯინი აქვს გადაკიდებული და ამ ხურჯინის ცალი მხარე შავი ფერისააო!

ხალხი მუჰამადის ნათქვამზე თანყიმის ხეობისაკენ გაეშურა და იქ მართლაც იხილეს სწორედ ის ქარავანი, რომელიც მუჰამადმა აღუწერა. ხოლო როცა მექაში მეორე ქარავანიც მოვიდა და აქლემების დაფრთხობისა და ერთი აქლემის მოძებნის ამბავი გამოიკითხეს, ყველაფერი მართალი გამოდგა.

მექელებმა, როცა ალაჰის მოციქულის საწინააღმდეგოდ სხვა ვეღარაფერი მოახერხეს, გააცხადეს:

— ესეც მუჰამადის ერთ-ერთი მორიგი ჯადოქრობააო!

მაგრამ მუსლიმები დღემდე ერთსულოვანნი არ არიან იმასთან დაკავშირებით, სინამდვილეში მოხდა ალ-მი'ყრაჯი თუ მხოლოდ სიზმარი იყო.

## ჰიჯრა — მექიდან მედინაში გადასახლება

რეალურ ცხოვრებაში კი ამასობაში მექელი მუსლიმები გასაქცევად ემზადებოდნენ. მათი თანაქალაქელებისათვის იოლი არ იყო იმისი ყურება, თუ ეს აღტყინებული ადამიანები, რომლებსაც უწინ დაცინვით უმზერდნენ, როგორ გადაიქცნენ ახლა უკვე ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად, რომლის გაუვნებლებაც უწინ ერთი ხელის დაკვრითაც შეეძლოთ. მათ კი ახალი რელი-

გიის საკუთარ თანაქალაქელთა სისხლში ჩახშობა თავის დროზე ვერ მოახერხეს ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ამის გაკეთებას სხვა — რელიგიურ კავშირებზე გაცილებით მძლავრი ურთიერთობების — ნათესაური კავშირების შიშით მოერიდნენ, რადგან ტომთა შორის სისხლისღვრის დაწყების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, რომ ბევრი წარმართული ტომი, თუნდაც ტრადიცულ მოვალეობათა გამო, თავისი დახოცილი წევრების სისხლის აღებას მოინადინებდა.

ამიტომაც ახლა მექელები იძულებულნი იყვნენ გულგრილად ემზირათ, მუსლიმთა მცირერიცხოვანი გუნდები როგორ მიდოდნენ მექიდან მედინაში და მათთვის ხელი არაფრით შეეშალათ.

იასრიბში ისლამის თანდათანობითი გავრცელებით მოციქულის ამ ქალაქში გადასახლების შესანიშნავი საფუძველი შეიქმნა, მითუმეტეს, თუ გავითვალსინინებთ, რომ მექელი წარმართები დღითიდღე უფრო ავდებოდნენ და მუჰამადისა და მისი მიმდევრების ტანჯვა-წამების ახალ-ახალ ხერხებს იგონებდნენ. ამიტომაც მუჰამადმა თავის მიმდევრებს ურჩია, ვისაც სურდა, იასრიბში გადასახლებულიყო.

ამის შემდეგ მუსლიმთა პირველმა ოჯახმა იასრიბში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ეს იყო აბუ სალამას ოჯახი, რომელთაც მექელი წარმართების მხრიდან ჩაგვრის გამო ერთხელ უკვე დაეტოვებინათ მშობლიური ქალაქი და აბისინიაში პირველ მუჰაჯირთა ტალღას გაჰყოლოდნენ. მერე ხელახლა დაბრუნებულიყვნენ მშობლიურ კერაზე, მაგრამ გაორმაგებული დევნის პირობებში კვლავაც თავშესაფრის ძებნაში იყვნენ. ამიტომაც ოჯახის უფროსმა აბუ სალამამ — თავისი ცოლის უმ სალამას (რომელიც შემდგომში მოციქულის მეუღლე გახდა) ნებართვით, თან იახლა ვაჟი და იასრიბის გზას უნდა დადგომოდა, მაგრამ ცოლს თანატომელები ანუ ბანი მუღირას ტომელები მიუცვივდნენ და ცოლის თან წაყვანა არ დაანებეს.

აბუ სალამამ მათთან ვერაფერი გააწყო და გადაწყვიტა ცოლშვილი ცოლის თანატომელებთან და ნათესავებთან დაეტოვებინა და თვითონ მექიდან იასრიბისაკენ მარტო წასულიყო.

მეორე მხრივ, როცა თვითონ აბუ სალამას ტომის წევრებმა

ანუ აბდ ალ-ასადის ტომელებმა საქმის ვითარება შეიტყვეს, გაბრაზდნენ და განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ, ბავშვი, რომელიც მათ ტომს ეკუთვნოდა, ბანი მუღირას ტომისთვის დაეთმოთ. კარგა ხნის დავისა და აყალმაყალის შემდეგ მათ სალამას ხელი მოჰკიდეს და თავისთან წაიყვანეს.

თვით უმ.სალამა გადმოგვცემს: ეს ამბავი თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ყოველ დღე, დილით, აბტაჰის უბნის თავში დავჯდებოდი და დაკარგულ ქმარ-შვილს მივტიროდი. ერთ დღესაც ერთმა ჩემმა ბიძაშვილმა ჩამოიარა. ჩემი საცოდავი ყოფა რომ იხილა, ბანი მუღირას ტომელებთან მივიდა და უთხრა: ეს რა არაადამიანობაა! ეგ საცოდავი ქალი საკუთარ ქმარ-შვილს რად მოაცილეთო!

მისმა პროტესტმა ჩემიანებს გული მოულბო, დამიძახეს და მითხრეს:

— თუ ქმარ-შვილთან წასვლა გწადია, რაც გსურდეს, ის ქმენ, ხელს არ შეგიშლითო!

აბდ ალ-ასადის ტომელებმაც ეს ამბავი რომ შეიტყვეს, შვილი დამიბრუნეს.

სალამა ავიყვანე, აქლემზე შემოვისვი და იასრიბისაკენ გავემართე. მარტო მგზავრობისა კი მეშინოდა, მაგრამ მექაში დარჩენას ყველაფერი მერჩია. ვიფიქრე, ცოტას გავივლი და ამასობაში ეგებ ვინმე იქით მიმავალს წამოვეწიო და დავემგზავრო-მეთქი, მაგრამ თითქმის მთელი გზის მარტო გავლა მომიწია. მექამდე რამდენიმე კილომეტრილა მაშორებდა, რომ თანყიმთან ერთ-ერთ წარმართს, ოსმან იბნ ტალჰას გადავეყარე. მკითხა: — აბუ უმაიას ქალო, საით გაგიწევიაო? ვუთხარი: — იასრიბში, ქმართან მივდივარ-მეთქი! — თან არავინ გახლავსო? — ღვთისა და ამ ჩვილი ბავშვის მეტი არავინ-მეთქი. ოსმანი ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა: ღმერთმანი, ასეთ ყოფაში შენი დატოვება არ ეგებისო — აქლემის აღვირს ხელი ჩაავლო და იასრიბისაკენ გავეშურეთ. უფალს ვფიცავ, იმ დღემდე მასზე ზნესრულ კაცთან ერთად არსდროს მიმგზავრია. როცა დასასვენებლად გავჩერდებოდით, აქლემს წამოაჩოქებდა, თვითონ კი გვერდზე გავიდოდა, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ

დავენახე. მერე კი, როცა აქლემიდან გადმოვიდოდი, მობრუნდებოდა, აქლემს ხეზე გამოაბამდა და თვითონ ხის ძირას დასასვენებლად წამოწვებოდა, სანამ გზას ისევ გავაგრძელებდით. ასე ვიარეთ იასრიბამდე. მერე კი, კუბას ველს რომ მივაღწიეთ, მითხრა: — აქედან უკვე აღარაფერი გიჭირს, წადი, მშვიდობით დაუბრუნდი შენს კარგ მეუღლესო! დამემშვიდობა და თვითონ მშობლიურ მექაში დაბრუნდა.

დამოწმებული გადმოცემა რამდენიმე კუთხით არის საინტერესო. ჯერ ერთი აქ აღწერილი ამბავი გვიჩვენებს, რომ მექელ წარმართებშიც გამოერეოდნენ ხოლმე ღირსეული ადამიანები, რომლებიც ძველი არაბული ზნეობრივი კოდექსისა თუ ზოგადადამიანური ღირებულებების ერთგულების გამო, ვაჟკაცურ საქციელს ამჯობინებდნენ, და მეორეც: თვითონ მუსლიმებიც არასოდეს უკარგავდენენ ღირსებას მოწინააღმდეგეს, თუკი რასაკვირველია, ისინი სულგრძელობას გამოიჩენდნენ.

მაგრამ ასეთი სულგრძელობის მაგალითები არც ისე ხშირი იყო და მექელი მუსლიმებიც იძულებულნი იყვნენ, მშობლიური ქალაქიდან აყრილიყვნენ და მცირე-მცირე ჯგუფებად გასულიყვნენ. ამას თანაქალაქელი წარმართებისაგან მალულად აკეთებდნენ, რადგანაც თუკი მექელები რომელიმე ადამიანის ან ოჯახის მშობლიური კერიდან აყრას შეიტყობდნენ, იასრიბამდეც კი სდევდნენ, რათა, რა გინდა რა ხერხით, განზრახვაზე უარი ეთქმევინებინათ და უკან დაებრუნებინათ.

ამის თაობაზე იბნ ჰიშამი გადმოგვცემს: როცა აიაშ იბნ აბი რაბიყა ომართან ერთად იასრიბში ჩამოვიდა, მისმა ნათესავებმა — აბუ ჯაჰლმა და ჰარის იბნ ჰიშამმა — ჩამოაკითხეს და უთხრეს:

— დედაშენმა შენი გადასახლება ისე განიცადა, რომ აღთქმა დადო, სანამ არ გნახავს, მანამ თმას არ დაივარცხნის და არასოდეს ჭერქვეშ და ჩრდილქვეშ აღარ შევაო!

აიაში დედის მდგომარეობამ ძალიან შეაწუხა და გადაწყვიტა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულიყო.

ომარმა გააფრთხილა:

— არა მგონია, ეს ყველაფერი მართალი იყოს. უბრალოდ

შენი მიტყუება და დასჯა სწადიათო.

აიაშმა მის რჩევას არ დაუჯერა და ნათესავებს გაჰყვა. მაგრამ ჯერ იასრიბს ხეირიანად არც გასცილებოდნენ, რომ ჰარისმა და აბუ ჯაჰლმა შეკოჭეს იგი და მექაში ასე ჩაიყვანეს. იქ კი ერთ დილეგში გამოკეტეს და ლამის წამებით ამოჰხადეს სული, სანამ აიაში მარჯვე შემთხვევას იშოვნიდა და ისევ იასრიბში გაიპარებოდა.

წარმართებს ცხადია, ძალიან აწუხებდათ ის ამბავი, რომ მექა დღითიდღე იცლებოდა მუსლიმებისაგან, რადგან ამით ისინი პრაქტიკულად იმგვარი დაუგეგმავი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელზედაც უწინ არასოდეს დაფიქრებულიყვნენ. კერძოდ, მექური არისტოკრატია მუსლიმთა მხრიდან მოსალოდნელი შემოტევისა და მომავალში ქალაქის აღების შიშმა მოიცვა და ამიტომაც რეპრესიები, კერძოდ კი ქალაქიდან გამავალ მუსლიმანთა წინააღმდეგ თვალთვალი და სადასმჯელო ზომები გააასკეცეს.

მუჰამადის მომხრეთა გადასახლების შესაკავებლად ერთერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად მათი ქონების კონფისკაცია მიიჩნიეს.

მაგალითად, ისლამური წყაროები მოგვითხრობენ ვინმე სუჰაიბის შესახებ. ეს კაცი თავის დროზე რუმში — ანუ ქრისტიანულ მხარეში დაეტყვევებინათ, მექაში ჩამოეყვანათ და იქ მავან აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯუდყანს გაეაზატებინა, რადგანაც ისლამი მიეღო და მუჰამადის მიმდევარი გამხდარიყო. ამის შემდგომ ხელი ვაჭრობისათვის მოეკიდა და ამ გზით აურაცხელი ქონება დაეგროვებინა.

მაგრამ მექელები სუჰაიბს დიდად ავიწროებდნენ და ბოლოს გასაქანი იმდენად აღარ მისცეს, რომ კაცმა, თავისი ქონების მიტოვება და იასრიბში გადასახლება მოინდომა, რომ მერე ეს დაგროვილი ქონებაც ნელ-ნელა ახალ სამკვიდრებელში გადაეტანა.

როცა მექელებმა მისი განზრახვის შესახებ შეიტყვეს, გზა გადაუჭრეს და უთხრეს: — ამ ქალაქში რომ მოხვდი, ერთი ღატაკი ბოგანო იყავი, ქონება ჩვენი შემწეობით დააგროვე და ახლა აქედან არაფერს გაგატანთო.

სუჰაიბმა უთხრა:

— ქონება რომ დაგიტოვოთ, რაღას იზამთ, მაინც არ გამიშვებთო?!

ეთხრეს:

— ნებაც სადაც გსურს, იქით მიბრძანდიო!

სუჰაიბმა დაუტოვა მათ ყველაფერი, წარმართთა ხელიდან თავი ასე გამოიხსნა და იასრიბში ჩავიდა.

მუსლიმურ ანალებში ასევე შენონახულია ცნობები ბანი ჯაჰშის ტომელთა შესახებ, რომელთაც როცა თავიანთ მუსლიმ ძმებთან შეერთება და იასრიბში გადასახლება მოინადინეს, ზოგმა საკუთარი ავეჯ-დგამის თან წაღება მოინდომა, სახლები კი იმ იმედით დაკეტეს, რომ ოდესმე ან უკან დაბრუნდებოდნენ, ანდა ეზო-კარს გაჰყიდდნენ და აღებული ფულით, გადასახლების ადგილას, საცხოვრისს შეიძენდნენ.

მაგრამ მექელ წარმართთა იმჟამინდელი მეთაური აბუ სუფიანი, რომლის ხელშიც იყო ქალაქის მართვა-გამგებლობის სადავეები, იმის მიუხედავად, რომ ბანი ჯაჰშის ტომელებთან ფიცვერცხლით იყო დაკავშირებული, მათ სახლ-კარს უსამართლოდ დაეპატრონა, ამრ იბნ ალკამას მიჰყიდა და აღებული ფული სინდისის ქენჯნის გარეშე ჩაიჯიბა.

როცა ეს ამბავი ბანი ჯაჰშის ტომის მეთაურის აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშის ყურამდე მივიდა, იგი მოციქულთან გაეშურა და თავისი საქმე შესჩივლა. მუჰამადმა დაამშვიდა, რომ სამაგიეროდ ალაჰი მას სამოთხის წარმტაც სამკვიდროს უბოძებდა. აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშიც ამ პასუხმა დააკმაყოფილა და უკან გამობრუნდა.

ასეთი სადამსჯელო ღონისძიება უამრავი იყო, მაგრამ როცა ყველა ეს საშუალება შედეგიანი ვერ აღმოჩნდა, მექელმა წარმართებმა, ბოლოს და ბოლოს, მუჰამადის მოკვლა გადაწყვიტეს.

ამ საკითხზე სათათბიროდ მექის წარჩინებულ გვართა მეთაურები (სულ ორმოცი კაცი) დარ ან-ნადვაში შეიკრიბნენ. როცა თავი ყველამ მოიყარა, უცებ ერთი მოხუცი, გარეგნულად ძალზე სათნო და სანდომიანი, კაციც გამოჩნდა. ის ვერავინ იცნო და ვინაობა გამოჰკითხეს. მიუგო: მე ნაჯდელი მოხუცი ვარ, გავიგე

თქვენი თავყრილობის ამბავი და აქეთ გამოვეშურე, რომ ეგებ ჩემი აზრითა და ჭკუით რამეში შეგეწიოთო.

ძველი ისლამური წყაროები მიუთითებენ, რომ ეს „ნაჯდელი ბერიკაცი“ თვით განსხეულებული შაიტანი იყო და მან ასეთი სახე მიიღო, რათა მექელ წარმართთა საკრებულოში შეეღწია და მათთვის უკეთური ზრახვები შთაეგონებია.

საუბარი კი აბუ ჯაჰლმა წამოიწყო და განაცხადა:

— თანაქალაქელნო, ჩვენ უფლის წმინდათაწმინდა ნაკრძალთან ვსახლობთ. მთელი არაბული სამყარო ყოველ წელს ჩვენს ქალაქში იყრის თავს და ამით დიდი პატივს მოგვაგებენ. ასე იყო მანამ, სანამ ჩვენში აბდ ალ-ლაჰის ვაჟი მუჰამადი გაიზრდებოდა. თავიდან იმასაც არაფერი დაეწუნებოდა, სამართლიანი და ისეთი პატიოსანი იყო, რომ სანდოს ვეძახდით, მაგრამ მერე ქონება რომ იშოვა, მოციქულობა დაიჩემა. ამბობს: ზეციდან მესაუბრებიან და ამბები მოაქვთო, ჩვენს ბრძენკაც უხუცესებს უგუნურებს უწოდებს და მამა-პაპის ღმერთებს გვიგინებს. ჩემი ფიქრით, მისი მკვლელობის იქით, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია. ვინმეს დავავალოთ და სული გავაფრთხობინოთ! ხოლო თუ ჰაშიმის გვარი მისი სისხლის საფასურს მოგვთხოვს, იმაზე ათჯერ მეტი გადავუხადოთ, რაც ჩვეულებრივ ასეთი შემთხვევისას არის დაწესებულიო!

ნაჯდელმა მოხუცმა თქვა:

— ეგ კარგი აზრი არ უნდა იყოსო!

ჰკითხეს:

— რატომაო?

მიუგო:

— იმიტომ, რომ ჰაშიმიანები მუჰამადის მკვლელს, ვინც უნდა იყოს, ცოცხალს არ დატოვებენ და ასეთ ვითარებაში მის მოკვლასა და საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებას, აბა, რომელი თქვენგანი ითავებს?! ვინმემ ეს საქმე კიდევაც რომ იკისროს, ამის გამო ისეთი შფოთი და შუღლი შეგიდგებათ, რომ ერთმანეთს მთლიანად ამოწყვეტთ და გაანადგურებთო.

ვიღაცამ თქვა:

— მე სხვა აზრი მაქვსო!

— ჰკითხეს:

— შენ რაღას გვირჩევდიო?

მიუგო:

— მოდი, სადმე დავატყვევოთ და ისეთი საკვები მივცეთ, რომ ადგილზე გააქვავოს, მოწამლული საჭმელი! როგორც უწინ პოეტები — ზუჰაირი, ნაბიღა აზ-ზუბიანი და იმრ ალ-კაისი დავხოცეთო!

ნაჯდელმა ბერიკაცმა უთხრა:

— ეგ აზრი წინაზე უარესია, რადგან ბანი ჰაშიმის ტომელები ამ ამბავს არასოდეს შეურიგდებიან და ყველა ღონეს იხმარენ მუჰამადის ციხიდან დასახსნელად. თუ ეს საქმე მარტო თვითონ ვერ მოახერხეს, მაშინ საპილიგრიმოდ ჩამოსულ სხვა არაბულ ტომებს მოიშველიებენ და თავიანთ ნათესავს ტყვეობიდან ასე გამოიხსნიანო!

მესამემ თქვა:

— მოდით, უბრალოდ გავაძევოთ ჩვენი ქალაქიდან და მოვისვენოთ! ის თავისი გზით წავა, ჩვენ კი ჩვენი ღმერთების თაყვანისცემას განვაგრძობთო!

ბერიკაცმა უთხრა:

— ეგ აზრი კი წინა ორივე წინადადებაზე უარესია! თუ ასეთ ლამაზსა და ენაწყლიან კაცს თქვენი რიგებიდან თვითონვე მოიკვეთთ, ის წავა სხვა ადგილას დამკვიდრდება, ლაქარდიანი ენით ბევრ მიმდევარს გაიჩენს და თქვენ წინააღმდეგ აამხედრებსო!

ამ დროს ყველა დადუმდა და იმ ნაჯდელ ბერიკაცს შეაცქერდა: მაშ, რა ვიღონოთო?

ბებერმა უთხრა:

— ერთადერთი გზაა: მექის ყველა ტომის თითოეული გვარიდან თვით ბანი ჰაშიმის სახლეულიდანაც კი თითო კაცი ამოვირჩიოთ. ყველა მათგანმა აიღოს ხელში მახვილი და ერთდროულად დაჰკრას მუჰამადს. ასე, მუჰამადის სისხლი ყველას კისერზე იქნება და ჰაშიმიანები, რაკი მკვლელობაში მონაწილეობას თავადაც მიიღებენ, შურს ველარავისზე იძიებენ და იძულებული იქნებიან, სისხლის აღებაზე კი არა, სისხლის საფასურის აღებაზე დათანხმდნენო.

შესძახეს:

— ეგ უკვე ძნელი აღარაა, სისხლის საფასურს ყველანი გავიღებთო!

ამრიგად, ყველა ტომიდან თითო კაცი აირჩიეს, ჰაშიმიანთაგან — აბუ ლაჰაბი გამოარჩიეს და განზრახვის აღსასრულებლად შესაფერის მომენტს დაელოდნენ.

მუჰამადიც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გრძნობდა საშიშროებას და ამიტომაც დიდი ხანია იასრიბში გასაქცევად ემზადებოდა. თუმცა ეს საქმე მასზე დაწესებული განუხრელი თვალთვალის პირობებში არც ისეთი იოლი იყო და ამიტომაც უსაფრთხოების გეგმა წინასწარ კარგად უნდა გაეთვალა.

ქალაქიდან, რა თქმა უნდა, ღამით უნდა გაპარულიყო, მაგრამ რადგან მექელები გულდაგულ ზვერავდნენ, მისი შინიდან გასვლა რომ არავის შეემჩნია, თავის საწოლში ვინმე ერთგული კაცი უნდა დაეწვინა. ასე მტერს იგი მძინარე ეგონებოდა და დილამდე გულმშვიდად იქნებოდა. ამასობაში მოციქული კარგა მანძილის გავლას მოასწრებდა და მდევარი ადვილად ვეღარ დაეწეოდა.

მაგრამ ვინ მოინდომებდა მოციქულის ლოგინში დაწოლასა და უეჭველ სიკვდილზე წასვლას?

შიიტური წყაროები გადმოგვცემენ, რომ ამ საქმისათვის წინასწარმეტყველმა, ალაჰის ჩაგონებით, ალი იბნ აბი ტალიბი შეარჩია. ალი მის თხოვნას უყოყმანოდ დათანხმდა და იმავე შიიტური გადმოცემების მიხედვით, ერთადერთი ის თქვა: მთავარია, შენ არაფერი დაგემართოს და მე შენი ჭირის სანაცვლო ვიყოო.

როგორ ფერადოვნადაც არ უნდა აფორმებდეს ამბავს წარმოსახვა და გადმოცემა, ფაქტი ისაა, რომ იმ ღამით, როცა მოციქული შინიდან გამოვიდა და მექის გზას დაადგა, მის საწოლში ალი იბნ აბი ტალიბი ჩაწვა და ეს, მართლაც დიდი ერთგულებისა და სიყვარულის გამოხატულება იყო, რადგან ყოველ წამს შეიძლებოდა წარმართები სახლში შეცვენილიყვნენ და მძინარე მოციქული სიცოცხლეს გამოესალმებიათ.

ამ უმკაცრესი კონტროლის პირობებში მოციქულის გაპარვა კი იმდენად წარმოუდგენელი გახლდათ, რომ გადმოცემა ამ ამბავსაც სასწაულს მიაწერს. კერძოდ, მუსლიმური მატიანეები ამ-

ბობენ, რომ მუჰამადზე მიდარაჯებულ წარმართებს უზენაესმა თვალები დაუბრმავა და ვეღარ დაინახეს, როგორ გავიდა წინასწარმეტყველი საკუთარი ეზო-კარიდან.

სინამდვილეში წინასწარმეტყველმა გაქცევაზე ფიქრი კარგა ხნით ადრე წამოიწყო.

იბნ ჰიშამთან გვხვდება ცნობები, როგორ სთხოვა ერთხელ აბუ ბაქრმა მუჰამადს, მისთვისა და მისი ოჯახისთვისაც მიეცა ჰიჯრის ანუ იასრიბში გადასახლების ნება. ამ თხოვნაზე მუჰამადმა მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა: ცოტა მოიცა, ეგებ ალაჰმა თანამგზავრი გამოგიჩინოსო!

ყოველ შემთხვევაში მდიდარმა აბუ ბაქრმა წინდაწინ მოამზადა ორი აქლემი — თავისთვის და მუჰამადისათვის.

ჰიჯრის წინ მუჰამადმა ალის მექაში დარჩენა და ხალხისათვის მასთან მიბარებული ნივთების გადაცემა უბრძანა. საქმე ისაა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, მთელი მექა ენდობოდა მოციქულს და თუკი რაიმე ღირებული ჰქონდათ და შენახვა გადაეწყვიტათ, მოციქულისათვის ჰქონდათ მიბარებული. მუჰამადმა წინასწარ ამ ნივთებზე იზრუნა და ალის სწორედ მათი პატრონებისათვის გადაცემა დაავალა.

გადასახლების წინ მოციქული მივდა აბუ ბაქრთან, ორივენი სახლის უკანა მხრიდან გამოვიდნენ და მექის თავზე, სავრის მთის გამოქვაბულისაკენ გაეშურნენ. სავრის გამოქვაბული მექიდან დაახლოებით სამი კილომეტრის სავალზეა, ზუსტად, იასრიბის საპირისპირო მიმართულებით ანუ თუ მექიდან მედინისაკენ ჩრდილო-დასავლეთით უნდა იარო, ისინი სამხრეთ დასავლეთის მხარეს გაემართნენ. ამით მუჰამადმა მდევარს კვალი ოსტატურად აუბნია. ის და აბუ ბაქრი გამოქვაბულში შევიდნენ და თავი შეაფარეს.

ლტოლვილების ადგილსამყოფელი მხოლოდ აბუ ბაქრის ოჯახის რამდენიმე წევრმა იცოდა. კერძოდ — ვაჟმა აბდ ალლაჰ იბნ აბი ბაქრმა, რომელსაც მამამ დაავალა, დღისით ქალაქში ეტრიალა, ხალხის ნალაპარაკევისათვის ყური მიეგდო და საღამოობით მნიშვნელოვანი ამბები მათთვის გამოქვაბულში

მიეტანა. ხოლო ასმას — ქალიშვილს ნაბრძანები ჰქონდა მათთვის საღამოობით საკვები ეზიდა.

კურაიშელებმა რომ მუჰამადის გაქცევის ამბავი შეიტყვეს, საყოველთაო ძებნა გამოაცხადეს და იმას, ვინც მოციქულის კვალს მიაგნებდა, ჯილდოდ ასი აქლემი დაუწესეს.

წარმართები მთელ იმ მხარეს მოედვნენ და უკლებლივ ყველა გზა და ბილიკი გადაჩხრიკეს, მაგრამ თითქოს ცამ ჩაყლაპა თუ მიწამო, დევნილების კვალს ველარსად მიაგნეს. მუსლიმური გადმოცემა, ამ ამბავსაც სასწაულს მიაწერს, რომელიც შემდგომ ირიბად ყურანის სურა „გამოქვაბულშიც" აისახა. გადმოცემის თანახმად, მუჰამადმა და აბუ ბაქრმა გამოქვაბულში შესვლა ძლივს მოასწრეს, რომ ზურგს უკან ცხენების ფლოქვთა თქარათქური შემოესმათ. მიხვდნენ, მდევარი დაგვეწიაო და აბუ ბაქრი ერთიანად შიშმა აიტანა. მოციქულს მივარდა და ეკითხებოდა:

— ისინი ბევრნი ჩანან, ჩვენ კი ორად ორი კაცი ვართ და რა გვეშველებაო?!

მუჰამადმა მიუგო:

— ნუ გეშინია, გავიწყდება, რომ ჩვენთან ერთად მესამეც არისო!

— ვინ მესამეო? — იკითხა აბუ ბაქრმა.

— ალაჰი! — მიუგო მუჰამადმა.

გარეთ კი ამ დროს სწორედ იმ „მესამის" უზენაესი ნებასურვილით, ას-სავრის გამოქვაბულის შესასვლელთან აკაციის უზარმაზარი ხე გადაიშალა, რომლის ტოტზეც მტრედის ბუდე გაჩნდა, სადაც ქედანი კვერცხებზე კრუხად იჯდა. ხოლო თვითონ გამოქვაბულის შესასვლელი ობობის ქსელით დაიფარა.

მდევრებს, რომელთაც თან გამოცდილი კვალის მცნობელი ახლდათ, ვერაფერი გაეგოთ. კვალის მცნობელი საკმაოდ ზუსტი პროფესია იყო მაშინდელი არაბეთის ნახევარკუნძულზე. ნადირისა თუ ადამიანის ნაკვალევის ძებნაში დახელოვნებულ ამ ადამიანებს, ჩვეულებრივ, ხელიდან ვერა სულიერი ვერ წაუვიდოდათ. მოციქულის მდევრებმაც ასეთი გამოცდილი კაცი — ვინმე იბნ ქარზი დაიქირავეს, რომელმაც ისინი გაქცეულების კვალზე სწორად შეაყენა, მაგრამ როცა ას-სავრის გამოქვაბუ-

ლამდე მივიდნენ, მდევრებს უთხრა: მუჰამადი და მისი მხლებელი აქამდე მოსულან, მაგრამ მერე კაცმა არ იცის, სად წავიდნენ. გამოქვაბულში რომ შესულიყვნენ, არც ეს ობობას ქსელი დარჩებოდა და ქედნის კვერცხებსაც დაამტვრევდნენ. ერთი სიტყვით, აქედან უკვე ველარაფერს ველარ ვხვდებიო!

სასწაულის გამო იყო თუ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მექელმა წარმართებმა მუჰამადი და აბუ ბაქრი ვერ აღმოაჩინეს. ცალკე მუჰამადის საწოლში მძინარე ალი იბნ აბი ტალიბს სცემეს და აწამეს, და ვერაფრით გამოტეხეს, ცალკე გაქცეულები ეძებეს, მაგრამ მათმა ცდამ შედეგი ვერ გამოიღო.

სამ დღეში კი, როცა მითქმა-მოთქმა და ხალხის ღიზღიზი შეწყდა, მუჰამადი და აბუ ბაქრი სამალავიდან გამოვიდნენ, შემოსხდნენ აქლემებზე, რომელიც ღამით აბუ ბაქრის მსახურმა მიუყვანათ და იასრიბისაკენ გაემართნენ. მიდიოდა ოთხი კაცი: ალაჰის მოციქული, აბუ ბაქრი, აბუ ბაქრის მსახური — ამირ იბ ფუჰაირა და მათი მეგზური — აბდ ალ-ლაჰ იბნ არკატი.

ლტოლვილებმა საქარავნო გზით სიარულს თავი აარიდეს და მეწამული ზღვის სანაპირო ზოლის ბილიკებით წავიდნენ. დიდი მანძილი არ გაუვლიათ, რომ მექელ წარმართ ცხენოსანთა გუნდი წამოეწიათ სურაკა იბნ მალიქის მეთაურობით.

საქმე ის იყო, რომ თვითონ სურაკა იბნ მალიქ იბნ ჯუყშამის მონათხრობით, ის თურმე საღამოს თავისი გვარის კაცებთან ერთად მჯდარა, როცა ერთი მათი სახლიკაცი მისულა და უთქვამს: ახლახან წინ სამმა ცხენოსანმა ჩამიარა და ვფიქრობ, მუჰამადი და მისი მხლებლები უნდა ყოფილიყვნენო.

სურაკას კაცისათვის თვალით უნიშნებია, დადუმდიო, მერე შინ წასულა, იარაღი აუსხამს და რამდენიმე ერთგულ პირთან ერთად მუჰამადს დასდევნებია, მაგრამ, როგორც კი ლტოლვილებს მიუახლოვდნენ, თურმე მისი ცხენი ყალყზე შედგა და მხედარი კინაღამ ჩამოაგდო. სურაკას ეს ამბავი ზეციდან წარმოგზავნილ ნიშნად მიუღია, შეშინებია, მუჰამადისა და მისი თანამგზავრებისათვის თავი დაუნებებია და შინისაკენ გაბრუნებულა.

მექიდან იასრიბისაკენ მიმავალმა მოციქულმა კიდევ ერთი სასწაული ჩაიდინა, რომელსაც დეტალურად აღგვიწერენ მუს-

ლიმი მემატიანეები. ამბავი თავისი არსით ჰგავს იესო ქრისტეს მიერ წყლის ღვინოდ ქცევას, ანდა ორი თევზითა და ხუთი პურით 5000 მამაკაცის დააპურებას, ქალებისა და ბავშვებს ჩაუთვლელად. თუმცა ძნელია, პირდაპირ გავლენაზე ვილაპარაკოთ, ანდა მომხდარის სინამდვილეში ეჭვი შევიტანოთ.

ყოველ შემთხვევაში მუჰამადის ბიოგრაფები ამ ამბავს ასე აღგვიწერენ:

იასრიბისაკენ მიმავალმა მოციქულმა და მისმა მხლებლებმა მოშორებით ერთი კარავი დაინახეს და საკვების საშოვნელად იქით გაემართნენ. კარავთან რომ მივიდნენ, შიგ ერთი ქალი დაუხვდათ — მწირი ავეჯ-დგამის პატრონი, კარავში იჯდა, რომლის კალთაზეც ერთი გაძვალტყავებულ ცხვარი გამოებათ.

ქალს, რომელსაც უმ მაყბადი ერქვა, მოციქულმა და მისმა მხლებლებმა საკვები სთხოვეს: ხორცი ან ხურმა გექნება და მოგვყიდეო.

ქალმა უთხრა: — სამწუხაროდ, კარავში არაფერი გამაჩნია, თორემ ფული რად მინდოდა, უსასყიდლოდ გიმასპინძლებდითო. ალაჰის მოციქულმა კარვის კალთასთან გამობმულ ცხვარს გადახედა და ჰკითხა: მაშ, ეს ცხვარი რაღააო?

ქალმა უთხრა: ეს ცხვარი ისეთი დავარდნილია, რომ დღეს ფარასთან ერთად საძოვარზე გასვლა ვეღარ შეძლოო.

მუჰამადმა ჰკითხა: არ იწველებაო?

უმ მაყბადმა მიუგო: ამ დავარდნილმა რა რძე უნდა მოგვცეს? რა ხანია გამშრალიაო!

მაშინ ალაჰის მოციქული ცხვართან მივიდა, ჯიქანზე ხელი ჩამოუსვა, „სახელითა ალაჰისაო“, ჩაიჩურჩულა და მოწველა დაიწყო. მთელი ქვაბი რძით გაივსო და წინასწარმეტყველმა და მისმა მხლებლებმა წყურვილი მოიკლეს. მაშინ მუჰამადმა კიდევ ერთი ჭურჭელი გაავსო რძით და მასპინძელს დაუტოვა. თავისი და მხლებლების დალეული რძის საფასური კი მასპინძელს გადაუხადა და გზა განაგრძეს.

ცოტა ხანში, უმ მაყბადის ქმარი შინ რომ დაბრუნდა და სახლში რძე დაინახა, ძალიან გაუკვირდა. ქალმა უამბო, რაც შეემთხვა და მაშინ ქმარმა უთხრა: — ღმერთმანი, ეს ის კაცი უნდა იყოს,

რომელზედაც კურაიშელნი გვიყვებოდნენ. ნეტავ შინ დავხვედროდი და ჩემი თვალით მენახაო!

მუჰამადმა და მისმა მხლებლებმა კი ცოტა ხანში მექიდან ორი კილომეტრით დაშორებულ ადგილს, კუბას ჩააღწიეს. ხეხილის ბაღებით შემოჯარული, ამწვანებული და მოყვავილე ეს ადგილი იასრიბელთა დასვენების თავისებური ცენტრი იყო, სადაც ქალაქელები ხშირად ჩამოდიოდნენ და თან ბავშვები ჩამოჰყავდათ, რათა ქალაქის ბუღისათვის ბუნების წიაღში გამოერიდებინათ.

მუსლიმური ანალებში ნათქვამია, რომ იასრიბელი მუსლიმები მოციქულის ჩამოსვლის მოლოდინში ყოველ დილით ჩადიოდნენ კუბაში, იქ დაისამდე რჩებოდნენ, ხოლო შემდეგ ისევ ქალაქში ბრუნდებოდნენ.

მოციქული და მისი მხლებლები კუბაში საღამო ხანს ჩავიდნენ, ამიტომაც იასრიბელთაგან იქ აღარავინ დახვედრიათ. გადმოცემით, მუჰამადის აქლემმა — ალ-კასვამ — ერთ-ერთ გორაკზე ჩაიმუხლა და გზის გაგრძელება აღარ მოინდომა. მოციქულმა ეს ღვთის ნიშნად მიიღო და მხლებლებს უბრძანა რამდენიმე დღით კუბაში დაბანაკებულიყვნენ. იმ ადგილას, სადაც წინასწარმეტყველის აქლემი გაჩერდა, მოგვიანებით დიდებული მეჩეთი ე. წ. „მასჯიდ ათ-თაკვა" (ღვთისმოშიშების მეჩეთი) ააგეს, რომელსაც, თუ მუსლიმურ ანალებს ვერწმუნებით, საფუძველი თვითონ მუჰამადმა ჩაუყარა იმ რამდენიმე დღეში, როცა კუბაში გაჩერებამ მოუწია.

მეჩეთის ეზოში წყაროსთვალი ამოდიოდა. ამ წყაროსთან მუჰამადს დაჯდომა და განმარტოება უყვარდა. ერთხელაც, ბეჭედი თითიდან წასძვრა და წყალში ჩაუვარდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ წყაროსთვალიდან ბეჭედი ვეღარ ამოიღეს. სხვათა შორის, ქალაქი მედინა დიდი ხნის მანძილზე სასმელი წყლით ამ წყაროდანაც მარაგდებოდა და მუსლიმებს სჯეროდათ, რომ მოციქულის ბეჭედი, რომელიც ჯერაც იქ იყო, წყალს სიწმინდითა და განსაკუთრებული მადლით აღავსებდა.

შიიტურ წყაროებში ნათქვამია, რომ მუჰამადი კუბაში ალის დაელოდა, რადგან უმისოდ იასრიბში შესვლა არ უნდოდა. ეს თვალსაზრისი სავსებით გამართლებული ჩანს, რადგანაც ალი

იბნ აბი ტალიბი მართლაც კუბაში დაეწია მოციქულსა და მის თანმხლებ პირებს და თან, როგორც არაბები ამბობენ, „ფავატიმი“ ჩამოიყვანა. ეს სიტყვა ქალის საკუთარი სახელის — ფატიმას ე. წ. მსხვრეული მრავლობითია და ქართულად მისი უხეში თარგმანი „ფატიმები“ იქნებოდა. იგულისხმება სამი ფატიმა: მოციქულის ასული ფატიმა, დედამისი — ფატიმა ბინთ ასადი და ზუბაირის ასული ფატიმა.

ალის ჩამოსვლამდე კი, ცხადია, დროს უქმად არ დაკარგავდნენ და მოციქულის მხლებლები იასრიბში რამდენჯერმე ჩავიდნენ. როგორც ჩანს, იასიბელთა მიერ მოციქულის წინაშე დადებული აღთქმის სიმტკიცის რეალურად შემოწმება ენადათ და ყველა მნიშვნელოვანი დეტალი წინასწარ გაარკვიეს.

კუბაში კი წინასწარმეტყველი ერთი შეძლებული იქაური კაცის, ვინმე ქულსუმ იბნ ხადიმის ოჯახში დაბინავდა. ამ დროს მას ეახლა მეორე იქაური წარჩინებული, ბურაიდა იბნ ჰუსაიბი, თან 70 კაცი მოიყოლა და ყველა მათგანმა ისლამი აღიარა.

ზოგი მუსლიმური წყაროს მიხედვით, იასრიბიდან სწორედ კუბაშივე ჩააკითხა მოციქულს ცნობილმა სალმან ალ-ფარისიმ, წარმოშობით სპარსელმა კაცმა, რომელმაც შემდგომში ისლამის ზეობის საქმეს არაერთი სასიკეთო სამსახური გაუწია.

წყაროების მიხედვით, სალმან ალ-ფარისი ისპაანის მახლობლად, ერთ პატარა სოფელში დაბადებულა. ერთხელ ქრისტიანულ მონასტერთან მოხვედრილა და ისე მოხიბლულა ბერთა გარჯითა და ღვთისმსახურებით, რომ კერპთაყვანისმცემლობისათვის ზურგი უქცევია და ჭეშმარიტი სჯულის საძიებლად აღმოსავლეთის ქვეყნებში ხეტიალი დაუწყია. ასე გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ერთი მონასტრის ღრმად მოხუცებული წინამძღვარი ეტყოდა, არაბეთში გამოჩნდა წინასწარმეტყველი, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა წმინდა, შეურყვნელი სჯული აბრაამისაო.

შემდგომში ამ სპარსელმა მუჰამადის ისეთი ნდობა და პატივისცემა მოიპოვა, რომ მექელი წარმართები ამბობდნენ, სწორედ სალმანი ეხმარება მუჰამადს თავისი „ზეშთაგონების“ შეთხზვაშიო. მუსლიმი კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ეს

მითქმა-მოთქმა გახდა ყურანის XVI სურის რამდენიმე აიის ზეგარდმოვლენის მიზეზი, სადაც ნათქვამია: „ურწმუნოები ამბობენ, მუჰამადს ერთი უცხო ტომის კაცი ასწავლის (თავის სიტყვებსო), მაგრამ ის კაცი არააარაბია (აჯამია ანუ სპარსელია), ხოლო ყურანის ენა კი არის მკაფიო, ცხადი არაბული.“

სალმან ალ-ფარისის გარდა მუჰამადს კუბაში კიდევ რამდენიმე მუსლიმმა ჩააკითხა მათ შორის ტალჰამ — ახალი სჯულის ერთ-ერთმა პირველმა პროტაგონისტმა და ზუბაირმა — ხადიჯას ბიძაშვილმა. მათ მოციქულსა და მის მხლებლებს, რომელთაც მგზავრობისას სამოსი მტვრითა და ჭუჭყით დაფარვოდათ, შესაბამისი ტანსაცმელი მოუტანეს, რათა იასრიბში მოწესრიგებულები ჩასულიყვნენ.

ამის შემდეგ მოციქული და მისი მხლებელნი იასრიბისაკენ დაიძვრნენ და მალე ქალაქშიც ჩავიდნენ, რომელსაც ცოტა ხანში სახელი გამოუცვალეს და მუჰამადის პატივსაცემად მადინათ ან-ნაბი (წინასწარმეტყველის ქალაქი), ანდა შემოკლებით მადინა (მედინა) უწოდეს.

მუჰამადის გადასახლება მედინაში — ე. წ. „ჰიჯრა“ ხალიფა ომარის ზეობის ხანიდან მაჰმადიანური წელთაღრიცხვის დასაწყისად გამოცხადდა და, ჩვეულებრივ, 622 წლის 16 ივლისით თარიღდება.

მუსლიმებს მთვარის კალენდარი აქვთ. მთვარის ყოველი 33 წელიწადი კი მზის 32 წელიწადს შეესაბამება, ამიტომაც რომელიმე მუსლიმური თარიღის ევროპულზე გადასაყვანად, ჯერ ეს მუსლიმური თარიღი უნდა 33-ზე გავყოთ, მიღებული რიცხვი მუსლიმურ თარიღს გამოვაკლოთ და ამ შედეგს 622 დავუმატოთ. მაგალითად: ჰიჯრის 68 წელი = 68-68: 33+622 ანუ = ქრისტიანული წელთაღრიცხვის 688 წელს.

ქალაქის მოსახლეობის მეტ წილს სწორედ ახალი რელიგიური თემის წევრები შედგენდნენ და ამიტომაც მუჰამადს შეეძლო, უკვე თამამად განეხროციელებია თავისი რეფორმები. ამ დროისათვის მოციქული 52 წლისა იყო.

# II ნაწილი

# მუჰამადი მედინაში

## მედინაში გატარებული პირველი საზოგადოებრივ-თეოკრატიული რეფორმები. მეჩეთის მშენებლობა. „დაძმობილების ინსტიტუტი". აიშაზე ქორწინება

მედინის მოსახლეობა მუჰამადს დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ხვდებოდა. ტომთა და სახლეულთა მეთაურები — ყველანი გზად გამოფენილიყვნენ და წინასწარმეტყველს თავიანთ სახლებში დასაბინავებლად ეპატიჟებოდნენ. მაგრამ მუჰამადი ყველას თავაზიანად მიუგებდა, რომ აქლემი არ შეეჩერებინათ, რადგან სწორედ მას ჰქონდა ზეშთაგონებული, მოციქული სადაც უნდა მიეყვანა. აქლემმა კი მშვიდად გაიარა ბანუ სალიმის, ბანუ ბაიადას, ბანუ ჰარისისა და ბანუ ადის უბნები და როცა ბანუ მალიქის უბანში, იბნ ნაჯარის სახლეულის სამკვიდრებელთან მივიდა, სწორედ იქ, სადაც ახლა მოციქულის ბრწყინვალე მეჩეთია, ჩაიჩოქა და გზა აღარ გააგრძელა.

მოციქულმა იკითხა:

— ეს მიწა ვისიაო?

უთხრეს:

— ამრის ორ ობოლ ბიჭს — საჰლსა და სუჰაილს ეკუთვნისო.

მუჰამადი მოელაპარაკა ობლების მეურვეს ვინმე მაყაზ იბნ აფრას, ობოლთა სიბრალულით, მიწა საკმაოდ ძვირად შეისყიდა და იქ მეჩეთისა და თავისი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა წამოიწყო.

მაგრამ მოციქულის მედინაში შესვლას ყველა დიდი სიხარულით არ შეხვედრია.

იასრიბელი დიდებული აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი, რომელსაც მთელ ქალაქში განუზომელი ძალაუფლება ჰქონდა და უწინ ერთმანეთზე მტრად მოკიდებულ ავსისა და ხაზრაჯის ტომებს მისი გამეფება ეწადათ, რათა ეგების ამით ორ ტომს შორის საუკუნეების სისხლიან დაპირისპირებას საშველი დადგომოდა, ახლა მუჰამადის მედინაში შემოსვლამ მომეტებულად გააცხარა. აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი მიხვდა, რომ ამიერიდან მეფობაზე ოცნებას უნდა გამომშვიდობებოდა, რადგან მედინელი ტომები მუჰამადის ირგვლივ ერთიანდებოდნენ და ქალაქის პრაქტი-

კული გამგებელიც ეს უცხო, სხვა მიწა-წყლიდან და ქალაქიდან მოსული, კაცი გახდებოდა. ამიტომაც, როცა წინასწარმეტყველის აქლემმა მისი ტომის უბანში ჩაიარა, აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაიმ ცხვირზე სამოსის სახელო აიფარა, აქაოდა, მოციქულისა და მისი მხლებლების ფეხთაგან წამოშლილი მტვერი ცხვირში არ შემოვიდესო, და მთელი ხალხის თანდასწრებით მუჰამადს გასძახა: ვინც გაგაბრიყვა და ამ ქალაქში ჩამოგიყვანა, იმათ უბანში წადი და აქლემიდანაც იქ ჩამოხდიო!

საყდ იბნ უბადამ, რომელიც ამ დროს მოციქულს ახლდა, მუჰამადს საქმის ვითარება აუხსნა და უბაის უზრდელობის გამო ბოდიში მოუხადა. მუჰამადმა მაშინ არაფერი შეიმჩნია და აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაისთვის არ უპასუხია. მას წინ ამაზე მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა და ჯერ ეს გეგმები უნდა აღესრულებია.

უპირველესად მეჩეთი უნდა აეგოთ, რათა მედინელ მუსლიმებს შესაკრებელი და სალოცავი ადგილი ჰქონოდათ. სანამ ეს მეჩეთი აშენდებოდა, რომელსაც შემდგომში მუჰამადის საცხოვრებელი სახლიც მიაშენეს, მანამდე მოციქული იმავე უბანში აბუ აიუბის სახლში დაბინავდა, რადგან მასპინძლის დედა ძალიან შეეხვეწა, რომ სწორედ მათთან გაჩერებულიყო.

მალე კი, მისი ბრძანებით, მეჩეთის მშენებლობა წამოიწყეს.

მეჩეთი საკმაოდ სწრაფად შენდებოდა, რადგან ამ საქმეში მექიდან გადმოსახლებული და მედინის მკვიდრი მუსლიმებიც ერთნაირი ხალისით მონაწილეობდნენ. რაც მთავარია, მშენებლობაში თვითონ მუჰამადიც აქტიურად ირჯებოდა და მთელ დღეებს მშენებლებთან ატარებდა, ამიტომ საქმეს ძალზე სწრაფად მორჩნენ.

პირველი მეჩეთი საკმაოდ უბრალო ნაგებობა იყო, პალმის ტოტებისაგან შეკრული ჭერი ჰქონდა და ღამით მთვარის შუქითა და პალმისაგან დამზადებული პატრუქებით ნათდებოდა. მუჰამადი ვერაფრით ეგუებოდა ვერანაირ თვალისმომჭრელ და წრეგადასულ დიდებულებას. მაშინ მუსლიმურ გემოვნებაში ჯერ კიდევ უბრალოება ბატონობდა, მაგრამ შემდგომში, როცა ეს მეჩეთი არაერთხელ გადააკეთეს, მართალია, შენობის ძირითადი სახე შეინარჩუნეს, მაინც ისე მოაპირკეთეს და მოაჩუქურთმეს,

რომ თვითონ მოციქული ამას ალბათ ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერასდროს დაუშვებდა.

მუჰამადისათვის მეჩეთს პრაქტიკული ფუნქცია ჰქონდა: უნდა ყოფილიყო ადგილი მუსლიმთა შეკრებისა და (ოდნავ მოგვიანებით) ერთობლივი საპარასკევო ლოცვის ჩატარებისა. გარდა ამისა, მეჩეთის ერთი ნაწილი ე. წ. „სუფფა" მოციქულის იმ მიმდევართათვის აიგო, რომელთაც ღამის გასათევი ადგილი არ გააჩნდათ.

შენობას დატანებული ჰქონდა სამი კარი: ერთი ე. წ. „შუადღის კარი" იყო, მეორეს — „ჯიბრაილის კარს", ხოლო მესამეს „მოწყალების კარს" უწოდებდნენ.

ქადაგებისას მუჰამადი ეყრდნობოდა პალმის ხეს, რომელიც ცოცხლად იდგა მეჩეთში და ერთგვარი საყრდენის ფუნქციას ასრულებდა.

მოგვიანებით, როცა მეჩეთის „მინბარი" ანუ კათედრა აიგო და მუჰამადი საქადაგებლად სწორედ ამ კათედრაზე ავიდა, როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, მიტოვებულმა ხემ ხმამაღალი ოხვრა ამოუშვა. მუჰამადმა დასამშვიდებლად არჩევანის გაკეთება შესთავაზა: ან გადაერგოთ მახლობელ ბაღში და ძველებურად გაეგრძელებინა ფოთოლთა შრიალი, ანდა გადაენაცვლებინა სამოთხეში, სადაც მარადიულად იყვავილებდა. გონიერმა ხემ მეორე არჩია და ამიტომაც მეჩეთის კათედრის ძირში დააყოლეს, რათა მკვდრეთით აღდგომისას თავისი მეორედ მოსვლის რიგს იქ დალოდებოდა.

მუჰამადი ქადაგებებისას ხალხს იმ ზეციურ გამოცხადებას განუმარტავდა, რასაც უფლის ჩაგონებით ჯიბრაილი გადასცემდა. იგი ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყო და ძირითადად ადამიანურ სიყვარულზე ამახვილებდა ყურადღებას. სიყვარულს, თანალმობას, მაღალ ეთიკურ პრინციპებს ორსავე სოფლის საფუძვლად სახავდა, რომელზედაც უნდა დაშენებულიყო მთელი ადამიანური ყოფიერება. თავისი სახელმწიფო მოწყობის საფუძველი ისლამის მოციქულმა სწორედ სიყვარულს, ძმობას დააფუძნა.

შემოღებულ იქნა დღეში ხუთჯერადი ლოცვა დადგენილი

წესით, რომლის დაწყების დროსაც (მუაზინი) მუეძინი აცნობებდა ხოლმე ხალხს მინარეთის სიმაღლიდან. პირველი მუეძინი აბისინიელი შავკანიანი მონა ბილალი იყო, რომელსაც რწმენის გამო მექაში უამრავი ტანჯვის დათმენა მოუხდა, ვიდრე აბუ ბაქრი მონობიდან გამოისყიდდა. გადმოცემით, ბილალი ამ საქმისათვის ყოფილა ზედგამოჭრილი, რადგან ძლიერი და მჟღერი ხმა ჰქონია.

მოციქულის მიერ შემოღებული სალოცავი ფორმულა კი არსებითად დღემდე არ შეცვლილა და კვლავაც ოდინდელი თანამიმდევრობით გამოიყენება: „დიდ არს ალაჰი" (ოთხჯერ), „ვამოწმებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა" (ორჯერ), „ვამოწმებ, რომ მუჰამადია ალაჰის მოციქული" (ორჯერ), „იჩქარეთ ლოცვისაკენ" (ორჯერ), „იჩქარეთ მადლისაკენ" (ორჯერ), „დიდ არს ალაჰი"(ორჯერ), „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა".

აუცილებელი არ იყო, ყოველდღიური ლოცვები მეჩეთში აღევლინათ და მორწმუნეებს ნება დართეს, შინ ელოცათ, მაგრამ პარასკეობით, შუადღისას, როცა მეჩეთში საზოგადო ღვთისმსახურება ტარდებოდა, არც ერთ მორწმუნეს არ შეეძლო ეს შეკრება არასაპატიო მიზეზით გაეცდინა. ამავე დღეს ჩვეულებრივი ლოცვის შემდგომ კი მუჰამადი სამწყსოს ქადაგებით, ანდა შეგონებით ე. წ. ხუტბით (აქედან ქართ. „ხოტბა") მიმართავდა.

მუსლიმური თემის რელიგიური ორგანიზაციისათვის ჩატარებული ღონისძიებებიდან აქვე უნდა აღინიშნოს ყოველწლიური გადასახადის (შემოსავლის მეათედის) ე. წ. „ზაქათის" დაწესება, რომელსაც რელიგიური მიზნებისათვის გამოიყენებდნენ.

ამას გარდა, იყო მრავალი საკითხი, რომელთა მოწესრიგებაზეც მოციქული უშუალოდ ზრუნავდა.

პირველ რიგში, უნდა მოგვარებულიყო მექაში მცხოვრები ორი უდიდესი არაბული ტომის — ავსისა და ხაზრაჯის დაძაბული ურთიერთობები. მართალია, მუჰამადმა ვერ შეძლო ეს ძველისძველი შუღლი მთლიანად აღმოეფხვრა, მაგრამ ავსისა და ხაზრაჯის მტრობამ მუჰამადის მედინაში მოსვლის მერე უწინდელი სიმწვავე მაინც დაკარგა, რადგანაც ორივე ეს ტომი

უკვე თანაბრად ემორჩილებოდა მუჰამადის როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ თავიდან მუჰამადს მხოლოდ სასულიერო მეთაურად აღიქვამდნენ, მაგრამ თავისი რელიგიური ავტორიტეტის მეოხებით, მან თანდათანობით, ერთი მხრივ, მუსლიმთა, მეორე მხრივ კი, მუსლიმთა და არამუსლიმთა სამოქალაქო ურთიერთობების დარეგულირებაც მოახერხა. მუჰამადს მიმართავდნენ სამართლის გასაჩენად, მისი მსჯავრი კი თითოეულ საქმეზე წარმატებული და გონიერული იყო და, ამგვარად, ბუნებრივი ღირსებების წყალობით, მოციქულის სასულიერო ხელისუფლება ნელ-ნელა საერო ხელისუფლებასაც შემოიმტკიცებდა.

მართალია, ასეთი ზეგავლენა მუჰამადს მხოლოდ იმ მედინელებზე ჰქონდა, რომელთაც ისლამი აღიარეს, მაგრამ ეს ხალხი უკვე ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენდა.

ყველა მედინელ მუსლიმს „ანსარი" (მხ. ნასირ) „შემწენი" (იგულისხება: „მოციქულის შემწენი") დაერქვა.

ამის შემდეგ მოციქულს უნდა ეზრუნა იმ მოსალოდნელი მტრობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლებოდა იოლად გაღვივებულიყო მექიდან გადმოსახლებულებსა (მუჰაჯირებსა) და მედინის მკვიდრ მოსახლეებს (ანსარებს) შორის.[5]

ამ მიზნით მუჰამადმა დააწესა ე. წ. „დაძმობილება" და ურთიერთობის ეს ფორმა იმდენად მყარი გამოდგა, რომ სისხლით ნათესაობაზე უფრო ძლიერადაც ითვლებოდა, რადგან ძმობილის სიკვდილისას მის ერთადერთ მემკვიდრედ ძმობილი ცხადდებოდა.

ეს დადგენილება მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამ და სხვა ანალოგიურ დადგენილებათა მეოხებით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქვაკუთხედის ადგილი, უწინდელი ტომო-

[5] შევნიშნავთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ეს ფორმა „ანსარები" თავისთავად არასწორია, რადგან არაბ. „ანსარ" თვითონვეა სიტყვის „ნასირ" მსხვრეული მრავლობითი, ამდენად ქართული „ებ" სუფიქსის დართვით ტერმინი ორმაგად მარკირებული გამოდის. ამის მიუხედავად, ჩვენ ტრადიცია არ დაგვირღვევია და სიტყვას იმ ფორმით ვიყენებთ, როგორითაც ჩვენში უკვე კარგა ხანია მოიკიდა ფეხი.

ბრივ-გვაროვნული საწყისის ნაცვლად, რელიგიამ დაიკავა.

მართალია, მალევე ისლამმაც აღიარა ტომობრივი ურთიერთობანი (და ამრიგად, ბადრის ბრძოლის შემდეგ, დაძმობილების კანონი და, შესაბამისად, ქონების არანათესაური მემკვიდრეობის წესიც გაუქმდა) და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თეორიულად იქადაგებოდა საზოგადოების მოწყობის ახალი, ხოლო პრაქტიკულად რჩებოდა ძველი პრინციპი (აღსანიშნავია, რომ აქედანაც წამოვიდა განხეთქილებანი ხალიფატში ომაიანთა ზეობისას), მაგრამ ამის მიუხედავად, ახალმა პრინციპმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა და სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად, ისლამში შემოიტანა არაბთათვის მანამდე გაუგონარი რამ — დისციპლინა.

წინააღმდეგობათა მიუხედავად, საქმე ნელ-ნელა ეწყობოდა, მაგრამ მოციქულს აშკარად აკლდა ის პირადი ბედნიერება, რაც მისი ცხოვრების მექურ ხანაში ღმერთმა ხადიჯას სახით მოუვლინა. მართალია, მოციქულმა ჯერ კიდევ მექაშივე იქორწინა ერთ ქვრივ ქალზე — სავდაზე, მაგრამ მუჰამადს ეს ქალი დიდად არასდროს ჰყვარებია და მათი ქორწინება შეიძლება ითქვას, რამდენადმე ფორმალური ხასიათისა იყო.

ერთხელ წინასწარმეტყველს ომარისათვის უთქვამს: „კაცისათვის ყველაზე საუკეთესო განძი სათნო ცოლია, რომელიც მისდევს ღვთის კანონებს, ემორჩილება და ირჯება ქმრის სიამოვნებისათვის. კაცი ხარობს ცოლის მშვენიერებითა და სილამაზით და როცა რაიმეს უბრძანებს, ქალი სიტყვის უთქმელად აღუსრულებს, ხოლო როდესაც კაცი მოშორდება ოჯახს, ქალი შეუნახავს მას ნამუსს, ღირსებასა და ქონებას!“

მედინაში გადასახლების პირველივე წელს მუჰამადმა იქორწინა აბუ ბაქრის ასულზე — აიშაზე, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მოციქულზე მექაში დაწინდეს.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ ქორწინებას ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე მუჰამადის ევროპელი ბიოგრაფები და დასავლელი აღმოსავლეთმცოდნეები. თუმცა ზოგი მათგანი გამართლებასაც უძებნის და ამბობს, რომ დაუშვებელია აზიური ცხოვრების წესი და კერძოდ, ქორწინებასთან დაკავშირებული ადათები დასავლური ნორმების მიხედვით განვსაჯოთ და

შევაფასოთ. აღმოსავლეთის მცხუნვარე მზე და კლიმატური პირობები ადამიანის ნაადრევ სექსუალურ მომწიფებასაც უწყობს ხელს და ამ რეგიონში ქორწინების ასაკობრივი ზღვარი შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე დედამიწის უფრო ცივ და უმზეო მხარეებში.

ყოველ შემთხვევაში, ასაკით პატარა, მაგრამ როგორცა ჩანს, ჭკვიანმა, გამჭრიახმა და მოხერხებულმა აიშამ მალე მოციქულზე უდიდესი გავლენა მოიპოვა და ამაში მისი სილამაზე და ახალგაზრდობაც არცთუ უკანასკნელ როლს თამაშობდა.

შიიტი ავტორები აიშას ძალზე კრიტიკულად აფასებენ და ხშირად ეს ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ქალის საგანგებოდ დაკნინების დაუფარავ სურვილსაც შეიცავს. რა თქმა უნდა, აიშა ანგელოზი არ ყოფილა და თანაც შეუძლებელია, ასე პატარას სრულყოფილად გაეაზრებინა თავისი არაჩვეულებრივი მეუღლის ფასი და მნიშვნელობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მუჰამადს იგი ძალიან უყვარდა და მის ჯერ ბავშვურ, შემდგომ კი ქალურ კაპრიზებსაც არცთუ იშვიათად, მოციქულისათვის შესაფერისი დიდსულოვნებით ასრულებდა.

## მედინელი მტრები: ებრაელები და თვალთმაქცები („მუნაფიკები“)

ამასობაში კი მუჰამადს მტრები მედინაშიც გამოუჩნდნენ. მართალია, ფარული და არა ისეთი, თავიანთი უკმაყოფილება ახდილად გამოეთქვათ. მედინელები, რომელთაც მოციქულს აკაბაში დაუდეს ფიცი, ამ ქალაქის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ ქალაქში მაინც საკმაოდ იყვნენ ისინიც, ვისაც მუჰამადის მოციქულობისა არ სჯეროდა. მათი ერთი ნაწილი მედინიდან მექაში გადასახლდა და მუჰამადის მტრებს შეუერთდა, ნაწილი კი მედინაშივე დარჩა, მოციქულს აშკარა წინააღმდეგობას არ უწევდნენ და გარეგნულად ახალი სარწმუნოებაც კი მიიღეს, მაგრამ ფარულად არ მოსწონდათ თანაქალაქელთა საქციელი და მოციქულის წინააღმდეგ,

როგორც შეეძლოთ, ისე მოქმედებდნენ. ისინი შეადგენდნენ არაკეთილისმსურველთა, ყალბ თანამოძმეთა ანდა, როგორც ყურანი უწოდებს, თვალთმაქცთა (მუნაფიკუნა) დაჯგუფებებს (ალ-აჰზაბ). ეს იყო, ძირითადად, ძველი, სახელგანთქმული გვარების ხალხი, რომელთაც სათავეში ედგათ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი — კაცი, ვისაც ხაზრაჯები მუჰამადის მოსვლამდე მეფედ თუ ქალაქის განმგებლად გამოცხადებას უპირებდნენ.

რა თქმა უნდა, მათ არ სიამოვნებდათ ის ამბავი, რომ ვიღაც გადამთიელმა ისინი უკან გადასწია, ხოლო რაკი მუჰამადით თავიანთ ახალგაზრდა თანამოქალაქეთა რელიგიურ გატაცებას სრულებითაც არ იზიარებდნენ, ისლამის მთელი დადგენილებანი მიუღებელი ეჩვენებოდათ, განსაკუთრებით კი — ისლამის რელიგიური დისციპლინა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მთელი არაბობისათვის აუტანელი აღმოჩნდა.

ყველაზე დიდი სიძნელეები კი ებრაელთა მხრიდან შეიქმნა. მუჰამადი მათ სრულებითაც არა მტრობდა და პირიქით, მიმხრობასაც ცდილობდა. იგი მუდამ აღიარებდა იუდეველთა სჯულის ღვთიურ წარმომავლობას და როდესაც საკუთარი მოციქულობის დამტკიცება ეწადა, მათ წმინდა წიგნებს ერთგვარ საბუთად და დასტურად მოიხმობდა. რელიგიურ დღესასწაულებს, მარხვა თუ რიტუალებსაც მათვე დაესესხა. თავიდან მორწმუნე მუსლიმები ლოცვისას პირს იერუსალიმის მხარეს აბრუნებდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იერუსალიმი იყო მათი „კიბლა“. ამას გარდა ღმერთს, ებრაელთა მსგავსად, წმინდად სწირავდნენ ერთ საგანგებო დღეს მარხვისას.

ერთი სიტყვით, მუჰამადი მზად იყო ებრაელთა მიმართ ყველანაირ დათმობაზე წასულიყო, ოღონდაც ამ უკანასკნელთ იგი ღვთის მოციქულად ეღიარებინათ. მედინაში ჩასვლისთანავე მათ სრული რელიგიური თავისუფლება და საკუთარი ქონების თავიანთი ნება-სურვილისამებრ განკარგვის უფლება მიანიჭა.

პირველ ხანებში ორივე მხარე ერთმანეთს სავსებით მშვიდობიანად ეკიდებოდა. მუსლიმები დადიოდნენ სინაგოგაში, იუდეველები — მეჩეთში, მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ მოსეს

სჯულსა და ისლამს შორის დიდი განსხვავება არსებობდა.

ებრაელები ვერ დაუშვებდნენ იმის აღიარებას, რომ მათ წიგნებში მუჰამადის მოვლინება ყოფილიყო ნაწინასწარმეტყველები. მუჰამადს კი, რომელსაც სურდა იუდეველებს სწორედ ეს პუნქტი ეღიარებინათ, მათი სიჯიუტე სულ უფრო და უფრო აღანთებდა.

ამის შემდგომ იგი იუდეველებს იმ ძველ ებრაელთა ღირსეულ მემკვიდრეებს უწოდებდა, რომლებიც აწუხებდნენ მოსეს, ხოცავდნენ თავიანთ წინასწარმეტყველთ და უარყოფდნენ საკუთარ მესიას.

ამ დროიდან ნელ-ნელა უკვალოდ გაქრა ებრაელთა მიმართ უწინდელი კეთილგანწყობა. იერუსალიმის მაგიერ „კიბლად“ ისევ მექა გამოცხადდა. ებრაულ მარხვათა ნაცვლად კი მარხვა რამადანის თვეში შემოიღეს და მხარეთა ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ვითარება მალე შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო.

მოციქულით უკმაყოფილო მედინელებმა მექელებთან გააბეს კავშირი და მათ წინასწარმეტყველთან ომზე აქეზებდნენ. მაგრამ თვითონ მუჰამადიც ფიქრობდა ამაზე. კიბლის ცვლილებით მექა ხელახლა იქნა აღიარებული წმინდა ალაგად, რომლის მოსალოცადაც იქ თავისუფლად ჩასვლა მუსლიმებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქნა. ამას გარდა, მოციქულს სჭირდებოდა ფული, რათა თავისთან, მეჩეთში შეფარებული უამრავი ღარიბ-ღატაკი შეენახა.

მტრული გარემოცვა მოციქულისა და მისი მიმდევრების მხრიდან დიდი სიბრძნის, სიმამაცისა და გამბედაობის გამოჩენას მოითხოვდა, რათა წარმატებით დაწყებული საქმე არ ჩაფუშულიყო და საბოლოო ზეობა ეზეიმათ.

ამიტომაც სწორედ ამავე პერიოდს უკავშირდება ყურანის ის ფრაგმენტები, სადაც პირველად გაისმის მოწოდებანი სარწმუნოების ხმლით დაცვისა და გამაგრების, მტრულად განწყობილი ადამიანების შემოტევათა ბრძოლით მოგერიების ე. წ. ჯიჰადის, ანდა ღაზავათის შესახებ.

მუსლიმი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ მოციქულის სიცოცხლეში სულ სარწმუნოების ზეობისათვის აუცილებელი 26

თუ 27 ასეთი ბრძოლა გამართულა. აღნიშნულ მცდელობებს არაბულ საისტორიო წყაროებში ორ რიგად ჰყოფენ. ერთი ისეთი რიგის ლაშქრობებია, სადაც მოციქული უშუალოდ მონაწილეობდა და მათ „ღაზავათის" სახელით მოიხსენიებენ, მეორე რიგში კი ერთიანდებიან ის ლაშქრობები, რომლებშიც მოციქულს ფიზიკურად არ მიუღია მონაწილეობა და მათ მიმდინარეობას მედინიდან წამართავდა. ამ ტიპის ლაშქრობებს მუსლიმურ წყაროებში „სარიიას" უწოდებენ.

თუმცა მუსლიმი კომენტატორები იქვე შენიშნავენ, რომ ბევრი ღაზავათი თუ სარია მხოლოდ სახელით თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ასე, რადგანაც მოციქულსა და მის მიმდევრებს წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ ხვდებოდათ და მეორე მხარე უბრძოლველად, უსისხლოდ ნებდებოდა, ხშირად აღნიშნული ლაშქრობები ერთადერთ მიზანს — მტრის უბრალო დაშინებას ისახავდა და სამშვიდობო გარიგებათა დადებით თავდებოდა. გარდა ამისა, მოციქულს მუდმივად უნდა გაეკონტროლებინა მოწინააღმდეგე ძალთა ყოველგვარი ინიციატივა, რადგან მოსალოდნელი იყო, წარმართები სავაჭრო მგზავრობებს ამოფარებოდნენ და ერთმანეთთან პირი შეეკრათ ახლად წარმოქმნილი მუსლიმური თემის დასამხობად. ამდენად, მუჰამადი ინტერესით გამოიძიებდა მექიდან გამოსული ყველა ქარავნის ამბავს და გზად ამ ქარავნებს თავისი მომხრეების ჯგუფებს უხვედრებდა, რათა ამ ჯგუფის წევრებს ყველა საეჭვო მოძრაობა აღენუსხათ და ყოველგვარი საფრთხე ძირშივე აღეკვეთათ.

სხვათა შორის, სწორედ ამ მიზნით განხორციელდა ის რამდენიმე ღაზავათი თუ სარია ჰიჯრის პირველ წელს (622 წ.), რამაც ჰიჯრის მეორე წელიწადს (623 წ.) ბადრის ჭებთან დიდი შეტაკება, ე. წ. ბადრის ბრძოლა გამოიწვია.

კერძოდ, ალაჰის მოციქულმა შეიტყო, რომ კურაიშელთა 300-კაციანი ქარავანი აბუ ჯაჰლის წინამძღოლობით მექიდან სირიისაკენ მიემართებოდა. მუჰამადმა ბიძა — ჰამზა იბნ აბდ ალ-მუტალიბი 30 კაცის თანხლებით, რომელთაგან ყველა მექიდან გადასახლებული მუჰაჯირი იყო, მათკენ გააგზავნა და დაავალა, ქარავნისათვის გზა გადაეჭრათ. მაგრამ როცა მუსლიმთა

ჯგუფი მექელთა ქარავანს მიუახლოვდა, ერთ-ერთმა კაცმა, სახელად მაჯდი იბნ ამრმა, რომელსაც ორივე მოწინააღმდეგე მხარესთან სამშვიდობო აღთქმა აკავშირებდა, შუამავლობა იკისრა და დაპირისპირებული ჯგუფები ბრძოლასა და სისხლისღვრას აარიდა.

მუსლიმი მემატიანეების ცნობით, ეს სარია, რომელიც წყაროებში „ჰამზა იბნ აბდ ალ-მუტალიბის სარიას“ სახელითაა ცნობილი, გადასახლებიდან მეშვიდე თვეს უნდა მომხდარიყო.

ამას მოჰყვა მეორე ინციდენტი, როდესაც კურაიშელთა ქარავანს უკვე აბუ სუფიანი ქომაგობდა და იბნ ჰიშამის ცნობით, იქრიმა (ან მიქრაზ) იბნ აბი ჰაფსი მეთაურობდა. ამ ქარავანს ხმლით შეიარაღებული 200 კაცი აცილებდა.

მუჰამად მოციქულმა უბაიდა იბნ ალ-ჰარისს დაავალა 60 (ზოგი წყაროს ცნობით კი 80) მუჰაჯირი ეახლებინა და მექელთა ქარავნისათვის გზა გადაეჭრა. ამჯერადაც მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ მათ შორის შეტაკება არ გამართულა. იბნ ჰიშამი აღნიშნავს, რომ მხოლოდ საყდ იბნ აბი ვაკასმა გაისროლა მოწინააღმდეგისაკენ ისარი, რომელსაც მუსლიმი ისტორიკოსები „მუსლიმთა მხრიდან წარმართთათვის ნატყორცნ პირველ ისარს“ უწოდებენ.

ეს ლაშქრობა, რომელიც საისტორიო წყაროებში ცნობილია, როგორც „უბაიდა იბნ ალ-ჰარისის სარია“, ორი მექელი მუსლიმისათვის მეტად შედეგიანი აღმოჩნდა. ეს მუსლიმები — მიკდად იბნ ამრ ბაჰრანი და უთბა იბნ ღაზვან მაზინი — კარგა ხანია, ფარულად ისლამის სჯულზე მოქცეულიყვნენ, მაგრამ წარმართი ნათესავებისა და თანაქალაქელთა შიშით ამის აღიარებას ვერ ბედავდნენ; ვერც მექადან მედინაში გადასახლებას ახერხებდნენ, და ახლა, როცა მექელთა ქარავანი სირიისაკენ მიემართებოდა, მარჯვე შემთხვევა იშოვეს, ამ ქარავანს სხვებთან ერთად გაჰყვნენ და თავიანთი რელიგიის მიმდევრებს სრულიად დაუბრკოლებლად შეუერთდნენ.

იბნ ჰიშამის ცნობით, ჰიჯრის პირველი წლის საფარის თვეში ანუ მოციქულის მედინაში გადასახლებიდან მეთერთმეტე თვეს მოხდა პირველი ღაზავათი ისლამის ისტორიაში, როცა

მოციქული მუსლიმთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგა და ისლამის მტრებთან საბრძოლველად მედინიდან პირადად გამოვიდა. მედინაში მუსლიმთა საქმეების წინამძღოლობა კი დროებით საყდ იბნ უბადას გადააბარა. პირველი ღაზავათი მიზნად ბანი დამრას ტომელთა დამორჩილებასა და მექელთა ქარავნის მდგომარეობის შესახებ ცნობების მოპოვებას ისახავდა. თუმცა რეალურად ბრძოლა არ გამართულა, რადგან ბანი დამრას ტომი უსისხლოდ დამორჩილდა და მუჰამადს ზავი გამოუცხადა, ხოლო ქარავანს ცოტა ხნით ადრე დაეტოვებია მედინის მიმდებარე ტერიტორია და მოციქულს მათთან შეხვედრამაც აღარ მოუწია.

ჰიჯრის პირველ წელს მნიშვნელოვანი კიდევ ის მოხდა, რომ მედინაში გარდაიცვალა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ასყად იბნ ზირარა — ბანი ნაჯარის თემის წარმომადგენელი, ვისმა სიკვდილმაც მოციქულზე განსაკუთრებით იმოქმედა, რადგან, როგორც უკვე ვიცით, ამ ადამიანს მოციქულის მედინაში გადასახლებასა და იქ ისლამის ზეობის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვოდა.

ასყად იბნ ზირარა იყო პირველი, ვინც ბაკიყის სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც შემდგომში არაერთი თვალსაჩინო პირი დაიკრძალა და ამის გამო დღემდე ერთგვარ უმნიშვნელოვანეს მუსლიმურ პანთეონს წარმოადგენს.

ამავე წელს ალაჰმა მიიბარა ქულსუმ იბნ ჰიდამი — მოციქულის მეორე თავგადადებული შემწე მედინაში, რომელიც ასევე ეხმარებოდა მუჰამადსა და სხვა მუჰაჯირებს და ამისათვის არც ქონება და არც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა არასოდეს დაუშურებია.

მექაში კი მოკვდა მუჰამადის შეურიგებელი მოწინააღმდეგე ვალიდ იბნ მუღირა, აბუ ჯაჰლის ბიძა და თანამდგომი. მუსლიმურ ანალებში შემონახულია ცნობები იმის თაობაზე, რომ სასიკვდილო სარეცელზე ვალიდ იბნ მუღირა განსაკუთრებით შფოთავდა და ვერ ისვენებდა. აბუ ჯალს უკითხავს: — ძია, რატომ ვერ ისვენებო? ვალიდ იბნ მუღირას მიუგია: ღმერთმანი, სიკვდილი ოდნავადაც არ მაშინებს. იმისა კი მეშინია, რომ მუ-

ჰამადის საქმე წინ მიიწევს და მისი სჯული სხვა სარწმუნეობებს წალეკვით ემუქრებაო!

იქვე მდგომმა აბუ სუფიანმა დაამშვიდა: — მაგის ფიქრი ნუ გექნება! სანამ პირში სული მიდგას, მუჰამადის გამარჯვებას არაფრით დავუშვებო!

ერთი სიტყვით, ორმხრივი შუღლი და წინააღმდეგობა აშკარად თუ ფარულად გრძელდებოდა და მუჰამადი ყველანაირად ცდილობდა ღვთის მიერ მისთვის მინიჭებული მომგებიანი პოზიციიდან უკან არ დაეხია. ამიტომაც, დაზვერვითი და თავდაცვითი ლაშქრობები ჰიჯრის მეორე წელსაც განაგრძო. ჩვეულებრივ, მუსლიმი ავტორები აღნიშნავენ ხოლმე ამ წელიწადს მომხდარ რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას. კერძოდ, ე. წ. ბავატის ღაზავათსა და უშაირას ღაზავათს. ბავატი მედინის მახლობელ მთასთან, რადვანთან მდებარე ერთი ადგილია, სადაც მოციქული ჰიჯრის მეორე წლის რაბიყ ალ-ავალის (დაახლ. დეკემბერ-იანვრის) თვეში მექელებთან საბრძოლველად გამოსულა, მაგრამ კურაიშელებს არც ამჯერად შეხვედრია და უკან, მედინაში გაბრუნებულა.

უშაირაც ასევე ახლომდებარე ადგილის სახელია, სადაც თავის მცირერიცხოვან რაზმთან ერთად მისული მოციქული რამდენიმე კვირას დარჩენილა და იქ მცხოვრებ ბანი მუდლიჯის ტომთან და მათ მოკავშირეებთან მეგობრობის ხელშეკრულებაც დაუდია.

ამის შემდეგ მუსლიმურ წყაროებში დასახელებულია ერთი სარია, რომელიც საყდ იბნ აბი ვაკასის სარიის სახელითაა ცნობილი და ერთიც ღაზავათი, ე. წ. „ბადრის პირველი ღაზავათი“, რომლის მიზეზიც გახდა ის, რომ მავანმა მექელმა ქურზ იბნ ჯაბირ ფაჰრიმ მედინის შემოგარენიდან ამ ქალაქის მცხოვრებთა ცხვარ-ძროხა მოიპარა. რადგანაც ამ კაცს კავშირი ჰქონდა კურაიშელებთან, მისი საქციელი პოლიტიკურ ავანტურად შეფასდა და ალაჰის მოციქულმა მედინაში თავის ნაცვლად ზაიდ იბნ ალ-ჰარისი დატოვა, ხოლო თვითონ ქურდს ბადრის შემოგარენში მდებარე ერთ ადგილამდე, საფვანამდე, მისდია, მაგრამ რადგანაც მპარავს ველარ დაეწია, იძულებული შეიქნა მედინაში დაბრუნებულიყო.

ამ წლის რაჯაბის თვეში კი მოხდა ე. წ. აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰ-

შის სარია, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია და ღვთიურ გამოცხადება რომ არა, საქმე სავალალოდ დამთავრდებოდა.

აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰში ერთ-ერთი მუჰაჯირი იყო, რომელსაც მუჰამადმა დაავალა 8 კაცი (ზოგი წყაროს ცნობით კი თორმეტი ადამიანი) ეახლებინა და მექის გზას დადგომოდა. მოციქულმა მას დაბეჭდილი წერილი გადასცა და უბრძანა მედინიდან მხოლოდ ორი დღის სიარულის შემდეგ გაეხსნა და ისე მოქცეულიყო, როგორც ამ წერილში ეწერებოდა.

ორი დღის შემდეგ, აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშმა და მისმა მხლებლებმა წერილი რომ გახსნეს, აღმოჩნდა, რომ მოციქული უშუალოდ აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშს ავალებდა, მექისა და ტაიფის გზაზე, ვადი ან-ნახლამდე მიდი, იქ კურაიშელთა ქარავანს დაუსაფრდი, გზა გადაუჭერი და მათი ამბავი ჩამიგვიტანე. შენი მხლებლები კი გაათავისუფლე და არავინ აიძულო თან გამოგყვესო.

აბდ ალ-ლაჰმა თანამგზავრებს საქმის ვითარება აუხსნა და უთხრა, მოციქული ჩემს გამოყოლას აღარ გავალებთ. ახლა, როგორც გსურდეთ, ისე მოიქეციით. ვინც თავგანწირვისა და ერთგულებისათვის არის მზად, თან წამომყვეს, ვინც არა და გზა დიდიაო!

ყველამ მიუგო: — შენთან ერთად წამოსვლა გვწადია და არც ერთი უკან გაბრუნებას არ ვაპირებთო!

გზა განაგრძეს და მივიდნენ ადგილამდე, რომელსაც ბაჰრანს უწოდებდნენ. იქ ორმა თანამგზავრმა — საყდ იბნ აბი ვაკასმა და უთბა იბნ ღაზვანმა თავიანთი აქლემები დაკარგეს, მათ საძებნელად უდაბნოში წავიდნენ და ჯგუფს ჩამოსცილდნენ. აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰში და სხვები კი მოციქულის დავალების შესასრულებლად გაემართნენ და ნახლამდე ჩავიდნენ.

ჯგუფს მოწყვეტილი საყდ იბნ აბი ვაკასი და უთბა იბნ ღაზვანი გზაზე კურაიშელთა ქარავანს გადააწყდნენ და მათ ხელში ტყვედ ჩავარდნენ. აბდ ალ-ლაჰი და მისი მხლებლები კი, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, ნახლაში დაბანაკდნენ.

წმინდათაწმინდა რაჯაბის თვის ბოლო დღეები იყო და კურაიშელთა ქარავანი გზაზე მშვიდად მიემართებოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთო არაბული ტრადიციით, ამ

ე. წ. „წმინდა თვეებში“ ყოველგვარი სისხლისღვრა წყდებოდა და ძალადობა დაუშვებელ საქმედ ითვლებოდა. ამიტომაც მექელები თავდასხმას არსაიდან ელოდნენ, ქარავანი ჩვეულებისამებრ ტყავითა და ქიშმიშით დაეტვირთათ და ტაიფის გზით მშობლიურ ქალაქში ბრუნდებოდნენ. ქარავანს რამდენიმე მამაცი კურაიშელი მეთაურობდა და აცილებდა: ამრ იბნ ჰადრამი, ოსმან იბნ აბდ ალ-ლაჰი, მისი ძმა ნავფალ იბნ აბდ ალ-ლაჰი და ჰაქამ იბნ ქაისანი. მათ რომ აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰში დაინახეს, შიშის ზარი დაეცათ, მაგრამ რადგან მუსლიმებს წინ თავგადაპარსული უქაშა იბნ მიჰსანი მოუძღოდათ, ცოტათი დამშვიდნენ და ერთმანეთს უთხრეს: ნუ გეშინიათ, ესენი უმრას მომლოცველობიდან ბრუნდებიან და მათგან საფრთხე არ გვემუქრებაო!

მეორე მხარეს კი, როცა აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშმა და მისმა მხლებლებმა კურაიშელები დაინახეს, მათთან საბრძოლველად ერთმანეთში თათბირი დაიწყეს. ეს ხალხი, რომელთაც მექელი წარმართების მხრიდან წლების განმავლობაში უამრავი დამცირება და შეურაცხყოფა ენახა, ახლა სამაგიეროს გადახდის ჟინით იყო ანთებული და ერთი სული ჰქონდათ, საამისოდ მარჯვე შემთხვევა მისცემოდათ. ამიტომაც ამ შესაძლებლობას ხელიდან ვერაფრით გაუშვებდნენ. შურისძიების წადილით განსაკუთრებით აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰში იტანჯებოდა, რადგან მისი მედინაში გადასახლების შემდგომ კურაიშელებმა სახლ-კარი ჩამოართვეს და მთელი ქონება დაუნიავეს.

ამიტომაც წმინდა თვისა და აკრძალვების მიუხედავად, ადათის პატივისცემას ადამიანურმა ვნებებმა სძლია: ერთ-ერთმა მუსლიმმა ვაკიდ იბნ აბდ ალ-ლაჰმა მექელთა ქარავნის მხარეს ისარი ისროლა და სასიკვდილოდ დაჭრა ოსმან იბნ ჰადრამი. ამის შემდეგ სხვა მუსლიმებიც ბრძოლის ჟინით აღენთნენ და მექელთა ქარავანზე ერთიანი ძალით მიიტანეს იერიში. მათ ხელში ჩაიგდეს ოსმან იბნ აბდ ალ-ლაჰი და ჰაქამ იბნ ქაისანი და ამრიგად ალაჰის მოციქულის წარგზავნილნი მედინაში ორი ტყვითა და კაი ძალი ნადავლით დაბრუნდნენ. მათგან დასხლტომა და მექაში ჩაღწევა კი მხოლოდ ნავფალ იბნ აბდ ალ-ლაჰმა მოახერხა.

მედინაში აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშისა და მისი მხლებლების ამ-

ბავმა დიდი აურზაური და უკმაყოფილება გამოიწვია. არაბებმა ადათის შეურაცხყოფა და წმინდა თვის შებღალვა მუჰაჯირებს ვერაფრით აპატიეს და ამის გამო უსიამოვნო მითქმა-მოთქმა ატყდა. მუჰამადის მედინელ მოწინააღმდეგეებს — აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის მომხრეებს, იუდეველებსა და წარმართებს სალაპარაკო მიეცათ და, სადაც კი შემთხვევას იპოვნიდნენ, ყველგან ამ თემაზე საუბრობდნენ. მოციქულს კიცხავდნენ და მუსლიმებს ტრადიციის დარღვევაში ადანაშაულებდნენ. როგორც ჩანს, ვითარებამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მუჰამადმა საჯაროდ უსაყვედურა აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშს, მე მხოლოდ ის დაგავალე, მექელთა ქარავანისათვის გზა გადაგეჭრათ, მათი დახოცვა და ქონების ალაფად წამოღება გუნებაშიც არ გამივლიაო, მაგრამ საქმეს ამანაც ვერაფერი უშველა, ვიდრე ღვთაებრივი გამოცხადების ფრაგმენტი არ გარდმოევლინა, რომელიც დღეს ყურანის II სურის დასასრულსაა მოქცეული: „გეკითხებიან წმინდა თვისა და ამ დროს ბრძოლის შესახებ. უთხარი: ბრძოლა ამ დროს დიდი ცოდვაა და გადახვევაა ალაჰის გზიდან, მაგრამ მისდამი და წმინდა ტაძრისადმი ურწმუნოება და ამ წმინდა ნაკრძალის მცხოვრებთა გამოძევება იქიდან უფრო დიდი ცოდვაა წინაშე ალაჰისა. შუღლი ბრძოლაზე უდიდესია და მანამ არ აიღებენ ხელს თქვენთან შებრძოლებაზე, ვიდრე სჯულიდან უკან არ მიგაქცევენ, თუ შეიძლეს.“

ამის შემდეგ უკვე ყველაფერი თავის ადგილას დადგა და მოციქულმა ნადავლის გადანაწილება დამშვიდებული სინდისით მოახერხა. აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშისა და მისი მხლებლების საქციელი თვით ალაჰმა გაამართლა და აბა, მათთან ადამიანურ მსჯავრს რა ხელი ექნებოდა?!

ერთი რამ ცხადია: ამით მართლაც მოხერხდა მედინელ მოწინააღმდეგეთა ჩაჩუმება და მუჰამადმა სხვა საქმეებისათვისაც მოიცალა. კერძოდ, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სწორედ ჰიჯრის მეორე ანუ 623 წელს უნდა მომხდარიყო მარხვის წესების საბოლოო რეგლამენტაცია.

მარხვით მუსლიმური თემის წევრები მანამდეც მარხუ-

ლობდნენ და ეს შეგვიძლია ჯაყფარ იბნ აბი ტალიბის ნაჯაშის კარზე წარმოთქმული სიტყვიდანაც გავარკვიოთ.

მაგრამ მაშინ მუსლიმებს თვეში სამი დღე მარხულობა ევალებოდათ და თანაც ეს არ ყოფილა რელიგიური ვალდებულება (ანუ ფარდი), როგორც ჰიჯრის მეორე წლის მიწურულს, მუჰამადის ღვთაებრივი ზეშთაგონების საფუძველზე, გამოცხადდა.

ამ დროიდან მოყოლებული კი ყველა ზრდასრულ მუსლიმს წელიწადში ერთ თვეს, მუსლიმური კალენდრის IX ანუ რამადანის (რამაზანის) თვეში რელიგიურად დაეკისრა მარხვის შენახვა, რომელიც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე სრულ უსმელ-უჭმელობას ითვალისწინებს.

თავიდან ჭამა და ცოლებთან თანაცხოვრება არც მზის ჩასვლის შემდგომ შეიძლებოდა და მუსლიმური თემის წევრები ერთი თვის განმავლობაში დღე და ღამ შიმშილობდნენ, მაგრამ მერე ეს წესიც შეიცვალა და შედარებით გამარტივდა.

გარდა ამისა, მოციქულმა დაასრულა კუბას ცნობილი მეჩეთის მშენებლობა, რომელიც, როგორც ვიცით, მექიდან მედინაში ჰიჯრისას დაიწყო, მაგრამ მაშინ ტაძარს მხოლოდ საფუძველი ჩაუყარეს და ნაგებობა ბოლომდე არ აუშენებიათ.

ყიბლის ცვლილების შემდგომ კი, როცა სალოცავი მიმართულება იერუსალიმის მხრიდან მექისაკენ შეიცვალა, საჭირო გახდა კუბას მეჩეთის მიჰრაბიც შესაბამისი წესით ამოეყვანათ. მოციქულმა მეჩეთის აგებაზე ბოლომდე იზრუნა და შესანიშნავი სალოცავი ააგო, სადაც მომავალში ხშირად უყვარდა განმარტოება და ლოცვა.

მუსლიმური წყაროების ცნობით, მუჰამადი თითქმის ყოველ შაბათს ფეხით ჩადიოდა მედინიდან კუბაში და თავის აგებულ ტაძარში ლოცულობდა.

ოჯახური ცხოვრებაში კი სასიამოვნო ამბებიც მოხდა.

მოციქულის ქალიშვილი ფატიმა მუჰამადისავე აღზრდილ ბიძაშვილზე ალი იბნ აბი ტალიბზე დაქორწინდა.

რაც ფატიმას გათხოვების ასაკმა მოუწია მუჰამადს ქალიშვილის ხელის მთხოვნელები ხშირად აწუხებდნენ. წყაროების ცნობით, ფატიმა ულამაზესი ქალი ყოფილა, რომელსაც გარეგნული

სილამაზე და შინაგანი მშვენება თანაბრად ამკობდა. ამიტომაც რა გასაკვირია, თუ მისი შერთვის მოწადინე მამაკაცებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ მუჰამადი ყველას თავაზიანი უარით ისტუმრებდა და ეუბნებოდა, რომ ფატიმას გათხოვებასთან დაკავშირებით უფლის ბრძანებასა და დასტურს მოელოდა. ზოგჯერ კი ქალის უწლოვანებას მოიმიზეზებდა და აბეზარ სასიძოებს თავიდან ასე იცილებდა.

ალის კი ქალიშვილის ხელი, ფაქტობრივად, თვითონვე შესთავაზა და განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება თვით ძლევამოსილმა ჯიბრაილ ანგელოზმა ჩააგონა. წინადადება ალის აბუ ბაქრისა და ომარის პირით შეუთვალა.

აბუ ბაქრმა და ომარმა ალი იბნ აბი ტალიბი პალმათა ბაღში მონახეს, სადაც ხეებს რწყავდა და ძირებს უფხვიერებდა.

მოციქულის წინადადებამ ახალგაზრდა კაცი ძალზე გაახარა, რადგანაც ფატიმას სიყვარული მასაც კარგა ხანია გულში ჩავარდნოდა, მაგრამ საკუთარ გამზრდელს, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდა, ქალიშვილის ხელის თხოვნას ვერ უბედავდა.

სასწრაფოდ განიბანა, ლოცვა აღავლინა და მოციქულის სახლისაკენ გაეჩქარა.

მუჰამადმა ჰკითხა: ქორწილისათვის რა ქონება გაბადიაო?

ალიმ მიუგო: ღარიბი არ მეთქმის. ხმალი მაქვს, ცხენი მყავს, ჯავშანი და ერთიც აქლემიო!

წინასწარმეტყველმა უთხრა: ქორწილისათვის მახვილს, აქლემსა და ცხენს როგორ გაიმეტებ. ეგ ყველაფერი თვითონვე დაგჭირდება. აი, ჯავშანი კი შეგიძლია საქორწილოდ მოიხმაროო!

ალი ბაზარზე გავიდა, ჯავშანი 470 დირჰამად გაყიდა და აღებული ფული წინასწარმეტყველს ჩაუთვალა. მუჰამადმა ამ თანხის ნაწილი მიკდად იბნ ასვადს გადასცა და ფატიმასათვის მზითვის შეძენა დაავალა.

მიკდადიც გავიდა, ბაზარში საფქვავი, წყლის თუნგი და პალმის გამხმარი ფოთლებით გატენილი ლეიბი იყიდა და საქორწინო მზითვიც მზად იყო.

მაგრამ ცხოვრებით ტკბობა ჩვეულებრივ დიდხანს არ

გრძელდებოდა. მუსლიმური თემის წინამძღოლობა მუჰამადისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და მოციქულიც ცდილობდა, ახლად დაფუძნებული ისლამური სახელმწიფოსათვის ყველა მოსალოდნელი ხიფათი აეცდინა.

მედინელ არაკეთილმოსურნეებს რომ თავი დავანებოთ, მექა არა და არ ცხრებოდა და ძალზე ჭკვიანური მოქმედება იყო საჭირო, რომ მათი ნებისმიერი გამოწვევა მუჰამადისა და ახალი რელიგიის სასარგებლოდ გათავებულიყო. ამისათვის მედინელები მუჰამადის დავალებით მუდმივად აკონტროლებდნენ საქარავნო გზებს და მექელთა ნებისმიერი ინიციატივა უყურადღებოდ არ რჩებოდათ. ამან მექური არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოწვია, მოგვიანებით კი, 624 წლის იანვარში, ბადრთან უმნიშვნელოვანესი ბრძოლაც გაიმართა.

## ბადრის ბრძოლა

მექელთა დიდი ქარავანი, რომელიც აბუ სუფიანის მეთაურობით მოძრაობდა და 623 წლის შემოდგომაზე მუჰამადის თავდასხმას ასე თუ ისე უვნებლად გადაურჩა, ახლა სირიიდან უკან ძვირფასი საქონლით დატვირთული ბრუნდებოდა. მუჰამადი ფიქრობდა, ამჯერად ხელიდან ვეღარ დამისხლტებიანო და ქარავნზე თავდასხმისათვის ემზადებოდა.

მაგრამ მისი ფარული განზრახვის შესახებ აბუ სუფიანმა სირიის საზღვართანვე შეიტყო და ეს ამბავი სასწრაფოდ მექაში აცნობა, რომ იქიდან მებრძოლთა შეიარაღებული რაზმი მიეშველებინათ. თვითონ კი საჩქაროდ, თუმცა ფრთხილად მენამულ ზღვასთან ყველაზე ახლომდებარე გზას გამოუყვა.

ამასობაში მუჰამადიც ვეღარ ითმენდა და ეშინოდა, რომ ქარავანი ხელიდან დაუსხლტებოდა, ამიტომაც თავის მზვერავებს აღარ დაელოდა და მუსლიმებს უბრძანა, მასთან ერთად გამოსულიყვნენ. მოციქულს უკან გაჰყვა არცთუ ისე მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელიც, ძირითადად, ალაფის ხელში ჩაგდებას იმ-

ედოვნებდა და ამიტომაც ბრძოლზე უკან არ დაუხევია. ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვი სამას კაცს ოდნავ აჭარბებდა.

მუჰამადს სურდა, აბუ სუფიანი და მისი მხლებლები ბადრის ხეობის ვიწროებში მოემწყვდია, სადაც წყაროები მდებარეობდა და, როგორც წესი, სავაჭრო ქარავნები დასასვენებლად სწორედ ამ წყაროებთან ჩერდებოდნენ. მოციქულის ეს განზრახვა საფუძვლიანად გაამყარა მისი ორი მოენის მიერ მოტანილმა ამბავმა, რომლებიც ბადრიდან დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ იქ ქარავანს ორ სამ-დღეში ელოდებოდნენ.

მაგრამ აბუ სუფიანიც, მედინას რომ მოუახლოვდა, გაორმაგებული სიფრთხილით აღიჭურვა. ბადრში შეიტყო, რომ იქ ვიღაც უცხო ადამიანები გამოჩენილიყვნენ. აბუ სუფიანი მიხვდა, ესენი მედინელი ჯაშუშები იქნებოდნენო, ქარავანი სასწრაფოდ მარჯვნივ მიაბრუნა და ერთი დღე-ღამე პირდაპირ შეუსვენებლად ატარა, ვიდრე თავი სამშვიდობოს არ დაიგულა. ამასობაში ამბავიც მოუტანეს, მექიდან მაშველი რაზმიც გაიხლოვდებაო, მაგრამ მაშინვე გააგზავნა სხვა მოენე და დააბარა, რომ ყველაფერი რიგზეა და მაშველ რაზმს შეუძლია უკან გაბრუნდესო.

მექაში კი ამ ამბამდე ათი დღით ადრე, როცა აბუ სუფიანის პირველმა მალემსრბოლმა მოულოდნელად ქარავნისათვის მაშველი რაზმი მოითხოვა, დიდი მღელვარება და აყალ-მაყალი ატყდა: ყველა ასე თუ ისე გავლენიან მექელს ამ ქარავანში თავისი წილი ედო და ამიტომაც ყველას ეწადა, რომ ქარავანი უკან უვნებლად დაბრუნებულიყო. საჩქაროდ შეკრიბეს მაშველი რაზმი. დაინტერესებულ პირთა უმეტესობა თვითონ გამოვიდა, ზოგმა თავის მაგიერ მებრძოლები დაიქირავა და ორ-სამ დღეში დაახლოებით 950-კაციანი ლაშქარი შეაგროვეს.

ყველაზე დიდი მონდომებით, ცხადია, აბუ სუფიანის ცოლი ჰინდა ირჯებოდა. ეს უდრეკი და ფიცხი ხასიათის ქალი მუჰამადის განსაკუთებული სიძულვილით გამოირჩეოდა. მან სასწრაფოდ დაუძახა მამამისს — უთბას, ძმას ალ-ვალიდს, ბიძას — შაიბასა და სხვა თავის ნათესავ მეომრებს და ქმრის დასაცავად დაუყოვნებლივ გამგზავრება მოსთხოვა. არანაკლებ აქტი-

ურობდნენ აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშის სარიის დროს მოკლული კურაიშელის ნათესავები. ისინიც საჩქაროდ შეიარაღდნენ და მექელთა ლაშარს სათავეში მოექცნენ. საერთოდ კი ამ ლაშქარს მეთაურობდა აბუ ჯაჰლი — სამოცდაათი წლის გამოცდილი, უდაბნოს შეტაკებებსა და სისხლისღვრებში გაჭაღარავებული ბერიკაცი, ვის არსებაშიც დაულეველი ახალგაზრდული ენერგია და ცეცხლი მოხუცის სიმკაცრესა და გაავებას თანაბრად ერწყმოდა.

ვიდრე აბუ ჯაჰლის ლაშქარი ერთი მხრიდან წინ მიიწევდა, საპირისპირო მხრიდან მექისაკენ მიიჩქაროდა აბუ სუფიანი. სახიფათო ადგილებს რომ მიუახლოვდნენ, მან კარგა მანძილით გაუსწრო საკუთარ ქარავანს და ყურადღებით აკვირდებოდა ყველა გზასა და ბილიკს, სადაც კი მუჰამადის მხლებლებს შეეძლოთ გამოევლოთ.

ბოლოს და ბოლოს, მან მუჰამადის ლაშქრის კვალიც იპოვა იმ ფინიკის კურკების დახმარებით, მუსლიმებს თავიანთ გზაზე რომ დაეტოვებინათ. მუსლიმი ისტორიკოსები შენიშნავენ, რომ მედინური ფინიკი თავისი უჩვეულოდ წვრილი კურკით გამოირჩევა და ამგვარი წვრილმანები ხშირად ძალზე მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ არაბებს, რომლებიც მტრის კვალზე შემდგარიყვნენ უკიდეგანოდ გადაჭიმულ უდაბნოში.

მუჰამადისა და მისი მხლებლების კვალს რომ მიაგნო, აბუ სუფიანმა ქარავანი მოაბრუნა და იმ გზას გაუყენა, სადაც, მისი აზრით, საფრთხე აღარ დაემუქრებოდათ. ზღვის სანაპირო ზოლზე მანამდე იარეს, ვიდრე თავი უსაფრთხოდ დაიგულეს. იქიდან კი აბუ სუფიანმა მეორე მალემსრბოლს უბრძანა — მექაში წასულიყო და მაშველი რაზმისათვის ეცნობებინა, ყველანაირმა საფრთხემ ჩაიარა და ახლა შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთო.

ეს მალემსრბოლი მათ ჯუფასთან შემოხვდათ, მეთაურებმა მსჯელობა დაიწყეს, როგორ მოქცეულიყვნენ. ბევრი უკან გაბრუნების წინააღმდეგი იყო, რადგან ეშინოდათ, ეს სიმხდალეში ჩამოგვერთმევაო. ამიტომაც მექიდან აბუ სუფიანის საშველად გამოსული მებრძოლების უმრავლესობამ გზა მედინისაკენ მაინც გააგრძელა. ზუჰრის ტომელნი და კიდევ რამდენიმე კაცი, სულ

300-მდე მხედარი კი მექაში დაბრუნდა: თუ ქარავანს საფრთხე არ ემუქრება, ლაშქრობის გაგრძელებას რაღა აზრი აქვსო.

მუჰამადი კი თავის მხრივ ჯერაც იმედოვნებდა, რომ ქარავანს ხელში ჩაიგდებდა. ამასობაში ვიღაცამ აცნობა, მექიდან აბუ სუფიანის საშველად ლაშქარი დაიძრაო. შეიკრიბა სამხედრო საბჭო და თითქმის ყველამ გაიზიარა მოციქულის აზრი, რომ მტრისათვის ზურგის შექცევა არ ეგებოდა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არსებობდა იმედი, დაუცველ ქარავანს დროულად მისწეოდნენ და ხელი სასწრაფოდ მოეთავებინათ. ამ მიზნით გზა გააგრძელეს და ბადრში რომ მივიდნენ, მუჰამადს სურდა, ბანაკი პირველ წყაროსთანვე დაეცა. ერთმა მედინელმა უთხრა: ო, მოციქულო, ეს გადაწყვეტილება ღვთიური გამოცხადებით მიიღე თუ საკუთარი შეხედულებითო?

— ჩემი აზრითა და შეხედულებითო, — მიუგო მუჰამადმა.

— თუ ასეა, — უთხრა მედინელმა, — მაშინ ვფიქრობ, წინ უნდა წავიწიოთ და ბოლო ჭასთან დავბანაკდეთ, რათა მტერს წყალზე ხელი არ მიუწვდებოდესო.

მუჰამადმა მაშინვე მოიწონა ეს აზრი და ასეც მოიქცა. ამასობაში კიდეც ჩამობნელდა. პალმის ტოტებისაგან სასწრაფოდ ააგეს ქოხი, რომ იქ მუჰამადსა და აბუ ბაქრს დაეძინათ. ღამით კი წვიმა წამოვიდა და იმ მხარეს, სადაც მექელები იმყოფებოდნენ, განსაკუთრებით ძლიერად დაუშვა. ფეხქვეშ ნიადაგი ისე დაუსველდათ, რომ მოძრაობას ძლივსღა ახერხებდნენ.

მაგრამ სწორედ ამ დროს მტრის რიგებში შეგზავნილი მოენეც მობრუნდა და ამბავი მოიტანა, რომ მუჰამადის მხლებლები სამას კაცამდე ძლივს იქნებიანო. ამ ამბავმა მექელების ენთუზიაზმი გაამძაფრა. თუმცა ვიღაცები ამბობდნენ, ჯობს უკან დავბრუნდეთ და შეტაკებაზე ხელი ავიღოთ, რადგანაც მუჰამადის მომხრეებს დასაკარგი არაფერი აქვთ, ერთი მახვილი გააჩნიათ და ისიც ხელთ უპყრიათ, ჩვენ კი უკან ოჯახები გვიდგას და ვიღაცას ვჭირდებით. ეგეც არ იყოს, მუჰამადის მომხრეთა შორის ბევრი ჩვენი ნათესავი ურევია და ახლა მათთან ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთის სისხლი და ხორცი უნდა დავხოცოთ, მერე კი ერთურთს რაღა პირით უნდა შევხედოთო! — ეს არცთუ

ურიგო არგუმენტი იყო, მაგრამ ნახლას ხეობაში მოკლული იბნ ჰადრამის ძმებმა ყიჟინა ატეხეს და შურისძიება მოითხოვეს. მათ ცეცხლზე ნავთს უსხამდა მოხუცი აბუ ჯაჰლი: წინ, მტერს შევებათ, ღირსება ეგ არის, აბა, შინ დაბრუნება რა ხეირს დაგვაყრისო!

მუჰამადის მოენებმა მოციქულს მტრის მოახლოება შეატყობინეს. ამ ამბავმა მის მხლებელთა უმრავლესობას თავზარი დასცა. ისინი იოლ გამარჯვებას იმედოვნებდნენ და დიდი ალაფის სურვილით იწვოდნენ, ახლა კი, მოწინააღმდეგის ამხელა ძალის შესახებ რომ შეიტყვეს, შიშით ლამის სული გაეპარათ. მაგრამ მუჰამადმა დაამშვიდა თავისი მეომრები და მიახარა, რომ ალაჰი მათ იოლ გამარჯვებას ჰპირდებოდა.

ამასობაში მტრის ლაშქრის მეწინავე რაზმი ხეობაში შევიდა და წყურვილისაგან მისავათებული მეომრები წყაროებისაკენ წაესწრაფნენ, მაგრამ მუჰამადის ბიძა ჰამზა მათ თავისი მეომრებით თავს დაესხა და პირადად, ხელჩართულ ბრძოლაში მოუკლა მეთაური. მთელი მეწინავე რაზმიდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა, რომელმაც შემდგომში ისლამის სჯულზე მრავალი ადამიანი მოაქცია.

ჩოჩქოლის ხმაზე მოწინააღმდეგის მთავარი ძალაც წამოისწრაფა და კურაიშელ მებრძოლებს სამი კაცი გამოეყო: უთბა — აბუ სუფიანის სიმამრი, ალ-ვალიდი — მისი ცოლისძმა და შაიბა — უთბას ძმა. მათ მუსლიმთა რიგებიდან თანაბარი ძალით ბრძოლისათვის სამი მამაცი მეომარი გამოითხოვეს. მაშინვე გამოვიდა სამი მედინელი და მათთან შესაბმელად მოემზადა, მაგრამ მექელებმა ამაზე უარი განაცხადეს: „არა, ჩვენივე მექელი მოღალატენი გამოვიდნენ, თუ გაბედავენო!" მაშინ მუჰამადის ბიძა — ჰამზა, ბიძაშვილი და სიძე — ალი იბნ აბი ტალიბი და უბაიდა იბნ ალ-ჰარისი — ასევე მოციქულის ბიძაშვილი წამოიმართნენ და მტერთან ხელდახელ შესაბმელად გამოვიდნენ. ალიმ და ჰამზამ მოწინააღმდეგეს ხელი ელვის უსწრაფესად მოუთავეს და უბაიდა იბნ ალ-ჰარისს მიეშველნენ, რომელიც უთბას სასიკვდილოდ დაეჭრა და ლამის დაემარცხებია კიდეც. მათ მექელი მოკლეს და თანამებრძოლი ბრძოლის ველიდან გაი-

ყვანეს, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილმა უბაიდამ სული მეგობრების მკლავებში განუტევა.

დილით კი ორივე ლაშქარი გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოემზადა. სველი ნიადაგით ისედაც შევიწროებულ მექელებს, ახლა კიდევ ერთი უსიამოვნება უნდა აეტანათ. ამოსვლისას მზე პირდაპირ თვალებში აჭყეტდათ და მოწინააღმდეგის დანახვას უშლიდათ.

მაგრამ მუჰამადი არანაკლებ იყო შეწუხებული ბრძოლის ბედით, რომელსაც გაცილებით ძლიერი მტრისათვის უნდა ეჩვენებინა, ვინ იყო იგი. ღელვა კი მით უფრო ჰმართებდა, რომ ამ ბრძოლაზე მთელი ისლამის მომავალი იყო დამოკიდებული. იგი აბუ ბაქრთან ერთად კარავში შევიდა და გულმხურვალე ლოცვა წამოიწყო.

დაიწყო ბრძოლაც. მექელთა მხრიდან განსაკუთრებული გააფთრებით ირჯებოდა აბუ ჯაჰლი. უეცრად, გამძვინვარებულ მოხუცს იღლიის ქვეშ ისარი მოხვდა და ცხენიდან ჩამოვარდა. მოციქულის მიმდევარი აბდ ალ-ლაჰ იბნ მასყუდი დავარდნილს მიეჭრა და გულმკერდზე მუხლი დააბჯინა. აბუ ჯაჰლი მაინც არ ცხრებოდა და მუჰამადს უშვერი პირით აგინებდა. ამ გინებაში კი ალბათ თვითონვე ვეღარ გაიგო, როგორ დაჰკრა ხმალი აბდ ალ-ლაჰ იბნ მასყუდმა და თავი ერთი დარტყმით როგორ წააცალა.

მუსლიმურ ჰადისებში დაცულია მუყაზ იბნ ამრ იბნ ჯუმუჰის მონათხრობი, რომელიც დაწვრილებით ყვება, როგორ დაჭრა სასიკვდილოდ აბუ ჯაჰლი. იგი გვიამბობს: „იმ დღეს გავიგე, მექელთა ლაშქარს აბუ ჯაჰლი მეთაურობსო და ჩასაფრებული ვიყავი, რომ როგორმე მის სიახლოვეს მოვხვედრილიყავი. უცებ მართლაც დავინახე ბრძოლის შუაგულში აქეთ-იქით როგორ ჩეხავდა ჩვენიანებს და თავის მეომრებს ბრძოლისაკენ როგორ აქეზებდა. ადრე ხალხისაგან გამეგონა, აბუ ჯაჰლს ძეხორციელი ვერ მოერევაო, მაგრამ მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი მისი მოკვლა და ამისათვის შესაფერის შემთხვევას ველოდი. ბოლოს ეს შემთხვევაც მომეცა. მივვარდი მას და ფეხზე ისეთი ძალით დავცხე მახვილი, რომ მუხლიდან წაესხიპა და ისე გაფრინდა

როგორც ხურმის კურკა, ჯოხს რომ დაკრავენ და ნაყოფიდან მიფრინავს ხოლმე.

აბუ ჯაჰლის ვაჟმა, იქრამამ, შორიდან ამ ამბავს რომ ჰკიდა თვალი, ჩემკენ გამოქანდა და ხმალი მკლავში მომიქნია. მარჯვენა შიგნიდან მომეკვეთა და ტანზე მხოლოდ კანითღა მეკიდა. მაგრამ მე ეს ამბავი აინუნშიც არ ჩამიგდია. ბრძოლა მეორე ხელით განვაგრძე და მომხვდურს არ შევეპუე. მაგრამ მალე მივხვდი, მოწყვეტილი მარჯვენა მხოლოდ ხელს მიშლის, სხვა აღარაფერში მარგია-მეთქი, მივდექი გვერდზე, ხელის თითებზე ფეხი დავიჭირე და მოკვეთილი მარჯვენა სხეულიდან ასე ავიწიწკნე. მერე კი ისევ ბრძოლის შუაგულში შევბრუნდი და საქმე გავაგრძელე".

ამ ამბის გაგრძელებას კი უკვე სხვა ინფორმატორები ასე წარმოგვისახავენ:

ამ დროს მძიმედ დაჭრილი აბუ ჯაჰლი ცხენიდან გადმოვარდა და ბრძოლა ვეღარ შეძლო. გაშემო მყოფი თავისიანებიც შემოეფანტნენ და მარტო მიატოვეს. სწორედ იმ წუთას გვერდით ჩაუარა ერთ-ერთმა მუსლიმმა — მუყავიზ იბნ აფრამ, კიდევ ერთხელ გადაჰკრა მახვილი და სულთმობრძავი მიაგდო.

ბრძოლის დასრულების შემდეგ ალაჰის მოციქულმა უბრძანა თავის მიმდევრებს ცხედრებს შორის აბუ ჯაჰლის გვამი მოეძებნათ. აბდ ალ-ლაჰ იბნ მასყუდი, რომელსაც აბუ ჯაჰლის ძველისძველი ბოლმა აწამებდა, სწორედ მაშინ წავიდა და გვამებს შორის ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარს მიაგნო.

აბდ ალ-ლაჰ იბნ მასყუდმა ფეხი გულ-მკერდზე დააბჯინა მომაკვდავს და უთხრა: — უფლისა და მოციქულის მტერო, ხედავ, ღმერთმა როგორ დაგამხო და დაგაკნინაო?

აბუ ჯაჰლმა მიუგო: — დამაკნინა?! ჩემნაირი კაცისათვის, რომელიც თავისიანების ხელით კვდება, სიკვდილი დამხობასა და დაკნინებას სულაც არ ნიშნავსო! მერე იკითხა: მართალი მითხარი, ამ ბრძოლაში ვინ გამარჯვაო?

— უფალმა და მისმა მოციქულმა! — უპასუხა აბდ ალ-ლაჰ იბნ მასყუდმა და თავი წააცალა.

ხოლო როცა მისი მოკვეთილი თავი, როგორც იშვიათი ნაალაფარი, მუჰამადს მიართვა, მოციქულმა ჩაილაპარაკა:

— ესეც ასე! აღარ არის აბუ ჯაჰლი — ფარაონი ჩვენი დროისა და ჩვენი ხალხისაო!

სინამდვილეში ამ გამოცდილი, ბებერი მეომრის სახელი იყო ამრ იბნ ჰიშამი, კურეიშელებმა მას თავის დროზე, საოცარი გამჭრიახობისა და ჭკუა-გონების გამო, „აბუ ალ-ჰიქმა“ (სიბრძნის მამა) შეარქვეს, მუსლიმებმა კი ეს წოდება „აბუ ჯაჰლად“ გადაუკეთეს, რაც „უმეცრების მამას“ ნიშნავს და სწორედ ამ ზედწოდებით დარჩა იგი ისტორიაში.

რაც შეეხება მუსლიმებს ისინი თავიდან მკაცრად იცავდნენ მოციქულის მითითებას და ადგილიდან არ იძვროდნენ, მუდმივად უშენდნენ მოწინააღმდეგეს ისრებს, მაგრამ წინ წასასვლელად მოციქულის ნიშანს ელოდნენ. ჩვეულებრივი არაბული ზამთრის დღე იდგა. ხეობაში გამჭოლი ქარი ამოვარდა. მუჰამადმა მებრძოლებს გასძახა:

„შეხედეთ, ეს ჯიბრაილი მოფრინავს ჩვენს საშველად ათასი ანგელოზით. ყოველი თქვენგანი, ვინც დღეს დაიჭრება ან ბრძოლაში დაეცემა, სამაგიერო სიკეთედ მიიღებს იმას, რომ ყველაზე უწინ შევა სამოთხეში!“

ერთმა ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა, რომელიც ამ დროს ფინიკს მიირთმევდა, ფინიკი სასწრაფოდ გადააგდო, დაფაცურდა და დაიძახა: მაშ, სამოთხეში მოსახვედრად მხოლოდ ამ ხალხის ხელით სიკვდილი კმარაო?! — მახვილი იშიშვლა, მტრის რიგებში შეიჭრა, და მალევე მოეწია ის, რასაც ესწრაფოდა.

ბოლოს და ბოლოს მუჰამადმაც მისცა ნიშანი, რასაც უკვე კარგა ხანს ელოდნენ. მან ხელით ქვა-ღორღი მობღუჯა, მექლების მხარეს გაიქნია და დაიძახა: „დაე, სირცხვილი ჰფარავდეს მათ სახეებს! მუსლიმებო, წინ!“

შემთხვევა მარჯვედ იყო შერჩეული. მექელებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ფეხქვეშ სველი ქვიშა სიარულს უძნელებდათ. უკანდახევა მალე გაქცევამ შეცვალა.

კურაიშელთა რაზმი მექისაკენ რომ გარბოდა, მუჰამადმა სასტიკად გააფრთხილა თავის მეომრები, ხელი არ ეხლოთ უბრალო

ადამიანებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ ასეთ ბრძოლაში თავიანთი მეთაურებისა და ბატონ-პატრონების შიშით ჩაებნენ. ასევე არ დაეხოცათ მოციქულის ბიძა აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბი და მამიდაშვილი — აბუ ლ-ბუხთური იბნ ჰიშამი, რომლებიც, როგორც გვახსოვს, ინტერდიქტის დროს მუჰამადის სახლეულს თავდაუზოგავად ეხმარებოდნენ.

ამ მითითებამ მედინაში გადასახლებულ მუჰაჯირთა გულისწყრომა გამოიწვია. მაგალითად, აბუ ჰუზაიფა — უთბას ვაჟი, რომლებიც მუჰამადის მიმდევარი და სარწმუნოების გამო მშობლიური ქალაქიდან აყრილი იყო, მუჰამადის ამ ბრძანებამ ძალიან გააცხარა და დაიყვირა: ეს სადაური სამართალია, ჩვენ ჩვენი მამები, ძმები და ბიძაშვილები ვხოცოთ, აბასი კი ცოცხალი გავუშვათ?! ღმერთსა ვფიცავ, სადაც მივატან, სულს იქვე გავაცხებინებო!

მოციქულმა, ვითომ მისი ნათქვამი არ ესმისო, არაფერი შეიმჩნია; მაგრამ თვითონ აბუ ჰუზაიფა ბოლოს თავის საქციელს ძალიან ნანობდა და გამუდმებით აღნიშნავდა:

— ჩემი მაშინდელი ბრიყვული სიტყვების გამოსასყიდი ის იქნება, სარწმუნოებისათვის ბრძოლაში დავეცეო.

სხვათა შორის, ეს ნატვრა მოგვიანებით მართლაც შეუსრულდა და სწორედ იამამას ბრძოლაში დაიღუპა.

ბადრის ბრძოლაში კი სულ თოთხმეტი მუსლიმი მოკვდა. მუჰაჯირთაგან: უბაიდა იბნ ჰარისი, უმაირ იბნ აბი ვაკასი, ზუ შიმალაინ იბნ აბდ ამრი, აკილ იბნ ბუქაირი, ომარ იბნ ალ-ხატაბის მსახური ბიჭი — მაჰჯაყი, საფვან იბნ ბაიდაი, ანსართაგან: საყდ იბნ ხაისამა, მუბაშირ იბნ აბდ ალ-მუნზირი, იაზიდ იბნ ჰარისი, უმაირ იბნ ჰუმამი, რაფიყ იბნ მუყალა, ჰარისა იბნ სურაკა ჰარის იბნ რუფაყას ვაჟები — ავფი და მუყაზი.

მტერმა უფრო დიდი მარცხი იწვნია. მექელებმა ამ ბრძოლაში 70 კაცი დაკარგეს, ხოლო სამოცდაათი ტყვედ ჩავარდა.

ბრძოლის დასასრულს, როცა აურაცხელი ალაფი ერთმანეთში დაინაწილეს, მტრის გვამებს ჭაში გადაუძახეს. მუჰამადი დაღუპულებს ეძახდა და ყველა მათგანს სახელით მიმართავდა:

„მოციქულის უღირსო თანამოქალაქენო, თქვენ თვითმარ-

ქვიად მრაცხდით, მაშინ როცა, სხვებს სჯეროდათ ჩემი ღვთაებრივი მოციქულობა. თქვენ გამომაძევეთ მშობლიური ქალაქიდან, იარაღი იხმარეთ ჩემზე, სხვებმა კი თავშესაფარი მომცეს და დამიფარეს. აბა, ახლა ნახეთ: შესარულა თუ არა ღმერთმა ის მუქარა, რასაც ჩემი ბაგეებით აღგითქვამდათ? მე რაც შემეხება, რა თქმა უნდა, თვალნათლივ ვხედავ, რომ ჩემთან დადებული აღთქმა ალაჰისა უკლებლივ აღსრულდა!"

იქ მყოფმა ძირძველმა არაბებმა, თავიანთი პროზაული ჭკუა-გონებით, ამ ლაპარაკს ვერაფერი გაუგეს და გაოცებულნი კითხულობდნენ: რას შვრები, მოციქულო, ნუთუ ცხედრებს ებაასებიო?!

მუჰამადმა მიუგო: „იცოდეთ, მათ ჩემი თქვენზე ცუდად როდი ესმით, მაგრამ პასუხის გაცემა არ ძალუძთო!"

შურისგების გრძნობა კი ამითაც ვერ ჩაიცხრო. დატყვევებულთაგან ექვსი კაცი, რომელიც მუჰამადის განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდა, მისი ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის იყო პოეტი ნადრ იბნ ალ-ჰარისი, ვისაც ოდესღაც მექაში ეთქვა, სპარსული სარაინდო ამბები, ხალხს მე რომ მოვუთხრობ, გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყურანი — მთელი თავისი ბიბლიური ლეგენდებითო, და იქ მყოფი ჯამაათისათვის მოეწოდებინა, მუჰამადის ნაცვლად ყური მისთვის დაეგდოთ.

ხოლო როცა ამდენი ხნის მერე ნადრ იბნ ალ-ჰარისმა ერთერთ ყოფილ მეგობარს გამოქომაგება სთხოვა, ამ უკანასკნელმა მიუგო, ისლამი ყველა უწინდელ ურთიერთობას აუქმებსო.

დანარჩენებს, შეიძლება ითქვას, ბედმა გაუღიმა: ზოგმა ისლამი მიიღო, ხოლო ზოგი მექელებმა გამოისყიდეს.

ტყვეთა შორის იყვნენ: წინასწარმეტყველის ბიძა — აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბი, მუჰამადის სიძე — აბუ ლ-ყას იბნ რაბიყი, აკილ იბნ აბი ტალიბი — ალის ძმა და ნავფალ იბნ ჰარის იბნ აბდ ალ-მუტალიბი — მუჰამადის ბიძაშვილი. კურაიშელთა სხვა ტომებიდანაც ტყვედ აიყვანეს ძალზე საჩინო და გავლენიანი ადამიანები: უკბა იბნ აბი მუყაიტი, ნადრ იბნ ალ-ჰარისი, სუჰაილ იბნ ამრი, ამრ იბნ აბი სუფიანი, ვალიდ იბნ ვალიდი და სხ-

ვები. ამათგან მოციქულმა სიკვდილით მხოლოდ უკბა და ნადრ იბნ ალ-ჰარისი დაასჯევინა, დანარჩენებს კი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდი დაუწესეს.

გამოსასყიდი ყველა ტყვისათვის, მათი შეძლებისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ინდივიდუალურად განისაზღვრა და ათასი დირჰამიდან ოთხი ათას დირჰამამდე მერყეობდა.

როცა მექიდან ხალხის მიერ მათი ნათესავებისათვის შეკრებილი გამოსასყიდი მიიღეს, წინასწარმეტყველმა ამ ნივთებში თავისი უსაყვარლესი ცოლის ხადიჯას ყელსაბამი იცნო. საქმე ის იყო, რომ ტყვეთა შორის მისი ქალიშვილის, ზეინაბის ქმარი აბუ ლ-ყას იბნ რაბიყიც ერია.

ზეინაბი ჯერ კიდევ სამოციქულო მიისის დაწყებამდე ხუთი წლით ადრე მიეთხოვებინათ ამ კაცისათვის, რომელიც ხადიჯას დისშვილი იყო და ქალიც სწორედ ხადიჯას სურვილითა და დაჟინებით გაატანეს.

მაგრამ სიძემ არ ირწმუნა თავისი სიმამრის ღვთაებრივი მისიისა და არა მხოლოდ წარმართად რჩებოდა, არამედ, როგორც ვხედავთ, აქტიურად იბრძოდა მუჰამადის წინააღმდეგ.

ისლამური კანონით, მუსლიმი ქალი არ შეიძლებოდა წარმართი კაცის ცოლი ყოფილიყო, მაგრამ მუჰამადის ქალიშვილი ბადრის ბრძოლამდე ქმრის ოჯახში რჩებოდა და როცა კაცი ამ ბრძოლისას ერთ-ერთმა მუსლიმმა, ვინმე ხირაშ იბნ სიმამ, ტყვედ ჩაიგდო, ზეინაბმა ღვიძლ მამას, მისი ტყვეობიდან დახსნის მიზნით, გამოსასყიდიც კი გაუგზავნა.

სწორედ ამ ნივთებში მოხვდა ხადიჯას მიერ თავის დროზე მისთვის საქორწინოდ ნაჩუქარი ყელსაბამი, რომლის დანახვამ მუჰამადს მტანჯველი მოგონებები აუშალა და საშინელ გუნებაზე დააყენა. ცალკე ხადიჯა მოენატრა და ცალკე ზეინაბის საცოდაობამ აუწვა გულ-გვამი.

მუსლიმებს უბრძანა, ნივთები ზეინაბისათვის დაებრუნებინათ და მისი ქმარი გამოსასყიდის გარეშე გაეშვათ. ბრძანება სიტყვის შეუბრუნებლად შეუსრულეს. ოღონდ აბუ ლ-ყას იბნ რაბიყი უპირობოდ მაინც არ გაუთავისუფლებიათ. კერძოდ, თა-

ვისუფლების სანაცვლოდ მუჰამადმა მოსთხოვა სიძეს ზეინაბს გაყროდა და ქალი მედინაში მასთან გამოეგზავნა.

ამ მიზნით, სიძეს თან ზაიდ იბნ ალ-ჰარისა და ერთიც მედინელი ანსარი გააყოლა, რომელთაც მოციქულის ქალიშვილის მედინაში ჩამოყვანა დაევალათ.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა სიძემ მუჰამადს დანაპირები პირნათლად შეუსრულა: ზეინაბის მგზავრობისათვის აუცილებელი ყველა საშუალება გაამზადა, ქალი ჩარდახში დააბრძანა და თავის ძმას ქინანა იბნ რაბიყს ჩააბარა, რათა დათქმულ ადგილას მუჰამადის მიერ საგანგებოდ მის ნასაყვანად გამოგზავნილი ორი მუსლიმისათვის გადაეცა.

ქინანამ აქლემის აღვირს ხელი მოჰკიდა და გზას დაადგა, მაგრამ ამ ამბავმა მექაში დიდი ორომტრიალი გამოიწვია. მექის მცხოვრებლები, რომელთაც ბადრის ბრძოლაში უახლოესი ადამიანები დაეხოცათ, ვერ შეურიგდებოდნენ იმას, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგისა და ყველა უბედურების სათავის — მუჰამადის ქალიშვილი დღისით, მზისით, დაუსჯელად ხელიდან გაეშვათ. ამიტომაც ქალაქის ბოგანოები წააქეზეს, რომ მედინიდან გასვლაში ზეინაბისათვის ხელი შეეშალათ.

ამ ბოგანოთაგან ორმა კაცმა — ჰაბარ იბნ ასვად იბნ მუტალაბმა და ნაფიყ იბნ აბდ ალ-კაისმა ზეინაბის ჩარდახზე იერიში მიიტანეს და ჰაბარმა ჩარდახს შუბიც კი აძგერა. ქინანამ მშვილდი მოზიდა და მათთან საომრად მოემზადა, მაგრამ როცა აბუ სუფიანმა და მექელთა ერთმა ნაწილმა ეს ამბავი იხილეს და ახალი უთანხმოებისა და შუღლის სუნი იკრეს, საქმეში ჩაერივნენ და ქინანა დაიყოლიეს ზეინაბი შინ დაებრუნებინა, რათა ხმაური ჩამცხრალიყო და რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქიდან ღამით გაეპარებინა.

ზეინაბი, რომელიც ამ დროს ფეხმძიმედ იყო, სამგზავრო ჩარდახზე ბოგანოთა თავდასხმამ ისე შეაშინა, რომ ქმართან მიბრუნებულს მუცელი მოეშალა და მუჰამადმა ჰაბარს ეს ამბავი არ დაუვიწყა. მოგვიანებით, როცა მუსლიმებმა მექა დაიმორჩილეს, იმ რამდენიმე ადამიანში, ვისი მოკვლაც მოციქულმა ბრძანა, ჰაბარიც ერია.

თუმცა მოხერხებული ჰაბარი არ დაბნეულა, როცა ეს ამბავი შეიტყო, მექიდან გაიქცა, ჰუნაინის ბრძოლის შემდგომ მედინაში ჩააღწია და მოციქულს წინ აესვეტა. საჩქაროდ სჯულის აღიარების სიტყვები წარმოთქვა და ისლამი მიიღო. რაც მთავარია, მისი აღიარება შეწყნარებულ იქნა.

სხვათა შორის, ზეინაბის მედინაში გამგზავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ისლამი მიიღო აბუ ლ-ყასმაც და მოციქულმა მას ყოფილი ცოლი ამის შემდეგ ხელახლა მიათხოვა.

მუჰამადს ზეინაბის ჩამოსვლის სიხარულმა ოდნავ გაუნელა მწუხარება, რომელიც ბადრის ბრძოლიდან მობრუნებულს დაახვედრეს. გარდაიცვალა მისი ქალიშვილი რუკაია, რომელიც ქმართან ოსმან იბნ აფანთან ერთად აბისინიიდან მედინაში სულ ცოტა ხნის წინათ დაბრუნებულიყო.

სწორედ ცოლის ავადმყოფობის საპატიო მიზეზით არ მიუღია ოსმანს მონაწილეობა ბადრის ბრძოლაში, რადგან როცა მუჰამადის მომხრეები მექელთა ქარავანზე თავდასასხმელად გავიდნენ, ოსმანი სულთმობრძავი მეუღლის სასთუმალთან დარჩა, ახლა კი სამახარობლოს მაცნეს, რომელსაც მედინაში მუსლიმთა გამარჯვების ამბავი მოჰქონდა, წინ მწუხარე პროცესია დახვდა: წინასწარმეტყველის ქალიშვილს კრძალავდნენ.

ამ ტრაგედიამ მუჰამადზე, ბუნებრივია, ძალიან იმოქმედა, მაგრამ საზოგადოებრივი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და შესაძლოა, პიროვნული უბედურების გამო, ამ საქმეთა მოგვარებაში მთელი არსებით გადაეშვა. კერძოდ, გასანაწილებელი იყო საკმაო რაოდენობის ნადავლი, და ეს ძალიან ფრთხილად, გონივრულად უნდა გაკეთებულიყო, რადგან მუსლიმებმა ჯერ კიდევ ბრძოლის ველზე დაიწყეს ბუზღუნი იმის თაობაზე, ხელში ჩაგდებული ქონებისაგან ვის რამდენი უნდა რგებოდა და რატომ. წინა ხაზზე მებრძოლნი აცხადებდნენ, რომ მათ უფრო დიდი წილი უნდა შეხვედროდათ იმათზე, ვინც ომში ნაკლებად გაისარჯა და პრაქტიკულად სათადარიგო ძალას წარმოადგენდნენ. ასევე ახალგზარდები ამბობდნენ, რადგან ჩვენ ხანში შესულებზე უფრო მარჯვედ ვმოქმედებდით, უფრო მეტი წილიც გვეკუთვნისო. მუჰამადმა ამ ვითარებაში ყველაზე სწორი გამო-

სავალი მოძებნა და ნადავლის თანაბრად გადანაწილება ბრძანა. მისი გადააწყვეტილება იმ ღვთაებრივი ზეშთაგონებით იყო ნაკარნახევი, რომელიც დღეს ყურანის VII სურაში („ნადავლის სურაშია“) მოქცეული.

შესაძლოა, მებრძოლთა დაშოშმინება იმანაც გამოიწვია, რომ ალაფი ყველას საკმარისად შეხვდა და უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. მუსლიმთა ქონება კიდევ უფრო გაზარდა გამოსასყიდმა, რასაც მექელები თავინათი ნათესავების დასახსნელად თავდაპირველად უშურველად იღებდნენ, რადგან ტყვეთა მდგომარეობა აღელვებდათ. თუმცა შემდგომში, როცა მიხვდნენ, რომ ტყვედ ჩავარდნილებს არაფერი ემუქრებოდათ, რამდენიმე გამჭრიახმა ადამიანმა მოქმედების ტაქტიკა შეცვალა.

ტყვეებს მუსლიმები მართლაც არაფერს უშავებდნენ, რაც არ უნდა ყოფილიყო, სისხლის ნათესავები და მთლად ღვიძლი დაძმანი თუ არა (თუმცა ზოგჯერ ასეთი შემთხვევებიც გვქონდა), ერთმანეთის ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. მართალია, მუსლიმურ ანალებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობმა მუსყაბ იბნ უმაირმა, რომელიც თავის დროზე, როგორც გვახსოვს ალაჰის მოციქულმა მედინელთა ისლამზე მოსაქცევად ამ ქალაქში მისიონერად გააგზავნა, როცა დაინახა, როგორ აიყვანა ერთ-ერთმა ანსარმა ტყვედ მისი ღვიძლი ძმა აბუ აზიზი, მედინელს უთხრა, მაგ კაცზე თვალი კარგად დაიჭირე, არ გაგექცეს, რადგან დედამისს დიდი ფული აქვს და დიდ გამოსასყიდსაც მიიღებო. გაოცებულ ძმას უფიქრია, ეტყობა, ვერ მიცნოო და დაუძახია: რას მიშვრები, განა შენი ძმა არა ვარო? მაგრამ მუსყაბს ცივად მიუგია: ახლა ჩემი ძმა შენ კი არა, ეს მედინელიაო! მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც ცოტა იყო. თანაც მოტივაცია ამ ვითარებაში სავსებით ნათელია. დედამ მართლაც გვარიანი ფული გაიღო, რადგან როდესაც გამოსასყიდის შესახებ უცნობებიათ, უთქვამს: ყველაზე ძვირს ერთი მექელის თავში რამდენს იღებენო და როცა გაუგია, 4000 დირჰამსო, ეს თანხა მაშინვე, უყოყმანოდ გაუცია.

აქ კარგად ჩანს დედის ხაზგასმული სიამაყე, მაგრამ მოგვიანებით სრულიად სხვაგვარად მოიქცა გამჭრიახი აბუ სუფიანი.

საქმე ისაა, რომ ტყვეთა შორის მისი ვაჟი ამრიც აღმოჩნდა, რომელიც ალი იბნ აბი ტალიბმა დაატყვევა. როცა მამამისს გამოასასყიდის თაობაზე შეუთვალეს, აბუ სუფიანმა განაცხადა: ორი უბედურების ატანა ნამდვილად არ ძალმიძს: შვილზეც ვიღელვო და ფულზეც, სად შემიძლია?! უფროსი ვაჟი ჰანზალა ხომ მომიკლეს, ახლა მეორე ვაჟის თავში გამოსასყიდს მთხოვენ! გაუშვით, მანამდე დაიტოვოს მუჰამადმა ჩემი შვილი, სანამ მის ყურებას მოიწყენდესო.

ამრ იბნ აბი სუფიანი მართლაც დიდხანს დარჩა მედინაში, ვიდრე ერთ-ერთმა მუსლიმმა, მედინური ტომის ბანი ამრ იბნ აუფის ბერიკაცმა საყდ იბნ ნუყმანმა ჰაჯისა თუ უმრას შესასრულებლად მექაში წასვლა არ მოინდომა.

კურაიშელები აცხადებდნენ, რომ ყველა მუსლიმს, ვინც კი მათ ქალაქში ჰაჯის ანდა უმრას აღსასრულებლად ჩავიდოდა, ცოცხალს არ გაუშვებდნენ, მაგრამ საყდ იბნ ნუყმანმა იფიქრა, მოხუცს არას დამიშავებენო და მექაში გულმშვიდად გაემართა. მაგრამ როგორც კი იქ ჩავიდა, ბერიკაცი შეიპყრეს და მის ნათესავებს მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, აბუ სუფიანის ვაჟის გამოშვება მოსთხოვეს. მოხუცებულის ტომის თავკაცები მუჰამადს ეახლნენ და სახლიკაცის გათავისუფლებაში დახმარება სთხოვეს. მუჰამადმა გაუშვა აბუ სუფიანის ვაჟი და მექელებმა სამაგიეროდ მოხუცი მუსლიმი დააბრუნეს.

მოციქული საერთოდ გამოირჩეოდა დიდბუნებოვნებით, მაგრამ ამ ომის შემდეგ განსაკუთრებით კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. შედარებით მცირერიცხოვანი მუსლიმების კარგად შეიარაღებულ მექელ წარმართებზე გამარჯვება, როგორც აღინიშნა, იმთავითვე სასწაულსა და უფლის დახმარებას მიეწერა.

უფლის წიაღიდან მუსლიმთა საშველად ჯიბრაილისა და მისი ანგელოზების წარმოგზავნის ვერსიას, რასაც რამდენჯერმე ვხვდებით ყურანის ამა თუ იმ სურაში, მოგვიანებით საფუძვლიანად ამყარებდა თვით მოწინააღმდეგეთა მონათხრობიც.

კერძოდ, მუჰამადის ბიძა, აბასი, რომელიც სინამდვილეში ტყვედ ერთმა ჩია ტანის მექელმა — აბუ იასირმა ჩაიგდო, ამტკიცებდა, რომ იგი დანებდა უზარმაზარი აღნაგობის მხედარს,

რომელიც ისეთ თეთრ ცხენზე იყო ამხედრებული, მანამდე რომ არასდროს ენახა.

არადა აბუ იასირი აცხადებდა, არავითარი თეთრ რაშზე ამხედრებული მებრძოლი არ ყოფილა, ტყვედ ეს კაცი მე ავიყვანეო!

მუჰამადი კი ბიძის ღირსებას გაუფრთხილდა და თქვა, რომ აბუ იასირს ისე, რომ თვითონაც ვერაფერი შეიტყო, მთავარანგელოზი ჯიბრაილი დაეხმარაო.

ამას გარდა, მუსლიმურ ჰადისებში დაცულია ერთი მექელი წარმართი მწყემსის მონათხრობი, რომელიც შეტაკებისას ცხვარს ბადრის ჭების მახლობელ გორაკებზე აძოვებდა და ყველაფერს ხედავდა. ეს კაცი გადმოგვცემს:

„მე ჩემს ბიძაშვილთან და საქმის ამხანაგთან ერთად მთის კალთაზე ვიდექი და ბრძოლის ვითარებას თვალყურს შორიდან ვადევნებდი, რომ დასასრულს გამარჯვებულებთან მივსულიყავი, თავი მათთან მყოფად გამესაღებინა და ნაალაფარიდან წილი ამეღო. უეცრად მე და ჩემმა ბიძაშვილმა დავინახეთ, როგორ მოგვიახლოვდა უზარმაზარი ღრუბელი, რომლის შიგნიდანაც ცხენთა ფლოქვების თქარათქური და საყვირების გუგუნი მოგვესმა. ღრუბელი ბრძოლის ველს რომ გაუსწორდა, იქიდან ანგელოზების გუნდი გადმოეშვა და ჯიბრაილის ხმაც შემოგვესმა, რომელიც თავის ფაშატს — ჰაიზუმს აჩქარებდა: სწრაფად, ჰაიზუმ, უფრო სწრაფადო!

მისი მგრგვინავი ხმის გაგონებაზე ჩემს ბიძაშვილს შიშით გული გაუსკდა და იქვე მოკვდა. მე კი ცოცხალ-მკვდარი ვიდექი და ლამის მისი ბედი გავიზიარე!“

თუ მუჰამადის ბიძის აბასის მონათხრობს მიკერძოებულად ჩავთვლით იმის გამო, რომ მასზე გავრცელებული ხმების მიხედვით, დიდი ხანია, ისლამი მიეღო და მექაში მუჰამადის ინფორმატორად რჩებოდა, შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ უბირი და თან წარმართი მწყემსის მონათხრობში, რომელმაც სასწაული თავისი თვალით იხილა. მაგრამ პრაგმატულად განწყობილი დღევანდელი მეცნიერები მუჰამადის გამარჯვებას სასწაულს კი არა, ობიექტურ მიზეზებს მიაწერენ. კერძოდ, ვ. ირვინგი აღნიშ-

ნავს: ეს ბრწყინვალე გამარჯვება ჩვეულებრივი მიზეზებითაც უბრალოდ აიხსნება:

„მუსლიმები გადაღლილები არ იყვნენ და ჰქონდათ საკმარისი სასმელი წყალი, მაშინ როცა მექელები ხანგრძლივი მგზავრობით იყვნენ მოქანცულნი და წყურვილით კვდებოდნენ. გარდა ამისა, მათი რიცხვი საკმაოდ შემცირდა იმით, რომ ბევრი მექელი მშობლიურ ქალაქში უკან, შუა გზიდან დაბრუნდა."

ამას გარდა, მექელები იმდენად არაფრად აგდებდნენ მუჰამადის მომხრეებს, რომ თავიანათ გამარჯვებაში ეჭვი წუთითაც კი არ ეპარებოდათ. ყოველ შემთხვევაში, როცა ჰუსაიმა იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-ზუხაყიმ დამარცხების ამბავი მექაში ჩაიტანა, თავიდან მას არავინ დაუჯერა.

იბნ ჰიშამთან თვით ეს კაცი მოგვითხრობს, რომ როცა იგი გახვითქული და შეძრწუნებული მექაში შევარდნილა, მთელი ხმით უყვირია: დავმარცხდით და მთელი ჩვენი დიდებულები ამოგვიწყვიტეს. აღარ არიან უთბა, შაიბა, აბუ ჯაჰლი, უმაია იბნ ხალაფი და სხვანიო!

ამ დროს საფვანი, მოკლული უმაია იბნ ხალაფის ვაჟი, ალქაყბას გვერდით, ისმაილის კუთხეში მჯდარა და ჰუსაიმას ძახილი რომ გაუგონია, უთქვამს: ღმერთმანი, ეს კაცი საღ ჭკუაზე ვერ უნდა იყოს. მოდი, ვკითხოთ, მე თუ მიცნობსო?

ჰუსაიმს უთქვამს:

— შენ როგორ არ გიცნობ, საფვან იბნ უმაია ხარ, აი, მამაშენი და შენი ძმა კი მუჰამადის ხალხმა დახოცაო!

იბნ ჰიშამის ბიოგრაფიაში ასევე გვხვდება ტყვედ ჩავარდნილი აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბის, მუჰამადის ბიძის მსახური ბიჭის, აბუ რაფიყის მონათხრობი, რომელიც გვიამბობს:

„მაშინ მე აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბის ფარეში ვიყავი. რადგან ჩუმად ისლამი გვეღიარებინა, მუსლიმთა გამარჯვების ამბავმა ძალიან გაგვახარა. იმ დროს, როცა მექაში ეს ამბავი მოიტანეს, მე ზამზამის წყაროსთან ახლოს, კარავში ვიჯექი და ისრებს ვთლიდი.

აბუ ლაჰაბი, რომელიც თვითონ ავადმყოფობის გამო საომრად არ წასულა და თავის ნაცვლად ას იბნ ჰიშამი დაიქირავა,

სწორედ ამ დროს მეჩეთში შემოვიდა და ჩემი კარავის კალთასთან ჩამოჯდა. უეცრად ხალხმა ძახილი ატეხა:

—აბუ სუფიან იბნ ჰარის იბნ აბდ ალ-მუტალიბი ჩამოვიდა, რომელიც ყველაფერს უშუალოდ შეესწრო და მთელი ეს ამბავი საკუთარი თვალით იხილაო!

აბუ ჯაჰლმა იგი თავისთან იხმო და უთხრა: ძმისშვილო, ჩამოჯექი და ომის ამბავი მოგვიყევიო!

ხალხიც წრედ შემოერტყა და სმენად გადაიქცნენ.

აბუ სუფიანმა თქვა:

— ბრძოლა დასაწყისიდანვე ისე ნარიმართა, რომ თითქოს ჩვენი ნება და შეძლება ჩვენს ხელთ არ ყოფილიყო, მუსლიმებს კი რაღაც იდუმალი ძალა ეხმარებოდათ. თუმცა კურაიშელებს სისუსტეს ვერ ვუსაყვედურებთ, რადგან დავინახე, უცებ საიდანღაც როგორ გაჩნდნენ მუჰამადის საშველად თეთრით შემოსილი მხედრები, რომლებიც ასევე მბრწყინავ ცხენებზე ისხდნენ და ხელში მახვილები უკაშკაშებდათო!

ამ დროს მე კარვის კალთა ავწიე და გამოვძახე:

— უფალს ვფიცავ, ისინი უთუოდ ანგელოსნი იყვნენ-მეთქი!

ამ სიტყვების გაგონებაზე აბუ ლაჰაბმა გამიშალა და სახეში ერთი ისეთი მთხლიშა, რომ თვალებიდან ცრემლი მაყრევინა.

თავდასაცავად ფეხზე წამოვდექი, მაგრამ რადგან ღონე არ მომდევდა, აბუ ლაჰაბი მალე მომერია. ხელში ამიყვანა და მიწაზე დამახეთქა. მერე გულზე გადამაჯდა და სახეში და გვერდებში იმდენი მირტყა, რომ მთლიანად დამალურჯა.

ამ ამბავს აბასის ცოლი — უმ ალ-ფადლიც შეესწრო. კარვიდან ჩემს საშველად გამოვიდა, აბუ ლაჰაბს თავში რაღაც ჩაარტყა და გაუტეხა. გაბრაზებულმა უყვირა: — აბასი შორს დაიგულე და ახლა მის მსახურს ასე იმიტომ ექცევი, არაო?!

აბუ ლაჰაბს მისთვის არაფერი უთქვამს, წამოდგა, შინისკენ წალასლასდა და ამის შემდეგ ერთ კვირაზე მეტი აღარც უცოცხლია. სახადი შეეყარა და გარდაიცვალა".

მუჰამადის მომხრეებისა და შემდგომდროინდელი ისლამის თვალსაზრისით კი, ბადრთან ორჯერ უფრო ძლიერ მოწინააღმ-

დეგეზე გამარჯვება, რა თქმა უნდა, სასწაულს მიეწერა. ე. კრიმსკი შენიშნავს:

„ფაქტობრივად, ამ გამარჯვებამ ისლამის საბოლოო ზეობისათვის იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ყველაზე ხატოვანმა ქადაგებამ: მორწმუნეებს რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდათ და ნივთიერი გამორჩენის იმედიც გაუჩნდათ. ურწმუნოები კი შეირყნენ და, რაც მთავარია, ყველამ გაიაზრა, რომ მუჰამადი უკვე იყო ის ძალა, რომლისთვისაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიათ“.

დოზი დასძენს: „ბადრთან გამარჯვებამ მუჰამადის ძალაუფლება განამტკიცა და მან ეს გარემოება მარჯვედაც გამოიყენა საიმისოდ, რომ მედინაში მცხოვრებ ებრაელებსა და სხვა მოწინააღმდეგეთ მისი რისხვა მთლიანად ეწვნიათ“.

დოზის ამ შეფასებას კრიმსკი ასეთი თვალსაზრისით განავრცობს: „საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებამ მოციქულს თავბრუ დაახვია და ხასიათი მკვეთრად შეუცვალა. ჰიჯრამდელი მუჰამადი და ჰიჯრისშემდგომი მუჰამადი თითქოს ორი სხვადასხვა კაცია და ამიტომაც დოზი მის ბიოგრაფიას, თხრობისას, სავსებით საფუძვლიანად ჰყოფს ორ თავად, წინასწარმეტყველის მოღვაწეობის ორი პერიოდის მიხედვით. დევნისდროინდელი მუჰამადი ძალზე სიმპათიური და მოკრძალებული ადამიანია. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას თავისივე ქადაგებასთან, უეჭველია, მაშინ საკუთარი გამოცხადებებისა თვითონვე სჯეროდა, რადგან მრავალი წლის მანძილზე შეუპოვრად იდგა უამრავი საფრთხისა და დაბრკოლების პირისპირ და, მიუხედავად იმისა, რომ ვეილი ამ პერიოდშიც განიხილავს მუჰამადის მხრიდან შეგნებული სიცრუის ერთ შემთხვევას, აღნიშნულ ბრალდებას ანტიმუსლიმური ლიტერატურაც კი არ იზიარებს (იხ. კაზანსკი, „ანტიმუსლიმური კრებული“, VI გამოშვება, გვ.10 და 15). მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, რაც ეს დევნილი და დაჩაგრული ადამიანი უეცრად ძლევამოსილი კაცი შეიქნა, მისი მხრიდან დიდსულოვნების არაერთი გამოვლინების გვერდით, მასში ვხედავთ ტირანსაც, გრძნობასაყოლილ ბერიკაცსაც და, შესაძლოა, გამოცხადების შეგნებულ მთხზველსაც. ბოლო ბრალდებას (რომელიც, მაგალითად, საკუთარი ხუშტურების

შესრულებისა და საოჯახო უსიამოვნებათა გარკვევისათვის ღვთიური ზეშთაგონების გამოყენებას ეფუძნება), რა თქმა უნდა, ძალზე დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. სავსებით კომპეტენტური ადამიანები (მაგ., ვლ. სოლოვიოვი) ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები, აუცილებლად მიიჩნევენ, მუჰამადის მოღვაწეობის მეორე პერიოდშიც მისი მხრიდან საკუთარი გამოცხადებისადმი სრული რწმენა ვაღიაროთ. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ა. მურს („ისლამის ისტორია", ტ I, 149), იმაში, რომ უზენაესი არსების არაადეკვატური აღქმა იქნებ უფრო მიუღებელიც იყოს, ვიდრე შეგნებული სიცრუე. მური შენიშნავს, რომ მუჰამადის ღირსებისათვის უმჯობესი იქნებოდა, მექური პერიოდის დასასრულს მომკვდარიყო" (იხ. კრიმსკი, „მუსლიმობის ისტორია, გვ. 106).

ჩვენი მხრივ კი დავსძენთ, რომ ასეთ შეხედულებებს იმის გამო კი არ ვიმოწმებთ, რომ მათ უპირობოდ ვიზიარებთ (შეიძლება, სულაც პირიქით), არამედ იმიტომ, რომ წარმოვაჩინოთ, როგორ ვითარდებოდა ევროპული ორიენტალისტიკის აზრი ამა თუ იმ მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით და შეძლებისდაგვარად თავი მოვუყაროთ მუჰამადის შესახებ გამოთქმულ ყველა არსებით, ზოგჯერ ურთიერთისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ მოსაზრებას.

რაც შეეხება მოციქულის კრიტიკას, ანდა მისი ცხოვრების ისეთ ეპიზოდებს, რომელთა გამოყენებაც ზოგ მკვლევარს მუჰამადის პიროვნული დაკნინებისათვს სჭირდებოდა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ცნობა ამ ევროპელ მკვლევარებთან მუჰამადის არაბი ბიოგრაფების ნაშრომებიდან მოხვდა. ეს ადამიანები კი, ხშირ შემთხვევაში — გულწრფელი მუსლიმები და თავგადაკლული მორწმუნენი იყვნენ, მაგრამ მაინც პატიოსნად, კეთილსინდისიერად აღნუსხავდნენ ყველა მოვლენას, როგორც ჩანს, ერთი ძალზე საპატივსაცემო მოსაზრებით: მუჰამადი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელსაც უამრავ ღირსებასთან ერთად, ბევრი ადამიანური ნაკლი თუ სისუსტეც ახასიათებდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის მიერ გამოცხადების ტექსტით მანიპულირებაშიც შევიტანოთ ეჭვი. ვინც ყურანს დაკვირვე-

ბით, წინასწარაკვიატებული მიკერძოების გარეშე წაიკითხავს, მიხვდება, რომ მოციქული მართლაც მხოლოდ გადამცემია და მას ტექსტის შინაარსს არავინ ეკითხება. რაც შეეხება საოჯახო დრამებს, რომელიც გამოცხადების ტექსტში აისახა, ეს ხშირად მიზეზია, საბაბია, გნებავთ, თვალსაჩინო მაგალითია იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევების გადასაჭრელად ღმერთმა ადამიანებს უნივერსალური კანონები დაუდგინოს. ამდენად, მუჰამადის ბიოგრაფები არ ერიდებიან სააშკარაოზე გამოიტანონ მუჰამადის საოჯახო ცხოვრების ისეთი წვრილმანები, რისი ცოდნაც ყურანის დიდებულებას ვერაფერს დააკლებს, ჩვენ კი პრობლემათა არსს უკეთესად გაგვაგებინებს.

კურაიშელები კი ომში დაღუპულებს გლოვობდნენ და შურისძიებაზე ფიქრი არ ასვენებდათ. ქალაქში ოჯახი არ იყო დარჩენილი, რომ ერთი, ზოგჯერ რამდენიმე გარდაცვლილი არ ჰყოლოდა.

თუმცა ცოტა ხანში გადაწყვიტეს, აშკარა გლოვას მორიდებოდნენ, რადგან შეეშინდათ, თუ ეს ამბავი მუჰამადის მომხრეთა ყურამდე მივიდა, გაიხარებენ და დაცინვას დაგვიწყებენო.

მუსლიმურ გადმოცემებში შემონახულია ამ პერიოდის ერთი დრამატული ამბავი, ვინმე ასვად იბნ მუტალიბის — კურაიშელთა ერთ-ერთი თავკაცის შესახებ, რომელსაც ბადრის ბრძოლაში სამი ვაჟი: ზამყა, აკილი და ჰარისი დაეღუპა.

კაცს ამის შემდეგ თვალებიდან გამუდმებით ცრემლი სცვიოდა, მაგრამ კურაიშელთა გადაწყვეტილების პატივისცემით, ხმამაღლა გლოვისაგან თავს იკავებდა, ვიდრე ერთ ღამეს გარედან მოთქმის ხმა არ შემოესმა.

რაკი თვითონ ამდენი ტირილისაგან თვალისჩინი წართმეოდა, მსახურ ბიჭს დაავალა, გაიხედე ერთი, ვინ მოთქვამს, ეგებ, თავისუფლად გლოვა უკვე შეიძლება და ჩვენ არაფერი გაგვიგიაო!

მსახური ბიჭი დაბრუნდა და მოხუცს უთხრა: ერთი ქალი იყო. აქლემი დაუკარგავს და იმას ტიროდაო!

ასვად იბნ მუტალიბმა თავისდაუნებურად ღრიალი დაიწყო. თან გლოვის ლექსს ამბობდა, სადაც მოტირალ ქალს კიცხავდა

და ეუბნებოდა, რომ აქლემი კი არა, ახლა ბადრის ბრძოლაში დაცემული კურაიშელნი უნდა იტიროო!

კურაიშელები კი მუჰამადზე შურისძიების ფიქრს ჩუმად განაგრძობდნენ.

საფვან იბნ უმაიამ მოძებნა უმაირ იბნ ვაჰაბი და სიტყვა შურისძიებაზე ჩამოუგდო.

უმაირი ძალზე ძლიერი, უშიშარი და შეუპოვარი კაცი ყოფილა, რომელსაც მუსლიმური მატიანეები მოციქულისა და მისი მიმდევრების დაუძინებელ მოწინააღმდეგედ გვიხატავენ. მას თავის დროზე ისლამის სჯულის ადამიანთა წამების დიდი გამოცდილება დაუგროვდა და მუჰამადის მომხრეები გასროლილი ქვასავით გაურბოდნენ. ღონეც მოსდგამდა და სიჩაუქეც და შურის საძიებლად უკეთეს კაცს ვერავის იპოვიდი. ამიტომაც, უმაიამ მასზე შეაჩერა არჩევანი და უთხრა:

— რა იქნებოდა, მახვილი აგეღო, მედინაში წასულიყავი და ის თვისტომთა და ნათესავთა მოღალატე მუჰამადი მოგეკლაო!

უმაირმა მიუგო: ეგ აზრი მეც დიდი ხანია არ მასვენებს, მაგრამ რა ვქნა, ოჯახის პატრონი ვარ და თანაც იმდენი ვალი დამიგროვდა, მე რომ რამე მომივიდეს, ჩემი ცოლ-შვილი ამ ვალებს ვერაფრით გადაიხდისო!

უმაიამ უთხრა:

— შენ ოღონდ მუჰამადი თავიდან მოგვაცილე და შენი ვალების გასტუმრება მე მომანდე. მედინაში ყოფნისას კი ოჯახზე ფიქრიც ნუ გექნება, საკუთარი ოჯახივით შევინახავო!

უმაირ იბნ ვაჰაბსაც სხვა რაღა უნდოდა. მახვილი აიღო, მცირედი ნუზლი გაიმზადა და მედინის გზას დაადგა.

იქ ჩასული მეჩეთის კართან ახლობლებში მჯდომ ომარ იბნ ალ-ხატაბს დაუნახავს. უცვნია და შეშინებია: ეს კარგი საქმისთვის არ იქნება აქ ჩამოთრეულიო! — წასულა და ამბავი მოციქულისათვის უცნობებია.

მოციქულს უმაირი თავისთან დაუბარებია და ის მუჰამადის წინაშე ომარს ხელებგაკავებული მოუყვანია.

მოციქულს უკითხავს: აქ რა მიზნით ჩამოხვედიო და უმაირს

მიუგია: თქვენი ხელიდან ჩემი ერთი ნათესავის დასახსნელად და გამოსასყიდადო.

შეკითხვა რამდენჯერმე გაუმეორებიათ და კაცი სულ ერთი და იმავე პასუხს გაიძახოდა. მაშინ წინასწარმეტყველს უთქვამს:

— მაშ, შენ და საფვან იბნ უმაია, როცა ბადრის ბრძოლაში დახოცილებზე საუბრობდით, არ შეთანხმდით, რომ შენ ჩემს მოსაკლავად წამოხვიდოდი, ხოლო საფვანი ვალებს გაგისტუმრებდა და ოჯახს შეგინახავდაო?!

უმაირ იბნ ვაჰაბი ძალიან გაოცებულა, რადგან ის საუბარი მასა და საფვან იბნ უმაიას მეტს არავის გაუგია. დაუჯერებია, მუჰამადი მართლაც ალაჰის მოციქულიაო და ისლამი მიუღია.

საფვანი კი მექაში ამაოდ ელოდა უმაირ იბნ ვაჰაბის დაბრუნებას და ხალხს ეუბნებოდა, ცოტა ხანში ისეთი სამახარობლო მექნება, ბადრის ბრძოლის მწუხარებას გადაგავიწყებთო.

ბოლოს ვიღაცას თვითონ მისთვისვე ჩამოუტანია „სამახარობლო": უმაირ იბნ ვაჰაბი გამუსლიმდაო და საფვანი ისე გაბრაზებულა, რომ ამის შემდეგ უმაირისათვის ხმა აღარასოდეს გაუცია.

ბადრის ბრძოლის შედეგებით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად აბუ სუფიანის ცოლი ჰინდა დაზარალდა. ქალი დღე და ღამ მოთქვამდა, მუჰამადს წყევლიდა და ქმარს მის მოსაკლავად აქეზებდა.

ბოლოს და ბოლოს აბუ სუფიანმა გადაწყვიტა მართლაც, შური ეძია მტერზე. თან 200 მექელი მეომარი იახლა და კბილებამდე შეიარაღებული მედინისაკენ გაემართა. მედინის შემოგარენში მდებარე იმ ადგილთან რომ მივიდნენ, რომელსაც საიბი ეწოდება, აბუ სუფიანმა მეომრები დატოვა და თვითონ ღამის გასათევად იქვე, ბანი ნადირის ციხე-კოშკში მცხოვრებ ებრაელთა ოჯახებს მიაკითხა. ჯერ ჰუაია იბნ ახტაბთან — იუდეველთა ერთ-ერთ მეთაურთან მივიდა, მაგრამ მასპინძელმა, მუსლიმებისა და მუჰამადის შიშით, კარი არ გაუღო. მერე სალამ იბნ მიშქამთან — იუდეველთა მეორე თავკაცთან მისულა. იმან კი არამხოლოდ უმასპინძლა, არამედ მოციქულისა და მისი მომხრეების უამრავი მნიშვნელოვანი ამბავიც გაანდო.

ებრაელის ოჯახიდან აბუ სუფიანი შუაღამისას თავისი რაზ-

მის წევრებთან დაბრუნდა და უბრძანა, რომ იერიში მედინის გარეშემო გაშენებულ პალმის ბაღებზე მიეტანათ.

ისინიც წავიდნენ, ურაიზაში მდებარე პალმის ბაღს ცეცხლი წაუკიდეს და იქვე მოციქულის მიმდევარი ორი მედინელი ანსარიც სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამის შემდეგ აბუ სუფიანმა მექისაკენ დაუყოვნებლივი დაბრუნების ბრძანება გასცა და სუვაიბიდან საჩქაროდ დაიძრნენ.

მუჰამადმა იმავე დილით მომხდარის შესახებ რომ შეიტყო, აბუ სუფიანსა და მის რაზმს დაედევნა და მედინიდან თოთხმეტი კილომეტრით დაცილებულ ადგილამდე — „კარკარათ ალ-ქუდრამდე“ მივიდა, მაგრამ მოწინააღმდეგეს ვეღარ დაეწია, რადგან აბუ სუფიანის ლაშქარს ძალზე სწრაფად, ფაცხაფუცხით ევლო და სიარულის გასაადვილებლად და ტვირთის შესამსუბუქებლად თან საგზლად წამოღებული ფქვილის ტომრები გზა და გზა გადაეყარათ. ამიტომაც მოციქულის მომხრეებმა მაინც კარგად იხეირეს, რადგან უამრავი ფქვილი წამოკრიფეს და მედინაში მიიტანეს. ამ ამბავს მუსლიმური წყაროები დაუფარავი ირონიით იხსენიებენ „ფქვილის ტომარათა ბრძოლად“.

ჰიჯრის მეორე წლის დასასრულს კი სრულიად არაირონიულად და სერიოზული მიზნებით კიდევ რამდენიმე ღაზავათი და სარია გაიმართა.

მუჰამადს ამბავი მიუტანეს, ღატფანის ტომელები მედინაზე თავდასასხმელად ემზადებიანო. მოციქული მათი მტრული განზრახვის აღსაკვეთად 450 მუსლიმის თანხლებით მედინიდან დაიძრა და ზი ამარამდე ჩავიდა, სადაც აღნიშნული ტომი ბინადრობდა.

სწორედ ამ ადგილს რომ მიაღწიეს, საშინელი წვიმა წამოვიდა და მოციქული ერთ ხეს შეეფარა. მაგრამ ისეთი თავსხმა მოდიოდა, რომ ლამის წყალდიდობა დაიწყო.

მუჰამადი მთლიანად გაილუმპა. თავის თანამებრძოლთაგან მოცილებულმა სველი ტანსაცმელი გაიხადა, გაწურა და გასაშრობად ტოტებზე მიაფინა. თვითონ კი ხის ძირას წამოწვა და ჩაეძინა.

ღატაფანის ტომელებმა, რომლებიც მიდამოს გულდაგულ

ზვერავდნენ და მოციქულისა და მისი მხლებელი მეომრების მოძრაობა არ გამოჰპარვიათ, როცა წინასწარმეტყველი ხის ძირას მძინარე და საკუთარი ლაშქრისაგან მოცილებული იხილეს, თავიანთი ტომის მეთაურთან, მამაც და უშიშარ დუსურ იბნ ალჰარისთან მივიდნენ და უთხრეს:

— სწორედ კარგი შემთხვევა მოგვეცა მუჰამადის მოსაკლავად. მახვილი აიღე და სიცოცხლეს უმტკივნეულოდ გამოასალმე. ახლა თავისი მხლებლებისაგან შორსაა და მისმა მეომრებმა შენი თავდასხმის შესახებ რომც შეიტყონ, მაინც ვერაფერს გახდებიან, რაკი ბუნებაც ჩვენ მხარესაა და ისეთი წვიმა ასხამს, სიარულს აძნელებსო!

დუსურმაც აიღო ერთი კაშკაშა მახვილი, მივიდა, მძინარე მოციქულს თავზე წამოადგა და დაუძახა:

— მუჰამად, გაიღვიძე და მითხარი, ახლა ჩემი მახვილსა და სიკვდილისაგან ვინ დაგიცავსო?

მუჰამადმა მშვიდად უპასუხა:

— ალაჰი!

ამ სიმშვიდემ დუსური ისე შეაძრწუნა, რომ შემდგომდროინდელ მატიანეებში ეს ამბავი ჯიბრაილის დახმარებას მიეწერა. მუსლიმი ჟამთააღმწერლები აცხადებენ, ანგელოზმა ისეთი დაჰკრა, რომ დუსურს მახვილი გააგდებინაო.

მუჰამადი კი წამომდგარა, დუსურის მახვილი აუღია და კითხვა შეუბრუნებია:

— ახლა შენი ჯერია! მითხარი, ვინ დაგიცავსო?

— არავინო! — შეშინებულმა წამოიძახა თურმე დუსურმა და იქვე სჯულის აღიარების სიტყვებიც მიაყოლა: „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მისი მოციქული!“

მუჰამადს ხმალი დაუბრუნებია და უთქვამს:

— აჰა, აიღე და დანდობა და შეწყნარება ჩემგან ისწავლეო!

დუსური უკან გაბრუნებულა და მთელი თავისი ტომი გაუმუსლიმებია.

როგორც ვხედავთ, ბადრის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ მუჰამადის მოწინააღმდეგეები უარესად გააცხარა. ამიტომაც მოციქულს ამ ინტრიგებისა და არაკეთილმოსურნეობის ჩაცხრობაზეც უნდა ეზრუნა. მედინასა და მის შემოგარენში მკვიდრი იუდეველები ბოღმასა და გაავებას ველარ ფარავდნენ. მუჰამადს ბრძოლით მოპოვებული ჭკუა-გონების მეშვეობით უნდა შეენარჩუნებია. ამიტომაც, მოწინააღმდეგეთა ასალაგმავად სხვადასხვა ხერხს მიმართა.

მუსლიმ ბიოგრაფებთან დაცული ცნობების მიხედვით, პირველი მსხვერპლი ერთი ქალი გამოდგა. ეს იყო ასმა, ავსის ტომის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენელი, რომელსაც მამა-პაპათა სჯულზე უარი არ განეცხადებია.

ქალმა ბადრის ბრძოლის შემდეგ შეთხზა ლექსი, სადაც თავის თანაქალაქელებს ბრიყვები უწოდა იმის გამო, რომ გულუბრყვილოდ შეიფარეს გადამთიელი, ვინც მათი ტომის ყველაზე უფრო წარჩინებული ხალხი სიკვდილით დასაჯა.

მუჰამადმა, მუსლიმებს ამის გამო წყენა რომ შეამჩნია (არაბი ხომ იშვიათად აპატიებს სატირულ ლექსებს), წამოიძახა: „და ვინ მომაშორებს თავიდან ამ დედაკაცს?!“

ეს სიტყვები უმაირმა გაიგონა და ღამით, როცა ასმა ღრმა ძილში იყო, ქალს სული გააფრთხობინა.

მეორე დღეს მუჰამადმა მეჩეთში მკვლელს ჰკითხა:

— შენ მოკალი მერვანის ქალი?!

დიახ, — მიუგო იმანაც, — მაგრამ, მითხარი, უნდა მეშინოდეს თუ არა ჩემი ამ ცოდვის გამო?!

— კაცმა რომ თქვას, არა! — მშვიდად უპასუხა მუჰამადმა, — ეს ისეთიც არაფერია!

მერე იქ შეკრებილ ჯამაათს მიუბრუნდა და გადასძახა:

— გინდათ გიჩვენოთ კაცი, ვინც სამსახური გაუწია ღმერთსა და მის მოციქულს: აი, ისიც — უმაირი!

მეორე ასეთივე საზარელი მკვლელობა რამდენიმე კვირაში მოხდა. შეურაცხყოფა, რასაც ეს მკვლელობა მოჰყვა, იგივე იყო, რაც წინა შემთხვევისას. მაგრამ ამჯერად მსხვერპლი ერთი მოხ-

უცი ებრაელი — აბუ აფაქი აღმოჩნდა, რომელმაც მუსლიმებს სატირული ლექსი გამოუთქვა.

მუჰამადის ერთი სიტყვით, რომელიც, კაცმა რომ თქვას, გრძანება სულაც არ ყოფილა, მოხუცებულსაც, ასმას მსგავსად, ყელი მძინარეს გამოსჭრეს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მალე სასჯელმა ებრაელთა მთელ ტომებს უწია. მედინის ერთ კარგად გამაგრებულ გარეუბანში ბანუ კაინუკას ებრაული ტომი ცხოვრობდა, რომლის წევრებიც ხელოსნობას მისდევდნენ, მახვილთა წრთობის ოსტატები და ოქრომჭედლები იყვნენ. მათზე თავდასხმის ზუსტი მიზეზი უცნობია, მაგრამ მუსლიმური გადმოცემით, ეს ტომი ბადრთან ბრძოლისას მუჰამადის მოწინააღმდეგეებთან გაბმული სახიფათო კავშირების გამო დაისაჯა.

საბაბად კი მუსლიმური გადმოცემა ერთ საინტერესო ამბავს გვისახელებს:

ერთი არაბული ბედუინური ტომის ასული, რომელიც მედინაში რძეს ჰყიდდა, ერთხელ ქალაქის გარეუბანში, ბანუ კაინუკას სამკვიდრებელში მოხვედრილა.

ებრაული ტომის ახალგაზრდა ბიჭები თურმე ქალიშვილს გარს შემოეჯარნენ და, რადგანაც მისი იშვიათი სილამაზის ამბავი სმენოდათ, სახეზე ჩადრის ახდას აძალებდნენ.

გოგონა ამას ძალიან უარობდა, რაკი მისი ტომის ქალები სახედაუფარავად სიარულს სირცხვილად მიიჩნევდნენ.

მაშინ ერთ-ერთმა ახალგაზრდა ოქრომჭდელმა უჩუმრად ქალის საბურველის კიდე იმ სკამის ფეხს გამოაბა, რომელზედაც გოგონა იჯდა და როცა წამოდგა, თავიდან საბურველი წამოეხადა. ებრაელი ბიჭები გოგოს გარს შემოეხვივნენ და ლაზღანდარობა და დაცინვა დაუწყეს, შერცხვენილი და გაოგნებული ქალი კი მათ შორის იდგა და შეურაცხყოფისაგან თავზარდაცემული სიტყვის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

მისი ღირსება ამ ამბის შემთხვევითმა შემსწრე არაბმა დაიცვა. ხელი დასტაცა მახვილს და ის ოქრომჭედელი, ვინც ეს გააკეთა, შუაზე გაჩეხა. თუმცა იუდეველებმა თვითონ მასაც ხელი იქვე მოუთავეს.

სწორედ ამ მიზეზით, მუჰამადმა ბანუ კაინუკას საცხოვრებელს ალყა შემოარტყა და თხუთმეტდღიანი ალყის შემდეგ ებრაელები იძულებული გახდნენ, დანებებულიყვნენ.

მუჰამადს სურდა, ყველასათვის თავები დაეყრევინებინა, მაგრამ იუდეველებს მედინელთა შორის გავლენიანი მფარველი გამოუჩნდათ, რომელიც გამოექომაგა და დიდი ძალისხმევის ფასად მათ სიცოცხლე შეუნარჩუნა. თუმცა მათი ქონება მუსლიმებმა ერთმანეთში დაინაწილეს, ხოლო ბანუ კაინუკას ტომი თავისი სამკვიდროდან გააძევეს. ისინი აზრაათში გაეშურნენ და იქ სირიის საზღვართან დასახლდნენ.

ამით შიდა წინააღმდეგობა ასე თუ ისე ჩამცხრალი იყო და მუჰამადმა ოჯახური ცხოვრებისათვისაც მოიცალა. ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ქალიშვილი რუკაია საბოლოოდ გამოიგლოვა და ცოცხალთა ანუ თავისა და სიძის, ოსმან იბნ აფანის მომავალზე იზრუნა.

საქმე ისაა, რომ იმ ხანებში დაქვრივებულა ომარის 18 წლის ასული ჰაფსა — იშვიათი სილამაზის, დახვეწილი და წიგნიერი ქალი. ომარს მისი ცოლად შერთვა ასევე ქვრივი ოსმან იბნ აფანისათვის შეუთავზებია, მაგრამ ოსმანს ამაზე ზრდილობიანი უარი უთქვამს. თავაზიანობის მიუხედავად, უარმა ომარი საშინლად გაანაწყენა და ბრაზი მუჰამად მოციქულს გაუმხილა.

მუჰამადს მაშინ ორაზროვნად უთქვამს: ცოტა დაიცადე და ოსმანზე და ჰაფსაზეც ალაჰი იზრუნებსო!

მართლაც ცოტა ხანში, ჰაფსა თვითონ შეურთავს, ხოლო ოსმანისათვის ცოლად თავისი ქალიშვილი — უმ ქულსუმი მიუცია.

ამ გონივრული ნაბიჯით, მოციქულმა ომარი და ოსმანი კიდევ უფრო დაიახლოვა, ხოლო ჰაფსა, აიშას შემდეგ, მისი უსაყვარლესი ცოლი შეიქნა. სიცოცხლისმოყვარული და ქალური აიშა მოციქულს მამაკაცურ ჟინს უკმაყოფილებდა, ხოლო ჰაფსა, თანამეცხედრეობის გარდა, ინტელექტუალურ მეგობრობას უწევდა. ყოველ შემთხვევაში მუჰამადი მას აბარებდა გამოცხადების იმ ნაწილებს, რომელთაც ზეგარდმოვლენის კვალდაკვალ იწერდნენ.

ამასობაში კი მექისა და მედინის დაპირისპირებაც უწინდებურად გრძელდებოდა. 624 წლის აპრილში აბუ სუფიანმა მექის შემოგარენში მცირე მასშტაბის ლაშქრობა მოაწყო. მუსლიმებმა ისევ გაძარცვეს მექელთა ქარავანი და მაშინ მექაში წამოიწყეს მზადება, რათა ბადრის ბრძოლაში ნაწვნევი მარცხისათვის საკადრისად ეძიათ შური. ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ იმ ქარავნიდან მიღებული მთელი შემოსავალი, რის გამოც ბადრთან ამდენი სისხლი დაიღვარა, მთლიანად ერთი უზარმაზარი ლაშქრის შეიარაღებაზე დაეხარჯათ. საშველად ახლომახლო მცხოვრებ მოკავშირეებსაც მოუხმეს და აი, 625 წლის იანვარში, 3000 კბილებამდე შეიარაღებული კაცი მედინისაკენ გაემართა. ლაშქარში ბევრი ქალი ერია, მათ წინ მიუძღვოდათ აბუ სუფიანის ცოლი ჰინდა, რომელსაც ბადრის ბრძოლაში მამა, ძმა და ბიძა დაღუპოდა და ახლა შურისძიების ვნებით გიზგიზებდა. ჰინდა ისე იყო გააფთრებული, რომ როცა სალაშქროდ მიმავლებმა მექასა და მედინას შორის მდებარე დასახლებას, აბვას ჩაუარეს, იქ მუჰამადის დედის საფლავის ამოთხრა და მისი ნეშტის გადაგდება მოიწადინა, მაგრამ თანმხლებლებმა დააშოშმინეს და ამ არაადამიანურ განზრახვაზე ხელი ააღებინეს.

მექელები ზღვის ნაპირას მიმავალ გზას გაუყვნენ, მედინას ძალზე მიუახლოვდნენ, უჰუდის მთასთან დაიბანაკეს და ახლომდებარე სოფელთა ძარცვას მიჰყვეს ხელი.

ამასობაში მედინაში იმაზე მსჯელობდნენ, მტრისათვის ქალაქში მოეცადათ თუ მის შესაგებებლად წასულიყვნენ. მუჰამადი, რომელიც იმხანად ავისმომასწავებელ სიზმრებს ხედავდა, პირველ თვალსაზრისს ემხრობოდა და სხვათა შორის, ამავე აზრზე იდგნენ ქალაქის უხუცესნიც, მაგრამ ახალგაზრდები, რომელთაც ბადრთან ბრძოლის მსგავსად ახლაც იოლი ნადავლის იმედი ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ, ქალაქში დარჩენა სიმხდალედ ჩაგვეთვლებაო და მართლაც მიაღწიეს იმას, რომ მტრის შესაგებებლად გამოსვლა გადაწყდა. მუჰამადს სულ რაღაც ათასამდე მებრძოლი გაჰყვა. იმ ათასიდანაც სამასი ე. წ.

„თვალთმაქცი“ ბრძოლის დაწყებამდე უკან მედინაში გაბრუნდა და ამრიგად, ძალები მართლაც უთანასწორო იყო: 3000 მექელის წინააღმდეგ დაახლოებით 700 მუსლიმი გამოვიდა.

მუჰამადი თავისი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებას კარგად გამაგრებულ ადგილას დაბანაკებით შეეცადა. მან თავისი მებრძოლები ისე განალაგა, რომ უკან უჰუდის მთა ამოჰფარებოდათ, მარჯვენა ფლანგზე კი, ანუ იმ ერთადერთ მხარეს, სადაც მოწინააღმდეგის ცხენოსნებს შემოჭრა შეეძლოთ, თავდაცვისათვის თავისი საუკეთესო მოისარნი ჩაამწკრივა და უბრძანა, რაც უნდა მომხდარიყო, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალათ.

მექელთა გააფთრება კი, რომელსაც სიცხარე არც უამისოდ აკლდა, ყოველგვარ საზღვარს მაშინ გადასცდა, როცა აბუ სუფიანმა მებრძოლთ სიტყვით მიმართა, ხოლო ჰინდამ საომარი ჰანგი შემოსძახა.

ბრძოლა, ჩვეულებისამებრ, ცალკეული შეტაკებებით დაიწყო. მაგრამ მექელები წარუმატებლად ირჯებოდნენ. მათმა მედროშემ მოწინააღმდეგე პირველმა გამოიწვია, მაგრამ მალევე მტრის ისრით მოიცელა და მისმა იმ ხუთივე ნათესავმაც, რომელიც ერთმანეთის კვალდაკვალ რიგ-რიგობით იღებდნენ ალამს ხელში, მისივე ბედი გაიზიარეს.

მუსლიმთა ერთი ნაწილი მტრის რიგებში შეიჭრა და მოწინააღმდეგის დარბევას შეუდგა. მექელები დაიქსაქსნენ და ბევრმა იფიქრა, ბრძოლა უკვე წაგებულიაო. ამასობაში კი, რადგან არაბისათვის ნადავლზე სასურველი არაფერი შეიძლება იყოს, ყველაზე დიდ ცდუნებას ვერც მუჰამადის მოისრეებმა გაუძლეს. როცა დაინახეს, სხვები უკვე მოწინააღმდეგეს ძარცვავენო, მუჰამადის მკაცრი მითითება უცებ დაავიწყდათ, ადგილს მოსწყდნენ და ალაფის მოსახვეჭად გაეჩქარნენ.

მექელთა საბრძოლო მეთაურმა, ხალიდმა, ამ შემთხვევით ხელად ისარგებლა. მან თავისი ცხენოსანი რაზმით მოწინააღმდეგეს ახლა უკვე დაუცველი მარჯვენა ფრთიდან მოუარა და მის ზურგში შეიჭრა. ამან მუსლიმთა შორის წარმოუდგენელი არეულობა შეიტანა, რასაც მათი სრული დამარცხება მოჰყვა.

მოციქულის ბიძა ჰამზა — „ლომი ალაჰისა“ — ჰინდას მიერ საგანგებოდ მის მოსაკლავად დაქირავებულმა ზანგმა ორლესული მახვილით შუაზე გადაჭრა. მუსლიმური გადმოცემის მიხედვით, გააფთრებული ჰინდა ჰამზას უსიცოცხლო გვამს მივარდა, ჯერ კიდევ ცხელი გულ-ღვიძლი ამოაცალა და კბილებით დაწიწკნა. ასე იძია ქალმა შური ჰამზაზე, რომელმაც ბადრთან ბრძოლისას მისი ძმა და მამა სიცოცხლეს გამოასალმა. კურაიშელი ქალები კი, საზოგადოდ, დაუნდობლად ბილწავდნენ და აგინებდნენ მოწინააღმდეგეთა გვამებს.

თვითონ მუჰამადიც უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა. მტრის ბანაკიდან გამოქნეულმა ქვამ მას ტუჩი გაუხეთქა და წინა კბილები ჩაუმსხვრია. მეორე ძლიერმა დარტყმამ კი ჩაჩქანი გაუპო და მისი ერთი ნაწილი სახეში ჩაერჭო. წინასწარმეტყველი მიწაზე დავარდა და გახარებულმა მექელებმა ღრიალი მორთეს, მოვკალით, მოვკალითო.

მან კი მხოლოდ გონება დაკარგა და უერთგულესმა თანამებრძოლებმა, მართალია, დიდი ძალისხმევის ფასად, მაგრამ ბრძოლის ველიდან მის გამოყვანა და გადარჩენა მაინც მოახერხეს.

მუსლიმები დაიფანტნენ და თავი კლდე-ღრეს შეაფარეს. რაც შეეხება მექელებს, მოპოვებული გამარჯვებით სრულებითაც არ უსარგებლიათ. მათ ეგონათ და დიდხანს სჯეროდათ, მუჰამადი მოვკალით და ამით ყველაფერს წერტილი დავუსვითო. ბრძოლით კი მედინელთა კი არა, მხოლოდ მუჰამადის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ახლა მუჰამადის სიკვდილით ყველანაირი შუღლი და მტრობაც თავდებოდა.

მაგრამ როცა მექელებმა წინასწარმეტყველის გვამი დიდი ძებნის შემდეგაც კი ვერსად მოიძიეს, მიხვდნენ, გადარჩენილაო, თუმცა მედინაში მაინც აღარ შესულან. ასე რომ მოქცეულიყვნენ, მთელ ქალაქს ხელში ძალზე ადვილად ჩაიგდებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქის ვიწრო ქუჩებში ბრძოლას მოერიდნენ და თანაც რაკიღა მთავარი მიზნისათვისაც უკვე მიეღწიათ და ბადრთან დამარცხების სირცხვილი ჩამოერეცხათ, მეტი აღარაფერი მოიწადინეს.

უჰუდთან დამარცხებამ კი მუჰამადი უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო. მისი მტრები, განსაკუთრებით იუდეველნი, სიხარულმა მოიცვა. „ახლა ყველასათვის ნათელია, — ამბობდნენ ისინი, — რომ მუჰამადი ერთი ჩვეულებრივი თემის მეთაურია და არა მოციქული, რადგან მოციქულს ასე ვერავინ ვერასოდეს დაამარცხებდა."

გულწრფელი მორწმუნენიც კი ეჭვმა შეიპყრო. ბადრთან გამარჯვებაში მათ ღვთიური შემწეობის გამოვლინება დაინახეს და ეს ამბავი მუჰამადის მოციქულობის თვით ალაჰისგან მომდინარე დასტურად მიიღეს. ამავე ყაიდით მსჯელობისას, უჰუდთან დამარცხება ადასტურებდა, რომ მუჰამადი წინასწარმეტყველი არ ყოფილა. მოციქულს მთელი თავისი გამჭრიახობის მოხმობა დასჭირდა იმისათვის, რომ ხალხის თვალში ძველი ავტორიტეტი შეენარჩუნებინა და თავისი მიმდევრებისათვის სიმამაცე და გამძლეობა შთაენერგა.

ღვთიური ზეშთაგონების მიხედვით (თუ III სურის მეორე ნაწილს დაკვირვებით წავიკითხავთ), უჰუდთან ბრძოლისას, ღმერთმა მორწმუნეებს გამარჯვება უბოძა, მაგრამ მათ თავიანთი სიჯიუტითა და გაუგონრობით, თავს დამარცხება თვითონ დაიტეხეს. ეს მხოლოდ და მხოლოდ განსაცდელი იყო, რათა თვალთმაქცები გულწრფელი მორწმუნეებისაგან გადარჩეულიყვნენ. გულის გატეხვა კი ამის გამო არავითარ შემთხვევაში არ ეგებოდა: საქმე საბოლოოდ ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, ოღონდ კი მორწმუნეთ სიმტკიცე და გულმოდგინება გამოეჩინათ.

მედინაში დაბრუნებული მუჰამადი, როგორც ჩანს, შიშობდა, მექელთა ლაშქარი ქალაქის აღების მიზნით უკან არ დაბრუნებულიყო და ამიტომ ბრძოლის მეორე დღეს ალი იბნ აბი ტალიბს, რომელსაც, როგორც შიიტური წყაროები გადმოგვცემენ, უჰუდის ბრძოლაში ოთხმოცდაათი ჭრილობით მოწყლულიყო, ხელში საბრძოლო ბაირაღი მისცა და დაავალა მხოლოდ იმ მუსლიმებთან ერთად, რომელთაც წინა დღეს უჰუდის ბრძოლაში ეომათ, მოწინააღმდეგის ლაშქარს უკან გადევნებოდა. ერთადერთი კაცი, ვისაც უჰუდის ბრძოლაში არ უომია, მაგრამ მოციქულმა ამ ე. წ. ჰამრა ალ-ასადის ღაზავათში მონაწილეობის ნება

დართო, ჯაბირ იბნ აბდ ალ-ლაჰი იყო. ამ ახალგაზრდა კაცს საპატიო მიზეზი ჰქონდა, რადგან როგორც მოციქულს განუცხადა, მამამისმა უჰუდის ბრძოლაში გმირულად დაცემულმა აბდ ალლაჰ იბნ ამრმა, უჰუდის ბრძოლის დაწყების წინ უთხრა: საომარად ორივენი ერთად თუ წავალთ, შინ შენი დები — 7 ქალი — უმეთვალყურეოდ დაგვრჩებიან, ამიტომაც მე საომრად წავალ, შენ კი აქ დარჩი და ქალებს მიხედეო! ჯაბირმა მოციქულს სთხოვა, ახლა რაკი მამაჩემი დაიღუპა, მეც მწადია ისლამის ზეობისათვის ვიბრძოლო და ამ თხოვნაზე უარს ნუ მეტყვითო!

ამრიგად, მუსლიმები, რომელთა უმეტესობა დაჭრილი ან ბრძოლის ველზე დაცემულ ახლოებლთა გამო მგლოვიარედ იყო, მოციქულის თანხლებითა და ალის მედროშეობით მედინიდან გამოვიდნენ და დაახლოებით 4 კილომეტრზე მდებარე ერთ ადგილთან, ჰამრა ალ-ასადთან დაბანაკდნენ. ბრძოლიდან უკან დაბრუნებული მექელთა ლაშქარი კი მედინიდან დაახლოებით 15 კილომეტრზე, რავჰას დასახლებასთან იყო გაჩერებული.

მუჰამადის წინათგრძნობა არც თუ უსაფუძვლო გახლდათ, რადგან რავჰაში შესვენებისას აბუ სუფიანს სინანულმა დარია ხელი: რატომ საქმეს ბოლომდე არ მივყევი, ბარემ მედინაშიც შევსულიყავი და ქალაქიც ამეღოო. ამაზე კურეიშელთა ლაშქრის სხვა მეთაურებსაც — იქრამა იბნ აბი ჯაჰლსა, ჰარის იბნ ჰიშამსა და ხალიდ იბნ ვალიდსაც დაელაპარაკა და მათაც სინანულით აღნიშნეს, ჩვენ ხომ მუსლიმებს ყველაზე მამაცი მებრძოლები — ჰამზა იბნ აბდ ალ-მუტალიბი და სხვა მეთაურები დავუხოცეთ, მედინაში შესვლასა და ქალაქის აღებას წინ რაღა უდგა? თუმცა გვიანი ახლაც არ არის, მოდი, უკან დავბრუნდეთ, მედინაში შევიდეთ და მუჰამადს ხელი მოვუთავოთო!

ამ სჯა-ბაასში რომ იყვნენ, უცებ მედინისაკენ მიმავალი აბდ ალ-კაისის ტომის რამდენიმე მხედარი დაინახეს. აბუ სუფიანმა მხედრები თავისთან იხმო და დაავალა:

— თუ მუჰამადი ნახოთ, გადაეცით, გადაწყვეტილი გვაქვს, ხელახლა მოგიბრუნდეთ და შენცა და შენს მიმდევრებსაც ხელი მოგითავოთ-თქო.

ეს ამბავი მუჰამადს წაუღეთ, თქვენ კი სამაგიეროდ, უქა-

ზის ბაზრობისას, მექაში რომ ჩამოხვალთ, ერთ მსუქან აქლემს გიფეშქაშებთო.

აბდ ალ-კაისიანები ჰამრა ალ-ასადში მუჰამადს შეხვდნენ და მექელთა დანაბარები გადასცეს. მოციქულმა და მისმა მიმდევრებმა კი აუღელვებლად მიუგეს: — ჩვენ მაგ მუქარისა არ გვეშინია. ალაჰი დაგვიცავსო!

მოციქულის მხლებლები ჰამრა ალ-ასადში სამი დღე დარჩნენ. ამ დროს იქვე მოსახლე ხუზაყის ტომელები, რომლებიც წარმართები იყვნენ, მაგრამ მუჰამადისადმი დიდი თანაგრძნობით გამსჭვალულიყვნენ, მათთან მიდიოდნენ და საჭმელ-სასმელი მიჰქონდათ. მათ შორის იყო ვინმე მაყბად ალ-ხუზაყი — მოციქულის მოყვარული და პატივისმცემელი ერთი წარმართიც, რომელიც მუჰამადთან მივიდა და უჰუდის ბრძოლის გამო სამძიმარი გამოუცხადა. მერე მექისაკენ გაეშურა და რავჰასთან აბუ სუფიანის ლაშქარსაც შემოხვდა.

აბუ სუფიანმა, სხვათა შორის, ჰკითხა:

— მაყბად, ახალი რა იციო?

მაყბადმა მიუგო:

— ახალი ისაა, რომ მუჰამადი უზარმაზარი ლაშქრით, რომლის მსგავსიც სიცოცხლეში არ მინახავს, თქვენს კვალდაკვალ გამოვიდა და სურთ, უჰუდში მომხდარის გამო თქვენზე ჯავრი იყარონო.

შეშფოთებულმა აბუ სუფიანმა ჰკითხა: რას მირჩევო?

მაყბადმა მიუგო:

— აბა, რა გითხრათ, აქედან დაძვრას ვერ მოასწრებთ, რომ უკვე ისინიც გამოჩნდებიანო!

აბუ სუფიანმა უთხრა:

— ჩვენ კი გადაწყვეტილი გვქონდა, იასრიბში დავბრუნებულიყავით და მუჰამადის მომხრეები დედაბუდიანად ამოგვეგდოო!

მაყბადმა შესძახა:

— მაგ აზრს ვერაფრით მოგიწონებთ, რადგან უეჭველად დამარცხდებით და ამ დამარცხებასთან მოგონილი იქნება ის, რაც ბადრის წყაროებთან დაგემართათო!

ამ დროს ლაპარაკში აბუ საფვან იბნ უმაიაც ჩაერია და გა-

ნაცხადა: მაგ საქმეს სიკეთე, მართლაც არ მოჰყვება. ახლა მედინელები ისე იქნებიან გაავებულნი, რომ აღარ დაგვზოგავენ და უეჭველად დაგვამარცხებენო!

აბუ სუფიანისათვის საფვანის ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რომ განზრახულზე ხელი აეღო და მედინაში დაბრუნების ნაცვლად, მექის გზას დადგომოდა.

მუსლიმური გადმოცემები გვაუწყებენ, რომ ამ დროს მოციქულს ჯიბრაილ ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: უზენაესმა ალაჰმა მექელ წარმართთა გულში ძრწოლა ჩათესა და მექისაკენ გაემგზავრნენ. ასე რომ, შენი ამ ლაშქრობის მიზანი უკვე მიღწეულია და შენც შეგიძლია მედინაში დაბრუნდეო. მუჰამადმაც თავისი რაზმი მექისკენ მიაბრუნა და გზას დაადგნენ. გზად, ორ წარმართს შემოეყარნენ. ერთი მათგანი, პოეტი აბუ უზა იქვე მოკლეს, ხოლო მეორე — მუავია იბნ მუღირა გაექცათ და მედინაში თავშესაფარი და დაცვა ოსმანს სთხოვა. ოსმანმა მას ხელშეუხებლობის პირობა მისცა და მოციქულმა ოსმანის თხოვნა შეიწყნარა. მუავია ოსმანთან სამი დღე-ღამე დარჩა და ამ ხნის განმავლობაში მისთვის არავის არაფერი დაუშავებია, მაგრამ საბოლოოდ სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩა, რადგან როცა ოსმანის სახლიდან გამოვიდა და მექის გზას დაადგა, მუჰამადმა ორ კაცს მისი დადევნება და მოკვლა დაავალა.

ამ ამბებმა მუსლიმებში უჰუდის დამარცხების შედეგად გამოწვეული უიმედობა ცოტათი დააცხრო, თუმცა მედინის გარშემო მცხოვრები ტომები, რომელთაც ისლამი ჯერ არ ეღიარებინათ და მოციქულისა და მისი მიმდევრებისათვის ზიანის მისაყენებლად მარჯვე შემთხვევას ეძიებდნენ, უჰუდის ბრძოლის შემდეგ მედინაზე შეტევისათვის ემზადებოდნენ. მაგრამ მოციქულიც ფხიზლად იყო და არც ერთი ასეთი მტრული მცდელობა მხედველობიდან არ გამოჰპარვია. კერძოდ, მუჰამადს შეატყობინეს: ბანი ასადის ტომის ორი კაცი — ტალჰა და სალამა იარაღსა და მხედრებს აგროვებენ და მედინაზე თავდასხმა სწადიათო.

მოციქულმა სასწრაფოდ იხმო თავისი ბიძაშვილი და ძუძუმტე, ბრძოლებში გამობრძმედილი, ძალგულოვანი მეომარი აბუ

სალამა, რომელიც უჰიდის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილიყო, მაგრამ ახლა ჭრილობები უკვე უშუშდებოდა, და დაავალა:

— წაიყვანე 150 მეომარი და მტერს წინ აღუდექით. ოღონდ ღამით იარეთ და დღისით დაიმალეთ ხოლმე, რომ თქვენი განზრახვა შეუმჩნეველი დარჩეს და დუშმანს თავს მოულოდნელად წამოადგეთო!

აბუ სალამა ასეც მოიქცა და ბანი ასადის ტომს დილასისხამზე ყატანის წყაროსთან დაადგა.

ბანი სალამას ტომელები გონს რომ მოეგნენ, მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავი არა ჰქონდათ და გაქცევა ამჯობინეს.

აბუ სალამამ მუსლიმებს მათი დადევნება უბრძანა. ასეც მოიქცნენ, გაქცეულებს დაედევნენ და მათგან დიდძალი ქონება იალაფეს. ამ ალაფის ერთი მეხუთედი გვერდზე გადადეს, დანარჩენი კი ერთმანეთში დაინაწილეს. ბრძოლაში ერთადერთი მუსლიმი — მასყუდ იბნ ურვა — მოკვდა. თუმცა თვითონ აბუ სალამას ამ დროს უჰუდში მიღებული ჭრილობა გაუართულდა და სწორედ ამის გამო რამდენიმე დღეში მედინაში გარდაიცვალა. ცოტა ხანში კი მოციქულმა მისი ქვრივი, უმ სალამა ცოლად შეირთო.

აბუ სალამას სარიას შედეგებმა მუსლიმების შერყეული ავტორიტეტი მცირედ კი აღადგინა, მაგრამ საერთოდ, მუჰამადი და მისი მომხრეები მაინც მძიმე დღეში იყვნენ, რადგან ვინც ადრე ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, ახლა დაინახა, რომ თურმე მუსლიმთა დამარცხება შესაძლებელი იყო და ნელ-ნელა, ამა თუ იმ მიზეზით, ძირითადად კი იმის გამო, რომ ვერ ეგუებოდნენ ისლამის მიერ დამკვიდრებულ წესრიგსა და დისციპლინას, მოციქულის წინააღმდეგ წამოყვეს თავი.

მექასა და მედინას შორის მოსახლე ორი ტომის — ადულისა და კარას თავკაცები, სუფიან იბნ ხალიდ ჰუზაილის ხელმძღვანელობით, მექაში ჩავიდნენ და სურდათ, წარმართებისათვის გამარჯვება მიელოცათ. ერთ-ერთ უბანში მოთქმისა და გლოვის ზარი შემოესმათ. როცა გაიკითხეს, შეიტყვეს, რომ აბდ ად-დარის გვარის ქალები ტალჰა იბნ აბი ტალჰასა და თა-

ვიანთი გვარის კიდევ რამდენიმე დაღუპულს გლოვობდნენ. ჩამოსულები სამძიმრის სათქმელად ტალჰას ცოლთან, სულაფასთან მივიდნენ. ქალი სტუმრებს ქმრის დაღუპვის ამბავს რომ მოუყვა, სხვათა შორის, დასძინა: დავიფიცე, სანამ ჩემი მეუღლის მკვლელს არ მოვაკვლევინებ, მანამ თმაზე სურნელოვანი ნელსაცხებელი აღარ გადავისვა, ხოლო ვინც მისი რომელიმე მკვლელის თავს მომიტანს, 100 აქლემს ვუბოძებო!

სუფიან იბნ ხალიდს ამ სიტყვების გაგონებაზე მადა გაეხსნა და თავის თანამგზავრებს ტალჰა იბნ აბი ტალჰას ერთ-ერთი მკვლელის, ასიმ იბნ საბითის მოკვლაზე გაურიგდა.

როცა მოციქულს ეს ამბავი შეატყობინეს, თავის ერთ-ერთ მიმდევარს, მედინელ ანსარს, აბდ ალ-ლაჰ იბნ ანისს ამ საქმის გამოძიება დაავალა.

აბდ ალ-ლაჰ იბნ ანისი სუფიან იბნ ხალიდს მაშინ შემოხვდა, როცა კაცს თავისი ქალები ჩარდახში დაესვა და მათ დასაბინავებლად უსაფრთხო ადგილის საძებნელად მიეშურებოდა. აბდ ალ-ლაჰმა ხალიდს თავი ბედუინად გააცნო და უთხრა:

— გავიგე, მუჰამადის წინააღმდეგ ლაშქარს აგროვებ და შენთან ამიტომაც მოვედიო!

ხალიდ იბნ სუფიანმა მიუგო:

— დიახ, მართლაც ვაგროვებ ხალხს მუჰამადის მოსაკლავადო.

აბდ ალ-ლაჰ იბნ ანისი გაჰყვა ხალიდ იბნ სუფიანს და როგორც კი მარჯვე შემთხვევა მიეცა, კაცი მოკლა, თავი მოაჭრა და მედინაში მოციქულს ჩაუტანა.

ადულისა და კარას ტომელებმა ამის შემდეგ გადაწყვიტეს მზაკვრობითა და მოტყუებით რამდენიმე მუსლიმი მოეკლათ და ამ მიზნით მათი ერთი ჯგუფი მედინაში ჩავიდა. მათ მუჰამადს განუცხადეს:

— ალაჰის მოციქულო, ჩვენ ისლამი მივიღეთ, მაგრამ ახალი სარწმუნოებისა ბევრი არაფერი გვესმის. ამიტომ ეგებ გაგვაყოლო შენი რამდენიმე მიმდევარი, რომ ჩვენს ხალხს ისლამური მოქცევის წესები ასწავლონო!

მოციქულმა ამ საქმისათვის 6 (ზოგი ვერსიით კი 10) კაცი

შეარჩია, მათი ხელმძღვანლობა მარდას იბნ აბი მარდას ალ-ღანავის (სხვა გადმოცემის მიხედვით კი, ასიმ იბნ საბითს) ჩააბარა და ადულისა და კარას ტომელებთან ისლამის საქადაგებლად გაისტუმრა. მოციქულის მიერ წარგზავნილი მიმდევრები იყვნენ: ასიმ იბნ საბითი, ხუბაის იბნ ადი, ზაიდ იბნ დასინა, აბდ ალ-ლაჰ იბნ ტარიკი და ხალიდ იბნ ბუქარი ლაისი, რომელთაგან მხოლოდ მარდასი და ხალიდი იყვნენ მუჰაჯირები, დანარჩენები კი მედინელები ანუ ანსარები გახლდნენ.

როცა მუჰამადის წარგზავნილნი უსაფსა და მექის მახლობლად მდებარე ერთ ადგილთან, რაჯიყთან, ჰუზაილის ტომის კუთვნილ წყაროსთვალთან მივიდნენ, იქ უეცრად შენიშნეს, რომ მათი მასპინძლები კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულნი და მიხვდნენ, მახეში გავებითო. მათ მოულოდნელად გარს შემოერტყა ჰუზაილის ტომის ბანი ლაჰიანის გვარის დაახლოებით ასი კაცი, მაგრამ მუსლიმებმა ალყა გაარღვიეს, თავი ახლომდებარე მთის კალთებს შეაფარეს და მიუხედავად იმისა, რომ ხვდებოდნენ, ძალა უნუგეშოდ უთანასწოროაო, მაინც მტერთან შებრძოლება გადაწყვიტეს.

ჰუზაილის ტომელებმა კი უთხრეს:

— ღერთმანი, თქვენი დახოცვის წადილი გულშიაც კი არ გაგვივლია. გვინდა მექაში ჩაგიყვანოთ და იქაურებს გადაგცეთო!

მუსლიმებმა ერთმანეთს გადახედეს და რამდენიმე მათგანმა მტკიცედ განაცხადა:

— ჩვენ არასდროს არანაირ გარიგებას არ დავდებთ წარმართებთანო! — ხმლები იშიშვლეს და გაიბრძოლეს, მაგრამ ძალები მართლაც უთანასწორო იყო და წარმართებმა ისინი მალევე ამოხოცეს.

ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სულაფას, ტალჰა იბნ აბი ტალჰას მეუღლეს, რომლის ორი ვაჟი უჰუდის ბრძოლაში სწორედ ასიმ იბნ საბითს მოეკლა, აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ ოდესმე თავისი შვილების მკვლელის თავის ქალიდან ღვინო დაელია.

ასიმ იბნ საბითს ეს რომ შეუტყვია, უფალს შეევედრა: ჩემი სხეული წარმართის ტანს არასოდეს მიაკაროო!

როცა ჰუზაილიანებმა მოკლეს იგი და გადაწყვიტეს, რომ თავი მოეჭრათ, რათა მექაში ტალჰასათვის მიერთმიათ, მოკლულის გვამს უეცრად უამრავი ფუტკარი დაესია და მასთან მიკარება ვერავინ გაბედა.

იფიქრეს, საღამომდე მოვიცადოთ და ფუტკარი რომ გაიფანტება, საწადელსაც მაშინ ვეწევითო.

მაგრამ საღამოს თავსხმა წამოვიდა და ისეთი წყალდიდობა დაიწყო, რომ ასიმ იბნ საბითის გვამი თან გაიყოლა და რამდენიც არ ეძებეს, მის ალიკვალს ვეღარსად მიაგნეს.

ჰუზაილიანები კი დანარჩენ მუსლიმებთან ერთად მექის გზას დაადგნენ. ერთ ადგილთან, რომელსაც მარ აზ-ზაჰრანი ჰქვია, აბდ ალ-ლაჰ იბნ ტარიკმა თოკი, რითაც გაეკოჭათ, როგორღაც შემოიხსნა, ხელი ხმალს დასტაცა და ჰუზაილიანებთან შებრძოლება დააპირა, მაგრამ ჰუზაილიანები გაუმანძილდნენ, გარს შემოეწყვნენ და იმდენი ქვა დააყარეს, რომ მიწასთან გაასწორეს. მოკლული იქვე დამარხეს და მისი საფლავი დღემდე შემორჩენილია.

ზაიდი და ხუბაისი კი მექაში ჩაიყვანეს და კარგ ფასად გაყიდეს.[6]

ხუბაისი უკაბა იბნ ალ-ჰარისმა იყიდა, რათა ბადრის ბრძოლაში მოკლული მამის — ჰარის იბნ ამირის სისხლი აეღო და ასეც მოიქცა: ნაყიდ ტყვეს ყელი სახალხოდ გამოჭრა.

ზაიდი კი იმავე მიზნით საფვან იბნ უმია იბნ ხალაფმა შეიძინა და ტყვე თავის მსახურს — ნისტასს გადასცა, რათა მექის გარეთ, თანყიმში გაეყვანა და იქ სიცოცხლეს გამოესალმებინა.

ნისტასმა, ბრძანების აღსასრულებლად, მართლაც წაიყვანა ზაიდი თანყიმში და უკან სეირსმოწყურებული მექელები გაჰყვნენ. მათ შორის აბუ სუფიანიც ბრძანდებოდა.

თანყიმში აბუ სუფიანს ზაიდისათვის უკითხავს:

---

[6] იბნ ჰიშამის ცნობით კი ეს ორი მუსლიმი თავიანთი ანუ ჰუზაილის ტომის ორ კაცში გადაცვალეს, რომლებიც ადრე მექელებს დაეტყვევებინათ.

— გაფიცებ შენს ღმერთს, მართალი მითხარი, არ გინდა ახლა შენს ადგილას მუჰამადი იყოსო!

ზაიდს მიუგია:

— აბუ სუფიან, ვფიცავ ალაჰს, არასოდეს ვისურვებდი, მუჰამადს, სადაც უნდა ბრძანდებოდეს, თუნდ ფრჩხილი წამოსტკივდეს, მე კი ჩემს ცოლ-შვილში განცხრომით ვცხოვრობდეო!

გაოცებული აბუ სუფიანი გარშემომყოფთ მიბრუნებია და უთქვამს:

— მართალი გითხრათ, სხვა არავინ მინახავს, ვისაც ასეთი თავგანწირული მიმდევრები ეყოლებოდა, როგორც მუჰამადსო!

ასე გამოასალმეს სიცოცხლეს ზაიდ იბნ დასინა, ხოლო რაც შეეხება ხუბაიბს, ის კი უკბა იბნ ჰარისმა ერთი თავისი ნათესავის — ჰუჯაირ იბნ აბი იჰაბის სახლში გამოჰკეტა. ამ ჰუჯაირს ერთი მხევალი ჰყავდა, სახელად მავია და ტყვესთან საჭმელს სწორედ ამ ქალს ატანდნენ ხოლმე, რომელმაც შემდგომში, სხვათა შორის, ისლამი აღიარა. მუსლიმურმა გადმოცემებმა შემოინახა მავიას მონათხრობი, რომელიც ამბობს, ღმერთსა ვფიცავ, ჰუბაისზე უკეთესი ადამიანი არსად შემხვედრია. როცა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, ხუბაიბმა თავის მოსაწესრიგებლად და სიკვდილის შესახვედრად, სამართებელი მთხოვა, რათა წვერი გაეპარსა და მე ის სამართებელი ჩემი პატრონის ერთი მცირეწლოვანი ბიჭის ხელით გავუგზავნე. ყმაწვილი რომ ხუბაიბის ოთახში შევიდა, უეცრად ვიფიქრე, ეს რა ჩავიდინე, ხომ შეიძლება, გაბოროტებულმა კაცმა თავისი მკვლელების ნაშიერს რამე ავნოს-მეთქი! საჩქაროდ გავიქეცი და როცა შიგნით შევედი, დავინახე, ხუბაისს ბავშვი კალთაში ეჯინა და რაღაცას ალერსიანად ეკითხებოდა.

მე რომ დამინახა, გაელიმა და მითხრა: — ნუ გეშინია, ჩვენგან, მუსლიმთაგან ღალატი და ორპირობა დაუშვებელიაო.

როცა სხვა ტყვეების მსგავსად, ისიც თანყიმში გაიყვანეს, სანამ მოკლავდნენ, დრო ითხოვა და ორრაქათიანი ნამაზი აღასრულა.

რომ ჩამოახრჩვეს, მისი გვამი ფრინველთა და ნადირთა საჯიჯგნად სახრჩობელაზევე მიატოვეს.

ალაჰის მოციქულმა რომ ეს ამბავი შეიტყო, თავისი მიმდევრები შეკრიბა და ჰკითხა:

— ვინ მოახერხებს, ხუბაისის ცხედარი თანყიმიდან მედინაში წამოიღოსო?

ზუბარმა და მიკდადმა უთხრეს, ეგ საქმე ჩვენ მოგვანდეო, მექაში წავიდნენ და ღამით სახრჩობელასთანაც მიიპარნენ. მაგრამ დაინახეს, რომ გვამს ორმოცი კაცი იცავდა. თუმცა ყველანი გალეშილიყვნენ და აქეთ-იქით უგონოდ ეყარნენ. ზუბაირი და მიკდადიც ფრთხილად მივიდნენ, გვამი სახრჩობელადან ჩამოხსნეს, ცხენზე დააკრეს და მედინისაკენ გაეჩქარნენ. ამასობაში მცველები გამოფხიზლდნენ და მომხდარი სასწრაფოდ მექელებს აცნობეს. მექელები მუსლიმებს უკან გამოუდგნენ და ზუბაირმა როცა დაინახა, მდევარი მოგვეწიაო, ხუბაისის გვამი ცხენიდან გადააგდო. ამ დროს, მუსლიმური გადმოცემების მიხედვით, მიწამ პირი დააღო და ცხედარი უკვალოდ გადაყლაპა. ამიტომაც ხუბაისს მუსლიმურ ტრადიციაში „მიწის ჩაყლაპულს" უწოდებენ.

ზუბაირმა კი ჩალმა მოიხადა, მდევარს აუფრიალა და უთხრა:

— ხალხო, რას სჩადით, მე ზუბაირი ვარ, ავამის შვილი, დედაჩემი კი აბდ ალ-მუტალიბის ასული საფია იყო. ნუთუ ისე გათავხედდით, რომ დევნას მიბედავთ? თუ ბრძოლა გწადიათ, მოდით და შევებათო!

მაგრამ მექელმა მდევრებმა ვითარება აღარ გაართულეს და უკან, თავიანთ ქალაქში გაბრუნდნენ.

ამ ამბებიდან თხუთმეტიოდე დღეში კი კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევა მოხდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბანი ამირის გვარის კაცი, ვინმე აბუ ბარა ამირ იბნ მალიქი, მედინაში მოციქულთან ჩამოვიდა და საჩუქარი მიართვა.

ისლამის მოციქულმა უბრძანა: — მე წარმართის ძღვენს ხელს არ მოვკიდებ და თუ გსურს, შენი საჩუქარი ვიყაბულო, ისლამი მიიღეო!

აბუ ბარას ისლამი არ მიუღია, მაგრამ არც მუჰამადის მტრობა და სიძულვილი გაუმჟღავნებია, მოციქულს ასე მოახსენა:

— თუ შენ მიმდევრებს თან გამომაყოლებ, რათა ნაჯდსა და მიმდებარე მხარეებში ხალხს თქვენი სარწმუნოება უქადაგონ, იმედია, ხალხი ყველაფერს გაიგებს და ისლამსაც მივიღებთო!

მოციქულს ჯერ რაჯიყის ამბები ვერ მოენელებინა; ამიტომაც აბუ ბარას უთხრა: — მეშინია, ნაჯდის მცხოვრებლებმა ჩემს მიმდევრებს არაფერი დაუშავონო!

მაშინ აბუ ბარამ მუჰამადს პირობა მისცა, შენი მიმდევრების უსაფრთხოებას ჩემ თავზე ავიღებო და მოციქულმაც თან თავის მიმდევართა ორმოცკაციანი ჯგუფი აახლა, რომელთა თავკაცობაც მუნზირ იბნ ამრს ჩააბარა. ხოლო ამ ჯგუფში სხვა ცნობილი მიმდევრებიც შედიოდნენ, მაგალითად: ჰარის იბნ სიმა, ჰარამ იბნ მილჰანი, ურვა იბნ ასმა, ნაფი იბნ ბადილი, ამირ იბნ ფუჰაირა და სხვანი.

იარეს და მალე ბანუ სულაიმის სამკვიდრებელ მიწაზე, ერთ ადგილთან, ბირ მაყუნასთან გაჩერდნენ. ერთმანეთში მოილაპარაკეს, რომ ბანი სულაიმის გვარის დასამოძღვრად და მათთვის ისლამის საქადაგებლად ჰარამ იბნ მილჰანი წავიდოდა.

ჰარამმა მოციქულის უსტარი წაიღო და ბანი სულაიმის ტომის თავკაცს, ამირ იბნ ტუფაილს გადასცა.

მაგრამ ამირს მოციქულის უსტარი არც კი გაუხსნია. ჰარამ იბნ მილჰანმა როცა საქმის ვითარება დაინახა, ამირ იბნ ტუფაილის სახლიდან გამოვიდა, იქ მცხოვრებ ხალხში გაერია და დაიძახა: — ხალხნო და ჯამაათნო! მე აქ უფლის მოციქულმა გამომგზავნა, რათა თქვენთვის ერთადერთი და სწორუპოვარი ღვთის მორჩილება მომეწოდებინა!

ამ დროს ერთი კარვიდან კაცი გამოვიდა და ჰარამ იბნ მილჰანს გვერდში შუბი დააძგერა.

ამასობაში იქ ამირ იბნ ტუფაილიც მივიდა და ბანუ ამირის გვარი ჰარამის მოსაკლავად წააქეზა, მაგრამ ხალხმა აბუ ბარას პატივისცემით, ამ საქმისაგან თავი შეიკავა. ამირ იბნ ტუფაილს უთხრეს:

— მუსლიმებს თავშესაფარი აბუ ბარამ მისცა და სულაც არა გვსურს, მას ღირსება შევულახოთო!

მაშინ ამირ იბნ ტუფაილმა ბანუ სულაიმას ტომის სხვა გვარ-

თა ხალხს მოუხმო, კერძოდ, ბანუ უსაია, ბანუ რაყლი და ბანუ ზაქვანი თავის გარშემო შემოიკრიბა და მახლობელ ჭალაში დაბანაკებულ მუსლიმ მისიონერებს ალყა შემოარტყა. ბრძოლაზე უკან არც მუსლიმებმა დაიხიეს და ამ ომში ყველა მათგანი გმირულად დაეცა, გარდა ქაყბ იბნ ზაიდისა, რომელიც უამრავი ჭრილობით დაიჩეხა და რაკი დახოცილ მუსლიმებში ეგდო, მტერმა ისიც დაღუპულად მიიჩნია.

მაგრამ როცა მოწინააღმდეგე უკან გაბრუნდა, ამ ცოცხლმკვდარმა კაცმა მედინაში ჩაღწევა და გამომჯობინებაც კი მოახერხა.

40-კაციანი ჯგუფის ორი წევრი — ამრ იბნ უმაია და მუნზირ იბნ მუჰამადი კი, თავიანთ მეგობრებს უკან ჩამორჩენოდა. თანამოძმეთა ხოცვა-ულეტვას თვალი შორიდან მიადევნეს და გადაწყვიტეს, სასწრაფოდ მექაში დაბრუნებულიყვნენ და მომხდარი წინასწარმეტყველისათვის ეცნობებინათ. მაგრამ მუნზირ იბნ მუჰამადმა დაიძახა:

— არ შემიძლია, როცა მუნზირ იბნ ამრისნაირი კაცი კვდება, მეც მის გზას არ გავყვე და ხალხმა მისი დაღუპვის ამბავი ჩემგან გაიგოსო!

ხმალს ხელი დასტაცა და ბანუ სულაიმას გვარის ხალხს მივარდა. სულაიმელებმა ისიც მოკლეს, ხოლო ამრ იბნ უმაია ტყვედ ჩაიგდეს და ამრ იბნ ტუფაილს მიჰგვარეს.

ამრ იბნ ტუფაილმა როცა შეიტყო, კაცი მუდარის ტომიდან ყოფილაო, მისი გათავისუფლება ბრძანა.

ამრ იბნ უმაია მედინისაკენ გაეჩქარა და კარკარათ ალქუდრამდე მივიდა. იქ ბანუ ამირის ტომის ორ კაცს შეეყარა და, რადგანაც ეს ტომი ბანუ სულაიმას გვარის ხალხის ნათესავი იყო, გადაწყვიტა ჯავრი მათზე ამოეყარა. ორივენი დახოცა და მედინაში დაბრუნდა. მაგრამ არ იცოდა, რომ ბანუ ამირის ტომელებს მოციქულისათვის მორჩილება შეეფიცათ.

მედინაში რომ ჩავიდა, ყველაფერი მუჰამადს უამბო. მოციქული ორი უდანაშაულო მუსლიმის დახოცვამ ძალზე შეაწუხა და ამის გამო ამრ იბნ უმაიას უსაყვედურა, თუმცა იქვე დასძინა: ყველაფერი მაინც აბუ ბარას ბრალიაო!

თვითონ აბუ ბარამ მომხდარი ძალიან განიცადა, ამირ იბნ ტუფაილის საქციელი პირუმტკიცობად და საკუთარი ღირსების გათელვად მიიღო და ზოგი მუსლიმური წყაროს ცნობით, სწორედ ამ ამბავზე ჯავრს გადაჰყვა კიდეც.

მისმა ვაჟმა რაბიყამ კი გადაწყვიტა, ამირ იბნ ტუფაილისათვის საკადრისად ეზღვევინებინა. ერთხელაც თავს დაესხა, შუბი აძგერა და დაჭრილი ცხენიდან გადმოაგდო.

მაგრამ ამირი ამ თავდასხმას ცოცხალი გადაურჩა. თუმცა, მოციქულის წყევლამ უწია და როგორც არაბი ავტორები წერენ, აქლემის მსგავსი კვანძური სიმსივნით, ყელში თუ მუხლზე რომ გამოუვიდა, სული უცხო ტომის, ბანუ სალულის ერთი ქალის სახლში განუტევა.

ამის შემდეგ „აქლემის კვანძის მსგავსი სიმსივნე და სალულის ტომის ქალის სახლში სიკვდილი“ არაბულ მეტყველებაში უცხო მიწაზე, მიუსაფრად აღსრულების სინონიმად იქცა.

## ბანუ ნადირის ტომის განდევნა

ამ ამბებიდან რამდენიმე თვემ ისე გაიარა, რომ მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ბანუ ნადირის ებრაული ტომის განდევნას მათი სამკვიდრებლიდან.

ბანუ ნადირის ტომის დასჯის მიზეზიც მტერთან მათი მოკავშირეობა შეიქნა.

კერძოდ, მედინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ ამ ებრაულ ტომს საუკეთესო მიწები და კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრე რომ ჰქონდა, მოციქულისათვის მეგობრობა შეეფიცა და ვალდებულებას კისრულობდა, რომ მუსლიმთა წინააღმდეგ არაფერი გაეკეთებინა და მათზე არავინ წაექეზებინა.

რაჯიყისა და ბირ მაყუნას სისხლიანი მოვლენების შემდეგ იუდეველებს გული მიეცათ, მუჰამადსა და მის მიმდევრებს დაცინვა დაუწყეს და მათზე გამუდმებით სატირულ ლექსებს გამოთქვამდნენ.

მოციქულმა ამით იუდეველი მოკავშირეების ნამდვილი გუ-

ლისთქმა შეიტყო და ბუნებრივია, მათმა ამგვარმა საქციელმა გული ატკინა, მაგრამ წყენა არ გაამჟღავნა და მოვლენები ცოტა ხნით ნებაზე მიუშვა.

ამასობაში ბირ მაყუნასთან ამრ იბნ უმაიას მიერ იმ ორი ამირის ტომელი მუსლიმის მკვლელობამ მოციქული აიძულა, მოკლულთა ნათესავებისათვის სისხლის საფასურის გადახდაზე ეზრუნა.

რადგან ბანუ ამირის ტომი მოციქულის მსგავსად ბანუ ნადირის ებრაელი ტომის მოკავშირეც იყო, მოციქულმა გადაწყვიტა სისხლის გამოსასყიდის გადახდაში დახმარება ბანუ ნადირის ტომისათვისაც ეთხოვა. თან რამდენიმე ერთგული კაცი გაიყოლა და ბანუ ნადირის ტომელებს თავიანთ სამკვიდრებელში ააკითხა.

ბანუ ნადირის ტომელებმა მოციქულს სიტყვით დახმარება აღუთქვეს და სთხოვეს მათ სამკვიდრებელში ცხენიდან ჩამობრძანებულიყო. წინასწარმეტყველი ჩამოქვეითდა და კოშკის ძირას ჩაიმუხლა.

ტომის რამდენიმე თავკაცი კი სანოვაგისა თუ ფულის გამოსატანად ციხესიმაგრეში შევიდა და ერთმანეთში მოითათბირეს:

— ამ კაცის მოსაკლავად, დღეს რომ გვაქვს, იმაზე უკეთესი შემთხვევა აღარასოდეს მოგვეცემა. კარგი იქნებოდა, კოშკის თავზე ვინმე აგვეგზავნა და მისთვის ზემოდან ლოდი გადაეგდოო!

ეს აზრი ყველამ მოიწონა და მხოლოდ ერთი კაცი — სალამ იბნ მიშქამი შეეწინააღმდეგა: ეგებ, ღმერთმა მუჰამადს ამის შესახებ ფარულად აცნობოსო!

მაგრამ იუდეველებმა მის სიტყვებს ყური არ ათხოვეს და ვინმე ამრ იბნ ჯიჰაში განზრახულის აღსასრულებლად კოშკის თავზე აგზავნეს.

თუმცა სანამ თავიანთ ჩანაფიქრს განახორციელებდნენ, მუჰამადს მტრის განზრახვის შესახებ მთავარანგელოზმა აცნობა.

მოციქული ადგილიდან ელდანაკრავივით წამოვარდა და ისე რომ მხლებელთათვისაც კი არაფერი უთქვამს, მედინისაკენ გაეჩქარა.

მედინიდან კი თავისი ერთი მიმდევარი — მუჰამად იბნ მუს-

ლიმა ბანუ ნადირის ტომელებთან გააგზავნა და შეუთვალა:

— თქვენ მოციქულთან დადებული აღთქმა გატეხეთ და მისი მკვლელობა განიზრახეთ. ამის გამო ათი დღე გეძლევათ! თუ ამ ვადაში თქვენი სამკვიდრებლიდან აიყრებით და თან არაფერს წაიღებთ, ხომ კარგი, თუ არა და დედაწულიანად ამოგხოცავთო!

მუჰამად იბნ მუსლიმამ რომ ეს დანაბარები ბანუ ნადირის ტომელთ გადასცა, მათ იფიქრეს, მუჰამადის მომხრეებს წინააღმდეგობას ვერ გავუწევთო და თავიანთი სამკვიდრებლიდან ასაყრელად გაემზადნენ, მაგრამ მედინელი თვალთმაქცების მეთაურმა აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაიმ შემოუთვალათ:

— ადგილიდან არ გაინძრეთ, ჩვენ 200 კაცით დაგეხმარებით, იუდეური ბანუ კურაიზას მთელი ტომიც მოგეშველებათ და მუჰამადს თქვენს თავს არ დავაჩაგვრინებთო!

ბანუ ან-ნადირის ტომელები ამ დანაპირებს ენდნენ და თავიანთი სამკვიდრებლიდან აღარსად წასულან, სამაგიეროდ, ციხე-კოშკი გაამაგრეს და როცა მუჰამადის მიერ მიცემული ვადა ამოეწურათ, შიგ შეიკეტნენ.

მუჰამადიც მათკენ დაიძრა და მათ ციხე-კოშკს ალყა შემოარტყა. ალყა საკმაოდ დიდხანს, ზოგი ცნობით 15, ზოგი წყაროს მიხედვით კი 21 დღეს გაგრძელდა და მუჰამადმა ამბის მოსათავებლად მისთვის ძალზე უჩვეულო ხერხსაც კი მიმართა: თავის მებრძოლებს უბრძანა, ბანუ ნადირის პალმის ბაღები გაენადგურებინათ.

მოციქულისაგან, რომელიც გამოცხადების მეშვეობითაც და პირად ქადაგებებშიც, მუდამ გარემოსა და ბუნების თავგადადებულ დამცველად გვევლინება, ეს ბრძანება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ზოგი მუსლიმი ავტორი აცხადებს, ეს მხოლოდ მტერზე ზემოქმედების ერთგვარი ხერხი იყო და მუსლიმებმა მარტო დაზიანებული ხეები გაჩეხესო.

იბნ მასყუდი კი თავის მუჰამადის ცხოვრებაში ამბობს: სულ რაღაც ექვსი პალმის ხე იყო და ისინიც მხოლოდ იმიტომ მოჭრეს, რომ მუსლიმთა მხედრებს წინსვლაში ხელს უშლიდაო.

ყოველ შემთხვევაში, როცა იუდეველებს აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის დახმარების იმედიც გადაუწყდათ და რამე არც ბანუ

კურაიზას ტომელთაგან ისმოდა, თანდათან შიშმა და ძრწოლამ დარიათ ხელი, მუჰამადის დანებება გადაწყვიტეს და მედინიდან გასასვლელად ხელშეუხებლობის პირობა ითხოვეს.

მუჰამადმა უსაფრთხოების გარანტია იმ პირობით მისცა, თუ თითოეული ოჯახი მხოლოდ ერთ აქლემს წაიყვანდა და თან იმდენ ქონებას წაილებდა, რაც ამ აქლემზე დაეტეოდა, დანარჩენს კი, ყველაფერს ადგილზე დატოვებდნენ.

ბანუ ნადირის ტომი მედინიდან აიყარა და ზოგი მათგანი ხაიბარის უღელტეხილზე, ზოგი კი სირიაში (შამში) გადასახლდა.

მათი განდევნის შემდეგ მოციქულმა ეს მიწები მუჰაჯირებს დაუნაწილა და ამით ცხოვრების მცირედი სახსარი გაუჩინა. ხოლო ანსარები ამჯერად წილის გარეშე დატოვა, ღვთიური ზეშთაგონების თანახმად იმოქმედა, მაგრამ ეს, სხვათა შორის, აუცილებლობითაც იყო მოტივირებული, რადგან მუჰაჯირებს იმ დრომდე მედინაში მინის საკუთრება არ გააჩნდათ.

## მუჰამადის ქორწინება ჰინდ უმ სალამასა და ზეინაბ ბინთ ხუზაიმაზე

მუჰამადმა ბანი ნადირის ტომის განდევნის შემდგომ პირად ცხოვრებაზე იზრუნა და თავის ცოლებს კიდევ ორი ცოლი დაუმატა: ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უჰუდის ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად მედინაში გარდაცვლილი აბუ სალამას ქვრივი ჰინდ უმ სალამა — აბუ უმაია მახზუმის ქალი, ხოლო მეორე ბადრის ბრძოლაში დაცემული მუსლიმის, მუჰამადის ბიძაშვილის უბაიდა იბნ ალ-ჰარის იბნ აბდ ალ-მუტალიბის ქვრივი — ზეინაბ ბინთ ხუზაიმა.

ორივე ეს ქალი უმფარველოდ იყო დარჩენილი და დიდ ნივთიერ და სულიერ შეჭირვებას განიცდიდა, ამიტომაც გულკეთილმა მოციქულმა ისინი ცოლად მოიყვანა და ამით სიღარიბისა და შიმშილისაგანაც იხსნა.

სხვათა შორის, მუჰამადის ბევრ ცოლს სწორედ ამ ნიშნით ერგო მოციქულის თანამეცხედრეობის პატივი და შეუძლებე-

ლია, ასეთ შემთხვევებში, მუჰამადს სექსუალური ცხოვრების მიმართ გადაჭარბებული ცნობისწადილი დავაბრალოთ. მას უფრო კეთილშობილება და გულმოწყალება ამოძრავებდა, თორემ რაღა ხანმოთეულ ქვრივებს შეირთავდა, როცა ასობით ახალგაზრდა ლამაზი ქალი მის მეუღლეობას, მართლაც, რომ ინატრებდა.

ყოველ შემთხვევაში, თუნდაც იგივე ზეინაბ იბნ ხუზაიმა იმდენად ხანშიშესული იყო, რომ მოციქულთან ქორწინების შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია და იმავე წელს, ანუ ჰიჯრის მეოთხე და ქრისტიანული წელთაღრიცხვის 626 წელს გარდაიცვალა.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, მოციქულმა მისი სიკვდილის შემდეგ შეირთო უმ სალამა და განსვენებული ზეინაბ ბინთ ხუზაიმას ოთახში დააბინავა.

უმ სალამამ კი ამის შემდგომ კარგა ხანს იცოცხლა, ჰიჯრის 65 წელს გარდაიცვალა და მუჰამადის შემდგომდროინდელი მუსლიმური თემის ისტორიაში მნიშვნელოვანი და ღირსეული როლიც ითამაშა.

ბანუ ნადირს ტომის გაძევების შემდეგ კი საქმე ნელ-ნელა დალაგდა. მექელმა არაკეთილმოსურნეებმა დაინახეს, რომ მართალია, მოციქული უჰუდის ბრძოლაში მწარედ დამარცხდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც შესწევდა ძალა, ვითარება ნებაზე არ მიეშვა და ყველა მტრული ძალისათვის საკადრისი პასუხი გაეცა.

## ზათ არ-რუკაყის, დუმათ ალ-ჯანდალისა და ალ-ბადრ ას-სუღრას ღაზავათები

ამ ხანებში მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღაზავათი, რომელთაგან მუსლიმურმა ანალებმა საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახეს ე. წ. „ზათ არ-რუკაყის“ ღაზავათზე.

„ზათ არ-რუკაყი“, იბნ ჰიშამის ცნობით, მედინასთან მდებარე ერთი ადგილის სახელია, სადაც ქვემოთ აღწერილი ამბები დატრიალდა. თვითონ სიტყვა „რუკაყ“ არაბულად ნაჭრებს,

ნაფლეთებს ნიშნავს, ხოლო „ზათ არ-რუკაყ“ — შესაბამისად, ქართულად „ნაჭრებიანი“, ნაფლეთებიანი“ გამოვა. ამის გამო შემდგომდროინდელ მუსლიმურ ანალებში ჩნდება წინააღმდეგობრივი განმარტებანი, იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ეწოდა ასე აღნიშნულ ღაზავათს. ზოგი მუსლიმი ისტორიკოსის ცნობით, რადგანაც მუსლიმთა ლაშქარს სიცხეში სიარულისაგან ფეხები დაუსკდათ და დაუწყლულდათ, ჭრილობებზე ქსოვილის ნაჭრები შემოიხვიეს და ამიტომაც მათ ლაშქრობას „ზათ არ –რუკაყი“ უწოდესო.

ხოლო მეორე ვერსიით, ზათ არ-რუკაყ იყო წარმართთა სალოცავი ხე, დაახლოებით ქართული ხალხური რწმენა-წარმოდგენების „ნატვრის ხის“ ტიპისა, რომელთანაც გაჭირვებული ადამიანები მიდიოდნენ, ქსოვილის ნაჭრებს აბამდნენ და სურვილებს ჩაუთქვამდნენ. ეს ხე კი ბანუ ღატაფანის ტომის საცხოვრებელ ადგილას იდგა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, მთავარი ისაა, რომ მოციქულს შეატყობინეს, არაბული ღატაფანის ტომი იარაღდება და მუსლიმურ თემზე თავდასასხმელად ემზადებაო.

მოციქულმაც სასწრაფოდ შეკრიბა თავისი მიმდევრები და ღატაფანის ტომელთა სამკვიდრებლისაკენ გაემართა. როცა მოწინააღმდეგის მიწა-წყალთან მივიდნენ, ღატაფანის ტომელები მიხვდნენ, წინააღმდეგობის გაწევის თავი არა გვაქვსო, თავიანთი სახლებიდან აიყარნენ და ახლომდებარე მთიანეთს შეეფარნენ. ზოგი მათგანი კი მოციქულს ტყვედ ჩაუვარდა. გარდა ამისა, მუსლიმებს დარჩათ დიდძალი ალაფი — ღატაფანელთა საცხოვრებელი სახლებისა და სარჩო-საბადებლის სახით.

კიდევ ერთი ლაშქრობა, სადაც მუჰამადის ლაშქარმა სრულიად უსისხლოდ ხელში ჩაიგდო უამრავი ნაალაფარი, დუმათ ალ-ჯანდალის ღაზავათი იყო. მიზეზი ამ დროსაც იგივე გახლდათ, რაც წინა ლაშქრობისას: მუჰამადს შეატყობინეს: ერაყისა და სირიის გზაზე, მაშინდელი აღმოსავლეთ რომის საზღვართან მდებარე დუმათ ალ-ჯანდალში (რომელსაც მედინამდე 15 დღის სავალი გზა აშორებდა) მცხოვრებმა ბედუინებმა ისლამის წი-

ნააღმდეგ შეთქმულება ჩაიფიქრეს და მედინაზე გამოსალაშქრებლად ემზადებიანო.

მუჰამადმა სასწრაფო იხმო თავისი მომხრეები და ბედუინების ჩასაშოშმინებლად დუმათ ალ-ჯანდალისაკენ გაემართა, მაგრამ იქ მისულს უკვე აღარავინ დახვედრია. არაბებს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ შეეტყოთ და თავიანთი სამკვიდრებლიდან გადახვეწილიყვნენ. მაგრამ სიჩქარეში თითქმის ხელუხლებლად დაეტოვებინათ მთელი თავიანთი სარჩო-საბადებელი. ასე რომ, დუმათ ალ-ჯანდალის ღაზავათის მონაწილეებმა ძალიან იხეირეს: უკან, მედინაში დიდი ქონებით დაბრუნდნენ და გარდა ამისა, დუმათ ალ-ჯანდალის ღაზავათმა ისინი უკვე ახალი სივრცეებისაკენ გაახედა.

ამასობაში კი, უჰუდის დამარცხებიდან ერთი წელი გავიდა და უჰუდის ბრძოლის დასასრულს აბუ სუფიანის მიერ დადებული პირობის ვადაც მოახლოვდა, როცა ლაშქართან ერთად მექაში გაბრუნების წინ მუსლიმებს გადასძახა: გაისად, ზუსტად ერთ წელინადში, ერთმანეთს ისევ ბადრში შევხვდებით და რაც ახლა დაგაკელით, მერე იქ აგინაზღაურებთო!

მუჰამადი ამ მუქარაზე მთელი წელი ფიქრობდა და როცა დათქმულ ვადა მოახლოვდა, ბადრისაკენ დაძვრას აპირებდა.

მაგრამ წინა წლის განმავლობაში აბუ სუფიანს უამრავი სიძნელე შეხვდა და თავისი მუქარის შესასრულებლად თვითონვე ძალა აღარ შესწევდა. ამიტომაც გადაწყვიტა მუჰამადი უბრალოდ შეეშინებია და მექიდან მედინაში მიმავალ ვინმე ნუყაიმ იბნ მასყუდ ალ-აშჯაყის დაავალა, როგორმე საქმე ისე მოაგვარე, რომ დათქმული ბრძოლა გადაავადო. სამაგიეროდ კი, ამდენ და ამდენ ფულს გადაგიხდიო!

ნუყაიმი მედინაში ჩავიდა, მოციქულს მიაკითხა და იმდენი ტყუილი ელაპარაკა აბუ სუფიანის ლაშქრის სიძლიერესა და შეიარაღებაზე, რომ სურდა ამით მოციქულისათვის მტერთან ბრძოლის სურვილი დაეკარგვინებია.

მაგრამ მუჰამადმა ბრძანა:

— ვფიცავარ ალაჰს, მათთან ბრძოლაზე უარს მაინც არ ვიტყვი, თუნდ ბრძოლის ველზე თან არავინ გამომყვესო!

მაგრამ მოციქულს თან 1500-მდე მუსლიმი გაჰყვა და მედინიდან გამოვიდნენ. მათ სულ ათამდე ბედაური ჰყავდათ.

ე. წ. „ალ-ბადრ ას-სუღრასთან“ ანუ მცირე ბადრთან რომ მივიდნენ, სადაც არაბული ტომები ბაზრობებს მართავდნენ და თავიანთი ნაწარმი ერთმანეთში გასაცვლელად და გასაყიდად გამოჰქონდათ ხოლმე, მუსლიმებმა უამრავი სურსათი და სხვადასხვა ნივთი შეიძინეს, რათა საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი ბრძოლისათვის აუცილებელი მარაგი ჰქონოდათ.

მექის მხრიდან კი აბუ სუფიანი 2000 მხედრითა და ხუთასი ცხენით გამოვიდა და მარ აზ-ზაჰრანამდე იარა. მაგრამ იქ თავისი ლაშქრის მეთაურები შეკრიბა და უთხრა:

— უკან დავბრუნდეთ, რადგან წელს დიდი გვალვა იყო და ამან საგრძნობლად დაგვასუსტა. ამიტომაც, ახლა მტერთან შებმა გონივრული არ მეჩვენება. ბრძოლა იმ წელს უნდა გაიმართოს, როცა საკმარისი ბალახი იქნება, რათა ცხოველებს საძოვარი ჰქონდეთ და მებრძოლები იმათი რძით იკვებებოდნენო.

ამ მიზეზით, რამდენიმე დღე მარ აზ-ზაჰრანში დარჩნენ, იქ მშვენივრად მოილხინეს, ღვინო სვეს, კარგად იმხიარულეს და მექაში დაბრუნდნენ. კურაიშელებს ეს ამბავი არ ეჭაშნიკათ და აბუ სუფიანის ამ მგზავრობას „ღვინის ტიკთა ლაშქრობა“ უწოდეს, რადგანაც მოლაშქრეებს საყვედურობდნენ, საქმის კეთება არ გინდოდათ და ქალაქიდან სმისათვის წახვედითო!

სამაგიეროდ, მუსლიმებმა ამ ვითარებით მართლაც იხეირეს. მტრის მოლოდინში ისინი დროს უქმად არ კარგავდნენ, ყოველდღე ალ-ბადრ ას-სუღრას ბაზრობაზე მიდიოდნენ და ყიდვა-გაყიდვაში ისე გაიწაფნენ, რომ რვა დღის შემდეგ, როცა, ბოლოს და ბოლოს, მედინაში დაბრუნდნენ, გვარიანი ქონება დააგროვეს. გარდა ამისა, სხვადასხვა არაბულ ტომებთან საუბრისა და ისლამის ქადაგების ამაზე უკეთეს საშუალებას ძნელად თუ იშოვნიდნენ და ეს საშუალება, ცხადია, კარგად გამოიყენეს. ყოველ შემთხვევაში, თანამოძმეთა თვალში უპუდის ბრძოლის შედეგთა გამო შებღალული ავტორიტეტი აღიდგინეს, რადგან სავაჭროდ თავშეყრილმა არაბულმა ტომებმა თავისი თვალით იხილეს და დარწმუნდნენ, რა რეალურ ძალას ფლობდა თურმე მუჰამადი.

რაც მთავარია, ეს ძალა იარაღზე დაფუძნებული კი არა, რწმენიდან და თავგანწირვიდან წამოსული იყო. უაღრესად პრაქტიკული გონების არაბები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესის გამო, ვერავის მორჩილებას ვერ ეგუებოდნენ და პიროვნულ თავისუფლებას სიცოცხლის ფასადაც კი არავის დაუთმობდნენ, გაოცებულები შეჰყურებდნენ, როგორ სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მეთაურს მუსლიმები და მუჰამადისათვის თავგასაწირად ყოველთვის მზად იყვნენ.

ეს თავგანწირვა სხვადახვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა. მაგალითად, სწორედ იმ ხანებში, ანუ დაახლოებით ჰიჯრის მეოთხე წლის დასაწყისში, მუჰამადის შვილობილმა ზაიდმა საყვარელ ქალთან ცხოვრება მოციქულის კეთილგანწყობას ანაცვალა.

## ზეინაბ ბინთ ჯაჰშთან ქორწინება

საქმე კი ასე იყო: ერთხელ მოციქულმა, ჩვეულებისამებრ, თავის შვილობილს ზაიდს შეუარა. ზაიდი შინ არ დაუხვდა, მისმა ცოლმა ზეინაბმა კი სტუმარი შინ შეიპატიჟა და თანაც ტანზე სა-შინაო შილიფი სამოსის გასწორებას ცდილობდა. მაგრამ ამასობაში მუჰამადმა საკმარისის დანახვა მოასწრო და ზეინაბის მშვენებამ ადგილზე გააქვავა: „ღმერთო მოწყალეო, როგორ შეგიძლია შეცვალო კაცის გული!“ — წამოიძახა მან. მერე უკან გაბრუნდა, მაგრამ ზეინაბიც არანაკლებ მოიხიბლა იმ აღტაცებით, რაც მოციქულში მის მშვენებას გამოეწვია და, როდესაც ქმარი შინ დაბრუნდა, ქალი ადგა და ყველაფერი პირდაპირ უამბო. ზაიდი მაშინვე მოციქულთან გაეშურა და განუცხადა: მზად ვარ, ცოლს გავეყარო, თუკი ამას მოციქული მოიწადინებსო. მუჰამადმა მისი შეთავაზება არ მიიღო, მაგრამ ზაიდმა მაინც იოლად შეამჩნია, როგორ ეამა მუჰამადს ეს ნათქვამი.

ზაიდს ცოლთან უამისოდაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ზაინაბი მაღალი წრისა იყო, ზაიდი კი — ყოფილი მონა, რომელიც მუჰამადმა გამოისყიდა, აზატჰყო და შვილად აიყვანა.

როგორც ჩანს, მოციქულთან დაკავშირებული ინციდენტი ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ზაიდი ცოლს კიდეც გაეყარა. მაგრამ მუჰამადს ქალის ცოლად შერთვა მაინც არ უჩქარია.

დოზის შენიშვნით: „ზაიდთან ასეთი ახლო ურთიერთობა რომ არ ჰქონოდა, მრავალცოლიანობაზე არაბთა მშვიდი შეხედულების გათვალისწინებით, ქალს ცოლად აუმღვრეველი სინდისით მოიყვანდა და სხვათა გასაკიცხიც არა ექნებოდა; მაგრამ ზაიდი ხომ მისი შვილობილი იყო, ხოლო შვილობილის გაყრილ ცოლზე დაქორწინება არაბთა თვალში რძალზე, ალალი შვილის ცოლზე ქორწინებას უტოლდებოდა.“

დიდხანს არ გაუვლია, რომ ერთხელაც აიშასთან მისული მუჰამადი ტრანსში ჩავარდა, ხოლო როცა გონს მოეგო, გაიღიმა და დაიძახა:

— წავიდნენ და უთხრან ზაინაბს, რომ ალაჰმა ცოლად მომცაო!

ქორწილი კი გადაიხადეს, მაგრამ საქმეს მითქმა-მოთქმისა და ჭორის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. მაშინ ზეგარდმოევლინა ახალი გამოცხადება, რომელმაც ავი ენები ერთიანად დაადუმა.

ეს ფრაგმენტი, რომელიც კანონიკური ყურანის 33-ე სურის ნაწილად გვევლინება, აცხადებს, რომ შვილობილები ღვიძლი შვილების მსგავსნი არ არიან და მათთან გაყრილი ქალები შეიძლება გათხოვდნენ ყოფილ ქმართა მამობილებზე.

## მუჰამადის ჰარემი

ამ ინციდენტის გარდა, მუჰამადის ჰარემში სხვადასხვა დროს დატრიალებული ამბებიც არანაკლებ საინტერესოა. ამ ამბებს ყურანში იმდენად დიდი ადგილი უჭირავს, რომ მკვლევარი მათ გვერდს დუმილით ვერ აუვლის.

მით უმეტეს, ეს ცნობები თვითონ მუსლიმურ წყაროებშია შემონახული და მუსლიმმა ავტორებმა შესანიშნავად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. მათ არ სურდათ მუჰამადი ზეკაცად, ადამიანურ ვნებათაგან დაცლილ პიროვნებად წარმოეჩინათ. პირიქ-

ით, თვითონ ყურანშიც რამდენჯერმე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მუჰამადი ჩვეულებრივი ადამიანია და არა — ანგელოზი. ჩვეულებრივ ადამიანს კი, თავისი მდიდარი, წინააღმდეგობრივი ცხოვრება ჰქონდა, რომლის ცალკეული ეპიზოდი ყურანისათვის რაღაც დიდი, ზედროული მცნებების ხალხისათვის უკეთ გასაგებინებლად განზოგადდა.

ამიტომაც მუჰამადის ჰარემის ისტორია იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ მის გარეშე, ქალებთან დაკავშირებით ყურანის ამა თუ იმ პასაჟისა და მითითების გაგება ჩვენთვის, თუ მთლად შეუძლებელი არა, აუცილებლად ნაკლული იქნებოდა.

ყველაზე დაწვრილებითი ცნობები მოციქულის ცოლებსა და მათთან მუჰამადის ურთიერთობის შესახებ XII საუკუნის არაბი ავტორის იბნ საყდის თხზულებამ — „ატ-ტაბაკათმა" შემოგვინახა, რომელიც, ძირითადად, ზუჰრის გადმოცემებს ეყრდნობოდა. ამ საკითხის ევროპელი მკვლევარები, მათ შორის ა. შპრენგერი, რომელმაც აღნიშნულ თემას თავის წიგნში მთელი თავი მიუძღვნა („მოციქულის ცოლები", ტ. III, გვ. 61-87), უმთავრესად იბნ საყდის ზემოთ ნახსენები თხზულებით სარგებლობდნენ.

დოზი, უბრალოდ, ხელახლა ჰყვება იმას, რასაც შპრენგერთან ვკითხულობთ.

კრიმსკის შენიშვნით, მუჰამადს თოთხმეტი მთავარი ცოლი ჰყავდა: 1) ხადიჯა 2) სავდა 3) აიშა 4) ზაინაბ ბინთ ხუზაიმა 5) ჰაფსა 6) უმ სალამა 7) ჯუვაირია 8) ზაინაბ ბინთ ჯაჰში 9) რაიჰანა-ებრაელი 10)უმ ჰაბიბა, აბუ სუფიანის ქალიშვილი 11) საფია-ებრაელი („ჩვეულებრივი ურია", როგორც შეაფასა ეს მზეთუნახავი ეჭვიანმა აიშამ) 12) მაიმუნა 13) ფატიმა და 14) ასმა-ქინდის ტომელი.

მაგრამ მათ გარდა, მუჰამადი, ყურანის XXXIII სურის 49-ე აიაზე დაყრდნობით, მოკლე ვადით სხვა ქალებზეც ქორწინდებოდა. ბევრი მუსლიმი ამ გარემოებით აღშფოთებული იყო, ხოლო აიშამ პირში უთხრა მუჰამადს: შენი ღმერთი რაღაც ძალზე საეჭვოდ ირჯება შენი ხუშტურების საამებლადო. იმ დროიდან მოყოლებული მოციქული თავის მხევლებს, ჩვეულებრივ,

სხვათა სახლებში აბინავებდა და ჰარემში აღარ მიჰყავდა. განსაკუთრებულ, ვნებიან ლტოლვას კი კოპტი მხევლის მარიამისადმი (მარიათასადმი) განიცდიდა.

უკვე ვიცით, რომ ხადიჯას გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე თვეში, ანუ ჯერ კიდევ მექაში მუჰამადი ხელახლა დაქორწინდა და ცოლად მოიყვანა სავდა — ქვრივი ქალი, რომელიც ახალი სარწმუნოების თავგადადებული მიმდევარი გამხდარიყო.

ამას გარდა, დავინახეთ ისიც, რომ წინასწარმეტყველზე დაწინდეს მისი უახლოსი მეგობრის აბუ ბაქრის გოგონა აიშა, რომელიც იმხანად მხოლოდ 6-7 წლისა იყო. ქორწინებით კი, მასზე მედინაში გადასახლების შემდგომ იქორწინა და ამრიგად 50 წლის მოხუც კაცს ცოლად მისცეს 11 წლის გოგონა, რომელიც ჯერ კიდევ საბავშვო სათამაშოებით ერთობოდა. მაგრამ ეს ბავშვი გონებითაც და სხეულითაც მალე მოიწიფა. გამჭრიახმა და ხალისიანმა აიშამ თავის ქმარზე მალე განუზომელი ზეგავლენა მოიპოვა.

ამ ორ ცოლს შემდგომში მუჰამადმა ჰაფსა, თავისი მეგობრის უმარის ასულიც დაუმატა, მერე კი ამათ მოაყოლა ზაინაბი, ბადრის ბრძოლაში დაღუპული ერთი მუსლიმის ქვრივი და უმ სალამა, ქვრივი მეორე მორწმუნისა, რომელიც უჰუდთან ბრძოლისას მიყენებული ჭრილობებით გარდაცვლილიყო.

მაგრამ მოციქული არც ამ ქალებს დასჯერებია.

მალე ქალებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ყოფით პრობლემაზე ზეგარდმოვლენილი იქნა სხვა გამოცხადებაც, რომლის მიზეზიც ახლა უკვე აიშა შეიქნა.

მუჰამადმა იგი ერთ-ერთი ლაშქრობისას თან იახლა. ახლო-მახლო მომთაბარე ბედუინთა დასამორჩილებლად გამართული ეს ლაშქრობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ იქ აიშას წაყვანა ყოვლად უშიშრად შეიძლებოდა. ქალი დახურულ ჩარდახში ჩასვეს და ისე წაიყვანეს. მაგრამ, როცა უკანა გზობისას მისი ჩარდახი გადახსნეს, აიშა იქ აღარ დაუხვდათ.

ცოტა ხანში ერთ-ერთი მუჰაჯირი, საფვანი დაინახეს, რომელსაც ქალი აქლემზე შემოესვა, თვითონ კი ხელში აღვირი ჩაებღუჯა და გზას მოუყვებოდა.

აიშამ განაცხადა, გულსაბნევი დამეკარგა და ძებნა-ძებნაში კარგა შორს წავედი. ამასობაში მებარგულნი მოსულიყვნენ, ეგონათ, შიგნით ვიყავი და ჩარდახი აქლემის ზურგზე შემოედოთო.

ეს შეცდომა, მართლაც, იოლად შეიძლება დამართნოდათ, რადგან, გადმოცემით, აიშა გამხდარი და სუსტი აღნაგობის ქალი ყოფილა.

უკან მობრუნებულ აიშას, ადგილზე რომ აღარავინ დახვედრია, მეტისმეტად გაჰკვირვებია. სამოსი ტანზე შემოუხვევია, ჩამომჯდარა და იმ იმედით, რომ მოისაკლისებდნენ და წასაყვანად მოუბრუნდებოდნენ, ლოდინი დაუწყია.

ამასობაში საფვანიც გამოჩენილა, რომელიც ასევე რაღაცის გამო მოლაშქრეებს ჩამორჩენოდა. ქალის დანახვას გაუოცებია, იგი აქლემზე შემოუსვამს და მედინისაკენ წამოუყვანია.

ასე ჰყვებოდა ამ ამბავს აიშა, მაგრამ მუდამ საქილიკოდ და საჭორაოდ მომართულმა არაბებმა მომხდარი სრულიად სხვაგვარად განმარტეს. თვითონ მუჰამადიც ცოლის სიტყვებმა ვერაფრით დააშშვიდა და აიშას ძალზე ცივად ექცეოდა. ქალმა ეს ამბავი გულთან მეტისმეტად ახლოს მიიტანა და ლოგინად ჩავარდა. სხვა დროს ეს ურთიერთობათა გარკვევის უებარი საშუალება იყო, მაგრამ ამჯერად ვერც ამ ხერხმა გაჭრა — მუჰამადი უწინდებურად ამღვრეულ გუნებაზე იყო. მაშინ აიშამ ქმარს მშობლების სახლში დაბრუნების ნებართვა სთხოვა და ყაბულიც მიიღო. ქალის მტრები და ავისმოსურნენი ზეიმობდნენ: რახან ქმარი ასე მოექცა, ესე იგი, მისი ცოდვაც მხილებულიაო.

მუჰამადისათვის ეს ვითარება უკიდურესად უსიამოვნო იყო და აი, ერთხელაც, მეჩეთის კათედრიდან იქ შეკრებილ ჯამაათს განუცხადა:

რას ეჩრებით იმ საქმეებში, მხოლოდ და მხოლოდ მე რომ შემეხება?! რამ გაგათამამათ ისე, რომ ჩემი ოჯახის წევრებზე იჭორაოთ! ყოველ შემთხვევაში, თვითონ მე მათზე კარგის მეტი არაფერი ვიცი. ამასთან თქვენ ცილს სწამებთ ერთ კაცსაც, რომელზედაც ასევე კარგის მეტი არა მსმენიაო.

მაგრამ ყველაფრისათვის წერტილის დასასმელად ეს მაინც არ კმაროდა. მართალია, იყვნენ ადამიანები, რომლებიც აიშას

ღირსებას მხურვალედ იცავდნენ, მაგრამ რაკი ეს ღირსება იმხანად ჯერ კიდევ რწმენის ერთ-ერთ სიმბოლოდ არა ქცეულიყო, ისეთებიც მრავლად გამოჩნდნენ, ვინც აიშას უმანკოებაში ეჭვი შეიტანა. ხალხი ამ ამბავზე ცხარედ კამათობდა. მუჰამადი კი რჩევას ოსმანსა და ალის დაეკითხა. ოსმანმა მიუგო, რომ მთელ ამ ლაყბობას წმინდა წყლის ცილისწამებად მიიჩნევდა, ხოლო ალიმ და აიშამ მას ეს ვერასოდეს აპატია — თავისი აზრი უფრო ფრთხილად გამოთქვა და მუჰამადს ურჩია, ამბის შედეგთა მოგვარებისათვის გარჯილიყო.

მაგრამ რა უნდა ექნათ? მოწმეები არ არსებობდნენ, ამიტომაც ისე მოიქცნენ, როგორც ყველა და ყველა დროში მოიქცეოდა: ან უნდა დაეჯერებინათ აიშას ნაამბობი ანდა სიცრუედ მიეღოთ, მაგრამ ვერც მის უბრალოებასა და ვერც ბრალეულობას ვერაფერი დაადასტურებდა. ეს კარგად ესმოდა მუჰამადსაც. იგი აიშასთან მივიდა და უთხრა:

„კარგად იცი, შენზე რასაც ლაპარაკობენ. ღვთის შიში იქონიე. თუ დამნაშავე ხარ, მოინანიე და ალაჰი მიიღებს მონანიებას იმისას, ვინც მას ემონება.“

ქალი დუმდა. როგორც შემდგომ თვითონვე ჰყვებოდა, იმედი ჰქონდა, რომ მის მაგივრად მისი მშობლები ილაპარაკებდნენ, მაგრამ რაკი ისინიც დუმდნენ, ბოლოს და ბოლოს, აკანკალებულმა აიშამ დაიძახა: „ვფიცავ ალაჰს, არასოდეს დამჭირდება სინანული იმის გამო, რასაც მეუბნები. ხსნასა და საშველს არსაით ველოდები. თუ ჩემს დანაშაულს ვაღიარებ, ალაჰმა ხომ იცის, რომ უბრალო ვარ, ხოლო თუ უარვყოფ, მაინც არავინ დამიჯერებს. ერთადერთი იმის გაკეთებაღა შემიძლია, რომ იუსუფის მამასავით დავიძახო: მოთმენა მშვენიერი! მხოლოდ ღმერთია ჩემი მწყალობელი!“

ამ სიტყვებს სამარისებური დუმილი მოჰყვა. მუჰამადი კი წინასწარმეტყველურ ექსტაზში ჩავარდა: იგი შებოჭეს და თავი ხილაბანდით შეუხვიეს. ცოტა ხანს უგონოდ იწვა, გონს მოსულმა კი ტანიდან გადასაფარებელი მოიშორა, წამოჯდა, შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოიწმინდა და დაიძახა: „აიშა, გაიხარე! ჭეშმარიტად, ალაჰმა დაადასტურა შენი უბინობა!“

„მადლობა უფალს!“ — ამის თქმაღა მოახერხა იმწუთას აიშამ.

ამის შემდგომ კი მუჰამადმა შეკრიბა ხალხი და ის გამოცხადება ამცნო, ამ საკითხთან დაკავშირებით რომ ეწყალობა. ეს ფრაგმენტი შესულია 24-ე სურაში და ბრძანებს, რომ ვინც ბრალს დასდებს გათხოვილ ქალს მრუშობაში და თავის ბრალდების დასამტკიცებლად 4 მოწმეს ვერ მოიყვანს, 80 შოლტს მიიღებს.

სხვათა შორის, აიშას ორი ცილისმწამებელიც ასე დაისაჯა. ერთი მათგანი სახელგანთქმული პოეტი ჰასან იბნ საბითი იყო. მას ძალზე კარგად ესმოდა თავისი სარგებელი და ამიტომაც გულში წყენა არ ჩაუდია იმ ქალისა, რომელიც თვითონ გაეწყენებინა და რომელმაც მალევე მოახერხა თავის ხანმოთეულ ქმარზე უწინდელზე დიდი ზეგავლენა მოეპოვებინა. ამიტომაც ჰასანს იბნ საბითმა იმის ნაცვლად, რომ ქალზე კვლავაც სატირული ლექსები ეწერა, მას სახოტბო სტრიქონები უძღვნა და პატიოსნება, სიკეთე, გამჭრიახობა და (რამაც აიშა განსაკუთრებულად აამა) სიფაქიზე და მოხდენილი სხეული შეუქო.

ამ ლექსებისთვის ჰასანს მობოდიშება აღარასოდეს დასჭირვებია, რადგან სწორედ ეს სტრიქონები დაეხმარა, თავისი ყოფა სამომავლოდ უკეთ მოეწყო.

ამრიგად, საქმე მოთავდა. ამ ამბიდან კი ის — ერთი შეხედვით — უცნაური კანონი შემორჩა, რომლის თანახმადაც გათხოვილი ქალისათვის მრუშობის ცოდვის დასამტკიცებლად ამის მთქმელს, სულ მცირე ოთხი მოწმე ესაჭიროება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ღალატს თვითონ ქალის ქმარი შეესწრება. მაშინ კაცის ხუთჯერად დაფიცებას საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევენ.

აიშას ამ თავგადასავალს კი მუსლიმური სამყაროსათვის სხვა უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც მოჰყვა, კერძოდ: მამაკაცთა და ქალთა შორის იმ „პირობითი ჰარემის“ დაცვა, რაც ქალის მიერ ჰიჯაბის ანუ ჩადრის ტარებით გამოიხატება. მუსლიმური კანონი, რომელიც გამოცხადების შესაბამისი ადგილებითაა მოტივირებული, ქალს საზოგადოებრივ ადგილებში, სახლის გარეთ, ჩაცმულობის საგანგებო წესს ავალდებულებს.

თვითონ მუჰამადის ჰარემის ცხოვრებაში კი გამოცხადებას

მერეც არაერთხელ უთამაშია მნიშვნელოვანი როლი. მაგალითად კოპტი მხევლის მარიათას (მარიას) ამბავიც გამოდგება. ეს მხევალი მუჰამადს 629 წელს ალექსანდრიის მმართველმა აჩუქა და მოციქულმა ქალი თავისი ერთ-ერთი მიმდევრის სახლში დააბინავა. ხოლო, ერთხელ როცა ჰაფსა მშობლების მოსანახულებლად გაემართა, მუჰამადმა მარიათა ჰაფსას ბინაში გადაიყვანა. მოულოდნელად ჰაფსა უკან დაბრუნდა. „როგორ?! — იყვირა გაცხარებულმა ქალმა, — ჩემივე სახლში, ჩემივე დღეს და ამის შემდეგ მაინც იწოდები ალაჰის მოციქულად!“

აღელვებული მოციქული დაჰპირდა ცოლს, რომ მარიათას თავს დაანებებდა და ამაზე კიდეც დაიფიცა, სამაგიეროდ კი სთხოვა ჰაფსას, დანარჩენ ცოლებთან, განსაკუთრებით კი აიშასთან ამ ამბავზე კრინტი არ დაეძრა. მაგრამ ჰაფსამ ყველაფერი გაამჟღავნა და დასასჯელად მუჰამადს არც მისთვის და არც აიშასათვის მთელი თვის მანძილზე აღარ მიუკითხავს. ცოტა ხანში კი, ზეგარდმოევლინა გამოცხადება (იხ. სურა XVI, 1-5), რომლის თანახმადაც მოციქულის ჰარემის მომეტებულად ეჭვიან ბინადრებს ქმართან გაყრა ემუქრებოდა.

ამის შემდგომ მუჰამადი თავისუფლად ცხოვრობდა მარიათასთან და ქალს უცხო მამაკაცთა მზერისაგან იჭვნეულად იცავდა. ერთი კოპტი, რომელიც მხევალს წყალსა და შეშას უზიდავდა, ქალაქში მითქმა-მოთქმის საბაბი შეიქნა. კაცმა ალის მიერ გამოტანილ სასიკვდილო სასჯელს თავი მხოლოდ იმით დააღწია, რომ შარვალი სახალხოდ დროულად ჩაიხადა და თავისი საჭურისობა დაამტკიცა.

630 წლის აპრილში მარიათამ მუჰამადს შვილი იბრაჰიმი გაუჩინა. მუჰამადმა ბავშვი სანახავად აიშას წაუყვანა და უთხრა: ასე ჯერ არც ერთი ბავშვი თავის მამას არ გვანებიაო. ხოლო აიშამ მამა-შვილს შორის მცირედი მსგავსებაც კი ვერ დაინახა.

ამ ამბებიდან ცოტა ხანში მუჰამადს ჰარემის პრობლემებზე გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა მოუხდა.

მედინიდან გაძევებული ებრაული გვარების მეთაურებმა მექელთა სიძულვილის გაღვივება და იმ მიდამოებში მომთაბარე ძლიერი ტომების მუჰამადის წინააღმდეგ ამხედრება იმდენად წარმატებულად შეძლეს, რომ 627 წლის დასაწყისში, მედინაზე 10 000 კაციანი მხედრობა დაიძრა. ამ 10 000 კაცში მექელი მხოლოდ დაახლოებით 400 მებრძოლი იქნებოდა. მთელი ლაშქარი კი, სამი ქვედანაყოფისაგან შედგებოდა, რომელთაც თავდაპირველად აბუ სუფიანი მეთაურობდა, მაგრამ მერე, როცა შუღლი წამოიწყეს, თითოეული ტომის ბელადი თითო დღით რიგრიგობით იკავებდა ჯარის მეთაურის ადგილს.

მუჰამადმა მექელთა ამ განზრახვის ამბავი ისეთი დაგვიანებით შეიტყო, რომ თავდაცვისათვის დრო ძალიან ცოტა რჩებოდა. მტერთან პირისპირ შებმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო: უჰუდის ბრძოლის დასასრული ჭკუის სასწავლებელ მაგალითად გამოდგებოდა. ამიტომაც მუსლიმებმა ამჯერად ქალქში დარჩენა გადაწყვიტეს. თუმცა ჩვენთვის კარგად ნაცნობი სპარსელის — სალმან ალ-ფარისის რჩევით, რომელიც არაბეთში სამხედრო ტყვედ მოხვედრილიყო და იცოდა, თავის მშობლიურ თუ სხვა ქვეყნებში რა მეთოდებსაც იყენებდნენ ქალაქთა და სამხედრო ბანაკთა დასაცავად, მუჰამადმა ბრძანა, ღრმა თხრილი შემოევლოთ მედინის იმ მხარეს, სადაც სახლები ერთმანეთის გვერდით ისე მჭიდროდ არ იყო ნაშენები, რომ ქალაქს მაღალი კედელივით მოფარებოდნენ.

საქმე ექვს დღეში დაასრულეს და მედინაზე მოსული 3000 კაციანი ლაშქარი ღრმა სანგართა მიღმა აღმოჩნდა. ამიტომაც მუსლიმურ წყაროებში ეს შეტაკება „სანგართა ბრძოლად“ ან „თხრილის მიღმა ბრძოლად“ მოიხსენიება. მოწინააღმდეგე ამ ახალმა, არაბეთისათვის მანამდე სრულიად უცხო და უჩვეულო ტაქტიკამ, ძალზე გააკვირვა.

მათ, რამდენიც არ ეცადნენ, მედინაში შელწევა ვერაფრით მოახერხეს. თუმცა უკან გაბრუნებაც არაფრით სურდათ და მექელთა ლაშქრის ყველაზე გამოცდილმა მეომრებმა გამოსავლის ძიება დაიწყეს.

მუსლიმური ანალები ამ მებრძოლთაგან ყველაზე უფრო გამოცდილად და მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილად ვინმე ამრ იბნ აბდივუდის გვიხატავენ.

ეს კაცი, რომელსაც მანამდე არაერთ ბრძოლაში გაეთქვა სახელი, იმის გამო, რომ უჰუდის შეტაკებისას შინ თურმე დაჭრილი იწვა და ბრძოლის ველზე გასვლა ვერ შეიძლო, ახლა იქადნებოდა: რაც უჰუდში ვერ მოვახერხე, მუსლიმებს ამ ბრძოლისას ავუნაზღაურებო!

არაბებს ამრ იბნ აბდივუდი ათასი მხედრის თანასწორ მებრძოლად მიაჩნდათ და მას „ალ-ფარის ალ-იალიალს“ — „მონავარდე მხედარს“ უწოდებდნენ.

ამჯერადაც რამდენიმე კაცთან ერთად მხოლოდ მან მოახერხა მედინის გარშემო მოვლებულ თხრილს ზედ გადავლებოდა და ქალაქში აღმოჩენილიყო.

განსაკუთრებული ამპარტავნებითა და სიზვიადით გამორჩეულმა ამრ იბნ აბდივუდმა თურმე ცხენი ქალაქის მოედანზე გააგელვა და დაიძახა: აბა, ვინ გამოვა, ჩემთან შებმის თავი ვისა აქვსო!

ამ დროს ბრძოლაში არც ისე გამოცდილ, ახალგზარდა ალის მოციქულისათვის უთხოვია: ნება მომეცი, მტერს ჭკუა ვასწავლოო, მაგრამ მუჰამადს, როგორც ჩანს, თავისი გაზრდილის სიცოცხლეზე ზრუნვით, მისთვის ამის ნება არ დაურთავს.

მტერი კი უარესად გათავხედებულა და დაუძახია: მუსლიმები ამტკიცებთ, რომ სიკვდილის მერე თქვენ სამოთხეში შებრძანდებით, ჩვენ კი, წარმართებს, ჯოჯოხეთის ცეცხლს მიგვცემენ. აბა, გამოდით, ვის უნდა, ან სამოთხეში დაივანოს ანდა გეენის საკირეში გადამიძახოსო!

ალის კვლავაც უთხოვია ნებართვა მუჰამადისათვის, მაგრამ მოციქულს შეუჩერებია:

— დაჯექი, ხომ იცი, რომ ეს კაცი ამრ იბნ აბდივუდიაო!

უარესად გულმიცემული მტერი კი ისე გათამამებულა, რომ დაცინვის ლექსად გამოთქმა დაუწყია და მუსლიმთათვის დაუძახია:

— ლამის ხმა ჩამიწყდა, იმდენი ვეძახე თქვენს ლაშქარს,

ვინმე თუ გყავთ, რომ შემებრძოლოს-მეთქი, მაგრამ მხოლოდ მოცახცახე უკანალები იდგნენ ჩემ წინ და მეც ზურგი ვიქციე, რადგან ახალგაზრდა კაცებში, ბევრისაგან განსხვავებით, არა მოთიმთიმე უკანალი, არამედ სიმამაცე და სიჩაუქე მხიბლავსო!

ამ სიტყვების გაგონებაზე ალი ისე გაცხარებულა, რომ თურმე თავის წინ მსხდომ თანამოძმეებს თავზე ჩიტივით გადაფრენია და, როგორც შიიტი კომენტატორები აღწერენ, „სრული რწმენა სრული ურწმუნოების პირისპირ გასულა“.

ალი მოწინააღმდეგეს მივარდნია, მახვილი დაუკრავს და ორივე ფეხი მუხლებში წაუსხეპია. მერე ძალდაძალ მისულა და ცხენიდანაც ჩამოუგდია. თვითონაც ჩამოქვეითებულა და ძირს დავარდნილ მტერს გულზე გადაჯდომია.

სასიკვდილოდ განწირული ამრ იბნ აბდივუდი თავისას თურმე მაინც არ იშლიდა და წარმართისათვის დამახასიათებელი მოურიდებლობითა და უხამსობით ალისათვის ქვემოდან შეუძახია: ფრთხილად იყავ, რაღაც შემაღლებულზე დამაჯექიო!

განრისხებულ ალის კი ამ სიტყვებზე მისთვის მახვილი დაუკრავს და თავი წაუწყვეტია.

შიიტური გადმოცემების მიხედვით, წინასწარმეტყველ მუჰამადს სწორედ მაშინ უთქვამს:

„ალის დარტყმა (ამრ იბნ აბდივუდისა) ჩემი თემის ხალხის საუკეთესო საქციელია განკითხვის დღემდეო!“

ამრ იბნ აბდივუდის სიკვდილმა, რომელიც წარმართებს თავის საუკეთესო მხედრად მიაჩნდათ და მის ძლევას მხოლოდ სასწაულის ძალას თუ მიანერდნენ, მტრის რიგებში დიდი არეულობა შეიტანა.

თვითონ მოკლულის მხლებელმა რამდენიმე კაცმა, ვინც მედინის თხრილზე გადახტომა და ქალაქში შეღწევა მოახერხა, თავს მხოლდ გაქცევითღა უშველა. ზოგმა კი, მაგალითად, იქრიმა იბნ აბი ჯაჰლმა და ჰუბაირა იბნ აბი ვაჰაბმა იარაღიც კი გადაყარეს, რათა საჭურველს გაქცევაში ხელი არ შეეშალა.

თხრილზე გადახტომა რის ვაივაგლახით ერთი მხედრის გარდა ყველამ მოახერხა. ნავფალ იბნ აბდ ალაჰის ცხენმა კი, სწორედ ამ დროს ნაიფორხილა და მხედარი თხრილში გადააგ-

დო. მუსლიმებმა ეს რომ დაინახეს, მიუახლოვდნენ და ყოველი მხრიდან ქვა-ღორღი დააყარეს.

საუკეთესო მებრძოლთა დაღუპვით თავგზაარეულ მექელებს კი მალე კიდევ ისეთი რამ დაემართათ, რამაც პრაქტიკულად, ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

საქმე კი ის იყო, რომ საღამოს, როცა მუჰამადმა მწუხრის ნამაზი აღასრულა, მასთან ერთი კაცი, ღატაფანის ტომელი ნუყაიმ იბნ მასყუდი მივიდა და განუცხადა:

— ისლამზე მოვექეცი, მაგრამ ჯერჯერობით ეს ამბავი ჩემს ახლობლებსა და ნათესავებსაც კი არ შეუტყვიათ. თქვენ კი გეახელით, რომ, თუ ღირსმყოფთ და რაიმეს დამავალებთ, ყველაფერი აღგისრულოთო!

წინასწარმეტყველს მიუგია:

— მარტოკაცი ხარ და აბა, ბრძოლით რას უნდა გახდე, მაგრამ თუ იმას შეძლებ, რომ წახვიდე და მოწინააღმდეგის რიგებში არეულობა შეიტანო, იცოდე, ეს საერთო საქმისა და ღვთის უდიდეს სამსახურად ჩაგეთვლებაო!

ნუყაიმ იბნ მასყუდი ამ საქმისათვის ზედგამოჭრილი გამოდგა. ცოტა ხანს იფიქრა. მერე კი წავიდა და ბანუ კურაიზას ებრაული ტომის ხალხთან მივიდა, რომლებთანაც უწინ დიდი სიყვარული და მეგობრობა აკავშირებდა. შეკრიბა ტომის მეთაურები და გაუცხადა:

— ხომ იცით, როგორ მიყვარხართ და ჩემი ერთგულება თქვენდამი უწინაც არაერთხელ დადასტურებულა. ახლაც ერთი რჩევა მინდა მოგცეთ და იცოდეთ, სიკეთის მეტი არაფერი მამოძრავებს, თუ ყურს მათხოვებთ და ნათქვამს გაითვალისწინებთ, ხომ კარგი, თუ არა და, რაც დაგემართებათ, თქვენ თავს დააბრალეთო!

კურაიზელებს უთქვამთ:

— შენს ერთგულებაში ეჭვი არასდროს შეგვპარვია. ახლაც გვითხარი, რაც სათქმელი გაქვს. ყველაფერს კარგად გავიგებთ და დაგიჯერებთო!

ნუყაიმ იბნ მასყუდს მიუგია:

— თქვენ მუჰამადის მოწინააღმდეგე არაბული ტომებისა-

გან — კურაიშელთაგან და ღატაფანელთაგან — დიდად განსხვავდებით იმით, რომ მედინაში სახლობთ და სხვა სამშობლო არ გაგაჩნიათ. მუჰამადის მოწინააღმდეგე არაბები კი მექიდან მოვიდნენ და მასთან ბრძოლა დაუჟინებიათ. ბრძოლის მერე, რაც არ უნდა მოხდეს, თუნდაც მეომრები ომში დაეცნენ, მათი ცოლშვილი უსაფრთხოდ, შინ ისხდება და არაფერი დაემუქრებათ, თქვენი ქალები და ბავშვები კი მუსლიმებს პირისპირ შერჩებიან და მათი რისხვისაგან ვერაფერი ვეღარ დაიცავთო!

კურაიზელ იუდეველებს წამოუძახიათ:

— მართალს ამბობ! თავდაცვისათვის კი რას გვირჩევდიო?

ნუყაიმს უთქვამს:

— ვფიქრობ, კარგი იქნება, სანამ მუჰამადთან ბრძოლას დაიწყებდეთ, მანამდე კურაიშელთა და ღატაფანელთა რამდენიმე კაცი ტყვედ აიყვანოთ, რომ მათმა ნათესავებმა ბრძოლის შემდეგ თქვენი იოლად მიტოვება ვეღარ შეძლონო!

ბანუ კურაზას ტომელებმა ნუყაიმის ნათქვამი დაიჯერეს, რჩევისათვის მადლობაც კი გადაუხადეს და თავის გზაზე გაისტუმრეს.

ის კი წავიდა, ახლა კურაიშელებს მიაკითხა და უთხრა:

— რაღაც შევიტყვე და ნათესაობის გამო, თქვენთან რომ მაკავშირებს, თავი მოვალედ მივიჩნიე, ეს ამბავი თქვენთვისაც მეთქვა, ოღონდ იმ პირობით, რომ მოსმენილს საიდუმლოდ დაიტოვებთ და არავის გაუმხელთო!

კურაიშელთა თავკაცებს მიუგიათ:

— მშვიდად იყავი და დარწმუნებული ბრძანდებოდე, შენს ნათქვამს ჩვენ მეტი ვერავინ შეიტყობსო!

მაშინ ნუყაიმ იბნ მასყუდს გაუნდვია:

— გავიგე, ბანუ კურაიზას ტომი, იმის გამო, რომ მუჰამადთან დადებული აღთქმა დაარღვიეს, დიდ სინანულს მისცემია და ახლა ისლამის წინასწარმეტყველის გულის მოსაგებად, დაჰპირებიან, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ტყვედ ჩავიგდებთ კურაიშელთა და ღატაფანელთა რამდენიმე კაცს და გადმოგცემთ, რომ თავები დააყრევინო. მერე კი დანარჩენი ბრძოლისასაც ყველანაირად შეგეწევითო! ამიტომაც გამიფრთხილებიხართ: თუ კურაიზელნი

მოვიდნენ და თქვენი ხალხის გაყოლება მოგთხოვეს, თან ნურავის გაატანთო!

ამის შემდეგ ნუყაიმი თვისტომებთან ანუ ღატაფანელებთანაც მივიდა და იმათაც იგივე რამ უთხრა.

ამ ფანდმა გაჭრა და მტრის რიგებში, მართლაც, დიდი არეულობა შეიტანა, რადგან აბუ სუფიანმა იქრიმა იბნ აბი ჯაჰლი და რამდენიმე კაცი საჩქაროდ ბანუ კურაიზას მეთაურებთან გააგზავნა და დააბარა: ამ ქალაქში დიდხანს დარჩენა არ შეგვიძლია. ცხენები და აქლემები შიმშილით გვიწყდებიან და ქალაქგარეთ ამაზე მეტხანს დგომა შეუძლებლად გვეჩვენება. ამიტომაც მზად იყავით, ხვალიდან შეტევაზე გადავიდეთ და მოწინააღმდეგეს ხელი მოვუთავოთო!

შემთხვევით, ის ღამე, როცა იქრიმა და მისი თანმხლებნი კურაიზელებთან მივიდნენ, პარასკევი იყო და იუდეველებმა განაცხადეს: ხვალ შაბათია, ჩვენ ვუქმობთ და ვერანაირ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებთ. ამას გარდა, ბრძოლას მანამდე არ წამოვიწყებთ, სანამ თქვენგან რამდენიმე კაცს არ გადმოგვცემთ, რადგან შესაძლოა, ბრძოლა გაიჭიმოს, თქვენ მუჰამადთან წინააღმდეგობა მოგწყინდეთ და მშობლიური ქალაქისაკენ გაბრუნდეთ, ჩვენ კი მუსლიმებს პირისპირ შეგვატოვოთო!

კურაიშელთა წარგზავნილნი აბუ სუფიანთან დაბრუნდნენ და ბანუ კურაიზას თავკაცთა დანაბარები გადასცეს. მაშინ ყველამ აღიარა, ეტყობა, ნუყაიმ იბნ მასყუდმა სიმართლე გვითხრა და რა კარგია, რომ მათი ღალატი წინდაწინვე შეგვატყობინაო. ბანუ კურაიზელებთან ისევ კაცი აფრინეს და დააბარეს:

ჩვენ არც ერთ ჩვენიანს ტყვედ არ ჩაგაბარებთ. თქვენი საქმისა კი თქვენ იცოდეთ: გინდათ იბრძოლეთ, გინდათ — არაო!

იუდეველებმაც თავისთვის თქვეს: — ხედავთ, ნუყაიმს ნამდვილად მართალი უთქვამს და რა კარგი ქნა, რომ კურაიშელთა პირუმტკიცობა შეგვატყობინა. თორემ ესენი ჯერ ომს დაიწყებდნენ, მერე კი მტერს შეგვატოვებდნენ და თვითონ აქაურობას გაეცლებოდნენო.

ამით გაღიზიანებულმა მექელებმა თავისი მაინც სცადეს, მაგრამ მალე იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ასეთი თხრილით გა-

მაგრებულ ქალაქთან ვერას გააწყობდნენ. ხოლო, როცა ერთხელ საშინელი ქარიშხალი ატყდა და ქარმა და წვიმამ მტრის ბანაკის წინ დანთებული ყველა კოცონი ერთბაშად ჩააქრო, აბუ სუფიანმა დაიძახა: აჰყარეთ ბანაკი. ყოველშემთხვევაში, მე უკან ვბრუნდებიო! — და საჩქაროდ მექისაკენ გაეშურა. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ და დილით უკვე მტრის კვალიც კი აღარსად ჩანდა.

მუჰამადი მიხვდა, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და მტერს სასჯელი მოუვლინა. მტრის დადევნება არც კი უფიქრია, რადგან ამით მოწინააღმდეგეს სწორედ იმ შემთხვევას მისცემდა, რაზედაც მათ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ: შებმოდნენ მედინელებს ღია ველზე.

მაგრამ იყო ხალხი, ვინც დაუყოვნებლივ უნდა დასჯილიყო. შინ დაბრუნებულთ ჯერ ტანსაცმლიდან მტვერიც კი არ ჩამოეფერთხათ, რომ მუჰამადმა მედინელები ბანუ კურაიზას ტომზე გასალაშქრებლად გამოიყვანა. იერიში მიიტანეს მათ ციხე-სიმაგრეზე, რომელიც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორ-სამ კილომეტრში მდებარეობდა. რაკიღა კურაიზელნი ამ ამბავს მოუმზადებელნი შეხვდნენ და ალყის გასაძლებად არანაირი მარაგი არ გააჩნდათ, რამდენიმე დღეში კიდევაც დანებდნენ. ოღონდ დანებდნენ იმ პირობით, რომ მათ ბედს მედინაში მცხოვრები ავსის ტომელები — მათი ოდინდელი მოკავშირენი — გადაწყვეტდნენ. ავსელები კი დაბეჯითებით მოითხოვდნენ ბანუ კურაიზას ტომის შეწყალებას.

მაშინ მუჰამადმა ჰკითხა მათ, თანახმანი იყვნენ თუ არა, მსჯავრი მათი ტომის ერთ კაცს გამოეტანა და როგორიც არ უნდა ყოფილიყო, ამ მსჯავრს ყველა დამორჩილებოდა. ავსელებმა ყაბული განაცხადეს, მუჰამადმა კი მსაჯულობა საყდ იბნ მუყაზს დაავალა.

საყდ იბნ მუყაზი, ავსელების ერთ-ერთი ბელადი, ამ დროს მედინაში, შინ იწვა და მკურნალობდნენ, რადგან სანგარს მიღმიდან გამოსროლილ ისარს სახიფათოდ დაეჭრა. ჭრილობა უკვე უხორცდებოდა, მაგრამ ძველი მოკავშირეების — კურაიზელების ბოლმა კვლავაც არ განელებოდა. მუჰამადმა, როგორც ჩანს, იცოდა ეს ამბავი და მოსამართლედ საყდ იბნ მუყაზი

სწორედ ამიტომაც აერჩია. საყდი ბანაკში მოიყვანეს. ახლო მეგობრები ევედებოდნენ, ტყვეთა მიმართ მოწყალება გამოეჩინა, მაგრამ იგი არავის არაფერს პასუხობდა. როცა იბნ მუყაზი წინასწარმეტყველთან მიიყვანეს, მუჰამადმა უბრძანა: მაშ, გვამცნე შენი გადაწყვეტილებაო. საყდ იბნ მუყაზი კი თანატომელთ მიუბრუნდა და ჰკითხა: ჯერ თუ დაიფიცებთ ღვთის წინაშე, რომ, რაც უნდა იყოს, ჩემს მსჯავრს მაინც გაიზიარებთო, ხოლო როცა თანატომელებმა ფიცით უპასუხეს, მაშინ საყდ იბნ მუყაზმა თქვა: „აი, ჩემი მსჯავრიც: მამაკაცებს თავები მოჰკვეთეთ, ქალები და ბავშვები მონებად აქციეთ, ნადავლი კი, მებრძოლებმა დაინაწილონ!“

ამის გაგონებაზე მუჰამადმა წამოიძახა: „ჭეშმარიტად, შენ თვით უზენაესის მსჯავრი განაცხადე. დე, აღსრულდეს, რასაცა ბრძანებო!“

ტყვეები მედინაში წამოასხეს, ქალაქის მთავარ ბაზარში ორმოები ამოთხარეს, მერე მოღალატენი გუნდ-გუნდ მოიყვანეს, თავები დააყრევინეს და გვამები ორმოებში გადაუძახეს. ქალები და ბავშვები ნაჯდში მომთაბარე ბედუინებს იარაღსა და აქლემებში გადაუცვალეს, მათგან ყველაზე ლამაზი, მზეთუნახავი რაიჰანა კი მუჰამადმა ცოლად მოიყვანა.

ამგვარად, მედინის შემოგარენში მობინადრე ეს უკანასკნელი მტერიც განადგურდა, ვინც მუჰამადისათვის ღია წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა.

ხალხის თვალში წინასწარმეტყველის მნიშვნელობა და შიში მის მიმართ ერთი ორად გაიზარდა. სხვადასხვა მეზობელი ტომებიც უფრო შიშითა და ალაფში წილის დადების სურვილით მორჩილდებოდნენ, ვიდრე გულწრფელი რწმენითა და სასოებით.

კურაიზელთა გაჟლეტვის შემდეგ კი მუსლიმებმა მოწინააღმდეგეთა საბოლოო ალაგმვა გადაწყვიტეს და ამ მიზნისათვის უკან აღარაფერზე იხევდნენ.

კერძოდ, მათ არ დავიწყებიათ, რომ ერთ-ერთმა იუდეველმა დიდებულმა ვინმე სალამ იბნ აბი ალ-ჰაკიკმა მათ წინააღმდეგ მტრის ნაქეზებასა და ინტრიგების ხლართვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. სანგრის ბრძოლის შემდეგ კი გაიქცა და თავი

ხაიბარში მცხოვრებ იუდეველების ტომთან შეაფარა.

როცა მედინის მკვიდრ არაბულ ტომებზე ვსაუბრობდით, მაშინ აღინიშნა, რომ აქ მოსახლე ორი არაბული ტომი — ავსი და ხაზრაჯი — ერთურთს უძველესი დროიდან მტრობდა და ექიშპებოდა. მას შემდეგ, რაც ეს ტომები გამუსლიმდნენ, ტრადიციულმა ქიშპმა ახალი სახე შეიძინა და ავსელები და ხაზრაჯელები ამიერიდან ერთურთს ისლამის გავრცელების ღვაწლს ეცილებოდნენ. ეს ჯანსაღი კონკურენცია საბოლოოდ საერთო საქმეს კეთილად წაადგა და კარგის მეტი არაფერი მოუტანია.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ გავიხსენოთ, ავსის ტომელებმა ბადრის ბრძოლაში ისლამის ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი, იუდეველი ქაყბ იბნ აშრაფი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდგომ ხაზრაჯელები თავის რიგს ელოდნენ და მუდმივად იმის ცდაში იყვნენ მეტოქე ტომისათვის მტრის განადგურების საქმეში ტოლი არ დაედოთ. საამისო მარჯვე შემთხვევა კი მხოლოდ სანგრის ბრძოლის შემდეგ და სალამ იბნ აბი ჰაკიკთან დაკავშირებით მიეცათ. მათ გადაწყვიტეს, მოწინააღმდეგის დამქაშ ამ იუდეველზე შური საკადრისად ეძიათ და საამისოდ თავიანთი ტომიდან ხუთი გამოცდილი მეომარი შეარჩიეს. ესენი იყვნენ: აბდ ალ-ლაჰ იბნ ათიკი, მასყუდ იბნ სანანი, აბდ ალ-ლაჰ იბნ ანისი, ჰარის იბნ რიბყი და ხუზაყი იბნ ასვადი, რომლებიც მოციქულს ეახლნენ და თავიანთი განზრახულის შესახებ აცნობეს.

მოციქულმა მათ მეთაურად აბდ ალ-ლაჰ იბნ ათიკი დაუდგინათ, გზა დაულოცათ, მაგრამ მკაცრად გააფრთხილა: ქალებსა და ბავშვებს ხელი არ ახლოთო!

ხაზრაჯელებმა მედინიდან სწრაფად იარეს და ღამით ხაიბარში მივიდნენ. იქ სალამ იბნ აბი ჰაკიკს კარზე მიადგნენ და დაუკაკუნეს. შიგნიდან მისმა ცოლმა ჰკითხათ: ვინა ხართო? ხაზრაჯელებმა მიუგეს: არაბები ვართ და წვრილმანების საყიდლად მოვედითო. ქალმა კარი გაუღო და ხუთი კაცი შიგნით შევარდა. ტახტზე წამოწოლილ ათიკს მისცვივდნენ და ყველამ სათითაოდ დაარტყა მახვილი, მერე ასევე სწრაფად გამოვიდნენ და მოშორებით მდებარე ჭაში დაიმალნენ.

მოკლულის ცოლის კივილზე მთელი ხაიბარი გარეთ გამოეფინა. მაშხალები აანთეს და მკვლელებს დიდხანს ეძებდნენ, თუმცა ძებნამ შედეგი ვერ მოუტანათ და დაზაფრულები თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

ხაზრაჯელები კი ჭიდან ამოვიდნენ, საჩქაროდ მედინაში დაბრუნდნენ და მომხდარი ამბავი მოციქულს მოახსენეს.

ჰიჯრის მეხუთე წელიწადს (627) კიდევ რამდენიმე სარია და ღაზავათი გაიმართა, რომელთაგან შეგვიძლია დავასახელოთ უქაშ იბნ მიჰსანის სარია. იგი მოციქულმა, 40 კაცის თანხლებით, ღამრში მცხოვრები ტომის — ბანუ ასადის დასამორჩილებლად გააგზავნა. ბანუ ასადის ტომელებმა ეს ამბავი წინასწარ შეიტყვეს. თავიანთი სამკვიდრებელი მიატოვეს და გაიქცნენ. უქაშ იბნ მიჰსანმა და მისმა მხლებლებმა კი, მათი 200 აქლემი წამოასხეს და მედინაში დაბრუნდნენ.

ასევე ორმოცი კაცი იახლა აბუ უბაიდა ალ-ჯარაჰმა, რომელიც მედინიდან 25 კილომეტრში მდებარე ზი ლ-კისას მკვიდრი არაბული გვარების — ბანუ ალ-ჰარისის, ბანუ საყლაბასა და ბანუ ანმარის დასაშოშმინებლად გაემართა. ამ გვარებს გვალვიანი წელიწადის გამო ისეთი გაჭირვება დადგომოდათ, რომ ლუკმაპურის საშოვნელად მედინაზე თავდასხმას აპირებდნენ. აბუ უბაიდამ მედინიდან ღამით იარა და მათ სამკვიდრებელთან დილა სისხამზე ჩააღწია, მაგრამ ამ არაბულ გვარებს ამბავი უკვე შეეტყოთ და მიმალვა მოესწროთ. მუსლიმ მხედრებს მათგან ხელთ ერთადერთი კაცი ჩაუვარდათ და იმანაც სიკვდილს გამუსლიმება ამჯობინა.

აბუ უბაიდამ და მისმა მოლაშქრეებმა კი გაქცეული არაბების ქონება წამოიღეს და მექაში დაბრუნდნენ.

ამ ორი სარიას მსგავსი იყო ზაიდ იბნ ჰარისის სამჯერადი ლაშქრობა ბანუ სულაიმის, აისისა და ტარფის ტომთა დასამორჩილებლად;

ქუზრ იბნ ჯაბირი კი, მოციქულმა ქურდი მუსლიმების შესაპყრობად და დასასჯელად გააგზავნა.

საქმე ის იყო, რომ ბაჯილას ტომის რამდენიმე კაცი მედინაში ჩამოვიდა და ისლამი მიიღო. რამდენიმე დღეს იქვე დარჩ-

ნენ, მაგრამ ქალაქის ჰავამ მათზე ცუდად იმოქმედა და სნეულებამ დარიათ ხელი. მოციქულმა უბრძანა: კარგი იქნებოდა, ზი ჯადრში, საძოვარზე, ჩვენი მეწველი აქლემების მწყემსად წასულიყავით. თან ჰაერზე იქნებოდით, თან რძეს დალევდით და მოიკეთებდითო.

ისინიც წავიდნენ და როცა რამდენიმე დღეში, მართლაც, გამოჯანმრთელდნენ, ისლამზე ხელი აიღეს. მოციქულის აქლემები დაკლეს, ზოგ აქლემს კი თვალებში უდაბნოს ძეძვი გამოუსვეს და დააბრმავეს. მერე კი გაიქცნენ და თან დაკლული აქლემების ხორციც გაიტაცეს.

მოციქულმა რომ ეს ამბავი შეიტყო, გაქცეულებს, ქურზ იბნ ჯაბირის მეთაურობით, თავისი ოცი მეომარი დაადევნა. ქურზ იბნ ჯაბირმა და მისმა მხლებლებმა სწრაფად იარეს, სჯულგანდგომილ ქურდებს დროზე დაეწივნენ და მედინაში ჩამოიყვანეს.

მოციქულმა ბრძანა, მათთვის ჯერ ხელ-ფეხი დაეჭრათ და მერე თავებიც დაეყრევინებიათ.

მეორე ასეთივე ბრძოლა, რომლის მიზეზიც საძოვარზე დატოვებული აქლემები გახდა, ზუ კარადას ღაზავათი იყო.

მუსლიმური მატიანეები გადმოგვცემენ, რომ უიაინა იბნ ჰისნ ალ-ფაზარი და ღატაფანის ტომის რამდენიმე მხედარი ისლამის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ. ისინი ერთ ღამეს მედინაზე თავდასხმის მიზნით წამოვიდნენ, ქალაქის მახლობლად, ადგილთან, რომელსაც ღაბას ეძახდნენ, გადაეყარნენ ღიფარის ტომის ერთ მწყემსს, რომელიც მოციქულისა და მედინის სხვა მცხოვრებთა საქონელს აძოვებდა. ღიფარელი მწყემსი მოკლეს, მისი ცოლი ტყვედ აიყვანეს და, რა თქმა უნდა, საქონელი და აქლემებიც თან წაასხეს.

პირველმა ეს ამბავი ერთმა მედინელმა — სალამა იბნ აქვაყმა შეიტყო, რომელიც მეორე დილით ღაბას მხარეს მიდიოდა და სანია ალ-ვადაყის უღელტეხილთან აქლემებს რომ მოჰკრა თვალი, ყველაფერს მიხვდა, სალყის მთის წვერზე ავარდა და მედინელებს ყვირილი დაუწყო: მომეშველეთ, მომეშველეთო! მერე თვითონ ქურდებს დაედევნა და ცოტათი რომ მიუახლოვდა, ისარი ესროლა.

უაიანა და მისი მხლებლები უკან გამოუდგნენ, სდიეს, მაგრამ ვერაფრით დაეწივნენ. ხელი ჩაიქნიეს და ისევ გზა გაანაგრძეს, მაგრამ სალამა კვლავაც მიჰყვა მათ, მიუახლოვდა ისარი სტყორცნა და ისევ ისე უკან გამოიქცა.

ასე წინ და უკან არბენინებდა ქურდებს, რათა მათთვის გზის გაგრძელებაში ხელი შეეშალა და მედინელი მეომრების მოსვლამდე ცოტა ხნით მაინც შეეყოვნებია.

ამასობაში მედინაში სასწრაფოდ შეიკრიბა მდევართა გუნდი, რომელსაც მოციქულმა სათავეში ერთი ანსარი — საყდ იბნ ზაიდი ჩაუყენა და ქურდებს დაადევნა.

ქურდებმა ერთ-ერთი მდევარი — მუჰრაზ იბნ ნადლა, რომელმაც თავისიანების ჯგუფს წინ გაუსწრო და მათთან პირველი მიიჭრა, ადგილზე გააქვავეს, თუმცა ამასობაში დანარჩენებიც მოიჭრნენ და მათსა და საქონლის ქურდებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

მედინელებმა ორი ქურდი მოკლეს, რამდენიმე აქლემიც დაიბრუნეს, მაგრამ სხვა საქონელი, რომელიც წინ უაიანასა და მის თანამგზავრებს მიჰყავდათ, ხელიდან წაუვიდათ.

მათ კვალდაკვალ მედინიდან ისლამის მოციქულიც გამოვიდა და ქალაქიდან ორი დღის სავალზე იმ ადგილამდე იარა, რომელსაც ზუ კარადას ეძახიან. იქ ცოტა ხანს შეყოვნდა, მაგრამ რაკი მიხვდა, გაქცეულებს ვეღარ დავეწევიო, მალე ისევ მედინაში დაბრუნდა.

იბნ ჰიშამის ცნობით, მოკლული ღიფარელის ცოლმა, რომელიც უაიანასა და მის დამქაშებს ტყვედ ჩაუვარდა, რამდენიმე დღეში ტყვეობიდან თავდახსნა მოახერხა, წინასწარმეტყველის ცნობილ აქლემს — ადბას მოახტა და მედინამდე ჩააღწია.

როცა მოციქულის წინაშე წარდგა, განუცხადა, რომ ღმერთს აღთქმა მივეცი, თუკი ამ აქლემის წყალობით, მტაცებელთა ხელიდან დამიხსნიდა, აქლემს გავათავისუფლებდი და მსხვერპლად შევწირავდიო!

მოციქულს კეთილად გაუღიმია და უთქვამს:

— ღვთისთვის იმის შეწირვა, რაც შენი კი არა, სხვათა ქონებაა, დაუშვებელია! წადი და უფლის წყალობით იარეო!

მუსლიმური მემატიანეები იმასაც წერენ, რომ ამ წელიწადს ანუ ჰიჯრის მეხუთე წელს (627-628) დიდი გვალვა დაიჭირა და მედინელები ლამის შიმშილით ამოწყვიტა. შეწუხებული ხალხი მუჰამადთან მივიდა და უთხრა: — ალაჰის მოციქულო, ისეთი პაპანაქება დგას, ნათესები და ხეხილის ბაღები ერთიანად გაანადგურა. საქონელი შიმშილით გვიწყდება და უკეთეს დღეში არც თვითონ არა ვართ! ეგებ, ილოცო და სთხოვო უფალს, წვიმა მოგვივლინოსო!

მოციქულმა მიმდევრებს დრო დაუთქვა და უთხრა: მოდით, ამ დღეს ყველანი გავიდეთ ქალაქგარეთ, თან მცირედი შესაწირიც წამოიღეთ და უფლის წინაშე ერთად ვილოცოთო!

ამ ამბების ერთ-ერთი შემსწრე უნს იბნ მალიქი გადმოგვცემს:

ჯერ ლოცვა არც კი დაგვემთავრებია, რომ უეცრად ცა მოიღრუბლა და ბარაქიანი წვიმა წამოვიდა. ერთი კვირა გადაუღებლად წვიმდა და ხალხი ახლა ამან შეაწუხა, მოციქულთან მივიდნენ და უთხრეს: ეგებ, სთხოვო უფალს, მეტი წვიმა აღარ გვჭირდებაო!

მოციქულმა გაიღიმა მერე მუხლი მოიყარა და ღმერთს შეჰღაღადა:

— უფალო, ჩვენს ქალაქში აღარ, მხოლოდ მის გარშემო აწვიმეო!

მართლაც, ღრუბლები შუაზე გადაიპო, მედინას რკალივით შემოერტყა და ქალაქის გარშემო დაუშვა, თვითონ მედინას კი მზე გადაადგა და ყველაფერი ახლებურად გააჩახჩახა.

ჰიჯრის მეექვსე წელიწადი კი ისევ ისე ბრძოლებით დაიწყო.

ჰიჯაზის უდაბნოში სახლობდა ერთი არაბული ტომი ბანუ მუსტალიკი, რომლებიც სხვა არაბულ გვარტომთა მსგავსად, მიწის მეურნეობას, მესაქონლეობასა და ვაჭრობას მისდევდნენ. ეს ტომი უჰუდის ბრძოლაში კურაიშელთა მოკავშირედ მოგვევლინა და, შესაბამისად, მუსლიმები მათ კარგი თვალით ისედაც არ უყურებდნენ. ჰიჯრის მეექვსე წლის შაბანის თვეში კი მოციქულს ამბავი მიუვიდა, ბანი მუსტალიკის ტომის ბელადი — ჰა-

რის იბნ აბი დირარი ხალხს აგროვებს, იარაღდება და მედინაზე თავდასხმისათვის ემზადებაო.

მუჰამადმაც სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, მეთაურად თვითონ დადგა და მედინიდან, სადაც დროებით მმართველად აბუ ზარ ალ-ღიფარი დატოვა, მტერთან შესაბმელად გაემართა. მოწინააღმდეგეს ერთ ადგილთან — მარისიყთან შემოხვდა და მათ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

ამ ბრძოლაში ბანუ მუსტალიკის ათი მეომარი დაეცა და როცა მუტალიკელები მიხვდნენ, მუსლიმთა ლაშქართან ვერაფერს გავაწყობთო, თავს გაქცევით უშველეს. მათი ქონება — ათასი აქლემი და ხუთი ათასი ცხვარი კი მაჰმადიანებს დარჩათ და ამას გარდა, მათი ცოლ-შვილიც მედინაში ტყვეებად წაასხეს.

მუსტალიკელებთან ბრძოლა ალბათ არაფრით გამორჩეული არ იქნებოდა, რომ არა ერთი ამბავი, რამაც მოციქულის პირად ცხოვრებას შფოთი შეუყენა და ლამის საყვარელ ქალთან გაყრამდე მიიყვანა. საქმე ისაა, რომ აიშასთან დაკავშირებულ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ისტორიას მუსლიმ ავტორთა უმრავლესობა სწორედ ბანი მუსტალიკის წინააღმდეგ ლაშქრობის შემდეგ მომხდარ ამბად მიიჩნევს.

მირსაყიდან მედინაში დაბრუნებისას კი, გზად, კიდევ ერთი შემთხვევა მოხდა, რამაც მუჰამადის მომხრეები საფუძვლიანად შეარყია.

ამ გადმოცემიდან ჩანს, რომ მექელი მუჰაჯირების ახალ საცხოვრებელ გარემოში ადაპტაცია უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა და ჰიჯრიდან მეექვსე წელსაც კი მსგავსი ექსცესები მოულოდნელი და უჩვეულო არ ყოფილა.

როგორც მუსლიმი მემატიანეები წერენ, ერთ-ერთმა მუჰაჯირმა, სახელად ჯაჰჯაჰმა, გზად დაბანაკებული თანამოძმეებისათვის ახლო მდებარე ჭიდან წყლის მოტანა გადაწყვიტა, მაგრამ ჭასთან მისულს იმაზე, თუ წყალი პირველად ვის უნდა ამეღო, ერთ-ერთ ანსართან — სინან იბნ ვაბრთან შეხლა-შემოხლა მოუვიდა.

ცოტა ხანში კამათი ისე გასერიოზულდა, რომ ჯაჰჯაჰმა სინანს ერთი გემრიელი ალიყური აჭამა და იმანაც დასახმარებლად

მედინელ თანამოძმეებს დაუძახა. ჯაჰჯაჰმა მუჰაჯირებს უხმო და ცოტა გაწყდა, საქმე ლამის შიდაარეულობამდე მივიდა.

სხვათა შორის, ამ ლაშქრობაში მუჰამადს, მედინელ თვალთმაქცთა ჯგუფთან ერთად, ალაფის შოვნისა და მოციქულის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, თან აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაიც გამოჰყოლოდა. ის თანამოაზრეებთან ერთად მუჰაჯირებისა და ანსარების შეხლა-შემოხლას თვალს შორიდან ადევნებდა და აღტაცებას ვეღარ მალავდა.

მერე გაღიზიანებული თანაქალაქელებს მიუბრუნდა და დაუძახა: — ყველაფერი თქვენი ბრალია, რადგან ეს უცხო ტომის ხალხი ჩვენს ქალაქში თქვენ ჩამოათესლეთ და ისე გაალაღეთ, რომ ახლა თქვენვე აღარ გინდობენო!

მერე კი ჩუმად ის სიტყვებიც დასძინა, რაც ყურანის ერთერთ აიაში აისახა:

— მედინაში რომ დავბრუნდებით, ის, ვინც ძლიერი და კეთილშობილია, უკეთურ და უთვისტომო მაწანწალებს ქალაქიდან გამოაძევებსო!

რა თქმა უნდა, აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი „ძლიერსა და კეთილშობილში" თავის თავს, ხოლო „უკეთურ და უთვისტომო მაწანწალებში" მექიდან გადმოსახლებულ მუჰაჯირებს გულისხმობდა.

მის ამ სიტყვებს ყური ერთმა ახალგაზრდა ანსარმა — ზაიდ იბნ არკამმა მოკრა, წავიდა და ყველაფერი მუჰამადს ჩაუკაკლა.

მოციქულმა ყოველ შემთხვევაში, ჭაბუკს მაინც ჰკითხა:

— ეგებ, რამე არასწორად მოგესმაო?

მიუგო: რას ბრძანებ, ყველაფერი სწორად გავიგეო!

მუჰამადმა ჰკითხა:

— აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაიზე გაბრაზებული ხომ არ ყოფილხარო?

როცა ჭაბუკმა ესეც იუარა, მუჰამადი მიხვდა, მართალს მეუბნებაო და, დაუყოვნებლივ აყრისა და მედინაში გამგზავრების ბრძანება გასცა.

ამ დროს ორი მედინელი ანსარი — საყდ იბნ უბადა და უსაიდ იბნ ჰადირი მასთან მივიდა და ჰკითხა:

— მოციქულო, ასეთ დროს მგზავრობას ყოველთვის ერიდე-

ბოდი და ახლა რა მოხდა, ასე უცებ მედინაში დაბრუნებას რატომ გვიბრძანებო?

მუჰამადმა ჰკითხა:

— ვერ გაიგონეთ, რა თქვა თქვენმა მეგობარმაო?

ანსარებმა მიუგეს:

— მოციქულო, ჩვენი ბატონ-პატრონი შენა ხარ! ვერ ვხვდებით, ვისზე გვეუბნებიო?

— აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაიზე მოგახსენებთო! — მიუგო მუჰამადმა და დასძინა, თურმე ასე და ასე ამბობს ჩემზეო.

ანსარებმა დაამშვიდეს:

— წინასწარმეტყველო, შენ ჩვენთვის ყველაზე აღმატებული და ძვირფასი ხარ და თუკი გვიბრძანებ, თვითონ აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაისვე გავაძევებთ მედინიდან. მაგრამ მისი ნათქვამი მაინცადამაინც არ უნდა გეწყინოს, რადგან ხომ იცით, სანამ მედინაში ჩამობრძანდებოდით, მანამდე მისი გამეფება გვქონდა გადაწყვეტილი და ახლა ამ ბოლმას ვერ ინელებსო!

მუჰამადმა მათ აღარაფერი უპასუხა. გზა გააგრძელეს და ერთი დღე და ღამე შეუსვენებლივ მიდიოდნენ. მეორე დილით ცოტა წაიხემსეს და ლაშქარი დასასვენებლად დაბანაკდა. ამ დროს ისე ღრმა ძილმა დარიათ ხელი, რომ გამოფხიზლებულებს წინა დღის წყენა აღარც კი ახსოვდათ. მუსლიმი ავტორები ამ ამბავს მუჰამადის სასწაულებრივ ძალას მიაწერენ და ამბობენ, რომ მან თავშეკავებისა და უდიდესი სიბრძნის წყალობით, ასე აღკვეთა თავის მომხრეთა შორის ჩამოვარდნილი სერიოზული წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლებოდა, სავალალო განხეთქილებით გათავებულიყო.

ყოველ შემთხვევაში, როცა მომხდარი შეიტყო, მოციქულთან ბოდიშის მოსახდელად აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაიც მივიდა და თავი იმით გაიმართლა, ზეიდ იბნ არკამი ჯერ ისევ ბალღია და ალბათ, რაღაც არასწორად გაიგოო.

მუჰამადს აღარაფერი უთქვამს, მაგრამ მისი მომხრეები, რომელთათვისაც ადამიანის მოსაკლავად მოციქულის სიტყვა კი არა, ერთადერთი მინიშნებაც კი სავსებით კმაროდა, აბდ ალ-ლაჰ იბნ უბასიის დასჯაზე ალაპარაკდნენ. ომარ იბნ ალ-ხატაბმა

ღიად შესთავაზა კიდეც მუჰამადს, თუ გსურთ, ბრძანეთ და ერთ ნამში ხელს მოვუთავებთო, მაგრამ მოციქულმა სიტყვა გააწყვეტინა და მისი შეთავაზება არ მიიღო.

აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის ვაჟი, როგორც ჩანს, მამის მკვლელობაზე ატეხილმა მითქმა-მოთქმამ ღრმად შეაშფოთა. ჭაბუკი გულწრფელი მუსლიმი და მუჰამადის უერთგულესი მიმდევარი გამხდარიყო, მაგრამ, ცხადია, მამის ბედისადმიც გულგრილი ვერაფრით დარჩებოდა. ამიტომაც სასწრაფოდ მუჰამადთან მივიდა და უთხრა:

— გავიგე, თურმე მამაჩემის მოკვლას აპირებთ და თუ ეს ამბავი მართალია, მაშინ ეგ საქმე მე მომანდეთ, რადგან მირჩევნია, მამა ჩემი ხელით მოვკლა, ვიდრე ვინმე ჩემს რელიგიურ თანამოძმეს მოვაკვლევინო და მერე გულში მისი ბოღმა და შურისძიების წყურვილი ჩავიდოო!

მუჰამადმა შესანიშნავად გაიგო, რასაც ეუბნებოდნენ და ამიტომაც ჭაბუკი დაამშვიდა:

— ფიქრი ნუ გაქვს, აბდ ალ-ლაჰის მოკვლას არ ვაპირებ და სანამ ცოცხალია, პატივსა და მზრუნველობასაც არსადროს მოვაკლებთო.

მოციქულის ამ დიდბუნებოვანმა ნაბიჯმა აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის ვაჟი ისე ააღელვა, რომ მედინის შესასვლელთან მამას გზა გადაუჭრა და მშობლურ ქალაქში აღარ უშვებდა, სანამ ვითარება ისევ მუჰამადმა არ დააშოშმინა და აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი მედინაში არ შეიყვანა.

ამ ლაშქრობაში ალაფად მოპოვებულ ტყვეთა შორის იყო ბანი მუსტალიკის ტომის მეთაურის ჰარის იბნ აბი დირარის უმშვენიერესი ასული ჯუვაირია. მისმა სილამაზემ იმდენად მოხიბლა მუჰამადი, რომ ქალი პატრონის (ანუ იმ მუსლიმის, ვისაც ტყვედ ჰყავდა აყვანილი) ხელიდან გამოისყიდა, გააზატა და ცოლადაც შეირთო. წინასწარმეტყველის მომხრეებმა, ეს ამბავი რომ შეიტყვეს, თქვეს, ბანუ მუსტალიკელები მოციქულს დაუმოყვრდნენ, ამიტომაც აღარ შეგვფერის, ტყვედა გვყავდნენო. ყველა მუსტალიკელი გააზატეს და თავის გზით გაუშვეს.

არაბებში კი ამის შემდეგ ფართოდ გავრცელდა თქმა: „არ-

ცერთ ქალს იმდენი მადლი არ მოუტანია თავისი გვარტომისთვის, რა სიკეთეც ჯუვაირიამ მიაგოო.“

ასე წარმატებით იმორჩილებდნენ მოციქული და მისი მიმდევრები ახლომახლო მცხოვრებ არაბულ ტომებს, მაგრამ მუჰამადის ოცნება — მშობლიური მექის დამორჩილება ჯერჯერობით ისევ განუხორციელებელი რჩებოდა.

ამ მიზანს მოციქული მალულად ელოლიავებოდა და მის განხორციელებამდე ნაბიჯ-ნაბიჯ შეუპოვრად მიიწევდა.

ერთ-ერთი ნაბიჯი კი იყო კიდევ ერთი, ამჯერად ყველაზე შეურიგებელი და დაუძინებელი მტრის ქალიშვილზე, ქორწინება.

სანგრის ბრძოლაში დამარცხებულ და გაბოროტებულ აბუ სუფიანს მუჰამადმა ახალი სიურპრიზი მოუმზადა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ მოციქული ალბათ ცდილობდა ამ ხერხით, რაღაცნაირად შემოერიგებინა მექის ეს პრაქტიკული მმართველი, რომელსაც მექელები ყველა საჭირბოროტო საქმის გადაწყვეტას ანდობდნენ და აბუ სუფიანის გარეშე ნაბიჯს არ გადადგამდნენ. ისიც ციხე-გოდოლივით მტკიცედ იდგა თავისი ქალაქისა და წინაპართა ტრადიციების სადარაჯოზე. მუჰამადმა გადაწყვიტა, ეს ციხე შიგნიდან გაეტეხა.

საქმე ის იყო, რომ აბუ სუფიანის ქალიშვილი უმ ჰაბიბა ჰიჯრამდე რამდენიმე წლით ადრე გამუსლიმდა და თავის ქმართან, უბაიდ ალ-ლაჰ იბნ ჯაჰშთან ერთად, სხვა მუსლიმთა კვალდაკვალ, აბისინიაში გადაიხვეწა. უცხოობაში მისი ქმარი გარდაიცვალა და 30 წლის ქვრივი, რომელსაც ხელში პატარა გოგონა, ჰაბიბა შერჩა, რადგან შინ, მუჰამადის დაუძინებელ მტერთან — აბუ სუფიანთან ვეღარ დაბრუნდებოდა, აბისინიიდან მედინაში გადავიდა. ქალი დიდი გაჭირვებით ცხოვრობდა და ძირითადად თანამერჯულეთა დახმარების წყალობით სულდგმულობდა.

თხრილის მიღმა ბრძოლის შემდგომ წინასწარმეტყველმა მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა და უმ ჰაბიბაც ამ წინადადებას სიხარულით დათანხმდა.

მუსლიმური წყაროები გადმოგვცემენ, როცა აბუ სუფიანს ეს ამბავი შეატყობინეს, გაცოფებული ადგილს ვეღარ პოულობდა,

ბრაზით ანთებული ბოლთას სცემდა და მუჰამადის მისამართით ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვიროდა: — ეგ ისეთი დაუოკებელი აქლემია, ვერანაირი აღვირი ვერ დაიჭერსო!

## მუჰამადის მცდელობანი მექის დასაბრუნებლად. ჰუდაიბიას ზავი

ამასობაში ჰიჯრიდან უკვე ექვსი წელი გასულიყო (622-628), მთელი ამ ხნის მანძილზე კი მუჰამადსა და მის მიმდევრებს მექის წმინდათაწმინდა ტაძრის მონახულებისა და იქ მომლოცველობის აღსრულების საშუალება არ მიეცათ. მაგრამ ამის გაკეთება, ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი იყო, რადგან მუჰამადი არამარტო უნინ იღებდა ამ წმინდა რიტუალში მონაწილეობას, არამედ ჰაჯის მომლოცველობას, უკვე ყურანითაც აღიარებულსა და დადასტურებულს, გაასკეცებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამდენად, თუკი სურდა, თავისი მიმდევრების მხრიდან ერთერთი რელიგიური ვალდებულებისადმი უგულისყურობის გამო საყვედური და მუნათი თავიდან აეცდინა, ყოველმხრივ უნდა შეცდილიყო, წმინდა ალაგთა მომლოცველობა აღესრულებია.

ჰქონდა ხილვაც. დაესიზმრა, რომ მიმდევრებთან ერთად მექაში მშვიდობიანად შევიდა და ქააბის გარსშემოვლისა თუ სხვა აუცილებელი რიტუალები აღასრულა. მუჰამადმა სიზმარი ახლობლებს მოუყვა და ყველა მათგანმა ინატრა, ნეტავ ნანახი აგიხდებოდეთო.

გადაწყდა აღსრულებულიყო მცირე ჰაჯი ანუ უმრა, რომელიც ზუ ლ-კაყადას თვეში უწევს და არა — დიდი ჰაჯი ზუ ლ-ჰიჯას თვეში, რადგანაც მცირე ჰაჯისას უფრო ნაკლები საფრთხე იყო იმისა, რომ მექაში მომლოცველობზე წამოსულ მტრულ არაბულ ტომებს გადაჰყროდნენ, ხოლო რაკი ბრძოლა ზუ ლ-კაყადას თვეშიც იკრძალებოდა, სავარაუდოდ, მექელ მოწინააღმდეგეთაც ქალაქში შესასვლელად მათთვის დაბრკოლება არ უნდა შეექმნათ.

მუჰამადმა ეს გადაწყვეტილება მედინელებსა და მეზობლად მცხოვრებ თავის მორჩილ ტომებს შეატყობინა. ამ უკანასკნელთა

უმრავლესობა მოციქულის განზრახვას სავსებით გულგრილად მოეკიდა და ბედუინებმა განაცხადეს: ახლა ისე მოუცლელნი ვართ, ჰაჯისათვის დრო სულაც არა გვაქვსო!

ამიტომაც, 628 წლის თებერვალში, მექისაკენ მუჰამადს თან მხოლოდ ათას ხუთასამდე კაცი — ძირითადად, მედინელები და ასლამის ტომელნი — მიჰყვებოდა.

მათ თან იარაღი არ წაუღიათ, იმის გარდა, რისი ტარების უფლებაც პილიგრიმს გააჩნდა ანუ ქარქაშში ჩაგებული თითო მახვილისა.

მუჰამადისა და მისი მომხეების მექაში ჩამოსვლის ამბავმა ქალაქში დიდი განგაში გამოიწვია. მექელებს მოციქულის მშვიდობიანი ზრახვებისა არ სჯეროდათ, ამიტომაც გადაწყვიტეს, სასწრაფოდ თავიანთი მოკავშირეებისათვის ეხმოთ და მუჰამადისათვის გზა გადაეკეტათ. ამგვარად, მოციქულს წინ მოულოდნელად მექელთა ლაშქარი დაუხვდა და რაკიღა გზას მახვილითა და ძალით ვერ გაიკაფავდა, მეორე, ჰუდაიბიაზე გამავალი გზით შემოვლა გადაწყვიტა.

ჰუდაიბია მექასთან ახლომდებარე ერთი პატარა დასახლება იყო. სწორედ აქ შედგა მუჰამადისა და მექელების მოლაპარაკება, რომელიც ასეთი შეთანხმებით გასრულდა:

გამოცხადდა 10-წლიანი ზავი. ყველას, ვისაც მუჰამადის მიმხრობის სურვილი ექნებოდა, შეეძლო, დაუბრკოლებლად გადასულიყო მის მხარეზე, ასევე მუჰამადის ყველა მიმდევარს უფლება ჰქონდა, სურვილის შემთხვევაში, მექელების მხარე დაეჭირა. ოღონდ უუფლებო პირები, რომლებიც მათი მბრძანებლებისა და პატრონების უკითხავად თავშესაფარს მუჰამადთან მოიძიებდნენ, მოციქულს დაუყოვნებლივ უკან უნდა დაებრუნებინა. იმ წელს მუჰამადი და მისი მიმდევრები მექაში ვერ შეივდოდნენ; ამის გაკეთება გაისად შეეძლოთ, ოღონდ იმ პირობით, რომ ქალაქში მხოლოდ სამ დღეს დარჩებოდნენ და თან ქარქაშში ჩაგებული თითო მახვილის გარდა იარაღი არ ექნებოდათ.

თავის მხრივ მუჰამადი სირიაში მიმავალი და სირიიდან უკან მექისაკენ მომავალი ქარავნების მედინაზე დაუბრკოლებლად გატარებას კისრულობდა.

იმ ხალხს, ვისაც მექაში პილიგრიმობის აღსრულება სწადდა, ხოლო ახლა ჰუდაიბიაში მსხვერპლშეწირვას უნდა დასჯერებოდა, ამ შეთანხმებამ დიდი გულისწყვეტა მოუტანა. მოციქულის თანამგზავრებმა ეს ამბავი უკიდურეს სირცხვილად აღიქვეს. მითუმეტეს, ჰუდაიბიაში დადებული შეთანხმების წერილობით გუჯარში მუჰამადი „ალაჰის მოციქულის“ ტიტულით კი არა, ჩვეულებრივ, როგორც მექელები მიმართავდნენ ისე, ანუ მუჰამად აბდ ალ-ლაჰის ძედ იხსენიებოდა. ხოლო ღვთისთვის ეპითეტ არ-რაჰმანის დამატება მექელთათვის მიუღებელი აღმოჩნდა (ეს სიტყვა ნიშნავს „მოწყალეს“ და მუჰამადს, წარმართობასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის მიზნით, ერთხანს სურდა, სახელი ალ-ლაჰი, რომელსაც შესაძლოა, მორწმუნეთათვის წარმართულ კერპთან დაკავშირებული მოგონებანი აეშალა, ამ ეპითეტით ჩაენაცვლებინა).

ამან მუსლიმები გააცხარა და დაუმორჩილებლობა განიზრახეს. ხოლო ომარმა თავს მოციქულის წინააღმდეგ გამოხდომის უფლება ჯერ კიდევ მანამ მისცა, სანამ ალი ჰუდაიბიას შეთანხმების ტექსტის ჩაწერას შეუდგებოდა.

იბნ ისჰაკის ცნობით, იმ წუთას მუსლიმები მზად იყვნენ, თვით წინასწარმეტყველსაც კი განდგომოდნენ, მაგრამ მუჰამადი თავს მოერია და უკმაყოფილება არავის აგრძნობინა.

შორსმჭვრეტელი მუჰამადი ჰუდაიბიასთან დადებულ ამ მოულოდნელ და დიდებულ შეთანხმებას მხოლოდ წარმატებად კი არა, გამარჯვებად აფასებდა (შდრ: ყურანი, სურა 48, რომელსაც ასევე — „გამარჯვება“ — ეწოდება).

რეალურად, ეს მართლაც დიდი წარმატება იყო. ჰუდაიბიას შეთანხმებით (628 წ.), მოციქული დამოუკიდებელ მმართველად გამოცხადდა. ათწლიანი ზავი კი მას საშუალებას მისცემდა, ახალი მოძღვრება თვით მექაშიც კი გაევრცელებინა და, თანაც, ახალ-ახალი მიწების დამორჩილება და შემომტკიცებაც გაეგრძელებინა. ამიტომაც მუჰამადი ჰუდაიბიას შეთანხმებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგანაც მისი მეოხებით შეეძლო მექის შიში აღარ ჰქონოდა და მზერა სხვა ადგილთაკენ მიემართა.

მოციქული ჰიდაიბიადან მედინაში ზუ ლ-ჰიჯას თვეში დაბრუნდა და შემდგომმა ერთმა თვემ შედარებით მშვიდად ჩაიარა, მუჰარამის თვის ბოლოს კი შეატყობინეს, ხაიბარის უღელტეხილზე მცხოვრები ებრაული ტომები მედინაზე თავდასხმისათვის ემზადებიანო.

მუჰამადმა უკვე კარგად ნაცად ხერხს მიმართა: მოწინააღმდეგეს მოქმედება დაასწრო, ლაშქარი შეკრიბა და მათი სამკვიდროებისაკენ გაეშურა.

მუჰამადის ლაშქარმა ისე სწრაფად იარა, რომ მედინიდან ხაიბარამდე დაახლოებით 200 კილომეტრის გზა სამ დღეში განვლო.

ტაქტიკური მოსაზრებით იმისათვის, რომ ხაიბარელ მედინელებსა და მათ მოკავშირე ღატაფანის არაბულ ტომს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება არ მისცემოდათ, მუჰამადმა თავისი ლაშქარი ჯერ რაჯიყის ჭასთან, ხაიბარის სიახლოვეს დააბანაკა.

იბნ ჰიშამის ცნობით, როდესაც ღატაფანის ტომელებმა ეს ამბავი შეიტყვეს, თავიანთი მოკავშირე ებრაელების დასახმარებლად გაეშურნენ, მაგრამ გზად იფიქრეს, შინ ცოლ-შვილი გვრჩება, მუჰამადი ჩვენი არყოფნით ისარგებლებს, თავისი ლაშქრით მიუვარდება და ამოგვიხოცავსო. ამიტომაც იუდეველთა დახმარება გადაიფიქრეს და ისევ თავის სამკვიდრებელში გამობრუნდნენ.

ზოგი ისტორიკოსი კი აღნიშნავს, ღატაფანელებმა მოკავშირეთა დახმარებაზე უკან არ დაიხიეს. მათთან ერთად იბრძოდნენ და მათთან ერთადვე დამარცხდნენო, მაგრამ, როგორც ჩანს, მართალი უფრო იბნ ჰიშამის ცნობა უნდა იყოს.

მუჰამადმა კი თავისი ლაშქარი ამჯერადაც ღამეულად ატარა, ხაიბარში იუდეველთა ციხე-კოშკამდე წინ წაიწია და სწორედ ციხის ძირში დაბანაკდა.

იუდეველებს იმ ღამით არაფერი გაუგიათ, დილით კი, ჩვეულებისამებრ, ხელში ბარები და თოხები აიღეს და მინდ-

ვრების დასამუშავებლად გარეთ გამოეფინნენ. მაგრამ, როცა მუჰამადსა და მის მოლაშქრეებს ჰკიდეს თვალი, უკან გაიქცნენ და საჩქაროდ ციხე-კოშკში შეიკეტნენ.

მუჰამადმა ეს ამბავი უკვე საკმაოდ სამართლიანად მტერზე გამარჯვებად ჩათვალა და იწინასწარმეტყველა: ხაიბარი უკვე დაეცა. ვაი იმას, ვისაც ჩვენ შევუტევთო!

ხაიბარში ებრაელთა რამდენიმე ტომი სახლობდა. ამ ტომებს იქ რამდენიმე ციხესიმაგრე ჰქონდათ. შუასაუკუნეთა მუსლიმი ისტორიკოსის, იაკყუბ ალ-ჰამავის ცნობით, ეს ციხეები იყო: ნაკიმი, კამუსი, შიკი, ნატა, სულალიმი, ტაიჰი და ქათიბა.

სხვა წყაროები, ამ შვიდი ციხის გარდა, კიდევ ორ ციხესიმაგრეს ასახელებენ: ზუბაირის კოშკსა და საყბ იბნ მუყაზის კოშკს. თუმცა, ნათელი არაა, ეს ამ შვიდი ციხეთაგანის მეორენაირი დასახლებაა თუ სხვა ციხეები იყო.

ყოველ შემთხვევაში, ხაიბარი კარგად გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა და თანაც, რადგან იუდეველებს ამგვარი თავდასხმის მოლოდინი ჰქონდათ, საკვებსა და წყლის მარაგზეც წინდაწინვე ეზრუნათ.

როცა მუჰამადის ლაშქრის შემოსვლა შეიტყვეს, მათი თავკაცის, სალამ იბნ მიშქამის რჩევით, ქალები და ბავშვები ვატიჰისა და სულალიმის ციხე-სიმაგრეებში მოათავსეს, ქონება და სარჩო-საბადებელი ნაყიმის ციხეში გადამალეს, ხოლო მეომარი კაცები ნატას ციხეში გამაგრდნენ და უმძიმესი ბრძოლისთვის მოემზადნენ.

დაიწყო იუდეველთა ციხე-სიმაგრეების უმძიმესი ბლოკადა, რომელმაც 20-25 დღეს გასტანა და იუდეველები მუჰამადის ლაშქარს უჩვეულოდ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ხაიბარი არაბეთის ნახევარკუნძულზე მათ უკანასკნელ ცენტრს წარმოადგენდა და თუ ამ ადგილსაც დაკარგავდნენ, მაშინ მთელ ნახევარკუნძულზეც უარი უნდა ეთქვათ.

ამიტომაც ალყის ყოველი დღის განმავლობაში ციხეებთან სათითაოდ იმართებოდა უმძიმესი ბრძოლები. პირველი ბრძოლა კი ნატას ციხესთან გაიმართა. მხოლოდ ამ დღეს 50

მუსლიმი გაწყდა და დაიჭრა, ებრაელთა მხრიდან კი მოკვდა ებრაელთა ტომების მეთაური სალამ იბნ მიშქამი, რომლის შემდეგაც ებრაელთა თავკაცობა ჰარის იბნ აბი ზაინაბმა იკისრა. მან თანამოძმენი ნაყიმის ციხესთან გადაიყვანა და ბრძოლაში ამჯერად ამ ციხესთან ჩააბა. მაგრამ აქაც და შემდგომ კამუსის ციხესთანაც უსასტიკესი მარცხი იწვნიეს.

კამუსის ციხე ყველაზე უკეთ იყო გამაგრებული და ამიტომაც მუჰამადის ლაშქარს რამდენიმე დღეს, უფრო ზუსტად კი, მასზე სამჯერ შეტევამ მოუწიათ.

პირველ დღეს მეომრებს სათავეში აბუ ბაქრი ჩაუდგა, მაგრამ კამუსის ციხესთან, რომელიც მიუვალ კლდეზე იყო ნაშენები, ვერაფერი გააწყო.

მეორედ ომარ იბნ ალ-ხატაბმა სცადა მისი აღება, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა.

ბოლოს კი მუსლიმთა ბაირაღი მოციქულმა ალის გადასცა და განაცხადა: „ეს არის კაცი, რომელსაც უყვარს ალაჰი და მისი მოციქული და საყვარელია ალაჰისა და მისი მოციქულისა! ადამიანი, ვინც არ უწყის შიში და ვისაც მტრისთვის ზურგი არასოდეს უჩვენებია!"

მუსლიმური მატიანეები ალის საშუალო ტანის, მაგრამ მტკიცე აღნაგობის, მხარბეჭიან და უჩვეულოდ ძლიერ მამაკაცად გვიხატავენ. სახეზე მუდამ კეთილი ღიმილი ეფინა და მოკლედ, გემოვნებით შეკრეჭილი წვერი ამშვენებდა. ბუნებითაც კეთილი იყო, მახვილი გონება და მგრძნობიარე გული ჰქონდა.

იმ დღეს კი, როგორც იბნ ჰიშამი გადმოგვცემს, ალისფერი პერანგი და ზემოდან ფოლადის ჯავშანი ემოსა.

ალიმ მებრძოლებთან ერთად, გაარღვია ებრაელთა მიერ დაგებული წინააღმდეგობა და ციხის პირდაპირ დაბანაკდა.

მასთან ხელდახელ ბრძოლისათვის იუდეველთა მეთაური, გოლიათური აღნაგობის ალ-ჰარისი გამოვიდა. ალიმ მას ხელი წამში მოუთავა და ამის შემდეგ ძმისათვის შურისძიება მოკლულის ძმამ — ასევე უზარმაზარი ტანის კაცმა ითავა, რომელსაც ორმაგი ჯავშანი ეცვა და ფოლადის მუზარადზე მსხვილი ალმასი უბრწყინავდა.

მაგრამ ალიმ აქაც იმარჯვა. მოწინააღმდეგეს მუჰამადის ცნობილი ხმალი ზუ ალ-ფაკარი — მკვეთელი, რომელიც სწორედ იმ დღეს მოციქულს მისთვის გადაელოცა, მოუქნია და თავისი ჯავშნიანად შუაზე გაჩეხა.

ციხეში გამაგრებულმა მებრძოლებმა ამის შემდეგ ერთი კი გაიბრძოლეს, მაგრამ მეთაური ძმების სიკვდილით ბრძოლის ბედი, არსებითად, გადაწყვეტილი იყო და ამრიგად ალ-კამუსის მიუვალი სიმაგრეც დანებდა.

ამ ციხეებიდან მუსლიმებს უამრავი ალაფი დარჩათ. იუდეველებმა კი მიუხედავად იმისა, რომ კიდევ სამი ციხე ჯერაც მათი იყო, მომავალზე ხელი ჩაიქნიეს და სასოწარკვეთილებას მიეცნენ. გადაწყვიტეს, მუჰამადს ხლებოდნენ და ზავი შეეთავაზებინათ.

ამ მიზნით მათი ერთ-ერთი მეთაური — უმაია იბნ აბი ალ-ჰაკიკი მოციქულთან მივიდა და გაურიგდა: ბანუ კაინუკას იუდეველთა მსგავსად, ჩვენი სამკვიდროდან ავიყრებით, თუკი შინიდან ერთი საპალნე ტვირთის გატანის უფლებას მოგვცემო. მოციქული ამაზე რომ დაითანხმა, უმაია იბნ აბი ალ-ჰაკიკმა შეაპარა: ხომ არ გიჯობთ, აქვე ჩვენს მიწებზე დაგეტოვოთ. ჩვენ ნაყოფიერი მინდვრების პატრონნი ვართ, მიწას დავამუშავებთ, მოსავალს მოვიყვანთ და ნახევარს თქვენს მიმდევრებს ჩავაბარებთო!

მოციქულმა ეს წინადადებაც მიიღო და ამიერიდან ხაიბარელ იუდეველებს მუსლიმთათვის ხარაჯის სახით თავიანთი მოსავლის გადახდა დაეკისრათ იმ პირობით, რომ როცა მუჰამადის მომხრეები მოინდომებდნენ, თავიანთი სახლებიდან უბრძოლველად აიყრებოდნენ.

ეს წესი მოციქულის სიცოცხლეში მოქმედებდა და ხაიბარელი იუდეველები საბოლოოდ ომარ იბნ ალ-ხატაბის ზეობის ხანაში განდევნეს.

მათი დამორჩილების შემდეგ კი ფადაქში მაცხოვრებელ იუდეველთა ჯერიც დადგა, რომელთაც მოციქულმა ალის პირით შეუთვალა: ან ისლამს მიიღებთ ან არა და ჩვენთან საომრად მოემზადებითო! ფადაქლებმა, რომელთაც იცოდნენ, ხეიბარე-

ლებს რა ბედი ეწიათ, იფიქრეს, მუჰამადთან ბრძოლის თავი არა გვაქვსო და სთხოვეს: ჩვენც ისევე მოგვექეცით, როგორც ჩვენს ხაიბარელ თანამოძმეებს მოეპყარითო. მუჰამადმა მათი შეთავაზება იყაბულა და ამრიგად, ფადაქელი იუდეველები უბრძოლველად დანებდნენ.

შიიტური წყაროების მტკიცებით, მუჰამადმა ფადაქელ ებრაელთა ციხე-სიმაგრე საჩუქრად ფატიმას და მის შვილებს გადასცა და ამ მიწებიდან აკრეფილი ხარკიც მათვე დაუტოვა. მოციქულის სიცოცხლეში აღნიშნული ციხე-სიმაგრის მთელ საქმეებს ფატიმა განკარგავდა, მაგრამ მუჰამდის გარდაცვალების შემდგომ აბუ ბაქრმა დაიჩემა: ფადაქი მოციქულის პირადი საკუთრება არ ყოფილა და რაც მისი სიკვდილის შემდგომ დარჩა, ყველაფერი მუსლიმთა საერთო ქონებააო.

მაშინ კი ფადაქში დამორჩილებულ და დატყვევებულ ებრაელ ქალებში საფიაც ერია, ბანი კურაიზასთან ბრძოლისას მოკლული ამ ტომის მეთაურის — ჰუიია იბნ ახტაბის ქალი და ასევე ამ ბრძოლისას დაცემული ქინანა იბნ რაბიყას მეუღლე, რომელსაც კურაიზელთა განდევნის შემდეგ თავი ხაიბარელ ნათესავებთან შეეფარებინა.

კარგა ხნით ადრე, როცა ქმარი ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა, საფიას სიზმარი უნახავს და მეორე დილით თავისი ხილვა ქინანა იბნ რაბიყასათვისაც გაუნდვია: ჩემს სენაკში უეცრად სავსე მთვარე შემობრდღვიალდაო!

კაცს ცოლის სიზმარი მის მიერ ქვეცნობიერად გამოვლენილ მუჰამადის ცოლობის წადილად აუხსნია, ქალისათვის სახეში უთხლეშია და უთქვამს: — შენნაირი რამდენი ჰყავს, რომ ახლა იმათ შენც გინდა, რომ დაემატოო!

მაგრამ საფია ლამაზი ქალი იყო და მუჰამადი ისე მოიხიბლა ქვრივის მშვენებით, რომ ფადაქშივე ცოლად შეირთო და ამით, მუსლიმი ავტორების მტკიცებით, ებრაელ ხალხთან ერთიანობის გზაზე გონივრული და წინდახედული ნაბიჯი გადადგა.

ხოლო ხაიბარელ და ფადაქელ ებრაელთა დამოჩილება რომ მოათავა და მათგან ნაალაფარი ქონებაც მუსლიმებში გადაანაწილა, ერთმა ებრაელმა ქალმა — ბრძოლაში დაცემული

სალამ იბნ მიშქამის ცოლმა და ჰარის იბნ აბი ზაინაბის ქალიშვილმა — ცხვარი დაკლა, შეწვა, შემწვარი ხორცი მოწამლა და საჩუქრად წინასწარმეტყველსა და მის მიმდევრებს გაუგზავნა. რაკი ქალს გაგონილი ჰქონდა, მუჰამადს ყველაზე უფრო ბარკლის ხორცი უყვარსო, შემწვარ ბატკანს უფრო მეტი შხამი სწორედ ამ ადგილას წაუსვა.

მუსლიმები გვარიანად მოიშიებულნი იყვნენ და ძღვენმა განსაკუთრებით გაახარათ. ჭამა ყველაზე პირველმა ბაშარ იბნ ბარა იბნ მაყრურმა წამოიწყო და რამდენიმე ლუკმა ხარბად გადაყლაპა. მოციქულმა კი ერთი ლუკმა ჩაიდო თუ არა, მაშინვე უკან გადმოაფურთხა და ბრძანა:

— ეს ხორცი მოწამლულია და ხელი აღრავინ აღარ მოკიდოსო!

სასწრაფოდ იხმეს ძღვენის გამომგზავნი, რომელმაც ხორცის მოწამვლის ამბავი არ დამალა და პირდაპირ განაცხადა:

— იმის გამო, რომ მამა და ქმარი დამიხოცეთ, გულში შურისძიება ამოვიჭერი და ეს საქმეც ამიტომ გავაკეთე. თან ვიფიქრე, თუ მუჰამადი ამქვეყნიური მმართველია, რომელსაც მხოლოდ სხვათა მიწების დაპყრობის წადილი ამოძრავებს, მოკვდება და მისი ხელიდან ყველა დაისვენებს. ხოლო თუ მართლაც მოციქულია, როგორც თვით გვიმტკიცებს, ხორცის მოწამვლასაც წინდაწინ შეიტყობსო!

სხვათა შორის, ზოგი მუსლიმი ავტორი აღნიშნავს, რომ მუჰამადმა ებრაელ ქალს დანაშაული შეუნდო და თავის შვილებიანად ცოცხალი გაუშვა. თუმცა არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ქალი შურის საძიებლად ბაშარ იბნ მაყრურის — მის მიერ მორთმეული მოწამლული ხორცით მკვდარი მუსლიმის — ნათესავებს გადაულოცეს.

მერე კი, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა წინასწარმეტყველს სიკვდილის ჟამმა უწია, იმ ბატკნის ხორცით მკვდარი მუსლიმის დისათვის გაუმხელია:

— შენს ძმასთან ერთად ხაიბარში ნაჭამი ბატკნის ხორცის ზემოქმედება ახლა ვიგრძენი და ჩემი სიკვდილის მიზეზიც სწორედ ის საწამლავი შეიქნაო!

ხაიბარის ბრძოლაში კი მთლიანად ოცი მუსლიმი დაეცა, რომელთაგან მხოლოდ ოთხი მუჰაჯირი, დანარჩენები კი — ანსარები იყვნენ.

უკანა გზაზე, მუჰამადმა და მისმა ლაშქარმა ვადი ალ-კურაშიც დაიბანაკა, იქ მცხოვრები იუდეველებიც დაიმორჩილა და მედინაში, ფაქტობრივად, ყველა ფრონტიდან გამარჯვებული დაბრუნდა.

ხაიბარის ბრძოლის შემდეგ, ჰიჯრის მეშვიდე წელიწადს, მნიშვნელოვანი აღარაფერი მოხდარა, თუ არ ჩავთვლით წვრილ-წვრილ შეტაკებებს სხვადასხვა არაბულ ტომთან, რომლებიც საბოლოოდ მოციქულის პირობებს იღებდნენ და ერთმანეთის მიყოლებით მუსლიმდებოდნენ.

წლის დასასრულს კი, მოციქულმა აღასრულა „საბედისწერო უმრა“ (უმრათ ალ-კადა), რომელიც ისლამის ზეობის თვალსაზრისით, მართლაც, საბედისწერო მოვლენა აღმოჩნდა.

ზუ ლ-კაყადას თვეში მუჰამადმა თან 2000-მდე მუსლიმი იახლა და მექისაკენ გაემართა. კურაიშელებთან დადებული პირობის თანახმად, მუსლიმებს თან არანაირი იარაღი არ წაუღიათ და მხოლოდ ერთი ქარქაშში ჩაგებული მახვილის ამარა იყვნენ.

თუმცა მოციქულს საპირისპირო მხრიდან პირობის დარღვევისა შეეშინდა, სიფრთხილე გამოიჩინა და ასი კბილებამდე შეიარაღებული მხედარი, მუჰამად იბნ მასლამას მეთაურობით, წინასწარ მექისაკენ გააგზავნა. ამ რაზმს უბრძანა, მექას თავზე რომ გადასცქერის, იმ მარ აზ-ზაჰრანის ხევში დაბანაკდით და მე და დანარჩენ თანამოძმეებს იქ გველოდეთო.

მალე თვითონ მოციქული და ეს 2000 მუსლიმი ზუ ლ-ჰულაიფამდე მივიდნენ და მასჯიდ შაჯარაში საპილიგრიმო სამოსელში გამოეწყვნენ.

ჰუდაიბიას შეთანხმების თანახმად, როცა კურაიშელებმა მუჰამადის შემოსვლის ამბავი შეიტყვეს, ქალაქიდან გავიდნენ და მუსლიმთა სვლას ახლოდან თვალს მხოლოდ დარ ან-ნადვასთან მდგარი აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბი და კიდევ რამდენიმე კაცი ადევნებდა.

თუმცა დანარჩენი კურაიშელებიც იქვე მდებარე ხევებსა და

გორაკებზე იყვნენ შეფენილნი და იქიდანაც ყველაფერი გარკვევით მოჩანდა.

ისლამის მოციქული და მისი თანხმლები პილიგრიმები კი, მექის შესასვლელს მიადგნენ და თან სამსხვერპლოდ გამზადებულ სამოც აქლემს მიირეკავდნენ. მუჰაჯირები, რომლებსაც წლების განმავლობაში მშობლიური ქალაქის ნახვის საშუალება აღარ ეძლეოდათ, ახლა განსაკუთრებული მღელვარებით მიდიოდნენ იქ, სადაც ყველაფერი, თითოეული ქვა და კენჭიც კი მეტისმეტად ეძვირფასებოდათ.

თვითონ მოციქულსაც ხომ განსაკუთრებულად უყვარდა მშობლიური ქალაქი და ერთხელ მედინაში მექის მისამართით კიდეც ეთქვა:

— ჩემივე ნათესავების შიში რომ არა, არასოდეს მიგატოვებდიო!

მუსლიმები ქააბაში შევიდნენ და შვიდგზის გარსშემოვლა აღასრულეს, მერე საფასა და მარვას გორაკებს შორის საყის რიტუალიც ჩაატარეს და მარვასთან სამსხვერპლო აქლემები წამოაქციეს.

ჰუდაიბიას შეთანხმების თანახმად, ქალაქში სამი დღე დარჩნენ. ამ სამ დღეში მუჰაჯირებმა მშობლიური სახლ-კარისა და ნათესავების მონახულება მოახერხეს.

გარდა ამისა თვითონ მექელებმაც კარგად დაინახეს, რომ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, როცა მუჰამადის ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, მუსლიმებს არც ქააბას ტაძრის და არც ჩვენი ტრადიციული სიძველეების არავითარი პატივისცემა არ გააჩნიათო, მუჰამადი და მისი თანმხლები პილიგრიმები ალ-ქაყბას როგორი მოწიწებით ეპყრობოდნენ და არსებითად, არც ისეთი სისხლისმსმელნი ჩანდნენ, როგორც ამას მტრული პროპაგანდა წარმოაჩენდა.

ამ სამი დღის განმავლობაში მუჰამადმა მექელთა გარკვეული ნაწილის ისლამის სჯულზე მოქცევა მოახერხა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამი ადამიანის გამუსლიმება. მექელთა ყველაზე თავგადაკლული და ძალოვანი მეომრები ამრ იბნ ალ-

ასი, ოსმან იბნ ტალჰა და ხალიდ იბნ ვალიდი მუჰამადს მიემხრნენ და ამის შემდეგ ისლამის ზეობისათვის ისეთივე გააფთრებით იღწვოდნენ, როგორც აქამდე მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

საბედისწერო უმრა პირადად მუჰამადისათვისაც სვებედნიერი აღმოჩნდა, რადგან ამ სამი დღის განმავლობაში მუჰამადმა კიდევ ერთ ქალზე ქორწინება მოახერხა. ეს მოციქულის უკანასკნელი ქორწინება იყო და ამჯერად ერთი მექელი ქვრივი — მაიმუნა გაბედნიერდა, რომელიც თავისი ძმისშვილისათვის წინდაწინ აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბს შეეგულებინა. მაიმუნაც ხადიჯას მსგავსად მუჰამადამდე ორჯერ იყო გათხოვილი და იმხანად 53 წლისა უკეთეს პერსპექტივას ვეღარც ინატრებდა. თუმცა ეს ქორწინება არც მუჰამადისთვის იყო ნაკლებ მნიშვნელოვანი, რადგან მაიმუნა მექური არისტოკრატიის წრეს ეკუთვნოდა და მისი შერთვით მუჰამადს ამ გვარებთან ურთიერთობის მოგვარების გზები ეხსნებოდა.

მოციქულს უნდოდა, ეს ვითარება სათავისოდ გამოეყენებინა და მექელებს შესთავაზა, ქორწილს გადავიხდი და მესტუმრეთო.

მაგრამ მექელებმა მიპატიჟება არ მიღეს და მესამე დღის მიწურულს მუჰამადთან სუჰაილ იბნ ამრი მიაგზავნეს:

— შეთანხმებით განსაზღვრული ყავლი გაგივიდათ და აქედან მიბრძანდითო!

მუჰამადმა, კიდევ ერთხელ შეუთვალა: რა მოხდება, ქორწილი რომ გადავიხადო და თქვენც მესტუმროთო!

მაგრამ მექელები კვლავ ცივ უარზე იდგნენ:

— ჩვენ შენი საჭმელ-სასმელი არ გვჭირდება! ქალაქიდან საწრაფოდ გადიო!

მუჰამადმა, როცა ვერაფერი გააწყო, თავისი მიმდევრები წამოიყვანა და მედინაში დაბრუნდა. მექაში კი მსახური ბიჭი — აბუ რაფიყი დატოვა, რათა მოგვიანებით მაიმუნა მედინაში ჩაეყვანა.

მედინაში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე თვე მოციქულმა ყურადღება არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთზე გადაიტანა, რადგან სამხრეთით ჰუდაიბიას შეთანხმების შემდგომ სიმშვიდემ დაისადგურა და იქიდან საფრთხეს აღარ მოელოდა.

სამაგიეროდ, მოციქულის აზრით, ისლამის საქადაგებლად შესაბამისი ნიადაგი სწორედ ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ მხარეებში იყო მომზადებული, სადაც ერთმანეთს ორი ძალა — სასანური ირანი და აღმოსავლეთ რომის იმპერია უპირისპირდებოდა და ეს მხარეებიც, პოლიტიკური და სამხედრო ვითარების უსწრაფესი ცვალებადობის შესაბამისად, ხელიდან ხელში გადადიოდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მუჰამადმა მუსლიმთა კარგი რაზმი შეკრა და ამრ იბნ ქაყბ ღიფარის წინამძღოლობით, შამში, ერთ დასახლებულ პუნქტში გააგზავნა, რომელსაც ზათ ატ-ტალჰს უწოდებდნენ.

მაგრამ იქ მცხოვრებმა არაბებმა ისლამის აღიარება არ ისურვეს და მუსლიმთა თხუთმეტკაციანი ჯგუფი მთლიანად ამოწყვიტეს. ბრძოლიდან სულის გამოტანა მხოლოდ ამრ იბნ ქაყბ ალ-ღიფარიმ მოახერხა.

ამის შემდეგ (თუ ამ ჯგუფისვე კვალდაკვალ) მუჰამადმა ერთი ასეთივე რაზმი ჰარის იბნ უმაირის მეთაურობით, ბასრაში რომაელთა მიერ დასმულ მმართველთან შურ ჰაბილ იბნ ღუსანთანაც გააგზავნა და თან ისლამის აღიარების მოწოდებით უსტარი გაატანა. მაგრამ შურ ჰაბილმა ჰარისი და მისი თანმხლები მუსლიმები სიკვდილით დასაჯა.

ამ ორმა ამბავმა მედინელ მუსლიმთა დიდი მრისხანება და გაგულისება გამოიწვია. სასწრაფოდ შეკრიბეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი და აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან საომრად ჰიჯრის მერვე წლის ჯუმადი ალ-ავალის თვეში სირიის მოსაზღვრედ მდებარე მუთასთან გაემგზავრნენ.

ამ სამიათასკაციანი ლაშქრის წინამძღოლის ვინაობაზე

სუნიტური და შიიტური აღმსარებლობის მუსლიმებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ.

შიიტური გადმოცემებით, მოციქულმა ლაშქრის წინამძღოლობა აბისინიიდან მედინაში იმხანად დაბრუნებულ ჯაყფარ იბნ აბი ტალიბს ჩააბარა, მისი სიკვდილის შემთხვევაში კი სარდლობა ზაიდ იბნ ალ-ჰარისის ხელში უნდა გადასულიყო, ხოლო თუ ზაიდსაც რამე მოუვიდოდა, მაშინ სპასალარობა აბდ ალ-ლაჰ იბნ რავაჰას დარჩებოდა.

სუნიტური წყაროები კი ამტკიცებენ, წინასწარმეტყველმა თავიდან ლაშქრის მეთაურად ზაიდ იბნ ალ-ჰარისი დაადგინა და მხოლოდ მისი სიკვდილის შემთხვევაში უნდა გადასცემოდა წინამძღოლობა ჯაყფარ იბნ აბი ტალიბს, რომელიც თუ ასევე დაიღუპებოდა, მაშინ მის ადგილს აბდ ალ-ლაჰ იბნ რავაჰა დაიჭერდაო.

ასე იყო თუ ისე, როცა ამ დარიგებისათვის ერთ იუდეველს, ვინმე ნუყმანს მოუკრავს ყური, წამოუძახია:

— მუჰამად, თუ შენ მართლაც ღვთის მოციქული ხარ, ისინი, ვინც დაასახელე, უკლებლივ ყველა ბრძოლის ველზე დაეცემა. ისრაელის ძველი წინასწარმეტყველნი, როცა ლაშქარს საბრძოლველად აგზავნიდნენ და მის მეთაურს ამგვარად დაადგენდნენ, ასი კაციც რომ ჩამოეთვალათ, ასივე ერთმანეთის მიყოლებით დაიხოცებოდაო!

მერე ეს იუდეველი ზაიდ იბნ ალ-ჰარისთან მივიდა და უთხრა:

— ოჯახის წევრებს დაემშვიდობე, რადგან, თუ მუჰამადი მართლაც მოციქულია, უეჭველად დაიღუპებიო!

სანამ მედინიდან გავიდოდნენ, მუჰამადმა დალოცა ლაშქარი და უქადაგა:

— სახელითა ალაჰისა, წადით და შეებით მოციქულისა და ისლამის მტრებს. გზად ალბათ ბევრი მონასტერი შემოგხვდებათ, მაგრამ წუთისოფლისაგან ამ მონასტერში განდგომილ ბერებს ხელს ნუ შეახებთ. ასევე არ დახოცოთ ქალები, ძუძუთა ბალღები და მოხუცები. არ მოჭრათ ხეები და არ დაანგრიოთ შენობა-ნაგებობანი.

ერთ-ერთი გადმოცემა იმასაც მოგვითხრობს, რომ გამგზავრების წინ ლაშქრის მეთაურად დადგენილ აბდ ალ-ლაჰ იბნ რავაჰას ტირილი დაუწყია. როცა მიზეზი უკითხავთ, უთქვამს: ღმერთმანი წუთისოფლის დათმობის გამო კი არა ვწუხვარ, ჯოჯოხეთში მოხვედრა მაშინებსო.

ამგვარად მუსლიმთა ლაშქარი მედინიდან გამოვიდა და მცხუნვარე, ურწყული და უკაცური უდაბნო გადასერა, სანამ სირიის საზღვართან მწვანედ მოხასხასე ოაზისებამდე მივიდოდა. ამრიგად, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობა (დაახლ. 150 კმ.), რაც კი მაშინდელი მუსლიმური თემის ისტორიას ახსოვდა.

ლაშქრობაში მოხალისედ მონაწილეობდა იმხანად ახალგამუსლიმებული ხალიდ იბნ ალ-ვალიდიც.

მუსლიმები (ამჟამად იორდანიის ტერიტორიის ნაწილთან) მუყანთან მივიდნენ და იქ დაბანაკდნენ. ამ დროს შეიტყვეს, რომ რომის იმპერატორს ჰერაკლე II-ს 100000-კაციანი ლაშქარი შეეკრიბა და მათ დასახვედრად მააბის მიწაზე დაბანაკებულიყო. ამას გარდა, მათ მუსლიმთა წინააღმდეგ ეშველებოდა იმ ადგილებში მცხოვრები ლახმის, ჯუზამის, კაინის და ბაჰრას არაბული ტომებისაგან შემდგარი 100000-კაციანი ლაშქარიც.

როცა მუსლიმებმა ეს ამბავი შეიტყვეს, ერთმანეთში ბჭობა წამოიწყეს, რა ვქნათ — უკან დავბრუნდეთ და საქმეზე მოციქულს მოვეთათბიროთ თუ მოწინააღმდეგის ამხელა ლაშქარს ასე მცირე ძალით შევებათო.

ამ დროს აბდ ალ-ლაჰ იბნ რავაჰამ, რომელიც სწორუპოვარი მებრძოლის გარდა, შესანიშნავი პოეტი და ორატორიც იყო, მებრძოლებს მიმართა და უთხრა:

— მუსლიმნო, გული გაიმაგრეთ, რადგან მტერს ჩვენი მცირერიცხოვნებით კი არა, იმ დიდი რწმენით ვებრძვით, რაც უფალმა ჩვენზე მოწყალებად მოიღო. წინაც ორი ბედნიერებიდან ერთერთი გველოდება: ან გამარჯვება ანდა მოწამეობრივი აღსასრული. მაშ, ნუღარ დავაყოვნებთ, წავიდეთ და მოწინააღმდეგეს გმირულად შევებათო!

მისმა ნათქვამმა მუსლიმები ერთიანად აღანთო, გზა გა-

ნაგრძეს და რომაელთა ლაშქარს ბალკასთან შემოხვდნენ, მაგრამ ეცადნენ და იქვე მდებარე სოფელ მუთამდე მიაღწიეს, რომელსაც სტრატეგიული თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა. ამის მიუხედავად, ძალები მეტად უთანასწორო იყო და მუსლიმთა მცირერიცხოვანი ჯარის მეთაურები ბრძოლის ველზე ერთმანეთის მიყოლებით წყდებოდნენ. ჯერ ზაიდ იბნ ალ-ჰარისი მოკლეს და მის შემდეგ საბრძოლო დროშა ჯაყფარ იბნ აბი ტალიბის ხელში გადავიდა. ჯაყფარმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა, თავდაპირველად მარჯვენა მოჰკვეთეს, მერე მარცხენა ხელიც წააწყვიტეს, ხოლო როცა სიკვდილის შემდეგ ტანი დაუთვალიერეს, სხეულზე სამოცდაათამდე ჭრილობა აღმოაჩნდა.

შიიტურ გარემოში გავრცელებული გადმოცემით, მოციქულს უთქვამს: როდესაც ჯაყფარი მონამეობრივად აღესრულა, იმ წამს დავინახე, როგორ გამოესხა მოკვეთილი ხელების მაგივრად ორი ფრთა და სამოთხისაკენ როგორ გაფრინდაო.

ამ გადმოცემაზე დაყრდნობით, ჯაყფარ იბნ აბი ტალიბს »ჯაყფარ ატ-ტაიარს“ — მფრინავ ჯაფარსაც უწოდებენ. სიკვდილის დროს ეს ძალგულოვანი მეომარი და ისლამის ზეობისათვის დაუცხრომლად მებრძოლი კაცი 41 წლისა იყო.

ამ ორი სარდლის სიკვდილის შემდეგ კი, ჯარის მეთაურობა აბდ ალ-ლაჰ იბნ რავაჰამ გადაიბარა. მაგრამ მტრის ისარმა არც პოეტი დაინდო და მანაც თავისი მოძმეების ბედი გაიზიარა.

უკიდურესად შევიწროვებულმა მუსლიმებმა სარდლობა სარწმუნოებაზე ახალმოქცეულ ხალიდ იბნ ალ-ვალიდს დააკისრეს, რომელიც თავისი უშიშრობითა და გაუტეხლობით იყო სახელგანთქმული.

ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა, როცა მიხვდა, ღონით მტერთან ვერაფერს გავაწყობო, ხერხი იხმარა და ღამით, ბრძოლა ცოტათი რომ მინელდა, მუსლიმთა რამდენიმე ჯგუფი მტრის ზურგში შეაგზავნა, მეორე მხრიდან მოავლევინა და ამ ჯგუფთა წევრებმა დილით ისეთი ყიჟინა დასცეს, რომ მოწინააღმდეგეს ეგონა, მუსლიმებს მედინიდან დამატებითი ძალებით მიეშველნენო.

ამან ბერძნებზე ძალიან იმოქმედა. ბრძოლის შეჩერება

გადაწყვიტეს და მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დაშორდნენ. ეს ძალთა ამგვარი უთანასწორობის ვითარებაში, შეიძლებოდა მუსლიმთა ტაქტიკურ გამარჯვებადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ მედინაში სირიიდან დაბრუნებულ მხედრებს თანამოძმენი ძალზე ცივად და დაცინვით შეგებნენ. მათ დამარცხებულებს უწოდებდნენ და ბევრი ოჯახის წევრი თავისიანებს კარს არ უღებდა: მტერს ზურგი რად უჩვენეთ და რატომ სხვებთან ერთად თქვენც ბრძოლის ველზე არ დაეცითო.

ვითარება ისევ ისე მოციქულმა დააშოშმინა: ჯერ ერთი, ხალხი დაარწმუნა, რომ ჩვენმა მებრძოლებმა ყველაფერი იღონეს გამარჯვებისათვის და მათზე საყვედური ნამდვილად არ გვეთქმისო. და მეორეც: საზოგადოების ყურადღება რიტუალზე გადაიტანა.

საქმე ის იყო, რომ მუსლიმებმა დახოცილი მეომრების ცხედრები ბრძოლის ველზე არ მიატოვეს და მედინაში ჩამოიტანეს. ეს კი კარგი საბაბი იყო, რომ ხალხს დაგროვილი ემოცია სწორად დაეხარჯა. ლაშქრის მედინაში დაბრუნების მესამე დღეს, მოციქულის ბიძაშვილი — აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბი და სხვა მხედრები შესაშური პატივით დაკრძალეს.

## ეპისტოლეები მაშინდელი მსოფლიოს ძლევამოსილი მმართველებისადმი

აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროს (628 წელს) თავისი ქვეყნის გარეთ თითქმის უცნობმა წინასწარმეტყველმა ერთი შეხედვით უცნაური რამ ჩაიდინა: მან მეზობელი დიდი სახელმწიფოების მეთაურებს — რომის ანუ ბიზანტიის იმპერატორს, სპარსეთის შაჰს, აბისინიის მეფეს, იამამის ხელმწიფესა და ეგვიპტისა და სირიის გამგებლებს ეპისტოლეები დაუგზავნა, სადაც მათგან დამორჩილება და ისლამის აღიარება მოითხოვა. ცნობილია, რომ იმპერატორმა ჰერაკლემ წერილი იერუსალიმში მიმავალმა მიიღო. მისი საიმპერატორო უდიდებულესობა ამ ამბამდე ძალზე შეწუხებული იყო: სპარსელებმა მას სირია წაართვეს და

თვით კონსტანტინეპოლსაც ამავე საფრთხით ემუქრებოდნენ, მაგრამ მუჰამადის ჰიჯრის დროისათვის ბედისწერა მის მხარეს შემობრუნდა: ჰერაკლემ დაიბრუნა მცირე აზია, სამხედრო მოქმედებათა თეატრონი თვით სპარსეთის შუაგულში გადაიტანა, 627 წელს ნინევიასთან მოპოვებული გამარჯვებით სპარსეთის ძლიერებას საბედისწერო დარტყმა მიაყენა და მოწინააღმდეგეს ცხოველმყოფელი ჯვარი ხელიდან გამოჰგლიჯა. ახლა იმპერატორს ენება, ეს ცხოველმყოფელი ჯვარი იერუსალიმში, რაც შეიძლება დიდი პატივითა და თაყვანით, მაცხოვრის საფლავზე აებრძანებინა და ამავე მიზნით ფეხით მიემართებოდა წმინდა ქალაქისაკენ, როცა მუჰამადის ეპისტოლე აახლეს. თავისთავად ცხადია, ჰერაკლეს წერილი ოდნავი ყურადღების ღირსადაც არ მიუჩნევია, ირანის შაჰმა კი ეპისტოლე ნაკუწებად აქცია. სამაგიეროდ, მისმა ნაცვალმა იემენში, რომელსაც სპარსეთის სამეფოს უძლურება შესანიშნავად მოეხსენებოდა და ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე მეტროპოლიის წინააღმდეგ თვითონაც ამბოხებულიყო, სცნო მუჰამადის უზენაესობა.

ეგვიპტის რომაელმა გამგებელმა მუჰამადის მიმართ მეგობრული კეთილგანწყობა გამოიჩინა და და წინასწარმეტყველს საჩუქრები გაუგზავნა, რომელთა შორისაც იყო ულამაზესი, მწყაზარსახიანი, ქერა ხუჭუჭთმიანი მხევალი მარიამ (მარიათა), ვინც შემდგომ მუჰამადის ჰარემში ამტყდარი არაერთი უსიამოვნების საბაბი შეიქნა.

რაც შეეხება აბისინიის ქრისტიან ხელმწიფეს (მუსლიმური წყაროებით: ნაჯჯაშ ან ნაკუს), ვისაც მანამდე განუზომელი სამსახური გაეწია მუჰამადისა და მისი მომხრეებისათვის, როცა თავისი სამეფოს კარი მექიდან ლტოლვილ მუსლიმთა პირველ ნაკადს დიდსულოვნად გაუღო, დაზუსტებით არ ვიცით, მუჰამადის ეს წერილი და მოთხოვნა როგორ მიიღო.

იამამის ქრისტიანმა მეფუკამაც ელჩებს დიდი ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ მუჰამადის მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება მოითხოვა, რაც მუჰამადმა ხელაღებით უარყო.

ჰუდაიბიას შეთანხმებიდან დიდხანს არ გაუვლია, რომ ერთერთი მექელი მუსლიმი, უთბა იბნ უსაიდი, რომელსაც აბუ ბასირის სახელით იცნობდნენ, მედინაში გაიქცა.

რამდენიმე დღეში მექელებმა მუჰამადს წერილი მისწერეს: აბუ ბასირი მედინაში თავისი პატრონის უნებართვოდ ჩამოვიდა, ამიტომაც, შეთანხმების თანახმად, კეთილ ინებეთ და უკანვე დაგვიბრუნეთო!

წერილი მოციქულს ერთმა ამირის ტომის კაცმა და მისმა მსახურმა ბიჭმა ჩაუტანეს.

მუჰამადმა დაიბარა აბუ ბასირი და უთხრა:

— ჩვენ კურაიშელებთან ზავი დავდეთ და მისი დარღვევა არ ხელგვეწიფება. ამიტომაც, ამ ორ კაცს გაჰყევი და მექაში იმდენხანს დარჩი, სანამ ალაჰი შემწეობას გამოგიჩენდესო!

აბუ ბასირმა ერთი კი გაიბრძოლა:

— როგორ, მუსლიმ კაცს წარმართებში მაგზავნიო? — მაგრამ მუჰამადმა კვლავაც იგივე გაუმეორა და ისიც იძულებული იყო, მოციქულის ბრძანებას დამორჩილებოდა. გაჰყვა ამირის ტომელსა და მის ხელის ბიჭს მექისაკენ, მაგრამ მედინიდან გავიდნენ თუ არა, ჭკუა იხმარა და თანმხლებ მექელს ჰკითხა: თან მახვილი თუ გაქვთო?

კაცმა მიუგო: აბა, უმახვილოდ როგორ ვიქნებიო?!

აბუ ბასირმა ჰკითხა:

— ბასრი მახვილი გაქვსო?

კაცმა აჩვენა თავისი მახვილი, აბუ ბასირმა ვითომ პირის გასასინჯად ჩამოართვა და ამირიელს იქვე თავი ნააცალია, მისმა მსახურმა კი მოასწრო და მექისკენ გაიქცა.

თვით აბუ ბასირი უკან მედინაში დაბრუნდა, მუჰამადთან მივიდა და მოახსენა:

— შენ შენი საქმე გააკეთე და მექელებს პატიოსნად ჩამაბარე, მაგრამ საკუთარი რწმენის დასაცავად მეც ჩემი ვქენი და მათი ხელიდან თავი ბრძოლით გამოვიხსენიო!

მუჰამადს მისი ძალგულოვნება და სიჩაუქე ძალიან გაუკვირდა და წამოიძახა:

— საკვირველი ადამიანია ეს კაცი, ერთი-ორი თავისნაირიც რომ ჰყავდეს, ვერცერთ ბრძოლაში ვეღარავინ მოუგებდაო!

მაგამ რადგან აბუ ბასირი, ჰუდაიბიას შეთანხმების მიხედვით, მედინაში ვეღარ დარჩებოდა, ან თავისი ინიციატივით ანდა მუსლიმთა მითითებით, ქალაქიდან გამოვიდა, მეწამული ზღვის სანაპიროზე გამაგრდა და ის საქარავნო გზა დაიკავა, რომლითაც მექელები სირიის სავაჭრო მოგზაურობაში დადიოდნენ ხოლმე. თანდათან მას სხვა მუსლიმებიც შეუერთდნენ და ამრიგად, გზის ეს მონაკვეთი მექელთათვის დიდად სახიფათო გახდა, რადგან აბუ ბასირი და მისი სამოცდაათკაციანი ჯგუფი ხელიდან გაუძარცვავად არავის გაუშვებდა.

მექელები მიხვდნენ, რომ პრობლემის მოსაგვარებლად სხვა გზა აღარ დარჩენოდათ და აბუ ბასირის ასალაგმავად მოციქულს წერილობით მიმართეს. შეუთვალეს: აბუ ბასირი და მისი დამქაშები მედინაში დაიბრუნე, სამაგიეროდ კი, ჰუდაიბიას შეთანხმების იმ პუნქტს გავაუქმებთ, რაც ლტოლვილთა ერთმანეთისათვის დაბრუნებას ეხებაო.

ამრიგად, პუნქტი, რომელიც მუჰამადს თავის საზიანოდ მიაჩნდა და თავიდანვე ნანობდა, რატომ დავთანხმდიო, ხელშეკრულებიდან ამოიშალა და ამით მის მექელ მომხრეებსაც შედარებით თავისუფალი მოქმედების გასაქანი მიეცათ.

## ჰუდაიბიას ზავის დარღვევა. აბუ სუფიანის მედინაში ჩასვლა.

ჰუდაიბიასთან დადებული ზავი კი მთელი ორი წლის მანძილზე მოქმედებდა, ვიდრე რაღაც უმნიშვნელო საბაბით ეს მყიფე მშვიდობა ერთბაშად არ დაინგრა.

მუთასთან მუსლიმთა ლაშქრის პრაქტიკულმა დამარცხებამ მტრულად განწყობილი ძალები გაათამამა. მათ ეს ამბავი მუსლიმური თემის საზოგადო სისუსტედ მიიჩნიეს და გადაწყვიტეს,

რომ მუჰამადის მომხრეებზე გასალაშრებლად შესაფერისი ჟამი დამდგარიყო.

ჰუდაიბიას შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა იმასაც, რომ სურვილის შემთხვევაში ყველა არაბულ ტომს შეეძლო თავისუფლად დაედო ერთგულების ფიცი, როგორც მუსლიმთა, ისე კურაიშელთა მხარესთან და ისინი ამ საქმეში ერთმანეთს ხელს არ შეუშლიდნენ, თავიანთ მოკავშირეებს კი, ყველანაირად დაიცავდნენ.

მოხდა ისე, რომ წვრილი არაბული ტომების ორმა გაერთიანებამ, რომელიც ერთმანეთის ტრადიციულ მოწინააღმდეგედ მიიჩნეოდა, თავიანთი არჩევანი გააკეთეს და ერთმა — ბანუ ბაქრელებმა — მექელ კურაიშელებს, ხოლო მეორემ — ხუზაყელებმა — მედინის მუსლიმურ თემს შეჰფიცეს ერთგულება.

ჰუდაიბიას შეთანხმებიდან ორმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ არანაირი ექსცესი არ მომხდარა. მაგრამ მუთას ბრძოლის შემდგომ ბანუ ბაქრელებსა და ხუზაყელებს ურთიერთობა დაეძაბათ და ბანუ ბაქრის არაბებმა ხუზაყელებზე თავდასხმა გადაწყვიტეს, ამ საქმეში კი, მექურ არისტოკრატიასაც სთხოვეს დახმარება და კურაიშელთა მეთაურები — იქრიმა იბნ აბი ჯაჰლი და საფვან იბნ უმაიაც კი მოიშველიეს.

ერთ ღამეს, როცა ხუზაყელებს მშვიდად ეძინათ, ბანი ბაქრელებმა და კურაიშელმა მოკავშირეებმა მათზე იერიში მიიტანეს და ხუზაყელთა 20 კაცი სიცოცხლეს გამოასალმეს. დაუცველმა ხუზაყელებმა უკანასკნელ ღონეს მიმართეს და ალ-ქაყბას წმინდათაწმინდა ნაკრძალში შეცვივდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგემ იქაც მისდიათ და ლამის დედაბუდიანად ამოყლიტა.

მუჰამადი მედინის მეჩეთში იჯდა, როცა უცებ ამრ იბნ სალიმ ალ-ხუზაყი და ამ ტომის რამდენიმე კაცი შემოცვივდნენ, მომხდარი აცნობეს და დახმარებას შეევედრნენ.

წინასწარმეტყველზე გაგონილმა ძალიან იმოქმედა. სასწრაფოდ ლაშქრის შეკრება და მექისაკენ გამგზავრება უბრძანა.

მეორე მხრივ, მექელები ამ ამბავმა მომეტებულად შეაშფოთა. ჩადენილი საქმე ინანეს და მუჰამადის მომხრეთა დასაშოშმინე-

ბლად აბუ სუფიანს მექაში ჩასვლა და მოციქულთან მოლაპარაკება დაავალეს.

არისტოკრატ აბუ სუფიანს, გვაროვნული სიამაყის გამო, დაკისრებული მისიის შესულებას სიკვდილი ერჩია, მაგრამ რადგან ქალაქის ბედი მისი მოლაპარაკების წარმატებაზე ეკიდა, საკუთარ თავს გადააბიჯა და მექისკენ გაემართა. თუმცა მუჰამადთან პირდაპირ მისვლას ჯერ თავისი ქალიშვილის მონახულება ამჯობინა, რათა ეგებ მისი დახმარებით, მოციქულს ერთი ერთზე შეხვედროდა და საქმე უმტკივნეულოდ მოეგვარებინა.

უმ ჰაბიბამ მამა ძალზე ცივად მიიღო. ხოლო, როცა აბუ სუფიანმა მუჰამადის ჭილოფზე ფეხის მორთხმა და დასვენება გადაწყვიტა, ქალმა ჭილოფი სასწრაფოდ აკეცა და შეინახა.

აბუ სუფიანმა ჰკითხა:

— შვილო, არ მესმის, ეგ ჭილოფი ჩემს საკადრისად არ მიგაჩნია თუ მე არ მიგაჩნივარ ზედ დაჯდომის ღირსადო?

უმ ჰაბიბამ კი უხეშად მიუგო:

— ეგ წინასწარმეტყველის ჭილოფია, შენ კი უკეთური წარმართი ხარ და თუ მიეკარები, უთუოდ წაბილწავო!

აბუ სუფიანს შვილის სიტყვები მეხის გავარდნად მოეჩვენა. მისი ოთახიდან გამოვარდა და პირდაპირ მოციქულთან, მედინის მეჩეთისაკენ გაეჩქარა. მივიდა და სთხოვა:

— მუჰამად, დაინდე შენი ხალხი, შეიბრალე კურაიშელნი და ჰუდაიბიას შეთანხმება განაახლეო!

წინასწარმეტყველმა წარბები შეჰყარა და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა:

— განა უწინდელი შეთანხმება დაარღვიეთ და პირი გატეხეთ, აბუ სუფიან?!

მექელი გაიძვერა არისტოკრატი ამ შეკითხვამ დააბნია, არაო, უნიათოდ ჩაილუღლუღა და თავი ჩაჰკიდა, მუჰამადმა კი ღიმილით მიუგო:

— აბა, ჩვენ კვლავაც ვიცავთ იმ შეთანხმების პირობებს, რაც ამ ორიოდე წლის წინათ დაგიდეთო!

აბუ სუფიანმა ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, მაგრამ არც მუჰამადის პასუხმა დააკმაყოფილა და უფრო მეტი და მყარი

გარანტიების მოსაპოვებლად, მოციქულის უახლოესი თანამებრძოლების მონახულებაც გადაწყვიტა.

ადგა, აბუ ბაქრთან მივიდა და მოციქულთან შუამდგომლობას შეევედრა. მაგრამ აბუ ბაქრმა უარი უთხრა და აბუ სუფიანმა ამის შემდეგ ომარს მიაკითხა.

ომარი საერთოდ ფიცხი კაცი იყო და აბუ სუფიანის დანახვამ ისე გააცხარა, რომ იგი თავისი ოთახიდან გამოაგდო.

აბუ სუფიანი მიხვდა, გარჯა უკვე შედეგს ვერ მომიტანსო, მაგრამ უკანასკნელ იმედს მოებღაუჭა და ალი იბნ აბი ტალიბთანაც მივიდა. ალიმ კი მიუგო:

— აბუ სუფიან, როგორ გეტყობა, რომ მოციქულს არ იცნობ! მან თუ რამე გადაწყვიტა, მერე არავისი შუამდგომლობა აღარ გაჭრის! რასაც დაისახავს, უთუოდ იმასვე აღასრულებსო!

დაღლილი და მშიერ-მწყურვალი მექელი არისტოკრატი მოციქულის ქალიშვილთან ფატიმასთან მივიდა. სახლში ალისა და ფატიმას უწლოვანი ბალღები — ჰასანი და ჰუსეინი — თამაშობდნენ. აბუ სუფიანი ბავშვებს გაეთამაშა და მოციქულის ქალიშვილის უთხრა:

— ფატიმა, არ გინდა, რომელიმე ეს ბავშვი თავდებად დამიდგეს და ჩემი მეურვეობა, დაცვა და მფარველობა იკისროსო!

ფატიმამ აბუ სუფიანის შემპარავ თხოვნას მოჭრით უპასუხა და მიუგო:

— ჰასანი და ჰუსეინი ჯერ იმდენად უასაკონი არიან, რომ მოციქულის უნებართვოდ, ვერავის ქომაგობას ვერ იკისრებენო!

ამის შემდეგ, აბუ სუფიანი, ალის რჩევით, მედინის მეჩეთში შევიდა, იქ შეკრებილ ხალხს განუცხადა, ჩვენ, ჩვენის მხრივ, ჰუდაიბიას შეთანხმებას პირწმინდად დავიცავთო! — მერე ჯორს მოახტა და მექაში დაბრუნდა.

კურაიშელებმა რომ მისი ელჩობის წვრილმანები შეიტყვეს, აბუ სუფიანს დაცინვა დაუწყეს და უთხრეს:

— შენმა მგზავრობამ ვერავითარი შედეგი ვერ მოგვიტანა და თავი ტყუილუბრალოდ დაიმცირეო!

მექელები მიხვდნენ, რომ თავი უსიამოვნო ვითარებაში ამოჰყვეს, მაგრამ საფრთხე რეალური არ ეჩვენებოდათ. აქ კი ნამდვილად შეცდნენ. მუჰამადმა მშობლიურ ქალაქზე გასალაშქრებლად დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი, მაგრამ ეს განზრახვა უახლოეს ადამიანთაც კი არ გაუმჟღავნა. არც თავის უერთგულეს მეგობარს აბუ ბაქრსა და არც უსაყვარლეს ცოლს აიშას არ გაუმხილა, სალაშქროდ წასვლას საით აპირებდა, საზოგადო ყურადღება კი იმით მოადუნა, რომ ერთი მცირერიცხოვანი რაზმი მექის საპირისპირო მხარეს გააგზავნა. იმავდროულად ყველა მოკავშირე ბედუინს დაუგზავნა ბრძანება, რომ მედინაში მოეყარათ თავი ანდა მისთვის მექისაკენ მიმავალ გზაზე, რამდენიმე მითითებულ ადგილას მოეცადათ.

და აი, მხოლოდ უკანასკნელ წამს აცნობა საკუთარი განზრახვის შესახებ თავის უერთგულეს ადამიანებს მედინაში, რომლებიც მკაცრად გააფრთხილა, რომ ამაზე სიტყვა არავისთან არ უნდა დასცდენოდათ. თვითონ კი დრო უქმად აღარ დაუკარგავს და გზას დაადგა[7]. გზადაგზა მას ერთმანეთის მიყოლებით უერთდებოდნენ ბედუინები და მალე მუჰამადის მხედრობამ 8-10 ათასი კაცი მიითვალა. ლაშქარი ისე სწრაფად მიდიოდა, რომ 6 თუ 7 დღეში მექიდან ერთი დღის სავალზე უგრძეს მწკრივად განლაგდა და გაიშალა.

იმ დროს, როცა მუჰამადის მხედრობა ჯერ კიდევ გზად იყო, მასთან ბიძამისი აბასი მივიდა და, ბოლო წუთს, როცა მოციქულის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის აღარავის ეპარებოდა, ისლამიც აღიარა. ამის შემდეგ აბასი გახდა მუჰამადისა და აბუ სუფიანის — მექელთა უმაღლესი მეთაურის — შუამავალი.

ისლამის ევროპელი მკვლევრები ვარაუდობენ, რომ, მუჰამადის დავალებით, აბასმა საქმე წინდაწინვე მოაგვარა და აბუ სუფიანს საიდუმლოდ გაურიგდა იმაზე, შემდგომში როგორ

---

[7] დოზი წერს, რომ 630 წლის 1 იანვარს, ხოლო კრიმსკი შენიშნავს: ალბათ, ჯერ კიდევ 629 წლის დეკემბერში.

უნდა ემოქმედათ. მაგრამ ეს ყველაფერი ისე მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოხდა, რომ გადმოცემას ამის შესახებ არაფერი შეუტყვია.

ხოლო ის, რასაც გადმოცემა გვამცნობს, დოზის აზრით, იმდენად უცნაურია, რომ აშკარად რაღაც იდუმალსა და არაამქვეყნიურს შეიცავს, კერძოდ ნათქვამია, რომ მუჰამადმა უბრძანა თავის მხედრებს — თითოეულ მათგანს ბანაკის ახლომახლო მდებარე ბორცვებზე თითო-თითო კოცონი დაენთო. მალე ათი ათასი კოცონი აბრიალდა, და მოციქული იმედოვნებდა, რომ ეს მოულოდნელი ცნობა მისი მოსვლისა მექელებს ყოველგვარი წინააღმდეგობის უშედეგობაში დაარწმუნებდა.

გადმოცემა ამბობს, რომ მექელებს მუჰამადის ლაშქრობაზე მანამდე არანაირი სანდო ცნობა არ მოეპოვებოდათ, თუმცა წარჩინებულ მოქალაქეებს ირგვლივ ჩამოწოლილი მდუმარებაცა და მოახლოებული საფრთხის ბუნდოვანი შეგრძნებაც თანაბრად აღელვებდათ.

ამიტომაც მათ აბუ სუფიანი არე-მიდამოს დასაზვერად გააგზავნეს.

საღამოს, ორი კაცის თანხლებით, რომელთაგან ერთი მოციქულის მტერი არ ყოფილა, ხოლო მეორე, საერთოდ, მის მოკავშირეებს ეკუთვნოდა, აბუ სუფიანი მედინისაკენ მიმავალ გზას დაადგა. რაც უფრო ბინდდებოდა, კოცონთა შუქი უფრო მკვეთრდებოდა. ორი თანამგზავრი ერთმანეთში ამაზე ბაასობდა, რომ უეცრად აბუ სუფიანს ვიღაცის ხმა შემოესმა: „ეს შენა ხარ, აბუ სუფიან?!“ „დიახ, მე ვარ, — უპასუხა მან, — რა ამბავია?!“ უცნობმა მიუგო: „აი, იქ მუჰამადი თავის 10 000 მომხრესთან ერთად დაბანაკდა. ხომ ხედავ ათასობით კოცონს, მათ რომ ააბრიალეს! ყური მიგდე: შემოგვიერთდი, თორემ დედაშენი და მთელი შენი სახლეული მალე დაგიტირებს!“

ამ სიტყვებს აბასი ამბობდა. გადმოცემის თანახმად, იგი მოციქულის თეთრ ჯორზე იჯდა და მექისაკენ მიეშურებოდა. სურდა, ვინმე მექელს შეხვედროდა, რომელსაც თანაქალაქელებთან წარაგზავნიდა და დააწმუნებდა, რომ ქალაქის გადარჩენა

მხოლოდ მუჰამადისათვის მშვიდობისა და დანდობის თხოვნით მოუხერხდებოდათ.

— მოდი, ჯორზე უკან შემომიჯექი, მოციქულთან მიგიყვან და შენდობა სთხოვეო, — უთხრა აბუ სუფიანს აბასმა. აბუ სუფიანი მის ნებას დაჰყვა და მალე მუჰამადის კარავთანაც მივიდნენ. აბასი მუჰამადთან შევიდა და სტუმრის ვინაობა ამცნო.

— ახლა წაიყვანე, შენს კარავში მოასვენე და დილით მაახლეო, — უბრძანა მუჰამადმა.

მეორე დილით, როცა ისინი მოციქულთან შევიდნენ, მუჰამადმა დაუძახა:

— აბა, როგორაა საქმე, აბუ სუფიან, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა!

— ზნესრულო მბრძანებელო, სხვა ღმერთი რომ ყოფილიყო, ხომ შემეწეოდა?!

— ახლა აღიარებ, რომ მე ვარ ალაჰის მოციქული?

— მაპატიე, ზნესრულო მბრძანებელო, მაგრამ ამაში ჯერაც ეჭვი მეპარება!

— ვაი შენდა, რა დროს ეჭვებია?! — წამოიძახა თურმე ამ დროს აბასმა, — საჩქაროდ წარმოთქვი სჯულის აღიარების სიტყვები, დაჟინებით გთხოვ, თორემ იცოდე, თავი მხრებზე აღარ შეგრჩება!

აბუ სუფიანმა მისი ნათქვამი კარგად გაიგო. და დიდებული სიტყვებიც წარმოთქვა: „ვამოწმებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამადია ალაჰის მოციქული."

ამგვარად ის, ვინც ერთ დროს შეუპოვარი წარმართი იყო, ახლა ისლამის ნათელზე მოექცა. მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავის მუსლიმობა მალევე დაივიწყა.

მუჰამადი კი მიუბრუნდა აბუ სუფიანს და უთხრა:

— ახლა საჩქაროდ მექაში დაბრუნდი და იცოდე: ვინც თავს შენს სახლში შეაფარებს, არაფერს დავუშავებთ. ესეც კარგად დაიხსომე: დაელაპარაკე ხალხს და ყველას გადაეცი, ნურაფრის შეეშინდებათ, თუ დაკეტილ სახლში ანდა ალ-ქაყბას ტაძარში დაგვხვდებიან.

აბუ სუფიანი უკვე უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ მუჰამა-

დის ლაშქარს იარაღის ასხმა და სალაშქრო მწყობრში ჩადგომა უბრძანეს. აბასის გვერდით მდგარი აბუ სუფიანი გაოცებით შეჰყურებდა, სხვადასხვა მომთაბარე ტომი როგორ მოდიოდა შეუშლელ მწკრივებად და რა მტკიცედ ეჭირათ საბრძოლო ალმები. მუჰამადს სხვა რიგ აუცილებელ დადგენილებებთან ერთად ბედუინურ გარემოში დისციპლინისა და ორგანიზებულობის დამკვიდრებაც მოესწრო, რაც, სხვათა შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც გამოვლინდა. აბუ სუფიანს, რომელიც არაბთა თვითნებურ, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას იყო შეჩვეული, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გააკვირვებდა, ამიტომაც გადაულაპარაკა აბასს: შენი ძმისშვილი, მგონი, მართლაც, ყოველისშემძლე მბრძანებელიაო.

— მბრძანებელი! დაგავიწყდა, რომ იგი უფრო მეტია? ის ხომ მოციქულია ალაჰისა!

— ჰო, მართლა, — ჩაიდუდუნა აბუ სუფიანმა, — უკვე დროა, შინის გზას დავადგე!

ამის თქმაზე გულმავიწყი, დაბნეული და გამოუსწორებელი არისტოკრატი მექაში დაბრუნდა. როგორც კი მშობლიურ ქალაქს მიაღწია, რაც შეეძლო, ხმამაღლა დაიძახა: „კურაიშელნო, კვალდაკვალ მუჰამადი მომდევს, მას კი თან ახლავს ლაშქარი, რომელთან გამკლავების ძალ-ღონეც თქვენ არა გაქვთ! მაგრამ ყოველი, ვინც თავს ან ჩემთან, ანდა ალ-ქაყბას ტაძარს შეაფარებს, უვნებლად გადარჩება!"

თითქმის ყველამ იმ ადგილებში მოიყარა თავი, სადაც აბუ სუფიანმა მიუთითათ.

დოზი აღნიშნავს: „ხალხის თვალწინ საქმე ძალზე სახიფათო კალაპოტით წარიმართა. თუმცა არსებობს საფუძვლიანი მტკიცებულება ვიფიქროთ, რომ ღამით აბუ სუფიანი და აბასი ერთმანეთს შემთხვევით არ შეხვედრიან და ამაზე წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი. ხოლო, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აბუ სუფიანი ნამდვილად პატივისცემის ღირსია. რა თქმა უნდა, არც მასა და არც მომავლში დამასკის განგებელ მის შთამომავლებს არ შეეძლოთ გულწრფელი მორწმუნეობა დაეჩემებინათ, და მართლმორწმუნე მუსლიმები ტყუილად არ ამბობდნენ, რომ

აბუ სუფიანის შეუპოვარი სული შეუვალი აღმოჩნდა სარწმუნოების ჭეშმარიტებისათვის, მაგრამ ეს იყო პროგრესული, გამჭრიახი და პატიოსანი ადამიანი, რომლის მთელი სიცოცხლეც ამის შესანიშნავ დასტურად გამოდგება. ამიტომაც კარგად ესმოდა, რომ ამ უთანასწორო ბრძოლის გაგრძელება მექას გაანადგურების პირას მიიყვანდა: მედინელები ხომ მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, როგორ ამოეყარათ ძველისძველი ჯავრი ისტორიულ მეტოქეთა შთამომავლებზე. შესაძლოა, როგორც უკვე აღინიშნა, ვივარაუდოთ ისიც, რომ აბუ სუფიანი წინასწარმეტყველს ჯერ კიდევ მაშინ გაურიგდა, როცა მედინაში საქმის მოსაგვარებლად გააგზავნეს და მომავლის სამოქმედო გეგმაც სწორედ მაშინ დეტალურად მოიფიქრეს. თუმცა ასეთი ვარაუდის გარეშეც, ცხადია, ერთი რამ: ბოლო წუთს აბუ სუფიანმა ჩაიდინა ღალატი და ეს მშობლიური ქალაქის სიყვარულით გააკეთა. რადგან სწორედ მისი ღალატის მეოხებით გადაურჩა მექა უდიდეს სისხლისღვრას. ხოლო აბუ სუფიანის დარად საერთო პატივისცემით გარემოსილი ადამიანის გარდა, არავის შეეძლო ეთამაშა ის როლი, რაც ამ დროს ამ ძველმა არისტოკრატმა ითამაშა. მექაში ხომ ჯერაც მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც მუჰამადთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზეც კი უკან არაფრით დაიხევდნენ."

როცა მუსლიმთა მხედრობა მექას მიუახლოვდა, მუჰამადმა ისინი ოთხ ნაწილად გაჰყო. თითოეული ნაწილი ქალაქში სხვადასხვა მხრიდან უნდა შესულიყო. ასე შეეძლოთ, ერთმანეთის გათვალისწინებით ებრძოლათ და ურთიერთს დაყრდნობოდნენ. თუკი, რასაკვირველია, ამის საჭიროება დაუდგებოდათ, რადგან წინააღმდეგობის გაწევას, ჩანდა, მაინც არავინ აპირებდა. ბრძოლის დაწყების წინ მუჰამადმა ჯარისკაცები მკაცრად გააფრთხილა: არ წამოეწყოთ ხელჩართული ბრძოლა და არ მიემართათ ძალადობისათვის. მაგრამ მედინელებს სურდათ საქმე სხვაგვარად მოეწყოთ. მათ, პირიქით, მარჯვე შემთხვევის გამოყენება იმ ბოღმის ამოსანთხევად სწადდათ, რაც მექელებზე ამ უკანასკნელთა მხრიდან დაცინვისა და აბუჩად აგდების

გამო დაუგროვდათ. ამიტომაც მათმა მხედართმთავარმა საყდ იბნ უბადამ უცებ ხმამაღალი ყვირილი დაიწყო:

— ამ ქალაქში ყველა სულიერი და ცოცხალი მოისრება!

ასეთი რამ თვითონ მუჰამადს გულშიც არ გაუვლია და რაკიღა მოციქულმა იცოდა, რომ ასეთ შემთხვევებში ბევრი რამ სწორედ სამხედრო მეთაურზე იყო დამოკიდებული, საყდ იბნ უბადას მეთაურობა სასწრაფოდ ჩამოართვა და ეს პატივი მის შვილს — კაისს გადაულოცა, რომელიც მედინელებზე შურისგების წყურვილით მამაზე ნაკლებ იტანჯებოდა.

ხსენებული ოთხი ქვედანაყოფიდან წინააღმდეგობას მხოლოდ ბედუინთა ის რაზმი წააწყდა, რომელსაც სათავეში ხალიდი ედგა. ამ რაზმს მუჰამადის იმ ყველაზე უფრო გააფთრებულმა მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც მარჯვე და ძლიერი პოზიციები ეკავათ, თავზე ისრების წვიმა დააწყვიტეს. მაგრამ ხალიდმა მოწინააღმდეგის უკუქცევა და მექის ვიწრო ქუჩებში მიმოფანტვა მალევე მოახერხა. როცა ერთ ახლო გორაკზე გამაგრებულმა მუჰამადმა, რომელიც საქმის ვითარებას შორიდან ზვერავდა, დაინახა, რაც ხდებოდა, თავის მხედრებს ყვირილი დაუწყო: განა არ აგიკრძალეთ, ხელჩართულ ბრძოლას ყველანაირად მოერიდეთ-მეთქი. მაგრამ წინასწარმეტყველს საქმის ვითარება აუხსნეს და მანაც თავისთვის ჩაილაპარაკა: „რასაც იქმს ღმერთი, ყველაფერი საუკეთესოა!"

ამრიგად, 629 წლის მიწურულსა თუ 630 წლის დამდეგს, მუჰამადი მექას საბოლოოდ დაეპატრონა. მოციქული მივიდა ალქაყაბაში, სასოებით შეეხო მრუმე ქვას, ტაძარს შვიდჯერ შემოუარა და ყველა იქ მდგარი კერპის განადგურების ბრძანება გასცა. ასეც მოიქცნენ. თავიდან ალ-ქაყაბის ყველა კერპი, ხოლო შემდეგ საოჯახო კერპებიც დაამსხვრიეს. ყველა მექელს ევალებოდა ისლამი მიეღო, სანაცვლოდ კი, ათი-თორმეტი ადამიანის გარდა, ყველას მიუტევეს. იმ ათიდანაც მხოლოდ ოთხი დასაჯეს სიკვდილით: სამი მათგანი, ვინც მუჰამადს ყველაზე შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და ერთიც — მომღერალი ქალი, რომელიც მოციქულზე მუდამ სატირულ ლექსებს გამოთქვამდა.

იმავე დოზის მახვილგონივრული შენიშვნით: „საერთოდ, მუ-

ჰამადის საქციელი მექის დაპყრობის შემდეგ დიდბუნებოვანი ადამიანის ქცევა იყო. მისთვის ხომ იმდენი ტანჯვა-წამება, რაც მექელთა მხრიდან გადაიტანა, არცერთ სხვა ხალხსა თუ ტომს არ მიუყენებია. 20 წლის მანძილზე რამდენი მექელი დასცინოდა და აბუჩად იგდებდა, ებრძოდა და ეწინააღმდეგებოდა მას, მაგრამ მუჰამადმა ყველას ყველაფერი სულგრძელად შეუნდო".

მექელები კი, თავის მხრივ, ბედს შეეგუენ და დაემორჩილნენ იმას, რისი შეცვლაც აღარ შეეძლოთ.

## ჰუნაინის ბრძოლა

მოციქული მექაში 15 დღეს დარჩა და ამ ხნის განმავლობაში მან და მისი ლაშქრის წევრებმა ქალაქი წარმათული სიბილწეებისაგან გაასუფთავეს, იქ მუსლიმური რეგლამენტაცია დაამყარეს და მოსახლეობას ისლამის ჭეშმარიტი არსი უქადაგეს.

მექა თანდთან დაცხრა, დამშვიდდა და ცხოვრება ახალი კალაპოტით წარიმართა, მაგრამ ქალაქის გარშემო მცხოვრები არაბული ტომები, რომელბიც ჯერაც არ მოქცეულიყვენენ ახალ რჯულზე, მუჰამადს კვლავაც ერთ მარტივ დამპყრობად მიიჩნევდნენ, რომელსაც სხვათა მიწებზე თავდასხმისა და ალაფის ხელში ჩაგდების წადილი ამოძრავებდა და ამას განუხრელად, დიდი მოთმინებითა და სიჯიუტით აკეთებდა.

ეს არაბული ტომები საფრთხისათვის წინდაწინვე მოემზადნენ და მუჰამადის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, რადგან ფიქრობდნენ, ჯობს სანამ თავს დაგვესხმის, იერიშის მიტანა თვითონ დავასწროთ და ჩვენი ქონების წართმევა ველარ გაგვიბედოსო!

ამ ტომთა დარაზმვაში განსაკუთრებით აქტიურობდა ვინმე მალიქ იბნ ავფ ან-ნასრი. იგი მაშინ ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ უკვე ისეთი უშიშარი და შეუდრეკელი მებრძოლის სახელი ჰქონდა გაგდებული, რომ მთელი იქაური ნახევრადმომთაბარე ტომების მოწიწებითა და პატივისცემით იყო გარემოცული.

მან მოახერხა მექის სამხრეთით მდებარე მთათა მკვიდ-

რი ტომების, ძირითადად, ჰავაზუნში გაერთიანებული ბანუ საყდელების, ბანუ ჯუშამელების, ბანუ ჰილალელებისა და ასევე საკიფში და ტაიფში მცხოვრები რამდენიმე არაბული გვარის თავის გარშემო შემოკრება.

აღნიშნული ტომებიდან დაახლოებით 30 ათას მეომარს მექიდან სამ კილომეტრში, ავტასთან მოუყარა თავი, ლაშქრის სარდლობა თვითონვე იკისრა და მუსლიმებთან შებრძოლების მიზნით, ჰუნაინისაკენ გაემართნენ.

მალიქმა ბრძანება გასცა, რომ ყველას, ვისაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა ეწადა, მთელი თავისი ქონება უნდა წამოეღო და ცოლ-შვილიც კი თან ეახლებინა. ეს ბრძანება იმას ნიშნავდა, რომ მოწინააღმდეგეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა შებრძოლებოდნენ, და თუნდ ცოლ-შვილის დათმობა და დახოცვაც დასჭირვებოდათ, მაინც თავისი უნდა გაეტანათ.

მოლაშქრეებს ერთი ღრმად მოხუცებული კაცი, ვინმე დურაიდ იბნ სიმაც ერია. ბანუ ჯუშაიმის ტომის ეს მოხუცი იმის მიუხედავად, რომ ფიზიკური ძალა აღარ მოსდევდა, მაინც ძალზე გამოსადეგი ადამიანი იყო, რადგან ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ისეთი საბრძოლო გამოცდილება შეეძინა, რომ ომისას მისი რჩევა წარმოუდგენლად დიდად ფასობდა.

დურაიდ იბნ სიმამას თვალისჩინი უკვე მთლიანად დაშრეტოდა და ვერაფერს ხედავდა, მაგრამ როცა ქალებისა და ბავშვების ხმები გაიგონა და შეიტყო, ესენიც მალიქის ბრძანებით თან წამოუყვანიათო, საჩქაროდ თავისთან იხმო ლაშქრის მეთაური და განუცხადა:

— შენ ომთან რა გესაქმება! მწყემსი ხარ და ცხვრებს უნდა აძოვებდე! ვის გაუგონია, ომში ქალები და ბავშვები წამოასხა. თუ გაიმარჯვე, კიდევ რა უშავს, მაგრამ იქნებ მარცხდები, მაშინ ხომ შენი და შენი მეომრების ცოლ-შვილსაც კი მოწინააღმდეგეს საჯიჯგნად მისცემო!

მაგრამ მალიქმა დურაიდს დასცინა და უთხრა:

— ბერიკაცო, დაბერდი და თავში ჭკუა გამოგლევია. თქვენ დროს როგორ იბრძოდნენ, არ ვიცი, მაგრამ ამ ლაშქრის სარდალი მე გახლავარ და ჩემს ბრძანებას უნდა დაემორჩილონ!

მერე მეომრებს მიუბრუნდა და გადასძახა:

— თუ მე ვარ წინამძღოლი, მე გამომყევით, თუ არა და, აქვე საკუთარ მახვილს დავეგები და თავს მოვიკლავო!

ლაშქარმა ერთგულება შეჰფიცა და დურაიდსაც აღარაფერი უთქვამს.

მუჰამადმა კი, როდესაც ჰავაზანელთა გაერთიანებისა და მათი ავტასში თავმოყრის ამბავი შეიტყო, წარმართთა უკანასკნელი ძალის დასამარცხებლად მოემზადა. მეომართა თვალსაზრისით ასაღელველებლი არაფერი იყო, მუსლიმთა რიცხვი მოწინააღმდეგის რაოდენობას დიდად აჭარბებდა, რაც შეეხება საბრძოლო იარაღებს, აქ ცოტა უჭირდათ, მაგრამ დანაკლისის შევსება მოციქულმა მაინც მოახერხა.

მუჰამადს შეატყობინეს, რომ საფვან იბნ უმაიას შინ ჰქონდა იარაღის მარაგი, რომელსაც კურაიშელები მეზობელი ტომების შემოტევათა მოგერიებისას გამოიყენებდნენ. საფვანს კაცი გაუგზანა და იმ პირობით, რომ თუ იარაღი დაზიანდებოდა, სანაცვლოდ ახალთახალს მიუტანდა, მთელი მარაგი გამოართვა.

ამრიგად, მუჰამადის მომხრეთა 12-ათასკაციანი ლაშქარი, რომელთაგან 10 000 მედინელი, ხოლო 2000 ახალგამუსლიმებული მექელი იყო, აბუ სუფიანის მეთაურობით, ჰუნაინის ველისაკენ გაემართა.

ქალაქგარეთ რომ გავიდნენ და აბუ ბაქრმა ისლამის მხედრობას გადახედა, ამპარტავნებამ დარია ხელი და წამოიძახა: — ჩვენ ამის შემდეგ ვეღარავინ ვერ დაგვამარცხებსო! — მაგრამ სწორედ ეს უადგილო სიზვიადე თავიდან მუსლიმთა უკანდახევისა და ლაშქარში არეულობის შეტანის მიზეზი შეიქნა.

მუსლიმთა ლაშქარი ჰუნაინის ველამდე მივიდა და მის სიახლოვეს დაბანაკდა.

მალიქ იბნ აუფმა კი, ვიდრე მუსლიმები მოვიდოდნენ, თავისი ლაშქარი ველზე მანამდე შეიყვანა და ქალები და ბავშვები მხედართა უკან ჩააყენა. მებრძოლთა ერთი ნაწილი კი, ველის გარშემო ბუჩქთა და ლოდთა უკან ჩაასაფრა და უბრძანა, თუკი მუსლიმთა ლაშქარი მათ ერთბაშად შეუტევდათ, ისინი თავი-

ანთი ლაშქრის ძირითად ნაწილამდე არ მიეშვათ და ადგილზევე ამოეხოცათ.

მუსლიმებმა განთიადის სარიტუალო ლოცვა აღასრულეს და ჯერ ისევ დილის ბინდბუნდში ჰუნაინის ველისკენ დაეშვნენ. ლაშქარს წინ ხალიდ იბნ ალ-ვალიდი მიუძღვოდა, მხედრობის წინა ფლანგზე კი სულაიმელების ტომელნი იდგნენ. მათ უკან მიჰყვებოდნენ სხვა გვარები და ყველას თავისი დროშა ეჭირა.

ამ დროს უეცრად ჰავაზანელებმა მათ ისრების სეტყვა დააწყვიტეს და ამ მოულოდნელი შეტევის შედეგად ასობით მუსლიმი მეომარი ადგილზე მოიცელა. მალე კი, ლამის მთელი ლაშქარი თავზეხელაღებული მთიელი მხედრების ალყაში მოექცა.

ამ მოულოდნელმა თავდასხმამ მუსლიმთა რიგებში დიდი არეულობა შეიტანა. მუჰამადის მომხრეები დაიბნენ და ბევრმა მათგანმა გაქცევის მეტი ვეღარაფერი მოისაზრა. მოციქული, რომელიც საბრძოლო ჯავშანში იარაღასხმული თეთრ აქლემზე ამხედრებულიყო, შორიახლო გაჩერებული თვალს გაოცებული ადევნებდა, თორმეტი ათასკაციანი ლაშარი როგორ დაიფანტა აქეთ-იქით და ბრძოლის ველიდან როგორ გუნდ-გუნდად დაშლილი გამორბოდა.

მოციქულმა ეს რომ იხილა, სასწრაფოდ ჰუნანის ველისაკენ გავარდა, ლაშქართან მიიჭრა და გადასძახა:

— ხალხო, სად გარბიხართ! მე ვარ მუჰამადი, ალაჰის მოციქული, თავი ჩემთან მოიყარეთო!

მაგრამ მის დაძახილს ყური არავინ ათხოვა. ისლამის მხედრობა გარბოდა და თან ახალჩამოყალიბებული თემის რაღაც ძალზე არსებით სისუსტეს ააშკარავებდა: მოჩვენებით რწმენას, იძულებით აღიარებული ისლამის სიმყიფესა და არასანდოობას.

თვალთმაქცები სიხარულს ვერ მალავდნენ. აბუ სუფიანმა თავის მეგობარს შაიბა იბნ ოსმანს გადახედა და სიამოვნებით გადაულაპარაკა:

— ამათ რა სირბილი სცოდინიათ. ასე ზღვის ნაპირამდეც მიცვივდებიან და უკან აღარასოდეს დაბრუნდებიანო!

ქალადა იბნ ჰანბალმა — მეორე თვალთმაქცმა კი, ჩაიჩურჩულა: დღეს მუჰამადის ჯადომ ძალა დაკარგაო!

ამ დროს შაიბა იბნ ოსმან აბი ტალჰამ, რომლის მამაც უჰუდის ბრძოლაში დაცემულიყო, მოციქულზე შურისძიება და მისი მოკვლა გადაწყვიტა. მუჰამადს მიუახლოვდა და გარს დაუარა, მაგრამ ხმლის მოქნევა ვერაფრით მოახერხა. მერე თვითონვე იხსენებდა:

— თითქოს ჩემსა და მას შორის რაღაც უხილავი ზღუდე აღიმართა და მოციქულთან მიკარება არ დამანებაო!

ამ ისტორულ წამს მოციქული მიხვდა, რომ მთელი ოცდაერთი წლის ნალოლიავები მიზანი, რომელიც თითქმის მიღწეული იყო, უკვალოდ ქრებოდა. ისლამის ლაშქარი თითქმის დაიფანტა, მტერი კი, რომელიც პირველმა წარმატებამ გაათამამა, ჰუნანის ველის სიღრმეში უფრო მეტი შემართებით მიიწევდა.

და მუჰამადმა იგრძნო, რომ სასწრაფოდ რამე უნდა ეღონა. მისი ძალა გულწრფელი ლოცვა იყო და ღმერთს მხურვალედ შეჰღაღადა, გადაერჩინა. ამ დროისათვის კეთილად დაცდილ ხერხსაც მიმართა: მინა მობღუჯა, მტრის მხარეს გაიქნია და მიაძახა: სირცხვილმა დაფაროს თქვენი სახეები!

მაგრამ ლოცვასთან ერთად აქტიური მოქმედება იყო საჭირო და მოციქულმა ლაშქრის ხელახლა შეკრება, ბიძას — აბას იბნ აბდ ალ-მუტალიბს — დაავალა. აბასმა ბრძოლის ველიდან გაქცეული მუსლიმების თავმოყრა უცებ მოახერხა და თვითონ მოციქული, დაბნეული მუსლიმები რომ პირადი მაგალითით გაემხნევებინა, მტერთან ბრძოლაში მთელი შემართებით ჩაება.

ისედაც, მუჰამადი და ბრძოლის ველი ყველას როდი მიუტოვებია. თვით ახალგამუსლიმებული მექელებიც კი, რომელთაგან თითქოს ასეთი ერთგულების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, მყარად იდგნენ და როცა დაინახეს, მოციქული მტერს როგორი თავგანწირვით ეკვეთა, თვითონაც ხმალზე ხელი იკრეს და ბრძოლაში ჩაებნენ.

კაცები კი არა, რამდენიმე ქალიც კი ვაჟკაცურად იბრძოდა. მათ შორის, მუსლიმური მატიანეები ერთ ფეხმძიმე ქალს — მილჰანის ასულსა და აბუ ტალჰას მეუღლეს — უმ სულაიმსაც ახსენებენ.

ამასობაში ბრძოლის ველზე შემობრუნებული მედინელი ან-

სარებიც ომში მთელი გზნებით ჩაებნენ და მოსაღამოვებულზე არემარეს მათი ხმლების კაშკაში ანათებდა.

უფალი შეენია მუჰამადის მომხრეთ. მტერმა მათ შემოტევას ვეღარ გაუძლო, სამ ჯგუფად დაიქსაქსა და თითოეული ჯგუფი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა. მთელი თანწამოღებული ქონება, საქონელი, ქალები და ბავშვები კი, ადგილზე მიატოვეს.

ამ ბრძოლაში მაჰმადიანებს ყველაზე მეტი ალაფი დარჩათ, რადგან, როგორც ვიცით, მალიქ იბნ ავფის ბრძანებით, მებრძოლებს მთელი სარჩო-საბადებელი, თან ბრძოლაში ჰქონდათ წამოღებული.

ამიტომაც, გადაჭარბებული არ უნდა იყოს მუსლიმი ისტორიკოსების ცნობა, რომ მუსლიმებმა ჰუნაინის ბრძოლაში 6000 სული ტყვედ ჩაიგდეს და ამას გადა, 24 000 აქლემი, 40 000 ცხვარი და 4 ათასი ვაკია (თითოეული ვაკია უდრის 213 გრამს) ვერცხლი იალაფეს. რადგანაც მოციქული გაქცეული მტრისათვის დადევნებას აპირებდა, ამიტომაც ეს ალაფი დროებით, მექასა და ტაიფს შორის ერთ დაბაში — ჯირანაში შეანახვინა.

მუსლიმთა ლაშქრის ერთი ნაწილი კი, ძმების — აბუ ამირ ალ-აშყარისა და აბუ მუსალ ალ-აშყარის მეთაურობით — მტერს დაადევნა. ისინი ჰავაზანელებს ავტასში დაეწივნენ და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგემ მოცელა აბუ ამირი და ამის შემდეგ მუსლიმთა მხედრობის მეთაურობა მისმა ძმამ აბუ მუსა ალ-აშყარიმ გადაიბარა.

მტერი მთლიანად მოისრა, ხოლო მათი მეთაური, როცა დაინახა, მუსლიმებთან ბრძოლის თავი არა მაქვსო, ტაიფისაკენ გაეჩქარა.

გაქცეულ მალიქ იბნ ავფს მუსლიმებმა კვალდაკვალ მისდიეს და რამდენიმე ადგილას, სადაც დაეწივნენ, სასტიკად შეებნენ. მაგრამ მალიქმა ტაიფამდე ჩაასწრო და იქ საკიფის ტომის კარგად გამაგრებულ ციხეში შეიკეტა.

ბრძოლა ცოტა ხნით შეწყდა. თუმცა მალევე, მუჰამადმა თავისი რაზმის წევრებთან ერთად, მტრის საბოლოო განადგურების მიზნით, ტაიფზე შეტევაც გადაწყვიტა.

ტაიფისაკენ მიმავალ გზაზე, მალიქ იბნ აუფის ციხე შემოხ-

ვდათ, რომელიც იმჟამად სრულიად ცარიელი იყო. მუჰამადმა ამ ციხის მიწასთან გასწორება ბრძანა და ასეც მოიქცნენ, რათა მტერს თავშესაფარი აღარსად ჰქონოდა.

მერე კი ტაიფშიც ჩავიდნენ და იქ საკიფის ტომის კარგად დაცულ ციხეს შემოწყვნენ.

საკიფი ერთ-ერთი უმდიდრესი ტომი იყო და მათი მიუვალი ციხე აუღებელ სიმაგრედ ითვლებოდა. როცა მუჰამადის ლაშქრის ტაიფში შემოსვლა შეიტყვეს, ტომის წევრები ციხის ქონგურებზე განლაგდნენ და მიწინააღმდეგეს თავზე ისართა სეტყვა დააყარეს. პირველივე დღეს 18 მუსლიმი მოისრა. ამის გათვალისიწინებით, ისლამის მოციქულმა ბრძანება გასცა, ლაშქარს უკან დაეხია და ისეთ ადგილას დაბანაკებულიყვნენ, სადაც მტრის ისარი ვერ მისწვდებოდათ.

იმ ადგილას, ისლამზე მოქცევის შემდგომ, ტაიფელებმა მეჩეთი ააგეს და ეს მეჩეთი დღემდე შემორჩენილია.

ტაიფის ციხე-სიმაგრის ალყა კი ოც დღეზე მეტხანს გაგრძელდა და რადგან ციხეში უამრავი სარჩო დაემარაგებინათ, კედელ-ქონგური უმტკიცესად იყო გამაგრებული და საკიფელებიც მეომარი, უდრეკი ხალხი იყვნენ, საქმე წინ ვერაფრით მიდიოდა.

მუსლიმებმა ციხის ასაღებად ყველანაირ ხერხსა და საბრძოლო საშუალებას მიმართეს, მაგრამ ტაიფი მაინც ვერაფრით გატეხეს.

მაშინ მუჰამადმა გამოაცხადა, ვისაც ციხიდან გარეთ გამოსვლა სწადია, უსაფრთხოების პირობას ვაძლევთო.

მოციქული იმედოვნებდა, რომ ამ ნაბიჯით, ციხეში მყოფთ რიცხობრივად მაინც შეამცირებდა, რადგან იცოდა, რომ საკიფელებთან ერთად, იქ მათი მსახურები და მოკავშირეებიც იყვნენ თავშეფარებულნი.

მაგრამ მუჰამადის მოწოდებაზე ციხიდან სულ ოცამდე კაცი გამოვიდა და თანაც ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ შიგნით წლების სარჩო-საბადებელი აქვთ და საკიფელები იოლად არ დაგნებდებიანო.

საკიფის ციხეს გარს კარგად მოვლილი ბაღ-ვენახები ერტყა, რომელთა პატრონი საკიფელებიც გულმოდგინედ ამუშავებდნენ

და თავს დაჰკანკალებდნენ. ეს ვენახები მათი შემოსავლის მთავარ წყაროდ ითვლებოდა, რადგანაც სწორედ ამ ვენახებიდან მოწეული ქიშმიში გაჰონდათ ყოველწლიურად არაბეთის ნახევარკუნძულიდან, რომელიც მთელ იმ მხარეებში წარმოუდგენლად ძვირად ფასობდა.

ამიტომაც მუჰამადმა საკიფელების მორალურად გატეხვის მიზნით, მათ შეუთვალა: თუ არ დამნებდებით, ვენახებს აგიჩეხავთ და გაგინადგურებთო. საკიფელებმა ეს მუქარა არად ჩააგდეს, მაგრამ მუსლიმები მათ ვენახებს მართლაც შეესივნენ და ცეცხლი წაუკიდეს.

მაშინ კი იკადრეს საკიფელებმა, მუჰამადს კაცი მიუგზავნეს და სთხოვეს: თუ ღმერთი გწამს, მაგ საქმეზე ხელი აიღე! თუ გსურს, ვენახები შენთვის დაიტოვე, მაგრამ ნუ კი აგვიჩეხავო!

ამ ვითარებაში ალყის გაგრძელებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ამასობაში სარჩო ციხეში მყოფებს კი არა, თვითონ მუსლიმთა ლაშქარს შემოაკლდა. თანაც, საკიფის ციხეს შემოწყობილ მუსლიმ მეომრებს ერთი სული ჰქონდათ, სანამ ჯიყრანაში დაბრუნდებოდნენ და ჰუნაინის ბრძოლაში ნაალაფარ ქონებას ერთმანეთში დაინაწილებდნენ.

ამას გარდა, შემდგომი თვე ზუ ლ-კაყადას წმინდათაწმინდა თვე იყო და მოციქულს არ უნდოდა, არაკეთილმოსურნეთათვის, რომლებიც ზუ ლ-კაყადას თვეში ბრძოლას უსათუოდ წამოაძახებდნენ, ყველრებისა და კიცხვის დამატებითი საბაბი მიეცა.

ყველა ამ მიზეზით, მუჰამადმა ტაიფიდან დაბრუნების ბრძანება გასცა და უმრას აღსასრულებლად მექისკენ გამობრუნდა, საკიფელთა ციხე-სიმაგრის აღება კი, სამომავლოდ გადადო.

ჯიყრანაში რომ ჩავიდნენ, იქ დატოვებული ქონებისა და ტყვეების გადანაწილებას შეუდგნენ. ტყვეები მალევე გადაინაწილეს, მაგრამ ჯერი რომ ქონების გაყოფაზეც მიდგა, მოციქულს ჰავაზინელთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ბანუ საყდის ტომელნი ეახლნენ და განუცხადეს:

— ალაჰის მოციქულო, ჩვენ შენი სისხლი და ხორცი ვართ და ახლა ასეთ გასაჭირში ჩავცივდით. ეგება დაგვინდო და ჩვენი ტომის ხალხი, ტყვედ რომ ჩაგივარდათ, უკანვე გადმოგვცეო!

როგორც გვახსოვს, მუჰამადის ძიძა, ჰალიმა სწორედ საყდის გვარისა იყო და საყდის ტომელებმა მოციქულს ახლა ეს ნათესაობა შეახსენეს.

. მ̣თმა ერთმა პოეტმა, ზუჰაირმა კი უფრო შთამბეჭდავადაც მიმართა და სთხოვა:

— ალაჰის მოციქულო, ამ ტყვეებში შენი მამიდები, დეიდები და გ̣ადიებიც ურევიან. ჩვენ რომ ძუძუ სირიის ღასანელი ხელმწიფისათვის — ჰარის იბნ აბი შამრისათვის ანდა ჰირას მეფის — ნუყმან იბნ მუნზირისათვის გვეწოვებინა, ასეთ დროს ისინიც კი დაგვინდობდნენ და შენ ხომ სიქველითა და კეთილშობილებით მათ ათასწილად აღემატებიო!

მოციქულმა კითხვა შეუბრუნა:

— თქვენ რისი დაბრუნება გირჩევიათ და რომელი უფრო გეძვირფასებათ — ქონება თუ ცოლ-შვილიო?

ზუჰაირმა მიუგო:

— შეგეძლო, არც გეკითხა, რა თქმა უნდა, ცოლ-შვილი გვიჯობსო!

მაშინ მუჰამადმა მიუგო:

— იმას, რაც ჩემი და აბდ ალ-მუტალიბის ძეთა წილია, უკლებლივ და უყოყმანოდ უკან გიბრუნებთ, დანარჩენი კი, სხვა მ̣უსლიმ მეომრებს ეკუთვნით და მათ ქონებაზე თვითონ მათვე გაურიგდითო!

მერე კი ისიც ასწავლა, დანარჩენებთან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და დაარიგა:

— მეჩეთში გამომყევით და შუადღის ლოცვას რომ მოვრჩებით, წამოდექით და ხალხს სთხოვეთ, ტყვეები დაგიბრუნონ. შუამავლად და ქომაგად კი მე დამიყენეთო!

ბანი საყდელები ასეც მოიქცნენ და მუჰამადმა საჯაროდ გამოუცხადათ:

— მე ჩემს წილსა და აბდ ალ-მუტალიბის ძეთა წილს უკლებლივ და უყოყმანოდ უკან გიბრუნებთო!

მუჰაჯირებმა მოციქულის მაგალითს მიჰბაძეს და თავიანთი წილიც უკან დააბრუნეს. მათ არც ანსარები ჩამორჩნენ.

ტყვეთა დაბრუნება მხოლოდ რამდენიმე ტომის მეთაურმა არ

ისურვა: ბანი თამიმის თავკაცმა — აკრაყ იბნ ჰაბისმა, ფაზარას მეთაურმა უაიანა იბნ ჰისანმა და სულაიმელთა ბელადმა აბას იბნ მირდასმა. თუმცა თვითონ სულაიმელები საკუთარ თავკაცს შეეწინააღმდეგნენ და უთხრეს:

— ჩვენდა თავად, საკუთარ წილს უკან ვაბრუნებთო!

ამან აბას იბნ მირდასი ძალიან გააბრაზა და თანატომელთ უსაყვედურა: დამამცირეთ და ჩემი ღირსება ფეხქვეშ გათელეთო!

იმათ, ვინც საკუთარი ტყვეების უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადა, მოციქულმა პირობა მისცა:

— დღეს დათმეთ თქვენი წილი და სამაგიეროდ, როგორც კი მომავალში ხელში ალაფი ჩაგვივარდება, ახლა დაბრუნებული თითოეული ტყვის თავში ექვს ტყვეს გარგუნებთო.

ამ წინადადებამ უაიანა იბნ ჰისანის გარდა ყველა მოხიბლა. იმას კი ერთადერთი დედაბერი რგებოდა და სანამ მოციქულმა ამ დედაბრის ფულადი გამოსასყიდი არ გადაუხადა, მანამ საკუთარი წილის დათმობას არაფრით აპირებდა.

მუსლიმი ისტორიკოსების ცნობით, ჰავაზინელ ტყვეთა შორის, რომლებიც მუსლიმთა ხელში ჰუნაინის ბრძოლისას ანდა შემდგომ საკიფელთა ციხე-სიმაგრის ალყისას აღმოჩნდნენ, მუჰამადის ძიძის ქალიშვილი — შაიმაც ერია. ტყვედ რომ ჩავარდა, ქალმა მუსლიმ ჯარისკაცებს უთხრა:

— მე თქვენი უფროსისა და მოციქულის ძიძიშვილი ვარო!

მუჰამადის მოლაშქრეებმა ქალი მოციქულთან მიიყვანეს.

მუჰამადს უცვნია თავისი ძიძიშვილი და ტირილი ავარდნია. მერე კი უთქვამს: ახლა, თუ გსურს, ჩვენთან დარჩი თუ არა და თანატომელებთან დაგაბრუნებთო.

ქალს თანატომელებთან დაბრუნება აურჩევია, მაგრამ ისლამი მიუღია. მუჰამადს კი მისთვის რამდენიმე აქლემი, ცხვარი, ძროხა, მსახური გოგო-ბიჭები უბოძებია და უკან დიდი პატივით გაუსტუმრებია.[8]

---

[8] სხვათა შორის, ზოგიერთი წყარო მუჰამადის ძიძიშვილის ნაცვლად, ძიძა, ჰალიმას ასახელებს, მაგრამ რაკიღა ამ დროს, სავარაუდოდ, ჰალიმა უკვე ცოცხალი ვეღარ იქნებოდა, გვგონია, რომ თუ ეს ამბავი სინამდვილეში მოხდა, მაშინ ქალი ჰალიმას შვილი უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთი მუსლიმური წყაროს ცნობით, მუჰამადს სწორედ შაიმასათვის დაუბარებია ჰავაზინელთა მეთაურ მალიქ იბნ აუფთან: თუ ჩემთან მოსვლას მოიწადინებს, უსაფრთხოების პირობას მივცემ და პატივით მივიღებო!

სხვა წყაროები კი ამბობენ, მუჰამადმა საყდის ტომელთ მალიქ იბნ აუფის ამბავი გამოჰკითხა და მიუგეს:

— ტაიფში, საკიფელთა ციხე-სიმაგრეშია გამოკეტილი და დანებებას არ აპირებსო.

მოციქულს შეუთვლია: თუ დამნებდები, შენს ქონებასა და ცოლ-შვილს ხომ დაგიბრუნებ, ას აქლემსაც ზედ დაგიმატებო!

რადგან მალიქ იბნ აუფს მანამდე შეეტყო, რა კარგად მოექცა ტყვეებს მუჰამადი, ისლამსა და მის მოციქულზე გული მოიბრუნა, გადაწყვიტა, ტაიფიდან წამოსულიყო და წინასწარმეტყველის წინაშე წარმდგარიყო.

თუმცა, საკიფის ტომელებისა მოერიდა, თუ განზრახვას შემიტყობენ, მის აღსრულებაში ხელს შემიშლიანო, ცხენი წინდაწინ შეაკაზმვინა და უბრძანა, ტაიფის გარეთ დამელოდეთო, თვითონ კი, ღამით რაღაც მოიმიზეზა, ციხიდან გამოვიდა და მოციქულს ეახლა.

მუჰამდმა დანაპირები შეუსრულა და მალიქ იბნ აუფი ღირსეულად მიიღო. ის კი მალე ისეთი თავგადაკლული მუსლიმი გახდა, რომ შემდგომში ტაიფში მოსახლე ბედუნითა გამუსლიმებაში მნიშვნელოვანი და სასიკეთო როლი ითამაშა.

მუჰამადის მიმდევრებს კი, როცა დაინახეს, მოციქულმა საკიფელებს ტყვეები როგორ დაუბრუნა, შეეშინდათ, ნაალაფარი ქონებაც არ მიაყოლოსო და მოციქულს ნადავლის სასწრაფო განაწილება მოსთხოვეს. იბნ ჰიშამის ცნობით, მოციქული აქლემზე იჯდა, როცა მიმდევრები გარს შემოეხვივნენ და აქეთ-იქიდან ყვირილი დაუწყეს:

— მოციქულო, ნადავლი გაანაწილე და ჩვენ-ჩვენი წილი დროულად მოგვეციო!

მერე მუჰამადი ერთ ხესთან მიიყვანეს და ჯიკავ-ჯიკავში წამოსასხამი მხრებიდან ჩამოგლიჯეს. მუჰამადმა მშვიდად მიუგო:

— წამოსასახამი მომეცით და პირობას გაძლევთ, თიჰამას ხეების ოდენი ცხვარ-ძროხა და აქლემებიც რომ გყავდეთ, ყველაფერს უკლებლივ და სამართლიანდ დაგინაწილებთ, ოდესმე ჩემთვის სიძუნწე თუ შეგიმჩნევიათო?

მერე იქვე მდგარ აქლემს ზურგიდან ერთი ბღუჯა ბეწვი მოგლიჯა და დაიძახა:

— ხალხო, ვფიცავ ალაჰს არც ახლა და არც არასოდეს, ნაალაფარიდან წესითა და კანონით კუთვნილ მეხუთედზე მეტი, ამ ბეწვის ოდენიც კი არაფერი ამიღია და იმ მეხუთედსაც ხომ მუდამ თქვენს სასიკეთოდ დავხარჯავდიო!

მერე ნადავლის გადანაწილება დაიწყო და კურაიშელ დიდებულებს, რომელთაც ისლამი ახალი მიღებული ჰქონდათ და მათი სარწმუნოებაში გამყარება იყო საჭირო, უფრო მეტი წილი შეახვედრა. ამან მისი ლაშქრის დანარჩენ წევრებში და განსაკუთებით მედინელ ანსართა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ანსარები ამბობდნენ: მოციქულმა თავისიანებს ჩვენზე უპირატესობა მიანიჭა და უფრო მეტი ქონება მისცაო. ამ უკმაყოფილებამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ, ბოლოს და ბოლოს, საყდ იბნ უბადა — ანსართა თავკაცი მოციქულს ეახლა და მოახსენა:

— წინასწარმეტყველო, მედინელები ამბობენ, როგორც კი მუჰამადი თავისიანებს შეურიგდა, ჩვენ მაშინვე დავავიწყდითო!

მოციქულმა ჰკითხა:

— კეთილი, ხალხი ასე ამბობს, მაგრამ შენ რაღას ფიქრობო?

საყდ იბნ უბადამ მორიდებით შეაპარა:

— მეც ერთ-ერთი მათგანი ვარო!

მაშინ მუჰამადმა საყდ იბნ უბადას მედინელ ანსართა ერთ ადგილას შეკრება დაავალა, წავიდა მათთან და განუცხადა:

— თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს და თუ შეიძლება, პასუხი გამეციოთო!

მიუგეს: გისმენთ, მოციქულოო!

— განა, როდესაც თქვენთან მოვედი, ურწმუნო წარმართი და გზააბნეული ხალხი არ იყავითო? — ჰკითხა მუჰამადმა.

მედინელებმა დაუდასტურეს: ასე იყოო.

— განა, როცა თქვენს ქალაქში მოვედი, უთანხმოებისა და ერთმანეთთან ომის პირისპირ არ იდექით და ამ ვითარებიდან არ დაგიხსენითო?

მიუგეს: სწორედ ასე იყოო!

— განა ცოტანი არ იყავით მაშინ, მე კი გაგამრავლეთ, გაგაფუფუნეთ, ქონება გაშოვნინეთ და მშვიდი ყოფის საშუალება არ მოგეციითო? — კვლავაც იკითხა და როცა ამაზედაც დაეთანხმნენ, ცოტა ხანს დადუმდა, მერე კი დასძინა:

— თუმცა კითხვა თქვენც შეიძლება შემომიბრუნოთ და მითხრათ:

— მაგრამ შენც განა მაშინ არ მოხვედი ჩვენთან, როცა სხვები ცრუდ მიგიჩნევდნენ, ჩვენ კი შეგიფარეთ, გაღიარეთ და დაგიცავით! სხვები დახმარებაზე უარს გეუბნებოდნენ, ჩვენ კი შეგეწიეთ და დახმარების ხელი გამოგიწოდეთ. ლტოლვილი იყავი და თავშესაფარი მოგეციით, უპოვარი იყავი და ჩვენიანად მიგიღეთო.

მუჰამადის ამ სიტყვებმა ანსარებზე ძალიან იმოქმედა და ლამის ცრემლები წამოსცვივდათ, წინასწარმეტყველმა კი საუბარი მშვიდად გააგრძელა:

— ანსარებო, განა რაღაც მცირედი ამქვეყნიური ქონების გამო, რომლითაც სჯულზე ახალმოქცეულთა გულისმოგება მსურდა, მისაყვედურებთ, მაშინ, როცა თქვენ მთელი ისლამი გადმოგეციით. განა წუხხართ იმის გამო, რომ სხვები აქედან აქლემებითა და ცხვარ-ძროხით წავლენ, მაშინ, როცა თქვენ თან ალაჰის მოციქული გამოგყვებათ?!

ამ სიტყვებზე ანსარები მოციქულს ფეხებში ჩაუცვივდნენ და თავიანთი საქციელის გამო პატიება ითხოვეს. მუჰამადს არწმუნებდნენ: უფრო ქონების გამო კი არა, იმას ვწუხდით, რომ მედინაში წამოსვლას აღარ ინებებდით და მექაში თქვენიანებთან დარჩენას არჩევდითო!

მაგრამ მუჰამადმა დაამშვიდა ისინი და ალაჰს მათი პატიება სთხოვა.

ჯიყრანადან კი მოციქულმა მექისკენ გასწია და მცირე მომ-

ლოცველობის რიტუალი აღასრულა. ამის შემდგომ მექაში საქმეთა გამგებლად სრულიად ახალგაზარდა ჭაბუკი, თვრამეტი წლის ათაბ იბნ ასიდი დატოვა, შედარებით ხნიერ ანსარს მუყაზ იბნ ჯაბალს რელიგიურ საკითხთა ხელმძღვანელობა და ხალხისათვის ისლამის სწავლება დაავალა, ხოლო თვითონ სხვა მიმდევრებთან ერთად მედინაში დაბრუნდა.

გზად, სოფელ აბვასთან, დედის საფლავზე რომ ჩაიარა, მუჰამადს გული აუჩუყდა და დედა ცხარე ცრემლებით დაიტირა. მერე, წარმართის საფლავის მონახულება რომ გაემართლებინა, აცხადებდა: დედის დატირება ზეციერს გამოვთხოვე და ამის ნება დამრთეს, მაგრამ როცა მისი ცხონების ლოცვაც დავაპირე, ამაზე ღვთისგან უარი მივიღეო.

მედინაში დაბრუნებულ მუჰამადს თავს დიდი მწუხარება დაატყდა. გარდაიცვალა მისი უფროსი ქალიშვილი ზაინაბი, რომელიც წარმართ ქმარს, როგორც გვახსოვს, უჰუდის ბრძოლის შემდგომ გაეყარა და მამასთან ჩამოვიდა. მუჰამადს ოჯახის წევრები ძალიან უყვარდა და მათ მწუხარებას ყოველთვის გულის სიღრმემდე განიცდიდა. ამჯერადაც შვილის სიკვდილი ძალიან იდარდა, მაგრამ ცოტა ხანში მწუხარება სიხარულით შეეცვალა, რადგან ნაჯაშის მიერ ნაჩუქარი კოპტი მხევლისაგან ვაჟი — იბრაჰიმი შეეძინა.

ასე მიილია ჰიჯრის მერვე წელიწადი და დაიწყო მეცხრე, რომელსაც მუსლიმი ისტორიკოსები „ელჩობათა წელიწადს“ უწოდებენ.

მუჰამადს სახელი მალე არაბეთის ყველაზე უფრო შორეულ მხარეებამდე გაუვარდა. ნახევარკუნძულზე მცხოვრები წვრილ-წვრილი არაბული ტომები ერთმანეთის მიყოლებით აგზავნიდნენ მის წინაშე თავიანთ წარმომადგენლებს და ნებაყოფლობით მუსლიმდებოდნენ. ისლამური თემი ნელ-ნელა იზრდებოდა და მოციქული მალე ამ მზარდი სახელმწიფოს ფინანსური რეგლამენტაციის აუცილებლობის წინაშეც აღმოჩნდა.

ჰიჯრის მეცხრე წელს შემოღებულ იქნა საგადასახადო სისტემა, რომელიც თემის ყველა წევრისაგან, ვინც კი ბუნებრივად ნაყოფიერ რეგიონებში ცხოვრობდა, მთელი შემოსავ-

ლის ერთი მეათედის თემის ინტერესებისათვის გაღებას გულისხმობდა. ხოლო იმ რეგიონთა მცხოვრებლები, სადაც მიწას ხელოვნური საირიგაციო სისტემის მეშვეობით ამუშავებდნენ, შემოსავლის 20 პროცენტს გაიღებდნენ. რაც შეეხება მესაქონლეთა გადასახადს, წელიწადში ყოველ ათ აქლემზე ორი ცხვარი, 40 სულ რქოსან პირუტყვზე ერთი ძროხა, 30 სულზე — ერთი 2 წლამდე ხბო, 40 ცხვარზე კი ერთი ცხვარი იყო დაწესებული. გადასახადს ისედაც „ზაქათი" — განსაწმენდელი მოწყალება ეწოდებოდა. ხოლო ვინც დადგენილზე მეტს გაიღებდა, იმას, ცხადია, ეს საქმე ღვთის წინაშე დიდ დამსახურებად ეთვლებოდა.

თუმცა სიძუნწით ცნობილი ბედუინი არაბები გადასახადს ყოველთვის დიდი ხალისით არ იხდიდნენ და მოციქულს მათთვის ამ ღვთაებრივი მოვალეობის აღსრულების შეხსენება არც თუ იშვიათად ძალის მეშვეობით უხდებოდა.

მუსლიმი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, ჰიჯაზის მხარეში მცხოვრებმა თამიმის ტომმა ერთხელ როგორ თქვა უარი გადასახადის გაღებაზე. მედინიდან მოციქულის მომხრეთა ცხენოსანი რაზმი მათ წინააღმდეგ წარაგზავნეს და მათი ქალები და ბავშვები ტყვედ წამოასხეს.

ბანუ თამიმის ტომმა მუჰამადთან დელეგაცია მიავლინა და მოციქულისაგან ტყვეთა დაუყოვნებლივ გადაცემა მოითხოვა. ამ დელეგაციის ოთხი წარგზავნილი სახელგანთქმული პოეტი და ორატორი იყო და მათ მუჰამადს პოეტური შეჯიბრების გამართვა შესთავაზეს.

მუჰამადმა თავიდან იუარა: მე ღმერთს მგოსნად კი არა, მოციქულად ვყავარ წარმოგზავნილიო, მაგრამ მერე შეჯიბრება მაინც შედგა და მუჰამადის მომხრე მგოსანთა წინაშე თამიმელებმა თავი დამარცხებულად აღიარეს.

თუმცა მოციქულმა დააფასა მათი პოეტურ ნიჭი და არა მხოლოდ ტყვეები გადასცა, არამედ უკან კარგად დასაჩუქრებულნიც გაისტუმრა.

თავისი მოღვაწეობის მექურ პერიოდში მუჰამადი მგოსნებს მოწყალე თვალით არ უყურებდა. ამის მიზეზად ევროპელი ორიენტალისტები მის შურსა და უძლურებას ასახელებენ და საქმეს

ისე წარმოაჩენენ, თითქოს მუჰამადს ლექსების შესათხზველად მხატვრული სიტყვის ნიჭი არ მოსდევდა და მთელ ჯავრს იმ ადამიანებზე იყრიდა, ვისაც ეს საქმე დიდებულად გამოსდიოდა.

სინამდვილეში, მოციქული პოეტებს არას ერჩოდა და მგოსანთა მისამართით გამოთქმული მისი მკვეთრი შეფასებები პოეტური სიტყვისა და მოციქულის სიტყვის ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

გარდა ამისა, პოეზიას ნამდვილად აქვს დესტრუქციული ბუნება, რომელიც მაშინ გამოვლინდება ხოლმე, როცა კი ის რომელიმე სისტემას, როგორც თავისუფლების შემზღუდველ მოვლენას, დაუპირისპირდება. არადა, სისტემა, თავისთავად, და მით უფრო სახელმწიფო-რელიგიური რეგლამენტაცია შეზღუდვების გარეშე ვერაფრით დამკვიდრდება.

მუჰამადი, როგორც ჩანს, შესანიშნავად გრძნობდა ამ რეალობას და პლატონის მსგავსად, რომელმაც მასზე დიდი ხნის წინათ პოეტები თავისი იდეალური სახელმწიფოს საზღვრებიდან გააძევა, დაახლოებით იმავე მიზეზით, მგოსნებს, „ხევ-ხევ რომ დაწანწალებენ და იმას ამბობენ, რაც არ იციან", მეტაფიზიკურ სასჯელთა ნაირსახეობით ემუქრებოდა.

თუმცა საწამლავიც კი, სწორი მოხმარებისას, შეიძლება წამალი აღმოჩნდეს და მით უფრო პოეზია, როცა იდეოლოგიური პროპაგანდისათვის გამოიყენებ, მასაზე ზემოქმედების შესანიშნავ საშუალებად გამოდგება.

ამიტომაც, მედინური მოღვაწეობის ბოლოს, როცა მგოსნებმა მუჰამადის სჯულის აღიარება გადაწყვიტეს, მუსლიმურმა ანალებმა ეს ფაქტები დიდი რუდუნებით შემოგვინახეს და იქვე იმ სახოტბო ლექსების ნიმუშებიც დაურთეს, რაც ახალგამუსლიმებულმა პოეტებმა მოციქულის ქება-დიდებისათვის აღავლინეს.

იბნ ჰიშამიდან მომდინარე, მუსლიმი ისტორიკოსები განსაკუთებული სიამოვნებით გვიყვებიან ცნობილი მგოსნის ქაყბ იბნ ზუჰაირის ისლამის სჯულზე მოქცევის ამბავს.

ამ პოეტის მამა — ზუჰაირ იბნ აბი სულმა — ისლამამდელი არაბეთის სახელგანთქმული პოეტი და იმ 7, მართლაც, დიდებული მუალაკადან, რომლებიც დღემდე ადრეული შუასაუკუნეე-

ბის არაბული ლიტერატურის შედევრად ითვლება, ერთ-ერთი მუალაკას ავტორი იყო.

ზუჰაირ იბნ აბი სულმას ორი ვაჟი ჰყავდა: ბუჯაირი და ქაყბი, რომლებიც მამის მსგავსად პოეტები იყვნენ. უფროსი ძმა ბუჯაირი მოციქულის მიერ მექის დამორჩილებამდე გამუსლიმდა და მის ერთგულ მიმდევრადაც ითვლებოდა. უმცროსი ქაყბი კი, ისლამის მტრად რჩებოდა და როგორც შეეძლო, თავისი სატირული პროზითა და პოეზიით, ხალხს მუჰამადის წინააღმდეგ ამხედრებდა.

მუჰამადმა, რომელიც ყოველთვის მგრძნობიარე იყო პოეტური სიტყვის მისამართით, ისლამის მოწინააღმდეგე პოეტთა და მათ შორის ქაყბ იბნ ზუჰაირის მოკვლის ბრძანება გასცა. ამ პოეტთგან ერთი, მექის აღებისას, მუსლიმებმა სიცოცხლეს მართლაც გამოასალმეს; ორმა კი, თავს გაქცევით უშველა და ამ გაქცეულთა შორის სწორედ ჩვენი ქაყბ იბნ ზუჰაირიც იყო.

ბუჯაირს ძმის ბედზე, ცხადია, გული შესტკიოდა. ამიტომაც წერილი მისწერა და ურჩია: სასწრაფოდ მედინაში ჩამოდი და ცოდვა მოინანიე. ისლამის მოციქული გულმოწყალე კაცია და ამ ნაბიჯს ღირსეულად დაგიფასებსო.

ქაყბი დაჰყვა ძმის რჩევას, მოციქულს ეახლა და მეჩეთში საჯაროდ ნაუკითხა ის თავისი ცნობილი კასიდა, რომელიც დღემდე არაბული სახოტბო პოეზიის შესანიშნავ ნიმუშად მიიჩნევა.

ყოველ შემთხვევაში, მისი ხოტბა წინასწარმეტყველს ისე ეამა, რომ არამხოლოდ დანაშაული შეუნდო, არამედ იქვე გაიხადა თავისი წამოსასხამი და პოეტს უსახსოვრა.

ქაყბ იბნ ზუჰაირმა ეს წმინდა სამოსელი სიკვდილამდე შეინახა და მრავალჯერ შეთავაზებული დიდძალი ოქროს ფასადაც კი ვერავის დაუთმო. აი, პოეტის მემკვიდრეებმა კი ცდუნებას ვერ გაუძლეს და რელიქვია 10 000 დირჰამად მიჰყიდეს ხალიფა მუყავიას, რის შემდეგაც ხალიფები სადღესასწაულო ვითარებაში ხალხის წინაშე თავს მოციქულის წამოსასხამითაც იწონებდნენ, ვიდრე 36-ე ხალიფას, ალ-მუსთაყსიმ ბი ლლაჰს, თათარი დამპყრობელი, ჰულაგუ ამ სამოსს ტანიდან ჩამოფხრეწდა და ცეცხლს შეუკეთებდა.

ქაყბიბნ ზუჰაირი კი, თავის დროზე მექიდან მუსლიმთა რისხვას რომ გაექცა, თავი ქალაქ ტაიფის შეაფარა. არაბული ტომის წარგზავნილები ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ მუჰამადთან და ისლამს აღიარებდნენ. ქალაქი ტაიფი კი, რომელმაც ორჯერ გააძევა მოციქული თავისი კედლებიდან, კვლავაც ჯიუტად კერპთაყვანისმცემელი და თავისი უზენაესი ქალღმერთის ალლათის ერთგული რჩებოდა.

მუჰამადს მათგან ძველი ბრიყვული წყენაც კარგად ახსოვდა და ახლა ხომ ტაიფელთა სიჯიუტე მოთმინებას აკარგვინებდა. ბოლოს და ბოლოს, ტაიფში ხალხი თვითონ გააგზავნა და მათგან ისლამის მიღება მოითხოვა. ტაიფელებმა საპასუხოდ მუჰამადს თავიანთი წარმომადგენლები მიუგზავნეს, რომელთაც წინასწარმეტყველის წინაშე ისლამი აღიარეს, მაგრამ ხალხისაგან ამავე რამის უცებ მოთხოვნა სახიფათო საქმედ დასახეს და ამიტომაც, ტაიფელთა სახელით, ქალღმერთ ალ-ლათის სამსახურისათვის კიდევ სამი წლის ვადა მოითხოვეს. მუჰამადმა ეს თხოვნა კატეგორიულად უარყო. მაშინ ტაიფელებმა საამისოდ სამი წლის ნაცვლად ერთი თვე ითხოვეს და ეს თხოვნა ხალხის ისლამზე მოსაქცევად მომზადებისათვის აუცილებლობით გაამართლეს.

„არც ერთი წუთი!“ — გადაჭრით უპასუხა მუჰამადმა.

ამის შემდეგ ტაიფელთა წარმომადგენლებმა სხვა მოთხოვნა წამოაყენეს და მოციქულს მათთვის ხუთჯერადი ყოველდღიური ლოცვის გაუქმება, ან უარეს შემთხვევაში, ამ ლოცვის აღსრულებისას შეღავათების დაწესება სთხოვეს.

„ლოცვის გარეშე ჭეშმარიტი რწმენა არ არსებობს!“ — მიუგო ამაზე მუჰამადმა და აბუ სუფიან იბნ ალ-ჰარბსა და ალ-მუღირას, ალ-ლათის კერპის დამსხვრევის მიზნით, ტაიფში გამგზავრება დაავალა.

აბუ სუფიანს უნდოდა კერპისათვის ურო ჩაერტყა, მაგრამ უცებ ფეხი აუსრიალდა და მიწაზე გაიშხლართა. ხალხს მოულოდნელობისაგან ყვირილი აღმოხდა და ეს ამბავი ყველამ განგების ნებად მიიღო. წამით იმედიც კი მიეცათ, ეგებ კერპი

დამსხვრევას გადაურჩესო, მაგრამ ალ-მუღირამ იქვე, ერთი დარტყმით დაამსხვრია მათი იმედები.

ტაიფიელთა გარდა, მუჰამადის დამორჩილებაზე უარს აცხადებდა ბედუინთა კიდევ ერთი ტომის — ბანუ ამირის მეთაური ტუფაილ იბნ ალ-ამირი. ეს კაცი იშვიათი სილამაზისა და დიდი სიმდიდრის პატრონი, მაგრამ ასევე ძალზე ამპარტავანი და ზვიადი იყო.

ტაიფსა და ნახლას ხეობებს შორის ყოველწლიურად გამართულ უქაზის ბაზრობებზე, სადაც თავს იყრიდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის ყველა მხრიდან ჩამოსული არაბი ვაჭრები, მოგზაურები და პოეტები, ხშირად გაიგონებდით: „ვისაც სასაპალნე საქონელი სჭირდება, ამირს მიაკითხოს, ვინც მშიერია, ამირი განიკითხავს, თუ ვინმეს მოსდევენ, ამირთან მივიდეს და ის დაიცავსო!“

ხალხის ასეთი განწყობა მის მიმართ ამირს პატივმოყვარეობის გრძნობას სულ უფრო და უფრო უმძაფრებდა. ამიტომაც განსაკუთრებით აღიზიანებდა ყველა, ვისაც რაღაცაში თავისზე წარმატებულად მიიჩნევდა. ბოლო ხანს კი მუჰამადის შურდა და როცა მასთან მოლაპარაკება ურჩიეს, განაცხადა: „დავიფიცე, არ მომესვენა, სანამ მთელ არაბეთს არ დავიმორჩილებდი და ახლა იმას მირჩევთ, თვით დავემორჩილო ამ კურაიშელსო?!“

თუმცა ისლამის ყოველდღიურად მზარდმა წარმატებამ ამრ იბნ ტუფაილი კეთილმოსურნეთა რჩევის სიმართლეში დაარწმუნა. მედინაში ჩავიდა, პირდაპირ მოციქულთან მიიჭრა და უთხრა: „იქნები ჩემი მეგობარი?!“

მუჰამადმა მიუგო: „ვფიცავ ალაჰს, სანამ ისლამს არ მიიღებ, მანამ არასდროს!“

ამირმა ჰკითხა: „და რომ მივიღო, დასჯერდები ქალაქელ არაბებზე ბატონობას და ბედუინებს საბატონოდ მე დამითმობ?“

მუჰამადმა ამაზედაც უარი რომ უთხრა, ამრ იბნ ტუფაილმა ისევ ჰკითხა: „კარგი, ვთქვათ და, მართლაც, მივიღე შენი რჯული, ეს რას მომიტანს?“

„თანამერჯულეთა მეგობრობასა და კეთილგანწყობას!“ — მიუგო მოციქულმა.

— მათი კეთილგანწყობა არაფერში მჭირდება! — გადაჭრით განუცხადა ამრის ტომის ამაყმა ბელადმა და ისევ მშობლიურ უდაბნოს მიაშურა.

მას თითქმის არაფრით ჰგავდა ბედუინთა კიდევ ერთი ტომის — ტაის მეთაური, ადი. მამამისი ჰათიმი წარმოუდგენლად მამაცი და იმდენად გულუხვი კაცი იყო, რომ არაბები, როცა ვინმეს ახასიათებდნენ, ამბობდნენ და დღემდე ამბობენ, ჰათიმივით გულუხვიაო!

ადი მამას გულუხვობაში კი, მაგრამ სიმამაცეში ვერ დაემსგავსა. მუსლიმთა ლაშქრობებით შეშფოთებულმა, თავის მწყემსს უბრძანა, მუდმივად მზად ჰყოლოდა ორ ტაიჭი, რათა, თუკი მუსლიმები თავს დაესხმოდნენ, გაქცევა შეძლებოდათ.

ერთხელ მათ საცხოვრისს თავის მებრძოლ რაზმთან ერთად ალი იბნ აბი ტალიბმა ჩაუარა. მწყემსი, მათ რაზმს რომ მოჰკრა თვალი, იმწამსვე პატრონთან გაიქცა და მოახსენა: „მუსლიმები შემოგვესივნენ! კარგად დავინახე მათი რაზმი, რომელიც ორი ბაირაღით — თეთრი და შავი დროშებით მოდიოდაო!“

ადიმ მაშინვე ცხენებზე შესვა ცოლ-შვილი და სირიისაკენ გაემართა. მისი და — საფანა კი მუსლიმებმა ტყვედ ჩაიგდეს და მედინაში ჩაიყვანეს.

ერთხელ იმ ადგილთან, სადაც საფანა ჰყავდათ დატყვევებული, მუჰამადმა ჩაიარა. ქალმა შემთხვევით ისარგებლა და მოციქულს დაუძახა:

— შემიბრალე, ალაჰის მოციქულო. მამა მომიკვდა იმან კი, ვისაც ჩემი მფარველობა ევალებოდა, დამაგდო და სირიაში გაიქცა. შემიწყალე, მოციქულო, რათა უფალმა შენც შეგიწყალოს!

— ვინ არის შენი მფარველი და მეურვეო? — ჰკითხა მუჰამადმა.

— ადი, ჰათიმის ვაჟი! – მიუგო საფანამ.

— ის, ვინც გაექცა ალაჰსა და მის მოციქულს! — უთხრა მუჰამადმა ქალს და გვერდით ჩაუარა.

მეორე დღეს, როცა მოციქული კვლავაც გამოჩნდა, ალიმ, რომელსაც, როგორცა ჩანს, შეებრალა ახალგაზრდა, ლამაზი

ქალი, ანიშნა, თხოვნა გაუმეორეო და საფანამაც ისევ დაიწყო ძახილი: „დამინდე, ალაჰის მოციქულოო!“

მუჰამადმა ამჯერად მართლაც შეინყალა ტყვე. გააააზატა და პირველივე ქარავნით თავის ძმასთან სირიაში გაისტუმრა.

სირიაში ჩასულმა ქალმა ძმა ყვედრებითა და მუნათით აავსო, მომხვდურთან როგორ მიმატოვეო. ადიმაც აღიარა ცოდვა და საფანამ ახლა იმაზე დაუწყო საუბარი, მუჰამადს სასწრაფოდ უნდა ეახლო და ერთგულება შეჰფიცო, იგი ნამდვილად ღვთის მოციქულია, მალე მთელ მსოფლიოს დაიმორჩილებს და სანამ გვიან არ არის, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას უნდა ეცადოო!“

ადიმ დაუჯერა დას, მედინაში გამეგზავრა და მოციქულს ერთგულება მეჩეთში შეჰფიცა. იბნ ჰიშამთან დაცულია მისი მონათხრობი, რომელსაც ისლამის სხვა ისტორიკოსებიც იმოწმებენ. მათ შორის ვ. ირვინგიც, რომელიც ამბავს ასეთ, პრინციპულად სწორ, განმარტებას დაურთავს:

„თვით ადის მიერ მონათხრობი ეს ამბავი წარმოგვიდგენს რეალურ სურათს მუჰამადის ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებათა უბრალოებისა მაშინ, როცა იგი უკვე სრულად ფლობდა უზენაეს ძალაუფლებას და ახალ-ახალ მიწებსა და ტომებს ერთმანეთის მიყოლებით იმორჩილებდა.“

ადი კი მოგვითხრობს: „მოციქულმა სახელი მკითხა და როცა ჩემი ვინაობა შეიტყო, მეჩეთიდან შინ მიმიპატიჟა. გზად, ვილაც დედაბერი მოგვიახლოდა, მუჰამადი გაუჩერდა მას და მთელი თავისი ამბები ყურადღებით გამოჰკითხა. ეს მეფის საქციელს რაღაც არ ჰგავს-მეთქი, გავიფიქრე. მასთან სახლში რომ შევედით, მოციქულმა დასაჯდომად თავისი პალმით გამოტენილი ტყავის ბალიში მომცა, თვითონ კი ფეხი პირდაპირ სოხანეზე მოირთხა. კელავაც ვიფიქრე: მეფესავით არც ამჯერად იქცევა-მეთქი.

მერე მოციქულმა სამჯერ შემომთავაზა, რომ ისლამი მიმეღო. მივუგე: მე ჩემი რწმენა მაქვს-მეთქი. მითხრა: „შენზე უკეთ ვიცნობ შენს რწმენას. საკუთარ ხალხს მოსავლის ერთ მეოთხედს ართმევ და თავი ბატონკაცურად გიჭირავს. ქრისტიანობა ნუთუ ეს არისო?“

ამის გაგონებაზე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იგი მართ-

ლაც მოციქული იყო. მუჰამადი კი განაგრძობდა: „ჩვენს სიღატაკეს რომ ხედავ, ისლამის მიღება ამიტომ არ გწადია. მაგრამ თუ ალაჰი ინებებს, ახლოა ჟამი, როცა მართლმორწმუნე მუსლიმთ თავზესაყრელი ქონება ექნებათ. ან ეგებ ურწმუნოებთან შედარებით მუსლიმთა სიმცირემ შეგაშინა. ვფიცავ ალაჰს, მალე თითოეულ მუსლიმს შეეძლება მარტოდმარტო, უშიშრად ჩამოვიდეს კადისიიდან მექაში და წმინდა ქააბის მომლოცველობა აღასრულოს. ეგებ გგონია, რომ ძალა ურწმუნოთა ხელშია. მაგრამ მერწმუნე: ახლოა ჟამი, როცა ჩვენ თეთრ ბაირაღებს გადმოვაფენთ ბაბილონის ციხეთა ქონგურებიდან!“

მაშინ კი ადიმ მართლაც საბოლოოდ ირწმუნა მუჰამადის მოციქულობა და ისლამი აღიარა.

## თაბუძის ბრძოლა

ამასობაში კი მუჰამადს ამბავი მოუტანეს, რომ აღმოსავლეთ რომაელები ლაშქრს აგროვებენ და მედინაზე თავდასასხმელად ემზადებიანო. მუჰამადმა გადაწყვიტა, მტრისათვის დაესწორო, დიდი ლაშქარი შეეკრიბა და მათ წინააღმდეგ საომრად პირადად წასულიყო. ამჯერად ტრადიცია დააღვია და თუ წინა ლაშქრობებისას, თავისი ჩანაფიქრის შესახებ წინასწარ არავის არაფერს ატყობინებდა, ახლა პირიქით, მთელ მუსლიმურ თემს განუცხადა: ბერძნებთან შებმას ვაპირებო და შეძლებულ მუსლიმებს ლაშქრობის ხარჯებისათვის თავიანთ ქონების გაკვეული ნაწილის გაღებაც დაავალა.

სუნიტურ წყაროებში ნათქვამია, რომ ამ დროს მუჰამადის ერთგულმა მეგობრებმა მოციქულს თავიანთი ერთგულება საქმით დაუმტკიცეს. ომარმა, აბდ არ-რაჰმანმა და ალ-აბასმა დიდძალი თანხა გაიღეს. მუსლიმმა ქალებმა ძვირფასი სამკაულები მოიხსნეს და საერთო საქმის სამსხვერპლოზე მიიტანეს. ოსმანმა კი ათასი, ზოგი წყაროს ცნობით, ათი ათასი დინარი შესწირა და სუნიტური აღმსარებლობის მუსლიმთა მტკიცებით, „ამით თავისი წინა, ახლანდელი და შემდგომი ცოდვების მიტევების პი-

რობა მიიღო". აბუ ბაქრმა მუჰამადს ოთხი ათასი დირჰამი მისცა. მოციქული ჭოჭმანობდა და ვერ გადაეწყვიტა, გამოერთმია თუ არა ეს ფული აბუ ბაქრისათვის, რაკი იცოდა, რომ კაცს მეტი აღარაფერი რჩებოდა და ის ოთხი ათასი იმჟამად მთელი მისი ქონება იყო. ამიტომაც აბუ ბაქრს ფრთხილად ჰკითხა:

— თუ ამ ფულს გამოგართმევ, საარსებოდ რა სახსარიღა გრჩებაო?

ალაჰი და მისი მოციქული! — აუღელვებლად მიუგო აბუ ბაქრმა.

ცხელი და გამთანგავი ზაფხული იდგა და ის წელი საშინლად მოუსავლიანი გამოდგა. გვალვამ ფინიკის მოსავალი გაანადგურა და ხალხი დიდი შიმშილობისათვის ემზადებოდა. თანაც ამ მოსავლის აღების დრო იყო და რაც გვალვას გადაურჩა, თუ იმასაც არ დააბინავებდნენ, შიმშილით უეჭველი სიკვდილი ელოდათ.

ამიტომაც მუსლიმები მოციქულის წინადადებას ცხადია, ხალისით არ შეხვედრიან. თანაც იცოდნენ, რომ თაბუქის ოაზისამდე, საითაც უნდა წასულიყვნენ, უშველებელი უდაბნო უნდა გადაეკვეთათ. მტრის ლაშქარი კი კბილებამდე შეიარაღებული იყო და დიდი უპირატესობა ჰქონდა. ამის მიუხედავად, მედინიდან სალაშქროდ გასულ მუჰამადს თან 30 000 მეომარი გაჰყვა, რომელთაგან 10 000 მხედარი და 20 000 ქვეითი იყო.

მედინის მაცხოვრებელთა გარდა, მოციქულმა ქალაქის გარშემო მოსახლე ტომებისგანაც ითხოვა დახმარება და ასევე წერილი მისწერა უთაბა იბნ უსაიდს მექაში, რომელსაც დაავალა, მექის გარშემო მკვიდრი ტომები დაერაზმა, თითოეული ტომისათვის ცალკე მეთაური დაენიშნა და განსხვავებული ბაირაღი ეწინამძღვრა. ლაშქრობის ხარჯები თითქმის მთლიანად ნებაყოფლობითი რელიგიური გადასახადებით, უმთავრესად, სადაკათი და ზაქათით დაიფარა.

თუმცა მედინაში მრავლად იყვნენ ადამიანები, ვინც წინასწარმეტყველს ამ უაღრესად მნიშვნელოვან ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი განუცხადა და თავისი გადაწყვეტილება ნაირგვარი მიზეზით გაამართლა. ძირითადად, სიცხესა და უწყლობას იმიზეზებდნენ, მაგრამ ერთმა მედინელმა თვალთმაქცმა,

ვინმე ჯად იბნ კაისმა წინასწარმეტყველს ისეთი მიზეზი უთხრა, რომ გადმოცემების შემგროვებელმა მუსლიმმა ისტორიკოსებმა მისი სიტყვები გაოცებულებმა ჩაიწერეს და იმის დასტურად მოიხმეს, როგორი თავხედი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ მუჰამადისათვის ამისი თქმა შეებედაო.

ჯად იბნ კაისმა კი მოციქულს ასეთი რამ უთხრა:

— რა ვქნა, ლამაზი ქალები მიყვარს და იქ მშვენიერ ბერძნის ქალებს რომ შევხვდები, მეშინია, სულმა არ წამძლიოს და ცდუნებაში არ გავებაო.

მაგრამ საქმე მხოლოდ ამ უბრალო ლიზღობით არ გათავებულა. მუჰამადს შეატყობინეს, ლაშქრობაში მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, თვალთმაქცები ჯასუმის უბანში ერთი იუდეველის — სუვაილიმის სახლში იკრიბებიან და ხალხს ისლამის საწინააღმდეგოდ აქეზებენო.

ამ მოწინააღმდეგეთა დასასჯელად და სხვათათვის ჭკუის სასწავლებლად მუჰამადმა ტალჰა იბნ აბდ ალ-ლაჰს იუდეველის სახლის გადაწვა უბრძანა.

ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულეს და სუვაილიმის სახლკარი ცეცხლში გაახვიეს. შიგ მყოფი თვალთმაქცები დაფეთებულები გარეთ გამოიჭრნენ, ერთმა კი, კარიდან გასვლა რომ ვეღარ მოასწრო, ბანიდან პირდაპირ ჩამოხტა და ფეხი მოიტეხა.

თუმცა ომში მონაწილეობაზე უარს ყველა მოციქულის მიმართ ფარული მტრობის გამო როდი ამბობდა. იყო ხალხი, რომელსაც ასამხედრებელი საქონელი არ ჰყავდა, ამხელა გზის ფეხით გავლას კი, ვერაფრით შეძლებდა. ისინი მუჰამადს ეახლნენ და სთხოვეს, თუ შესაჯდომად ცხენს ან აქლემს მოგვცემთ, სიხარულით გამოგყვებითო. როდესაც თხოვნაზე უარი მიიღეს, გულწრფელად შეწუხდნენ და ტირილიც დაიწყეს.

რამდენიმე კაცი კი, ვინც მექაში დარჩა, თვიანთი საქციელის გაცნობიერების შემდეგ, ლაშქარს გაეკიდნენ და მოციქულს თაბუქამდე დაეწივნენ.

მაგალითად, მუსლიმური ანალები მოგვითხრობენ აბუ ხაისამას ამბავს, რომელიც თითქმის მთლიანად დაცარიელებულ მედინაში, როცა თავის ბაღში შევიდა და ორმა ცოლმა — საგანგე-

ბოდ მორთულ-მოკაზმულმა და კეკლუცმა — დიდი ხის ჩრდილში სადილი მიართვა, უეცრად საკუთარმა ქცევამ შეაწუხა. იფიქრა, მე აქ დავმჯდარვარ და ცოლებთან ვნეტარებ, მოციქული კი ახლა მწველ უდაბნოში მტერთან შესაბმელად მიაბიჯებსო. წამოხტა, იარაღს ხელი დაავლო და მუჰამადის ლაშქარს დაეწია. წინამძღოლს შენდობა სთხოვა და მუჰამადმაც დანაშაული დიდსულოვნად აპატია.

თუმცა ისეთებიც იყვნენ, რომლებიც წინასწარმეტყველს მედინაში დაბრუნების შემდეგ ეახლნენ და ბოდიში მოუხადეს. მუჰამადს არც ეს ხალხი დაუსჯია, თუმცა, ცხადია, შინაგანად ვერც მათი მობოდიშება ვერ მიიღო.

ერთი კაცი კი თვითონ წინასწარმეტყველის დავალებით დარჩა მედინაში. თაბუქი ერთადერთი ლაშქრობა იყო, სადაც მოციქულმა ალი იბნ აბი ტალიბი თან არ იახლა და მედინაში დარჩენა დაავალა, რათა მისი არყოფნისას, საზოგადო საქმეებს გაძღოლოდა და თავისი და მოციქულის ოჯახებისათვის მიეხედა.

მოხდა ისე, რომ აბდ ალ-ლაჰ უბაის რაზმმა, რომელიც თვალთმაქცებით იყო შევსებული, გზად რაღაცა მოიმიზეზა, ლაშქარს გამოეყო და მედინაში დაბრუნდა.

რაზმის მეთაური კი ალისთან მივიდა და განუცხადა:

— მუჰამადს უნდა თავიდან მოგიცილოს და ქალაქში ამიტომაც დაგტოვაო.

ალი ისედაც გაღიზიანებული იყო მედინაში მის დარჩენასთან ატეხილი მითქმა-მოთქმით. ვინ რას არ ამბობდა. ბევრს მის გულწრფელობაშიც კი შეჰქონდა ეჭვი და გაიძახოდნენ: სიცხეს და ზედმეტ წვალებას მოერიდა და მუჰამადს თან იმიტომ არ გაჰყვა, ახლა კი თავი ისე უჭირავს, თითქოს მოციქულმა ოჯახის მოსავლელად დატოვაო.

აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის სიტყვები კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა. აქლემს მოახტა, მოციქულის ლაშქარს დაეწია და მუჰამადს ჰკითხა: — მართალია თუ არა, რასაც აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი ამბობსო?!

მუჰამადმა დაამშვიდა:

— სხვათა ნათქვამს ყურს ნუ დაუგდებ. ჩემთვის შენ ის ხარ,

რაც მოსესათვის იყო აარონი, ოღონდ ერთი განსხვავებით: აარონივით მოციქული შენ ვერ იქნები, რადგან მოციქულთა ბეჭედი მე ვარო!

ამ სიტყვებმა ალი სავსებით დაამშვიდა და მედინაში დაბრუნდა. ბევრმა კი იფიქრა და, სხვათა შორის, არც თუ უსაფუძვლოდ, რომ წინასწარმეტყველმა ამით ალი თავის შემცვლელად და მემკვიდრედ დაადგინა.

რაც შეეხებალაშქარს, გზა განაგრძეს და ცოტა ხანში ჰაჯარის დაწყევლილ მხარეშიც ჩავიდნენ. ღამდებოდა და გადაწყვიტეს, იქვე დაბანაკებულიყვნენ. მშვენიერი ოაზისი იყო, სადაც წყალი უხვად მოჩუხჩუხებდა და მოსვენებას მოახერხებდნენ, მაგრამ მუჰამადს უცებ ღვთისაგან წყეული სამუდეველები გაახსენდა — ამ მიდამოში მცხოვრები ძველი არაბული ტომი, რომელიც უფალმა ცოდვებისათვის დასაჯა და მიწასთან გაასწორა.

სასწრაფოდ წამოდგა და ლაშქარს გზის დაუყოვნებლივ გაგრძელება უბრძანა. ხოლო პურიც კი, რომელიც ამ მიდამოთა წყლით იყო მოზელილი, აქლემებს შეაჭამეს.

მუსლიმური მატიანეები გადმოგვცემენ, რომ ჰაჯარში დაბანაკებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ერთი მებრძოლი წყლით მოიწამლა, ხოლო მეორეს ხუნაგი დაემართა და უეჭველი სიკვდილის კლანჭებიდან მხოლოდ მუჰამადის მხურვალე ლოცვამ იხსნა.

ლაშქარმა კი ერთი დღე იარა და ურწყულ და უკაცრიელ უდაბნოში დააღამდა. სადღაც ერთ დამშრალ წყაროს მიაგნეს. მუჰამადმა იქ დაბანაკება ბრძანა და წყალს, რომელიც წვეთ-წვეთობით მოწანწკარებდა, ფიალა შეუშვირეს, რომ ეგებ წყურვილი მოციქულს მაინც მოეკლა. დიდხანს ლოდინი დასჭირდათ, ვიდრე ფიალა სანახევროდ გაივსებოდა.

მუჰამადმა წყურვილი მოიკლა, მერე დამშრალ წყაროსთან ილოცა და იქიდან უცებ იმდენმა წყალმა ამოხეთქა, რომ მთელ მოლაშქრეებს ეყოთ არა მხოლოდ წყურვილის მოსაკლავად, არამედ სარიტუალო განბანვის აღსასრულებლადაც.

საშინელი ღამე იყო. უდაბნოს პაპანაქება სუნთქვას აძნელებდა და მოლაშქრეები ლამის დაიხუთნენ. მუჰამადსაც მთელი ღამე არ ეძინა და გამუდმებით ლოცულობდა. დილით კი ისეთი

წვიმა დასცხო, რაც იმ მხარეს მთელი საუკუნე არ ღირსებოდა. მოლაშქრეებმა გაიხარეს, საკმარისი წყალი დაიმარაგეს და გზა განაგრძეს.

ბოლოს და ბოლოს კი, ლაშქარი, რომელიც სახიფათო გზისა და სხვა პრობლემათა გამო, მუსლიმურ წყაროებში „სიძნელის ლაშქრის“ სახელით მოიხსენიება, თაბუქში ჩავიდა.

თაბუქი პატარა ქალაქი იყო მედინიდან დამასკის გზაზე, რომელიც, როგორც ერთ, ისე მეორე პუნქტს ათ-ათი დღის სავალით იყო დაცილებული და ბერძნულ მმართველობაში შემავალ სირიას ეკუთვნოდა.

ამ და სხვა საზღვრისპირა ქალაქებში იქ მოსახლე არაბებიდან, რომლებიც, ძირითადად, ქრისტიანული სჯულის აღმსარებელნი იყვნენ, ბერძნებს თავიანთი გამგებლები ჰყავდათ ჩაყენებული.

მუჰამადი მტერთან შებმას აქ ვარაუდობდა, მაგრამ თაბუქში ჩასულს არავინ დახვედრია: მუსლიმური მატიანეების ცნობით, მუჰამადის ლაშქრის ძლევამოსილებით ზარგანხდილი ბერძნები იქაურობას მათ ჩამოსვლამდე გაეცალნენ. წინასწარმეტყველს კი დრო აღარ დაუკარგავს და ახლომახლო მცხოვრები ტომების გამუსლიმებას შეუდგა.

თავისი ხალხი ყველა ახლო მდებარე ქალაქში გააგზავნა და ამ ქალაქის გამგებლებს ისლამის აღიარება ანდა გარკვეული პირობებზე დათანხმება შესთავაზა.

მათ შორის იყო აილა, მკვდარი ზღვის მახლობლად მდებარე ერთი ქრისტიანული ქალაქი, რომლის შესახებაც არსებული საინტერესო გადმოცემა ყურანის II სურაშც აისახა.

ამ გადმოცემის თანახმად, ურჩობის გამო ღმერთმა ქალაქის მცხოვრები მოხუცები ღორებად, ხოლო ახალგაზრდები მაიმუნებად აქცია.

აილას ქრისტიანი გამგებელი იუჰანნა იბნ რუბაჰი იძულებული იყო მუჰამადის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო ხელშეკრულება დაედო, რომელიც გარკვეული პირობების სანაცვლოდ, ყოველწლიური გადასახადის — 300 ოქროს დინარის — გადახდასაც ავალდებულებდა.

ეს გადასახადი იყო შემდგომ ე. წ. „ჯიზიას“ ნიმუში, რაც

მუსლიმთა მიერ დაპყრობილი არამუსლიმური მხარეების მცხოვრებთ დაეკისრათ.

გარდა ამისა, იუჰანა იბნ რუბაჰი, რომელმაც თაბუქში შესულ წინასწარმეტყველს საჩუქრად თეთრი რაში მიართვა, ვალდებულებას იღებდა, ამის შემდგომ მის ქალაქში მოხვედრილი ყველა მუსლიმისათვის გულუხვად ემასპინძლა.

ასეთივე პირობა ჩამოართვეს სხვა იქაური ქალაქების — აზდუჰისა და ჯარბას — გამგებლებსაც, შედარებით შორს მდებარე ქალაქებში კი, მოციქულმა თავისი რაზმები დააგზავნა. მათ შორის ჩვენთვის უკვე ნაცნობი დუმათ ალ-ჯანდალის ციხესიმაგრეც იყო, სადაც იმ დროს ერთი ქრისტიანი ვინმე უქაიდარი მბრძანებლობდა.

ამ ქალაქში მუჰამადმა ხალიდ იბნ ვალიდი და მისი ხუთასკაციანი რაზმი გააგზავნა.

რადგანაც ციხე შესანიშნავად იყო გამაგრებული და ძალის გამოყენებით ვერ აიღებდნენ, ხალიდ იბნ ვალიდმა და მისი რაზმის წევრებმა ხერხი იხმარეს.

როცა ისინი დუმათ ალ-ჯანდალში ჩავიდნენ, მთვარიანი ღამე იდგა. იმ ღამით უქაიდარი და მისი მეუღლე სუფთა ჰაერზე, კოშკის ბანზე ასულიყვნენ და მიდამოს თვალიერებით ტკბებოდნენ. უეცრად ზედ კოშკის მახლობლად რაღაც ცხოველი დაინახეს, რომელიც გარეულ ვირად თუ კანჯარად მოეჩვენათ.

უქაიდარი ნადირობის ტრფიალი იყო, მაშინვე იარაღს დაავლო ხელი, თან რამდენიმე კაცი, ძირითადად, ოჯახის წევრები იახლა და კანჯრის მოსაკლავად ციხდან გამოვიდა.

მაგრამ კანჯარი სატყუარა აღმოჩნდა, რომელიც ხალიდ იბნ ალ-ვალიდსა და მისი რაზმის წევრებს უქაიდარის ციხიდან გამოსატყუებლად დაეგოთ. ქალაქის გამგებელს თანმხლები პირები დაუხოცეს, მათ შორის ძმა ჰასანიც მოუკლეს, თვითონ კი დაატყვევეს და ციხეში გამაგრებულ მის თანატომელთ შეუთვალეს: თუ გინდათ უქაიდარი ცოცხალი იხილოთ და ტყვეობიდან დაიხსნათ, კარები გახსენითო!

მათაც სხვა აღარაფერი დარჩენოდათ და ციხე მომხვდურს ჩააბარეს.

მუსლიმებს აქედან უამრავი ალაფი დარჩათ. ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა კი მოკლული ჰასანის ტანსაცმელი წაიღო და მუჰამადს მიართვა. ეს იყო ნამდვილი აბრეშუმის, ოქრომკედით მოქარგული ძვირფასი პერანგი. მუჰამადის ლაშქრის წევრებს ასეთი სამოსი არასდროს ენახათ და გაკვირვებას ვეღარ მალავდნენ. მოციქულმა კი გულგრილად უთხრა: „ეს პერანგი კი გაოცებთ, მაგრამ რომ იცოდეთ, სამოთხეში რა მდიდრული სამოსი აცვია საყდ იბნ მუყაზს!"

— და საყდ იბნ მუყაზი, როგორც გვახსოვს, ის მუსლიმი იყო, რომელმაც ბანუ კურაიზას ებრაელებს განაჩენი გამოუტანა და 7000 მამაკაცი მოაკვლევინა.

იმ მიდამოებში მცხოვრები თითქმის ყველა არაბული წვრილი ტომი რომ დაიმორჩილეს, მუჰამადს სურდა, სირიის შუაგულისაკენ წაეწია და ბერძნებთან გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა. თუმცა თვითონ, ჩვეულებისამებრ, როცა მისი საქციელი გამოცხადებით კი არა, თავისივე ფიქრით იყო ნაკარნახევი, რჩევას ახლობლებს დაეკითხა.

ომარმა, რომელსაც, როგორც ჩანს, საკმაოდ დასუსტებულ, მაგრამ მაინც ძლევამოსილ ბერძნულ არმიასთან ბრძოლის პერსპექტივა აშინებდა, მოციქულს მკვახედ უთხრა: „თუ ამის გაკეთება ზეშთაგეგონა, ნუღარ დააყოვნებ და ქმენ ის, რასაც უფალი გიბრძანებსო!" და მუჰამადმაც ასევე მკვახედ მიუგო: „ამის ქმნა რომ უფლის მიერ ზეშთამგონებოდა, რჩევას შენ კი აღარ გკითხავდიო!"

ომარმა მოციქულს გაღიზიანება რომ შეამჩნია, საუბრის ტონი შეიცვალა და ურჩია, რომ სირიის სიღრმეში წასვლა ამჯერად ხეირს არ დააყრიდათ, რადგანაც მოენეთა მიერ მოტანილი ცნობები ადასტურებდა, რომ ბერძნები უკვე სერიოზულად შეშფოთებულიყვნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე გამოჩენილი ახალი ძალით და მისი წინააღმდეგ მართლაც კრებდნენ ისეთ არმიას, რომლის გამკლავების ღონეც მუჰამადის მომხრეებს იმხანად ნამდვილად არ შესწევდათ.

წინასწარმეტყველიც დაჰყვა ომარის რჩევას და თავისი ლაშქარი მედინისაკენ გამოაბრუნა.

მუსლიმური წყაროების ცნობით, მედინისაკენ მიმავალ გზაზე, ლაშქრის რამდენიმე წევრმა მუჰამადის მკვლელობა ჩაიფიქრა და საამისოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. ჰადისები გვარწმუნებენ, რომ ეს შეთქმულები თორმეტნი იყვნენ: 8 კურაიშელი და 4 მედინელი ანსარიო. მათ სურდათ, როცა უღელტეხილზე ავიდოდნენ, მუჰამადის აქლემი დაეფრთხოთ და უფსკრულში გადაეჩეხათ.

მაგრამ წინასწარმეტყველს ზეციდან ეცნობა მათი ჩანაფიქრის შესახებ და ამარ იბნ იასირს უბრძანა, მისი აქლემის აღვირი წინიდან ჩაებღუჯა, ხოლო ჰუზაიფას დაავალა, აქლემს უკნიდან მიჰყოლოდა.

შეთქმულებმა თავიანთი გეგმის აღსრულება მაინც მოიწადინეს, სახე რიდეებით მოიბურეს და მოციქულის აქლემს უეცრად მისცვივდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და უკანვე გაიქცნენ.

მუჰამადის მხლებლებმა იცნეს ისინი და მოციქულს მათი დასჯაც მოსთხოვეს, მაგრამ მუჰამადმა განუცხადა:

— ვითომც არაფერი მომხდარა! არ მინდა ვინმეს ვათქმევინო: მოციქულმა თავის მომხრეთა შორის მახვილი აღმართაო!

ამის შემდეგ ლაშქარმა მშვიდად იარა და მალე მედინაშიც ჩამობრუნდნენ.

მედინაში დაბრუნებულ მოციქულს ხალხი მოუთმენლად ელოდა. მანამდე მუსლიმთა ლაშქრისათვის უჩვეულოდ მასშტაბური ლაშქრობა და ამ დროს მოპოვებული ალაფი მთელი საზოგადოების დაუცხომელ ინტერესს აღვივებდა. მხოლოდ ისინი არ ჩანდნენ, ვინც ამა თუ იმ მიზეზით მოციქულს თაბუქში გაყოლაზე უარი განუცხადა.

მათ შორის, თვალთმაქცებთან ერთად, რამდენიმე გულწრფელი მუსლიმიც ერია, რომელთაც მართლაც სერიოზული მიზეზით ვერ შეძლეს წაყოლა, მაგრამ მოციქული მათმა განდგომამ უფრო მეტად გააცხარა, ვიდრე პირფერი თვალთმაქცების საქციელმა.

ამიტომაც მათი მუსლიმური თემიდან განკვეთა მოითხოვა. თუმცა მერე, თანდათანობით, თითქმის ყველას შეუნდო და-

ნაშაული, შვიდი მუსლიმის გარდა. ამ შვიდმა კაცმა მეჩეთის კარიბჭესთან, კედელზე თავი ჯაჭვებით მიიბა და განაცხადა: სანამ მოციქული არ გვაპატიებს, მანამდე ასეთ ყოფაში ვიქნებით, თუნდ შიმშილითაც რომ დავიხოცოთო.

ამათგან სამი კაცი — ქაყბ იბნ მალიქი, მურარა იბნ რაბიყი და ჰილალ იბნ უმაია — მუჰამადს უახლოეს ადამიანებად მიაჩნდა, რადგან მათ სარწმუნოების ერთგულება მანამდე არაერთხელ დაემტკიცებინათ საქმით და ახლაც ნატყუარი მიზეზის მოფიქრებას სიმართლის თქმა ამჯობინეს. როდესაც მოციქულმა ჰკითხა: ლაშქრობაში რატომ არ წამოხვედითო, იმათ არც მოსავლის აღება მოიმიზეზეს და არც სხვა რამ, პირდაპირ გაბუცხადეს: დაგვეზარა და იმიტომო!

მაშინ მუჰამადმა მუსლიმური თემის წევრებს მათთან დალაპარაკებაც კი აუკრძალა. ცოლებს კი უმკაცრესი გაფრთხილება მისცა, რომ ღამით ქმრებთან დაწოლა არც კი გაებედათ.

ქაყბ იბნ მალიქი, მურარა იბნ რაბიყი და ჰილალ იბნ უმაია უმძიმეს დღეში ჩაცვივდნენ, რადგან მათი მიტევების ზეციური მითითება მუჰამადს მხოლოდ 50 დღის შემდეგ გარდმოევლინა.

ამასობაში კი, თვითონ მათაც და, რაც მთავარია, ყველამ კარგად დაინახა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ღვთივ კურთხეული მოციქულის ურჩობასა და ორგულობას.

მაგრამ ეს საკმარისი ზომა არ იყო, რადგან მედინაში თვალთმაქცები ბოლო ხანს თავს გავიდნენ და ახლა მუჰამადთან დაპირისპირება მისივე იარაღით მოინდომეს. კერძოდ, კუბაში ახალი მეჩეთის დაარსება მოინდომეს, რათა თავშესაყარი და მოციქულის წინააღმდეგ გეგმების დასაწყობი ადგილი ჰქონოდათ. ამ მშენებლობის თავკაცი უჰუდის ბრძოლაში სარწმუნოებისათვის გმირულად დაღუპული ჰაზალას მამა ამირ აბუ რაჰიბი იყო.

ქრისტიანი ამირ აბუ რაჰიბი მოციქულის მედინაში ჩამოსვლისთანავე მის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ იქცა და ყველანაირი საშუალებით ცდილობდა ისლამის წინსვლისათვის ხელი შეეშალა. მაგრამ მედინელებმა იგი ქალაქიდან გააძევეს და ჯერ მექას შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ, როცა მუჰამადის მომხრეებმა ეს ქალაქიც აიღეს, ტაიფში, იქიდან კი სირიაში გაიქცა. სა-

დაც უნდა ყოფილიყო, ერთი წამითაც არ შეუწყვეტია თავისი მავნებლური მოღვაწეობა და ხალხს მუდამ ისლამისა და მისი მოციქულის წინააღმდეგ ამხედრებდა.

კუბაში მეჩეთის აგებაც მისი იდეა იყო, რომელიც მან მედინელ თვალთმაქცებს წერილობით მიაწოდა და იმათაც მხარი აუბეს. საჩქაროდ ააგეს მეჩეთი და მოციქულს თაბუქში გამგზავრებამდე კუბაში ჩაბრძანება და ახალი ნაგებობის გახსნაში მონაწილეობის მიღება სთხოვეს.

მუჰამადი დაჰპირდა, ჯერ ხომ ხედავთ, მაგ საქმისათვის არა მცალია, წინ დიდი და დაქანცველი ლაშქრობა მიძევს, მაგრამ იქიდან რომ დავბრუნდები, აუცილებლად კუბაშიც ჩამოვალ და მეჩეთიც გავხსნათო.

მაგრამ, როცა თაბუქიდან მობრუნებულ მოციქულს მედინის შესასვლელთან ამბავი დაახვედრეს, მეჩეთი უკვე მზადაა და თქვენს მობრძანებასლა ველოდით, რომ იქ ღვთისმსახურება დაიწყოსო, მუჰამადმა თავის ორ ერთგულ მიმდევარს, ამრ იბნ აუფის ტომის ხალხს, დაავალა, სასწრაფოდ წასულიყვნენ კუბაში და თვალთმაქცთა აგებული მეჩეთი დაენგრიათ. ისინიც წავიდნენ და ისლამის საზიანოდ აგებული მეჩეთი მიწასთან გაასწორეს.

ამის შემდეგ მუჰამადთან წინააღმდეგობა მის გარშემო პრაქტიკულად აღარავის უფიქრია. მითუმეტეს, რომ თვალთმაქცებმა კიდევ ერთი და ამჯერად არსებითი დარტყმაც მიიღეს. გარდაიცვალა მედინელ თვალთმაქცთა მეთაური აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაი. მუჰამადმა კარგად იცოდა, რა ხრიკებსაც მიმართავდა ეს კაცი მის წინააღმდეგ, მაგრამ სასიკვდილო სარეცელზე მწოლი რამდენჯერმე მოინახულა და სნეულის შვილის, თავგადაკლული მუსლიმის თხოვნით, უფალს მის ცხონებასაც კი შეევედრა.

ამან ომარი, რომელიც ბოლო დროს მოციქულის ქცევის მოტივაციას ხშირად რატომღაც ველარაფრით ხვდებოდა, გაცხარდა და მუჰამადს უსაყვედურა:

— როგორ შეიძლება, თვალთმაქცისა და ისლამის მტრისათვის რომ ლოცულობო?!

მაგრამ მოციქულმა აუღელვებლად უპასუხა:

— სულერთია, თვალთმაქცისათვის ილოცებ თუ არა! სამოცდაათგზისაც რომ ითხოვო მათთვის პატიება, უფალი დანაშაულს მაინც არ შეუნდობსო!

შორსმჭვრეტელმა მუჰამადმა აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის დაკრძალვაშიც გულმხურვალე მონაწილეობა მიიღო და ამით გარდაცვლილის მშობელი ტომი — ხაზრაჯები საბოლოოდ შემოიმტკიცა.

სხვა არაბული ტომებიც ერთმანეთის მიყოლებით აგზავნიდნენ თავიანთ დელეგაციებს და ისლამის ნებაყოფლობით აღიარებაზე ყაბულს იძლეოდნენ.

ის კი არა, მოციქულს ნაჯრანელი ქრისტიანებიც ეახლნენ, მისი ღვთაებრივი მისიისა ირწმუნეს და გამუსლიმდნენ.

ამასობაში დადგა წმინდა ჰაჯის კურთხეული თვეც, მაგრამ მუჰამადი ისე იყო ჩაფლული საზოგადო და პირად საქმეებში, რომ მომლოცველობის აღსრულებას თვითონ ვერ ახერხებდა. ამიტომაც მედინელ პილიგრიმთა მეთაურობა და გაძღოლა აბუ ბაქრს დაავალა. ისიც 300 მომლოცველს სათავეში ჩაუდგა და მექისკენ გაეშურა. თან კი ოცი სამსხვერპლო აქლემი წაიყვანეს.

ამის შემდეგ სუნიტური და შიიტური გადმოცემები ერთმანეთისაგან განსხვავდება და ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენს თავზე ავიღოთ სიმართლის გარკვევა, რაც მუსლიმურმა თემმა თვითონ, თავის შიგნით, საუკუნეების განმავლობაში ვერ მოახერხა.

კერძოდ, სუნიტები ამბობენ, რომ მოციქულს აბუ ბაქრისა და მლოცველთა მექაში გამგზავრების შემდეგ ზეგარდმოევლინა ყურანის ახალი სურა „შენდობა“ და ამ სურაში მოცემული მითითებების აღსრულება მეტად მნიშვნელოვანი იყო წარმართთა გამუსლიმებისა და სჯულზე ახალმოქცეული მექელი მუსლიმების ისლამურ რიტუალებში განსწავლისათვის. ამიტომაც სასწრაფოდ დაადევნა ალი მლოცველებს, რათა მექაში ჩასულიყო და ეს ახალი სურა საჯაროდ წაეკითხა.

შიიტური ვერსიით, მოციქულს თვითონ ჯიბრაილმა უბრძანა, არავის შეშვენის ამ ახალი გამოცხადების წაკითხვა, თუ არა შენ ანდა შენი უახლოესი ერთი კაცის გარდაო. ამიტომაც იხმო მუ-

ჰამადმა ალი და მომლოცველებს კვალში ჩაუყენა. იგი აბუ ბაქრს მექის შესასვლელთან დაეწია და განუცხადა:

— მოციქულმა დამაბარა, ან მექაში გამომყევი, რომ ჩვენთან ერთად ჰაჯი აღასრულო, ანდა მედინაში მასთან დაბრუნდეო. აბუ ბაქრი ამ შეთავაზებამ ძალიან გააცხარა. სასწრაფოდ მედინაში დაბრუნდა, მოციქულთან მივიდა და უკმაყოფილოდ ჰკითხა: ჩემ შესახებ რამე ზეშთაგონება მიიღეო? მოციქულმა საქმის ვითარება აუხსნა და ამან აბუ ბაქრი ჩააშოშმინა.

სუნიტურ გადმოცემებში დაცული ცნობების თანახმად კი, ალი მექაში მომლოცველობის ყველაზე მნიშვნელოვან დღეს ჩავიდა. როცა მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღასრულეს და აბუ ბაქრი ხალხს ისლამური ქცევის წესებს ასწავლიდა, წამოდგა ალი და უამრავი მლოცველის წინაშე მუჰამადის ახალი ზეშთაგონება საჯაროდ წაიკითხა.

ამ ახალი ზეშთაგონების მიხედვით, მუჰამადს აღარ ევალებოდა არც ერთი წინა აღთქმის დაცვა, რაც მას წარმართებთან დაედო. პირიქით, ღმერთი ამიერიდან უფრო აქტიურ მოქმედებას ავალებდა და აღარც სისხლით ნათესაობა, არც ტომობრივი კავშირები ურწმუნოების გასამართლებლად არ გამოდგებოდა. ყველა წარმართს ოთხი თვის ვადა ეძლეოდა, რათა ამ დროში ან ისლამი ეღიარებინა, ანდა საბედისწერო ბრძოლისათვის მომზადებულიყო.

ამ ახალმა გამოცხადებამ არაბული ტომების ახალი ტალღა წამოშალა. ისინი ერთმანეთს ასწრებდნენ მედინაში ჩასვლასა და ისლამის მიღებას, რათა თავიდან გაუმართლებელი სისხლისღვრა აეცილებინათ. ბანუ საყდელები, ბანუ აბდ ალ-კაისელები, ბანუ ჰაინფაელები, ბანუ ზუბაიდელები და ქინდას ტომის ხალხი სწორედ ამ დროს გამუსლიმდა.

თუმცა აქა-იქ მაინც რჩებოდნენ მოწინააღმდეგენი, რომელთაც მუჰამადის აღიარება და მისი პირობების მიღება არაფრით არ სურდათ. ამიტომაც იქ, სადაც სიტყვა არა ჭრიდა ხმალს უნდა გაეჭრა და მუჰამადმა ამბოხებული იემენის საბოლოოდ დასამორჩილებლად ჯერ ხალიდ იბნ ვალიდი გააგზავნა, მაგრამ, როცა მასაც კი არაფერი გამოუვიდა, მაშინ ერთგულ ალის უბრძანა, წასუ-

ლიყო და იემენელები ისლამის ნათელზე მოექცია.

იმ დროისათვის ახალგაზრდა და გამოუცდელი ალი მოციქულის დავალებამ აშკარად დააფრთხო და წინასწარმეტყველს შეჰბედა: ხომ იცი, შენი ბრძანების აღსასრულებლად თავს არ დავიშურებ, მაგრამ იემენში ბევრი ჩემზე ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანი ცხოვრობს და მათ ან ჭკუაში ანდა ბრძოლაში როგორ მოვუგებო.

მაშინ მუჰამადმა ალის ერთი ხელი შუბლზე, მეორე კი გულზე დაადო და უფალს შეჰღაღადა:

— ალაჰ, გაუმაგრე გული და განუმტკიცე ენაო!

მერე კი ლოცვასთან ერთად მსაჯულობის ერთი ოქროს წესიც შესთავაზა: როცა შენ წინაშე განსასჯელად მოვლენ, ნურასოდეს გამოიტან მსჯავრს მანამ, სანამ ორივე მხარეს ყურადღებით არ მოისმენო! — მერე კი ხელში ბაირაღი მისცა, თავზე ჩალმა დაახურა და გამოემშვიდობა.

როცა ალი იემენში ჩავიდა, თავდაპირველად მისი ლაშქრის წევრებმა, ძველი ჩვეულებისამებრ, იქაურობის ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ალიმ მათ ასეთი ქცევა სასტიკად აუკრძალა და თვითონ ისლამის სჯულის ქადაგება დაიწყო. თუმცა მისმა სიტყვებმა იქაურებზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, გულწრფელ ქადაგებას ისრების წვიმით უპასუხეს და ალიც მიხვდა, რომ სადაც ენა არა ჭრიდა, იქ მახვილსათვის უნდა მიემართა. მახვილის ხმარებაში კი „ალაჰის ლომს“ ბადალი არა ჰყავდა: მოწინააღმდეგეთა შემოტევები ისე მარჯვედ მოიგერია, რომ პირველივე დღეს დაახლოებით ოცამდე ურწმუნო ადგილზე გააქვავა. იემენის მკვიდრი ტომების თანდათანობით დამორჩილებას შეუდგა და თითქმის ყოველდღე მოციქულთან ახალი ტომის დამორჩილების მახარობელს აგზავნიდა.

მაგრამ საზოგადო საქმეში წარმატებასთან ერთად პირად ცხოვრებაში მოციქულს თავს უმძიმესი უბედურება დაატყდა: გარდაიცვალა მისი ერთადერთი ძე და ხადიჯას გარდა სხვა ცოლებისაგან შეძენილი ერთადერთი შვილი — იბრაჰიმი, რომელიც, როგორც ვიცით, კოპტ მხევალთან მარიათასთან ეყოლა.

მუჰამადმა წლინახევრის იბრაჰიმის სიკვდილი დიდად განიცადა და საჯაროდ ტირილსაც კი არ მოერიდა. ამან მისი მიმდევრების უკმაყოფილება გამოიწვია და მოციქულს ხმამაღლაც უსაყვედურეს, განა თვითონვე არ გვიკრძალავდი, გარდაცვლილებზე ბევრი ტირილი არ შეიძლებაო და ახლა შენ თვით როგორ იქცევიო? მუჰამადმა მიუგო: მე ზღვარგადასულ მოთქმასა და სხეულზე ტანსაცმლის ფლეთას გიკრძალავდით, ტირილი კი, თანალმობისა და თანაგრძნობის გამოხატულებაა და გეშინოდეთ კაცისა, ერთხელ მაინც რომ არ უტირიაო!

მოციქულმა ბავშვის ცხედარი თავისივე ხელით განბანა და მერე ბაკიყის სასაფლაოზე იმ ადგილას დააკრძალვინა, რომელსაც ახლა „იბრაჰიმის სამარეს“ ეძახიან.

ამბობენ, რომ იბრაჰიმის დაკრძალვის დღეს მზე დაბნელდა და ხალხმა ეს ამბავი ბავშვის გარდაცვალებას დაუკავშირა. მაგრამ მუჰამადმა გააფრთხილა თავისი თემის წევრები და უთხრა: მზე და მთვარე უფლის ორი სასწაულია და მათ ადამიანთა ბედისწერასთან არაფერი ესაქმებათ. ღვთის ნებითა და ბრძანებით მოძრაობენ თავიანთ გზაზე და განსაზღვრულ ჟამამდე. მათი დაბნელებაც უფლის ნებითვე ხდება და ამიტომაც ამ დროს ჩვენგან ლოცვა ეგებისო.

## გამოსათხოვარი ჰაჯი

გადატანილმა უბედურებამ მუჰამადი უეცრად გატეხა და დააძაბუნა. იგი ჯანმრთელობას სულ უფრო მეტად უჩიოდა და გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა, რადგან შვილს დაატირა კიდეც: ერთადერთი ისღა მანუგეშებს, რომ მეც მალე შენთან გადმოვსახლდებიო!

ამიტომაც გადაწყვიტა, მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, ზულ ჰიჯას თვეში გამოსათხოვარი ჰაჯის აღსასრულებლად მექაში გამგზავრებულიყო და ქააბას ტაძარი სიცოცხლეში უკანასკნელად მოელოცა. ეს ე. წ. „გამოსათხოვარი ჰაჯი“ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო იმ თვალსაზრისითაც,

რომ მოციქულს ზედმიწევნით უნდა აღესრულებინა ყველა რიტუალი, რათა მის შემდგომ ისლამის მიმდევრებს ჰაჯის მომლოცველობის სრულყოფილი ნიმუში დარჩენოდათ.

როცა მოციქულის ამ განზრახვის ამბავი გავრცელდა, არაბეთის ყოველი მხრიდან დაიძრა მუსლიმების ტალღა, რათა წინასწარმეტყველთან ერთად ქააბას ტაძარში ჩასულიყვნენ. მედინის ქუჩები სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული არაბული ტომებითა და მათი კარვებით გადაივსო. მართლაც საოცარი იყო მათი ასეთი გულმოდგინება, რადგან გუშინ ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ნახევრად ველური არაბული ტომები დღეს რწმენის ძალამ შეაკავშირა და ღვიძლ ძმებზე უფრო ახლობლებად აქცია.

მექისაკენ მლოცველთა უზარმაზარი არმია დაიძრა, ზოგი წყარო მათ რიცხვს 55 ათასს, ზოგი 90 000, ხოლო ზოგიც 114 000-ს ასახელებს. ჩარდახებით მიჰყავდათ მოციქულის ათი ცოლი და მიირეკავდნენ უამრავ აქლემს, რომლებიც ქააბაში სამსხვერპლო დღესასწაულზე უნდა შეეწირათ. მლოცველები თავდაპირველად ზულ ჰულაიფაში, მექიდან 5 კილომეტრში მდებარე დასახლებაში გაჩერდნენ, სადაც, ჩვეულებრივ, საპილიგრიმო სამოსელი გადაიცვეს და ჰაჯისთვის მოემზადნენ. მეორე დღეს კი ქალაქისაკენ დილაადრიან დაიძვრნენ და მუჰამადმა ბაიდას ველზე წარმოთქვა ლოცვა, რომელსაც მის კვალდაკვალ მთელი მომლოცველებიც იმეორებდნენ.

შემდეგ პილიგრიმებმა გზა განაგრძეს და მექამდე შესვენებებით იარეს. დროდადრო ველზე და ხეობებში ჩერდებოდნენ და ერთობლივ ლოცვას აღავლენდნენ. ახლა უკვე გულმშვიდად იყვნენ. საფრთხეს აღარსაით მოელოდნენ, რადგან მთელი არაბეთი ისლამის დროშის ქვეშ იდგა და ძველი წინააღმდეგობის კვალიც კი არსად ჩანდა. შუადღისას კი მუჰამადი მექაში ბანი შაჰიბას კარიბჭით შევიდა და ამის შემდეგ ქალაქის ამ შესასვლელს „კურთხეული კარიბჭე" უწოდეს.

მუჰამადი ყველა რიტუალს განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, რომ ქააბის გარშე-

მოვლა და საფასა და მარვას გორაკებს შორის რბოლის რიტუალი აქლემზე ამხედრებულმა აღასრულა.

რამდენიმე დღეში მლოცველებს შეუერთდათ ალი, რომელიც იემენიდან ჩამოვიდა და თან სამსხვერპლო აქლემების მთელი ჯოგიც ჩამოიყვანა.

მსხვერპლშეწირვის დღეს კი წინასწარმეტყველმა 63 (ანუ თავისი მიწიერი ცხოვრების თითოეული წლის შესაბამისად თითო) აქლემი დაკლა და ამის კვალდაკვალ ალიმ სათავისოდ 37 აქლემი წამოაქცია.

ამის შემდეგ მუჰამადმა თავი გადაიპარსა. პარსვა მარჯვენა მხრიდან დაიწყო და მარცხენით დაასრულა. მოპარსული თმა კი მოციქულის მიმდევრებმა ერთმანეთში დაინაწილეს.

ხალიდ იბნ ალ-ვალიდი მოციქულის გარდაცვალების შემდეგაც კი მისი თმის კულულს დიდხანს ჩალმით დაატარებდა და ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს კულული აძლევდა ძალას მტერთა და მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად.

მუჰამადი აშკარად სარგებლობდა ვითარებით და რაკიღა გრძნობდა, რომ შეიძლებოდა, ასეთი მარჯვე შემთხვევა სიცოცხლეში აღარ მისცემოდა, ხალხს ისლამის არსს დაუზარლად განუმარტავდა. ხან ალ-ქაყბას ტაძარში და ხანაც მის გარეთ მუდმივად ქადაგებდა და ამბობდა: „ხალხო, ისმინეთ ჩემი სიტყვა, რადგან არ ვიცი, ისევ შევხვდებით თუ არა გაისად მექაში. მეც თქვენსავით ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და სიკვდილის ანგელოზმა შეიძლება ყოველ წამს მომაკითხოს. ამიტომაც ყური მიგდეთ და ყველაფერი, რასაც ახლა გეტყვით, გულში ჩაიმარხეთ!“

ბურკჰარდტი, მისი გავლენით კი ვ. ირვინგი, ამ ეპიზოდთა კომენტირებისას, აღნიშნავენ:

„უეჭველია, რომ მუჰამადი მოახლოებული აღსასრულის მოლოდინში თავის შემდეგ თავისი ახლობლებისა და მეგობრების, განსაკუთრებით კი, იემენიდან ახლახან დაბრუნებული ალის ბედზე ზრუნავდა და ცდილობდა მიმდევრებისათვის ეს ჭეშმარიტება საგულდაგულოდ ჩაენერგა.

საჯაროდ კითხულობდა: ხომ გწამთ, რომ ღმერთი ერთია,

რომ მუჰამადი მოციქულია მისი, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი ტყუილი არ არის, რომ სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა ნამდვილია და რომ განსაზღვრულია ჟამი, როცა საფლავებიდან წამოდგებით და უზენაესის სასამართლოს წინაშე წარდგებით!"

— გვწამს, გვწამს! — შესძახოდნენ მუსლიმები აქეთ-იქიდან.

მაშინ მუჰამადმა სარწმუნოების ამ აღიარებული დოგმატების გვერდით, თავი ვალდებულად მიიჩნია, დაეცვა საკუთარი ოჯახის წევრებისა და განსაკუთრებით ალის ღირსება მორწმუნეთა თვალში და განაცხადა:

— ვინც მე მაღიარებს თავის მეგობრად, ხამს იყოს ალის მეგობარიც. ალაჰიმც გააძლიერებს მის მეგობრებს და უკუაქცევს მის მტრებს!

ამას გარდა, მექის ამ გამოსათხოვარი მომლოცველობისას ზეგარდმოევლინა მოციქულს სიტყვები, რომელიც დღეს კანონიკური ტექსტის V სურაშია მოქცეული, მაგრამ მუსლიმთა რწმენით, სწორედ ამით დასრულდა გამოცხადება და მას შემდეგ ჯიბრაილს მუჰამადისათვის აღარაფერი უკარნახია: „დღეს სრულვყავი თქვენი რწმენა და აგირჩიეთ სჯულად ისლამი!"

მუსლიმური გადმოცემების მიხედვით, როცა მოციქულის აქლემმა ალ-კასვამ ეს სიტყვები მოისმინა, წინა ორი მუხლი ჩახარა და მორჩილად დაიჩოქა.

მუჰამადი კი, ყველა რიტუალის პირწმინდად აღსრულების შემდეგ, მშობლიურ ქალაქს გამოეთხოვა და მედინისაკენ გაემართა.

შიიტური გადმოცემების მიხედვით, მედინიდან ორ კილომეტრში მდებარე ერთ დამშრალ ხევში — ხუმში, რომელსაც წყალი მხლოდ გაზაფხულობით ავსებდა და როგორ ხევებსაც, საზოგადოდ, არაბულად „ღადირს" ეძახიან, მოციქულმა შეკრიბა მიმდევრები და ალი საჯაროდ თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

როცა კუბას ველიდან წამოვიდნენ და თვალწინ მედინა გადაეშალათ, მოციქულმა წამოიძახა:

„დიდ არს ალაჰი და მისია მეუფება სამარადჟამო. მხოლოდ იგია ქების ღირსი, მძლეთა მძლეველი. მან აღასრულა აღთქმა

თვისი და მიცავდა მე, თავის მონას. მხოლოდ ის იყო ქომაგი ჩემი, როცა მდევნიდნენ და — ერთადერთი — მტერს საიმედოდ განმაშორებდა! აწ შინ დავბრუნდეთ და უფალს ჩვენსას მადლი შევწიროთ!"

## ცრუწინასწარმეტყველნი — ალ-ასვადი და მუსაილიმა

მედინაში დაბრუნებული მუჰამადი, ფიზიკური უძლურების მიუხედავად, მაინც ელოლიავებოდა თავის დიდი ხნის გეგმებს და სირიაში ლაშქრობისათვის ემზადებოდა, მაგრამ ამ დროს თვითონ მისი სამფლობელოს შიგნით თავი იჩინა ერთმა გაუთვალისწინებელმა წინააღმდეგობამ, რომლისათვის წაყრუება არაფრით ეგებოდა, რადგან არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც კი ეს წინააღმდეგობა, როგორც ერთგვარი არასასურველი მოვლენა, შეიძლებოდა ისლამის გავრცელებისა და განვითარების ხელისშემშლელ სერიოზულ მიზეზად ქცეულიყო.

საქმე ის იყო, რომ სწორედ ამ დროს არაბეთის ნახევარკუნძულზე გამოჩნდა ორი კაცი, რომელიც ღვთის მოციქულობას იჩემებდა და მუჰამადს ზენაარულ ინსპირაციას ეცილებოდა.

შემდგომში ამ ორს სავსებით სამართლიანად უწოდეს „ცრუწინასწარმეტყველნი".

ერთი მათგანი, ალ-ასვადი, გამჭრიახი და ამოდ მოუბარი კაცი, თავდაპირველად კერპთაყვანისმცემელი იყო, მერე ისლამზე მოექცა, მაგრამ ისლამზეც ხელი აიღო, თავი ახალ წინასწარმეტყველად გამოაცხადა და თავისივე სჯულის გავრცელება დაიწყო.

ხალხმა კი მას სჯულის სწრაფი ცვალებადობისა და სარწმუნოებრივი მერყეობის გამო „ფლუგერი" შეარქვა.

მაგრამ იგი ხალხის ლაპარაკს აინუნში არ აგდებდა, მუჰამადს ემეტოქებოდა და აცხადებდა, რომ თუკი, მუჰამადს ალაჰი ჯი-

ბრაილის მეშვეობით ზეშთააგონებდა, მას ღმერთი გამოცხადებებს ორი ანგელოზის მეშვეობით უგზავნიდა.

ალ-ასვადი ისე კარგად ფლობდა ხალხზე ზემოქმედების ხელოვნებას და ისეთი გაწაფული იყო ოინების ჩვენებაში, რომ ბევრი მის საქციელს ზებუნებრივ სასწაულად თვლიდა და თვით მუსლიმი ავტორებიც კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მას, მართალც ეხმარებოდა ორი ჯინი — ურწმუნო ჯინთაგანი.

ურწმუნო ჯინების დამსახურება იყო თუ თვით ალ-ასვადის გაქნილობა, ამ კაცმა ბევრი ადამიანის შემოკრება და მძლავრი სექტის ჩამოყალიბება მოახერხა.

სწორედ ამ წელს გარდაიცვალა მუჰამადის მიერ ბედნიერ არაბეთში, ანუ იემენში დანიშნული ნაცვალი, წარმოშობით სპარსელი ბუდჰანი. ალ-ასვადმა მოკლა მისი ძე და მემკვიდრე, ხოლო მისი ქვრივი, რომელსაც ასევე მამა მოუკლა, ცოლად დაისვა და თავი იქაურობის ბატონ-პატრონად გამოაცხადა.

ნაჯრანის მცხოვრებლებმა ალ-ასვადი თავიანთი ქალაქის სამართავადაც მიიპატიჟეს, მალე მას იემენის დედაქალაქმა — სანყამაც გაუღო კარი და ეს თვითმარქვია კაცი, პრაქტიკულად, მთელი ბედნიერი არაბეთის მფლობელი შეიქნა.

მუჰამადმა მთელი ეს უსიამოვნო ამბები უმძიმესი სნეულების დასაწყისში, იმ დროს შეიტყო, როცა სირიაში ლაშქრობის დაგეგმვით ძალზე დაკავებული იყო და როცა გაიგო, მთელ სირთულეს ერთადერთი კაცი მიქმნისო, მომხდარისათვის დიდი მნიშვნელობა არც მიუნიჭებია. პრობლემის მოგვარება მუსაილამასთან დაახლოებულ თავის მიმდევრებს დაავალა და უბრძანა, ან ძალით ანდა მოხერხებით ეს კაცი თავიდან მოეცილებინათ.

საქმე თავის თავზე მუჰამადის ორმა მიმდევარმა აიღო და როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, არა იმდენად რელიგიური შუღლის, რამდენადაც პირადი შურისძიების გამო. ერთი მათგანი, სახელად რაისი, უწინ მუსაილიმას საჯაროდ გაებითურებინა და ახლა ძველი ბოღმა არ ასვენებდა, ხოლო მეორე — დაილამელი კაცი, ფაირუზი, მუსაილიმას ცოლის ბიძაშვილი და ამ ქალის — ალ-ასვადის მიერ მოკლული — მამის ძმისშვილი იყო.

ეს ორი ადამიანი ქალთან მივიდა და მას სისხლის აღების

ძველი არაბული ჩვეულება შეახსენეს, რომელიც ქალს ქმრისა და მამის მკვლელობის გამო მკვლელზე სისხლიან შურისძიებას ავალდებულებდა.

ქალი თავიდან უარზე იდგა, მაგრამ მუჰამადის მომხრეებმა საბოლოოდ მაინც მოახერხეს მისი დაყოლიება და შეთანხმდნენ, რომ შუაღამისას იგი ალ-ასვადის საძინებლის კარს გაუღებდათ.

ასეც მოიქცნენ და მუსლიმები ცრუწინასწარმეტყველის საძინებელ ოთახში იოლად შეიპარნენ. მძინარეს ყელში ხანჯალი თავდაპირველად ფაირუზმა ჩაარტყა, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა და შეძრწუნებულმა მუსაილიმამ ყვირილი ატეხა. ყვირილზე დაცვას გამოეღვიძა, მაგრამ ცოლი გავიდა მათთან და დაამშვიდა: წინასწარმეტყველს ზეშთაგონება ესტუმრა და ამიტომ ღრიალებსო!

ამასობაში კი მუსლიმებმა თავიანთი საქმე მოათავეს. ცრუწინასწარმეტყველი სიცოცხლეს გამოასალმეს და დილით კოშკის თავზე კვლავაც მუჰამადის დროშა გადმოფინეს.

მეორე ცრუწინასწარმეტყველი, მუსაილიმა კი ჰუნაიფის ტომელი არაბი იყო და მკვდარ ზღვასა და სპარსეთის ყურეს შორის მოქცეულ იამამას მხარეს განაგებდა.

ჰიჯრის მეცხრე წლის დასაწყისში იგი, როგორც თავისი ტომის სახელით წარგზავნილთა თავკაცი, მედინაში მუჰამადს ეახლა და ისლამის სჯული აღიარა. შინ დაბრუნებულმა კი, ემჩნევა იმდენად იყო მოხიბლული მოციქულის ქცევითა და ყოფაცხოვრებით, რომ განაცხადა, ღმერთმა წინასწარმეტყველების უნარი მიბოძაო და მუჰამადის შემწედ მომავლინაო.

მუსაილიმა თავისივე იდეამ  ისე გაიტაცა, რომ საკუთარი ყურანიც კი შეთხზა, მაგრამ მისი სჯული იმით იყო გამორჩეული, რომ ცოდვილი სულის დამამცირებელ სამყოფელად უკანალს აცხადებდა.

თუმცა ამ ვულგარული იდეებითაც ფონს გასვლა იოლად მოახერხა და უცოდინარ ბრბოში მრავალი მიმდევრის შემოკრება შეძლო. წარმატებამ კი, ისე გაათამამა, რომ მუჰამადს უსტარიც

კი აახლა. უსტარი ასე იწყებოდა: „ალაჰის მოციქულს, მუჰამადს ალაჰის მოციქული მუსაილიმასაგან. მოდი, გავიყოთ ქვეყანა: ნახევარში შენ იმბრძანებლე, ნახევარში მე ვიმეფებო!“

მუჰამადი სნებას უკვე იმდენად გაეტანჯა, რომ, ამ წერილის პასუხად, მუსაილიმას ორიოდე ფრაზა აკმარა:

„ალაჰის მოციქული მუჰამადისაგან ცრუ და თვითმარქვია მუსაილიმას. მთელი ქვეყანა ალაჰს ეკუთვნის და ალაჰი მისცემს ქვეყანას თავის მონათაგან იმას, ვისაც თვითონ მოიწადინებს. ბედნიერია ის, ვისაც უფლის შიში აქვს!“

მუსაილიმას დასჯა კი, რადგან მაშინ სხვა უფრო მნიშვნელოვან საქმეებში იყო ჩაფლული და ასეთი წვრილმანებისათვის არ ეცალა, სხვა დროისათვის გადადო.

## სირიაში ლაშქრის გაგზავნა უსამა იბნ ზაიდის მეთაურობით

მნიშვნელოვანი საქმე კი წარმატებით აღასრულა და ჰიჯრის მეთერთმეტე წლის დასაწყისში სირიაში ლაშქრობისათვის უზარმაზარი არმია მოამზადა.

მუჰამადმა ამ ლაშქრის მეთაურობა გამოცდილ მხედართმთავარს კი არა, ოცი წლის ყმაწვილს, უსამას მიანდო. უსამა მისი ყოფილი მონისა და შვილობილის, მუთას ბრძოლაში მოწამეობრივად აღსრულებული ზაიდისა და იმ ქალის შვილი იყო, რომელიც ზაიდმა შემდგომში დიდსულოვნად მუჰამადს დაუთმო და ამით თავისი ერთგულება მოციქულს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა.

მუჰამადი, როგორც ჩანს, მაინც შიშობდა, ვაითუ ლაშქარი ახალგაზდა სპასალარს არ დაემორჩილოსო და ამიტომაც ხალხს შეახსენა: უსამას მამა იმ ლაშქრის მთავარსარდალი იყო, რომელიც სწორედ ახლანდელი მოწინააღმდეგის პირისპირ იდგა და მამამისი სწორედ იმ ხალხმა შეიწირა, ვის წინააღმდეგ ახლა მიემართებით. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, მისმა შვილმა გიწინამძღვროთ და მოკლული მამის სისხლიც აიღოსო!

მერე უსამას ხელში საბრძოლო ბაირაღი მისცა და დაარიგა: გმირულად ებრძოლა ყველას წინააღმდეგ, ვინც ღვთის ერთადერთობას უარყოფდა!

ლაშქარი მედინიდან გამოვიდა და სირიისაკენ დაიძრა.

## წინასწარმეტყველის გარდაცვალება

ბოლო დროს მუჰამადს ძალა დაეშრიტა, თმა ერთიანად ჭაღარით დაეფარა, წელში მოიხარა და ნაადრევად მოტყდა: სხვაგვარად ალბათ შეუძლებელი იყო, იმდენმა საზრუნავმა, რომელიც გამუდმებით მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე, საბოლოოდ თავისი გაიტანა და 632 წლის ივნისის თვეში მოციქული ლოგინად ჩავარდა. თვითონ სჯეროდა, რომ ეს ავადმყოფობა საბოლოო იყო. ერთხელ, ღამით, როცა დაძინებას ამაოდ ცდილობდა, ლოგინიდან ფეხაკრეფით წამოიპარა და მსახურის თანხლებით მედინის სასაფლაოსაკენ გაეშურა, სადაც თავისი უამრავი მეგობრის სამარე ეგულვოდა. იქ დიდხანს დარჩა და, ფიქრებში ჩაძირული, ამ ძვირფას სამარეთ შეჰყურებდა. მერე ხმამაღლა წარმოთქვა გარდაცვლილთა ლოცვა და დასძინა: „ჭეშმარიტად, მე და თქვენ ვნახეთ, როგორ აღსრულდა ჩვენი უფლის აღთქმა. ნეტარ ხართ თქვენ, რამეთუ უკეთესი ბედისწერა გერგოთ, ვიდრე იმათ, ვინც თქვენს შემდგომ დარჩა."

როცა ფიქრებიდან გამოერკვა, მსახურს უთხრა: „მე შემომთავაზეს არჩევანი სიცოცხლის გაგრძელებასა და ღვთის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგომას შორის და, რა თქმა უნდა, მეორე ვარჩიე."

ბოლო კვირას ციება სულ უფრო და უფრო გაუძლიერდა. თუმცა უმძიმესი ავადმყოფობის დროსაც კი მუჰამადი ჩვეულებას არ ღალატობდა და თითო ღამეს თითო ცოლის საცხოვრისში ატარებდა.

იმ ღამით, როცა სნება მოეძალა, მაიმუნასთან იყო, მაგრამ როგორც ჩანს, გულმა საყვარელი ცოლის, აიშასაკენ გაუწია და სიცოცხლის უკანასკნელი წუთების მის სიახლოვეს გატარება

მოინდომა. ალიმ და ალ-აბასის ძემ აბუ ლ-ფადლმა დასუსტებული და თავშეხვეული მუჰამადი აიშასთან გადაიყვანეს. ქალსაც თავი სტკიოდა და მოციქულს წამალი სთხოვა.

— წამალი რაში გჭირდება? არ გირჩევნია, ჩემზე უწინ მოკვდე! — გაეხუმრა ქალს მუჰამადი, — მაშინ თვალებს მე დაგიხუჭავდი, გაგაპატიოსნებდი, სუდარაში გაგახვევდი, დაგმარხავდი და საფლავთან შენი სულის ხსნაზე ლოცვასაც დავიწყებდი!

როგორ არა! — მიუგო თვალცრემლიანმა აიშამ, რომელიც ტირილის ნამდვილ მიზეზს ნაყალბევი წყენით ოსტატურად ფარავდა, — მერე დაბრუნდებოდი ჩემს სახლში და დაიწყებდი ცხოვრებას სხვა ცოლთან, რომელსაც ძალიანაც გაუხარდებოდა ჩემი აღსასრული.

მუჰამადი ასეთი ეჭვიანობის გამჟღავნებამ ძალიან აამა და აიშას თავი კალთაში ჩაუდო.

ამ დროს მოციქულის ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი ქალიშვილი ფატიმაც შემოვიდა. აიშას მტკიცებით, არავინ ისე არ ჰგავდა მოციქულს სილამაზითა და დიდებულებოვნებით, თავმდაბლობითა და უბრალოებით, როგორც ფატიმა და მუჰამადიც მას განსაკუთრებულად ანებივრებდა. ფატიმას შემოსვლისას, მოციქული მაშინვე წამოდგებოდა, ხელზე აკოცებდა და ადგილს დაუთმობდა ხოლმე. ახლაც მიესალმა ფატიმას და გვერდით ჩამოისვა.

მერე გადაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა. ფატიმას ცხარე ცრემლები წამოსცვივდა. ამის შემხედვარე მუჰამადი კიდევ ერთხელ დაიხარა და ქალიშვილს კვლავაც რაღაც ჩასჩურჩულა. ამჯერად ფატიმას სახე გაუბრწყინდა.

— რა ჩურჩული ატეხეთ, რა საიდუმლო გაქვთ ისეთი, რომ მოციქული ცოლსაც კი არ უმჟღავნებს და მხოლოდ შენ გაგანდოო?! — უკითხავს აიშას.

მაშინ ფატიმას არაფერი უთქვამს, მამის გარდაცვალების შემდეგ კი განაცხადა:

— მამამ პირველად თავისი მოახლეობული აღსასრულის შესახებ მამცნო და ამან ძალზე დამანღვლიანა, მაგრამ მერე მითხრა: შენც მალე მომყვები, იქ ზეცაში დაივანებ და ერთგულ

ქალთა დედოფალი იქნებიო! — ამით ცოტა დავმშვიდდი და გული გავიმაგრეო.

აიშა ქმარს მზრუნველად და თავგადადებით უვლიდა. დროდადრო მუჰამადი გუნებაზე მოდიოდა და კიდევაც ხუმრობდა. წამალს პირში არ იკარებდა, მაგრამ ერთხელ ცოლებმა მისი უგონოდ ყოფნით ისარგებლეს და რაღაც შარბათი დაალევინეს. გონს რომ მოეგო, მუჰამადს წამალი უამური ეჩვენა და მთელი ოჯახი აიძულა, იგივე შარბათი რიგრიგობით შეესვათ.

სიკვდილის წინ მოციქულმა უპოვრებზეც იზრუნა. თვითონ სიმდიდრეს არასდროს ესწრაფოდა და როგორც კი მცირედი ფული გამოუჩნდებოდა, ჩვევად ჰქონდა მოწყალება დაერიგებინა. ავადმყოფობამდე მცირე ხნით ადრე აიშასათვის რაღაც თანხა შესანახად მიებარებია. როცა ლოგინად ჩავარდა, აიშას მოსთხოვა, ფული საჩქაროდ ღარიბთათვის დაერიგებია. მერე თავი ბალიშზე მიდო და თვლემა მოერია. გამოფხიზლებულმა აიშას ჰკითხა, ჩემი ბრძანება თუ შეასრულეო და როცა ქალმა, არაო, უპასუხა, იმწამსვე გაგზავნა ფულის გამოსატანად და ის ღატაკი ოჯახებიც ჩამოუთვალა, რომელთათვისაც ფული უნდა დაერიგებია. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: ახლა კი დავმშვიდდი. არ შემფეროდა, ეს ოქროები მქონოდა და ღვთის წინაშე წარვმდგარიყავიო.

632 წლის 7 ივნისის დილას მუჰამადმა ფურცელი და კალამი მოითხოვა, რათა დაეწერა წიგნი, რომელიც სამუდამოდ დაიფარავდა მის შთამომავალთ გზააბნევისაგან.

— მოციქული ბოდავს! — წამოიძახა ომარმა და შეაკავა ის ხალხი, რომელსაც მუჰამადის სურვილის აღსრულება ეწადა, — ჩვენ ხომ გვაქვს ყურანი, სიტყვა ალაჰისა! (ვაილის აზრით, ომარი შიშობდა, რომ მუჰამადს თავის მოადგილედ ალი არ დაენიშნა).

დაიწყო კამათი. ერთნი მოციქულის სურვილის აღსრულებას მოითხოვდნენ, მეორენი ეწინააღმდეგებოდნენ.

თვალი რომ გაახილა, მუჰამადმა ყველა იქ მყოფს ოთახიდან გასვლა უბრძანა: „გადით! ალაჰის მოციქულის სახლში კამათი არ ეგების!“

მეორე დღეს მუჰამადს სნება უფრო მოეძალა და სიცხით გაი-

თანგა. ოჯახის წევრებს უბრძანა, თავზე წყალი გადამავლეთო და როცა ასეც მოიქცნენ, ყვირილი დაიწყო: ახლა ვიგრძენი ხაიბარის საწამლავმა მთელ ტანში როგორ დამიარაო!

ცოტა სული რომ მოითქვა, მეჩეთში წასვლა მოინდინა. იქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მუჰამადი სავარძელში დაბრძანდა და დიდხანს, გულდასმით ლოცულობდა, მერე შეკრებილ ჯამაათს გადახედა და დაიძახა: თუ ვინმეს სინდისს რაიმე გიმძიმებთ, მითხარით და ღმერთს თქვენს მიტევებას შევევედრებიო.

ერთმა არაბმა, რომელსაც მოციქული სანიმუშო მუსლიმად მიიჩნევდა, სახალხოდ აღიარა, რომ სინამდვილეში თვალთმაქცი იყო და ისლამის საზიანოდ ირჯებოდა!

ამ უადგილო აღიარებამ ომარი მომეტებულად გააცხარა და დაუძახა:

— ვაი შენდა! აქედან დაიკარგე, რატომ ამჟღავნებ იმას, რისი საიდუმლოდ შენახვაც ალაჰმა ინება!

მუჰამადმა მიუგო:

— ო, იბნ ალ-ხატაბ, უმჯობესია სირცხვილით ამქვეყნიური სიცოცხლისას გაწითლდე, ვიდრე იმქვეყნად დაიტანჯო ჯოჯოხეთით!

მერე იმ არაბზე ლოცვა დაიწყო და დიდხანს საგულდაგულოდ ლოცულობდა.

ლოცვა რომ მოათავა, ისევ ჯამაათს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თუ თქვენში არის ვინმე, ვისთვისაც მიცემია, აი, ჩემი ზურგი, მოვიდეს და მირტყას, თუ ვინმეა, ვისი ღირსებაც შემილახავს, მოვიდეს და მლანძღოს, თუ ვისიმე ქონება მმართებს, შემახსენოს და ახლავე გადავუხდი!

ამ დროს ჯგუფს ერთი მუსლიმი გამოეყო და მუჰამადს შეახსენა, რომ მისი სამი ვერცხლის ფული ემართა. მოციქულმა ვალი იქვე გაუსტუმრა და დააყოლა:

— უმჯობესია აქ მოითმინო სასჯელი, ვიდრე იმქვეყნად გიხდებოდეს მისი ატანა!

ამის შემდეგ მუჰამადმა კვლავ ლოცვა განაგრძო და დიდხანს

და დაბეჭითებით ლოცულობდა უჰუდთან და სხვა ადგილებში აღსრულებული მუსლიმთა სულებისთვის.

მერე მუჰაჯირებს მიუბრუნდა და ანსართათვის კუთვნილი პატივის მიგება დაავალა:

— გახსოვდეთ: მორწმუნეთა რიცხვი იზრდება, მაგრამ ანსარები იგივენი რჩებიან. მუდამ პატივისცემით მოეპყარით მათ, რადგან სწორედ ამ ხალხმა შემიფარა განდევნილი და ცხოვრების სახსარი გამიჩინა.

დასასრულ მუჰამადმა მეჩეთში შეკრებილთ სამი უმთავრესი მითითება მისცა: განედევნათ არაბეთიდან ყველა წარმართი, მიენიჭებიათ ყველა ახალმოქცეულისათვის მათი თანაბარი უფლებები და მიეძღვნათ თავი გულმოდგინე და დაუღალავი ლოცვისათვის.

მერე იგი კვლავ აიშას ოთახამდე მიაცილეს, მაგრამ მოციქული ისე იყო დაქანცული, რომ ოთახში შესვლისთანავე დაეცა და გული წაუვიდა.

პარასკევს, საზოგადო ლოცვის დღეს, მუჰამადს კვლავაც ეწადა მეჩეთში გასვლა და ოჯახის წევრებს ამჯერადაც უბრძანა, თავზე ცივი წყალი გადაეცლოთ, მაგრამ როგორც კი თავი ოდნავ უკეთ იგრძნო და ოთახიდან გასვლა დააპირა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოახერხა და ზღურბლთან ჩაიკეცა.

გონს რომ მოეგო, აბუ ბაქრი იხმო და საჯარო ლოცვის გაძღოლა დაავალა. იქვე დასძინა, რომ ალაჰმა მისცა თავის მონას ნება, დაენიშნა თავის ადგილას ის, ვისაც ინებებდა.

მოგვიანებით ამტკიცებდნენ, რომ ამით მუჰამადმა, პრაქტიკულად, აბუ ბაქრი თავის მემკვიდრედ შერაცხა და მთელი ძალაუფლება გადააბარა, მაგრამ, მოციქულის სიტყვების ასეთი პირდაპირი განმარტება უპირველესად თვითონ აბუ ბაქრსვე აღაშფოთებდა.

მეჩეთიდან მალე ამბავი მოიტანეს, რომ აბუ ბაქრის გამოჩენამ ხალხი ძალიან ააღელვა, რადგან ჰგონიათ, მოციქული გარდაიცვალა და ამ ამბავს ყველა ძალიან განიცდისო!

მუჰამადმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა ალისა და იბნ ალაბასს დაეყრდნო და დიდი გაჭირვებით მეჩეთამდე მივიდა. მის

დანახვაზე მთელმა მედინამ სიხარულის ყიჟინა დასცა. ხალხი თვალცრემლიანი შესცქეროდა მუჰამადს, რომლის გამოჩენისთანავე აბუ ბაქრმა ლოცვა შეწყვიტა და მისთვის ადგილის დათმობა დააპირა. მაგრამ მუჰამადმა ანიშნა, განაგრძეო, თვითონ კი ოდნავ უკან დაუდგა და ლოცვის სიტყვებს ჩურჩულით იმეორებდა.

ლოცვის შემდეგ მუჰამადმა ხალხს მიმართა და უთხრა:

— გადმომცეს, რომ მოციქულის სიკვდილის ამბავმა ძალიან შეგაწუხათ. მაგრამ განა ჩემამდე თუნდ ერთი მოციქული მაინც ყოფილა, მარადიულად რომ ეცოცხლოს?! ნუთუ გგონიათ, რომ არასოდეს მიგატოვებთ და სამარადჟამოდ თქვენთან ვიქნები? ყველაფერი ალაჰის ნებით ხდება, ყოველივეს თავისი დასაზღვრული ჟამი აქვს, რომელსაც ვერც შეამოკლებ და ვერც გაახანგრძლივებ! მე იმის წიაღ დავბრუნდები, ვინც ამქვეყნად წარმომაგზავნა, უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი კი ის მექნება, რომ შეინარჩუნოთ ერთობა, გიყვარდეთ, პატივი სცეთ და დაეხმაროთ ერთურთს. მხოლოდ კარგი საქმეების აღსრულებასა და რწმენის სიმტკიცეში გაეჯიბროთ და სხვა ერთმანეთისა ნურაფერი შეგშურდებათ, რადგან მარტოოდენ ესაა, რაც ადამიანს აბედნიერებს, ყველაფერ დანარჩენს კი დაღუპვამდე მივყავართო!

ეს იყო მუჰამადის მიერ საჯაროდ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები.

ალიმ და აბასის ვაჟმა კი ამის შემდეგ იგი კვლავ აიშას ოთახში მიიყვანეს.

შაბათ დილით მოციქულმა უეცრად თავი უჩვეულოდ კარგად იგრძნო და გახალისდა. ალი, აბუ ბაქრი, ომარი და ყველა ახლობელი, ვინც იმ დღეებში მუჰამადს გვერდიდან არ სცილდებოდა, სულის მოსათქმელად ცოტა ხნით თავიანთ სახლებში წავიდწამოვიდნენ და ავადმყოფთან აიშაღა დარჩა. მაგრამ ეს მომჯობინება მოჩვენებითი გამოდგა. მალე მუჰამადს უძლიერესი შეტევა მოუვიდა და სნებისაგან გასავათებული ლოგინზე მიესვენა. თავი აიშას კალთაში ედო და მხოლოდ მოკლე ლოცვებს დუდუნებდა: „ო, ალაჰ, შემეწიე უკანასკნელი ამოსუნთქვისას! ჯიბრილ, უფრო მომიახლოვდი! ალაჰ, მიწყალობე შენი მიტე-

ვება და შემაერთე ჩემს მეგობართ მაღალთა შინა, მარადიულ სასუფეველში!"

მერე ყველაფერი დადუმდა. მუჰამადს თავი მძიმედ ჩამოუვარდა აიშას მკერდზე და მოციქულთა ბეჭედმა სამუდამოდ დახუჭა თვალი.

აიშამ მუჰამადს თავი ბალშზე გადაადებინა და კივილი ატეხა. მის ხმაზე მოციქულის დანარჩენი ცოლებიც მოცვივდნენ და ხმამაღალი მოთქმით წინასწარმეტყველის გარდაცვალების ამბავი მთელ ქალაქს შეატყობინეს. მედინაში დიდი არეულობა ატყდა. ხალხი მუჰამადის სიკვდილს ვერაფრით იჯერებდა. თვით ომარისთვისაც კი ეს წარმოუდგენელი ამბავი იყო. იგი მოციქულის ცხედართან მიიჭრა და ღრიალებდა:

— მუჰამადი არ მომკვდარა. მას მხოლოდ სძინავს! ღმერთი ცოტა ხნით წაიყვანს თავისთან, როგორც იესოსა და სხვა წინასწარმეტყველთ და სამ ოთხ-დღეში უკანვე დაგვიბრუნებს!

ამ დროს თავისი საცხოვრებელი უბნიდან აბუ ბაქრიც მოიჭრა. იგი ემოციურ ომართან შედარებით ყოველთვის გამოირჩეოდა მეტი პრაგმატიზმით და მომხდარი ამჯერადაც უფრო მშვიდად და საღად მიიღო. მოციქულის ცხედარს შუბლზე ეამბორა და დაატირა:

— სიკვდილშიც ისეთივე მშვენიერი ხარ, როგორც სიცოცხლეში! შენი ცხედრიდან კეთილსურნელება მოდის! ალაჰმა დაგადგინა მართალთა თანა!

მერე გარეთ გამოვიდა და მოციქულის სახლთან შეკრებილ ხალხს, პრაქტიკულად, მთელ მედინას მიმართა:

— დიახ, მოციქული გარდაიცვალა! თუ თქვენ მხოლოდ მუჰამადისა გწამდათ, იგი მკვდარია, ხოლო თუ გწამთ ალაჰი, რაც მართლაც უნდა გწამდეთ, ის არასოდეს მოკვდება!

აბუ ბაქრის სიტყვებმა ბრბოც ჩააშოშმინა და მწუხარებისაგან გონარეულ ომარზეც იმოქმედა.

ცხედარი, ყოველ შემთხვევაში, სამი-ოთხი დღე მაინც დაასვენეს და როცა ამასობაში გარდაცვალების ნიშნები მკაფიოდ გამოჩნდა, დაკრძალვაზე ფიქრი მერეღა წამოიწყეს.

ამ საკითხმა მუჰაჯირებისა და ანსარების დაპირისპირება

გამოიწვია. მუჰაჯირები აცხადებდნენ, რომ მოციქული მშობლიურ მექაში უნდა დაეკრძალათ, ანსარები კი ამბობდნენ, მედინამ გაუღო დევნილს თავისი კარი, აქვე აღესრულა და აქ უნდა დავკრძალოთო!

დავა საბოლოოდ ისევ აბუ ბაქრმა გადაწყვიტა: მოციქულის სამარე აიშას საცხოვრისში, იმავე ოთახში გააჭრევინა, სადაც გარდაიცვალა და მუჰამადის ცხედარი მიწას დიდი პატივით მიაბარეს.

* * *

მოციქულის გარდაცვალების ამბავთა ის ვარიანტი, რაც ძირითად ტექსტშია, მუჰამადის პირველი ბიოგრაფის იბნ ჰიშამის თხზულების მიხედვით აღვადგინეთ. თუმცა შიიტური ნარატივი მნიშვნელოვნად განსხვადება იმისაგან, რასაც მკითხველი ჩვენს ნაშრომში იხილავს.

მეტი სამართლიანობისათვის სქოლიოში მოგვაქვს შიიტთა მონათხრობიც. ამ გადმოცემათა მიხედვით, მუჰამადი, როცა სნეულება დაუმძიმდა, უმ სალამას საცხოვრისში იმყოფებოდა. აიშა თვითონ მიიჭრა უმ სალამასთან და მუჰამადის თავისთან გადაყვანა მოითხოვა. მოციქულიც მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანეს აიშას საცხოვრისში.

შიიტი კომენტატორები ამბობენ, რომ ამის შემდეგ არსებული გადმოცემები, მხოლოდ აიშას მონათხრობს ეყრდნობა და ამდენად, მიუკერძოებელი და ობიექტური რეალობის ამსახველი ვერ იქნება.

შიიტები აცხადებენ, რომ მოციქულმა, აგონიაში, ერთი წამით გონს რომ მოვიდა, მოითხოვა: ჩემი ძმა მომიყვანეთო. აიშამ განაცხადა: აბუ ბაქრს უხმეთო! მოიყვანეს აბუ ბაქრი, მაგრამ მუჰამადმა თვალი რომ გაახილა და დაინახა, იმწამსვე პირი იბრუნა. აბუ ბაქრი წამოდგა და განაცხადა: თუ საქმე ჩემთან ჰქონდა, მეტყოდა კიდეცო!

აბუ ბაქრის წასვლის შემდეგ მუჰამადმა ისევ გაახილა თვალი და კვლავაც გაიმეორა: მომიყვანეთ ჩემი ძმაო!

ჰაფსამ მოითხოვა: ომარს უხმეთო!

მოიყვანეს ომარი, მაგრამ მუჰამადმა არც მასთან დალაპარაკება მოინდომა და ისიც წავიდა.

მოციქულმა კვალავაც დაჟინებით ითხოვა: ჩემი ძმა და შემწე მომგვარეთო!

მაშინ უმ სალამამ თქვა: ალი მოუყვანეთ. წინასწარმეტყველი მხოლოდ მას მოითხოვსო!

წამოდგნენ, ალის უხმეს და როცა იგი ოთახში შემოვიდა, მუჰამადმა საწოლთან მიიხმო. ალი მიუახლოვდა, თავი მკერდთან დაუხარა და მოციქული დიდხანს ეჩურჩულებოდა რაღაცაზე. მერე ისევ ცუდად შეიქნა და გონება დაკარგა. ალიც წამოდგა და როცა ჰკითხეს, რას გეუბნებოდაო, განაცხადა: „მასწავლა სიბრძნის ათასი კარი და თითოეულმა ამ კარმა კიდევ ათასი კარი გამიღო. დამიბარა რაღაც და თუ ალაჰი ინებებს, სწორედ იმას აღვასრულებ, რაც დამიბარა!"

ალი იქვე იდგა, ხოლო როცა მოციქულს შეტევა გაუძლიერდა და სიკვდილის მოახლოება იგრძნო, დაიძახა: ალი, თავი დამიჭირე, რადგან უფლის ნება სრულდება! უკანასკნელი ამოსუნთქვისას თავი ყიბლისაკენ შემიბრუნე, ჩემი ცხედარი შენი ხელით განბანე, ლოცვა წამიკითხე და სუდარაში გამახვიე. ვიდრე მიწას მიმაბარებდნენ, გვერდიდან არ მომცილდეო! — ესა თქვა და გონებაც დაკარგა.

ფატიმამ, რომელიც შორიახლო იჯდა და ჩუმად ტიროდა, ამ დროს თავი ველარ შეიკავა, მამას მივარდა და ჩაეხუტა.

შიიტი კომენტატორები სწორედ ამ ადგილას ჩაურთავენ ხოლმე იმ ამბავს, რასაც სუნიტები აიშას მონათხრობად მიიჩნევენ და რაც ჩვენი თხზულების ძირითად ტექსტში ზემოთ დავიმოწმეთ.

შიიტი კომენტატორების მიხედვით, მოციქული ორშაბათს, ჰიჯრის მეთერთმეტე წლის საფარის თვის 28 რიცხვში გარდაიცვალა, სუნიტები კი ამბობენ, რომ ეს ამბავი რაბიყ ალ-ავალის 12-ში მოხდა, ამ დროს მუჰამადი სამოცდასამი წლისა იყო.

570 (ან 571) წლის 16/20 აპრილი — მუჰამადის დაბადება.
დაახლ. 694 წელი — ხადიჯაზე ქორწინება.
610 (ან 612) წ. — პირველი გამოცხადება.
614 — პირველი საჯარო ქადაგება.
615 — მუსლიმთა პირველი ჰიჯრა აბისინიაში.
615 — ომარის გამუსლიმება.
617-619 — ჰაშიმიანთა გვარის განკვეთა.
619 — ხადიჯასა და აბუ ტალიბის გარდაცვალება.
620 — აკაბას შეთანხმება.
622 წლის 6/10 ივლისი — მოციქულის ჰიჯრა.
დაახლ. 624 წლის 9/13 იანვარი — ბადრის ბრძოლა.
624 წლის იანვარ-თებერვალი — ბანუ კაინუკას ტომის განდევნა.
დაახლ. 625 წლის 22/26 იანვარი — უჰუდის ბრძოლა.
625 წლის ივლისი — ბანუ ნადირის ტომის განდევნა.
627 წლის მარტი — სანგრის ბრძოლა და კურაიზას ტომის ამოწყვეტა.
628 წლის თებერვალი — ჰუდაიბიას ზავი.
628 წლის აპრილი-მაისი — ხაიბარელი ებრაელების განდევნა.
628 — ეპისტოლეები მსოფლიოს დიდი ქვეყნების მმართველებისადმი.
628 — მარიათას მიღება ეგვიპტიდან.
629 — საბედისწერო უმრა მექაში.
629 წლის სექტემბერი — მუთასთან ბრძოლა.
630 წლის დაახლ. 6/10 სექტემბერი — მექის აღება.
630 წლის ზაფხული — ლაშქრობა სირიაში.
631 წლის დასაწყისი — აბდ ალ-ლაჰ იბნ უბაის გარდაცვალება.
630-631 — ისლამის გავრცელება არაბეთის ნახევარკუნძულზე.
632 წლის მარტი — დიდებული, გამოსათხოვარი ჰაჯი.
632 წლის 4 /8 ივნისი (= ჰიჯრის 11 წლის 13 რაბიყ ალ-ავალს) — მუჰამადის გარდაცვალება.

ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ვ. ირვინგი, „მუჰამედის ცხოვრება", თარგმნა გიორგი მანელაშვილმა, „აფრა", 1-2, 1997.
2. ვლ. სოლოვიოვი, „მუჰამედი, ცხოვრება და რელიგიური მოღვაწეობა", თარგმნა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო მ. მახარაძემ, თბილისი, „ლეთა", 2000.
3. დოქტორ სეიდ ჯაფარ შაჰიდი, „ცხოვრება მუჰამადისა" (წიგნიდან ისლამის ანალიზური ისტორია), სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართაიამ, ქრისტიანობისა და ისლამის ურთიერთობების კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2008.

4. გ. ჯაფარიძე, „მუჰამადი" (წიგნში: „ისლამი ენციკლოპედიური ცნობარი", გამომცემლობა „ნეკერი", 2004).

5. В. ИРВИНГ, Жизнь Магомета, Москва, Международное объединение ИИИ, 1990.

6. А. Е. КРЫМСКИЙ, История мусульманство, Москва- Жуковский, Кучково Поле, 2003.

7. ИБН ХИШАМ, Жизнеописание Пророка Мухаммеда, Москва, Умман, 2003.

8. ФЕТХУЛЛАХ ГЮЛЕН, Пророк Мухаммад Венец рода человеческого, т, 1-2, Москва, 2004.

9. ГРЮНЕБАУМ Г. Э., «Основные черты арабо-мусульманской культуры», изд. «Наука», Москва, 1981.

10. Ислам. Историографические очерки (под общ. редакций С. М. Прозорова), изд. «Наука», Москва, 1991.

11. ПИОТРОВСКИЙ М. Б., «Коранические сказания», изд. «Наука», Москва, 1991

12. РЕЗВАН Е. А., «Коран и его толкования (Тексты, переводы, комментарии)» изд. «Азбука-классика», «Петербургское Востоковедение», Санкт-Петербург, 2000.

13. РЕЗВАН Е. А., «Коран и его мир», изд. «Азбука-классика», «Петербургское Востоковедение», Санкт-Петербург, 2000.

14. СИНАЙСКИЙ А., «Магометанство в его истории и отнашении к христианству», издание книгопродавца И. Л. Тузова, С.-Петербург, 1904.

15. ФИЛЬШТИНСКИЙ И. М., «История арабов и халифата (750-1517гг.)», изд. «Наука», Москва, 1999.

16. BARTHELEMY SAINT-HILAIRE, Mahomet et le Coran, Vrin, Paris, 1865.

17. Chabbi J, Le Seigneur des tribus: l'islam de Mahomet, Quadrige, Puf. Paris, 1998.

18. GOLDZIHER I., Muhamedanische Studien I-II Teil, Halle, 1889.

19. DOZY R., Essai sur l' histoire de l'islamisme, Leiden, 1879.

20. NOLDEKE T., Geschichte des Qorans, Gottingen, 1856.

21. SPRENGER A., Das leben und die Lehre des Mohammad, Berlin, 1869.

22. SPRENGER A., Mahommed und der Koran, Hamburg, 1889.

23. WATT W. M., Mahomet, trad. de l'anglais, Payot, Paris, 1989.

24. WEIL G., Mahommed der Prophet, sein Leben und saine Lehre, Stuttgard, 1843.

25. WEIL G. Historisch-kritische Einleitung in den Koran, Bolfeld, 1878.

26. زرین کوب عبدالحسین بامداد اسلام مومسه انتشرات امیر کبیر تهران1376

27. محلاتی زندگانی حضرت محمد تهران 1376

ابن هشام سیرة للنبویة ج 1-4 مصر 2005

ابن سعد الطبقت للکبري تهران 1385

SYNOPSIS

"The Life of Mohamed," a new work of Giorgi Lobzhanidze, famous Georgian orientalist and translator of Koran in Georgian, narrates to the readers the biography of the Islamic prophet in popular language. Unfortunately no such publication has been available in Georgian until recently. This work which was created by the project of writer Naira Gelashvili and financed by European fund of HORIZON will fill the vacuum experienced by Georgian intellectual space in this respect.

The work of Lobzhanidze is based manly on Arabic sources, specifically on "The Life of Profit Mohammed" by Ibn Hisham, the first biographer of Mohammed and Arabian author of VII century. It is enriched by number of facts from the books of the Moslem biographers of next epochs as well.

Further this publication takes into consideration European tradition of the study of Mohammed's biography and to the extent possible includes interesting writings of all significant European orientalists on the given topic. The book is intended for the wide circles of readers, and especially for the auditorium interested in Islam and the students of special faculties.

# სარჩევი

წინასიტყვაობა ..... 5

## I ნაწილი
## მუჰამადი მექაში

მუჰამადის დაბადება ..... 11
მექა ისლამამდელ ხანაში ..... 13
მუჰამადის ბავშვობა და ყრმობა, ჰაშიმიანთა გვარი,
მამა — აბდ ალ-ლაჰი, დედა — ამინა ბინთ ალ-ვაჰაბი,
მეურვეები: პაპა — აბდ ალ-მუტალიბი, ბიძა — აბუ ტალიბი ..... 28
პირველი მოგზაურობა შამში და ქრისტიანი
ბერის წინასწარმეტყველება ..... 35
ხადიჯაზე ქორწინება ..... 41
ქააბას ტაძრის განახლება ..... 47
სამოციქულო მისიის დასაწყისი ..... 51
პირველი მუსლიმები; ხადიჯა — პირველი მუსლიმი ქალი,
ალი იბნ აბი ტალიბი — პირველი მუსლიმი მამაკაცი;
ისლამის არასაჯარო ქადაგების ხანა ..... 57
ომარის გამუსლიმება ..... 61
მექური არისტოკრატია და მისი რეაქცია მუჰამადის ქადაგებაზე ... 67
ე. წ. პირველი ჰიჯრა აბისინიის ქრისტიანულ სახელმწიფოში ..... 73
ჰაშიმიანთა გვარის განკვეთა ..... 90
აბუ ტალიბისა და ხადიჯას გარდაცვალება, ნიშნობა აიშაზე,
სავდაზე ქორწინება ..... 98
ურთიერთობა აბუ ლაჰაბთან. ტაიფში მოკავშირეთა ძიება ..... 102
იასრიბი და მუჰამადის მოლაპარაკებანი ამ ქალაქის
მცხოვრებლებთან. პირველი აკაბა, მუსყაბ იბნ უმაირი,
მეორე აკაბა ..... 106
მიყრაჯი ..... 118
ჰიჯრა — მექიდან მედინაში გადასახლება ..... 125

## II ნაწილი
## მუჰამადი მედინაში

მედინაში გატარებული პირველი საზოგადოებრივ-თეოკრატიული
რეფორმები. მეჩეთის მშენებლობა. „დაძმობილების ინსტიტუტი“.
აიშაზე ქორწინება ..... 143

მედინელი მტრები: ებრაელები და თვალთმაქცები („მუნაფიკები")..... 149
ბადრის ბრძოლა ..... 161
მოწინააღმდეგეთა ალაგმვა ..... 186
უჰუდის ბრძოლა ..... 189
ბანუ ნადირის ტომის განდევნა ..... 204
მუჰამადის ქორწინება ჰინდ უმ სალამასა და
ზეინაბ ბინთ ხუზაიმაზე ..... 207
ზათ არ-რუკაყის, დუმათ ალ-ჯანდალისა და
ალ-ბადრ ას-სუღრას ღაზავათები ..... 208
ზეინაბ ბინთ ჯაჰშთან ქორწინება ..... 212
მუჰამადის ჰარემი ..... 213
სანგრის ბრძოლა ..... 220
მუჰამადის მცდელობანი მექის დასაბრუნებლად.
ჰუდაიბიას ზავი ..... 238
ხაიბარელ ებრაელთა დამორჩილება ..... 241
სირიაში ლაშქრობა, მუთასთან ბრძოლა ..... 250
ეპისტოლეები მაშინდელი მსოფლიოს
ძლევამოსილი მმართველებისადმი ..... 254
აბუ ბასირი და მისი რაზმი ..... 256
ჰუდაიბიას ზავის დარღვევა. აბუ სუფიანის მედინაში ჩასვლა..... 257
მექის დამორჩილება ..... 261
ჰუნაინის ბრძოლა ..... 267
თაბუქის ბრძოლა ..... 288
გამოსათხოვარი ჰაჯი ..... 302
ცრუწინასწარმეტყველნი — ალ-ასვადი და მუსაილიმა ..... 306
სირიაში ლაშქრის გაგზავნა უსამა იბნ ზაიდის მეთაურობით ..... 309
წინასწარმეტყველის გარდაცვალება ..... 310

მუჰამადის ცხოვრების ძირითად მოვლენათა ქრონოლოგია..... 319
ძირითადი გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები..... 319
Synopsis..... 321

გიორგი ლობჟანიძე

# მუჰამადის ცხოვრება

თბილისი
2008

მადლობას ეუხდით ევროპულ ფონდს
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support to
the European Foundation HORIZON

გამოცემის რედაქტორი **ლეილა სიხარულიძე**
დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

კავშირი – „კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი – კავკასიური სახლი"
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20